114
1975/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

4

1975

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 51-ე № 4 აპრილი, 1975 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

13093

## შინაარსი

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

ნოდარ წულეისკირი — უთქვენოდ ვერ გავძლებ . . . . . . . . . 3
ლადო სულაბერიძე — სიყვარულის მედროშეები. ლექსი . . . . . . 12
ოტია იოსელიანი — შავი და ცისფერი მდინარე. რომანი. გაგრძელება . . 15
იონა ვაკელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . . 50
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . 52
როსტომ ბეჟანიშვილი — პატარა მოთხრობები . . . . . . . . 81
ბორის ჩხეიძე — ყრუ კედელთან. მოთხრობა . . . . . . . . . 88
მთვარისა კერესელიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 93
კალე ბოზოხიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . 95
ზურაბ რატიანი — ბებერი ძაღლის სისხლი. მოთხრობა . . . . . . . 97
ავთანდილ ჩხიკვიშვილი — დრო. მოთხრობა . . . . . . . . . 100
ა. კ. ტოლსტოი — ლექსები და ბალადები. თარგმნა მ უ რ მ ა ნ ლ ე ბ ა ნ ი ძ ე მ 109
სერგი ჭილაია — ადექით, სასამართლო მოდის! ქრონიკა. დასასრული . . 119

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

თენგიზ ბუაჩიძე — მიხეილ შოლოხოვი . . . . . . . . . . 135
ზაზა აბზიანიძე — ანა კალანდაძის პოეზია . . . . . . . . . 149
დიმიტრი ქუმსიშვილი — ჟანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემები . . 157
მურმან თავდიშვილი — ალექსანდრე სულაკაძე და რუსული პრეომანტიზმი 165
დავით მაისურაძე — სოციალისტური ერების კულტურული თანამეგობრობის ისტორიული ფესვები . . . . . . . . . . . . 174

### ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — სოსოს სიყვარული . . . . . . . . . . 184

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

**წიგნების მიმოხილვა**

გივი გოგიჩაიშვილი — ახალი წიგნი გურამიშვილზე . . . . . . 187
ალექსანდრე სიგუა — წიგნი, დაწერილი სიყვარულით . . . . . . 190

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, გ. ქლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 26/II-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/IV-75 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ.-საგამომცემლო თაბახი 12.

უე 11280. ტირაჟი 14.750. შეკვ. № 868.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „მნათობი", 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ნოდარ წულეისკირი*

# უთქვენოდ ვერ გავძლებ

თოვს. თეთრად გადაპენტილა საროგავო და საყუფუნიო; ნაცრისფრად ჩამოიბურა, ჩამოიქუფრა, ზღვიდან ქარმა დაუბერა კიდეც და მოფარფატე ფიფქები გააალმაცერა... ამაოა თებერვალში ზეცის ამგვარი გაავება. მიწას უბეში უკვე სითბო ჩაუხვევია, გაზაფხულის მოახლოება უგრძვნია და თადარიგიც დაუჭერია, — ზეცის პირისტეხას არაფრად დაგიდევთ, დროის ჩარხს თვით ზეცაც კი ვერ შეაბრუნებს. ჯუმისა და ყულისწყარის ლილოჭრელი ჭალები მშვიდად ისრუტავენ ზეციდან გამოგზავნილ ჭყაპს, თოვლქვეშ კი ენძელა ეგულებათ, გაზაფხულის მაცნედ განაბული.

თოვლჭყაპი შუკებსა და ბილიკებს ატალახებს, კოლმეურნეები თავიანთ ოდა-სახლებში შეყუჟულან, გამოდარებას ელოდებიან.

ორსართულიანი, ნათელდარბაზებიანი ოდის ფართო, მოხვეულ კიბეზე ნელა დაეშვა ძაძით შემოსილი ქალი. თვალიც კი არ უჩანს, ისე გახვეულა შავ თავსაფარში. თავის ერთადერთ შვილს — ბონდოს გლოვობს, ერთადერთ ნუგეშსა და იმედს მისტირის.

ეს ქალი სახელგანთქმული თამარ ყუფუნია გახლავთ. თამარის სახელს თითქოს ვერ ეგუება გლოვა, დარდი და მწუხარება. ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილს, სიკვდილმაც გვერდით უნდა ჩაუაროს... არ ჩაუარა. დაუნდობლად დარია ხელი, ჯერ თვალისსინათლე დედისერთა წაჰგვარა, შემდეგ შვილს მამაც მიაყოლა და დარჩა უშვილოდ და უქმროდ, რძლისა და თითისტოლა შვილიშვილების ამარა მოხუცი ქალი.

თამარი სველი კიბის საფეხურზე შედგა. თავის ეზო-კარს ცალი თვალით გადახედა და პალატში შებრუნდა. იქ ბუხარი ენთო. ბუხრის პირას ტაროსიმინდით სავსე ტომრები ელაგა. დიდ ვარცლში სიმინდი ნახევრამდე ეყარა, კვერა გამოაჩოჩა, ვარცლს მიუჯდა, ტომრიდან ტარო ამოიღო, ფრჩხილისტოლა თეთრი კბილები ცერით მოსინჯა და ნელა შეუდგა ჩამომარცვლას. გულის გადასაყოლებლად მოიგონა სიმინდის ჩამოფშვნა-დარჩევა, ბუხრის პირას დილიდანვე მოიკალათა, დილიდანვე ფუსფუსებს პალატში, ზედა სართულის ოთახების კარები გამოირაზა და საბოლოოდ დარჩა მარტო თავის ფიქრებთან.

თავჩარგული ფშვნიდა სიმინდს და ნაგულებს ბუხარში ყრიდა. ნაგულებს ბრიალით ეკიდებოდა.

„ალბათ თავს ტყუილ-უბრალოდ ვატან ძალას“, — გაიფიქრა მერამდენედ, ჩუმად, თითქოს საკუთარ თავს უმალავსო, სიკვდილზე ფიქრობდა. ტარო ხელი-

დან გაუვარდა, ბუხარში მოღუღუნე ცეცხლს ჩააჩერდა გონებაარეული.

დიახ, იყო თამარ ყუფუნიას ცხოვრებაში ასეთი მძიმე წუთებიც, სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე გაიარა. თავის რკინასავით ჯანმრთელ სხეულს როცა ვერაფერი დააკლო, როცა გლოვამ, გვემამ და ტანჯვამ უფრო მოაწყურა სიცოცხლე, სიკვდილზე ფიქრი აეკვიატა და უკან მოიხედა, ცხოვრების გზას თავიდან ბოლომდე თვალი გაადევნა. ამ დროს თურმე ადამიანი საკუთარ წარსულს დაუწყებს ქექვას, რატომ? რისთვის? რა საერთო აქვს სიკვდილს წარსულთან? სიკვდილი ხომ წარსულად აქცევს აწმყოს, წარსულში ისევეა ჩასახული მომავალი, როგორც სიკვდილში სიცოცხლე. ალბათ ამდაგვარი მრავალი ფარული კანონი მიახედებს ადამიანს წარსულისაკენ სიკვდილის წინ. ბუხრისპირას მჯდარი სიკვდილზე მოფიქრალი ქალი თავის სიყმაწვილეს ცრემლით სავსე თვალებით გასცქეროდა, თითქოს ენანებოდა მასთან განშორება...

თამარ ყუფუნიას სახელი მაშინ საქართველოში კი არა, ახალსოფელშიც თითო-ოროლამ თუ იცოდა.

კოლექტივიზაციის პირველ წლებში ქვეყანას უჭირდა. ახალგაზრდა თამარ ყუფუნია ქმრის დაუკითხავად ჩაეწერა არტელში და პატიოსან შრომას შეუდგა. სოფელში უკვე გაეშენებინათ ჩაის პირველი პლანტაციები და ჩაის პირველი მკრეფავი ქალებიც გამოჩენილიყვნენ. თამარის ჩაის კრეფას შინაურებიცა და გარეშენიც ეჭვით უყურებდნენ. ქალს სად შეუძლია ოჯახსაც მოუაროს და ჩაიც კრიფოსო. პირველ ხანებში მართლაც ძალიან გაუჭირდა, ჩაის კრეფა მძიმე სამუშაო აღმოჩნდა. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია, მოკრიფე ფოთოლი და კალათაში ჩაყარე, სად იყიანი თოხის ბლაყუნი და სად ზურმუხტისფერ პლანტაციაში ნაზად კრეფა ჩაის დუყებისა, ასე ფიქრობდნენ სოფელში და თამარიც ასე ფიქრობდა: როცა პაპანაქება სიცხეში, წელში მოხრილი თვითონ დადგა ჩაის ბუჩქებთან, დილიდან დაღამებამდე კრიფა და კრიფა, ლამის წელში გაწყდა და ხუთიოდე კილოგრამს ძლივს გადაამეტა, თვითონ იგემა სიმწარე ჩაის კრეფისა, იმედი დაკარგა, მართლა ვერ შევძლებო, იფიქრა.

განსაცდელის ჟამს თამარს მხარში ამოუდგა ნებისყოფა, სულის სიმტკიცე, რაც მას ბავშვობაში მამის ანდრი ლომაიას ოჯახში შეეძინა. ანდრი მშრომელი კაცი იყო და შვილებს შრომა პატარაობიდანვე შეაყვარა, მამის გარდაცვალების შემდეგ კი, ობლობაში და გაჭირვებაში გამოიკვეთა და გამოიწრთო პატარა თამარი. როცა ჩაის კრეფა თამარის წინაშე დაუძლეველ ზღუდედ აღიმართა, სწორედ ბავშვობაში შეძენილმა შეუპოვრობამ, გაუტეხლობამ, მიზნის მისაღწევად თავის არ დაზოგვამ და შრომის დიდმა სიყვარულმა შეაძლებინა ჩაის მკრეფავის მძიმე უღლის გაწევა.

და მაინც, სახელი და დიდება უცებ არ მოსულა. წლების მანძილზე ერთგული შრომა შეუმჩნეველი რჩებოდა. თამარიც, ისეთივე კარგი მკრეფავი ჩანდა, ისეთივე თავდაუზოგავი მუშაობაში, როგორც სხვები, რატომ უნდა გამოერჩიათ? არც თვითონ ჰქონია ამის სურვილი. მას შრომა სწყუროდა, ცხოვრება სწყუროდა, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე იყო და კარგ ოჯახზე ოცნებობდა. შეძლებული ღონიერი ოჯახი ენატრებოდა, უნდოდა ჰყოლოდა შვილები, ჰქონოდა იმდენი, რამდენიც ერთ ოჯახს ეყოფოდა და თავის ქმარშვილთან, თავის მეზობლებთან ერთად ტკბილად ეცხოვრა. რაც უფრო უკეთ იმუშავებდა, ოჯახში მეტს შემოიტანდა, — ასეთი მარტივი ამოცანა იდგა იმ წლებში თამარის წინაშე.

და აი, თამარმა ორი ხელით კრეფაც შეისწავლა, ჭრაქის შუქზე ღამე კრეფაც სცადა, წაჩოქილი კრეფაც არ დაკლებია და თავის ტოლ-მეგობრებს, იმხანად მოწინავე მკრეფავებს თანდათან გაუსწორდა. მაგრამ თამარი იყო სწორედ ის ადამიანი, რომელიც ქვეყნად

შრომისთვის მოსულა; მიღწეული მას არ აკმაყოფილებს და სულ მუდამ ეძიებს. ერთ მშვენიერ დღეს თამარმა „აღმოაჩინა", რომ ჩაის ორი ხელით კი არა, ცალ-ცალი ხელით კრეფდა და ამას ორი ხელით კრეფას ეძახდნენ. ეს რანაირი ორი ხელით კრეფააო, უკარნახა შინაგანმა ხმამ. მართალია, ორივე ხელი გადარბის ჩაის ბუჩქზე, მაგრამ ჯერ ერთი და შემდეგ მეორე... ჯერ ერთი და შემდეგ მეორე... მაშ, ჯერ ცალი ხელი მოკრეფს ჩაის დუყს, ცალი კი ელოდება, ეს წამის მეათედებში ხდება და მკრეფავიცა და მაცქერალიც ფიქრობს, რომ ორი ხელით იკრიფება ჩაი.

თამარ ყუფუნიამ უნებლიედ მიაგნო ჩაის ორი ხელით ახლებურ კრეფას.

იმ დღეს ძალიან ჩქარობდა, ბევრიც უნდა მოეკრიფა, ხარისხისთვისაც უნდა ეზრუნა, თან შინაც ათასი საოჯახო საქმე ელოდებოდა. უცებ, ორივე ხელით, ერთდროულად მოკრიფა დუყები, მიაყოლა და მიაყოლა, ხელები ერთმანეთს კი არ უცდიდნენ, ერთად, რიტმულად, იმ წამის მეათედების დაუკარგავად მოძრაობდნენ. ეს „სხვანაირი კრეფაა" — გაიფიქრა, „საინტერესოა, ასე მეტი იკრიფება თუ ნაკლები".

მეორე დღეს უფრო მეტი მოკრიფა, მესამე დღეს კიდევ უფრო მეტი. თანდათან გაიწაფა და ყურადღება მიიქცია. ბრიგადებსა და რგოლებში თამარ ყუფუნიაზე ალაპარაკდნენ. თამარმა თავმჯდომარეს, ბრიგადირს და თანასოფლელებს გაანდო ორი ხელის კრეფის საიდუმლო, უჩვენა რა ხერხით კრეფდა ჩაის. ეს ისეთი უბრალო, ყველასათვის გასაგები და ადვილი იყო, ქალები ერთმანეთს გაკვირვებულები უყურებდნენ, ეს ხომ ჩვენც ვიცოდითო. შესაძლოა, იცოდნენ, ხანდახან თვითონაც კრეფდნენ ორივე ხელით თამარისებურად, მაგრამ თამარი პირველი დააკვირდა, პირველმა შეამოწმა და პირველმა დააკანონა ამ მეთოდით კრეფის შედეგიანობა.

თამარს არა მარტო სოფელში, მთელ საქართველოში გამოუჩნდნენ მიმდევრები. ჩაის ორი ხელით ნამდვილი კრეფა თამარ ყუფუნიამ ახალგაზრდობაშივე დაამკვიდრა.

აქედან დაიწყო ყუფუნიას დიდი ბიოგრაფია.

როცა წარსულზე სიტყვა ჩამოვარდება, როცა ღვაწლმოსილი, ჭირნახული ქალი უკან მიიხედავს და საკუთარ წარსულს თვალს გადაავლებს, მაშინვე თვალწინ დაუდგება ახალსოფლის კოლმეურნეობის დიდი მოამაგე, სოფლის გარდაქმნისა და აღორძინების ორგანიზატორი ანთიმოზ როგავა. მან გაუკაფა გზა თამარ ყუფუნიას, მან შეასწავლა ხელმძღვანელობა და ბრიგადის გაძღოლა. დღესაც, თებერვლის ამ თოვლჭყაპიან მწუხარე დღეს, როცა თამარი სეფდაშემოწოლილი ბუხრისპირას იჯდა და წარსულზე ფიქრობდა, — ძველისძველი მეგობარი და მასწავლებელი — ანთიმოზ როგავა გაახსენდა.

1941 წლის მძიმე დღეები ერთმანეთს ცვლიდნენ. სოფელში მამაკაცები აღარ დარჩნენ, თამარ ყუფუნიას იონა ყუფუნიას ბრიგადა ჩააბარეს. იონა ჯარში გაიწვიეს, ბრიგადას ვიღაცა უნდა ჩაღგომოდა სათავეში და თამარს არგუნეს ეს პატივი: იმ წლებში ბრიგადირობა ძნელი საქმე გახლდათ. თამარს დღეღამე არ ეძინა, შრომას სხვა საზრუნავი დაემატა. სოფელს უჭირდა, შავქაღალდიანთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ ჯარისკაცთა ოჯახები ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებდნენ. ამ დროს გამოჩნდა თამარ ყუფუნიას ნამდვილი კარგი ქალობა. თამარი ომში წასულთა ოჯახებს ბურჯად შეუდგა, უმარჩენალოდ დატოვებულ დედებს მეგობრობა და დობა გაუწია.

„რა ძალა და ენერგია მქონდა", — იგონებს თამარი, — „როგორი უშიშარი და შეუპოვარი ვიყავი"...

ფაშისტები კავკასიონს მოადგნენ. სოფლიდან სულ მთლად გაიკრიფნენ მამაკაცები. ქალებმა და ბავშვებმა ვერ მოიწიეს წლის სარჩო, დაიწყო შიმშილობა, ზოგი ჭყინტი სიმინდის ჭადს

აცხობდა, ზოგს ის ჭყინტი სიმინდიც არ ჰქონდა და მკვახე ხილით აპურებდა ბავშვებს. ამ დროს საიდანღაც, როგორღაც კოლმეურნეობას ორასი კილო სიმინდი მისცეს სახელმწიფო ფონდიდან. მთელ სოფელს რას ეყოფოდა თორმეტი ფუთი სიმინდი. სასწრაფოდ შეიკრიბა გამგეობა და სიმინდი ბრიგადებს შორის განაწილდა. თამარ ყუფუნიას ოცდაათი კილო სიმინდი ერგო. ნაშუაღამევი გადასული იყო, როცა თავმჯდომარემ ქაღალდის ნაგლეჯზე დაუწერა მისი წილი სიმინდის რაოდენობა. თამარმა დაავლო ხელი ქაღალდს და საწყობისაკენ გაქანდა. საწყობის გამგემ ტომრების უქონლობა, უსინათლობა მოიმიზეზა და ხვალისათვის დაიბარა. თამარმა ტომარაც იშოვა, ჭრაქიც და იმავე ღამეს გაიტანა სიმინდი საწყობიდან. ზურგზე მოიგდო და კანტორიდან ოლია ყუფუნიას სახლისაკენ გზას გაუდგა. ოლია რვა ბავშვს უვლიდა — ოთხს თავისას და ოთხს მაზლისას. ძმები იონა და ჩაქა ყუფუნიები ომში იყვნენ, მათ ოჯახებს უჭირდათ, ოლია ჩაქას ცოლი იყო, მარჯვე ქალი გახლდათ, ჩაის კარგი მკრეფავი, მაგრამ უკაცო ოჯახების რჩენა მაინც უჭირდა.

თამარი სიმინდს გახარებული მიარბენინებდა ოლიას სახლისაკენ, თვითონაც ხომ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ოლიას გასაჭირი სხვა იყო. თვითონ ერთი ვაჟი ჰყავდა სარჩენი, ოლიას კი რვა მშიერი დაფჩენილი პირი ელოდებოდა შინ, ყოველ საღამოს.

წელში მოხრილი, ზურგზე ტომარამოგდებული მიადგა კარზე შუაღამისას ოლია ყუფუნიას. ოდის კიბეზე დააგდო ტომარა და მასპინძელი გააღვიძა — სიმინდი შინ შეიტანეო. ოლია თვალს არ უჯერებდა, ამ შიმშილობისას ორი ფუთი სიმინდის დანახვა სიზმარს უფრო გავდა, ვიდრე ცხადს.

იმ საღამოს ვალმოხდილი წალასლასდა დაღლილ-დაქანცული თამარი შინისაკენ, თავს ბედნიერად თვლიდა, რაკი ოლიას ბავშვებს ლუკმაპური გაუჩინა.

ლუბა სახოკიას ქმარს ჭლექი შეეყარა და გარდაიცვალა, ოჯახი უპატრონოდ დარჩა. ლუბას სამი ობოლი ბავშვიც უნდა გამოეზარდა და სახლ-კარისთვისაც უნდა ეზრუნა. ხეირიანი არც ოდა ჰქონდათ და არც სამზადი.

თამარმა მთელი თავისი ბრიგადა, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ამოუყენა მხარში ლუბას და მის ობლებს პატრონობა აღარ მოაკლო.

სოფელმა დაინახა, რომ თამარ ყუფუნია მარტო კარგი მშრომელი ქალი როდი იყო, მას სხვისთვის ზრუნვა, სხვისი ჭირის გაზიარება ცხოვრების მიზნად ექცია. მთელი ბრიგადა, როგორც ერთი კაცი, დაირაზმა ბრიგადირის გარშემო.

დაირაზმა და პირველი წარმატებაც მოიპოვეს. ჰექტრიდან სამოცდათორმეტი ცენტნერი სიმინდი მოიწიეს. ეს გაუგონარი მოსავალი იყო. თამარს და ბრიგადის რამდენიმე წევრს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭეს.

თამარ ყუფუნიას მაშინ უკვე ჩაის უხვი მოსავლის ოსტატად იცნობდნენ, პირველად გმირობა კი სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანისათვის მიაკუთვნეს.

წარმატებას წარმატება მოჰყვა; ასობით ცენტნერ სიმინდს, ტონობით სურნელოვანი ჩაი დაემატა. გმირის ბრიგადამ ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ჩაის კრეფის გეგმაც და ვალდებულებაც დიდი გადაჭარბებით შეასრულა, ჰექტრიდან პირველ წელიწადს ცხრა ტონა, მეორე წელიწადს — ათი, ხოლო მესამე წელიწადს — თერთმეტი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს მაშინ დიდი მოსავალი იყო. თამარ ყუფუნიას მეორედ მიანიჭეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ამჯერად ჩაის უხვი მოსავლის მოყვანისათვის.

მთავრობის ამგვარმა დაფასებამ და ყურადღებამ ფრთა შეასხა არა მარტო ბრიგადას, არამედ მთელ კოლმეურნეობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ანთიმოზ როგავამ გაუგონარი მასშტაბის სამუშაოები წამოიწყო. მას მხარში ამოუდგნენ სოფლის მოწინავე ადამიანები,

მთელი სოფელი — დიდი და პატარა მის ირგვლივ დაირაზმნენ.

ახალსოფელს, სადაც ახლა სოფლის ცენტრია, ძველად თურმე ოფაჩხაფუ ერქვა. კოლმეურნეობის კანტორის, სკოლა-ინტერნატის, საშუალო სკოლის, უნივერმაღისა და სოფლის სხვა შენობების ადგილას ადრე გაუვალი ტყე ყოფილა, დადიანის მარეკები აქედან ნადირს გამოაფრთხობდნენ თურმე და ჩასაფრებულ მონადირეებს მიუგდებდნენ. ეს ადგილები — ყულისწყარის, ჯუმის, სინწასა და ძაღვას ჭაობიანი ჭალები ანთიმოზ როგავამ და მისმა ერთგულმა თანამოაზრეებმა ჩაის პლანტაციებად, სიმინდის მოღაღანე ყანებად, ვენახებად, ციტრუსებისა და ტუნგოს ბაღებად აქციეს.

გაკაფეს ჯაგები და ეკალ-ბარდები, დააშრეს ჭაობები, გაჭრეს გზები, გაიყვანეს არხები, გასდეს ხიდები.

ყულისწყარის პირას მზიან ფერდობებზე ვენახი გააშენეს. ყველაზე მაღალ და ნოყიერ მიწაზე, როხონის ფერდზე ოჯალეში ჩაყარეს. აალორძინეს მეცხოველეობა, გამართეს ფერმები. წელში გასწორდა, მოღონიერდა სოფელი. გმირებიც სოკოებივით მომრავლდნენ. არა მარტო კოლმეურნეობა, ბრიგადები იქცნენ მილიონერებად.

თამარ ყუფუნიას სიამაყეს ჰგვრის წარსულის გახსენება, სოფელში ორმოცდათორმეტი სოციალისტური შრომის გმირია, ორი მათგანის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირების — თამარ ყუფუნიასა და ანთიმოზ როგავას ბიუსტები სოფლის ცენტრში დგას.

თავმჯდომარემ და ბრიგადირმა პირადი მაგალითით უჩვენეს ხალხს, რომ მხოლოდ შრომით შეიძლება სოფლისა და ქვეყნის აშენება, პირადი ბედნიერებისა და სახალხო აღიარების მოპოვება.

თამარს გველნაკბენივით ახსოვს ანთიმოზ როგავას წასვლა სოფლიდან. ეს დაუდგრომელი, მშრომელი ადამიანი რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას თვალში არ მოუვიდა, ჯერ სხვა სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ უდანაშაულოდ მოხსნეს თანამდებობიდან.

ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას მძიმე დღეები დაუდგა. თავმჯდომარეები ზედიზედ იცვლებოდნენ, სოფელი კი უკან-უკან მიდიოდა, კოლმეურნეობა გეგმებს ვერ ასრულებდა, შრომის ანაზღაურებაც უცებ დაეცა, კოლმეურნემ შრომის ინტერესი დაკარგა, სხვაგან დაიწყო სამუშაოს ძებნა. დაიშალა რგოლები, ბრიგადები. ანთიმოზის გაშენებული ვენახი გადახმა, ჩაის პლანტაციები გამეჩხერდა, ეკალბარდები მოერია. თამარ ყუფუნია და მისი ბრიგადა განსაცდელს ვაჟკაცურად შეხვდნენ. ისინი ძველებურად მუშაობდნენ. კოლმეურნეებმა თამარი არ მიატოვეს. მხოლოდ თამარმა შეინარჩუნა ოჯალეშის ზვრები, მხოლოდ მის ჩაის პლანტაციებს არ უგრძვნიათ თავმჯდომარის წასვლა.

ასეთი თავდადებული შრომისათვის თამარი მრავალგზის დააჯილდოვეს ორდენებით, მრავალგზის აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. არა მარტო სოფლისათვის, მთელი რესპუბლიკისათვის სათაყვანო და საპატივცემულო ადამიანად იქცა ზუბელი გლეხკაცის ანდრი ლომაიას ქალი. შრომამ მოუტანა სახელი და დიდება, შრომამ და გლეხურმა გამჭრიახობამ.

თამარის ბრიგადა ჩაის პლანტაციაში მუშაობას მიწის კარგი დამუშავებით იწყებდა. ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, დრენაჟი, გამობარვა დროზე და ხარისხიანად უნდა ჩაეტარებინათ. თამარმა ჩაის პლანტაციის გადაბარვის საკუთარი მეთოდი შეიმუშავა. მან შეამჩნია, რომ გადაბარვის შემდეგ ჩაის ბუჩქები სნეული ჩიტებივით მოიწყენდნენ, თითქოს ჭკნობას იწყებენო, დუყები მოქღვერტილი დაეკიდებოდათ. რა ემართებათ ბუჩქებს? გაოცებული იყო თამარი, უკვირდა ამას აქამდე რატომ ყურადღება არ მიაქციესო. მიზეზს მალე მიაგნო. გამობარვის დროს ბუჩქს

უნებლიედ ფესვებს უზიანებდნენ. თამარმა სათითაოდ გაუსინჯა ბუჩქებს ფესვები, გაუსინჯა და ვარაუდი გაუმართლდა. ადგა და ნახევარი ბარის სიღრმეზე დაბარა, ასე გადაბარულმა ბუჩქებმა აღარ მოიწყინეს, უკეთ გაიხარეს, უფრო სწრაფად ამოიყარეს კვირტები. თამარი სპეციალისტებს მოეთათბირა, თავისი დაკვირვება გაუზიარა. მოუწონეს, შეაქეს. თამარს გაუხარდა, არ დააყოვნა და პრაქტიკულად განახორციელა ნააზრევი. ბრიგადის წევრებს თორმეტ სანტიმეტრზე გადაუჭრა ბარი და ასე აბარინა. ამგვარმა გამობარვამ ჩაის ბუჩქები აღარ დააზიანა, ვეგეტაცია არ შეაფერხა და მოსავალიც მეტი მისცა ბრიგადას. რისთვის იხსენებს ყველაფერს ამას, სიკვდილზე მოფიქრალ, მწუხარე ქალს რად სჭირდება ჩაისა და სიმინდის გახსენება? ჩანს სიცოცხლის წყურვილი არ განელებია, ვერ ელევა მშობლიურ სოფელს, ოჯახს, საყვარელ შვილიშვილებს. თამარი უფრო შორს მიდის, უფრო ღრმად იხედება საკუთარი სულის სარკეში.

თვალწინ დაუდგება მომაკვდავი შვილის სახე. მისი მავედრებელი თვალები: „ჩემს ცოლ-შვილს შენ გიტოვებ, შენ იცი, დედა, შენი იმედი მაქვს"...

თამარს სიკვდილზე ფიქრის ნებას თვითონ ბონდო არ აძლევდა. შვილიშვილები, ოჯახი, ახლობლები, ნათესავები, მეზობლები, მთელი სოფელი თითქოს აქ, ბუხრის პირას შეყრილიყვნენ და თხოვდნენ, ამდგარიყო, ბრიგადაში წასულიყო, პლანტაციებსა და სიმინდის ყანებისათვის მიეხედა.

თამარმა იგრძნო, რომ ის თავისთავს მართლა არ ეკუთვნოდა. როცა დეპუტატად პირველად აირჩიეს, მაშინ უთხრეს ეს. ხალხის სამსახურის, სხვისთვის ყელამდე წყალში ჩადგომის სურვილი ყოველთვის ჰქონდა. მაგრამ რასაც ახლა ფიქრობდა, რაც აწუხებდა და სიკვდილის ნებას არ აძლევდა, ეს სხვა სათნოება იყო: მშრომელი ქართველი ქალის მოვალეობა და პასუხისმგებლობა გადაელობა წინ. ორგზის სოციალისტური შრომის გმირს, მრავალგზის ორდენოსანს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, ყოველი ქართველისათვის სამაგალითო ქალს — თამარ ყუფუნიას, ხელი ჩაექნია და სიკვდილზე ეფიქრა, ეს ხომ შეუძლებელი იყო, დაუშვებელი. თამარს თავზე ევლებოდნენ, პატივს სცემდნენ, როგორ ეღალატა საყვარელი ადამიანებისათვის, რას იტყოდა ხალხი, რას იტყოდა ქვეყანა, რა მაგალითს მისცემდა ახალგაზრდებს...

წამოდგა. დაფშვნილი სიმინდი ტომარაში ჩაყარა, კუთხეში მიდგა. თბილი სამუშაო ტანსაცმელი გადაიცვა, ჩექმებში ჩაჰყო ფეხი, შავი თავშალი კარგად შემოიბურა, პალატის კარი გამოიკეტა და გასაღები დას, თავის ტყუპისცალს — გუგუშას დაუტოვა. თუ ბავშვები სკოლიდან დაბრუნდებოდნენ, ან რძალი ადრე დაამთავრებდა სამსახურს, გუგუშას მიაკითხავდნენ, გუგუშასა და თამარის სახლები გვერდი-გვერდ ედგათ, თითქოს ერთი ოჯახიაო, ერთად, ტკბილად ცხოვრობდნენ სახლეულები, გუგუშას შვილები დეიდას სახლში თავს ისე გრძნობენ, როგორც შინ, თამარის ნაშიერთ კი გუგუშა ბებია თავს ურჩევნიათ.

— სად მიდიხარ? — გაუხარდა და გაუკვირდა კიდეც გუგუშას.

— ბრიგადაში, — მიუგო თამარმა.

დებს მეტი არაფერი უთქვამთ. უსიტყვოდაც გასაგები იყო, რომ თამარმა ამ ქვეყნისაკენ მოიხედა. შვილის სიკვდილი გადაიტანა. თამარი ნელა გადავიდა ჭიშკარში, ჩვეული დინჯი ნაბიჯებით გაუდგა გზას თავისი ბრიგადის კანტორისაკენ. შუკაში ჩაუხვია და ბუხრის პირას შეწყვეტილი ფიქრი განაგრძო. ციდან ფრჩხილის ხელა მძიმე, წყლიანი ფანტელები ცვიოდა. თამარი კვლავ თავის სოფელზე ფიქრობდა. ერთხელ ანთიმოზ როგავამ უთხრა:

— არ შემიძლია სხვაგან მუშაობა, როგორც ჩანს, უთქვენოდ ვერ გავძლებ.

მართლაც, ანთიმოზი ახალსოფელს

მალე დაუბრუნდა. დაშვებული შეცდომა გამოსწორდა, თავკაცი კვლავ ჩაუდგა სათავეში სოფელს და კვლავ დაიწყო ხელახალი აღორძინება.

მთიდან მონაბერი ცივი ნიავი თავშალს რომ მოელამუნა, თამარმა, თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნაო, შვება იგრძნო, ცრემლით სავსე თვალები შეავლო დათოვლილ ოტუნგოეს; იქ ვაჟიას ღელე ნელა მოწანწკარებდა, ღელის პირებზე შაშვი დატანტალებდა. შავით მოსილი ქალი რომ დაინახა, ჭახჭახით აფრინდა, ტუნგოს პლანტაციას თვალისდახამხამებაში გადაევლო და შორს ფშანებში ჩაეშვა.

თამარმა აღმართი აიარა, მაღლობიდან გადახედა ბრიგადის პლანტაციებს, სიმინდის ფართობებს, ოჯალეშის ზვრებს, თავისი ბრიგადის წევრები, ოცდათვრამეტი მშრომელი ადამიანი სათითაოდ გაიხსენა; მადლიერი იყო მათი, შარშან კარგად იშრომეს, სიმინდიც ბლომად მოიყვანეს, ჩაიც, ყურძენიც, ტუნგოც. განსაკუთრებით ჩაის კრეფაში იყოჩაღეს — ასორმოცი ტონა უნდა მოეკრიფათ — ასოთხმოცდათვრამეტი ტონა მოკრიფეს, თვრამეტი ჰექტრიდან საშუალოდ ჰექტარზე თერთმეტი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოიწიეს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ და რაიონის გარდამავალი დროშაც დაისაკუთრეს.

თამარი გრძნობდა, რომ მას სიცოცხლეს ჰმატებდა, სულს უდგამდა მშობლიური მინდორ-ველის დანახვა. თურმე მშობლიური სოფელი ეძახდა, მინდვრები, ღელეები, შუკები, ტუნგოსა და ჩაის პლანტაციები, ოჯალეშის ზვრები და სიმინდის ფართობები თავიანთ პატრონს უხმობდნენ. თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, — თითქოს ეჩურჩულებოდა ყოველი ხე და ბუჩქი სოფლის მოპირნახულეს. თამარი ამ ძახილს ამ ჩურჩულს, ბუხრის პირას ისმენდა და ამისათვის გაიარა სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე.

— ეს რა ამბავია! — რაღაც არ მოეწონა ბრიგადირს და შედგა. ჩაის პლანტაციაში შესასვლელი სიბაკარი ღიად დარჩენოდათ.

თამარი პლანტაციაში გადავიდა და რიგები დაათვალიერა, საქონელი ხომ არ შემოსულაო — ნაკვალევი არ ჩანდა. მაინც მოუყარა მეზობლებს თავი და ყველას უჩვენა, კარი რომ ღიად დარჩენოდათ.

— რა უჭირს, ქალბატონო თამარ, ზამთარია, ახლა საქონელი ჩაის რას დააკლებს, — შეჰბედა ერთმა მათგანმა.

— ახლა დააკლებს სწორედ, მწვანეს რომ ვერსად იშოვის, ნორჩ ბუჩქებს წაეტანება...

ხელათ დახურეს კარი და შეჰპირდნენ, არ განმეორდება, კარი მუდამ დახურული და აბაწრული გვექნებაო.

აჰა, შინიდან გამოვიდა თუ არა, რაღაც გააკეთა ბრიგადისათვის, სოფლისათვის. კმაყოფილი გაუდგა გზას.

თოვს. მინდვრები სულ მთლად გადათეთრებულია, შუკებში კი წყალი და ტალახი დგას. ჩაის პუნქტს რომ მიუახლოვდა, სინწას პირას მეღორეობის ფერმის წინ ახალგაზრდა, კოხტად ჩაცმული კაცი შეამჩნია. მეღორეს სულ არ ჰგავდა ეს კაცი. თამარს არ ესიამოვნა მისი დანახვა, მიადგა და მკაცრად უთხრა:

— კიდევ აქა ხართ? არ წასულხართ?

— მივდივართ, ქალბატონო! — შეეშინდა ბაგრატ დარასელიას — ფერმის გამგეს — აშენებენ ახალ ფერმას მალე გადავალთ.

— რამდენი ხანია შემპირდნენ ამ ღორებს ავყრით აქედანო, — თვალები დააკვესა თამარმა. — რახან ასეა, მივალ სადაც საჭიროა, აქ ჩაის პუნქტის წინ. მეღორეობის ფერმის გამართვა როგორ შეიძლება!

მე ახალი კაცი ვარ, მე არაფერი ვიცი, თქვენს მოთხოვნას უსათუოდ შეასრულებენ, — გამოედევნა უკან დარასელია.

თამარმა ცივად მიატოვა ფერმ-

გამგე და თავისი გზა განაგრძო. „ანთიმოზი არ იყო, თორემ ამათ აქ როგორ გააჭაჭანებდა, რამდენი რამ გაფუჭდა მის არყოფნაში. მუქთახორები სარგებლობენ ამ ფერმით, რა უნდა ჩემს ბრიგადაში სახვაჭრობის დამხმარე მეურნეობას — მეღორეობის ფერმას, თანაც ჩაის პუნქტის წინ, ზაფხულობით აქ ისეთი სუნი დგას, ახლო-მახლოს ადამიანი ვერ გაჩერდება, უსუფთაობასა და სიმყრალეს ავრცელებენ. მთლად მინისტრთან მივალ, ამ ღორებს უსათუოდ ავაყრევინებ აქედან“.

ფერმამ თამარს სკოლის ამბავიც გაახსენა და გული ეტკინა. „სკოლის საქმესაც უნდა მივხედოთ“ — დაასკვნა გუნებაში. ზუგდიდის მეთერთმეტე საშუალო სკოლაში ბავშვები ფარდულის მსგავს ძველისძველ შენობაში მეცადინეობენ. სკოლა ხეირიანად არ თბება, კაბინეტ-ლაბორატორიები არ ჰყოფნით, სასწავლო ოთახებიც მოძველებულია, უვარგისი. თამარმა, როგორც დეპუტატმა, ითავა ეს საქმე, განათლების მინისტრთან თამარ ლაშქარაშვილთან მივიდა, განცხადებითაც მიმართა სამინისტროს. მაინცდამაინც დიდი შედეგი მის მისიას არ მოჰყოლია, მაგრამ თამარს მხარში უდგას პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტი, განათლების განყოფილება, მათი იმედი აქვს. განათლების სამინისტროს კვლავაც შეაწუხებს, თუ საქმეს ეშველება, უფრო ზევითაც მიუწვდება ხელი, თამარს ყველა პატივს სცემს, ყველა ყურადღებით მოუსმენს. მეთერთმეტე საშუალო სკოლას ახალი შენობა უსათუოდ სჭირდება, მან როგორც დეპუტატმა, თავისი ვალი უნდა აღასრულოს, მშრომელების მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს.

სოფელში ბევრი რამ არის გასაკეთებელი, ამიტომ გამოვიდა შინიდან. ამიტომ მიდის ასე მოწადინებული თავისი ბრიგადის კანტორისაკენ. აჰა, კანტორაც, მაგრამ... გასაღები? ჯიბეები მოიქექა, შინ დარჩენია. ათასმა საფიქრალმა გასაღები დაავიწყა. თუმცა მეორე გასაღები ლეონტისთან არის. ბრიგადირი მოვიდაო — ხელათ მოადგნენ ჰიშკრებს კანტორასთან ახლო-მახლო მცხოვრებლები. თამარმა ბავშვი გაგზავნა ლეონტის სახლში, თვითონ კი თავისი ბრიგადის წევრები მოიკითხა.

გასაღები მოუტანეს, თამარი კანტორაში შევიდა, თავის მაგიდას მიუჯდა თუ არა, ოთახში ოლია ყუფუნია შემოვიდა, თამარის მოსვლა გაეგო.

ოლია დღეს შეძლებული კოლმეურნეა, სახელოვანი ქალი, სოციალისტური შრომის გმირი, თამარს ბრიგადაში თექვსმეტი სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს, ერთი მათგანია ძველისძველი მეგობარი და თანამებრძოლი ოლია ყუფუნია. დღეს ოლია სამოცს გადაცილებული მოხუცია, თამარი კი სამოცდაათს, შრომის შვილები წლებს არ დაგიდევენ. კვლავაც ახალგაზრდული ენერგიით მუშაობენ.

— ხომ კარგადა ხარ, თამარ, შენმა დარდმა ლამის მთელი სოფელი დაგვადარდიანა, დაგინახე, გზაზე რომ მოდიოდი... მერგოლეურებს უკვე შევატყობინე, მალე მოვლენ, დავსხდეთ და ვილაპარაკოთ. ჩემი პენსიის თაობაზე ანთიმოზთან უნდა წაგიყვანო.

— ანთიმოზი არ უნდა მაგას... საპენსიო საქმის მცოდნე ადამიანი უნდა მოვძებნოთ. საბუთები შეაგროვე?

— ჯერ არაფერი შემიგროვებია, შენ გელოდები.

კანტორაში მერგოლეური ინდიკო კაკულია შემოვიდა, ქალებს მიესალმა და თამარის მაგიდის წინ მიდგმულ მაგიდას მიუჯდა. ინდიკოს პოლი ყუფუნია მოჰყვა, პოლის მზია ჯოჯუა, მზიას ლამარა ფეტელავა. თამარს გაუხარდა ახალგაზრდების დანახვა. ამათი იმედი აქვთ, ახალსოფლის ხვალინდელი დღე, მათ ხელშია.

ახალგაზრდები ოთახში შემოვიდნენ თუ არა, ოლიამ თამარს უთხრა:

— პოლიმ მანქანა იყიდა.

— მართლა? — გაუხარდა თამარს, — გაგიხარებია ლამარა... პოლის გადახედა.

ლამარა ფეტელავა პოლი ყუფუნიას მეუღლეა. ორივე კარგი ახალგაზრდაა, ორივე თამარის გამოზრდილია. პოლი იმ ბრიგადირ იონას შვილია, თამარმა ცხრაასორმოცდაერთში რომ შეცვალა. თამარს შრომა აქვს გაწეული მის აღსაზრდელად, თურმე ადამიანს თავისი შრომა უყვარს; შვილივით უყურებს პოლის. როცა ახალსოფლის კოლმეურნეობას ავზედითობის ჟამი დაუდგა, პოლიც აიყარა სოფლიდან და ზუგდიდში მძღოლად დაიწყო მუშაობა. თამარმა განვაში ატეხა: შეაწუხა გამგეობა, პარტიული ორგანიზაცია, თვითონ პოლი და იმდენი ქნა, ბიჭი თავის სახლ-კარს, თავის სოფელს დაუბრუნა. დღეს პოლი მერგოლეურია, სხვების მუშაობას ხელმძღვანელობს.

— მზიასაც მისცეს მანქანა, ინდიკოსაც, — მიახარეს თამარს.

ინდიკოს მეუღლე ლამარა კაკულიაც კარგი მეჩაიეა, თვითონ ინდიკოც კარგად ხელმძღვანელობს რგოლს. მზია კი გაუთხოვარია. მზიას რგოლიც მოწინავეა. მზიაზე ძალზე დიდ იმედებს ამყარებს თამარი. მზია არის ის კოლმეურნე, ვინც შარშან ყველაზე მეტი გამოიმუშავა ახალსოფელში.

როგორ გაახარეს, რამდენი ახალი ამბავი უთხრეს და... თამარი უცებ გადავიდა საქმეზე.

— ინდიკო, რას აკეთებთ ახლა?

— ელექტრონის ბოძებს ვასობთ, ფერმას ვეხმარებით... — მიუგო ინდიკომ.

— ტუნგოს გარჩევა როგორ მიდის, — ჰკითხა პოლის.

— თვის გეგმა შევასრულეთ, — მიუგო მან.

— გასხვლა თუ დაიწყეთ?

— დავიწყეთ კიდეც და მალეც დავამთავრებთ, — უთხრა მზია ჯოჯუამ.

ოთახი თანდათან ივსება ბრიგადის წევრებით, მოდიან და მოდიან ბრიგადირის მომლოდინენი. თამარ ყუფუნია გახარებული ხვდება მათ, ყველას შვილივით ეხვევა და მოიკითხავს, ყველას გასაჭირი იცის, ყველას ავ-კარგი.

„ალბათ აქ უნდა მოვკვდე, ამათ შორის, ამათ ხელში“... გაიფიქრა თამარმა.

გარეთ ისევ თოვს... თებერვლის ცივი ნიავი ჰქრის და თოვას აალმაცერებს...

ჯუმისა და ყულისწყარის ლამაზ ხეობებში თოვლქვეშ განაბულან გაზაფხულის პირველი მახარობლები — ენძელები, ხევხევ მოიპარება გაზაფხული ახალსოფელში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ლადო სულაბერიძე*

# სიყვარულის მედროშეები

1.

ის შემოდგომა მაგონდება,
მშვენიერო, ის შემოდგომა,
როს სიჭაბუკის ველ-მინდორი
გადამექცა უღვთო სოდომად.

იმ ქალბატონებს ვუგალობოთ,
ცისიერო, იმ ქალბატონებს,
სიჭაბუკეში რკინიგზებთან,
შარაგზებთან ჩვენ რო დავტოვეთ.

შენი ტოლები იყვნენ მაშინ,
გოგონები, დღეს ჭაღარანი.
თავდავიწყებით შეგვიყვარეს,
შეგვინახეს კერა, მარანი.

2.

მამის ბუხართან დაგვრჩა მათი
დასეტყვილი ყმაწვილქალობა.
ქარმა ჩრდილები მოახია
კაკლის ხეებს, ნუშს და ალუბალს.

ტყეებში კრეფდნენ ყრმებისათვის
ჟოლოსა და ველურ კვიჭიჭას.
წუთისოფელმა ყრმობის გზები
გაგვითოშა, გადაგვიჭინჭრა.

იდგნენ ჭიშკრებთან, ჩვენს ლოდინში
არ შეერყათ კლდეთა სიმედგრე.
ჩვენ კი ზოგ-ზოგი შორს ვკვდებოდით
და ვტოვებდით მათთან იმედებს.

3.

აკვნებს არწევდნენ, აჩაღებდნენ
კერიის ცეცხლებს, ახლად ჩანთებულ
ფოსტალიონებს დაუმძიმდათ
გაცრეცილი შავი ჩანთები.

ხმელი ფოთლები შემოდგომის
ქალურ სევდას შემოაფუთნეს.
ზუზუნა ფუტკრით ამოავსეს
სიყვარულის წმინდა საფუტკრე.

შენი ტოლები იყვნენ მაშინ,
გოგონები, დღეს ჭაღარანი.
თავდავიწყებით შეგვიყვარეს,
შეგვინახეს სკა და მარანი.

4.

ზოგს ვერ მოვწერეთ ბარათები,
საოცნებოდ დაგვრჩნენ მარადის.
პირველ სიყვარულს მათ წინაშე
ვერ ვამხელდით, გულში ვმალავდით.

ზოგ-ზოგი ისე მოვკვდით მერე,
ქვესკნელს ჩაგვყვა მათი ხატება.
ვეღარ შევძელით მათ კერებზე
სიყვარულის ცეცხლის დანთება.

ბრალი არ ადევთ... შენი გბილა
იყვნენ მაშინ, დღეს ჭაღარანი.
სხვა ალუბლები აყვავეს,
ამოავსეს სხვათა მარანი.

5.

მკვდრებს დაგვეყრება შემოდგომის
ნირწამხდარი, ხმელი ფოთლები,
გვგონია, მათი ხელებია, —
გავცოცხლდებით... ისევ მოვკვდებით.

შემოგვეხვლება შემოდგომის
წვიმიანი ქარი აშარი,
მოგვენატრება სიჭაბუკე
მათი ცეცხლით ნაკაშკაშარი.

გვალვაში საფლავს გადაბზარულს
მიაწყდება სიტყვა უთქმელი.
მანდ სიყვარული დაგვრჩა, საცა
შრიალებენ ბზა და ურთხმელი.

6.

ისინი იდგნენ ჩვენს ჭიშკრებთან,
კერის ზღურბლთან, — როგორც
სანგარში.
ესმოდათ ჩვენი გმინვა, კვნესა,
ზარიანი გრგვინვა, განგაში.

მედგრად იცავდნენ ჩვენს სიყვარულს,
სიყვარულის ნუშნარს, ვაზნარებს.
. . . . . . . . .
წვიმა, ლაზარე, გვალვიანში
მათ ბაღნარებს წვიმა, ლაზარე!

მარადის ასე სიყვარულის,
დე, იქუხოს მათმა ზარმა, დე!
ჩვენ ქვეყნის ზღურბლთან შევებრძოლეთ
მოზღვავებულ მტრების არმადებს.

7.

მომიკვდა ერთი მეგობარი,
ბრძოლის ველზე ტყვიამ განგმირა.
თოვლსა და ჭყაპში გვებულბულა,
გვემაკაცა, გვეჭაშნაგირა.

გულისჯიბიდან ამოვუღე
წერილები, მერე დავმარხე.
თურმე რა ნაღველს გვიმალავდა
იმ ძნელ გზებზე, რაც გადავლახეთ.

თურმე რა გულზე დავაყარე
უცხო მიწის შავი ბელტები.
ჩამოვიტანე მამულში და
მის ბოღმასთან ერთად ვბერდები.

8. სიმამრის წერილი

სხვას გაედევნა შვილი ჩვენი,
ცოლი შენი, — ყველას უღირსი.
შენს კერიაზე მიატოვა
ცხელი ქვაბი ახალ დუღილში.

ტყვიას ერიდე... ჩავენთებით
შენს ბუხარში ცეცხლის ალადა.
შენ გიღალატა, ესეიგი,
მამულსა და ჩვენ გვიღალატა.

ბიჭს გამოგიზრდით... ფეხზე ვდგავარ,
მტრის ჯინაზე არ დავძაბუნდი.
ოღონდაც ე მანდ გაიმარჯვე,
მერე მოდი, წვენთან დაბრუნდი.

9. სიდედრის წერილი

მამულის ღალატს უტოლდება
სიყვარულში ახლა ღალატი.
რაღა ტირილი მინდოდა მე
მანდ განგმირულ ბიჭზე ანტირს.

ვერ გამიზრდია შვილი ჩემი
სიყვარულში შენი ბადალი.
გავტყდი, თოლიგე, დავეთრევი
ქვეყანაზე ბანდალ-ბანდალით.

ბოღმა გამიჩნდა უსაშველო,
ბებერ სისხლში ჩადგა კვეთივით.
ტყვიას ერიდე... დამიბრუნდი.
გვედრის დედა შვილმოკვეთილი.

10. ცოლისდის წერილი

ნუ დაღონდები, რა ღირსია
ჩემი დაი შენი დარდისა.

მე დაგახვედრებ მზეში კარავს,
საჩრდილობლად, ვაზის ბარდისას.

ბიჭს გამოგიზრდი, ქმაო ჩემო,
იავნანას მივუხმატკბილებ.
შენ ოღონდ მოდი, სიყვარულით
დაგიამებთ, რაც რამ გატკინეთ.

ჰო, არა, ჯერაც არ გამწყრალან
სიყვარულის შენის ღმერთები.
ნუ დაღონდები, შენს შანდალზე
სანთელივით დავიღვენთები.

11.

თურმე რა გულზე დავაყარე
უცხო მიწის შავი ბელტები.
ჩამოვიტანე მამულში და
მის ბოლმასთან ერთად ვბერდები.

იმ ქალბატონსაც გავაგონოთ
ჩვენი სევდა, იმ ქალბატონსაც.
თვალი მიაპყარ, მშვენიერო,
ჯარისკაცის კერის დამტოვსა.

კვლავ წავიკითხოთ, ცისიერო,
დედამისის ძველი ბარათი:
„მამულის ღალატს უტოლდება
სიყვარულის — ომში ღალატი".

12.

ის შემოდგომა მაგონდება,
მშვენიერო, ის შემოდგომა,
როს სიჭაბუკის ველ-მინდორი
გადამექცა უღვთო სოდომად.

იმ ქალბატონებს ვუგალობოთ,
ცისიერო, იმ ქალბატონებს,
სიჭაბუკისას რკინიგზებთან,
შარაგზებთან ჩვენ რო დაგტოვეთ.

შენი ტოლები იყვნენ მაშინ,
გოგონები, დღეს ჭაღარანი,
თავდავიწყებით შეგვიყვარეს,
შეგვინახეს სკა და მარანი.

13.

ქარცეცხლიანში ერთგულება
მათი გვერტყა უპობ ჯავშნადა.
ნათლის სვეტივით თავსა გვადგნენ,
როს მამულის ზეცა გაშავდა.

ოქროს ქისებში შევინახეთ
მათი სევდა იმდროინდელი.
მათ საგალობლებს გაწვდებიან,
ბულბულები შეგვრჩა იმდენი.

მთას შევდგით ფაცხა სიყვარულის,
მათთვის ომის გზებზე დაწნული.
მათ — ჩვენი ლოცვა ვაჟკაცური,
ჩვენი ვაშა ჯარისკაცური.

14.

ქართლის დედაო, შენს მკლავებზე
განფენილა მათი რიდენი.
არწივებივით იმათ შვიდფერ
ცისარტყელებს დავეკიდენით.

მათი ელვების თოკს მივყვებით
მწვერვალებზე ზე-ზე ასვლისას.
ზედ წაჰფენიათ ბრწყინვალება
შენი ხმლის და შენი თასისა.

ქართლის დედაო, შენს კალთაზე
ელავს მათი შუქის შრევები.
ჩვენს ქავ-ციხესთან მედგრად დგანან
სიყვარულის მედროშეები.

1975.

*ოტია იოსელიანი*

# შავი და ცისფერი მდინარე

*რომანი*

XII

ადამიანის ავ-კარგიანობის თაობაზე ვილაც გამვლელების აზრს უფრო შეიძლება ენდო, ვინემ დედებს, მაგრამ ამ მხრივ ნორას დედას, ელენეს, მიქაშავიძის ქვრივს, ყველაზე მეტი დაეჯერებოდა. განთქმულ ქვის მთლელის — იოსებ მიქაშავიძის ქალიშვილს კი არც მამის ნიჭი გამოჰყვა და არც დედის ჭკუა. ბავშვი უხალისო, ინერტული და მძიმე ხასიათის გამოდგა. არაფრისადმი განსაკუთრებული აღფრთოვანება, ან გატაცება არ გამოუჩენია, ისე დაქალიშვილდა. საშუალო განათლების შემდეგ საბუღალტრო კურსები დაამთავრა დედის ჩიჩინითა და მონდომებით. მოანგარიშედ დაიწყო მუშაობა საცდელ მეურნეობაში, რომელიც ქალაქის გარეუბანში კოხტად გამოჭიმულ მიქაშავიძის სახლიდან კილომეტრნახევარზე თუ იქნებოდა.

თეთრი ქვის განთქმული მთლელი— იოსებ მიქაშავიძე მაშინ ექვსი წლის გარდაცვლილი იყო.

შრომისმოყვარე ოსტატმა მეზობელ რაიონში სამი თვე წელშეუხრელად იმუშავა, სამი სახლის ფასადი მოაპირკეთა, გასამრჯელო ერთად მიითვალა და ნაქეიფარი გზას შუაღამისას დაადგა. რაკი საქმეს მორჩა, ცოლის, შვილისა და სახლკარის სიყვარული ნაბახუსევს ყელში ეცა და ხელი ისე წაუჭირა, დილამდე დარჩენაზე მასპინძლებმა ვერაფრით ვერ დაიყოლიეს.

მუხა-ტევრის უკაცრიელ შუა ტყეში გაჭრილ შარაზე მგზავრს მძარცველები დაესხნენ თავს. მიქაშავიძე დაძარღვული, თავაულებელი მშრომელი და თავისი ნაშრომის მომჭირნედ მხარჯველი კაცი, არ დანებდა ვიგინდარებს, მისი ოფლის საფასური წაეგლიჯათ. მოძალადეებმა თავისი გაიტანეს, ფული ფულად წაიღეს და ოსტატს გულ-მუცელიც ჩაუქციეს. ორი თვე აღებინა სისხლი ჯანმაგარ კაცს. ვერაფერმა ექიმმა და ექიმბაშმა ვერ უშველა და ასე გულდაგულ კოპწიად ნაგებ სახლკარს — ჯერ მარტო ჭიშკრის ქვის ბოძების თავზე გამოკვეთილ მედოლეს, მემუსიკეს და ყანწით ხელში მოქეიფეს, გამვლელი რომ ვერ ჩაუვლიდა გულგრილად, — პატრონი სამუდამოდ გამოეთხოვა. შემოდგომის ერთ წვიმიან, აცრემლებულ დღეს, იოსები ეზოდან გამოასვენეს და უკან მოუხედავად, ეზო-გარემოს, ლობეს და ჭიშკარს სამუდამოდ მოაშორეს.

დარჩა ძაძით შემოსილი ელენე და

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ასევე შავკაბიანი, თეთრი, უნდილი ქალიშვილი (ნორას შავი მანამდე არასოდეს ცმია და არც არავის ეგონა, თუ ასე თეთრი იყო).

ორი ანბანის მცოდნე ქალის პირობაზე, ელენეს უჭკუობას მანამდეც ვერავინ იტყოდა, ქვრივობამ და ობრობამ კი ერთი-ორად საზრიანი და წინდახედული გახადა.

მაშინვე გაჩნდნენ ოსტატის ხელით საათივით აწყობილი ეზო-გარემოს დაპატრონების მოსურნეები. შრომისმოყვარე ელენეს უკვე ის მომხიბვლელობა და სინაზე აღარ გააჩნდა, მამაკაცს რომ პირზე მსუნაგ ნერწყვს მოჰგვრის; მაგრამ ქვრივის რომანტიკულმა შავმა სამოსელმა და თეთრმა, კარგად ნათალმა ქვის სახლმა, მწვანე კოინდრიანმა ეზომ, შვილივით ნაზარდმა ვენახმა და ჭიშკრის სამმა ბოძმა, ბევრ სხვის ნაშრომზე თვალდაპრაწულ, არასმქონე უსაქმურს აუშალა საღერღელი; ელენეს სწორედ აქ ეყო ჭკუა დაენახა მოტრფიალეთა ნამდვილი ზრახვა, თავისი ქალური სისუსტისათვის ეჯობნა. მაჭანკლებს მან კუდით ქვა ასროლინა.

მერე, მოგვიანებით, ჯერ კიდევ საშუალო არ ჰქონდა ნორას დამთავრებული, ქალიშვილს გაუჩნდნენ მთხოვნელები. ელენე აქაც არ შემცდარა, იცოდა, მისი შვილი ვერავის მოხიბლავდა, მით უმეტეს ჯერ კიდევ უმწიფარი და ქალობას შეუცნობელი გოგო, ისევ მისი და იოსებ მიქაშავიძის კოპწია კარმიდამოს უძუძგურებდნენ საყვარლის ვნების თვალით...

ბოლოს ის იყო სწავლა დაამთავრა ნორამ, მუშაობა დაიწყო და სიმწიფეში შევიდა, მასშიც გაჩნდა რაღაც ქალური ვნება თუ ლტოლვა და გამოცოცხლდა, — არასდროს რომ არ უმღერია, ღიღინი და სიცილი ისწავლა, მაგრამ ის მაინც არ იყო აფეთქებული გრძნობისა და ცეცხლოვანი ალერსისათვის გაჩენილი, რომ ვინმეს დაეხუჭა თვალები, დაევლო ხელი და ფანჯრიდან პერანგისამარა გაეტაცებინა. გაეტაცებინა მხოლოდ სიყვარულისათვის.

ლეონი ელენეს მოეწონა სასიძოდ იმაზე ადრე, სანამ ამას ნორა მოეფიქრებოდა. ეს ბიჭი არაფერს ამ ქვეყნიურს ისე დახარბებული არ იყო, რომ ამისათვის ვინმე შეერთო კი არა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. იგი ნორამ საცდელი სადგურიდან მოიყვანა სამოთხის ვაშლის დასამყნელად. მათ ეზოს, სამურაბე სამოთხის ვაშლები აკლდა. ეტყობა, ყველაფერი ვერ მოასწრო, ან მხედველობიდან გამორჩა ოსტატ მიქაშავიძეს.

ლეონმა თანამშრომელ მოანგარიშე გოგოს თხოვნაზე, რა თქმა უნდა, უარი ვერ უთხრა, მაგრამ მეურნეობაში იმდენი საქმე ჰქონდა, სოფელში დედმამასთან ჩასარბენად და მოსანახულებლად ვერ იცლიდა, რის გამოც ფარნა, სანამ თვითონ არ ჩამოვიდა და ნამდვილი მიზეზი არ გაიგო, კინაღამ კარგა მაგრად წაეკიდა.

თებერვლის ბოლოს, ელენემ რომ ნორას არ მისცა საშველი, ნორამ დიდი რიდით, ხვეწნას უჩვევი ქალიშვილის მოკრძალებით, ისევ შეახსენა დაპირებული:

— ლეონ, დედამ... მე რომ გთხოვეთ...

— თქვე-ენ?!

— დიახ, აი, ნამყენის თაობაზე...

— ა-ახ, ის... სამოთხე... გინდათ, ხომ?

— სამოთხის ვაშლი, — გაუსწორა ნორამ, ნდობით გაუღიმა: კი ვიცი, თქვენ ეს რაიმე ეშმაკობით არ გითქვამთო.

ლეონი ქალებისაგან ისე განებივრებული როდი იყო, ეს ბევრი არაფრისმთქმელი ღიმილიც წყალში გადაეგდო. მაშინვე მიატოვა ყველაფერი. ის იყო, სამსახურიც თავდებოდა. სხვებისთვის თავდებოდა, თორემ, ლეონი დაღამებამდე მეურნეობიდან ფეხს არ იცვლიდა, და წამოჰყვა.

ელენეს გასაკვირად, ამ ბიჭს, არც ჭიშკრის ქვები დაუნახავს, არც სახლის ფანჯრების ჩუქურთმა. ხეხილს და ვენახის ტალავერებს დაუწყო ყურება. მა-

შინვე უკითხავად და უბოდიშოდ ამ ხეს ეს ტოტი შეაჭრა, იმ ვენახს ის რქა დაუმოკლა, ჯიბეში სანამყენო დანაც აღმოაჩნდა, სასხლავი მაკრატელიც და კარგად გალესილი პაწაწინა საცალხელო ხერხიც და რაც მთავარია, სანამყენო კვირტებიც, აყალო შემოგოზილი და ცხვირსახოცში ისე სათუთად შეხვეული, ძუნწი რომ ოქროს შეფუთავს.

ელენემ მაშინვე გადაწყვიტა, მიქაშავიძის მშრომელ მარჯვენას რომ ეკადრებოდა, ისეთი სიძე იქნებოდა ეს ენაბრგვილი, მაგრამ ჯანმაგარი და გამტანი გულის ვაჟკაცი.

## XIII

გულდამძიმებული ელენე ბროწეულის ტოტების ცოცხით სახლის ლაფაროს ხვეტავდა, როცა ეტლი ჭიშკართან გაჩერდა. წელში ვერ გასწორდა, თითქოს ფანჯრის ზემოდან თავჩუქურთმიანი ქვა ჩამოვარდნილიყოს და წახრილს ზურგში დასცემოდეს, ცოცხი ხელიდან გააგდო და ჭიშკრისკენ წალასლასდა.

ერთ დროს ნაღველჩაქცეული მიქაშავიძეც ეტლით მოიყვანეს...

გზაზე მაინც წელგამართული გადავრდა, მაგრამ ტკივილებისაგან გაფითრებულ-გახევებული ერთადერთი მემკვიდრის დანახვამ ისევ მოკაკვა.

გონმიხდილი ქალიშვილი წინა, ნათელ ოთახს განარიდა, სადაც მამამისმა სული განუტევა. არც წუწუნი დაცდენია, არც ის უკითხავს, მის თავზე რა უბედურება დატრიალდა. მთავარი იყო, ახლა რა ეღონა: ისევ წელგაუმართავად დაფაცურდა, ლეონს ჯიბეში ფული ჩაუდო და იმავე ეტლით ექიმთან აფრინა...

— ვინც გინდა მომიყვანე, ჩეჩელაშვილი არ დამანახო! — ესღა დააბარა.

ჩეჩელაშვილი მიქაშავიძეს მკურნალობდა.

— რო-ომელი?.. — იკითხა ლეონმა. როგორც კი ავადმყოფს პატრონი გაუჩინა, ის ისევ ფეტვივით დაებნა.

— ვინც გინდა.

— მე ვი-იცი?..

— მეეტლეს ეცოდინება.

— ჰო, მა-ართალია...

ლეონი დაჭრილი დათვივით აივანზე გაძუნძულდა.

— ვაის უი დაემატა! — მდუღარესავით გადმოაქცია ელენემ, როცა ეტლი თვალს მიეფარა და შუშაბანდის შემოსასვლელთან მრგვალ მაგიდაზე, სადაც ბროლის მაღალი ლარნაკი იდგა, საოჯახო ალბომის ქვევიდან ლეონის ჯარში გაწვევის უწყება გამოაჩოჩა, თვალსაჩინო ადგილას დატოვა და სულთმობრძავ ქალიშვილისაკენ წელისწყვეტით გაბრუნდა.

## XIV

მკურნალი დარასელი, თავის უიმედო ქიცინით, სრულიად არაფრისმთქმელი გამომეტყველებით სარკიან პირსაბანთან ხელის ბანას შეუდგა. მხრებში თავჩავარდნილმა ელენემ, ეტლის პირველი გამოჩენის მერე რომ წელში ვერ გაიმართა, ლეონს გაწვევის ფურცელი შეაჩეჩა.

— მო-ოვიდა?..

— გუშინ დილით...

— ეს-ღა გვაკლდა...

— ეჰ...

— ჩე-ემს სოფელშიაც გუ-უშინ მიიღეს... — ვითომ მარტო ჩვენს თავს არაა ეს უბედურებაო, სიდედრის ნუგეშისცემა მოინდომა.

— მიიღებდნენ მარა... — ეს საერთო უბედურება ხომ უბედურებაა, ამას რომ კიდევ ჩვენი საკუთარიც დაემატაო, მაგრამ თქმით იმ ორი სიტყვის მეტი არაფერი უთქვამთ.

— მე ჯერ ვე-ერსად ვერ წა-ავალ! — ხელში შერჩენილი ქაღალდი მეორე გვერდზე გადააბრუნა, ვითომ იქ შეიძლებოდა წერებულიყო ასეთი გამონაკლისი შემთხვევისათვის რაიმე შეღავათი.

— არა! — გადაჭრით თუარა სიდედრმა, — ხომ ხედავ რანაირი დროა, ახლა ვიღა გაარჩევს მრუდს და მართალს, არაფერი დაგწამონ.

— აბა, წა-ავიდე?..

— გაგებინე იმ ხალხს ჩვენი დავიდარაბა, ისე ვინ რა იცის, შენ რა გიჭირს და რა გილხინს...

— აბა, ახლა მე ტყე-ეში რომ არ და-ავიმალები...

—აგერ, ექიმსაც გაჰყევი და იმავე ეტლით გასწიე, ისედაც დაგვიანებული ხარ... დილით უნდა გამოცხადებულიყავი.

პეწენიკად ხელებგაფშეკილი დარასელი შუშაბანდის კარებისაკენ წამობაკუნდა და კუთხეში ტანსაცმლის საკიდთან გაჩერდა. ერთხანს უძრავად იდგა, მერე გაოცებული მოტრიალდა და სიძე-სიდედრს მოაჩერდა.

— წა-ავიდეთ?.. — ესღა ჰკითხა ლეონმა ასე თვალდაუხამხამებლად მოცეცებულ ექიმს.

— ასე სად წავიდე?! — გაიოცა მკურნალმა.

— აბა, რო-ოგორ?

— როგორ და პალტო?

— პალტო, პალტო ჩააცვი! — ლეონზე უწინ მაინც გონდაბნეული ელენე მიხვდა დარასელის წყრომის მიზეზს და თხელი, საზაფხულო, ღია წაბლისფერი პალტო თვითონ ჩამოუღო.

დარასელი კარებისაკენ შებრუნდა, კვლავ გაილურსა.

ელენემ სიძეს მიაწოდა პალტო, ლეონმაც კინაღამ შიგ გაუყარა მკლავი, მაგრამ გონს მაშინვე მოვიდა და სიდედრს რაღაცის მანიშნებელ თვალებში ჩააჩერდა.

— ფული ჩაუდევი ჯიბეში! — უჩურჩულა ქალმა, რაკი უსიტყვოდ ვერაფრით ვერ მიახვედრა.

— ფუ-ული?! — ლეონმა ახლა ძლივს გაიგო ამ ზაფხულში რა ჯანდაბად უნდოდა ექიმს პალტო, იწვება ქვეყანაო.

— ჰო, შენ მოგეცი, მე აქ არაფერი არა მაქვს.

— რა-ამდენი?

— ამოიღე, მაჩვენე რა დაგრჩა.

— ჯერ არც მეეტლისთვის მი-იმიცია...

მკურნალი მორჩილად იდგა კარებთან და პალტოს ჩაცმა რომ დაუგვიანეს, ეს არაბუნებრივად სულაც არ მოჩვენებია.

## XV

ეტლმა ვიწრო ქუჩაში შეუხვია, სადაც იმდენი ხალხი ირეოდა, წინწასვლა გაჭირდა და ბოლოს მეეტლე იძულებული შეიქნა ცხენები შეეჩერებინა, რაკი მისი: „გზა, გზა! ჰაბარდა და „ტარანეცი", აღარავის ესმოდა.

სამხედრო კომისარიატის ჭიშკარი ჯერ კიდევ ერთ მოსახვევს იქით იყო, რომ ლეონი ეტლიდან ჩამოხტა და ტროტუარზე მორუზრუზე ხალხს შორის გზას დაადგა.

— ეე, მოკეთე! — მოესმა ზურგს უკან.

— ჯა-ანდაბას... — მოაგონდა ლეონს და ხელი ჯიბეში ჩაიყო.

ეტლი წინ წამოიწია და კოფო მის ჯიბეს გაუსწორდა.

— შევედით კომუნიზმში? — გადმოსძახა მეეტლემ წასახალისებლად, რომ ამ დაბნეულ კაცს სიძუნწე არ გამოეჩინა.

— რა-ა ვიცი!.. — ლეონმა დარჩენილი ფული ორად გაყო და ნახევარი გაუწოდა.

მეეტლე დაიხარა, მაგრამ ფულს ხელი არ ახლო.

— აჰა, რა-ამდენი გინდა. ასე ვი-იხდიდი თითქოს...

— ეს ომის დაწყებამდე, კეთილო!

— ა-აბა გუშინწინის მე-ერე?..

— მერე ქერი და თივა ორმაგი ფასი გახდა. ამას გარდა, ცხენებზეც მომივიდა უწყება!..

— გუ-უშინ?

— ორი დღეა ომი დაიწყო და ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, მუშტარი, ქე ხედავდი ამ დილით, მთელი მატარე-

ბელი დაიცალა და ორი ეტლის მგზავრი არ გამოჩნდა.

— ცხე-ენიო ასე არ თქვი?

— ცხენი კი არ ვთქვი, უწყება მომივიდა-მეთქი! — ხმას აუწია მეეტლემ, თითქოს ამ ენადაბმულ კაცს ხმამაღლა თუ ვეტყვი, უფრო გავაგებინებო.

— შე-ენ ხნიერი არ ხა-არ?

— მე კი არა, ცხენის გასაწვევი უწყება... ხვალისთვისა ვარ დაძახებული.

— ცხე-ენი?!

— თავისუფალია? — იკითხა ლეონის ზურგს უკან ვიღაცამ ჩახლეჩილი, ნერვიული ხმით.

— ჩაჯექი, თავისუფალია თუ არა!— წააქეზა ახლა სხვამ და მკლავებ-დაკაპიწებული, გულმოღლეტილი, მოსული ბიჭი საფეხურზე ფეხდაუდგმელად მაღლა შეხტა.

— მოიცა ბიძია, ანგარიშს გავასწორებ!.. — მოხედა მეეტლემ.

— და დროს ანგარიშის სწორებაა, ბიძაჩემო!..

— მოიცა, რომ გელაპარაკები!

— მოიცა... მე კი მოვიცდი, თუ მომაცდევინეს, ამოდი, ამოდი ავთო! ამას უყურებ? ქვეყანა იქცევა და ესენი გაკეთებას აპირებენ. ჩქარა ჰქენი, დედაჩემთან მივარდნა მაინც მოვასწრო.

ლეონმა დანარჩენი ფულიც დაუმატა და მიაწოდა.

— მე-ეტი არა მაქვს.

— გამარჯვებით!

მოესმა, მაგრამ უკან აღარ მიუხედავს.

მოსახვევიდან კომისარიატის ჭიშკრამდე ისეთი რუზრუზი და ზრიალი იდგა, ვერც ვერაფერს გაიგონებდი და ვერც წინ გასასვლელს იპოვიდი. თითქოს ეს ხალხი ერთმანეთს დამსგავსებოდა, ერთ დიდ ათასკაციან არსებად გადაქცეულიყო, ათასივეს — როგორც ერთს, კომისარიატის ღობის შიგნით თვალმიციებულს, პირიდან ათასკაციანი გმინვა და ოხვრა ამოსდიოდა.

— გა-ამატარეთ! — უთხრა ლეონმა ამ ერთად შეკრულ ათასს, რაკი ერთი ვინმე კი არ უღობავდა გზას, ყველა ერთად, — გა-ამიშვი! დაძახებული ვარ! — აუხსნა მიზეზი ვითომ, მაგრამ ერთ კაცს რომ აუხსნი და იმედი გაქვს — გაგიგებს, ამდენს რას მოუხერხებ. რა თქმა უნდა, ყური არავის შეუბერტყავს.

ლეონი ტროტუარზე სახლის ლაფაროს გაჰყვა გვერდულად. ვიღაცას ქუსლების მყესებზე დაადგა ფეხი, მაგრამ ერთი კაცის ქუსლის ტკენა ათასმა ვერ გაიგო და მისკენ ისევ არავის მოუხედავს.

კომისარიატის ჭიშკარს გაუსწორდა, მაგრამ აქეთა მხრიდან ქუჩის იქით გადასვლა არაფრით არ მოხერხდა, როგორც ადამიანის სხეულში გავლა არ შეიძლება.

— და-აძახებული ვარ! — ლეონმა გულისჯიბიდან უწყება ამოიღო, — გაამიშვით! — ძალიან ხმამაღლა მოუვიდა.

სასწაული. ეს ათასი — ერთი კაცი შუაზე გაიყო და ჭიშკართან ჩასაფრებულ მილიციელებამდე გზა მისცა.

მილიციელმა, საყელო რომ ბოლომდე აეხნია და ოფლი ნიკაპზე წვეთავდა, უწყებას ზევიდან დახედა და ჭიშკრის ჩასაკეტი ფეხი ამოსწია, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

— დაიწით ხალხო, დაიწით! — ისე საცოდავად შეიხვეწა და ისე უმწეოდ, წინდაწინ რომ იცი, არავინ შენს ნათქვამს ყურად არ იღებს; თვით ლეონმა დაიწია ერთი ნაბიჯით, მაგრამ უკან ზღვა ხალხს უკვე პირი შეეკრა და ფეხის გადადგმა არ მოხერხდა.

— უკან, უკან! — მოაწყდნენ შიგნიდან კიდევ ორი, რიგითი მილიციელი, ერთი ჭიშკარის ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს. პირველმა, როგორც იყო, ამოჭვალა საკეტი და გაღებისთანავე ლეონი, ზურგში მოხეთქებულმა ტალღამ, ეზოში ნაფოტივით შეაგდო.

— სადა ხარ შე ოჯახდაქცეულო, აქამდე! — შუბლში იტკვლიცა ხელი ნაწილის უფროსმა, როცა უწყებას დახედა. სულ არ მოგონებია, რომ თავზე

ქუდი ეხურა და ზურგს უკან გადაუვარდა.

— სო-ოფელში ვიყავი... — თავი იმართლა ლეონმა, ალბათ რაღაც დიდი დანაშაული ჩავიდინეო, რაკი ნაწილის უფროსმა შიშით ფერი დაკარგა, იმასაც მიხვდა, ის თავში დაშენილი ხელიც მარტო მისი მოსახვედრი არ იყოო.

— ამოგიწყდა ყველაფერი! — გადაირია ერთ წამში სულწაზერილი ნაკვერჩხალივით სახეზე წამოწითებული უფროსი.

— რა-ატომ კაცო! — იკითხა ლეონმა, მართლა ასეთი რა უბედურება მოვახდინეო.

— როდისაა გამოგზავნილი, წერა-კითხვა იცი?

— კი, ვი-იცი...

— წამოდი, წამო, შე ოჯახქცეტიანო! — წამოვარდა უფროსი, ქუდიც არ მოგონებია, ისე გაიჭრა ოთახიდან.

ლეონი დერეფანში გაქცეულს უკან გაედევნა.

მუქ წაბლისფერ მუშამბაგადაკრულ კართან ჯგროდ მოსეულ ხალხს ეცა და ორივე ხელით, როგორც ღვლერჭგაწყვეტილი ჩალის კონა, ორად ისე გაჰყო, ლეონს ხელი ნერვიულად დაუქნია:

— მოდი, მოაღწიე, შე კეთილებამოწყვეტილო! — იჯღავლა და კარს მიაწყდა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვერ შეგლიჯა.

— რა ამბავია მაქ! — ეტყობოდა ვიღაცამ შიგნიდან მაგრად იღრიალა, რომ ამ მუშამბიან კარიდანაც კარგად გაიგონეს.

— გააღე, კომისარო, მე ვარ, ვარდენი!

— ვარდენი... ვარდენი რომ ხარ, ახლა აქ მოსვლის დრო გაქვს შენ? — კარები მოიფლა და ჩახმახზე შემართული კომისარი შიგნიდან ისე მოაწყდა, თითქოს თვითონ უნდოდა რა ხანია გარეთ გამოვარდნა და თავი ვერაფრით დაეღწია.

— აგერ ეს!.. — რაღაცა გინება უნდოდა მიეყოლებინა თავ-გზა არეულს, მაგრამ ეტყობოდა, უფროსისაგან გაფრთხილებული იყო ომში გასაწვევებს პატივისცემით მოპყრობოდა.

— ვინაა, რა უნდა?

— ახლა გამოცხადდა!

— რომელია მაგი?! — კომისარმა უკან დაიხია, ნაწილის უფროსმა აქედან უბიძგა და ლეონმა კაბინეტის შუაგულში თავი ძლივს შეიკავა.

— ჩვენ რომ დეზერტირად ჩავთვალეთ. ხომ შევთანხმდით, როცა ეშელონს გავგზავნიდით, დეზერტირობის საბუთები გაგვეფორმებინა.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ, აჰ? — იკითხა ცეცხლზე წყალდასხმულმა კომისარმა, კარი ისევ გადაკეტა და თავი ისე ჩაკიდა, ეტყობოდა, ხანგრძლივი ფიქრი დააპირა.

— დაურეკეთ ქალაქკომის მდივანს, ან ვინმეს!.. — აწრიალდა ისევ ნაწილის უფროსი, ახლა ყოყმანის დროაო?

— ვარდენ, ასე იცი შენ ყოველთვის... რომ დავურეკო, ის ქალაქკომის მდივანია...

— კო-კომისარო, — ნაწილის უფროსსაც დაება ენა, — მერე მე, რომ რაიმე უბედურებაში ჩავვარდე?!

— ქალაქკომის მდივანი ჩემი მამიდაშვილი გგონია შენ?

— არა, არა მგონია...

— ვიცი, რომ გგონია, და გაჩუმდა ახლა!

— კი მაგრამ, აბა რა ვუყო, ამ...

— ხმადაბლა ვარდენ... თქვენ, — როგორც იქნა, მოაგონდა ლეონი, — გამარჯობათ! — აცახცახებული ხელი გაუწოდა, — სამშობლოს დასაცავად... დიახ... — ხელქვეითს მიუბრუნდა, — შენ როგორ ფიქრობ, ამაზე ადრე რომ შესაძლებლობა ჰქონოდა, შინ დაჯდებოდა?

— არ ვიცი, კომისარო, რას იზამდა, მაგრამ ახლა როცა ყველაფერი გათავდა... სიები მზადაა, საექიმო კომისიაც სადღაა...

— ნაბრძანები იყო, ფეხი არავის მოეცვალა!

— დილას აქეთია დაწყდნენ ოჯახქორები...

— უხეშობა, უხეშობა, ვარდენ!

— მე ექიმებზე ვლაპარაკობ, კომისარო, ისინი ჯარში ხომ არ მიდიან.

— ჰო, ისინი კი, მაგრამ... მაგ შობელძაღლები სად გაუშვით!.. — ახლა თვითონაც აიწყვიტა, რაკი საქმე გაწვეულებს არ ეხებოდა.

— სადილზე გავიდნენ, დღესდღეობით ყველაფერი დამთავრებული გვეგონა!

— რა დაამთავრეს მაგ არამზადებმა. ათასი საბუთია შესადგენი, ათასი მომჩივანი და უკმაყოფილო გვყავს: ვინ აქ არ მაყენებს, გამიშვით სამშობლოს წინაშე ვალი უნდა მოვიხადოო, ვინ თვალში ვერ ვიხედები და ყურში არ მეყურება, ჯარში რა მინდაო.

— ახლავე აქ გაჩნდებიან... — ჩაილაპარაკა ვარდენმა და კედელთან მიდგა.

— თქვენ დაბრძანდით, — ისევ ლეონს მიუბრუნდა კომისარი, სკამი მიუჩოჩა, — ხომ არაფერს უჩივით?

— ა-არა...

— ხომ ხართ ჯანმრთელი?

— კი.

— არა, თუ რაიმე გაწუხებთ, აგერაა ექიმები, მაგათ მე ვასწავლი როგორი უნდა იყოს კომისია! — ვარდენს გადაუბრიალა უძილობით ჩასისხლიანებული თვალები.

— არა, არა! მე კო-ომისია არ მიინდა...

— ეს ენა... რაო, საერთოდ... როგორ გითხრათ, ენა ასეთი გქონდათ თუ დღეს... ახლა...

— ეს ა-არაფერი, ა-ასე იყო ყოოველთვის...

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ჯარისათვის გამოუსადეგარი ხართ?

— ა-ამისათვის არა...

— აბა, სხვა რა გაწუხებთ?

— სხვა... ი-ის რომ...

— კომისია! — მიუტრიალდა ნაწილის უფროსს, მიახალა და საწერი მაგიდისაკენ მარშით წავიდა.

— კო-ომიასია არ მი-ინდა! — მიადევნა ლეონმა.

— თუ რაიმე ისეთია, აბა მე ექიმების დასკვნის გარეშე?..

— მე სხვა, ო-ოჯახური...

— რა ოჯახური, შე ოჯახდანგრეულო! — ამოიკვნესა ვარდენმა, სანამ კომისარი თავის მაგიდასთან მოეწყობოდა.

— რა და ის, რომ ცო-ოლი მყავს...

— შენი ცოლი და შვილი ამოწყდა! — მოაგონდა, ლეონი გასაწვევი რომ იყო და თავზე იტაცა ხელები ნაწილის უფროსმა.

— ი-ისედაც მექცევა მა-ართლა ოჯახი, გა-აჩუმდი, თუ არა!.. — სკამს წამოუსვა ხელი და მაღლა აიქნია, მაგრამ როგორ გაჩნდა მათ შორის უკვე მაგიდის იქით მჯდარი კომისარი, თვალი ვერ შეასწრო. ლეონს ამ გაცოფების დროსაც კი მისდამი პატივისცემა გაუჩნდა.

— რა ამბავია აქ, სად და ვისთან ბედავთ! — იყვირა კომისარმა და ჯოხი ისევ ვარდენს გადაატეხა, როცა ლეონს სკამი თვალის დახამხამებაში აართვა, — შენ, ამხანაგო ვარდენ, ხომ არ გავიწყდება!..

— ცოლი მყავსო... ამას ამოუწყდა... — თავზე ისევ ხელები დაიფარა ვარდენმა და კომისარს აუხსნა, თუ ეს გიჟი არაა, ამ დროს მაგის ცოლი ვის რაში ეპრიანებაო.

— ცოლი გყავთ?! — კინაღამ თვალები გადმოუცვივდა კომისარს და ზურგისკენ სწრაფად, სამხედრო წესით მიტრიალდა.

— დი-იახ... ცო-ოლი მყავს უ-უკანასკნელ დღეში...

— აჰა!.. — სერიოზული სახე მიიღო ვარდენზე არა ნაკლებ დაეჭვებულმა კომისარმა, — დიახ, ხდება, ამხანაგო ვარდენ... უნდა მოვუსმინოთ ხალხს, ბოლომდე ვათქმევინოთ სათქმელი...

— ბოლომდე რომ ყველას ათქმევინო, ათას კაცს ათი ათასი გასაჭირი აქვს და მე ერთი ვარ...

— კარგი! გასაგებია! — ხელი ასწია კომისარმა ისე მოწყვეტით და სხარტად, ლეონიც კი მიხვდა, რომ ამის

მერე ლაპარაკის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

— როგორ მოვიქცე?! — კარებისაკენ გაიპარა ნაწილის უფროსი.

— არავითარი დეზერტირი და სამშობლოს მოღალატე!.. დაგვიანებით გამოცხადდა, მაგრამ გამოცხადდა. ამაზე მე ვაგებ პასუხს... გაატარეთ კომისიაზე... მე კაცის ცნობა არ მეშლება!..

— კი, მა-აგრამ ცო-ოლი?! — არ დანებდა ლეონი ვარდენს, იღლიაში რომ ხელი უხეშად გამოსდო, წავიდეთო.

— კიდევ ცოლიო, კომისარო! — ოფლი სახეზე მუნდირის სახელოთი მოიწმინდა ნაწილის უფროსმა, ლეონს გაეცალა, კარები ისე მარჯვედ გააღო და გავარდა, თითქოს ყურთამდე მოლებული დახვედროდეს.

— ცოლის დარდი ნუ გაქვთ, ჩვენ გვყავს მკურნალები, გვაქვს თქვენი მისამართი, გავგზავნით ექიმებს, დავეხმარებით... ყველაფერი იქნება, როგორც საჭიროა...

— არა, ჯერ მე ვე-ერსად ვერ წაავალ!

— მართალია, თქვენთვის ძნელია. ჩემთვისაც ძნელია, ვარდენისათვისაც არაა იოლი, მაგრამ მძიმე მდგომარეობაა... ომია, ამხანაგო... თქვენი სახელი?

— ლე-ეონი...

— ამხანაგო ლეონ. დაგვესხა თავს ის მუხანათი და რა ვქნათ, დედა-სამშობლო გვეძახის... სავალდებულო სამსახური რომ იყოს, მშვიდობიანობისას მე შემეძლო ერთი ან ორი დღე კი არა, მთელი წელიწადი მომეცა შეღავათი, ახლა მეც უძლური ვარ... აქეთ დარდი ნუ გექნება...

— ა-არ შემიძლია და ამას გა-არდა, მე სამსახური და მე-ეურნეობაში მეეცნიერული საცდელი ნა-აკვეთი...

— მიხედავენ, ამხანაგო ლეონ, ყველაფერს მიხედავენ. სამსახური, რავა, შენ ხუშტურზე კი არ მიგიტოვებია. და რაიმე სხვა ამგვარი!

— ი-ის ჩემი საცდელი ნა-აკვეთია და სხვა რო-ოგორ და ვინ მიხედავს, ის ხომ ცდე-ებისთვისაა...

— გასაგებია! — ისევ ასწია ხელი კომისარმა და მეორეთი ყურმილი აიღო, — წაბრძანდით ახლა ნაწილის უფროსთან. ცოტა ენა... ისეთი კი არაფერია, იცის უხეშად თქმა, როცა გადაიღლება, მაგრამ გულით ოქროა და როგორც საჭიროა, ისე გააკეთებს. გამოცდილი ჯარისკაცია. ფინეთის ომშიაც გაწვევები მაგის ხელით გაკეთდა... აბა, ნახვამდის! — ყურმილი მაგიდაზე გულაღმა დადო. ლეონის ხელს ხელი ხმაურით დაჰკრა, ღონივრად ჩამოართვა, მეორე ზურგზე მოხვია და გასასვლელამდე მიაცილა, საიდანაც ღერეფნიდან კარებზე მოცეცებული ათიოდე წყვილი დამრგვალებული თვალი შემოეფეთათ.

## თავი მესამე

### I

მატარებელი პირველსავე საკვანძო სადგურზე განრიგიდან ამოვარდა და თბილისში საღამოს, მზის ჩასვლისას ძლივს ჩააღწია.

ვატუტი თეკლას და მამუკას ბაქნიდან გასასვლელში ელოდა, აქაო და ვიცი, ასეთ დროს როგორ მოვიქცე, კუპეშიც კი არ შემოვიხედე, მოგერიდეთ, და თუ თქვენც ჩემზე ასეთივე რამ გაიგონეთ, ენას კბილი დააჭირეთ. როგორც მე არაფერი მიკვირს, თქვენც ხამს ნუ ეცემითო.

მაგრამ სანამ მამუკა ვაგონიდან ჩამოსვლას თავს მოაბამდა და თეკლაც ხომ, ამ დღეებში ჯერ განუცდელი ბედნიერებითა და შეუცნობელი მწუხარე-

ბის აკვიატებული შიშით თავგზააბნეული, ღობე-ყორეს ედებოდა, სანამ ყველა მგზავრს გზას უთმობდნენ, სანამ მამუკა ვილაცეებს ეშველებოდა და თავის ჩანთა კიბის თავში მიატოვა, ამასობაში ხალხი გაიკრიფა. თეკლას კი სამი წლის ბიჭი აეხუტებინა, ბავშვის დედას მეორე ძუძუმწოვარა ჰყავდა გულზე მიკრული.

ვატუტი ბაქნიდან სადგურის მოედნისაკენ გაემართა, ჩემს ჩამოსვლამდე ხომ არ გამასწრეს, სადმე იქ ხომ არ მელოდებიანო. რა თქმა უნდა, მამუკა ამას რომ ასე მალე ვერ მოახერხებდა — იცოდა, მაგრამ იმ გოგოს იგი იმდენად ვერ იცნობდა, წინასწარ ევარაუდა, წინ გაუსწრეს თუ უკან ჩამორჩნენ.

ამ დროს საბილეთო სალაროებისაკენ გაჩქარებით მიმავალ ნაცნობს მოკრა თვალი, ინსტიტუტის კომკავშირის მდივანს ცოტნე მონიავას. სხვა ვინმე, თანაკურსელი ან მეგობარიც რომ ყოფილიყო, ვატუტი თუ მთლად პირისპირ არ შეეფეთებოდა, ჩავლილ, მით უმეტეს საქმეზე გაშურებულს არ გამოედევნებოდა, მაგრამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან და საერთოდ საჭირო ამხანაგებთან შეხვედრის შემთხვევას ხელიდან რატომ გაუშვებდა, როცა, მით უმეტეს, ახლა, მონიავას არ შეეძლო ეფიქრა, რომ ვატუტი მას განგებ აეტორღიალა.

— ცოტნე! — მიაძახა და გამოუდგა.

მონიავა მკვირცხლად მოტრიალდა და იქაურობის თვალიერებით გზა სალაროებისაკენ მაინც უკუსვლით განაგრძო. ერთი კი შეავლო თვალი, მისკენ კოჭლობით მომავალი დაინახა და ეცნაურა, მაგრამ რატომღაც ასეთ აღტაცებულ დაძახილზე მაინც ახლობელ ძმაკაცს, ან ნათესავს უფრო ელოდა, ვიდრე ამ სტუდენტს, ამაღლობელს, რომელმაც ერთხელ, ფაკულტეტის კომკავშირის კრებაზე უსაქციელო სტუდენტი გოგო ფრჩხილით და კბილით დაიცვა და მერე, ცალკე, მდივანთან თავი იმართლა, როცა კრებამ დამნაშავეს უკანასკნელი საყვედური გამოუტანა და ინსტიტუტშიაც პირობითად დასტოვა.

— ცოტნე, საით, კაცო?! — მოვარდა და ხელი გაუწოდა, — გამარჯობა, რა ამბავია, რომ ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბი-გამორბიხართ?

— ეჰ, რაღა რა ამბავია... — ხელი ჩამოართვა მონიავამ და პირი იბრუნა, რაკი დარწმუნდა, ეს ყოფილა რომ მეძახდაო.

— ვიცი, ომია, მაგრამ ქვეყანა იქცევა ვითომ?

— რა ვიცი... ჰო, მართლა, — მაშინვე მეცადინე და მედიდური გახდა კომკავშირის მდივანი, რაკი რაღაც საქმე მოაგონდა და თანაც ამ ბიჭთან რამე სხვა ძმაკაცური ურთიერთობა არ ჰქონდა, — შენ რომელ კურსზე ხარ?

— ცოტნე!.. — აღმოხდა ვატუტის, ყველაფერს ელოდა, და თუ მონიავამ ისიც არ იცოდა, ვატუტი რომელ კურსზე იყო, ამას არასოდეს იფიქრებდა.

— მეოთხეზე, თუ მეხუთე...

— ჰო, ერთი წელი და ვამთავრებ. — მიაშველა ვატუტიმ, ვითომ როგორ შეიძლება შენ ეს არ გახსოვდესო.

— ინსტიტუტში უნდა გამოცხადდე, თუ უკვე იცი?..

— არაფერი არ ვიცი... — ისე შესძახა, შენ რომ არ გადაგყროდი, ხომ დავიღუპებოდიო, — მაგრამ რისთვის, თუ საიდუმლო არაა, და საიდუმლოც რომ იყოს... — თვალი ჩაუკრა, მხარზე ხელის ჩამოდება დაუპირა.

მონიავამ უკან დაიხია, მეჩქარებაო და ისე მოაძახა:

— მოდი და იქ გაიგებ!

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ახლა აბა აქ რა დროს მაგაზე ლაპარაკია, ისედაც დაღლილი ვარ. სოფლიდან ჩამოვედი და აგერ ძმას და რძალს ველოდები... — რძალი იმიტომ დაუმატა, რომ ცოტნეს უფრო დამაჯერებელი მოსჩვენებოდა მიზეზი, რისთვისაც თან არ გაჰყვა ამაღლობელი. თუ მხარზე ხელის სათათუნოდ მონიავას „არ ეცალა", არც ვატუტი იყო საქმეშემოლეული.

უკან გაბრუნდა უკვე მამუკაზე გულმოსული: დროზე რომ გამოჩენილიყვნენ და იმ კაცს თავისი თვალით ენახა, კარგი იყო. არ იფიქროს, მართლა რამე მოვიმიზეზე და სალაროებამდე არ გავაცილეო.

როგორც იყო გამოაღწიეს. თეკლას სამი წლის თვალატირებული ბიჭი ეჭირა ხელში, დედისკენ რომ იქაჩებოდა, რატომ ეს ჩემი ძმა გყავს ახუტებული და არა მეო. მამუკას მხარზე ხურჯინი გადაეკიდა, ხელში ფუთები ეჭირა, ორი მოხუცი ქალი უკან მოსდევდა.

— სადა ხართ, ხალხო, სადა ხართ! — ხელები გაშალა წინ შემოგებებულმა ძმამ დამტუქსავი ღიმილით, რითაც თეკლას აშკარად აგრძნობინა, მამუკას რომ ვტუქსავ, შენც ამის ღირსი ხარ, მაგრამ გიღიმიო...

— რა ამბავია, რას ჰგავს თქვენი საქციელი! ეს ბავშვი... მომილოცავს... ეს ბარგი-ბარხანა?! — მამუკას ახედდახედა, — ვითომ ნაუცბათევად წამოვედით და ამას მაინც მოუსწრია ამდენი რამის წამოღება? — თან გაიცინა, — კარგი, კარგი. ასე უნდა, აბა როგორ... უნდა გიყვარდეს ადამიანი... მე, კაცო, აგერ კომკავშირის... ინსტიტუტის კომკავშირის მდივანი მელოდა. ის კი არ იცოდა, რომ ამ საღამოს უნდა ჩამოვსულიყავი, მაგრამ შემხვდა, მეძებენ თურმე... აქამდე აქ იდგა, აგერ სალაროსთან მიმყევი, ქვეყანა გიცნობსო და თქვენი გულისათვის მგონია ვაწყენინე.

— მამუკა! — შეჩერდა თეკლა და ბავშვი ძირს დაუშვა, რომელიც მაშინვე დედას ბორკილივით ორივე ფეხებზე შემოეჭდო.

— ეჰ, მაგის მდივნები... — გზა განაგრძო მამუკამ, ისე რომ მხრიდან ტვირთის ჩამოღება არ უცდია, — გამონახავენ საერთო ენას. — გზას ტრამვაის გაჩერებისაკენ გაუყვა, აქეთ-იქიდან თვინიერად აღევნებული დედაბრების თანხლებით. თეკლამ ისევ დედის ფეხებში ჩაფრენილი ბიჭი აიტაცა, გულზე ჩვილმიკრულ ქალს ნაბიჯს რომ არ ადგმევინებდა.

— პოეტია, რას ელაპარაკები... — ორივე ხელი ჩაიქნია ვატუტიმ, მაგრამ ბედს მაშინვე შეურიგდა, — ჰო, კარგი, კარგი. — მიადევნა უფრო თეკლას, რაკი იმედი არ ჰქონდა მამუკა მისმენსო, — მე წავედი. ხვალ ინსტიტუტში ვარ სასწრაფოდ დაბარებული. შენ, ბიჭო მამუკა, მამიდაჩემთან მიდი, მთლად ნუ გატყიურდები!

გამოტრიალდა, აღარ იცოდა აქ დალოდებოდა მონიავას, თუ იქ, სალაროებთან მისულიყო.

რატომ იბარებდნენ? ყველას იბარებდნენ, თუ მარტო მას? ახლა როცა ქვეყანა აირია და წყალი აიმღვრა, ისეთი ხომ არაფერი იყო დასაჭერი, ჭკვიანი ხალხი ღლავს რომ ეტყვის?

## II

თბილისს აქვს მხოლოდ ამ ქალაქისათვის დამახასიათებელი ჯადო. ამ უზარმაზარ ქვაბში მოქცეულ ქალაქს, მტკვრისთვის რომ მიუცია შემოსვლის და გასვლის ნება, სხვებსაც ასე როდი ექცევა. ამ მთების შუაგულში შემოსულს და თუნდაც ერთ წელიწადს ვილაცის კარზე სამადლოდ ღამეგათეულს, დედასთან განშორება უფრო ეადვილება, ვინემ აქაურობასთან.

თითქოს, სხვაზე მეტს არაფერს იძლევა, მის პურსაც ისეთივე სიმწარე ახლავს, რაც სხვისას, მისი ღიმილიც ცრემლიანია და მისი ერთგულებაც ღალატიანი. მაგრამ, აქ, სადღაც, თხუთმეტი საუკუნის წინ რომ გორგასალმა ნადირობისას გუმანით მიაგნო, მაინც არის დამარხული რაღაც თილისმა.

დედა — დედაა და ის სხვისთვის საყვარელია თუ საძულველი, მაინც გიყვარს. იქნებ ქართველებსაც, უნდათ არ უნდათ, მაინც უნდა უყვარდეთ თავისი დედაქალაქი. მაგრამ აქ, ნახევარზე მეტი, სხვადასხვა ერის შვილები ცხოვრობენ, ისეთებიც კი, რომელთაც თავიანთი ქვეყნებიცა აქვთ და დედაქალაქებიც.

ეს არც იმის ბრალია, რომ ქართვე-

ლებს ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი სტუმართმოყვარეობა. დარწმუნებული ვარ, აქაურები რომ მოსულს ცხვირაბზუებულები ხვდებოდნენ, ხიზანი, რა რჯულსაც არ უნდა აღიარებდეს და რა ენაზეც არ უნდა ლაპარაკობდეს, აქ თავის სალოცავ ტაძარსაც იპოვის, მეჩეთსაც, სინაგოგასაც და თავის ენაზე მოლაპარაკესაც.

შეიძლება დედა გყავდეს, მაგრამ ეს ქალაქი დედინაცვლად არ გექცევა.

აქედან თორმეტი წლით კი არა, თორმეტი დღით წასულსაც შეიძლება წამოცდეს აშული პოეტივით: „გამარჯობა ჩემო თბილის ქალაქო, დაკარგული შენი შვილი მოვედი“.

იქნებ ამ ქალაქს ამიტომაც დაერქვა თბილისი და არა იმიტომ, რომ ცხელი გოგირდის წყლები ამოჩუხჩუხებდა. ასე ხომ ყველგანაა ცხელი ან ცივი წყალი, არც იმიტომ, რომ მზე კრუხივით აზის ამ მთებში ჩაბუდებულ ქალაქს. მთაც ბევრგანაა, მაგრამ მთაწმინდა არაა. ყველა ქვეყანას და ქალაქს ჰყოლია მტერი, დაპყრობის მოსურნე, მაგრამ ამდენი არავის.

ალბათ, ეს იყო თბილისის უბედურებაც და ბედნიერებაც.

თეკლა და მამუკა გზას ფეხით დაადგნენ და ამ უკვე უჩვეულოდ აფორიაქებულმა ქალაქმა, მაინც მოაშორათ ის მძიმე ტვირთი, რაც მათ ბედნიერებას თბილისის კარებამდე მოჰყვა.

აქ თითქოს თავი სახლში დაიგულეს, აქამდე ეჩქარებოდათ, სხვაგან იყვნენ და შინ ეჩქარებოდათ; აქამდე ვიღაცის თვალს ემალებოდნენ, ვიღაცის გაკილვას უფრთხოდნენ. ნაპარავი, სხვისი ზიარი სიყვარულით უყვარდათ ერთმანეთი. აქ კი ისევ თავის კუნძულს დაუბრუნდნენ.

აქაური ღამეც ბნელი იყო და დღე ნათელი. ამ ქალაქსაც ჩაუდიოდა შავი და ცისფერი მდინარე, მაგრამ მათ კუნძულს, ორივე მხარეს უვლიდა და ესენი მშრალზე, ტირიფების ვერცხლისფერ სიმწვანეში მიაბიჯებდნენ.

იქნებ ასე იმიტომაც ეჩვენებოდათ, რომ თეკლა ქადაგიძის ბედი ასე ორმხრივად: უბედურად და ბედნიერად დატრიალდა? დალუპული მამისა და დარდით ფილტვებდაღრღნილი დედის ანაბარა, ბებიას თბილ კალთას შეფარებულმა გოგომ, ჯერ იყო და უეცრად გახეთქილი ბრმა ნაწლავის ოპერაცია გადაიტანა (გადარჩებოდა თუ არა, არავინ იცოდა), და მეორედ, მოყინულზე გულაღმა დაეცა (ესეც თბილისის თვისებაა, ათასში ერთხელ აცივდება და აქაურები ყინულზე სიარულს უჩვევი არიან, თავის ქალა ჩაემტვრა, თხემის ტვინი კინაღამ ქვაფენილზე დააქცია და დროდადრო ახლაც ტკივილების ისეთი შემოტევები ჰქონდა, გაწამებულ გოგოს თმა ბღუჯა-ბღუჯა ჩამოჰქონდა...

ღმერთმა არ იცოდა, სანამდე გაგრძელდებოდა და რით დამთავრდებოდა ამ გაწამებული ქალიშვილის ცხოვრება, და ასეთ დროს მამუკასთანა გამღმერთებელი კი არა, ქვეყნის დამაქცევარი რომ შეყვარებოდა, შინაურები სახლის კარს არ მოუხურავდნენ. ოღონდ მას, სადმე, თუნდაც წუთიერი სიხარული და ბედნიერება ენახა, დაევიწყებინა თავს დატეხილი ამდენი უბედურება, და ჯანდაბას, აღარაფერს დაეძებდნენ.

არავინ მისგან სწავლის გაგრძელებასაც არ მოითხოვდა. ბებიას კიდევ შემორჩა საგვარეულო ნივთები და ცოტაოდენი ძვირფასეულობა, რომელიც ჰქვიან, თავის თავისთვის არაფრის მაღირსებელი მოხუცის ხელში ერთხანს, შვილიშვილს და სანახევროდ აბასთუმანში გადასახლებულ ქალიშვილს, შავი პურის ფულად ეყოფოდა.

ბებია ელპიტე, როგორც იმ დროისათვის ჩვეულებრივი ამბავი იყო, თავისი სურვილის წინააღმდეგ, თბილისელი შეძლებული, მაგრამ უკვე ხანში შესული სოლომონ თათეიშვილისათვის მიეთხოვებინათ. მთელი ცხოვრება, რომ ვერც ჯვარისწერის წმინდა კანონს გადავიდა და ვერც ბედს შეურიგდა, ქალმა, რაკი დღე ერთი იყო და მისი სილამაზით დაბრმავებული ყმაწ-

ვილკაცები — ათასი, გული იმით იჯერა, რომ ერთადერთ ქალიშვილს ხელები გაუხსნა და უკვე მიხრჩუებულ ქმარზე შური ერთხელ მაინც იძია, შვილს აბუნტებულ, მდიდრების და მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებულ ლაზარე ქადაგიძესთან სიყვარული არ დაუშალა და საიდუმლოდ თავის სახლის სხვენშიც კი მალავდა სასიძოს.

შვილიშვილს ამ ღვთისნიერი ბიჭის სიყვარულს აბა როგორ დაუშლიდა, როცა მამუკას ნახვისა და გაცნობის დღიდან ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ თეკლა, თუ სხვა მხრივ მამაზეციერი კარგად უმყოფებდა, მამუკასთან იმ ბედნიერებას ეზიარებოდა, ბებია რომ ოცნებობდა და ვერასოდეს სიზმრადაც ვერ ეღირსა.

ელპიტეს, რევოლუციის შემდეგ, თავისივე ორსართულიან, ბანიან სახლში, ძველი თბილისის ვიწრო, რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩის მხარეზე, ორი ვიწრო ოთახი დაუტოვეს, რომელსაც არც სამზარეულო გააჩნდა და აღარც რაიმე სათავსო, ერთადერთი ხის ხარატულა რიკულებიანი აივნის მეტი, რომლიდანაც ერთ მკლავის გაწვდენა და გზის მეორე მხარეზე მცხოვრებ მეზობელს ხელს ჩამოართმევდი.

III

თეთრი ქვის საფეხურებზე, რომელთაც შუა წელი გასცვეთოდათ და ჩაღრმავებოდათ, თეკლამ სულმოუთქმელად აირბინა, მამუკა კიბის მოსაბრუნთან არ იყო მისული, რომ მან ოთახის კარები შეგლიჯა ძახილით:

— ბებ! სადა ხარ, ჩემო უსაყვარლესო, ბებ!

ბებია ელპიტე ხარატულა აივანზე იდგა მეტისმეტად გულდაწყვეტილი და იმდენად გაოგნებული, რომ ოთახში შემოსვლა ვერ მოეფიქრებინა.

— ბებ, ჩემო ბებ! — თვითონ თეკლა გავარდა, მოხუცი უკვე ჩაბნელებულ ოთახში ძალისძალათი შემოიყვანა, ძველ, ერთ დროს მდიდრულ, ახლა გაქექილ, ზამბარებჩაწყვეტილ დივანზე დასვა, კალთაში ჩაუვარდა და ატირდა.

ბებიას იმწამსვე დაავიწყდა თავისი გულისწყვეტა, რომ მთელი ეს საღამო აივანზე იდგა და დარაჯობდა შვილიშვილის გამოჩენას, ბოლოს, როცა ეღირსა და მოლოდინით თვალდაშრეტილმა მოხუცმა უკვე შებინდებულ ვიწრო ქუჩაში თეკლა და მამუკა გაარჩია, ორივე ხელები მლოცველივით აღმართა — ახლავე ისინიც დამინახავენო და ასე ხელებაპყრობილი დარჩა, სანამ შვილიშვილი სადარბაზოში არ მიიმალა.

თეკლას ერთხელ რაა, მაღლა არ აუხედავს, რაც ბებიას არასოდეს მოსწრებია.

— რა დაემართა? — ელპიტემ გულში ორივე ხელით ჩაკრული, შვილიშვილის უჩვეულო სევდის მიზეზი, კარებში თავშემოყოფილ მამუკას ჰკითხა.

მამუკამ ჩანთა კარებთან დააგდო და მიხურულ კარს დამნაშავედ ზურგით მიაწვა.

— რაიმე უბედურებაა ჩემს თავს თუ?! — კიდევ უფრო მაგრად, მაგრამ ხვითოსავით სათუთად მიიკრა სალოცავი არსება მკერდზე და მამუკას ვედრებით მიაჩერდა; ამან რომ არ მოისუროს, არ მეტყვის და შენ მაინც გამაგებინე, რა ღვთისწყრომაა ჩემს თავსაო.

მამუკას ჯერ ყურის ბიბილოები გაუწითლდა, მერე ეს სიწითლე მთელ ყურებზე წაეკიდა და სახეზე შემოენთო.

ბებია, თვალნაკლებობას რომ არ უჩიოდა, ამ ბინდ-ბუნდში ხომ არ მეჩვენებაო, შეეხვეწა:

— დედაშვილობას სინათლე აანთე! რა ამბავია ჩემს თავს, დავინახო...

მამუკა მაშინვე მიტრიალდა, სანამ ღილაკს ვიპოვი, მანამ ხომ მაინც თვალარიდებული ვიქნებიო, მაგრამ ვერ გაბედა იმაზე მეტხანს ეძებნა ჩამრთველი ღილი, ვინემ ამას სხვა დროს დასჭირვებია, რომ თეკლამ ჭირვეულად წამოისლუკუნა:

— არ აანთოთ სინათლე!

— ვაიმე ჩემს თავს!.. — გასაცოდავდა ბებია: თუ ამას არ უნდა, ვერც სინათლეს ავანთებთ და ვერც ვერაფერს შევიტყობთო.

მამუკა კედლისკენ პირმიქცეული დარჩა, თითქოს ახლა არა, მაგრამ მალე ისევ ჩართვას მიბრძანებს და ბარემ ასე დაველოდებიო.

— კაი დედა, კაი ბებია, კაი შვილო, რაკი ცოცხალი ხარ, რაკი სული გიდგას, რაკი შენი ფეხით მოსული დაგინახე, რას დავეძებ, ან მე ღვთისმშობელს მეტი რა მინდა... დაწყნარდი, შვილო... არაფერი არ იდარდო, არაფერი გულთან არ მიიტანო...

— გამიშვი! — წამოიძახა მოულოდნელად, გაფხარკალდა, მოხუცს თავი ხელებიდან გამოგლიჯა, მეორე ოთახს მიაშურა და უკან ადევნებულ მამუკას კარი ცხვირწინ მიუხურა, თავის საწოლს მივარდა, ზედ დაემხო.

ქვითინებდა, ღაპა-ღუპით ღვრიდა ცრემლებს, ათრთოლებულ ხელებს ისე დაატარებდა ქვეშაგებზე, ბალიშზე და მუთაქაზე, თითქოს აქ, ამ საწოლზე ვიღაც თუ რაღაც დატოვა, გამდნარი მარგალიტივით გაბნეული, და სასოებასავით ეძებდა. გასათუთებული ხელის ფაქიზი შეხებით გრძნობდა „მის" აქ ყოფნას და ეფერებოდა, ეალერსებოდა, სახეს უსვამდა, სუნთქავდა მისი უკვე სხვა სუნით, ევედრებოდა, ბოდიშობდა, აღმერთებდა, მისტიროდა, ემშვიდობებოდა, მადლობას უხდიდა, გული სწყდებოდა, გული სტკიოდა, უმისობა ვერაფრით ვერ წარმოედგინა...

„ის" აქ დატოვა. წავიდა, აქ დატოვა. მოვიდა და უკვე აღარ იყო ის, რითაც აქამდე იცხოვრა. სადღაც შორს, შავი და ცისფერი მდინარის შუა კუნძულზე დარჩა. დღეიდან ის სხვა იყო, „ის" აქ, მის გვერდით მეტად ღამეს აღარ გაათევდა...

ტირილით, ტკივილით, ვედრებით, მადლობით და პატიებით, სამუდამოდ ემშვიდობებოდა ამ მორჩილა ოთახის ოთხ კედელში და ამ საწოლზე მეცხრამეტე წელიწადია ერთად ღამენათევ ქალწულობას.

ოთახში თითის წვერებზე შემოვიდა მამუკა და ახლა აქეთა კართან გაჩერდა.

„აი, აგერ დგას ისიც, ვინც გააშორა ყველაფერს ამას, წაართვა ის, რასაც ვეღარასოდეს ვეღარ დაუბრუნებს.

თეკლა დაიბადა ერთხელ, სამი დღის წინ კი, ერთ ციცქნა კუნძულზე მეორედ, და როგორც თავის დაბადებაზე და ქვეყნად გაჩენაზე ვერ იტყოდა უარს, ეს მეორე სხვად ქმნაც უნდა ერწმუნა.

ეს მამუკამ არ იცის და მარტო მამუკამ კი არა, ალბათ, საერთოდ მამაკაცებმა არ იციან. ისინი როგორც იბადებიან, ისევე კვდებიან... არა, არა, პირიქით: პირველი ქალის შემდეგ თავდაჯერებული, გამაყებული და თავაწეული დადიან. თითქოს მათ აქამდე თავის კაცობისა არ სჯეროდათ, თითქოს ადრე მშიშარა, საცოდავი ბავშვები იყვნენ, როგორც ჩრდილში გაზრდილი ბალახი, რომელსაც მზე არ უხილავს. მერე კი ერთბაშად თავაწეული, გაყოყოჩებული, ზევიდან იცქირებიან და მბრძანებლობენ, როგორც განძს დაპატრონებული უპოვარნი და თავის ნათქვამს მეფის ბეჭედს უსვამენ.

ვითომ ისევ გეკითხება, ისევ რჩევას გთხოვს, ტოლ-სწორად გთვლის, მაგრამ რაკი იგი უკვე ასე გაყოყოჩებულია, თავის წინანდელ უუფლებობასაც თაკილობს; აქაოდა მე გუშინაც, გუშინწინაც გეკითხებოდი, თანასწორად მიმაჩნდი, მაგრამ გაჩენის დღიდან მბრძანებელი ვიყავიო.

და ახლა თუ რჩევას გკითხავს, ან შენს აზრს გაიზიარებს, ნუ გგონია, გუშინდელივით წმიდათაწმიდად მიიჩნევს შენს ნათქვამს. ვის ხარხარი აუტყდება, ვის უხმოდ გაეცინება, ან უფრო მოკრძალებული სახეს მიიბრუნებს და ტუჩის იმ მხარეზე მაინც გაუჩნდება ღიმილი, რომელიც შენგან არ ჩანს. ამ დროს ქალი უკვე ანჩხლობს და კაპასობს, რაკი იგი ყოველთვის ხედავს ამ

დიმილს, გაცვლილ როლს და დაკარგულ უფლებებს. ახლა კაცი უფრო დამთმობია, იგი შეიძლება იმაზეც დაგუაბულდეს, რაზეც მისი უუფლებობის დროსაც არ დაგთანხმდებოდა, მაგრამ განა იმიტომ, რომ შენი აზრის უპირატესობას აღიარებს, არა, უკვე მასზე ჭკვიანი და შორსმჭვრეტელი აღარავინ არის. ასე რომ არა, იგი ვერ მიაღწევდა იმას, რისი პატრონიც გახდა. მან მოიგო ომი და ქვეყანაც მისია. ახლა იგი მოწყალე ბატონია და შენ — დამდაბლებულს და უმიწაწყლოს, გრთავს ნებას მის ქვეყანაში იკუნტრუშო, რაკი მას შენ ისევ დასჭირდები, რომ თავის თავს დღესასწაული უჩვენოს. შენ უკვე მის ეზოში გაშვებული შვლის ნუკრი ხარ, რომელიც ღობის გადაღმა ვერ გადაბიჯებს; აქ კი შეუძლია მალაყები ჰყაროს, მოითხოვოს თივა საცოხნად და მარილი სალოკად. მაგრამ ტყე შენთვის სამუდამოდ დაკარგულია, და თუ ამ ტყეებს მაინც ვერ აიტან, არ გეგონოს, რომ ოდესმე დაიბრუნებ იმას, რაც დაკარგე. შენ უკვე შინაური, მშვენიერი საკუთარი ნუკრი გქვია და თუ ამ ღობეს მაინც გადაევლები, გზააბნეული ივლი, დაკარგულ მთასა და სერებზე თვალატირებული, უკვე ისე ეჩვევი მამაკაცს, ერთხელ და სამუდამოდ გამინაურებული, შენზე უთოფოდ იწყებენ ნადირობას და ერთ დროს მართლა გაკოჟილი და გათოკილი, ახლა თვითონ ადგამ ფეხს არც თუ ისე საგულდაგულოდ შენიღბულ ხაფანგში...

თეკლამ თავი აიღო.

ვერავითარი ზღვა ცრემლი, ვერავითარი გოდება და თავში ხელის ცემა ვეღარ დაიბრუნებს იმას, რაც წავიდა. ახლა იგი ახალი ინსტინქტით გრძნობდა კარებთან მდგომ კაცს, „კაცი" პირველად მოუვიდა თავში მამუკაზე და ცდილობდა არაფერი ეწყენინებინა. დღეიდან მხოლოდ ამ კაცზე უნდა ეფიქრა და თუ რაიმე ბედნიერებას შეიძლებოდა ზიარებოდა, ამ კაცთან ერთად უნდა ზიარებოდა.

— დაჯექი მამუკა. არ დაიღალე?..

მამუკა მისკენ წამოვიდა.

— არა, ჩემთან არა... მანდ, სავარძელი არაა?

— კი... დაეთანხმა და სავარძელს დაუწყო ძებნა, — სინათლეს ავანთებ.

„უნდა რომ თავისი თავი დაინახოს. ბნელში დიდება არ ჩანს, დიდებას ჩირაღდნები და ყვავილები უყვარს.

„ვაიმე, რა მჭირს! ეს რა აზრები მიტრიალებს, თითქოს ჩემს მამუკას მტრულად ვუყურებდე"...

„არა, არა, როგორც მას უნდა, როგორც მას გაუხარდება".

— თუ გინდა, აანთე, მამუკა! — ხმამაღლა ეს თქვა, არასოდეს რომ ამ ბიჭთან თავისი სურვილის წინააღმდეგ არაფერი გაუკეთებია.

— ჰო, რაღაც ძალიან ჩამობნელდა, ქუჩაში არ ანთებენ სინათლეებს, თუ რა ჰქირთ?..

„სინათლე უნდა რომ ენთოს ყველგან, აქაც, იქაც, ქუჩაშიაც, მთაზეც, ცაზეც...

„უბრალოდ, უნდა ბნელში არ იჯდეს და მიცქიროს მე, რაკი სიბნელე ხელს უშლის ჩემს დასანახავად"..

— აანთე, აანთე!

— არა, თუ გინდა, იყოს... როგორც შენ გინდა...

— არა! — წამოიძახა გაჯავრებით, — როგორც მე? არა, როგორც შენ გინდა! ისევ საწოლში ჩაემხო აცრემლებული.

„ახლა ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც შენ გინდა".. — ეს თეკლას ამ წუთამდე არასოდეს უფიქრია, აქამდე ყველაფერი იყო ისე, როგორც ორივეს უნდოდა. მაგრამ ახლა, ამბობდა იმას, რაც არ ეწადა და გააკეთებდა იმას, რასაც არ მოისურვებდა? რატომ? ნუთუ არ შეიძლება ყველაფერი ისევ ისე დარჩეს, როგორც იყო?..

„ნუთუ ამის შემდეგ, მინდა თუ არ მინდა, უნდა ვაკეთო ის, რაც მას გაუხარდება? რატომ... აანთოს სინათლე. აანთოს და მიყუროს, რაკი მას ღირსე-

ბას და თავდაჯერებას შემატებს იმის დანახვა, რაც მე დავკარგე...

— აანთე სინათლე, რას უყურებ?

— კარგი, როგორც გინდა... — მამუკა სავარძლიდან წამოდგა.

— მე კი არა, შენ გინდა!

— მე... ვითომ რატომ?..

— ჰო, ჰო, შენ გინდა, შენ გჭირდება, შენ ვერ ძლებ უიმისოდ...

— არა, თეკლა, მე, თუ გინდა, მთელი ღამე...

— ვიცი, ვიცი. რატომ გგონია, რომ მე უკვე აღარაფერი არ მესმის, აღარაფერი არ გამეგება!..

— თეკლა!..

— ჰო, რატომ, თუ გუშინწინ ვიცოდი, თუ აქამდე ჭკვიანი და საზრიანი გოგო ვიყავი! რატომ გგონია, რომ რაიმე შეიცვალა, რატომ? რატომ?.. რატომ!.. — ხმა ჩაუწყდა. ეს იყო ნამდვილი დავაც, წამოძახილიც და გაანჩხლებაც.

— რა ამბავია, ბებია გენაცვალოს? — შემოაღო კარები ელპიტემ, რომელიც ალბათ აქამდე ისევე დივანზე იჯდა და ცალი ყური აქეთ ჰქონდა, — სინათლე კიდევ არ გინთიათ?

— ბებია, შენი ჭირიმე, ჩემო ბებია... დამანებე, დამანებე ცოტა ხანს თავი! — ისეთი მავედრებელი ხმით შესთხოვა შვილიშვილმა, თითქოს ბებიას იქ ყოფნა მთელ მომავალ ბედნიერებას წაართმევდა.

— კი, ბებია, კი. მაგრამ... ჩაი რომ ამედუღებია?

— რაც გინდა, ოღონდ თავი დამანებე!

— სინათლე ავანთო?

თეკლა საწოლზე ჩამოჯდა.

— რა თქვი?

— სინათლე არ ავანთო, შვილო?

— რავა, შენ იქაც არ გინთია სინათლე?

— რა ვიცი, შვილო, ხომ არ გინდოდა...

— შენი ჭირიმე!.. — წამოვარდა და კისერზე მოეხვია, — შენი ჭირიმე ბებია, შენ გენაცვალე!..

— რა იყო, შვილო, რამ გადაგრია?!

— მე მაშინ გითხარი და შენ ახლაც ბნელში ზიხარ?

— რა იყო, როდის ვაკეთებდით, ბებია, შენს უგუნებოს?

— არასოდეს, ბებია, არასოდეს...

უხაროდა, რომ ბებია და დედა მაინც ისეთები დარჩენილან მის მიმართ, როგორც ყოველთვის იყვნენ, თითქოს დიდი განძისაგან რაღაცა გადარჩენოდა და ყველაფრის დამკარგავს იმედის ნაწილი დაუბრუნდა.

— აანთე, მამუკა, სინათლე!.. — ახლა მასაც უნდოდა თვალით დაენახა ეს იმედი და მოხუცის ფოსოებში ღრმად ჩაკარგულ თვალებში ჩაეხედა.

IV

ელპიტე რომ მეორე ოთახში გავიდა, თეკლა ღია ფანჯარას მიადგა, სადაც თხელ ფარდას ნიავი ძლივს არხევდა და რაფას დაეყრდნო. ნაცნობმა ქუჩამ, აკაციის ხემ, რომელიც მეზობელი ოთახის კედელთან ხარობდა და ტოტებით ფანჯარას თითქმის სულ ფარავდა, სიმშვიდე, თავდაჯერება დაუბრუნეს, თითქოს აქაც არ შეცვლილიყო არაფერი. მართალია, მეზობლების ცნობისმოყვარე, მოდარაჯე მზერა სადღაც გამქრალიყო, რატომღაც არავის აინტერესებდა, ეს ბიჭი აქ სანამდე აპირებდა დარჩენას, რომ ხვალ კარდაკარ ეჭუტუნათ: ქადაგიძის გოგო ხელიდან წავიდაო, მაგრამ თეკლას ახლა მათი ჭორებისა და მითქმა-მოთქმის დარდი არ ჰქონდა, მათაც სხვა უფრო დიდი სატკივარი და თავში ხელის საცემი გასჩენოდათ.

თეკლას ამ წუთას ეს ადამიანების სიკეთედ, კეთილშობილებად მოეჩვენა და ამ ახალ ქვეყანასთან შეარიგა.

მამუკა წამოდგა, ცალი იდაყვით რაფაზე დაეყრდნო და მეორე ხელი ქალს ზურგზე ფრთხილად დაადო: რაკი ასე გაკაპასდი, ვითომ მოხვევას არ ვაპირებო, მაგრამ ამან ყველაფერი ისევ არივ-დარია.

„აჰა, შენთვის სულერთია გავჯიუტდები თუ არა, შენსას მიაღწიე და აწი ჩემს სურვილს ანგარიში ისე, ზრდილობისათვის თუ გაეწევა და მეტი არაფერი?

— ხელი, ხელი აიღე!

— თეკლა!

— ხელი აიღე, რომ გელაპარაკები!

— ჩუ, ბებიამ არ გაიგონოს.

— გაიგონოს მერე.

— გაგიჟდა ეს გოგო... — მამუკა სულ მოსცილდა იქაურობას და ისევ სავარძელში ჩაჯდა. ფანჯარასთან ნამყოფი ახლა მიხვდა, რომ ოთახში ცხელოდა.

„გამიბრაზდა, რომ მე, უუფლებომ, თავისი საკუთრება არ დავანებე“.. — ჯერ ეს გაიფიქრა და თითქოს გული მოეცა, რომ მას ყველაფერი არ დაუკარგავს, რაღაცის ძალა კიდევ მქონიაო, მაგრამ მალე ისევ აირია: — რატომ დამანება თავი, რატომ მიმატოვა, რაო, მისთვის უმნიშვნელოა? მაინც თავი ქუდში აქვს? ჰგონია, მის იქით გზა არა მაქვს? არ ვინდომე მისი სიახლოვე, ადგა და გამშორდა: გიყურებ სანამდე გაკერპდები, მალე თვითონ შემეხვეწებიო“.

— მამუკა!

მამუკამ მისკენ მიიხედა, ხმა არ გაუღია.

— მამუკა, რატომ ხმას არ იღებ?..

— რა ვიცი... რა გითხრა...

— დაგავიწყდა ლაპარაკი?

— დღეს არ ვიცი რა ენაზე გელაპარაკო, შენ... არ ვიცი, არა...

— ახ, აღარ იცი?.. — ფანჯარა მიატოვა და ზამბარებმოშლილ სავარძელში ჩაკარგულ ბიჭს თავზე დაადგა, სახეში ჩააჩერდა. თითქოს არც მედიდურობა, არც პატივმოყვარეობა მის თვალებში არ ჩანდა. იგი ქვევიდან შემოსცქეროდა და ამ მოულოდნელობით გაკვირვებული იმის ამოცნობას ცდილობდა: დამნაშავე ვარ, მაგრამ ეს ხომ დამეშავებია. ახლა თუ რაიმეს ჩემგან მოითხოვ და არ მეუბნები, როგორმე მიმახვედრე და ისე მოვიქცევიო.

— იცოდე, არსად არ წახვალ!

მამუკამ კარებს მიხედა.

— არ წახვალ შენ, იცოდე! ნურავის ნუ უყურებ... მე მისმინე!

ბიჭმა მხრები აიწურა და თითქოს სავარძელში კიდევ უფრო ჩაიკარგა.

უცებ შეებრალა.

„ამას ხომ ისეთი არაფერი ჩაუდენია, ან თუ ჩაიდინა... ღმერთო, ნუთუ ის მაინც არაფერ შუაშია? იქნებ არც მე?.. ის, რაც დავკარგე, ჩემი არ იყო და უნდა დამეკარგა? თუ უფრო სწორი ესაა, რაც მოხდა და ყველაფერი რომ ძველებურად დარჩენილიყო, უფრო დიდი ბრალი იქნებოდა? მაშინ ამ ბიჭს მართლა ვერ გაუგია და ვერც გაიგებს იმას, რაც მე მტანჯავს. თუ არც უნდა ვიტანჯებოდე? და ის, რაც ჰგონია მას ეკუთვნის, არასოდეს ჩემი არ ყოფილა?

უცებ სავარძლის იქით კუთხეში, მრგვალ მაგიდაზე ქაღალდის დასტა მოხვდა თვალში.

— კარტი ვითამაშოთ, არ გინდა? — ხმაც კი შეეცვალა.

მამუკამ ისე თვალმოჭუტვით ამოხედა, თითქოს მზეს უყურებსო.

— მაგას რა ჯობია?

— თუ რა ჯობია, მოდი!.. — უცებ დაფაცურდა, საზურგეზე ხალათგადადებული სკამი მოაჩოჩა, მაგრამ მაგიდა რაკი კუთხეში იდგა, ორივენი ერთი მხრიდან აღმოჩნდნენ. მაშინვე ხელში აღებული ბანქო დაყარა, სკამი უკან დასწია, მომცრო მაგიდა ხმაურით გამოათრია, სავარძლის წინ ჩადგა, ქაღალდი მოკრიბა და დაჯდა.

„რატომ ვჭრი მე? რატომ ხელიდან არ გამომგლიჯა? თუ ყველაფერი მე უნდა ვაკეთო, შავი მუშა ვარ? ასე ვშვრებოდი ყოველთვის? — დაფიქრდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა, თუ ოდესმე, ათასში ერთხელ ასეთი რამ უკეთებიათ, ვინ ჭრიდა ქაღალდს, — ალბათ ყოველთვის ის, ალბათ არასოდეს არ დამანებებდა ამის გაკეთებას!“

— ჰა, შენ გაჭერი! — აიღო და ცივად მიუყარა.

სავარძელში ჩაკარგულმა მამუკამ კარგა ხანს მაგიდაზე გაფანტულ ბანქოს აკრეფასაც ვერ მოაბა თავი.

„ნუთუ ყოველთვის მე ვჭრიდი! მაშინ რა გამოვიდა, რაღა შეიცვალა?

— არა, მე მომეცი! — გამოგლიჯა და როგორც კი სრიალა ქაღალდებმა მის ხელებში გაიტკაცუნეს, მიხვდა, რომ ეს „შავი საქმე" ყოველთვის თვითონ უკეთებია.

„მაშინ რას ვერჩი?.. მაგრამ მაინც არ ეგონოს, იმისათვის ვაკეთებ, რომ მაგი ისაა... ან... რა ვიცი, რა"..

— რაზე ვითამაშოთ? — თვალები გაუბრწყინდა მამუკას, წამოიწია და სავარძლის სამკლაურზე ჩამოჯდა.

„რატომ უბრწყინავს თვალები?.. ჰო, კოცნა უნდა... კარგი, ძალიან კარგი. ასე ჯობია. მოიგოს და მაკოცოს, მაგრამ მაგას რომ მოეპრიანება და მოეგუნებება, მე მინდა თუ არ მინდა, არ მკითხოს? არა, ასე მირჩევნია..."

— ჰა, თქვი რაზე ვითამაშოთ?

„ესეც კარგია, რომ თვითონ არ მითხრა: ვიცი, კოცნა გინდა და რაკი გინდა, თანახმა ვარ, ხომ ხედავ, რა დიდსულოვნებას ვიჩენო"...

— კარგი, რაზეც გინდა... — დაეთანხმა, მაგრამ მაშინვე დაიძაბა...

„სხვა რამე რომ თქვას?.."

— მოგებულმა აკოცოს... — მამუკა მიაჩერდა, ისევ ხომ არ გადაირევაო.

— კარგი, კარგი... ხომ გითხარი რაზეც გინდა-მეთქი! — გახალისდა, რაკი მისი თანხმობის შემდეგაც მამუკამ „ის" მბრძანებლური რაღაც არ გამოიჩინა.

ქაღალდი დაარიგა, მაგრამ ახლა გვერდით ოთახში ფეხაკრეფით მოფუსფუსე ბებია შეეცოდა.

— ბებ! — კარები გამოაღო, — რა ჰქენი, ჩაი აადუღე?

— ახლავე, შენი ჭირის სანაცვლოდ იყოს შენი ბებია, ახლავე, შენს თავს შემოვევლე! — კარებში შემოჰყო ელპიტემ გახალგაზრდავებული, გაბადრული სახე.

— ჩვენ კარტს ვთამაშობთ, ბებო...

— ღმერთმა თამაშისა და სიხარულის გუნება არ მოგიშალოს, ჩემო სულისდგმავ!..

— რაზე ვთამაშობთ თუ იცი ბები?

— რაზე, შვილო?

მამუკა თვალებდაჭყეტილი შეაჩერდა, ღმერთი ხომ არ უწყრება და იმის თქმას მართლა ხომ არ აპირებს, რაც ჩვენ დავთქვითო.

— რა და... — სახეზე სიწითლემ გადაუარა, რომელიც მამუკას ისე გადაედო, როგორც ერთი ლოყის ფერისცვალება მეორეს გადაედება ხოლმე.

— თქვი, შენ დაგენაცვლოს შენი ბებია...

— კოცნაზე, ბებ.

— რაო, შვილო?!

— კოცნაზე, ბებ...

— ჩუ, შვილო, მომესმა თუ?!

— არა ბებ, არა!.. — წამოვარდა, გადაეხვია, კისკისი აიტეხა, — კოცნაზე, ბებ, ვინც მოიგებს — ის ადგება და... — ბებიას ტუჩებში აკოცა, — აი ასე!..

— ღმერთო, დიდებულო!..

— იძახე ახლა, ღმერთო დიდებულო და ღმერთო ყოვლისმხილველო, ასე კია და... — ისევ კისკისი დაიჟინა და ისევ წამოენთო სახეზე, მაგრამ ეს სიცილი არც მის ადრინდელ სიცილსა ჰგავდა და არც სიწითლე იმ სიწითლეს, შავი და ცისფერი მდინარის შუა, ერთ პაწაწინა კუნძულის ლურჯ სილაში რომ დარჩა, კუნძულზე, სანამდეც ბარე ორასი კილომეტრი მაინც იქნებოდა.

## V

ვატუტმა მიწის მგელივით რაღაც იყნოსა, მაგრამ ეს სუნი მისთვის ნაცნობი არ იყო და ჯერჯერობით ალღო ვერ აუღო.

ერთხანს მოედანზე იწრიალა: ცა და ქვეყანას ვიცნობ, ხალხი ჭკუაარეულია, ვინ სად გარბის, ვინ სად მოი-

ჩქარის, სადგურია, ყველა გზა აქეთ მოდის, ვიღაცას როგორ ვერ გადავეყრებიო, მაგრამ ისეთი მაინც არავინ გამოჩნდა და ცოტნე მონიავაც თვალთაგან გაქრა.

იცოდა, ომის დროს მედიცინის მუშაკებს შინ არავინ გააჩერებდა. თუმცა, მისი კურსი მომავალი სასწავლო წლიდან დამამთავრებლად ითვლებოდა, მაგრამ — დამამთავრებლად და არა დამთავრებულად.

„მთავრობამ ეს უშუშარი, მკვახე მკურნალები, რომლებსაც დიპლომის მიღების შემდეგაც, ვინ იცის, რამდენხანს არ მიენდობოდა ადამიანის სიცოცხლე, თუ ახლავე ექიმებად გაამწესა, საქმე უფრო რთულად ყოფილა, ვიდრე ჩვენ გვგონია“..

ვატუტი სულ რომ არ ჩამოსულიყო და სოფელში დარჩენილიყო, ან ზღვისპირეთში გაეტია, იქაც მოძებნიდნენ? თუ აქ ვინც ხელში მოყვებოდათ...

მონიავასთან მეტი ლაპარაკი მაინც არ ღირდა... თავი დიდი ვინმე ჰგონია, ახლოს არ მიკარებს, ან იმაზე მეტი არც არაფერი იცის, რაც თქვა. „მოდი და იქ გაიგებო“, ესე იგი, რა? ასე ბრმად ავდგე და მივადგე კაცს, რომელსაც გულზე არ ვეხატები?

„ვინ იქნება ახლა თბილისში და ვის ეცოდინება?“

სადგურის წინ გაჩერებულ ტრამვაის მიადგა. არ გაუხედავს რა ნომერი იყო, ისე, ალალბედზე ავიდა: ნეტავ საით მიჰყავდა ბედს?

იგი ერთი წლის მერე დიპლომს რომ ჯიბეში ჩაიდებდა, რა თქმა უნდა, სვანეთის ან აჭარის მიყრუებულ სოფლებში არ აპირებდა კარიერის დაწყებას. მიზეზიც ჰქონდა, რომ უგზო კლდე-ღრეში წოწიალზე უარი ეთქვა. მისი ორჯერ მონატეხი და მერე ისევ ექიმების წყალობით გამრუდებული ფეხი ამის უფლებას მაინც აძლევდა, თუ ქალებში წარმატებას ხელს ვერ შეუწყობდა.

„ქალები“...

ვატუტის გაეღიმა. ახლაც რომ მის გვერდით ჩამოჯდა, იქით არც მიუხედავს, ისე იგრძნო მშვენიერი სქესის სიახლოვე.

„არა, ისე, თუ გულზე ხელს დავიდებ, გეტყვი, — თავის თავს გაუბა მასლაათი, — კარგი ვინმეები კი არიან ეს ქალები. პირდაპირ ცხონებაა ეს ჩათქვირებულ-ჩათითქვინებული არსებანი, — თითქოს თვალდახუჭულისთვის ვინმეს თითით პირში თაფლი გამოესვას, სახე ისე დაუტკბა და დაუამდა, — მე გეტყვი შენ, რაცაა დედაკაცი, რა და... დედამიწის გულზე რომ უკეთესს ვერ ინატრებ, ისაა... — მაინც ვერ გამოხატა ისე, როგორც აპირებდა და თავის თავს თვალი ჩაუკრა, — კი იცი მაგი, შე ეშმაკო შენ, არაფერი არ გეშლება...“

ქალებს რა უნდათ, ისიც იცი... აი, აგერ გვერდით რომ გიზის. ერთი მიიხედე ვითომ შემთხვევით და მაშინვე ერთბაშად გაოცდი, თითქოს ამის მსგავსი არაფერი დაგენახოს. მერე აიღე და დაკარგე მოსვენება... ვითომ ძალიან გინდა თავი შეიკავო, არც მისკენ აპირებ მიბრუნებას, მაგრამ წონასწორობა დაკარგე, თან ეს ისე მიამიტურად უნდა გააკეთო, ვითომ შენს სიცოცხლეში ასეთი რამ პირველად დაგემართა და თვალებით რაც შეიძლება, გასაგებად უსაყვედურე: რა უბედურებაა, რომ ასე მშვენიერი ხართ.

ყველა ქალს თავი სხვაზე უკეთესი ჰგონია. ამას ვერც იმან უშველა, რომ რა ხანია ქვეყნად სარკე მოიგონეს...

„დაბნეულმა შეიძინე ორი ბილეთი და მერე თვითონვე გაიკვირვე, რატომ ჰქენი ეს, რაკი ის თავისთვის უსათუოდ აიღებს, ვითომ არ იცოდეს მისთვის იყიდე თუ სხვისთვის; მერე, შენს თავზე გაბრაზებულმა, რომ ეს სისულელე ჩაიდინე, ბილეთი მის თვალწინ დახიე. ერთი ბილეთი კი არაფერია, კაპიკების საქმეა, მაგრამ თუ მისი გამოყენება იცი, ძვირად ფასობს... როცა ჩასასვლელად აწრიალდება, ყურადღება არ მიაქციო, ვითომ ცდილობ, ცდუნებას

არ აჰყვე, აცალე წავიდეს. ჩასვლამდე კარებთან მოიხედავს, სადაც იჯდა, იმ სკამს მოხედავს, ვითომ ხომ არაფერი დამრჩაო. ასეთი ჩვეულება მაქვსო, და იცოდე, საითაც არ უნდა მიეჩქარებოდეს, ტრამვაის იმ მხარეზე ჩაივლის, სადაც შენ ზიხარ. აი, ამ დროს არ უნდა მოაცილო თვალი, იმიტომ, რომ მას, აუცილებლად, მეტი თუ არაფერი, რაღაცა დაუვარდება, ან ვინმე შემოხვედრილს გამოაყოლებს მზერას და როგორმე ერთს ისევ გამოაპარებს შენსკენ თვალს. ამ დროს, თუ მას მიშტერებული არა ხარ, დაიღუპა ყველაფერი. წამოხტი, დაჯექი, წამოხტი, დაჯექი, რა თქმა უნდა, თუ შენსკენ იცქირება. და აი, ტრამვაი რომ დაიძრება, იმის დამღუპველმა შიშმა უნდა შეგიპყროს, ამ წუთიდან ველარ იხილავ მას, თუ ყველაფერს ქვა და ღორღი არ მიაყარე და ძირს კისრისტეხით არ გადაეშვი.

ტროტუარზე შეჩერდი, შეაფასე შენი მოქმედება; ეს რა გჭირს, რა გემართება, რამ გადაგრია... ეს აკეთე მანამ, სანამ ის კარგად ჩანს, როგორც კი შეუხვევს, ან თვალთაგან დაკარგვის საშიშროება იმუქრება, მაშინ ისევ ველარ უწევ ანგარიშს შენს საქციელს და უკან ისე გაჰყევი, ვითომ ცოცხალი თავით არ გინდა, შეგამჩნიოს, რომ დონჟუანად არ ჩაგთვალოს, რაკი დონჟუანის საიდუმლოება რა ხანია გახსნეს ქალებმა და ამ საკენკს აღარავინ ეკარება. ამ დროს რამდენად შეინილბები და ქვესკნელში ჩაძვრები, იმდენად კარგად და თვალმოუცილებლად გიყურებს, რადგან ქალს ორი თვალი ხომ ჩვეულებრივ წინ აქვს, ოთხი უკან — კეფაზე. იგი ამ დროს საშურ საქმეზეც რომ იყოს მისასვლელი, მაინც თავის მისამართზე მიგიყვანს, რომ შენ სხვა დროს არ დაიბნე და ზუსტად შეგეძლოს მისი მიგნება...

მერე კი ყურყუტი და ქუჩის ტკეპნა არ უნდა მოგწყინდეს, არც თავმოყვარეობა და ღირსებები არაა საჭირო, ყველაფერი უნდა იკადრო, იმიტომ კი არა, რომ შენ ასეთი ხარ, საქმეს სჭირდება...

ერთ დღეს რომ იდგე, იდგე და გადაირიო, ფანჯრიდან მიყურებს და რატომ ძაღლად არ მაგდებსო, ხელი ჩაიქნიო, გაიქცე, დაჯდე მტკვრის პირას და თავში მუშტები ირტყა, მტკვრის პირას შენი თავში ხელის ცემას ვინ დაინახავს, ან თავი არ გეცოდება? თუ თავში ხელის ცემა აუცილებელია, სხვამ ირტყას და შენ უცქირე, ვინემ შენ ცხვირ-პირი დაილეწო და არც არავინ დაინახოს...

„ასე არ იყო ჩემო ვატუტი, ის „ცუგრუმელა“ რომ ორ კვირაში გაზულუქებულ ლოქოსავით დაიჭირე?“ — ამჯერად საღიმილოდ ისე მოერღვა პირი, ვითომ ვინმეს ის თაფლი ხახაში ჩოგნით ჩაეგლისოს, — „დიდი ჭკუის კოლოფი და მაკვარანცხი ხარ. ბიჭოს?! შენი ბრალი ხომ არაა, ასეთი ხარ და რა გიყო“.

„ეს ასეა, მაგრამ“... მაგრამ ახლა ვატუტის ამ წუთას სხვა დასაჭერ ლოქოზე ფიქრი აწუხებდა და როცა ტრამვაი მოედანზე გაჩერდა, ამ ფიქრსაც ბილიკი უპოვა.

## VI

ორჯერ სილასავით სტკიცა უარი ოპერის მომღერლის — მარგარიტა ალხაზიშვილის ცხვირაბზუებულმა ქალიშვილმა — ციცომ, ვატუტის გულმხურვალე სიყვარულზე, მაგრამ სილანაჭამმა, ერთ ყბაში რომ მოარტყეს, ქრისტეს მოციქულივით მეორე მიუშვირა. ორივეჯერ გარეგნულად ისე სამართლიანად მიიჩნია პოპულარული მომღერლისა და ყოფილი სახალხო კომისრის ქალიშვილის უარი, თითქოს დიდი ღვთის წყალობა მიეღოს.

ჩუმად ხმა მაინც დაჰყარა: პირობა აქვს მოცემული, მაგრამ ხომ იცით, მშობლები, ჩემისთანა სოფლის მასწავლებლის შვილს ქალს არ გაატანენ და ინსტიტუტის დამთავრებამდე მაინც ეს

ამბავი საიდუმლოდ რომ დარჩეს, ქვეყნის თვალის ასახვევად ასე ვიქცევითო. არ დამკლათ, არსად არ გამთქვათ, გოგო სახლიდან არ გამოაგდონ! მე — მშიერსა და ტიტველს, ცოლის შენახვა საღ შემიძლია, კათხა ლუდს რომ ვიყიდი, იმ დღეს უპუროდ ვრჩები. მამაჩემს, ჩემს გარდა, სამი ჰყავს და ყველა რომ შიმშილით დაწყვიტოს, მისი მთელი თვის ხელფასი ციცოს სუნამოს, მალამოს და ნელსაცხებლების ფასად არ ეყოფაო.

მეტი დამაჯერებლობისათვის, რაც სხვას უნდა ეფიქრა, თავად დასწრებდა ხოლმე:

— ეჰ ძმაო, სიყვარული ბრმაა, თორემ, რამ შემაყვარა ეს ყავარზე კუდგადებული შეღებილი ანგელოზი. ან მას რა მოსწონს ჩემი, მაგრამ აკი გითხარით, სიყვარული ბრმაა...

ხვნეშოდა, წუხდა, ბრაზობდა თავის თავზე. თანაკურსელებს ან სხვა ვინმეს თუ შეამჩნევდა, რომ მათ მართლა გაუწიათ გულმა ამ ერთი შეხედვით თვალმისატყუარ გოგოსაკენ, ავიშვიშდებოდა:

— მიშველეთ, ხალხი არა ხართ? მომეხმარეთ, გამომიწოდეთ ხელი, დამავიწყეთ, შემაჯავრეთ, მიგინეთ, ამიხილეთ თვალები. ცუდი რომ არაფერი იცოდეთ, მოიგონეთ! დააბრალეთ რამე, იქნებ ვირწმუნო, იქნებ გული გამიცივდეს, თუ არა გეღუპებათ ძმა, მოყვასი!..

და თუ ნაცნობ-მეგობრებს მართლა არ მოსწონდათ ამ თავაღერილ, ბუზს რომ არ ისვამდა, ისეთ გოგოსთან მისი რომანი, პირში წყალს იგუბებდნენ; ხოლო თვითონ გოგოს ვინმესთვის თავი რომ გაეყადრებინა, ვაეს მაშინვე ჩაულაპარაკებდნენ: მოეშვი, იმ ბიჭს ისედაც თავისი გაჭირვება ეყოფა, ახლა შენღა აკლიხარო!..

ასი და ათასი ხრიკებით არდაძის ქალიშვილთან სხვისთვის მისასვლელ გზებს სპობდა ვატუტი და თავისთვის ფართო შარას იწალდავდა.

არდაძის ქალიშვილი არ ჩქარობდა, მაგრამ გაოცებული კი იყო, რომ კარებს არავინ უმტვრევდა და უკან რომ იყურებოდა, მხოლოდ ამ აკოპლებულ ბიჭს ხედავდა. უფრო სწორად, მამამისი კომისრობიდან რომ გადააყენეს და ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს, მაშინ დაინახა ეს ბიჭი და მანამდე მისთვის სალამსაც რომ არ იმეტებდა, მერე ვატუტის შემოციცინებულ თავის დაკვრაზე, ქედმაღლური პასუხი ინება.

კაცმა რომ თქვას, რაც არდაძე დააქვეითეს (ეს მისთვის დაქვეითებას კი არა, მოხსნას უდრიდაო, ამბობენ), ვატუტი თანდათან წელში იმართება, მაგრამ შეუმჩნევლად, რომ უკვე ისედაც შეურაცხყოფილ ქალიშვილს ეს თვალში არ სცემოდა და სალამი ისევ არ დაექვირებინა.

მალე საქმე სხვაგვარად დატრიალდა. ციცოს ერთადერთი უმცროსი ძმა — ნოშრევანი, მამუკასთან ერთად, შარშან ჩაირიცხა ფილოლოგიურზე და ლიტერატურულ წრეშიც მამუკასთან ერთად ამოყო თავი თავისი ურიგო ლექსებით; მიამიტი, მიმნდობი გულის ბიჭი მამუკას და თეკლეს განუყრელი მეგობარი გახდა.

ვატუტის სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ძმის და მისი მეგობრების რაღაც „ახალი ხმა“, „რითმა“, მუსიკა“, „ინტონაცია“ და „ალიტერაცია“... მართალია, მის ოჯახში ეს უცხო ხილი არ იყო, მაგრამ ამან არც მამას მისცა რამე სახეირო. თუ აქედან რამე გამოდნებოდა, მისებრ უტეხი ხასიათის და ენერგიის კაცს უნდა გამოედნო, და დედაც ხომ ერთ დროს მსგავს „ამაღლებაზე“ და არაამქვეყნიურზე“ ოცნებობდა, ახლა რომ მწუთხე ღიმილს უჩენდა მის გაუცინარ სახეს.

მით უმეტეს რას უნდა გამორჩენოდა ამ „მელექსეობას“ და „ლურჯსა ფერს“ საცოდავი მამუკა და კიდევ უარესი — არდაძის პირლია ნოშრევანი.

მაგრამ ვატუტის თავისი თეთრი მგელი ჰყავდა დასაჭერი და ამ უსიერ ტყეში ერთი ზედმეტი მარეკი, ისიც ამ მგლის ბუნაგიდან, რომელმაც სხვაზე უკეთესად იცოდა ნადირის ბილიკები, საქმეს დიდად არგებდა.

ვატუტიმ რამდენიმე ლექსი გაიზეპირა მათ წრეში გაღმერთებული პოეტისა, ბაკური, მამუკა და, ბოლოს, თეკლაც რომ ლოცვასავით კითხულობდნენ. და სულ იმის შეხსენებით, რომ ის არც ფილოლოგია და არც ამ ღვთიური ნიჭით მადლცხებული, ცდილობდა როგორმე მათ შეკედლებოდა. ისიც ხომ იმ დედისა და მამის შვილია, ვისიც მისი ძმები. მაშ რად უნდა გაენაპირებინათ? ვატუტის ოღონდა მაღლა აეხედა და ძმები ღმერთს მადლობას არ შესწირავდნენ? და იმანაც უხშირა საღამოებსა და რაღაც სალონებივით ოთახებში მათთან ტრიალს.

ამ „ცას მიშტერებული“ სტუდენტების უმრავლესობა სოფლიდან და რაიონებიდან იყო, ვინმე ნათესავის კარს შეხიზნებულებს, ან სადღაც მუჭისტოლა, დაქირავებულ ოთხ კედელში თავშეფარებულთ, მთელი ღამე ფეხგაუჭიმავად რომ ეძინათ. ისეთ საღამოებს კი, თუ დარბაზი არა, სრული ოთახი მაინც სჭირდებოდა, რომ ლექსის წამკითხავს, ან კამათში აპილპილებულ რომელიმე თავქარიანს ხელების გაშლა და გამოქცევა შეძლებოდა, რათა კედელზე თავი ღონივრად ეხალებინა: ამ გაცეცხლების მიზეზი ვატუტის ვერაფრით ვერ გაეგო.

მაგრამ, სამაგიეროდ, მისთვის გასაგები იყო სხვა რამ, — არდაძის სრული, მაღალჭერიანი ოთახები, ვიღაც სომეხი დიდვაჭრისეული, რომლის გვარსა და სახელს არავინ ახსენებდა. ამ სახლის მთელი ერთი სართული ცოლ-ქმარ არდაძეს და მათ ორ შვილს ეჭირა ვიღაც „ძიძიშვილთან“ ერთად; სხვათა შორის, ამ „ძიძიშვილმა“ გადასარევი ტკბილეულობის გამოცხობა და სურნელოვანი ჩაის მოდუღება-დაყენება იცოდა, და ცოცხალი თავით ამის გაკეთებას არავის არ ანებებდა.

არდაძეები თავს სინანულით აქნევდნენ, რომ მათ ერთადერთ გვარის გამგრძელებელს ჭკუა ელრძო, მაგრამ გარეგნულად აღფრთოვანებული იყვნენ რომ მამის ფარულ ნიჭს, რომელიც ადმინისტრაციულ მოღვაწეობას შეეწირა (ბოლოს მთლად ისე ვერ დაუფასეს, როგორც ეკადრებოდა, მაგრამ...), და დედის ხელოვნებას, მემკვიდრე გაუჩნდა.

მემკვიდრის სულიერ მეგობრებს კარი ფართოდ გაუღეს და, კაცმა რომ თქვას, მათი დარბაზები არც თუ ურიგო სალონი გამოდგა.

აქ ისეთი პოეტებიც კი იყრიდნენ თავს, რომელთაც რამდენიმე ლექსი „ახალ თაობაშიაც“ გამოექვეყნებინათ და ჟურნალ „მნათობის“ რედაქციაშიც ჰქონდათ მიტანილი. მართალია, ამოდენა ჟურნალი მუდამ გადატვირთული იყო უკვე აღიარებული მწერლების ნაწარმოებებით, რომელთა უმრავლესობაზე იქ კარგს ვერაფერს გაიგონებდით, მაგრამ ეს ახალბედა მელექსეები თვით იმ მგოსნებსა და მწერლებსაც, ვისთვისაც ჟურნალში ადგილი არ რჩებოდა, მოწიწებით სულ თვალებში შეჰყურებდნენ და მათ ნათქვამს გულის ფიცარზე იწერდნენ.

ვატუტი ყველასაგან დავიწყებული სალონის პატრონს მიუჩოჩდა, თუმცა იქ ყველას ისე ეჭირა თავი, თითქოს ეს გაფხეკილი, მშიერი სტუმრები ყოფილიყვნენ მარტო, ცხენი რომ გაჭენდებოდა, ისეთი ბინის პატრონები კი არა, მთელი ქვეყნისაც, და ნოშრევანის ლექსებს თავგამოდებით დაუწყო ქება. მოთმინებას უჩიჩინებდა, და რაც მამისა და ძმებისაგან ვინმე თავის დროზე აუღიარებელი გენიოსის სახელისათვის ყური მოეკრა, მათი ცხოვრება მაგალითად მოჰყავდა, რომ მასპინძლის წყალწყალა ბიჭს გული არ გატეხოდა, ამდენ უტაქტო უმადურობის გადამკიდეს, და ერთ დღეს არდაძეებს სახლის კარები არ მოეხურათ.

ციცო იმ ოთახს, სადაც ამდენი „გიჟი“ ნაშუაღამევამდე ყაყანებდა და წყალს ნაყავდა, სათოფედაც არ ეკარებოდა; მათ კი, როდის-როდის ეღირსებოდათ ხოლმე და ქუჩაში უგზო-უკვ-

ლოდ გაიფანტებოდნენ ისევ იმის მტკიცებით, ამა და ამ პოეტმა ეს რითმა თვითონ აღმოაჩინა, თუ მასზე ადრე, ერთ-ნახევარი საუკუნის წინ მივიწყებულ პოეტს ჰქონდა ნახმარიო.

ვატუტიმ იცოდა როდის, სად და რა უნდა მოემიზეზებინა, რომ ციცოს შეფეთებოდა და მისი დანახვით „დარეტიანებული" რომელ კედელს მიყრდნობოდა, ან რომელ სვეტს შემოხვეოდა, რაც ქალიშვილს თავიდან უემურ გუნებაზე აყენებდა, მაგრამ ქვეშქვეშა მოტრფიალეს ისიც არ ავიწყდებოდა, რომ წვეთი ქვას ხვრეტს.

ვაჟის ასე თავგამოდებულმა ერთგულებამ, რაკი ქალიშვილმა კარგად იცოდა, რომ ამ მომავალ კარიერისტ ექიმს ისე არ ელექსებოდა, როგორც თვითონ ციცოს (ეს ერთადერთი იყო, რაც მაშინ მოსწონდა), ამდენმა დამცირებამ და ფიანდაზად გაგებამ, რაც ქალიშვილის პატივმოყვარეობას მალამოდ ედებოდა, მართალია, მას არავითარი გრძნობა არ აღუძრა, მაგრამ ბოლოს იქამდე მაინც მიიყვანა, რომ მონური სიყვარულის ნება დართო და მისი დანახვა თუ არ სიამოვნებდა, გულს მაინც აღარ ურევდა.

## VII

მოედანი გადაჰრა, ერთ ნაცნობს თვალი აარიდა, ახლა მაგის ლაილაის თავი არა მაქვსო, და აღმართს რომ აუყვა, ფიქრებში მყოფს მამა შემოეფეთა.

ფარნაზ მარცხენა თვალის ჭრილი დავიწროვებოდა, მაგრამ მოჰუტულიც არ ითქმოდა, როგორც ვატუტისთან ემართებოდა ყოველთვის, როცა შვილი რაღაცას უმალავდა; ასეთ დროს ჯერ ორივე თვალით ჩაჩერდებოდა, მერე მარცხენა დაუვიწროვდებოდა და ზოგჯერ გვერდზეც გაექცეოდა იმის დასანახავად, რასაც არ უმხელდნენ, მარჯვენას კი, სანამ სიმართლეს არ ათქმევინებდა, არ მოაცილებდა.

„შენ თავი დამანებე, მამაჩემო, თავი დამანებე!..

„შენი და ბიძაჩემის შეცდომები ჩვენთვის, შვილებისათვის გაკვეთილი უნდა იყოს...

„ხა-ხა-ხა, რატომ გგონია, რომ შენ არ შეცდი?

„ან იმას რატომ ფიქრობ, რომ ჩვენ ამას ვერ ვხედავთ?

„არა, მამა, არა. ასეთი თავდაჯერება შენც არ გეკადრება.

„ჩვენ იმაზე მეტი ვიცით, რაც შენ იცოდი, ჩვენი ტოლი რომ იყავი, თუმცა მაშინაც იხედებოდი ისტორიის ბნელ კუნჭულებში, იმიტომ რომ სხვაზე მეტის დანახვა გინდოდა, მაგრამ რა გამოვიდა?..

„მამა! ვიყოთ გულახდილი! შენ ასე იცი ყოველთვის... ბოლოსდაბოლოს, სულ ბავშვები ხომ აღარა ვართ.

„და მაინც რა გამოვიდა აქედან? არაფერი...

„რატომ!

„თუ არ მათქმევინებ?!"

„რა მოგიტანა იმის ცოდნამ ჩვენს ერამდე რა ხდებოდა, რაღა გინდა იმაზე მეტი, რაც უკვე თქვენს ისტორიკოსებმა?.. იმისი მტკიცება, ის შენი სეხნია მართლა იყო დიდი კულტურული რეფორმატორი, ქართული დამწერლობა თვითმყოფადია, ბერძნულიდან მომდინარეობს, თუ ორივეს ფინიკურში უდევს სათავე?.. ვთქვათ, ასეა — ჩვენს ერამდე, გაცილებით ადრე, გვქონდა დამწერლობა, კარგი მაგრამ თუ ასე არაა, მე რომ მკითხო, ვერც ამისათვის გავიფუჭებ გუნებას...

„ახლა ვილაპარაკოთ აგერ, კარს მომდგარ ომზე...

„ვერც ჩვენ და ვერც სხვებს ვერაფერს მისცემს დღეს ისტორიის გაზუთხვა, იმის გამორკვევა, ვინ მარჯვედ იქნევდა ხმალს და ვინ ვის ერთი მოქნევით მოაჭრა თავი, თუ მეორედაც მოუნაცვლა...

„აჰ?..

„კარგი, მე ხმას არ ამოვიღებ. იქნებ მართლა არაფერი გამეგება, მაგრამ თუ მაინც მართალი გინდა...

„ჰოდა, თუ მხოლოდ მართალი გინ-

და... მერე რა, რომ მამა ხარ, სიმართლე შვილმა სხვაზე უწინ უნდა გითხრას... ჰოდა, გეტყვი: ვერ აუღე მამა, დროს ალღო, ვერ აუღე...

„რაა აბა შენი გასაცოდავებული მასწავლებლის მდგომარეობა. ჰო, მაგ სიმკაცრით და გაუტეხელობით რას მიაღწიე? იმ შენი ერთი მტკაველი სოფლის, უბადრუკი სკოლის დირექტორობასაც ვერ ეღირსე. შარშან, ორი წლის წინ უმაღლესდამთავრებული ღლაპი დაგსვეს თავზე... შენს ადგილზე, სხვა ქვეყანას შეძრავდა.. არც რაიონში გადახვედი, განათლების განყოფილებაში მეთოდისტობა რომ შემოგთავაზეს. იქიდან შენი ცოდნის და საქმის კაცს, ვინ იცის, ახლა სად შეგეძლო ამოგეყო თავი...

„ამასაც მოვეშვათ?..

„კარგი, ბატონო, მაგრამ...

„რა მაგრამ... და მაშინ ჩვენც...

„ჰო, ჰო, ჩვენც ნუ გველობები გზაზე! რა ვუყოთ, რომ მამა ხარ. შენ მაინც შენი გზა გქონდა, რომელიც მამაშენისას არ ჰგავდა...

„რაღაც საერთო ყოველთვის მოიძებნება ადამიანებში, ასე ახლობლებიც რომ არ იყვნენ...

„მე მივდივარ...

„ყოველ შემთხვევაში იქით არა, საითაც შენ მიდიოდი...

„იმიტომ რომ ვიცი, შენ რა მხარეზეც იარე და სად მიგიყვანა... მე რომ მივდივარ...

„რატომ მამა! რაა ბოლოსდაბოლოს, ეს კარგი და ცუდი, იქნებ გამაგებინო. რატომაა, მაგალითად, კარგი ის, რასაც შენ აკეთებდი, და ცუდი — რასაც მე გავაკეთებ. რატომ იქნებოდა ურიგო, შენ რომ განათლების კომისარი ყოფილიყავი და რატომაა უკეთესი, სოფლის ერთი საცოდავი მასწავლებელი რომ ხარ. შენც კუჭი გიხმება და ჩვენ — შვილებსაც ლუკმა-პური გვიჭირს. ამასაც თავი დავანებოთ, დღეს რომ ადგე და მოინდომო კომისრის ნახვა, შენი ნახევარი რომ არ გაეგება არც მეცნიერებაში, არც პედაგოგიკაში, ერთი კვირა კაბინეტის კარებთან უნდა იყურყუტო და მერე თუ ვიღაც მდივანმა გოგომ, თავი რომ მუჭაში მოქცეულ სარკეში აქვს ჩარგული, კომისრის ხილვის უფლება თვალების დაფახულებით დაგრთო, მერეც ის კაცი ამას გეტყვის: „მოკლედ, თუ შეიძლებაო". ფარნავაზი იმ კაცს იქნებ სულ არ გაუგონია, მაგრამ თავის საქმე იცის...

„მე ჯანმრთელობის კომისრისკენ მივდივარ ახლა, მამა...

„მერე რა, რომ ციცოს ოთახებში უნდა გაიარო, ან გულსუნდას, ან ლამზირას უნდა ეხვეწო და მოეფერო...

„აბა ახლა, ნოხებს ვინ დაგიგებს... თავაწეული შენ დადიხარ და იარე. იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის... მარტო შენ კი არა, ბებიაჩემმაც იცის ამის თქმა.

„თუნდაც ისევ შენი მაგალითი. შენ იცი, მე, და მარტო მე კი არა, ჩვენ — ძმებს, შენს თავს დედა გვირჩევნია. ახლა არ შევუდგები იმის ჩამოთვლას, შენ რა ღირსებები გაგაჩნია და მას რა გასაჭირი ადგას... არ ვიცი, გვეცოდება, თუ... მასთან უფრო ახლოს ვართ. იქნებ იმიტომაც, რომ მასთან სიახლოვე იოლია. იგი ბევრს არაფერს მოითხოვს, გარდა იმისა, რომ შვილები ვართ, ანდა მოითხოვს, მაგრამ თუ არ აუსრულებ, ამისათვის გულის კარებს არ მიგიხურავს... ერთი სიტყვით, ამას თუ გინდა უგუნურება დაარქვი, განუსჯელობა, ინსტინქტი... რაც გინდა, მაგრამ ასე კია და...

„მერე და ან იქ რა გამოგივიდა? აი, ჰო! დედაჩემთან! აკი ვთქვი, გულახდილები ვიყოთ-მეთქი. ხომ ასე რომანტიკულად მოიტაცე... ნეტავ ვინ მოგსდევდა. ვითომ ერისტო ფაჩუაშვილი არ გამოგატანდა ქალს? სამი უფროსი რომ სახლში უბერდებოდა და მათკენ არავის გაუხედავს...

„ეს მერე იყო, შენ რომ გაბედნიერდი. ერთი მათგანი ვიღაც გალოთებულ, წყალწაღებულ ნიორაძეს გაეკიდა,

საწყალს შვილები სახლში აღარ აყენებდნენ და ამან კიდევ დედინაცვალი მიუყვანა. ორი ჩემი დეიდა დღესაც ხელუხლებლად არიან: მადლობა ღმერთს, არავის მოუტაცია... შენ რომ მოთხარე თვალი სოფელს და გამოსტაცე დედაჩემი, რა რაინდი გამოჩნდი ასეთი, რა ციხე-ქალაქს შეაბი კარი...

„სიმართლე თუა, სიმართლე იყოს... შენ ტრადიციული მოტაცება შეატრიალე და მოიტაცე, როცა აქეთ შემოგეხვეწებოდნენ...

„ვიცი, ვიცი, დედაჩემს ფასი დასდე, რაკი ამაყი ხარ, მამაჩემო, რომ არავის ეთქვა: ეს ქალი ვინაა, რა ფარნას ტოლი და ცალიაო — ამის შემდეგ კი ვინლა გაივლებდა გულში, რაკი იგი მოტაცებული იყო. დაბნეული შენიანები მხრებს იჩეჩდნენ, როცა დედაჩემის კუშტ, გაუცინარ სახეს და გალეულ, ჩითის კაბაში ულაზათოდ გამოხვეულ მომცრო ტანს უყურებდნენ, მაგრამ ენა საამუგოდ მაინც ვერ დაეძრათ. ეგონათ, რაღაცას ვერ ვხვდებით, ან არ გვესმის, რაც ფარნამ იცისო. კაცმა რომ თქვას, შენ რა იცოდი და თუ მართლა რამე იყო ისეთი, რასაც სხვა ვერ ამჩნევდა, სად არის, აღარაა დრო, რომ გამოჩენილიყო?

„არაფერი მამაჩემო, გარდა შენი ახირებული ფანტაზიისა, გარდა იმისა, რომ მაშინ დედაჩემს რამდენიმე ხალხური ლექსი ჰქონდა გაზეპირებული და თვითონაც რაღაც საალბომო აკროსტიხებს წერდა: „ეო-მეო, შენი ჭირიმეო“, და თვალატირებული ინიშნავდა ფურცლის ნაგლეჯზე ვითომ დღიურებს მის ოჯახში გაუთავებელი აყალ-მაყალის თაობაზე, ყოველღამ გამომთვრალი ჩემი დედულის ბაბუა რომ ატეხავდა ხოლმე. უბედურს ვაჟიშვილი არ გააჩნდა და ენაგალესილი ცოლისა და შინაბერა ქალიშვილებისაგან თავგაბეზრებულს, რა ემღერებოდა და ეცეკვებოდა.

„ადექი და მოიტაცე...

„რაინდი... ჰმ...

„მეცინება და რა ვქნა, მომკალი თუ გინდა..

„მერე რა მოხდა?

„ისევ მეცინება და რა ვქნა...

„დედაჩემმა თავისი გაინაღდა; ვერ ვიტყვი, რომ მან ეს ეშმაკობით ჩაიდინა, მაგრამ ზედიზედ ოთხი შვილიც იყოლია და შენ რომ თვალი დიდი აღმოჩენებისაკენ გეჭირა და კაცმა არ იცოდა დღეს-ხვალ საით იზამდი პირს, იმ უღლის ტაბიკებზე, კისერზე რომ დაიდგი, კარგად დაგრეხილი, მწიფე კანაფის აპეური გამოგინასკვა. შენი თავმოყვარეობის და სინდის-ნამუსის კაცი მოტაცებულ ცოლსა და ოთხ ვაჟიშვილზე უარს ვერ იტყოდი, იმის მტკიცებისათვის, აქაო და, ფარნავაზმა ქართული დამწერლობა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში მართალია დააკანონა, მაგრამ ქართველებს თავისი საანბანო ნიშნები ჯერ კიდევ ფარნავაზამდე დიდი ხნის წინ ჰქონიათო, და ამისთვის ცოლ-შვილს ღვთის ანაბარა არ მიატოვებდი, ისიც ძველ, დამპალ წიფლის საძმო სახლში...

„... და დაიწყე ახლის შენება...

„ეჰ, მამაჩემო, მამაჩემო...“

ვატუტის რაღაცამ ფართო გზიდან მაინც გადაახვევინა და მარჯვნივ ვიწრო ქუჩას შეუყვა. ადეიშვილების ოჯახისაკენ გასწია.

## VIII

ანაპო ადეიშვილი ფარნას ბებიის ძმის შვილიშვილი გახლდათ. ობოლი გოგონა ბაბუას რომ შეურთავს, მისი ძმა უშვილძირო, რუსეთიდან დაბრუნებულ ჩინოვნიკ ბიძას ქუთაისში წაუყვანია, ორი ანბანიც უსწავლებია, მთვრალი მოხელისათვის ჩექმების გახდაც და რაკი ორივენი ერთ, ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდნენ, ღვინის სმისათვის მიუჩვევია; სიბერის ჟამს კუჭის წყლულს რატომღაც მარტოობის ხუშტურიც გაუჩენია ბიძისათვის და უკვე დაკაცებული ძმისშვილი მას სოფლის მწერლად გაუმწესებია გულზოდის მახლობ-

ლად, დაიაც იქეთ გყავს, ერთმანეთს ყური უგდეთ, მე თქვენი ჭირი წამოღიათ.

სოფლის მწერალი მამის ქონება ანაპომ ქუთაისში არღანზე რომ დაამღერა და მერე თბილისს მოაშურა, ამ ამბავს თვითონ სასაცილოდ, მაგრამ კმაყოფილი ღიმილით ჰყვებოდა, ისიც ვინ იცის, მერამდენედ, მუდამ თავისი თავით აღფრთოვანებული და ცოლზე, შვილებზე, დედმამიშვილებზე და ქვეყანაზე მოწუწუნე ადეიშვილი.

ჰყვებოდა, როგორ მიემგზავრებოდა ქუთაისიდან ბათუმში, დეიდის მამამთილის დასაფლავებაზე და განუყრელი თანამეინახეები როგორ აცილებდნენ არღნით. ბარე სამნი მიჰყვებოდნენ თან და მატარებლის გასვლას წუთები რომ აკლდა, გულამოვარდნილები მოცვივდნენ ეტლით, უბილეთოდ ძლივს შეასწრეს ვაგონში, მეარღნე კი ბაქანზე იდგა და სევდიან „სულიკოს“ „ტემპში“ უკრავდა.

მთელი დღის ნაქეიფარ ძმაბიჭებს მაშინვე ჩასძინებოდათ და დილით გამცილებელს მცხეთაში გაეღვიძებინა.

ასე რომ, ბათუმის მაგიერ, თბილისში ამოეყოთ თავი. აბა ამაზე სათვალსეირო და გასართობი რაღა გინდოდა. რა ექნათ, მაშინვე აქაური ამფსონები, თეთრი დუქანი და ისევ არღანი... რა თქმა უნდა, დეიდის მამამთილის სულის საცხონებელი, წუთიერი დუმილი და გრძელი, დარდიანი სადღეგრძელოები!

მერე თურმე იმ კურთხეულ მიცვალებულს თვითონ ჰყვარებია ქეიფი და დაბარებულიც ჰქონია, კურცხალი ცრემლი არ დამანახოთ, არღნით გამასვენეთო (ყოველ შემთხვევაში, ანაპოს ასე სჯეროდა); ამიტომაც წავიდა ასეთი დროსტარება...

საღამოს, გაბრუებულები, მატარებლის გასვლამდე ეტლით ქუჩებში გამოსულან, რომ უკან დაბრუნებულებს ეთქვათ, თბილისი ავიკელითო.

ვერაზე ანაპო მეეტლეს სცემია, არიქა, გააჩერე, ამას ვის ხედავს ჩემი თვალებიო!

შეშინებულ მეეტლეს მაშინვე კისერი მოუგრეხია ცხენებისათვის, კინაღამ კონკას შეღეწია ეტლი. გადმოფრენილა ხელებგაშლილი ადეიშვილი და ტროტუარზე თავჩაღუნულ „შლიაპიანი“ კაცის წინ გაუსვამს და გამოუსვამს აზიურშემოწკეპილი ფეხები.

კინაღამ ხამს სცემია პავლე ფანჩულიძე, მაგრამ თავჩაღუნულს ცეკვაზე უცვნია და ჩექმებისათვის უთქვამს: ანაპო ხარ, შენ შეგარცხვინა ღმერთმა, ანაპო ადეიშვილო!

ანაპოს გულში რომ ჩაუკრავს ეს კაფანდარა, ავი ბედით და ამაოებით დაჩიავებული სკოლის მეგობარი, ვეღარავის ხელიდან ვეღარ გამოუგლეჯია; მერე აულია, ასე ციმციმ აუყვანია და თავისი საქაღალდეებით და სქელი წიგნებით დამძიმებული ფილოსოფოსი პირდაპირ ეტლისაკენ გაუქანებია.

— აბა, მეეტლევ! წყვარამში გადაგვყარე! — უბრძანებია ადეიშვილს და გაჭენებულან, ისევ სარდაფისთვის მიუშურებიათ. კინაღამ ეტლიც შიგ გადაუგდიათ და ფანჩულიძეს ზევით ვინ დატოვებდა. პავლე ანაპოსთან და მის ამქრებთან ღონით რას გააწყობდა და შეგონება დაუწყია: ქვეყანა გადატრიალდა, ახალი ცხოვრება დაიწყო, თქვენ სანამდე გინდათ ასე ეტლების ტრიხინტრიხინით და არღნის ტრიალ-ტრიალით იცხოვროთ! ბოლოსდაბოლოს, აღარ გინდათ რაიმე გზას ეწიოთო? — და კატეგორიულად მოუთხოვია, ჩვენთან, უნივერსიტეტში, თუ დასწრებულზე არა, დაუსწრებელზე მაინც ჩაერიცხათ. პატარა ხელის განძრევას ნუ დაიზარებთ და მე გიცნობთ, არც ისე სულელები ხართ, როგორც თავს იგიჟიანებთო. ამაზე უშველებელი სიცილ-ხარხარი ამტყდარა, მაგრამ ქეიფის მერე რომ ადეიშვილი ჯიბეგაფხეკილი დარჩენილა და ვალების მეტი არც სახლში ეგულებოდა არაფერი, ეტყობა, ჩაფიქრებულა და ასე იყო თუ ისე, ანაპო იმ ზაფხულს სუბტროპიკულ-აგრონომიულზე ჩარიცხულა. კაცმა რომ თქვას, ისიც ფანჩულიძეს ურჩევია, თორემ ადეიშვილს

თვით სიტყვა „სუბტროპიკული“ რა არის, მაშინ ისიც არ სცოდნია. მეცნიერს აუხსნია, საქმე ბუნებასთან და ხალხთან გექნებაო, რაკი ანაპო, თუ კაბინეტში, ან საერთოდ, ერთ ადგილზე, სუფრის გარდა დაჯდებოდა, ვერავის წარმოედგინა. ამას გარდა, ეს ახალი დარგიც იყო, რასაც, კარგი მომავალი ელოდა: განახლებულ ქვეყანაში კოლხეთის ჭაობების ამოშრობა და კულტურული მეურნეობის დიდი გეგმები ხორციელდებოდა.

ანაპო ერთხანს მაინც ღიმილით უყურებდა თავის „გამეცნიერებას“, მაგრამ მალე მართლა დაუძახეს — ჩაის და ციტრუსების სპეციალისტები სჭირდებოდათ, და ადეიშვილს უმაღლესი დამთავრებული არც ჰქონდა, რომ კოლხეთის ნაჭაობარ ველებზე ჩაის ფაბრიკის მშენებლობის უფროსად გაიგზავნა.

მისი მოუსვენარი, დაუღლელი და ძმაკაცური ხასიათი საქმეშიაც გამოადგა. მას არ შეეძლო ფეხი ფეხზე გადაედო, გულზე ხელები დაეკრიფა და ბრძანებები ეწერა, ან სავარძელში ჩათვლემილი დალოდებოდა სოკოსავით როგორ გაიზრდებოდა ფაბრიკა. ის თვითონ გარბოდა, თუ ინჟინერი საქმეს ვერ წვდებოდა, ან თავს ვერ აბამდა. თუ ათისთავს არ ეცალა, თვითონ იყო ათისთავი, მუშა სადილობდა თუ ჩრდილში იჯდა, დუღაბის ასაზელად ნიჩაბს თვითონ ეცემოდა, მასალა აგვიანებდა? რკინიგზის სადგურში ათენებდა და აღამებდა.

ჩხუბობდა იგინებოდა, ქეიფობდა, დაღლა არ იცოდა, წყენა არ ახსოვდა. რასაც ღებულობდა — ხარჯავდა. ცოლს ღალატობდა, თუ ამის შემთხვევა მიეცემოდა, მაგრამ არ არჩევდა, ვისთან შესცოდავდა; ოჯახში ამის გამო ატეხილ უსიამოვნებას ყურს უყრუებდა. თავისებური სიყვარულით ცოლის მეტი მაინც არავინ უყვარდა; ყველაფერს ასწრებდა, საქმეს ცეცხლს უკიდებდა. ორი დღის გასაკეთებელს ერთ დღეში აკეთებდა. ეს თბილისიდან კარგად ჩანდა. ასწიეს და სადაც მშენებლობა შეფერხდა, იქ გადაისროლეს, იქაც თავისი გაიტანა. ახლა, მთლად რომ ჩავარდა და ჩაფლავდა საქმე, იქ უკრეს თავი; არც იქ დაკარგულა და ბოლოს თქვეს, ეს აქ გადმოვიყვანოთ, ბარემ მთელ მშენებლობას უხელმძღვანელებსო.

თანდათან, ეს შენი თავზეხელაღებული და დაუდეგარი ანაპო ადეიშვილი კაბინეტში ჯდომასაც მიეჩვია და ხმამაღლა ბრძანებებსაც. ამ ბოლოს, ისე მოხდა, ტრესტის მმართველადაც გამოიჭიმა.

ფარნას მამის გარდაცვალების შემდეგ, ქვრივი დედის ახლო-მახლო, რომელსაც შემოუტეხავი შავი ნარმის კაბა ათ წელიწადს არ გაუხდია, ჭიქა სალხინოდ როგორ გაწკარუნდებოდა, და ანაპოც თავისთავად ჩამოშორდა ამაღლობლების ოჯახს, რაკი სევდა, დარდი და ანაპო ერთად არავის გაეგონა. ამას გარდა, ბოლოს სულ აქეთ, დედაქალაქში გადმობარგდა და სოფელში მიტოვებულ დედას, გათხოვილი ქალიშვილები რომ არა, მიმხედავი და ყურისმგდებელი არავინ ეყოლებოდა: იქნებ ანაპოს დების იმედიც ჰქონდა და ამიტომ იყო ათასში ერთხელ გზად გავლილი თუ შეირბენდა შინ, ისიც ერთი ალიაქოთით: ეტლით, მანქანით, არღანით და ძმაბიჭებით.

რა თქმა უნდა, სადღაც სოფელში ჩაკარგული მამიდა და მისი შვილები, ისიც მგლოვიარენი, მხოლოდ სადღეგრძელოში თუ მოჰგონებია, და ამ დროს, როცა ანაპომ თბილისში ოთხოთახიანი ახალი ბინა, მანქანა და ტელეფონი მიიღო, საიდანაც ვატუტიც გაჩნდა.

მასპინძელი ცას ეწია სიხარულით, იმ ღამეს არსად გაუშვა. მისი ორი ვაჟი და ერთადერთი ქალიშვილი, სამედიცინოზე რომ სწავლობდნენ, ვატუტის არ სცოდნია, თუ მისი ასე ახლო ნათესავები იყვნენ (ორი კურსი უკან იყო და ალბათ იმიტომ); იმავე ღამეს ანაპომ ოთხივენი და-ძმად შერაცხა და თავისი

მეუღლე, ფაშფაშა, მძიმე, მაგრამ სათნო ქალი, ვატუტის დედად გამოაცხადა.

ტრესტის მმართველი იმ საღამოსაც კარგად შექეიფიანებული გახლდათ.

ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო. ვატუტი რა ბიჭი იყო, ხელიდან გაუშვებდა ასეთ „დედ-მამას“ და ასეთ „დაძმებს“. ის კი არა და, ჯერ მამუკა (იგი უფრო ილად დაიყოლია), მერე ბაკურიც მოიყვანა ადეიშვილებთან, რომელიც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩნენ. ანაპომ რომ გადაჰკრა და გადაჰკრა, ჭერზე დააპირა ასვლა, უმცროსმა ამაღლობელებმა დაიმორცხვეს — ჭერზე სიარული ვატუტივით არ ეხერხებოდათ, — სუფრასთან მოკრძალებული ჯდომა არჩიეს, და ადეიშვილმაც, გულდაწყვეტით, მაგრამ (ღვინო სიმართლის დედაა) გადაჭრით აღიარა, თქვენ და ჩემი ბიჭები (ქალიშვილი არ უხსენებია), ფარნას შვილები ხართ და დარჩით ფარნას შვილებად. ვატუტი კი ჩემია, ჩემი მამიდის სისხლი და ჯიგარი, მაცალეთ, მაგისგან რა კაცი დადგეს, ოღონდ დაამთავროს, ერთი დიპლომის ყური დამანახოსო...

ვატუტი ახლა იქიდან აპირებდა ტელეფონით ციცოსთან დალაპარაკებას; გარდა ამისა, თუ ინსტიტუტში ისეთი რამ ხდებოდა (რასაც ყნოსვით გრძნობდა და ისევ ვერაფერი გაეგო), შეიძლება ანაპოს უამრავი ნაცნობ-მეგობრების ჩარევაც საჭირო გამხდარიყო და აქედანვე თადარიგი უნდა დაეჭირა.

ელექტროზარის ღილაკს ხელი მოკრძალებით შეახო თუ არა, კარებს გულაფანცქალებული პელო მოასკდა. საღამოობით, როცა ანაპო შინ არ იყო, კარს ვინც არ უნდა მოდგომოდა ,მუდამ იმის შიში ჰქონდა, ქმარმა ვინმე გალეშილები არ მომაყენოსო. ანაპო ღილაკს რომ თითს ღონივრად დააჭერდა, მანამ არ აიღებდა, სანამ კარს არ გაუღებდნენ, მაგრამ თუ უდროო დროს გადამთვრალი ამფსონებით მოადგებოდა, მაშინ მართლაც რომ მოკრძალებული ზარი გაიწკარუნებდა. ამ ახალშეღამებულზე დიასახლისი თითქოს გულმშვიდად უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეშინებულმა ძაღლმა, თურმე ცხრა ღამეს უყეფა მთვარეს.

პატივისცემის ნიშნად ვატუტიმ პელოს ჯერ ხელზე აკოცა (რის ნებას პელო არასოდეს არ აძლევდა, მაგრამ არც ვატუტი იშლიდა თავისას), მერე ლოყაზე, — სიახლოვის, დედა-შვილობის გამოსახატავად, და ბოლოს, ისევ ხელზე, უკვე ღრმა მოკრძალებით: მე მიყვარხარ, პატივს გცემ, მაგრამ ჩემი ადგილიც არ მეშლებაო.

ეს გულკეთილი ქალი, ქმრის ასი ტრაბახიდან ასივე რომ სჯეროდა, ცას ეწია სიხარულით.

—ვატუტი ხარ, შე გასახარელო?! — თითქოს თვალს არ უჯერებდა.

— მე გახლავართ, ქალბატონო... დედა... მე შეგაწუხეთ...

— შემაწუხე?! ვინ, შენ?!

— აბა, რას გიკეთებთ...

— რას მეუბნები, ვატუტი, შვილო, რას მეუბნები... ანაპო რომ არ ჩანს... რა ამბავია ჩემს თავს, შენ არაფერი გამოგეპარება, რა ამბავია... იქცევა ქვეყანა?

ოთახში შესვლა არ აცალა, ისე მიაყარა ქმრის და შვილების მაღმერთებელმა პელომ, ყველასაგან რაღაც თუნდაც ტყუილ დაიმედებას რომ ელოდა.

ვატუტიმ, რა თქმა უნდა, მასპინძლის გასაჭირს მაშინვე აუღო ალღო.

— არა, დედა, ასე მართლა როგორ დაიქცევა ქვეყანა!

— არა ხომ? ასე მითხარი, დედა, ასე, შე გასახარებელო! — და ოთახში შეუძღვა, სადაც მაგიდასთან მიმჯდარ ადეიშვილების უფროს ვაჟიშვილს — მალხაზს ყური რადიოსათვის მიედო და ვატუტის ერთი ამბით მისალმებაზე მარტო ღიმილით უპასუხა.

— შენ რა გითხარი, მე შენ! შენ რა გითხარი ... — ერთხანს ძალუმად ურტყა განიერ, სქელ მხრებზე ვატუტიმ, რაზეც მალხაზმა ზურგი ისე გადრიკა, თითქოს ნაპატიებ, თეთრ გამოუქნელ მოზვერს საურველი დაუსვესო.

რადიოს და გაზეთებს სახარბიელო ცნობები ვერ მოჰქონდათ. ეს ბიჭი, ომი კი არა, მაგიდაზე გოგორა პური რომ დაგედო, მთელი დღე მშიერი უტრიალებდა და თუ დაუჭრელ პურს რაიმე მოეხერხებოდა, ვერ მოისაზრებდა.

ვატუტის მართლა გულწრფელად შეებრალა ეს ალალი ბიჭი, მაგრამ ომი მისი დაწყებული ხომ არ იყო, გულისტკივილი, ან სინდისის ქენჯნა ეგრძნო, და დედას, აქაო და ერთი დღის ბედნიერებაც ბედნიერებაა, ომი ისე დაუხატა, თითქოს რიკ-ტაფელას თამაში თუ არა, ჯორი და მოჯორობიაზე უარესი რამ მაინც არ უნდა ყოფილიყო.

— იმედს მაძლევ შვილო, იმედს... იმედი არ მოგეშალოს ... — იმეორებდა გუნაბადაწმენდილი დედა და ამოდენა ქალი სამზარეულოში ისე მკვირცხლად შერბოდა და გამორბოდა, ჭერზე ჭაღი ირწეოდა, კედლებზე კი ათიოდ ნათურის და ბროლის ათინათები რიალებდნენ.

მაგიდაზე დამხობილ მალხაზს, ცალი ყური ხმაჩაწყვეტილ რადიოზე მიედო, მეორე ვატუტისაკენ მიეპყრო. ორივე ერთსა და იმავეს ლაპარაკობდა, მაგრამ ერთმანეთისაგან ისე განსხვავებულს, თითქოს ერთი — სატირალიდან გადმოსცემდა და მეორე ქორწილიდან დაბრუნებულიყოს. ბიჭი ორივე ამბავს დედასავით განუსჯელად ღებულობდა და შესაბამისად, თეატრალური ნიღაბივით ფართო, თეთრი სახის ერთი ნახევარი უტიროდა და მეორე უცინოდა.

— ზურაბი!.. ჩემს ძამიკოს რატომ ვერ ვხედავ? — თვალებად გადაიქცა სტუმარი.

— დედა, შვილო, გაკლია ხომ თვალში?..

— მაკლია კი არა, ერთი სული მქონდა, აქეთ რომ მოვდიოდი...

— რა ვიცი, შვილო რა მჭირს, — ფერი ეცვალა ამოდენა ქალს, — ბაქოშია მივლინებით. ახლა მაგის დრო იყო, ოქცევა ქვეყანა?..

— იგი, დედიკო ხომ ომის დაწყებამდე იყო მივლინებული, — ისე აღელდა მალხაზი და იმასაც ისე შემოენთო სახეზე სიწითლე, ვატუტი სახტად დარჩა.

— უი, მართლა!.. — წამოიძახა სტუმარმა, და ამ ორი, ფართო სახის სიწითლე რომ წაეშალა, შუბლში ხელი შემოიკრა.

— რა იყო, შვილო?.. — კინაღამ ელდა ეცა ისედაც დარდით დაზაფრულ ქალს.

— არდაძეებისას უნდა დამერეკა... — კედლის საათს მიაშტერდა, თითქოს დანიშნული დრო ჰქონდა და გულზე გადავარდნოდეს.

— არდაძე რომელი, სახალხო კომისარი რომ იყო!

დიახ, · მარგალიტა ალხაზიშვილის ბინაში...

— მარგალიტა, მომღერალი რომ არის? ანაპო შეაჩვენა ღმერთმა ... — ახლა ქმრის მაგიერ გაწითლდა, — მერე ... — პელო დაიბნა, ვერ გაიხსენა, რომ ვატუტის ოდესმე რაიმე ეთქვას არდაძეებთან ახლობლობაზე.

— მათ ქალიშვილს მინდა ველაპარაკო... — ეს ისე თავდაჯერებულად თქვა, პელო ისევ დაიბნა, თითქოს რაღაც ვიცოდი, და რა ღმერთი მიწყრება, მახსოვრობა რატომ დავკარგეო.

— კი ხომ...

— რაღაც ინსტიტუტის ამბავი მინდა ვკითხო...

— აჰა, თქვენთან სწავლობს, არა? ჩემი ხათუნა ამბობდა, რავა მთლად გამოვყრუვდი. ხათუნას, პირდაპირ არ ვიცი, ისე მოსწონს ის გოგო. მალხაზიზე ვამბობდით რაღაცას...

— დედა, მე რა შუაში ვარ?

— არა, სერიოზულად კი არაფერი ... — გადააქორქოშა დედამ უადგილო ადგილას წამოცდენილი სიმართლე, — ნამეტანი კარგი გოგოა, შვილო ვატუტი...

— ჰო, კარგი გოგო ეთქმის ... — მხრები აწურა, ჩემგან არ ეგების, თორემ იცოცხლე, კარგი ვინმე იყოსო.

 

თან, ამათ თუ კიდევ რჩებოდათ თვალი არდაძეების ქალიშვილზე, ახლავე ხელი უნდა დაებანათ.

— ერთ კურსზე ხართ?

— ერთ მერხზე ვზივართ ... — ღიმილით დააზუსტა და მაღლა აიხედა, თითქოს ჭალი ხომ არ გამოგიცვლიათო, თუმცა კაცმა არ იცოდა, ჭალი რატომ უნდა გამოეცვალათ, რომელზეც უკეთესიც მის ნაცნობებში არდაძეებს თუ ჰქონდათ.

— მართლა ისე გაქვს, შე ეშმაკო, საქმე იმ გოგოსთან? ... — ისეთი ალერსიანი დატუქსვით წამოდგა პელო, შეფაკლულ ლოყაზე ვატუტის ხელი მოუთათუნა და ამ ქმარ-შვილის ერთგულებით თვალდაშრეტილს, ქალიშვილობისდროინდელი, დავიწყებული ეშმაკობის სხივმა სახეზე ბროლის ათინათივით გადაუარა.

— არაფერი დედა, ხომ გითხარი:..

— კარგი, კარგი ... დარეკე, მე მივდივარ!

— იყავით, იყავით, ისეთი კი არაფერია... — არა და თვალებით დედა შვილს აშკარად ემუდარებოდა: არიქა, მიშველეთ, მარტო დამტოვეთ ჩემს უკიდეგანო საიდუმლოებებთანო.

— არა, შვილო, საქმე მაქვს. დღეს შენ ისე გამახარე ... თუ ამ უბედურების დროს რაიმე გამახარებდა, არ მეგონა ... მალხაზი ხელს არ შეგიშლის...

ისევ ათამაშდა კედელზე ნათურების და ბროლის ათინათები.

ვატუტი ტელეფონთან წუთით შედგა, ფიქრში ერთხელ კიდევ შეამოწმა თავისი სათქმელი და მერე ნომერი გაბედულად აკრიფა.

## IX

„ემადინი" შოფერს მოზდილი, თეთრად შეფეთქილი სახლის წინ გააჩერებინა.

— მოვედით ძმობილო, მოვედით!

— კაცო, ეგ რა მემართება, სულ მეშლება და მეშლება: ვამბობ, არ შემეშალოს, ვხედავ ისევ მეშლება!

— ხდება საქოჯან, ხდება...

— უარესებიც ხდება, ხაზეინჯან!

ვისაც ანაპო მანქანაში სვამდა, საქო ყველას ასე ეძახდა, ე მანდ მართლა დიდი ვინმე არ იყოს, რა თავი ავიტკიოო, მაგრამ ვატუტის ეს „ხაზეინჯან" ჟრუანტელს გვრიდა. ახლაც მხრებში გაიშალა და კაბინის კარი ნება-ნება გააღო, შოფერს მოგვიანებით, წყალობასავით უპასუხა:

— ხდება ძმობილო, რა აღარ ხდება...

— აბა, ძალიან ამბები ხდება... — თავი გადააქნია საქომ, — ეე, გუშინ გენახა, ხაზეინ, რა ამბები ტრიალებდა. ვიდექი აი, როგორც ახლა შენა გხედავ, ასე ვიდექი და ჩემი პატარა... იმაზე კი არ გეუბნები, შურდულისათვის კამერები რომ დამიჭრა, მასზე უმცროსიცა მყავს. იმ პატარა ბიჭივით ვღრიალებდი.

ვატუტი ამ ბნელში ვერც ხეირიანად ხედავდა მოსაუბრეს და არც ის იცოდა, რომელმა შვილმა დაუჭრა კამერები, არც ის, ჰყავდა თუ არა კიდევ პატარა, მაგრამ მანქანიდან გადადგმული გამრუდებული ფეხი ისევ უკან შემოიტანა.

— ეგ რაო, საქოჯან, შენ და ტირილი?!

— აბა კაცო, რა გული მქონია ეგ სატიალე, რომ გეკითხა, არ ვიცოდი.

— მერე და რაზე, საქო?

— რაზე? რაღა რაზე, სადგურზე ხაზეინ, ამოდენა ბიჭები რომ წაიყვანეს...

— ჯარში გაიწვიეს?

— ომში.

— მერე და შენ რაღა გატირებდა?!

— რაღა რა მატირებდა, ქვეყანა იმდუღრებოდა... დედა ვნახე, ხაზეინჯან, დედა ვნახე!.. აი. სულ დედაჩემი იყო. ბარემ მეც ზურასთან წავსულიყავ... გულიანი, გამტანი ბიჭია, ხაზეინ-მაზეინი არ იცის, და თანაც იმ დედის ცრემლი, არა? დედაჩემისად შემერგებოდა...

— ვინ ზურა?

— ჩვენი ზურა, კაცო! ხაზეინის ბიჭი, ზურა!

— ანაპოს ვაჟი?! — ვატუტიმ ყურებს არ დაუჯერა.

— მაშ, კაცო...

— გაიწვიეს?! საქო, ხომ არაფერი გეშლება?

— კაცო, რა მეშლება, ეშელონები ეშელონებზე მიდიან...

— მერე, ზურაბი?

— ჰო, ჩვენი ზურა. ჩემი აი, აგეთი ძმაკაცი... ვიტირე, მაგრამ როგორ? რა გული მქონია ეგ ოხრად დასარჩენი, ეგ რა გულის პატრონი ვყოფილვარ...

— მერე, მე რომ მითხრეს... მივლინებაშიაო...

— აა, მართალი ხარ ხაზეინ, ამას ხომ პელო დეიდას არეუბნებიან.

— არ ეუბნებიან?!

— როგორ შეიძლება! ვითომ ბაქოში გაგზავნეს. იქ მართლაც უნდა წასულიყო, ეგ ხომ ინჟინერია. ახალი ხიდები უნდა გამოეცადა. ახლა მაგეებისთვის ვიღას ცხელა!.. კიდევ უარესი გითხრა, იმ შენ მალხაზსაც, მეორე ძმას, უწყება ჯიბეში უდევს.

— ბარემ ზურასთან ერთად რატომ არ გაუშვეს?

— მოიცა, კაცო! ამოდენა ზღვა ხალხსა, ერთ დღეს ხომ ვერ წაიყვან... თან ხაზეინს ქვეყანა იცნობს: ერთხანს ეს მეორე მაინც მაცალეთო... მაგრამ დეიდა პელოსთან არაფერი ითქვასო. მაგის გული და ჩიტის გული ერთია. პირველად რომ ასე გაგზავნეს...

— ჯარში იყო?

— არა, თავის საქმეზედა.

— მართლა მივლინებაში იყო?

—ჰო, სტუდენტობა რომ დაამთავრა, ადგნენ და გაგზავნეს. პელო დეიდას მაშინაც გული გაუსკდა. დაბრუნებამდე აგრე გულგახეთქილი იყო...

— ეს ამბავი ვიცი...

— ახლა ამეებს როგორღაც მიეჩვია... ერთ კვირაზე უკან ელოდება.

— კარგი, კარგი!.. — ვატუტი მანქანიდან ჩამოვიდა, — ნამეტანი არაფერი ვარგა.

— იცოცხლე ხაზეინჯან!

მანქანა წავიდა.

ვატუტი ერთხანს ტროტუარზე იდგა, შოფერმა თეთრად შეფუთქილი შენობის ფონზე არ დამინახოს, რომ აქედან გზას ფეხით უნდა გავუდგეო, შეჩერდა, და როცა „ემადინი" გაუჩინარდა, ოთხი სახლი უკან მოიტოვა და ვიწრო ჩიხში შეუხვია.

„საცოდავი ქალი, სანამდე უნდა დაუმალონ... ჩემს ძმებს, ალბათ, სამივეს წაიყვანენ? ყოველდღე მოიწვევს... უკან დახევა და გარეკვა კი არა, შეჩერებაც არ მოხერხდა... ახლა ამოდენა ჯარი თუ მიასიეს, შეაჩერებენ, აბა რა იქნება!.. ამდენმა კაცმა, თოფი სულ რომ არ გაისროლოს, ისე გადარეკავს მტერს. რაა მართლა ეს გერმანია... ვიღაც-ვიღაცეები კიდევ ჰყავს ჩათრეული ამ ომში, მაგრამ ჩათრეული კაცის ომი რა ომია... იქით არ შეუბრუნოს თავისივე იარაღი... ნეტავ ეს ფეხი საოპერაციო არ მქონდეს, მეც წავიდოდი. თუმცა სამხედრო ჩინ-მედლებზე არასოდეს არ მიფიქრია... ისე, თუ ვინმეს სამხედრო საქმე და გამოწკეპილ-გამოჯგიმული ყოფნა უყვარს ელიტას ქმარივით..."

ელიტა!

ყოველთვის ასეთ დროს, ღამით შექეიფიანებული რომ ბრუნდებოდა შინ, ელიტა მაშინ მოაგონდებოდა ხოლმე და პირზე მსუნაგი ღიმილი დაეკერებოდა. მერე, თავის სოროში, სარკის წინ რომ დადგებოდა, ათასი ფიქრითა და გეგმებით თავგამოტენილი, ელიტას მუდამ ამ ღიმილით იხსენებდა.

„მამაჩემს ეშინია ამ ქალს არ გადაეკიდოსო. იქნებ ამას მოჰკრა ყური, კაპიტანმა რომ ბაკურს მოსცხო..."

ქუჩის პირზე მოფოხილ ხუხულის წინ შეჩერდა. გასაღები მაშინვე იპოვა, ოთახში შეძვრა და სინათლე აანთო.

ორი საწოლი. ერთი ფიცრული მაგიდა. ბაკურის ლოგინის თავზე ერთადერთი ღერი ფიცარი — თარო, წიგნების სიმძიმით წელში რომ გადრეკილიყო, და ვატუტის საწოლის საფერხულის თავზე — სარკე. კარებში შემოსული, ერთ ნაბიჯს გადადგამდა თუ

არა, თავისთავს მიაჩერდებოდა, განვლილი დღიდან მნიშვნელოვანს იხსენებდა და იმ წუთებში როგორ ეჭირა თავი, ამას სარკის წინ აღადგენდა.

„ძალიან კარგი ხმა ჰქონდა დღეს ტელეფონში ციცოს, — უსიტყვოდ უთხრა ორეულს, — ჰა, რას იტყვი?“

ორეულმა თავი დაუქნია.

ოთხკუთხედი, იაფფასიანი სარკე, ძმებისაგან გამორჩეულ მის მრგვალ, ფერთვან სახეს კიდევ უფრო ამრგვალებდა.

— მართლა მეორედ მოსვლაა, თუ რა ამბავია! — ჰალსტუხი შეისწორა. პიჯაკის საყელოზე რაღაც ბეწვი მოეჩვენა და წკიპურტით მოიშორა, — რამ დაუტკბო ხმა ასე ამ გოგოს... „ფეხის ოპერაციას ჯერ ნუ გაიკეთებო“, ესეც ხსომებია? ინსტიტუტში ყველა დაძახებულია, შეიძლება დამთავრება არც გვაცალონ, ომში გვიკრან თავიო... ქალებს, ცხადია, არ გაგზავნიანო...

ორეულისაკენ წაიწია, ყურადღებით ჩააჩერდა.

„შარვალი მანქანის ჩავარდნილ სავარძელში დამეჭმუჭნებოდა, ლეიბის ქვეშ გასწორებული უნდა შევდო. მაგრამ ბაკური რომ არაა, მე ხის ტახტზე რა გამათენებინებს“.

„ასეა, მამაჩემო, სანამდე გინდა, გავძლო ამ ვირთხის ხვრელში, რომლის ქირასაც ნახევარს ელიტა იხდის...“

სარკეში, კარებთან თეთრი ქაღალდის ყური მოეჩვენა. მკვირცხლად მობრუნდა და წამოიძახა:

— ელიტა!

კარების ქვევიდან თეთრი, ქათქათა ფურცლები შემოეცურებინათ, ერთერთზე უნებლიეთ ფეხი დაედგა, ტერფი კარგად აჩნდა, ქუსლი — მკრთლად.

„სადა ხარ!“

„სადა ხარ!“

„სადა ხარ!“

სამივეზე ერთი და იგივე ეწერა.

„სამჯერ ყოფილა დღეს. რა მოხდა? კაპიტაპიც ომში გაიწვიეს?“

— ელიტა, შენ რა გითხარი, მე შენ! — ორეულს მიუტრიალდა. კვლავ ის მსუნაგი ღიმილი მოეფინა სახეზე, ელიტას გახსენებისას რომ დასჩემდა.

— მე რომ შენი ამბავი ვიცი, კიდევ მოხვალ... შე ცუგრუმელა, შენა! — სარკეში ისევ იმ ღიმილს გამოესაუბრა, როგორც ელიტას კუთვნილებას:

— შენ თუ წმინდა სული ხარ რატომ გიგრძნო შენმა ხორცსავსე ტანმა, რომ აქა ვარ? გულთმისანი ხარ, შე კალთამადლიანო, გულთმისანი! — ისევ და ისევ მიუმატა ელიტას ღიმილს ახლა „გულთმისნობისა“ და „კალთამადლიანობის“ ღიმილი.

— მოდი გენაცვალე, მოდი, რა ვქნა აბა .. მეც ხომ ცოდვა ვარ, — ისევ თავის თავს შეაჩერდა, მართლა ელიტას ხომ არ ველაპარაკებიო და დაუმატა გამქირდავი ღიმილით: — შე კაცთმოყვარე შენა!..

საწოლზე ჩამოჯდა. ერთადერთი სკამი ელიტას დაუტოვა.

— მოხვალ შე ტურა, იცი, რომ აქა ვარ. შენ კი არა, შენმა სხეულმა იცის. ისიც იცის, მარტო რომ ვარ. ბაკური ჩამოსული რომ იყოს, აქამდე დაბრუნდებოდა. მე ვაგვიანებ ხოლმე... შენმა ტანმა ყველაფერი იცის უცუგრუმელესო ცუგრუმელა...

„ცუგრუმელას“ ყოველთვის ხშირად იმეორებდა. ფიქრშიაც და თვითონ ელიტასთანაც, თუმცა არაფრით ამ ქალს ეს არ შეეფერებოდა, ხოლო ვატუტის მუდამ ვნებიან გუნებაზე აყენებდა.

## X

თითის წვერებზე შეწკიპულმა ელიტამ კარი შემოაღო და სანამ თვითონ გამოჩნდებოდა, წინ მისივე სავსე მკერდი შემოუძღვა. სახეს ჯერ საღებავი უფარავდა, მერე სიხარული და ამ სიხარულზე თხლად წაფარებული ნაძალადევი გულმოსულობა.

— უსინდისო! — თქვა, ბეჭები და ტანი შეარხია, თავი გადააქნია, თითქოს მოკლედ შეჭრილი თმა თვალებში

ჰქონოდა ჩამოყრილი და უკან გადაეყაროს.

— ცუ-გრუ-მელა! — წინა ორი მარცვალი ხაზგასმით გამოჰყო, ბოლო ორი — „მელა“ განგებ გამოკვეთილად, ერთად წარმოსთქვა ნებიერად გაიზმორა და ქალს თავისი ჩვეული ღიმილით, კისერმოღრეცილი, გამომცდელად მიაჩერდა.

— ფისოსავით რომ იცინი?! — ელიტა მის ღიმილს რატომღაც „ფისოს ღიმილს“ ეძახდა და კაცმა არ იცის, სად ენახა კატა, რომელიც ვატუტის ორჭოფული, გამქირდავი, ვნებიანი სიცილით იცინოდა.

— არ დაჯდები?

— არა! .. სად უნდა დავჯდე!

— აგერ, ჩემთან...

— არა ... აქ სკამზე პიჯაკი გადაგიდვია.

— მოდი გაკოცო...

— არ გამაგიჟო! .. საკოცნელად კი არ მოვსულვარ! .. — მუხლებზე ჩამოუჯდა და ლოყა ტუჩთან მიუტანა, — ვიფიქრე, სად დაიკარგა-მეთქი!

— როგორ გაიგე, რომ ჩამოვედი, თუ შენ ჯადოქარი არა ხარ და ჭკუა არ გდის და გადაგდის? ... — ვატუტიმ იცოდა, ვისაც რა აკლია, ის უნდა მისცე, და ამ ქალსაც იმას არაფერი ერჩია, როცა ეუბნებოდნენ: საზრიანი ხარ, გულთმისანი, მიწაში რაა, ის იციო... აბა, ფერ-ხორცი გაქვს, თურამაულის ვაშლივითა ხარო, რომ გეთქვა, ეს რად უნდოდა. სარკე იქვე არ იყო?..

— ჰო, შენ გგონია, მე ვერაფერს გავიგებ! — წელი გადრიკა, თავი დაიქნია და ისევ გადაიყარა, ვითომ წინ გადმოყრილი თმები.

— ვინ თქვა, რომ ვერ გაიგებ! — შეიცხადა ვატუტიმ, მაგრამ სახიდან „ელიტას ღიმილი“ არ მოუცილებია, — მიწის გულში რაა, ის იცი, მაგრამ მაინც, მაინც ...

— ჩიტმა მითხრა.

— ჩიტის ენაც რომ იცის! — სარკისკენ მიიხედა, თითქოს იქ მეორე წყვილი მჯდარიყოს და მისთვის აეხსნას, თქვენ რომ ასეთი და ისეთი ვინმე გგონიათ, უყურეთ რა ჭკუის კოლოფიათ.

— სომხის ბიჭმა მითხრა.

— ფოსტალიონმა?

— დი-იახ, არტაშამ.

„ალბათ ასაჩუქრებს იმ ბიჭს“..

— მაგრამ მე რომ ამ საღამოს ჩამოვედი და ჯერ შინ არ ვყოფილვარ?

— ყველა შენი ფეხის ნაბიჯი ვიცი...

— ჩემო ჭკვიანო, ჩემო ყოვლის მცოდნევ! — ხელები მოხვია და გულზე მიიკრა.

— გამიშვი, დამანებე თავი, შენ მეტი არაფერი გახსოვს ... — მკლავები მხრებზე დააწყო, — სადგურზე დაუნახიხარ, რატომ იდექი იქ?

— კომკავშირის კომიტეტის მდივანს ველოდებოდი ...

— მერე სად წაბრძანდი? ნუ მიჭერ ხელებს ... მკერდსაკრავი არ გამისკდეს.

— ადეიშვილებთან ვიყავი.

— მერე აქამდის იქ რას უჯექი!

— მისი ვაჟი გაუწვევიათ ჯარში და პელო დეიდას ვადექი თავზე. ნემსებით ძლივს მოვაბრუნე ...

— რა უბედურებაა ეს, ვატუტი, კოლია იმ დილასვე ... წავიდა. კოლია კი არა მთელი ნაწილი ...

— რა, ფრონტზე წაიყვანეს?

— ვინ იცის, ჯარებს ხომ ერთ ადგილზე არ დატოვებენ ასეთ დროს ... კოლიას მაინც არ უნდოდა აქ გაჩერება.

„ალბათ ამის მიტოვებაც უნდოდა“..

— რას იზამ, ომი არც მე დამიწყია და არც შენ ...

— ჰო, ვატუტი, მე რა შუაში ვარ ... მითხარი, მთელი ღამეები არ მძინავს. ჩემი ბრალი ხომ არაა-მეთქი. მე, შენც იცი, შვილი რომ მყოლოდა ... შენ კაცი ხარ და ვერ გაიგებ, რა არის ქალისათვის უშვილობა ... რას არ ჩაგადენინებს ...

— ვიცი, ვიცი და ვინ გადანაშაულებს ...

ამ საუბარმა ის „ელიტას ღიმილი“ გაუქრო. ერთხანს ასე, ქალის ლოყაზე

ცხვირმიდებული უძრავად დარჩა. მაგრამ მალე ისევ ნელსაცხებლების სუნი იგრძნო, მერე ქალის — სუნამოებისა და სალებავების მიღმა რომ უნდა ეძებნა, ბოლოს ყველაფერი ერთად — ბანგად ექცა.

„მე კი არ დამავიწყდა ომი ...“ — ესლა გაიფიქრა, ბუნდოვნად ისიც გაიხსენა, ელიტა ქმარზე რომ ეჭვიანობდა: მოხუცი პოლკოვნიკის ახალგაზრდა ცოლთან ცეკვავს ოფიცერთა სასახლეში და მე კი იმდენ ყურადღებასაც კი არ მაქცევს, რამდენსაც თავის აზიურ ჩექმებსო.

— რა დაგემართა, ვატუტი?

— არაფერი, შენზე ვფიქრობდი ...

— უსინდისო ...

— შენს თავს ვფიცავარ!..

— ჩემზე იფიქრე მაშინ, როცა შენთან არა ვარ.

— მაშინაც და ახლაც.

— ჰო, მართლა, შენები როგორ არიან.

— რა ვიცი, რა უშავთ.

— მამაშენს გაუგია?

— ბაკურმა უთხრა, მგონი...

— მერე?! — წამოვარდნა დააპირა, მაგრამ ბიჭმა არ დაანება.

— მერე და ,ახლა მაგის თავი ვიღას ჰქონდა?

— ჰო, კიდევ კარგი ... მაშ სულ არაფერი არ უთქვამს?

— რაღაც ისე, გადაკრულად ...

— როგორ მეშინოდა... კარგი, კარგი, რაკი ყველაფერი კარგადაა, — მკლავები მოუჭირა, — გამიხსენი ეს დასაწვავი, ლამის ორად გამწყვიტოს!

ვაჟმა ზურგს უკან, ღილებს მაინც დუნედ დაუწყო ძებნა, რაც აქამდე არასოდეს დამართნია. ქალმა ქორივით დალესილი ფრჩხილები იღლიის ქვეშ შეაპარა, ჯერ თვითონ აკისკისდა, მერე — ენერგიულად შეუხიცინა, რაც ვატუტის გულის შეღონებამდე ახტუნებდა და აცინებდა.

ახათხათებული საწოლზე გულაღმა გადავარდა და გულზე მიკრულ ელიტას ხელები მაგრად მოუჭირა, რომ ისევ შეხიცინების საშუალება არ მიეცა, თვალებაცრემლებულმა ჭერს ეს უთხრა: „მიყვარს, მამაჩემო, ეს კარგი ცხოვრება და მომკალი თუ გინდა“...

XI

მომღერალ მარგალიტას შავი, გრძელი კაბა ეცვა, კოჭებს რომ უფარავდა. მკერდზე, ძალზე თავშეკავებულად მიებნია სამკაულები, ჯერ ადრე, რევოლუციის პირველ დღეებში, და მერე, ამ ბოლო დროსაც რომ უფრთხოდნენ, ვინ იცის, ვის როგორ მოეჩვენოსო! კაბას მაღალი საყელო ჰქონდა, რომ კისერზე შესეული ნაოჭები დაეფარა; მაგრალიტას თავი მაინც მაღლა ეჭირა, იმ ნაოჭებსა და ნიკაპქვეშ გაჩენილ ხანდაზმულობის ღაბაბს არაფრად აგდებდა.

შავი ფერის კაბა მის ჭკნობაშეპარულ, მაგრამ ვარდისფერ სახეს სცენაზე რაღაც ახალგაზრდულს უბრუნებდა, მაგრამ სახლში, სტუმრების მომლოდინეს, თითქოს არ უნდა დასჭირებოდა ასეთი თეატრალურობა და, როგორც მიღებული იყო მუშურ-გლეხურ სახელმწიფოში, ისე სადად და უბრალოდ უნდა გამოწყობილიყო. მაგრამ ცნობილ მომღერალ ქალს თავი ამაყად ეჭირა, ყველას აგრძნობინებდა, რომ ის ხელოვანია.

და თუ დღეს, მისი მეუღლის დაქვეითების შემდეგ, სახალხო კომისრების ან ტრესტების მმართველების ცოლები დააპირებდნენ მისთვის ზევიდან გადმოეხედათ, უნდა სცოდნოდათ — მათი მეორე ნახევრები რომ დააქვეითონ, მოხსნან, ან რაიმე კიდევ უარესი დაემართოთ, იმათ იკითხონ, ქმრის თანამდებობის მეტი რომ საამაყო არაფერი აქვთ, თორემ მარგალიტა ალხაზიშვილის ქმარი — მექი არდაძე რომ კომისარი იყო, თვითონ მაშინაც მარგალიტა ალხაზიშვილი გახლდათ. ქალს თავი ახლა წინანდელზე მაღლა ეჭირა.

მექი უფრო დარცხვენილი ღებუ-

ლობდა სტუმრებს, თითქოს უნდოდა ეთქვა — კი ვიძახი, ცამდე მართალი ვარ, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე, სულო ცოდვილო, კარგი ცხოვრებისაკენ გამექცა თვალი, მაგრამ ეს დალოცვილი, ახალი ცხოვრება, მართლა სიშიშვლეს და სიტიტვლეს ხომ არ ნიშნავსო!

წვეულება, თავისი დაქვეითებიდან დღემდე რომ არ გაუმართავს, ახლა ბედთან შერიგების, მეგობრებზე და კოლეგებზე გულისმობრუნების წვეულება იყო; რაკი კამეჩთან მოჭიდავე ხარს რქები მაინც არ შერჩება და ამის გარდა, ომიც კარზე მოგვადგა, ბევრი გაიწვიეს, უფრო მეტს ალბათ კიდევ გაიწვევენ, ვინ იცის, საქმე როგორ დატრიალდეს, თუ მთავრობაში საჭირო ვიქნე და არავინ გამიხსენოს, თითო სიტყვა რომ შემაწიოთ, ამისათვის ენას არავინ ამოგგლეჯს ქვეყნის მოღალატეობა ჩემთვის არავის დაუწამებიაო.

გარეგნულად ამ პურის ჭამას ქალიშვილის დაბადების დღეობა ერქვა, მაშინ რომ კანტი-კუნტად იმართებოდა, რაკილა საზეიმო, საჯარო ქეიფებს და ღრეობებს ერიდებოდნენ, მით უმეტეს თანამდებობის პირები.

სიმართლე მხოლოდ შინაურებმა და უახლოესმა ნათესავებმა თუ იცოდნენ,რომელთაც, რა თქმა უნდა, პირზე ბოქლომი ედოთ. ციცოს დაბადების დღე მოახლოებულიც კი არ იყო, მაგრამ თავი და თავი მიზეზი ამ თავყრილობისა, მაინც ისევ ციცო იყო, ინსტიტუტმა რომ გააფრთხილა, ქალაქიდან ფეხი არსად გაედგა, უახლოეს დროში შეიძლება სამხედრო ჰოსპიტალში და ვინ იცის საფრონტო საველე სანიტარულ ნაწილებშიც გაეგზავნათ; ცნობილ მომღერალს და ყოფილ სახალხო კომისარს თავიანთი ქალიშვილი საამისოდ არ ემეტებოდათ, ამიტომაც იყო, რომ მარგალიტამ შვილს ყელში ხელი წაუჭირა: ვინმე ისეთი ხომ არავინა ჰყავს, სახელდახელოდ ქორწინება მოვაწყოთ, თუ ქორწინებამ არ გიშველა, იქნებ მაშინვე აგყვეს მუცელი, ან ცნობის აღება მაინც მოხერხდესო.

თავის თავზე შეყვარებულმა ნებიერამ მხრები აიწურა: ნეტავ ვინ უნდა იყოს ისეთი, ჩემთვის სიყვარულის ახსნა გაებედაო.

— მაინც, მაინც, შენ არა, შენ ვიცი, რომ არა, მაგრამ თავის მხრივ ვინმეს არ უყვარხარ? ეს სიყვარულით უნდა გაკეთდეს, თორემ, ეხლა რომ მაჭანკლობა და შუამავლობა გავმართოთ, ხომ მაშინვე გაჩნდება ეჭვი და ვინ იცის, კიდევ რას რა კუდი გამოებას!..

— თავის მხრივ იქნება ვიღაცა, აბა რა იქნება?! დედაჩემო, რავა ისე მეკითხები, ვითომ მართლა არ იცოდე, განა ერთი და ორია მაგისთანა?!

— მაინც?..

— რა ვიცი ...

— რა არ იცი! ყურში გესმის, შენ, რა ამბებია და თვალში იხედები?

— მერე რა ვქნა, რომ მესმის და ვიხედები?

— ძალიან რომ გაჭირდეს, ვინმე ისეთი თუა?

— რა ვქნა, დედაჩემო, როგორ გითხრა ...

— მე შენ ის ხომ არ გგონივარ, ჩვენი მეზობლების ყრუ დიასახლისი ქალები ..

— რომ არ მგონიხარ ...

— ჰო და თქვი. ვიცნობ მე, ჩვენთან დადის? აქ, ნოშრევანთან რომ გზააბნეული უჭულ-ბუჭულები ირევიან, იმათგანი არავინ იყოს, იცოდე! ის ფეხმოქცეული რომაა, რაღაცას უშნოდ რომ არტისტობს და იპრუწება, ის საერთოდ არ დამანახოთ!.. რას აკეთებს, თვითონაც ჩხაპანის?

— არა, დედა, ის ჩვენთან სწავლობს...

— ვიცი, ვიცი. ეს კარგია, საქმე ჰქონია ... მაგრამ, მაგრამ ამ ჩემი სულელი ბიჭივით თავქარიანებს რას დასდევს?

— მისი ძმა დადის აქ, ნოშრევანის კურსელია. ნიჭიერიაო, რომ ამბობენ.

— კაი, კაი. არ გამიგონია მაგათი ნიჭი მე ...

— ასე ამბობს შენი ვაჟიშვილი, თორემ მე კი არ მითქვამს.

— მერე იმ ფეხმოტეხილ კოხტაპრუწას რა უნდა, ძმას მწყემსავს? მწყემსვა რომ შველოდეს, ქორივით, ვადექი შენს ძმას თავზე, მაგრამ რა გამოვიდა? ახლა იძულებული ვარ, სახლიდან რომ არ გამექცეს და ქვეყანაში თავი არ მომჭრას, აქ მივიღო ეს ამდენი შუშტრუკანები, მთელი ღამე რომ ქაქანებენ და იატაკზე დორბლი ცვივათ. გაწყდა მოსამსახურე გოგო წელში, იქაურობა რომ იქაურობას დაამგვანოს.

— აქ სარძლოცაა მისი, იმ მამუკას საცოლე.

— რომელი?..

— აი ის, დიდრონი ცეცხლოვანი თვალები რომა აქვს, შენი ვაჟიშვილი იმაზეც იძახის, ნიჭიერიაო.

— ჰო, ის კარგი გოგოა, მაგრამ პატარაა ... შენი ტანის რომ იყოს ... ჯანდაბას მათი თავი. მართლა ის რა იქნა, ადეიშვილის მუტრუკი რომ გირეკავდა?

— მალხაზი?!

— ჰო.

—ის, დედაჩემო, ჩემზე მგონი ათი წლით უფროსია.

— მერე, რას უყურებს, არ ირთავს ცოლს?

— რისი ცოლის შემრთველია, აუტეხავენ სახლში ერთ უბედურებას, მიადენიან ტელეფონთან, აიღებს და მირეკავს: ხომ არ გამოხვალ, ციცო, კინოში წავიდეთო. მივალ, ვზივართ კინოში, მიჩერებია ეკრანს, წამომიყვანს მოსახვევამდე, თქვენებმა არ დამინახონო და მიმატოვებს. რა მოხდა, დაგინახონ-მეთქი, ვეუბნები, გაწითლდება. ამოდენა კაცი რომ გაწითლდება, მთას ცეცხლი მოეკიდა, მგონია და მიდის. იგი ცოლის შემრთველია? ან რა ყრია, დედაჩემო, იმ ტიპში. ერთი აწოწილი ვინმეა და მეტი არაფერი.

— სამაგიეროდ, რომ შეხედავ, კაცია.

— ასეა რომ გეუბნები, ექვს თვეში ერთხელ რეკავს.

— აბა, ამას რა უნდა, ამ კოჭიტარას? აქ რომ ტრიალებს, არც მორიდება იცის, არც თავმოყვარეობა გააჩნია:

— რა ვიცი, რა უნდა?

— ახლავე მითხარი, თავი თმებით არ მათრევინო!

— იმას ის ფეხი ...

— რა, დაბადებით კოჭლი არაა?

— არა, დედა, მონატეხი აქვს და ცუდათაა შეზრდილი. ერთი კარგი ქირურგის ოპერაცია და ...

— აჰა, თურმე რატომ დასუნსულებს და შემპარავად რატომ ბლიტავს თვალებს ...

— რა თვალებს ბლიტავს, მოკრძალებული ბიჭია. აბა იმ გიჟ-პოეტივით ხომ არ მოიქცევა, რომ გაგივლიან და ზედაც არ შემოგხედავენ? არც ის ვარგა, მოსახვევიდან გაიქცა ... ის დრო ხომ არაა და არც ჩვენი ოჯახი... მართლა და, ყრუ და ბნელი ხომ არა ვართ! ...

— არც ისინი უქნია ღმერთს და მაგი ხომ... რომ დადის, კუდით თავის ნაკვალევს შლის. რაღაც ნამეტანი ქლესაა, ხელი რომ შეახო, ლორწოიანი იქნება, მგონია...

— კარგი, დედაჩემო, რა მომსპარი ენა გაქვს!

— იმაზე დაგიდგა, გოგო, საქმე?!

— მე არაფერი არ დამიდგა... შენ რომ იცი, ისაა...

— სხვა?

— სხვას არ იცნობ და რა გითხრა... ჩემს ნათქვამს ენდობი და დაიჯერებ?

—ამ დღეებში ჩვენ წვეულება გვექნება და დაუძახე, ვინც ისეთი გეგულება, ერთი ჩემი თვალით ვნახო...

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*იონა ვაკელი*

## ომის გახსენება

*ჩემი ძმის ნიკოლოზ მეგრელიძის ხსოვნას*

ჯერ კიდევ გმინვა ისმოდა გუშინ,
ტყვია და ცეცხლი ნაღმად ცვიოდა
და განწირულებს სისხლი სდიოდა —
ავტომატებით დაცხრილულ გულში!

მათი დაკარგვით ჩვენ გვტკივა გული,
შენს შემდეგ იმათ ვინ მოიგონებს?
ვინ დაწერს მათზე მართალ სტრიქონებს,
თუ სად დალია ვაჟკაცმა სული!

ისინი ჩვენი სიცოცხლის ძალით —
ცოცხლობენ, ვერ ჰკლავთ ცივი დინება,
ჩვენს შემდეგ ბევრს არ ეცოდინება,
ვინ სად, ან როგორ დახუჭა თვალი!

ან რით იწოდა ანთებულ ალში —
დედის, შვილის, თუ სამშობლოს ბედით?
ან თუ რისიმე ჰქონდა იმედი —
იმ ჯოჯოხეთურ ცეცხლის ფრქვევაში?

რა აღელვებდა მათ ობოლ იმედს?
ანდა რა უფრო ენატრებოდათ,
როცა სანგარში უღვთოდ კვდებოდა —
არწივი მკერდში დაჭრილი მძიმედ!

ახლა მათ შავ ბედს ნიავი ტირის,
როცა წყლულს ხედავს ზედ ილლიაში..
აქ ისე მოჩანს სანგარში გმირი,
თითქოს და ვეფხვი წევს გალიაში!

## დილა სოფელში

შევხარი მინდვრად გაშლილ ბუნებას,
რასაც ინატრებ, იგი აქ არი,
თითქოს ვაპირებ შინ დაბრუნებას,
მაგრამ სადღაა ძველი სახლკარი!
მზე ამოსულა... ოქროს სხივები
უკვე დილიდან ბარში ბატონობს,
მინდვრად ციმციმებს ნამის მძივები,

რა კარგად გალობ შენც, იადონო!
დავდივარ, მხვდება სახემზიანად
ცა უღრუბლო და უკაბადონო...
გლეხს ვეკითხები თავაზიანად:
— რა გქვია, ძმაო? — პავლე, ბატონო:
— პავლე ბატონო, ის უნდა მეთქვა,
რომ სოფელი გაქვთ რაღაც ზღაპრული!

ყვავილების და ვარდების ფეთქვას,
ყველგან ღიმილით ხვდება ზაფხული...
ნარინჯი, დაფნა, ყანა სიმინდის,
ჩაის მწკრივებშიც ფუსფუსი ქალთა,
და მოალერსე შავი ზღვის ბინდით —
ჩალის ქუდების შრიალებს კალთა.

ალბათ, ამ მიწებს მზისგან რომ ელავს —
ღვიძლი შვილივით უვლით, ბატონო?
— დიახ, სწორედ ის გვინახავს ყველას,
მზეც მას უღიმის უკაბადონო...
სანამ ვართ, მისი მადლით ვარსებობთ
და ბოლოს თვითონ გვჭამს, უპატრონო!

## ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

მზე ამოვიდა ღიმილით სავსე
და უცებ გაქრა ნისლი დილების,
ის ახლა მძიმედ მიგორავს ცაზე,
თითქოსდა, იყოს ნასადილევი.

შემდეგ შუადღე, საღამოს ბინდი,
ვარსკვლავები და პირბადრი მთვარე
და ისმის რაღაც საოცრად მშვიდი —
ხმა იდუმალი გვეძახის გარეთ!

ჩვენც ვერ ვჩერდებით, ტრფიალი გვიხმობს,
ეს ცეცხლი ყველას გულში ტრიალებს,
რა ვიქნებოდით, ეს რომ არ იყოს,
რა აცოცხლებდა ჩვენს იდეალებს!

რა ჯობს ამ დიად სიცოცხლის დილას —
მწვავე ბრძოლაში დაპყრობილს ძნელად,
როცა ის სულში შემოდის ტკბილად
და მსუბუქ ფარფატს დაიწყებს ნელა!

შემდეგ მოჰყვება ფერებას ოდნავ,
მისთვის მზადა ხარ ღამეც ათიო,
და არ არსებობს ისეთი ცოდვა —
ამ დროს შენს მტერს რომ არ აპატიო!

## ზღვის პირად

ანრი დე რენიედან

დაწექ ნაპირზე და აიღე ხელში სულ მცირე,
ერთი პატარა მუჭი ხილა, მზისგან რომ ელავს
და მიეც ნება თითებიდან იდინოს მძიმედ,
შენ კი უცქირე ზღვის ტალღების ბობოქარ ღელვას.

შემდეგ დახუჭე თვალი ოდნავ და იგრძნობ მალე,
რომ თითებს შორის ის სიმძიმე გაქრა სრულიად...
ჩვენი სიცოცხლე, როგორც ხილა დროების ძალით —
მარადისობის ნაპირიდან აღებულია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*რევაზ ჯაფარიძე*

# მძიმე ჯვარი

*რომანი*

## თავი მეთორმეტე

არგვეთის დიდ ბატონს ამჯერად ალღომ უმტყუნა. სოლომონის მიერ დაგებული მახეებიდან თავის დაძვრენა და სამშვიდობოს გასვლა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა. ფალასკებით გულმკერდგადაჯვარედინებულმა და თოფიარაღით მძიმედ შეჭურვილმა მარგველმა მხედრებმა სასახლის კარიბჭის გავლა და აჯამეთის ტყეში შესვლაც ძლივს მოასწრეს, რომ ლევანს ყვირილას პირიდან გამოგზავნილი მალემსრბოლები ეახლნენ და თავზარდამცემი ამბავი მოუტანეს. დედოფალსა და მის ამალას არგვეთის მიუვალი ციხეებისაკენ გზა აღარ ჰქონდა. კვახჭირიდან ვიდრე შორაპნამდე გზა მეფის მომხრე ქაიხოსრო აგიაშვილსა და ბერი წულუკიძეს შეეკრათ და გაღმა არამცთუ მტრის შეიარაღებულ რაზმებს, ჭიანჭველასაც აღარ უშვებდნენ. ეს საგანგაშო ცნობა მალემსრბოლებმა მთელი რაზმის გასაგონად მიახალეს კრიჭაშეკრულ ლევან აბაშიძეს და უნებლიეთ ყველას, თვით დიდ დედოფალ თამარსაც კი, რომელსაც თავი ამ წუთამდე მშვიდად ეჭირა და სხვებს მხნეობას უნერგავდა, შიშით გული გაუხეთქეს. ლევანმა დაიღმუვლა, ორად მოკეცილი მათრახი მოიქნია, ცხენიდან ოდნავ გადაიხარა და ამბის მომტანს მთელი ძალით სახეზე გადააწნა. დანარჩენები დაფრთხნენ, უკან დაიწიეს. არავინ იცოდა, კიდევ რას მოიმოქმედებდა ორცეცხლშუა მოქცეული და განრისხებული ლევანი. დაწინაურებულმა თამარმა ცხენი მოაბრუნა და სასოწარკვეთილებისაგან თვალებამღვრეულ მამას ზედ მიაგდო. ლევანის მიერ გალახული მალემსრბოლი მისივე ცხენის ფეხებთან ეგდო და სისხლში მოსვრილი საცოდავად იკლაკნებოდა. თამარმა გლეხს თვალი აარიდა და მამას მიმართა:

— როგორ მოვიქცეთ, ბატონო?

— ვიაროთ, გავალთ როგორმე, — მიუგო ლევანმა, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ დაუძრავს. ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები და ტყუილი ნუგეში იყო. ყველა მიხვდა: თავისი ნათქვამისა ბატონს თავადაც არა სჯეროდა. წინ გაშვებული ერთგული კაცები, რომლებმაც ცოტა ხნის შემდეგ ცხენები უკან მოაჭენეს, ლევანის რისხვას არ შეუშინდნენ და ბატონს დამწვარზე მდუღარე გადაასხეს: მეფის ჯარს ლევანის ხელით ნალოლიავები და მტრის გულის შესაღონებლად განახლებული

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 3.

ჭალატყის კოშკები უკვე დაეკავებინა. აფხაზ-ოდიშართ, რომელთაც წყალწითელას ხეობაში მთელი ოკრიბა და საწულუკიძო შემოერთებოდნენ, წუხელ სკანდისა და მაჭუტაურის ციხეებისთვისაც შემოერტყათ ალყა. ამას ზედ სხვა უბედურებაც დართვოდა: ერისთავთან განუწყვეტელი ომით გაწამებულ და მარგველების ამასწინანდელი თავდასხმით გულამღვრეულ წერეთლებს, პაპუნასა და ქაიხოსროს, ქუდზე კაცი გამოეყვანათ და პაწაწინა მეციხოვნე ჯარის ანაბარა დაგდებულ კაცხის საგვარეულო სასახლესა და სვერის მიუვალ ციხეს ემუქრებოდნენ. ვიღაცას ხმა დაეყარა: წერეთლებს თავიანთი კაცები ჰყავთ ციხეში, დღეს თუ არა, ხვალ ის გამყიდველები ციხის კარს გააღებენ და წერეთლებს შიგ შეუშვებენო.

ლევანი გაშრა. თავისი ხალხის მოტანილმა ერთიმეორეზე უარესმა ამბებმა თავგზა აუბნია. ისე შეაქანა რაღაც უხილავმა ძალამ, კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა. სხვებისაგან შეუმჩნევლად უნაგირს ჩაეჭიდა და წუთით თვალები დახუჭა, იქნებ გამიაროსო. ყველაფერს იფიქრებდა და ივარაუდებდა, ამას კი არა. როგორ აჯობა იმ ლაპმა სოლომონმა ჭკუაში, ასე როგორ გააცურა და გაასულელა! ამას აბა როგორ წარმოიდგენდა, თუ ქუთაისს ზემოთ რიონზე გადმოსული მტერი ვარციხეზე მოულოდნელი თავდასხმის მაგიერ გზას გაიმრუდებდა, მთელს არგვეთს მოედებოდა, ძალებს დაქსაქსავდა და უკლებლივ ყველა ციხეს გარს შემოერტყმოდა. ლევანს არ გააჩნდა რაიმე საფუძველი, მოტანილი ცნობების სისწორეში თუნდ იოტისოდენა ეჭვი შეეტანა, თუმცა გრძნობდა კი, რომ მთელ ამ ამბებში მოღალატის ხელი ერია. მაგრამ ვინ უღალატა? ვინ გამოსჭრა ყელი? ნუთუ თავისივე აზნაურები ღალატობდნენ და ზურგსუკან ხალხს უმხედრებდნენ?

ახლა ბევრი ფიქრისა და ჭოჭმანის დრო აღარ იყო. ლევანს რაიმე უნდა ეღონა და ეს ამოდენა ბრბო, თან რომ ახლდა და დიდი გასაჭირის ჟამს თამარ დედოფლის ბანაკში დარჩენა ამჯობინა, სოლომონის შურისძიებისაგან ეხსნა. ამას გარდა, სამეფო ხაზინა და სასახლის მთელი განძეულობა, რის ურემზე დადება ან ცხენზე აკიდება შეიძლებოდა, ხომ აქ იყო!

ერთადერთ საიმედო ადგილს, სადაც დღეს თავის შეფარებას კიდევ მოახერხებდნენ, თხმელისციხე წარმოადგენდა. ლევანი დილასვე ფიქრობდა, თხმელისციხის მოურავთან წიგნი გაეგზავნა და ხონთქრის მოღალატე შვილიშვილისა და ოტია დადიანისაგან თავის დასაცავად ციხეში შეშვება ეთხოვა, მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვეულმა ამპარტავნობამ ამის ნება არ მისცა და მეორეც: არამც და არამც არ ეგონა, თუ საქმე მართლა აქამდე მივიდოდა. ციხეები მასაც ბევრი ჰქონდა. რაღა ურჯულო და ძნელად მისანდო აგარიანს შეჰკედლებოდა! ახლა კი სხვა გზა აღარ იყო. სურდა თუ არა, ლევანს თავისი და სხვათა ბედი სწორედ ურჯულოებისათვის უნდა მიენდო.

თავადმა თვით განიზრახა დაწინაურება. ვითომ დედოფლისა და ბატონიშვილების სახლეულის მოახლოებამდე ციხის მოურავს ჩემს გასაჭირს ვამცნობო და ეს უკანასკნელი მოსაზრება თამარს გაუზიარა. თამარი მეტად აღგზნებული და გაშმაგებული იყო. მამის რჩევა რომ გაიგონა, აენთო, გაკაპასდა, რას ჰქვია, ღმერთო კი მომკალი, მტერს ზურგი ვუჩვენო, თუ თქვენ ყველას ასე ძალიან გაგიფრთხათ გული, ვინც ვაჟკაცია, მე — ქალს მომყვეს და იმისთანა რა რკალი უნდა დამიხვდეს, ხმლით ვერ გავკვეთო და ვერ გავარღვიოო.

ლევანი გაამხნევა დედოფლის ამგვარმა სიყოჩაღემ. ერთი გაფიქრება კიდევაც გაიფიქრა, მოდი, რაც იქნება, იქნება, წინ წავალ და პირშავ მტერს შევებმიო, მაგრამ გვირგვინოსანი ასულის გავლენით მიღებული ეს ნაუცბათევი გადაწყვეტილება უცბათვე უარჰყო: მტრის რკალის გარღვევას და

გაღმა გასვლას აბა რა სარგებლობის მოტანა შეეძლო, თუკი არგვეთის მთა და ბარი უკვე მტერს ეკავა და ციხეებსაც მტრის ალყა ჰქონდა შემორტყმული!

რაკი ერთხელ თქვა, დედოფალმა თავისი სიტყვა მაინც არ გატეხა. მამას ადგილიდან დაძვრას და რიცხვით უმეტეს მტერთან შებმას აძალებდა. ეს ქალს უთუოდ მეგრელების გადამეტებული სიძულვილით მოსდიოდა და არა რაიმე გონივრული მოსაზრებით. ლევანს თავადაც გულით სწადდა ხმალი ქარქაშიდან ამოეღო და სვერის ციხისაკენ გზა ომით გაეკაფა, მაგრამ აბა როგორ და რის იმედით იზამდა ამას, როცა თავისი მთავარი ძალა კვლავ გეგუთში ეყენა და იქიდან აქ ჯარის მოსვლას, სულ ცოტა, ხუთი-ექვსი საათი მაინც დასჭირდებოდა.

თავადს ანაზდად გურიის მთავარი გაახსენდა. სად იდგა მართლა მამია გურიელი? აკი თამარმა თქვა, ყვირილაზე ჩავგზავნეო? იქნებ მას მაინც ედო თავს მტრის გაერთიანებული ლაშქრის შეყოვნება, ვიდრე გეგუთიდან მარგველთა და ყაბარდოელთა ცხენოსანი ჯარი მოიჭრებოდა და მტერს ომს გაუმართავდა. ამასობაში იქნებ გზადაბნეულ გიორგი ბატონიშვილსაც გამოეღწია ოდიშიდან, აჯამეთის ტყეში შემოსულიყო და უკუღმა წასული საქმე წაღმა შემოეტრიალებინა.

„ვერ მოვასწრებ, — გაიფიქრა ლევან აბაშიძემ. — ჯერ საჭიროა ციხეს შევეფარო და თავი უსაფრთხოდ დავიგულო!“

რამდენიმე წუთის ყოყმანისა და მდგომარეობის ხელახალი აწონ-დაწონის შემდეგ, თავადმა მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო და გზა თხმელისციხის მიმართულებით განაგრძო. წინააღმდეგობის გაწევა ვერავინ გაუბედა, თვით გაალმასებული თამარიც კი მიჩუმდა და მამის განკარგულებას უსიტყვოდ დაემორჩილა. ამან დანარჩენებზეც სათანადო გავლენა მოახდინა. ლევანი პირველი მიდიოდა, სასროლად შემართული თოფი გარდიგარდმო დაედო მუხლებზე და ცხენი ოთხით მიჰყავდა. წინ ათითორმეტი მხედრისაგან შემდგარი მცირე რაზმი გაიძღოლა. ესენი დაწინაურებულ მეურმეებს დაეწეოდნენ და გეზს შეაცვლევინებდნენ. ამას გარდა, გზაც უნდა დაეზვერათ და თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევდნენ, მსწრაფლ ლევანს აცნობებდნენ.

უანგარიშო შიში და ძრწოლა, ხალხს რომ მალემსრბოლების მოსვლის პირველ წუთებში მოერია, თანდათან განელდა. ხალხი მოსალოდნელ ხიფათს შეეჩვია, ლევანიც ისე მშვიდი და თავდაჯერებული ჩანდა, საშიში თითქოს აღარაფერი უნდა ყოფილიყო. ტყე სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. ამ დიდებულ სიჩუმეს ბუნებისას თვით რამდენიმე ასეული ცხენის ფლოქვების გამალებული თქარათქურიც ვერ არღვევდა. გზას წლითიწლობით ერთიმეორეზე დაფენილი მუხის დამპალი ნეშოს ნოტიო საბანი წაეხურა და დაწოლისაგან რბილად იზნიქებოდა. გზისპირას უამრავი ტყის ქათამი ფრთხებოდა. ამათი ყურთასმენისწამღები ჭახჭახი და კრიახ-კრიახი დიდხანს ისმოდა, სამჯერ თუ ოთხჯერ გზა გარეულმა ტახებმა და საზაფხულო იალაღებზე დასუქებულმა ქორბუდა ირმებმა გადასჭრეს და თავი კვლავ ტყეს მისცეს. ნადირის ყოველი გამოჩენა და ბუჩქიდან ამოვარდნილი ფრინველის ფრთხიალი მდუმარედ მომავალი მხედრების უეცარ გამოცოცხლებას იწვევდა, ხელი თავისთავად მიიწევდა იარაღისაკენ, მაგრამ ბატონი ლევანის შიშით თოფს აბა ვინ გადმოიღებდა და სროლას ვინ გაბედავდა.

ტყეს ჯერ გაცილებული არც კი იყვნენ, როცა მოსახვევში ერთად მოგროვილი ხარ-ურემი და ჩამოქვეითებული მხედრები დაინახეს. ზოგს ურემს პირი აქეთ ექნა, ზოგი გზიდან გადაეყენებინათ და ხარები გამოეშვათ, სხვები კი ჯერ ისევ გზაზე იდგნენ და ვიღაცას თუ რაღაცას ელოდნენ.

ლევანმა ცხენს დეზი ჰკრა და აიჩქა-

რა. ხარ-ურმისა და მხედრების ეს უადგილო თავმოყრა ავის მომასწავებლად ეჩვენა.

მეურმეებმა და ქარავნის ბადრაგად გამოყოლილმა მხედრებმა შორიდანვე შენიშნეს აქეთ მომავალი ბატონი და, ვიდრე ის სულ ახლოს მოვიდოდა, უთავბოლო ყაყანი და ხორხოცი შეწყვიტეს.

— რა ამბავია, რა ხდება აქ? ვინ შეაჩერა ურმები? ვინ შესცვალა ჩემი განკარგულება? ხარები რისთვის გამოუშვით, ჭკუაზე შეიშალეთ? — დაიღრიალა ლევან აბაშიძემ და გაქაფული ცხენი ხმაგაკმენდილი ბრბოს წინ ყალყზე შეაყენა.

ნაბდისქუდიანი შუახნის გლეხი, რომელიც განზე გადაყენებულ და პირით ვარციხისაკენ მიქცეულ ჩარდახიან ურემს გვერდით ამოსდგომოდა და ნიდაყვით სახრეზე დაყრდნობილი სხვებივით რაღაცას ელოდა, წინ წამოდგა და აბაშიძეს მორიდებული პასუხი შეჰბედა:

— გზა აღარ გახლავს, ბატონო, კიდამე მიქელგაბრიელთან გაგვისტუმრეს, შენ ნუ მოგვიკვდები, ღვთის მადლით, ძლივას შემოვასწარით ტყეში...

ლევანი უფრო განარისხა ამ პასუხმა, უზანგებზე წამოიმართა და მათრახი, რომლითაც წელან უდანაშაულო მალემსრბოლს სახე გაუხეთქა, მაღლა ასწია.

— გზა აღარ არის? ვინ დაყარა ეგ ხმა, გზა აღარ არისო? რას ჩმახავთ, რას მიედ-მოედებით, თქვე მხდალებო! თუ ვაჟკაცი ვყოფილვარ, ახლავე გასწავლით, როგორ უნდა თავის მოკატუნება და ღალატი! ეს ულვაში გამპარსეთ, თუ ამ ხეებზე არ დაგკიდოთ ყველა! ყვავყორნის კერძად გაგხდით! აბა, შეაბით ხარები, გასწით წინ!

გლეხები შეიშმუშნენ, უხალისოდ, წელმოწყვეტილებივით მოინაცვლეს ფეხი, მიდგნენ-მოდგნენ, ხარებს თავი დაუარეს და ურმებში შებმა დაუწყეს.

— შენ რაღას უდგახარ, საპყარო, ცალკე მიგიპატიჟო? — დაუყვირა ლევანმა ნაბდისქუდიან გლეხს, ურემი რომ სხვებზე ადრე მოებრუნებინა და ახლა, ალბათ, კიდევაც ნანობდა, რა მეხი დამეცა, გამხეცებულ ბატონს პასუხი რა ჩემდა სავალალოდ გავეცი, ყველას მაგიერ თავზე რისხვა რისთვის დავიტეხეო.

— გზა არ გახლავს, ბატონო, — გაზეპირებულივით გაიმეორა მან თავისი ნათქვამი. — თუ არ გჯერა, შე დალოცვილო, თავად წაბრძანდი და...

გლეხმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო. ჰაერში მათრახმა გაიშხუილა და სახეზე გადაეწნა.

— ქე არ მამკლა ამ ულმერთომ? — მხოლოდ ეს ამოიძახა და ისარნაკრავივით ჩაიმუხლა. მის ხარებსა და ურემს სხვები მისცვივდნენ, ხარები ჩამოაყენეს, ჯიკავ-ჯიკავით უკან დაახევინეს და ურემში შეაბეს. ლევანი უკვე სხვა ჯგუფში ტრიალებდა, მათრახს იქნევდა და მეურმეებს აჩქარებდა. სწორედ ამ დროს მობრუნდნენ ბაღდადის მხარეს დაწინაურებული მზირები და ბატონს ახალთ-ახალი ამბავი მოუტანეს. მტერს ყვირილა გადმოელახა, იქ სახუნდარებში ჩასაფრებული მამია გურიელის მეთოფეები ამოეჟლიტა, აღმართი შეუჩერებლივ ამოევლო და მთავრის ლაშქრის ნაშთების კვალდაკვალ ახლა სწორედ აქეთ მოიწევდა.

თითქოსდა ამ სიტყვების დასტურად, სადღაც, სულ ახლოს თოფმა დაიჭექა და იმისი ხმა ისე გამაყრუებლად გაისმა ტყის პირველყოფილ სიჩუმეში, გეგონებოდა, თოფი კი არა, ყურისძირში ათასი ზარბაზანი დასცალესო. ლევანმა გაიგონა თუ მოეჩვენა, რომ მხარმარჯვნივ ტყვიამ დაიზუზუნა და მუხის ფოთლებში ტკაცანი მოადინა.

„ვიღაცამ მესროლა! — გაუელვა მას და უნაგირზე გარდიგარდმო გადებული თოფი მსწრაფლ აიტაცა, ჩახმახი ფეხზე შეაყენა. — ვიღაცამ გამიმეტა. ღალატია, ყველა მღალატობს, შინაურიც და გარეშეც! ამ ჯოჯოხეთის მოციქულებმა ხარები განგებ გამოხსნეს ულლიდან, ფეხსაც განზრახ ითრევენ, იქ-

ნებ სოლომონს ერთგულება დავუმტკიცოთ და სამეფო კარის მთელი ქონება, ბევრია თუ ცოტა, ხელში ჩავუგდოთო. ჩემი ბრალია! ყურებიდან ბამბა დროზე ვერ გამოვიღე, ვერ გავინძერი, გეგუთიდან ჯარი თან ვერ წამოვიყვანე. მე უბედურმა რა ვიცოდი, თუ ეს გველისწიწილი აქედან მომივლიდა და ლახვარს ზურგში ჩამცემდა. სახრჩობელაზე, ანდა საკირეში ყველა გამცემი! ბატონის მოღალატე ყმებს არც აქ და არც იმ ქვეყანაში შენდობა არ ერგება!“

მაგრამ ამ სასტიკი განაჩენის დაუყოვნებელი აღსრულების დრო და ღონე უკვე აღარ იყო. მტერი ცეცხლის რკალს არტყამდა ლტოლვილთ და სადაცაა აქამდეც მოაღწევდა. სხვა გზა ლევანს აღარ რჩებოდა: ორგული ყმების ღირსეული დასჯა და მათი წვრილშვილის ტყვეთა ბაზრებზე გასტუმრება სხვა დროისათვის უნდა გადაედო, ახლა კი ძალა მოეკრიბა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად ეზრუნა.

დედოფლის ხალხმრავალი ამალა, თითქოს ცხვრის ფარას მშიერი მგელი შეერიაო, თოფის გავარდნისთანავე აიშალ-დაიშალა. ატყდა აქეთ-იქით სირბილი და გაძახილ-გამოძახილი. დაფეთებული ცხენებიც კი აჭიხვინდნენ და ერთმანეთს მიაწყდნენ. ლევანს თვალები აუჭრელდა. ისევ მოერია დაუძლეველი შიში, ღონემ არ მიმტყუნოს და ძირს არ გადმოვვარდეო. წუთის წინ ის ტყის სიღრმეში ხედავდა ფორეჯებიან მაღალ ცხენზე ამხედრებულ დედოფალ თამარს და ორიოდე მის მხლებელს. ახლა აღარც დედოფალი ჩანდა, აღარც მხლებლები. სად წავიდნენ? ნუთუ თამარმა თავს უშველა და მოხუცებული მამა განსაცდელში მარტო მიატოვა? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დიდი გამოძიება როდი უნდოდა. ხალხი ისე დაფრთხა და შეშინდა, ვერავის განკარგულებას ველარ მოუცადა და უწესრიგოდ გაიბნა ტყეში, ვის საითაც შეეძლო. ლევანის ირგვლივ მხოლოდ რამდენიმე ერთგული ყმა დარჩენილიყო. ვიღაც მოუახლოვდა, აღვირზე ხელი უტაცა. ლიბრგადაკრული თვალები ლევანმა ფართოდ გაახილა, მაგრამ ბუნდოვანი ლანდების მეტი ვერაფერი დაინახა. ლანდები მის გარშემო დაბორიალობდნენ და ლევანი სადღაც მიჰყავდათ. თავადს ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა. ნუთუ ეს აღსასრული იყო?

— რომელი ხარ? — სირცხვილს სძლია და ხმამაღლა იკითხა.

— ასკია ვარ, ბატონო, აბესაძე, — მოესმა ნაცნობი ხმა.

— მერე? რა გინდა, სად მიგყევარ?

— სასახლეში, ბატონო, ყველა დაბრუნდა და...

— დედოფალიც?

— კი, ბატონო, ყველა...

ლევანს მეტი აღარაფერი უკითხავს, არც სხვა უთქვამს რამე. გულში ურმების ჯავრი ჩაჰყვა. მტერი, რაღა თქმა უნდა, უბრძოლველად დაეპატრონებოდა ყველაფერს, ლევანს კი არამცთუ მედგარი წინააღმდეგობის გაწევა, თითის განძრევაც აღარ შეეძლო. თვალში სინათლე თანდათან მოემატა და, როგორც იქნა, წინ მიმავალი ცხენი და კაცი გაარჩია. აქ მგონი მხედრების დიდ ჯგუფს დაეწივნენ. ეს უეჭველად დედოფალი თამარი და მისი ამალა იყო, რომელიც ორმოციოდე წუთის წინ უპატრონოდ მიტოვებულ ვარციხის სასახლისაკენ მიიჩქაროდა. უცებ სროლა მოისმა. ერთ გასროლას მეორეც მოჰყვა და მალე იმისთანა მეორედმოსვლა დატრიალდა, რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა. ლევანის დაძაბულმა სმენამ უმალვე გაარჩია: შიგადაშიგ ზამბულაკებს აქუხებდნენ. მაგრამ ზამბულაკები ტყესა და მინდორში? სროლას ყური მიუგდო და ბოლოს მიხვდა, რომ ის უკანიდან კი არა, წინიდან, სწორედ სასახლის მხრიდან ისმოდა. მაშ, თავიც დაუარეს და უკან დასახევი გზაც მოუჭრეს? ვაითუ გალავნის შიგნით შესვლაც ველარ მოასწრონ და სასახლე დაკავებული დაუხვდეთ! სირცხვილით თავი სად გინდა გამოყო, მოსისხლე მტერს რომ ასე ხბოსავით ჩაუვარდე

ხელში. ამას ხომ საკუთარ ხმალზე წამოგება ჯობს, ვაჟკაცი ერთხელ მოკვდები და მოისვენებ!..

არგვეთის ბატონის მხლებელ ასკია აბესაძესთან დედოფლის გამოგზავნილი შიკრიკი მოიჭრა და ყალყზე შემდგარი ცხენი ძლივს შეაჩერა. ლტოლვილი თამარ დედოფალი უკან ჩამორჩენილი მამის ამბავს კითხულობდა. ასკია აბესაძემ მხრები აიჩეჩა და პირდაპირი პასუხის გაცემის მაგიერ ბატონს შეხედა. ლევანს ეს არ გაუგია. მხედველობა და გარემოში ფხიზლად გარკვევის უნარი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა, როდესაც სასახლის ეზოში, რომლის გალავნის გოდოლებზე ზამბულაკების ყრუ გრიალი და თოფების მჭახე ჭახაჭუხი კვლავ ისმოდა, უკანასკნელი მარგველი მხედარიც შემოვიდა და რკინით შეჭედილ კარში მუხის ვეება ურდული გაუყარეს.

## თავი მეცამეტე

მოალყეები თოფ-დამბაჩის კანტიკუნტი სროლით იყოლიებდნენ თავს. ქვითკირის მკვიდრ გალავანს ზარბაზნის არც ერთი ჭურვი არ მოხვედრია. ალყაშემორტყმულ სასახლეში არავინ იცოდა, მართლა არ ჰქონდა ზარბაზნები სოლომონს, თუ ჰქონდა და ამაზე უფრო მოხერხებული დროისათვის ინახავდა. იქნებ გალავანსაც უფრთხილდებოდა? ეს ყველაფერი, სასახლე და მისი კარმიდამო, ხომ დღეის ამას იქით იმერთა გვირგვინოსანი მეფის, სოლომონის, განუყოფელი საკუთრება იყო!

ბინდის დადგომის წინ სროლას წყვეტდნენ. რიჟრაჟზე ისევ დაიჭექებდა თოფი ან ზამბულაკი და ქვეყნიერებას ამცნობდა, ძმათა სისხლისღვრა ჯერაც არ მოთავებულაო. სასახლის დამცველი მარგველი მოლაშქრენი თოფისწამალს და მუხტებს ზოგავდნენ და მტერს მხოლოდ დროგამოშვებით ესროდნენ, ვინაიდან ტყვია-წამლის მარაგის შევსებას არსაიდან ელოდებოდნენ. სამაგიეროდ, მოალყეებიც არხეინად ისხდნენ სახელდახელოდ გამართულ სახუნდარებში და მტრის სამიზნოზე გამოსვლას წინდახედულად თავს არიდებდნენ.

ზედიზედ მოპოებული რამდენიმე გამარჯვებით ფრთებშესხმული სოლომონი გზადაგზა ქვეყნის აწეწილი საქმეების მოწესრიგება-გარიგებაზე ზრუნავდა. გადამწყვეტი წუთის წინ მეფე ისევ ყოყმანმა შეიპყრო. ვერ გადაწყვიტა სასახლის იერიშით აღება, თუმცა სარდლები, სხვათა უწინარეს აფხაზოდიშარნი, რომელთაც შინ წასვლა სხვებზე მეტად ეჩქარებოდათ, ამას დაჟინებით მოითხოვდნენ. იერიში ორმხრივ მსხვერპლსაც გამოიწვევდა და იოლი გამარჯვებებით გალაღებულ ჯარს სასახლის გაძარცვისა და შეგინების საშუალებასაც მისცემდა. ფიცხელ ომში ძნელი და თითქმის შეუძლებელია ჭენებით გახურებული ცხენივით აღგზნებულ ჯარისკაცს თავი მოუდრიკო და მისი მოქმედება გონივრულ მიზანდასახულებას დაუქვემდებარო. სოლომონი იმედოვნებდა, დღეს თუ არა ხვალ ალყაშემორტყმულნი თვით გადმოჰკიდებდნენ მორჩილების მაუწყებელ ბაირაღს და ზავის პირობების დასადებად შუაკაცებს გამოაგზავნიდნენ. შიში მას აღარაფრისა ჰქონდა. მომავალ ზამთარს, გაზაფხულის დადგომამდე და მომძლავრებამდე, ვიდრე ზეკარზე თოვლი დნობას არ დაიწყებდა და გზა არ გავიდოდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, აგარიანი ვერსაიდან შემოაღწევდა. იყო სხვა გზაც, რომლითაც სოლომონი თვით გადავიდა საფაშოში ჰაჯი-აჰმადისაგან დახმარების მისაღებად, მაგრამ იმ გზით წამოსულ მტერს ჯერ ქართლის მიწა-წყალი უნდა გამოევლო და მეფე თეიმურაზი მტრად მოეკიდებინა. სოლომონს ამ რამდენიმე თვის განმავლობაში

უნდა მოესწრო ყველაფერი და აგარიანთა შესაძლო შემოსევას, გაზაფხულზე რომ იყო სავარაუდებელი, მომზადებული შეხვედროდა.

მეფის ბანაკში უკვე დანამდვილებით იცოდნენ, რომ არგვეთის ბატონის რვა ათასი კაცისაგან შემდგარი მარგველ-ყაბარდოელთა ლაშქარი, რომელიც გეგუთში დიდხანს იდგა, ერთ მშვენიერ დღეს თავისთავად დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, ოდიშიდან რის ვაივაგლახით გამოსულ გიორგი ბატონიშვილს კი მეფის ცოლისძმა კაცია დადიანის ძე, ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე და მენაპირე თავადები — მიქელაძე და ჩიჯავაძე მალლაკის ველზე დაეწივნენ და კუდით ქვა ასროლინეს. გიორგი ბატონიშვილი უკვე ცოცხალი ლეში იყო. არავის არ გაუკვირდებოდა, თუ ის თავისი ფეხით ეახლებოდა მეფეს და ძმისწულის გულმოწყალებას მინდობილი უმორჩილეს პატიებას ითხოვდა.

შემოდგომა გაშუალდა. ღამღამობით რთვილს სდებდა და დილას, მზე რომ ამოიწვერებოდა და მიდამოს კიდით კიდემდე მოივლიდა, აქა-იქ შეყვითლებული ტყე და მინდორი ახალჩამოთოვილს მიაგავდა. ხვამლისა და ლადოს მთებზე კიდევაც ჩამოთოვა და ბარში მოახლოებული ზამთრის სუნი დატრიალდა. წლის მოსავალი ჯერ მოუწეველი იყო. წვითა და დაგვით დათესილი და აქამდე მოყვანილი უპატრონობისაგან იხრდებოდა. მიწაზე დაფენილ მოსატეხ სიმინდში ნახირი ბალახობდა, ღობეებშემორღვეულ, შვილივით ნაზარდ ვენახებსაც გამვლელ-გამომვლელი ატიალებდა და ეს ყოველივე ქვეყანას დიდ შიმშილობასა და გაჭირვებას უქადდა. ომის ასე თუ ისე დამთავრება გადაუდებელი იყო. თუ ჯარს არ დაშლიდი და ყველა მოლაშქრეს სათითაოდ შინ არ გაუშვებდი, ჭირნახულს ვერავინ მოეპატრონებოდა და ისედაც დამშეული და გალატაკებული ქვეყანა დროთა განმავლობაში ტყის ნადირის სათარეშო ალაგად იქცეოდა.

სოლომონს თანდათან ძალია ხელი მოუსვენრობამ. ხედავდა, რადაც უჯდებოდა ქვეყანას ტახტზე მისი ხელახლა ასვლა, მაგრამ დღეს ხვალის იმედით ალამებდა და ღამესაც იმედით ითენებდა. მეფე ერთხელ კიდევ აძლევდა არჩევანის მოხდენის ნებას დედასა და ბაბუას, კიდევ ერთხელ ცდილობდა, მტერი ისე დაემარცხებინა, რომ თვით არ დაზარალებულიყო და უბირი ხალხის თვალში სახელი არ გასტეხოდა.

შეთქმულთა ბუნაგის ალყაში მოქცევის მეოთხე დღეს სოლომონმა ყვირილა გადმოვლო, სარდლები იახლა და ოთხივე მხრიდან შემოუარა ვარციხის სასახლის გალავანს, რომლის ყოველი კუნჭული ბალღობიდანვე ახსოვდა, მაგრამ ახლა, სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების წინ, ყველაფერს სხვა თვალით უყურებდა და სხვა თვალით აფასებდა.

ალყაშემორტყმულთა მდგომარეობა, რასაკვირველია, უიმედო იყო. სოლომონს ახლავე შეეძლო საალყო კიბეები დაემზადებინა, კედლებზე მიედგა და გოდოლებში გამაგრებული ერთი მუჭა მარგველნი გაეჟლიტა ან უკუექცია, მაგრამ იმავე საჭოჭმანო მიზეზმა, რაც გუშინ და გუშინწინ აყოვნებდა, დღესაც შეაყოვნა: მარგველები არცთუ ისე ცოტანი იყვნენ, ჯერჯერობით არც იარაღ-საჭურველი და სურსათ-სანოვაგე აკლდათ და, თუ მოინდომებდნენ, მოიერიშე ჯარისათვის საგრძნობი ზიანის მოყენება შეეძლოთ. არა და, დრო არ ითმენდა: მეფის ჯარს სასახლის გალავანში რაღაც მანქანებით უნდა შეეღწია.

თავისდა შეუმჩნევლად სოლომონი შიშმა დასძალა. ეს შიში სხვებისათვის, მართალია, არ გაუმხელია, არც შეეძლო გაემხილა, მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, შიში მით უფრო მეტად და მეტად ჰკიდებდა ხელს და მოსვენებას უკარგავდა.

ხომ შეიძლებოდა, ლევანსა და მის ამპარტავან ასულს, დედოფალ თამარს,

უკანასკნელ წუთებში, როცა დაინახავდნენ, ღმერთმა დამარცხება გვარგუნა და მტერს ხელში ვუვარდებითო, თავი მოეწამლათ, ანდა საკუთარი სიცოცხლის მოსასწრაფებლად სხვა რამ ეღონათ და ომში გამარჯვებულ სოლომონს მათი უსულო გვამები დარჩენოდა.

მეფე შეაძრწუნა ამის უბრალო წარმოდგენამაც კი. მის გულში დედაშვილური სიყვარულის მინავლულმა ნაპერწკალმა გაიღვიძა. მეფე ახლა გრძნობდა, რომ მზად იყო, დედისათვის ყველა სიავე ეპატიებინა, თვით გამხეცებული მტერი ბაბუა ლევანიც კი დაენდო, ოღონდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დედას თავისთვის არაფერი აეტეხა და შვილს ცოცხალი ჩაბარებოდა.

თითქოს საბედისწერო წუთის დადგომას ელოდნენო, სწორედ ამ დროს მოვიდნენ ოდიშიდან ოტია დადიანის მიერ გამოგზავნილი მოციქულები და მეფეს მისი სიმამრის საიდუმლო წიგნი მოართვეს. წიგნი ზუგდიდში იყო დაწერილი. გორდის უღვთო აწიოკებისა და გადაწვის შემდეგ, რომლის დროსაც დადიანების საზაფხულო სასახლე და ბევრი მისი მიმდებარე ძველი და ახალი შენობა თითქმის მთლიანად განადგურდა, ბატონი ოტია ზუგდიდის მამაპაპეულ სასახლეში ცხოვრობდა და, მიუხედავად ავადმყოფობისა, შემოსეული მტრის მოგერიებას იქიდან ხელმძღვანელობდა. სნეულებისაგან დაძაბუნებული, მაგრამ სულით მაინც მხნე და გაუტეხელი დადიანი სათაყვანებელ სიძეს მტრის ძლევას ულოცავდა, ტახტის სულ მალე დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდა და იქვე გაკვრით იხსენიებდა გასაჭირს, რომელიც ამ ომში ოდიშის განაპირა კუთხეებს დაადგა. ოტია არ წუწუნებდა, არც იმადლებოდა, პირიქით, ოდიშისათვის მიყენებულ ზარალს, რამდენადმე მცირედ წარმოსახავდა და ილორის წმიდა გიორგის წრფელ მადლობას სწირავდა, რომ ქრისტიანეთა მოწამებრივი სისხლი ამაოდ არ დათხეულა და იგი მთლიანად ღვთით მირონცხებული იმერთა მეფის თავის კუთვნილ ტახტზე დაბრუნებას მოხმარდა.

„შვილო ჩემო საყვარელო სოლომონ, — წერდა შემდეგ ოტია დადიანი. — შენ მანდ, ვიცი, დალხინებული მაინც არა ხარ. შენი მტრები, ვისაც ღვთის განგებით და ბრძანებით ამდენი ხანია ხმალამოღებული ებრძვი, შენივე ღვიძლი, შენივე სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არიან. კარგად მოგეხსენება, შვილო ჩემო სანატრელო, მე მაგათგან რამდენი ვნება და დაკნინება მიმიღია. ახლა ღმერთმა, დაილოცოს მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე, ასე ინება, ჩემი სიმართლე დაამტკიცა და ჩემი შემავიწროებელი მტრები და დამაწყევარნი დღეს შენი უდიდებულესობის ტყვეები არიან, თუ არ არიან, დღეს ან ხვალ იქნებიან. მეც და ჩემი ასულიც, თანამეცხედრე შენი და სრულიად ლიხთიმერეთის დედოფალთ-დედოფალი მარიამი, ამასა გთხოვთ და ამას გევედრებით: ნუ შეისვრი ხელებს შენსავე სისხლში, მამაშვილობამ, ნუ იქმ იმას, რასაც ოცდაათ ვეცხლად მაცხოვრის გამყიდველი იუდა იზამდა და კაცთა მოდგმისაგან შეჩვენებულმა კაენმა ქმნა. შემინდე ბერიკაცს, შენს ერთგულ და შენი მზეგრძელობისათვის დღედაღამ მლოცველ სიმამრს, თუ შენი სიყვარული და შენდამი ერთგულება ამდენს მაბედვინებს...“

სოლომონი თვალებით დააკვდა წიგნს, რომელსაც ზედ ნაპკურები ნელსაცხებლის სურნელება ჯერ კიდევ ასდიოდა. ნუთუ ეს მართლა ოტია დადიანმა დასწერა, მეფეთა სახლისა და აბაშიძეების ძველმა, დაუოკებელმა მტერმა, ნუთუ ეს მართლა მისი ხელი, მისი ფიქრი და ზრახვა იყო. მეფეს გული აუჩვილდა და ყელზე გორგალი მოებჯინა. ფურცელი გადმოაბრუნა და ბოლოს დაჰხედა. იქ დასმული დადიანის ბეჭედი, ლამაზი მხედრული წარწერითურთ „მიჭირავს სვანი და ზღვანი შავნი, ოდიშ-ლეჩხუმ მპყრობელი ვარ“ და თვით ოტიას კლაკნილი ხელმოწერა

არავითარ ეჭვს არ ჰბადებდა. ქვემოთ დადიანი თავის გვირგვინოსან სიძეს კიდევ უფრო განსაცვიფრებელ წინადადებას უყენებდა. ოტიას სახლეული მზადყოფნას აცხადებდა, თავის სტუმართმოყვარე ჭერქვეშ მიეღო და შეეფარებინა ამიერიდან მისი ნათესავი და მოყვარე დიდი დედოფალი თამარი, უკეთუ თამარი თვით ინებებდა და დადიანსა და მის სახლეულს ოდიშში მობრძანებით გააბედნიერებდა.

ამ უკანასკნელი სიტყვებით გამოწვეული გაოგნება იმდენად დიდი იყო, თითქოს ბრმას ეს არის სახვევი მოხსნეს და უთვალავი ფერით გასხივოსნებული ქვეყანა ახლა პირველად დაინახაო, სოლომონმა კინაღამ ხმამაღლა შეჰყვირა.

„ღმერთო დიდებულო, — გაიფიქრა მან და გული სახოებით აევსო. — მაცხოვარო ჩვენო იესო ქრისტევ, გმადლობ შენ, რომ გაჭირვებული და ყველასაგან მოძულებული უნუგეშოდ არ მიმატოვე და მამად სახადი სიმამრი ჩემი ოტია დადიანი შემწედ მომივლინე! შენ მიუგე სამაგიერო სიკეთე ამ ღვთისნიერს, შენი მიეცი დიდი დღე, ნურაფერს გაუჭირვებ, შენ გაუნათლე სული, როცა ამ სოფელს განეყრება და სამუდამო სასუფეველს შენს წიაღში ჰპოვებს!..“

სოლომონი მზად იყო, სიმამრის მიერ დიდსულოვნად შემოთავაზებული პირობა უყოყმანოდ მიეღო და კიდევაც განიზრახა იმავე მოციქულების მეშვეობით, რომლებიც ოტიას სახელით ოდიშიდან მოვიდნენ, ეს ზუგდიდს შეეთვალა, მაგრამ პასუხის გაგზავნა ჯერ ნაადრევი ჩანდა, ვიდრე ალყაშემორტყმულ სასახლეში მყოფი დედისაგან თანხმობა არ ჰქონდა მიღებული.

ენდობოდა კი დედოფალი შვილის მეფურ სიტყვას, თუკი მისგან ხელშეუხებლობის აღთქმას მიიღებდა? წავიდოდა ნებაყოფლობით ოდიშს, სადაც კაცმა არ იცის, საბოლოოდ რა მოელოდა?

მცირეოდენი ფიქრისა და სიმამრის სიტყვების გონივრული აწონ-დაწონის შემდეგ მეფე დარწმუნდა, ამ კაცთმოყვარულ ნაბიჯს დადიანი მარტოოდენ ღვთისმმოსავი გულის კარნახით როდი დგამსო და მისი უმწიკვლო ზნეობით წრესგადასული აღტაცება თანდათან გაუნელდა. თავის ზრახვებში ოტია მეტად ფხიზელ ვარაუდებსა და მიზნებს ხვევდა. ცხადზე უცხადესი იყო, მაგალითად, რომ ოდიშის ბატონის კარს სამადლოდ შეკედლებული დიდი დედოფალი თამარი დადიანის ტყვედ გადაიქცეოდა. ლევან აბაშიძის ზვიად ასულს დაუყოვნებლივ მოუჭრიდნენ ყველა გზას, რომლითაც მას გარე სამყაროსთან, უპირველეს ყოვლისა ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმადთან და თვით ოსმალეთის სულთანთან კავშირის გაბმა ძალუძდა. ალერსად დამდნარი მასპინძლის, გუშინდელი მტრისა და დღევანდელი მოყვრის, ბატონი ოტიას, ნებასურვილისა და საიდუმლოდ მიჩენილი მსტოვრების მოუცილებელი თვალთვალის გარეშე თამარი დადიანის სასახლის ბაღშიაც კი ვერ გამოვიდოდა და, სურდა თუ არა, მთელი დანარჩენი სიცოცხლე ხაფანგში გაბმული ნადირის ხვედრით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

ოტია, ამგვარად, ერთ-ერთ ყველაზე უფრო საშიშ და ყოვლის შემძლე მოცილეს აშორებდა იმერეთის სამეფო ტახტს და თანაც ისე მარჯვედ და მოხერხებულად იქცეოდა, რომ არც მწვადს წვავდა და არც შამფურს.

სოლომონს არ შეეძლო არ დაენახა, თუ რაოდენ განუსაზღვრელი იყო მისდამი სიმამრის ერთგულება, არ შეეძლო არ შეემჩნია, რომ ოტია დადიანი თვით ყველაზე უფრო უკიდურეს ღონესაც კი ხმარობდა ტახტზე მის მოსამძლავრებლად, მოსისხლე მტერს საკუთარი სახლის კარებს უღებდა!

მეფემ მხოლოდ მოგვიანებით შენიშნა, რომ დადიანის წიგნში ერთი სიტყვითაც არ იყო მოხსენიებული არგვეთის ბატონი ლევან აბაშიძე, დიდ დედოფალ თამარის მამა და ეს პირველად კიდევაც გაუკვირდა. შეუძლებელი იყო, ოტიას რაიმე დავიწყებოდა და მხედველობიდან გამორჩენოდა. რაკი

მეფისადმი გამოგზავნილ ფრიად მნიშვნელოვან წიგნში ლევან აბაშიძე არსად ახსენა, მაშასადამე, ლევანის მიმართ დადიანი არავითარ დათმობებს არ აპირებდა და, მიუხედავად ნათესაობისა, კვლავ მოსისხლე მტრად თვლიდა.

მაგრამ მამისა და ასულის, ლევანისა და თამარის, ბედი ერთიმეორეზე განუყრელად იყო გადაბმული. როგორ მოხერხდებოდა ერთის მოგვარება, თუ მეორის გამოც რაღაც მსგავს გადაწყვეტილებას არ მიიღებდი! ლევანი თავისი ასულის, დედოფალ თამარის, სალოცავი კერპი და უტყუარი დასაყრდენი იყო. ლევანის გარეშე თამარი იმ ფრინველს დაემსგავსებოდა, რომელსაც ცალი ფრთა მოაკვეცეს და ამით სამუდამოდ მოუსპეს ცის ლაჟვარდში განავარდების საშუალება. ეს სოლომონმა იმთავითვე კარგად იცოდა და ამიტომაც გულში ყოველთვის უნდობლად უყურებდა დედას, რომელიც თავის მამას, ლევან აბაშიძეს, ქვეყნის ერთადერთი კანონიერი მბრძანებლის, მეფე ალექსანდრეს, წინაც კი აყენებდა ხოლმე და სამეფო კარზე ლევანის გავლენის შემდგომ განმტკიცებას ყოველნაირად ხელს უწყობდა. მამა და შვილი დღესაც ერთად იყვნენ ალყაშემორტყმულ სასახლეში. როგორ უნდა მოხერხებულიყო მათი განცალკევება და ლევანისაგან დაფარულად დედოფალთან მოლაპარაკება? ვინ შეეგზავნა სასახლეში, სადაც ყოველი კარის უკან სიკვდილი იყო ჩასაფრებული? რა გზას დასდგომოდა, თუ სასახლის ბინადარნი კვლავ გაჯიქდებოდნენ და ამაყად შემოთვლიდნენ, მტყუანი და მართალი ხმალმა გაგვასწოროსო?

ქაიხოსრო აგიაშვილმა ოკრიბელი გლეხი შამშე ბრეგვაძე მოიგონა, დიდი და პატარა ურახუნედ რომ იცნობდა. ურახუნე, როგორც სახელიც მიუთითებს, არაჩვეულებრივად ძლიერი ხმის პატრონი იყო. მტერსა თუ მოყვარეს ამ მთიდან იმ მთაზე ისე გააგონებდა, თითქოს ღობის გადაღმა კარის მეზობელს ეძახისო. ურიგო როდი იქნებოდა, თუ ეს იერიქონის საყვირი ყველაზე მაღალ ხეზე აბობღდებოდა და სასახლეში მყოფთ მეფის სახელით საზავო მოლაპარაკებას შესთავაზებდა.

თავადის მხლებელი მედროშე, შიკრიკები და ასისთავები მსწრაფლ დატრიალდნენ, ცოტათი შეფიქრიანებული ურახუნე, ნეტავი ბატონს რისთვის გავახსენდიო, სადღაც იპოვნეს და სარდალს მოჰგვარეს, სარდალმა კი ის მეფეს მიუყვანა.

სოლომონი ამ დილას ადრიანად გამოვიდა კარვიდან. მთელი ღამე შფოთსა და მოუსვენრობაში გაატარა. ახლა თავს ძალას ატანდა, ხუმრობდა, იცინოდა და სხვებსაც აცინებდა. მხოლოდ ურახუნეს დანახვაზე ეცვალა ფერი, მოიღრუბლა და პირში წყალი ჩაიგუბა. ეს ახოვანი, ოდნავ ჰკუანაკლე, მაგრამ მოწყვეტილი მეწყერივით ღონიერი, ხარის ქედიანი გლეხი უმალვე იცნო: ამან ხომ მამის უბედურება აუწყა კაცხის სასახლეში, სადაც თინათისთან ერთად ღამე გაათია და ჭალატყიდან ბაბუა ლევანის დაბრუნებას ამაოდ ელოდებოდა.

მეფეს ქუთუთოები დაუმძიმდა. თვალწინ ნათლად წარმოუდგა ის დაუვიწყარი ღამე, ჩირაღდნებით გაჩაღებული აბაშიძის ეზო, გაფითრებული პაწია თინათი, ჯერ ისევ სალხინოდ რომ იყო გამოწყობილი, და თავისი გამოსვლა ხალხის წინაშე. მას იქ ისე შეხვდნენ, როგორც მეფეს. ეს იყო რაღაც უცნაური და სინდისის მქენჯნელი სიხარულის პირველი მოზღვავება, რომელსაც აგრეთვე ვერავის გაუმხელდა და სამუდამოდ გულში უნდა დარჩენოდა.

წამიერი თავდავიწყებიდან, სულით ხორცამდე რომ შეიპყრო, სოლომონი გამაყრუებელმა გრგვინვამ თუ ჭექა-ქუხილმა გამოიყვანა. ეს ურახუნეს ხმა იყო. ბრჭყვიალა სალტეებით აჭრელებული გრძელი თოფი ურახუნეს ხეზე მიეყუდებინა, ქალამნებიც გაეძრო და ლაზლის წინდების ამარა ვეება მუხის წვერზე აბობღებული მთე-

ლი ამერ-იმერის გასაგონად ყვიროდა:

— ლევან აბაშიძე, უუუ!.. გეყოფა, შე სულძაღლო, ჩვენი სისხლის წოვა, გასკდა შენი მუცელი! გამოდი ახლა გარეთ, ჩაგვბარდი!.. მოვიდა შენი სიკვდილი და გადაშენება — ბატონი მეფე სოლომონი. ახლა გეტირება დედა, შე პირძაღლო. მოეღო ბოლო შენს პარპაშს, უუუ, ლევან აბაშიძეეეე!..

მეფემ შუბლი შეიკრა, შეურაცხყოფისაგან ყურები აეწვა, აგიაშვილს მიუტრიალდა:

— ჩამოაგდეთ ძირს! რას ჩმახავს ეგ ბრიყვი?

ქაიხოსრო თავადაც მიხვდა: ურახუნეს მეტისმეტი მოსდიოდა. რაკი მტრის ბანაკში გადაძახება დააკისრეს, არგვეთის გულხარბ ბატონზე, მთელ მხარეს რომ არბევდა და აწიოკებდა, გლეხკაცურ გულისჯავრს იყრიდა და უმცროს-უფროსობა სულ დავიწყებოდა. აბღავლებულ ბრეგვაძეს ახლა აგრე ადვილად ველარ გააჩერებდი. თავისი საკუთარი ხმის გარდა, რომლითაც ცასა და ქვეყანას ავსებდა, ურახუნეს სხვა აღარაფერი ესმოდა. მას არც იმ თოფებისა და ზამბულაკების გრიალი და ჭახაჭუხი გაუგონია, გალავნის ქონგურებიდან რომ ესროდნენ. იქიდან აქამდე კარგა დიდი მანძილი იყო. ურახუნეს ტყვია ვერ სწვდებოდა და შორ მანძილზე ფრენით ძალადაკარგული უბრალო კენჭებივით ცვიოდა ტყეში...

ურახუნემ ამასობაში გული მოიჯერა. ერთი შეჩვენება, მუქარა და წყევლა-კრულვა კიდევ გაუგზავნა გალავნის გადაღმა მყოფთ და დაიმედებული, რომ ბატონის ნაბრძანები პირნათლად შეასრულა, ძირს ჩამობობღდა.

ჯარი სიცილით იჭაჭებოდა. მეფესაც როგორღაც გაუნელდა წყენა და გაეცინა. მეფე იცინისო? აქამდე გოროზად კოპებშეკრულ ქაიხოსრო აგიაშვილს, რომელიც იმის ფიქრში იყო, ეს თავისი ავყია, პირმოხეული ყმა რით დაესაჯა, ხარხარის მაგიერ ხმამაღალი სლოკინი აუტყდა. მახლობლად ვიღაც მამალი ხოხობივით ყიოდა და ხროტინებდა. გულხელდაჭდობილი ხუტუნია შერვაშიძე და მის ირგვლივ შემოკრებილი აფხაზი დიდებულები მეფეს ერიდებოდნენ და სიცილისაგან მოგვრილ ცრემლებს ნამალევად იწმენდდნენ. პირი მოეღოთ და ერთმანეთს ასკდებოდნენ ბერი წულუკიძე და სვერიდან სწორედ ამ წუთს მოსული ქაიხოსრო წერეთელი. იცინოდა უფროსი და უმცროსი, ბატონი და ყმა, მოხუცი და ახალგაზრდა. ვინც შორს იყო და ურახუნეს ხმა გაეგონა, სახუნდარი მიეტოვებინა და თავქუდმოგლეჯილი აქეთ მორბოდა, დავინახო ერთი, საკუთარი თვალით დავინახო, ვინ არის ამ საარაკო ხმის პატრონი, მართლა ადამიანისშვილია, თუ მწყალობელ მეფეს ომში დევებიც ეხმარებიანო.

ზღვა ხალხში, სოლომონს რომ გარს შემოხვეოდა და მტრის თავზარდამცემი ხმით ხარხარებდა, ერთადერთი ხოტევის ციხის პატრონი, თმაჭაღარა, ბეჭებში ოდნავ მოხრილი გიორგი წულუკიძე იყო, ვინც საყოველთაო მხიარულებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

გიორგის ორი-სამი საათის წინ ტყვე გურული მოლაშქრეებისაგან შეეტყო ხინოწმინდის დედათა მონასტრის აკლებისა და დედოფალყოფილ თინათის ახალშობილ ყრმითურთ უგზოუკვლოდ დაკარგვის ამბავი და საშინელ საგონებელში ჩავარდნილიყო. ტყვეების ნაწყვეტ-ნაწყვეტ მონათხრობში დაუჯერებელი არა იყო რა, მაგრამ ეს სამწუხარო ამბავი თავადმა მაინც საეჭვოდ, სოლომონ მეფის მტრების შეთხზულად სცნო და თვით უმცროს ძმა ბერისაც არ გაუმხილა, ვიდრე ომში დაჭრილ-დაკოდილთა საპატრონოდ ქუთაისიდან კაპუჩინელი პატრები არ მოვიდნენ და გურულ მოლაშქრეთა ნალაპარაკევი სიტყვასიტყვით არ დაადასტურეს. რამდენ ხანს შეიძლებოდა მისი დამალვა? სოლომონს ხომ ადრე თუ გვიან უნდა გაეგო! მაგრამ ვინ ეტყოდა? ენას ვინ დაასველებდა? ვინ შეატყობინებდა ამბავს, რომელზე

უარესსა და გულის შემაღონებელს კაცი ვერას გააგონებდი?

თითქოს გულმა რაღაც ავი უგრძნო, სოლომონმა უცებ მოიხედა და აღმზრდელის თვალებს წააწყდა. გიორგის წამწამზე ცრემლის ცვარი უბრწყინავდა. არა, ეს სიცილისაგან მოგვრილი ცრემლი არ იყო. თავადის დაღვრემილი სახე, მეფისათვის ეგზომ მშობლიური და ახლობელი, ენით აუწერელ ნაღველსა და მწუხარებას გამოხატავდა.

„რა მოხდა? — გაუელვა სოლომონს. — გიორგის რაღაცის თქმა სურს. ღმერთმა ნუ მოგვასწროს და, ჩვენს სიმამრს, ბატონ ოტიას, ხომ არაფერი გაუჭირდა?" ხმამაღლა მას არაფერი უთქვამს, მხოლოდ კიდევ ერთხელ შეხედა გიორგი წულუკიძეს, რათა მის თვალებში თავისთვის სამწუხარო ამბავი სიტყვის უთქმელად ამოეკითხა. ჩანდა, საჩქარო და გადაუდებელი არაფერი იყო, რადგან გიორგი ხმაგაკმენდილი იდგა და რისამე შესატყობინებლად მეფეს განზე გადგომას არ თხოვდა. იქნებ სოლომონს სულაც მოელანდა გამზრდელის წამწამზე დაკიდებული ცრემლი? მან ახორხოცებული ჯარის წრე გაარღვია, იმ ხის ძირში მივიდა, საიდანაც ურახუნე ჩამობობღდა, ხელი ასწია და მხლებლებს უბრძანა, ვაჟბატონი ბრეგვაძე აქ მომგვარეთო.

ურახუნეს ეგონა, ბატონი მეფე საჩუქრის მოსაცემად თუ იბარებდა და თვალის დახამხამებაში მის წინ გაჩნდა. ქალამნის თასმების ამოკვრა ძლივს მოესწრო. გზადაგზა წელზე მჭიდროდ შემოჭერილ ბალთებიან ქამარში ჩატანებულ ჩოხის კალთებს იშლიდა. ჩოხა მისი ტანისა არ იყო. ბეჭებზე ასკდებოდა. უთუოდ ნათხოვარი ჰქონდა, ან ომში ეშოვნა.

მეფემ მოწყალედ გაუღიმა და თითქოს დაჭიდებას უპირებსო, მზისაგან გარუჯულ ქედზე ხელი სახვნელივით მოსდო, შეანჯღრია, ურახუნეს თუ თავის ღონეს სინჯავდა.

— რა გიყო ახლა? თვალები დაგწვა თუ თავი გაგაგდებინო?

გლეხმა სოლომონის მეფური ხუმრობა იუცხოვა, ერთგული ხარის ნაღვლიანი თვალები აახამხამა, ამ დალოცვილმა მართლა არაფერი შემამთხვიოსო, საცოდავად მოიბუზა და დაიჩოქა.

— რა შეგცოდე მაგის ფასი, შენი ჭირიმე, ბატონო?

სოლომონმა მსუბუქად წაჰკრა მუხლზე ფეხის წვერი.

— ადე! ბაბუა გამილანძღა და აქეთ მეკითხება, რა შეგცოდეო. რად გამილანძღე, ბიჭო, ბაბუა, ვინ არის შენი გასალანძღი?!

ურახუნეს საქციელი წაუხდა. ტუჩები უკბილო ბერიკაცივით ააცმაცუნა. ირგვლივ მყოფთაგან ბევრი ვერ მიხვდა, მეფე ისევ ხუმრობდა, თუ ამას მართლა გულით ეუზნებოდა.

— ეს ერთხელ მიპატიებია, — სასაცილოდ მობოშებული გოლიათის შემხედვარე სოლომონს კვლავ ღიმილი მოერია და ამან უეცრად გააქარწყლა წამიერად ჩამოვარდნილი დაძაბულობა. — ვაპატიოთ ხომ, ხალხო? რას იტყვით თქვენ?

— ვაპატიოთ, ვაპატიოთ! — ერთხმად იგრიალა დიდმა და პატარამ და ისევ მოისმა წამის წინ შეწყვეტილი უზრუნველი სიცილი და მხიარული შეძახილები.

სოლომონი ჩინებულ გუნებაზე დადგა, ურახუნეს ტოლივით დაჰკრა მხარზე ხელი და ზეზე წამოაგდო.

— აი, ხომ გესმის? ეს ერთხელ გვიპატიებია. მეორედ, იცოდე, ვეღარ მოერიგდებით. ახლა ისევე ადი ამ ხეზე და ასე დაუძახე...

სოლომონმა რამდენიმე სიტყვაში ჩამოაყალიბა ლევან აბაშიძის მიერ გადაბირებული და გაბრიყვებული მარგველი მოლაშქრეების შემოსარიგებელი საზავო პირობა. ამ პირობით ლევან აბაშიძის ყურმოჭრილ ყმებს უცხადებდა, რომ შემდგომმა წინააღმდეგობამ და უაზრო სისხლისღვრამ კარგა ხანია ყოველგვარი აზრი დაჰკარგა და ორივე

მხარისათვის უმჯობესი იქნებოდა, თუ ომსა და უსიამოვნებას დღესვე მშვიდობიანი მორიგებით დაამთავრებდნენ. მეფე სრულ უშიშროებას და ხვალვე შინ გაშვებას აღუთქვამდა ყველას, გლეხს თუ აზნაურს, ვინც იარაღს თავისი ნებით დაჰყრიდა და უსიტყვოდ დანებდებოდა, ხოლო იმათ, ვინც კვლავ ურჩობას გაბედავდა და გონივრულ რჩევას არ შეისმენდა, სამაგალითოდ დასჯას ჰპირდებოდა.

გახარებულმა ურახუნემ, რაკი მეფის მოსალოდნელ რისხვას ასე იოლად გადაურჩა, ჩოხა ამოიკალთავა, ბოლოები კვლავ ბალთიან ქამარში ჩაიკეცა, ქალამნები წაიძრო და საკვირველი სისწრაფით ხეს კენწეროში მოექცა.

გაიგონეს თუ არა, მეფის მხარე მორიგებას გვთავაზობს და თვით მწყალობელი ბატონი პატიებასაც გვპირდებაო, მარგველმა მეთოფეებმა სროლა შეწყვიტეს და გაინაბნენ.

პასუხს არავინ იძლეოდა. კარგა დაბინდებამდე სრული სიწყნარე იყო. ალყაშემორტყმული მტერი ჯერ კიდევ ყოყმანობდა და იარაღის დაყრა აგრე ადვილად ვერ გადაეწყვიტა. მახეში ორივე ფეხით გაბმულმა ლევან აბაშიძემ უთუოდ არაფერი იცოდა გიორგი ბატონიშვილის მაღლაკის ველზე დამარცხებისა და გადარჩენის ერთადერთ იმედს ოდიშიდან მის დაბრუნებაზე ამყარებდა.

მენაპირე თავადმა ზურაბ მიქელაძემ და მისმა მოსწრებულმა ვაჟიშვილებმა ნავახშმევს მეფის ბანაკში მხარგაკრული მამია გურიელი მოიყვანეს. ბატონი მამია სწორედ მაშინ შეეპყროთ, როცა სანახევროდ ომში ჩალასავით აჩეხილი, სანახევროდ კი ცხვრის ფარასავით აქეთ-იქით გაფანტული თავისი ლაშქრის ნაშთებით გურიაში ბრუნდებოდა.

სოლომონმა არ მოისურვა ტახტის მოღალატე ბიძასთან, მამიდის ქმართან, პირისპირ შეყრა. ერთგული სამსახურისათვის მიქელაძეებს მადლობა უთხრა, შემდეგ სახლთუხუცეს ლომკაც ჯაფარიძეს მიუბრუნდა და უბრძანა, ვიდრე ახალ განკარგულებას არ მიიღებდა, დატყვევებული მთავარი ცალკე კარავში ეყოლიებინა.

## თავი მეთოთხმეტე

ნაშუაღამევს, მთვარე რომ ჩავიდა, სასახლის გალავნის მხრიდან მოალყეთ საეჭვო ფხოწიალ-ფხოწიალი შემოესმათ. მოალყეებმა თოფებს დანოტიავებული ფალია გამოუცვალეს და თვალები შავად გამომზირალ გალავანს მიაპყრეს. ნუთუ მტერი ჭკუაზე შესცდა და დანებების მაგიერ გარეთ გამოხტომას და ალყის გარღვევას აპირებდა? მალე ყველაფერი ცხადი შეიქნა. მარგველებს, ვინც ახლო მეზობლის ტყვიით დაღუპვას ისევ მეფესთან მისვლა და ცოდვების მონანიება ამჯობინა, ღამის სიბნელით ესარგებლათ და, ვინაიდან კარიბჭე ძველებურად ჩაგმანული ეგულებოდათ, გრძელი თოკები ეშოვნათ, ქონგურებზე გამოებათ და გალავნის მაღალ კედელზე სწორედ ამ თოკებით ეშვებოდნენ.

გალავანთან ყველაზე ახლოს მდგომი ქაიხოსრო აგიაშვილი თვით ადევნებდა თვალს ლევან აბაშიძის ბანაკიდან უჩუმრად გამოპარული მარგველების თავლაფიან დასხმას.

პირველი, ვინც თოფი ათიოდე ნაბიჯის მოშორებით დააყუდა და აგიაშვილის საფარისაკენ ხელებაწეული წამოვიდა, კვახჭირელი მახარობელა გუნცაძე და გოდოგნელი ათისთავი ასკია აბესაძე იყვნენ. აგიაშვილმა არც ერთი ახლოს არ მოუშვა. თავისივე ნებით ტყვედ დანებებულნი გაჩხრიკეს

და ასწლოვან მუხებს შორის მოქცეულ პატარა მინდორში დააყენეს, სადაც აგიაშვილის კაცებს ცხენები ებათ და დილას აქეთ ჩონჩორიკისა და შარდის სუნი ტრიალებდა. მალე ეს მინდორი გალავნის კედლებზე ჩამოცოცებული უიარაღო ხალხით აივსო. მარგველები ფიცით ირწმუნებოდნენ, სასახლეში თითქმის აღარავინ დარჩა, სწორედ დროა კარიბჭე შეანგრიოთ და შიგნით შეცვივდეთო.

ოკრიბის ბატონს ჭკუაში დაუჯდა ეს თათბირი. ვიდრე ის ყოყმანობდა და მეფის დაუკითხავად ჯარის აყრა ვერ გადაეწყვიტა, სოლომონისაგან შიკრიკი მოიჭრა და სარდალს მეფის განკარგულება მოუტანა. სოლომონი აგიაშვილს იმასვე უბრძანებდა, რასაც სარდალს ლევან აბაშიძის ბანაკიდან გამოქცეული მარგველები ურჩევდნენ.

თავადმა ბრძანა და აღალიდან მაღალ თვლებზე შემდგარი ქართლური ურემი მოაგორეს. მარჯვე ბიჭებმა ურემი ჯერ კარიბჭის პირდაპირ დააყენეს, შემდეგ შემოატრიალეს და მთელი სისწრაფით კარიბჭისაკენ გააქანეს. გამაყრუებელი ჯახანი შორს გაისმა. რკინით შეჭედილი ვეება კარი ურმის დატაკებისთანავე გაიღო. ჩანდა, ის აქამდეც ღია იყო და არამცთუ მძიმე ურმის დაჯახებით, უბრალო მიწოლითაც კი გაიღებოდა. თოფი არც ახლა დაუცლია ვინმეს. სასახლე ან მართლა მიეტოვებინათ, როგორც ტყვედ დანებებული მარგველები ამტკიცებდნენ, ანდა გამარჯვებით წათამამებულ მოალყეებს ვერაგი მტერი შიგნით იტყუებდა, რათა კარიბჭე ხელდახელ ჩაეგმანა, მოულოდნელად დასტაკებოდა და შემოსულებისათვის თავზე ღვთის რისხვა დაეტეხა.

სასახლის ტრიალი მინდორივით თვალუწვდენელ გალავანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ცას განთიადის ფერები შეჰპარვოდა და მოახლოებული დილის ბინდბუნდში თანდათან იკვეთებოდა ნაყოფის სიმძიმით მიწამდე დატანილი ხალშენი ვაშლისა და მსხლის ხეები. ოქროსფრად აბრდღვიალებულიყო ორი ძირი ინდური ხურმა წიწიბრიანი გუმბათით ცაში აჭრილი კარის ეკლესიის წინ. წყავისა და თხილის ბუჩქები ჩამუქებულიყვნენ, ხოლო თეთრი და შავი ყურძნით დახუნძლული ვაზის ტალავერი დაცხავებული ნაბადივით ნაწილ-ნაწილ ფარავდა ხეებსაც, სასახლესაც და ირგვლივ მიმობნეულ სხვა შენობებსაც. ტალავერი კარიბჭესთან იწყებოდა და, წყალუხვ მდინარესავით რამდენიმე ტოტად გაყოფილი, სასახლესა და კარის ეკლესიას გარს უვლიდა.

ეკლესიის კარი ვიღაცას გაეღო, გაეღო თუ გაქცევისას ღია დარჩენოდა. საკურთხეველთან დადგმულ შანდლებში რამდენიმე სანთელი ბჟუტავდა. პირქუში თაღების ქვეშ მომწყვდეულ წყვდიადში მოციმციმე ალი მხოლოდ ოქროს წყალში გავლებული კანკელის ქვედა კუთხეს და საკურთხეველზე ამავალი კიბის ორად ორ საფეხურს ჰფენდა მოყვითალო, არაამქვეყნიურ შუქს. მლოცველთაგან აქ არავინ ჩანდა. თუ ვინმე იყო, ალბათ, სვეტებს ეფარებოდა და სააშკაროზე გამოსვლას თავს არიდებდა.

კარღია ეკლესიისა და შიგ დანთებული სანთლების წინაშე ყოველი გამვლელი, ქვეითი თუ ცხენოსანი, ქუდს იხდიდა და გამალებული პირჯვრის წერითა და ბუტბუტით, თითქოს ღვთის თვალისაგან დამალვას ლამობსო, წინ მიიჩქაროდა.

საჯინიბოს მხარეს თუ თვით სასახლეში სროლასა და მარეკ-ბაზიერთა ყიჟინას შეჩვეული მწევარ-მეძებრები წკავწკავებდნენ. ვიღაც გულშემატკივარს მოესაზრებინა და ეს გაჭირვებულები, არსად გაიფანტონო, ყველა ერთად დაემწყვდია. სადღაც შორს, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, არხეინად ყიოდა მამალი და მას სხვა მამლებიც სხვადასხვა ხმაზე მხარს უბამდნენ, ცოდვითა და მადლით სავსე ქვეყნიერებას ახალი დღის დადგომას ამცნობდნენ. ნადირობასა და ტყე-ღრეში თავისუფალ ნავარდს დანატრებული ძაღ-

ლების ყეფა-წკავწკავში დროდადრო გაგრძელებული ყმუილიც გამოერეოდა ხოლმე. ყმუილი ყურს ჭრიდა და იდუმალებით აღვსილ სიჩუმეს, სასახლის შემოგარენი რომ მოეცვა, კიდევ მეტი შფოთითა და ავის მაუწყებელი მოლოდინით ავსებდა. ვიღაც სულმოკლეს მოთმინებამ უღალატა და, არც აცივა, არც აცხელა, ძაღლების სადგომთან გავლისას კარს თოფი დაახალა. ძაღლები წამით მიჩუმდნენ, მერე კი, თითქოს განაწყენებულნი, ეს რა გვაკადრეს და გაგვიბედესო, ჩახლეჩილი ხმით აყეფდნენ, აწკმუტუნდნენ, აწკავწკავდნენ და კიდევ უფრო გულსაკლავი ყმუილი მორთეს.

სასახლის გალავანი ჯარით ივსებოდა. ცხენი და კაცი, მხედარი და ქვეითი, ბატონი და ყმა, ერი და ბერი ერთმანეთში არეულიყო. ყველა სასახლეს ეტანებოდა, ყველას სურდა კიბე პირველს აერბინა და საკუთარი თვალით ენახა, რაც შიგნით ხდებოდა. ბევრს საშვილიშვილო ქონების შეძენისა და ხელის მოთბობის ჟინიც აღძვროდა, სხვები კი თავიდანვე შერიგებოდნენ აზრს, აქაურობას ჩვენ არავინ გაგვაძარცვინებსო და ხარბ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, უბრალო ცნობისმოყვარეობის დაცხრობით კმაყოფილდებოდნენ.

სარდლებითა და სხვა დიდებული მხლებლებით გარსშემორტყმულმა სოლომონმა ცხენი კარის ეკლესიის ზღურბლთან შეაჩერა, ჩამოხდა, სადავე ძიძიშვილს, ნიკოლოზა ნაფიჩვაძეს, მიუგდო, პირჯვარი სასოებით გადაიწერა და შესავლის ქვის ჩარჩოს ნაქანდაკევ ვაზის ფოთოლზე სამგზის გულაჩქროლებული ემთხვია. მეფის მხლებლებიც მსწრაფლ ჩამოქვეითდნენ და პირჯვრის წერით მუხლი მოიყარეს. თმაწვერმოშვებულმა ახალგაზრდა მღვდელმა, უბედურ ფოთელ ვაჭრებს დეხვირის ციხესთან რომ ალსარების წმიდა საიდუმლო ათქმევინა და სახრჩობელაზე აყვანის წინ აზიარა, მტვერში ამოგანგლული სალაშქრო ანაფორა გამხდარ კანჭებამდე აიწია, ზღურბლს გადააბიჯა და ხმამაღალი გალობით ღვთის სახლში შევიდა. მოსულს სიბნელიდან კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი მაღლა აწეული ჯვრით მოეგება. ახალგაზრდა მღვდელი ჯვარს ემთხვია და გალობითვე საკურთხეველს მიაშურა. შემოსილი სვიმონ წერეთელი კარში ჩადგა. ვიდრე სხვებიც შემოვიდოდნენ და მეფის კვალდაკვალ თაყვანს სცემდნენ, თავის გამნათლველ მოძღვარს ჯერ სოლომონი მიეახლა, ცხოველმყოფელ ჯვარს კრძალვით ეამბორა, ხელზეც მოწიწებით ემთხვია და უჩურჩულა:

— მოვედი, მამაო სვიმონ, შემოვდგი ფეხი შენს სამკვიდრო ტაძარში, დამლოცე, შემავედრე ზეციერ მამას, მომიტევოს შეცოდებანი ჩემნი, მწედ ეყოს უბედურ ქვეყანას ჩემსას და მოწამებრივ ჯვარზე გაკრულ ერს ჩემსას!..

— ილოცე, შვილო ჩემო, სოლომონ, — გულში ჩაგუბებული ხმით მიუგო მღვდელმა. — უფალი ღმერთი შეისმენს შენს წრფელ ლოცვას, რამეთუ შეიძულე კრებული უკეთურთა და უღმერთოთა თანა შენ არ დასდექ...

— გმადლობ, მამაო სვიმონ, — სოლომონს მოზღვავებული ცრემლით აევსო თვალები და მოხუცის აკანკალებულ, ცივ ხელს კიდევ ერთხელ მხურვალედ ემთხვია. — თუ უფალმა ღმერთმა მაცოცხლა და დღე ნაადრევად არ მომისწრაფა, მე პირნათლად აღვასრულებ დადებულ აღთქმას და კვლავ განვაახლებ ავაზაკთა სადგომად გადაქცეულ წმიდა ეკლესიას.

— ღმერთმა გისმინოს, შვილო, — სვიმონმა ოქროს წყალში დაფერილი მძიმე ჯვარი ასწია, მით სოლომონსა და მთელ ამალას ჯვარი სამგზის გადასახა, ხოლო შემდეგ შემოგებებულ მნათეს საცეცხლური ჩამოართვა და საკმევლის კმევით წინ, სანთლებითა და გუმბათის სარკმლებში ჩამომდგარი დილის შუქით განათებულ ხატებისაკენ წაუძღვა.

სანამ კარის ეკლესიაში პარაკლისს იხდიდნენ და მეფე და მისი ქვეშევრ-

დომნი ღვთისადმი ლოცვას აღავლენდნენ, ქაიხოსრო აგიაშვილმა, ბერი წულუკიძემ და ქაიხოსრო წერეთელმა, რომელთაც სოლომონმა სასახლის პალატების დაკავება, ხაზინის ხელში ჩაგდება და შეთქმულთა შეპყრობა მიანდო, ყველა დარბაზი და სათავსო პირადად შემოიარეს და, სადაც საჭიროდ მიიჩნიეს, ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, საიმედო მცველები დააყენეს.

ლოცვით, გამუდმებული უძილობით, გადატანილი მღელვარებითა და საკმევლის მათრობელა სუნით გაბრუებულ მეფეს ახალი სამწუხარო ამბის შეტყობა ელოდა.

ბედოვლათ მოალყეებს, რომელთა დიდი ნაწილი კარიბჭის გარეთ დარჩა, ეს იყო ხელიდან გასხლტომოდათ თეთთინელი ბერის შავ ანაფორაში გახვეული არგვეთის ბატონი ლევან აბაშიძე. გადაცმული ლევანი მისსავე ყმებს ეცნოთ. უმალ ყვირილი აეტეხათ, არიქა, გაგვეპარა, თავი დაეუართოთ, მაგრამ, ვიდრე დაბნეული ხალხი რასმე მოისაზრებდა და ხელს გაანძრევდა, მოხუცებულ თავადს ასაკისათვის შეუფერებელი სიმარჯვე გამოეჩინა, ხეზე გამობმულ ვილაცის ცხენს ქაჯის სიმკვირცხლით ზურგზე მოხტომოდა და თვალსა და ხელს შუა გამქრალიყო.

საყდრის ნახევარწრისებურ ქვის კიბეზე გამოსულ სოლომონს, ეს რომ შეიტყო, სახეზე ცეცხლი მოეკიდა, შუბლზე სიმწრის ოფლი დაასხა, მუხლები აუკანკალდა და პირში ნერწყვი გაუშრა, მაგრამ სულის მხნეობა მაინც მოიკრიბა და ყველას გასაგონად შესძახა:

— ღალატია! ვილაცა იუდამ ყელი გამოგვჭრა და გააპარა. ახლავე შეკარით გზები! ოთხივე კუთხივ ას-ასი კაცი გაიგზავნოს! ხუთასი ყურუში იმას, ვინც არგვეთის ბატონს ცოცხალს და უვნებელს მომგვრის!

ლევან აბაშიძის მოულოდნელმა მიმალვამ უკლებლივ ყველას, ვის ყურამდეც კი ეს ამბავი მივიდა, თავზარი დასცა. ბრბომ ერთბაშად იხუვლა, ნაჯარი ფუტკარივით შეჯგუფდა, აირია და, თითქოს ლევან აბაშიძე სადმე აქ ახლოს ყოფილიყოს დამალული, აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდა. სარდლები გაუნძრევლად იდგნენ იმავე ადგილზე. ხაფანგში გაბმული ლევან აბაშიძის საწაულებრივი გაქრობა, როცა ის ყველას მეფის ტყვედ მიაჩნდა, სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო. უცებ ვერავინ მოისაზრა, რომელ გზას დასდგომოდნენ და ლტოლვილი თავადის შესაპყრობად რა ღონისათვის მიემართათ.

— აქ მომგვარეთ, ვინ ნახა ლევანი, ვინ იცნო! — ბრძანა სოლომონმა.

ორ წუთსაც არ გაუვლია, გრძელი შუბებით შეიარაღებულმა ოკრიბელმა მოლაშქრეებმა კარის ეკლესიის წინ, სადაც მეფე და დიდებულთა კრებული იდგა, სამი ხელებშეკრული მარგველი გლეხი შემოიყვანეს, ბეჭებში მუჯლუგუნი წაჰკრეს და აქლემებივით დააჩოქეს.

— თქვენი თვალით ნახეთ? — სამივეს ერთად ჰკითხა სოლომონმა.

მეფე წეღანდელზე უფრო აღგზნებული, განრისხებული და პირგამეხებული ჩანდა. მას იმის დაუძლეველი შიშიც კი შეჰპარვოდა გულში, ვინმე უკეთურმა ხმა არ დამირხიოს, ვითომ ბატონიშვილი ბაძუ იძეში თვითონ მე გავაპარე, რათა სისხლმოწყურებული ბრბოს ხელში არ ჩამეგდო, და ხალხი არ გადამირიოსო. მსგავსი რამ ამისთანა დროს მართლაც მოსალოდნელი იყო. თუ ბოროტი ენების დაყრილ ჭორს ჯარი სარწმუნოდ მიიღებდა, მეფეს ორპირობას შესწამებდა და ტახტის თავდადებულ სამსახურზე უმალ გულს აიყრიდა.

ჩოხის კალთაჩამოხეულმა სახენაიარევმა გლეხმა, ჯავრისაგან დანა პირს რომ არ უხსნიდა და წლოვანებით დანარჩენ ორზე უფროსი უნდა ყოფილიყო, მეფე დანახვისთანავე იცნო, თაყვანისცემის ნიშნად შუბლით ქვის კიბის სულ ქვედა, სანახევროდ ბალახით გადავლილ საფეხურს შეეხო და ხელმწი-

ღის ხილვით გაოგნებული ამხანაგებისა და თავის მაგიერ სოლომონს მიუგო:

— ღმერთმა და მამაზეციერმა სულ წაღმა და ბედნიერ ფეხზე გარონიოს, მწყალობელო ბატონო, მტერი და ორგული სულ მოგიფშვნას და დაგიმარცხოს!.. რავარც რო შენს მაყურებელს გულზე სალბუნი გვეფინებოდეს და ღვთიშობელ დედას შენი ჯანის სიმრთელეს შევთხოვდეთ, ისე ჩვენს ჯალაბსა და ქეთილებს მიეცეს დიდი დღე. ღმერთო და იესო მაცხოვარო, შენი მუხლების ჭირიმე, კაი ყურით გეიგონე!

უკანასკნელ სიტყვებს რომ ამბობდა, ირიბი ჭრილობისაგან დაჭიმული გატანჯული სახე გლეხმა ცად აღაპყრო. პირჯვრის გადაწერა დააპირა. ვითომდა ამით ლოცვა-ვედრებისათვის ბეჭედი უნდა დაესვა და მეტი ძალა მიენიჭებინა, მაგრამ ორივე ხელი ზურგსუკან ჰქონდა გაკრული, ეს ვერ შესძლო და პირჯვრის გადაწერის მაგიერ საწყალობლად გაიღიმა.

— გაუხსენით ხელები! — ბრძანა სოლომონმა.

ოკრიბელი შუბოსნები გლეხს მისცვივდნენ და თოკს დაეჯაჯგურნენ. კარგა ხანს იწვალეს, სანამ ნასკვს გახსნიდნენ.

— სამივეს! — მიმართა მათ სოლომონმა, როცა ოკრიბელებმა სახენაიარევ გლეხს ხელები გაუთავისუფლეს და ახალი განკარგულების მომლოდინენი კვლავ განზე გადგომას აპირებდნენ.

ხელების გახსნის შემდეგ მარგველები სოხანეზე მორჩილად დაემხნენ, მეფეს სამგზის თაყვანი სცეს, თან მეტისმეტი გულმოდგინებით პირჯვარს იწერდნენ და მადლიერების გამომხატველ სიტყვებს ბუტბუტებდნენ.

— თქვენი თვალით ნახეთ? — გაიმეორა კითხვა სოლომონმა.

— ლევანი? კი, ბატონო, ჩვენი თვალით ვნახეთ, რავარც ახლა მე შენს დიდებულებას ვუყურებ, — უპასუხა იმავე გლეხმა. — შავი ანაფორა ეცვა. მუხლებამდე წვდებოდა. თავსავე ამან დაგვაეჭვა. ფრანგის ღვდელი გვეგონა...

— იქნება შეგეშალათ და მართლა ფრანგის ღვდელი იყო?

გლეხმა კოჟრიანი ხელები გაასავსავა:

—არა, ბატონო, ნამდვილად ბატონი ლევანი ბრძანდებოდა, ხატზე დევიფიცეფ, იმას ვერ ვიცნობთ ჩვენე? ნუ შეგვრისხავ და, ამოგვაგდო, დედაბუდიანა გაგვყიდა, სოფელკუთხე გადაგვამტერა, პირში სული აღარ შეგვარჩინა...

— მაშინვე რატომ არ გააცხადეთ?

— გავაცხადეთ, აბა არ გავაცხადეთ? ვინ დაგიჯერა, ბატონო, შენ დიდებულებასთან ბოდიში და კიდამე ტყლიპი ჩაგვიქციეს რტყმევით...

— ეგ მერე, როცა ყური მოიყრუეთ და თვალი დაიბრმავეთ. აქ თქვენ მართლა ყრუ და ლენჩი ხომ არავინ გგონიათ?

— რას ბრძანებ, ბატონო. დაგვაფიცე... აგერ ჩვენ და აგერ ღმერთი!

— მარტო იყო თუ ახლდა ვინმე?

გლეხებმა, რომლებიც აქ მოსვლის შემდეგ სანუგეშოს აღარაფერს ელოდნენ, ახლა კი ერთმანეთს გადახედეს. სამივე გულდაგულ მოწადინებული იყო, მეფისათვის რაიმე ღირებული, საქმეში გამოსადეგი ეთქვა და ამით თავი დაეხსნა, მაგრამ მარტო იყო თუ არა თეათინელი ბერის შავ ანაფორაში გახვეული ლევან აბაშიძე, ეს დანამდვილებით არც ერთმა არ იცოდა და უარყოფითი პასუხის გაცემა, ბატონის რისხვა არ დავიმსახუროთო, სამივეს ერთნაირად უმძიმდა.

სოლომონმა შეატყო, ამათგან მეტს ვეღარაფერს გაიგებდა და დრო რომ ზედმეტად არ დაეკარგა, ეკლესიის კიბის საფეხურებთან დაჩოქილ მოლაშქრე გლეხებს ზურგი შეაქცია და ორივე ქაიხოსრო, აგიაშვილი და წერეთელი, იხმო.

აგიაშვილს მან გეგუთისა და ქუთაისისაკენ მიმავალი გზების შეკვრა მიანდო, ხოლო წერეთელს ბაღდადისა და შორაპნისაკენ უნდა გაეგზავნა შეიარაღებული მდევარი. აგიაშვილივე დაი-

ჰერდა თვალს კვახჭირისა და გოდოგნის გზაწვრილებზე, რომელთა გაუვლელად კაცი-სულიერი ცუცხვათის ან ხრესილის ციხეებისაკენ ვერ გასხლტებოდა.

ფიცხელი განკარგულება მიიღეს ზურაბ მიქელაძემ და მისმა ვაჟებმაც, თუმცა ამათი სამფლობელოების მოსაზღვრე გურიისაკენ ლევანის წასვლა ახლა ნაკლებ სავარაუდებელი იყო.

ახალი ლაშქრის შეყრისა და ოსმალების შემომტკიცების მოიმედე ლევანი ან გეგუთს მიაშურებდა, სადაც ჯერ კიდევ გუშინწინ სადამოს მარგველთაგან და დაქირავებულ ყაბარდოელთაგან შემდგარი ცხენოსანი ჯარი ეყენა, ანდა, თუ იმ ჯარის დაშლისა და გაფანტვის ამბავი უკვე შეატყობინეს, გეზს ქუთაისისაკენ აიღებდა და თავს ქუთაისის ციხეში, მამედ-ალი კიკიან-ფაშას კალთას შეაფარებდა. მამედ-ალი კიკიანი ბაშიაჩუკების ქვეყანაში გაბნეულ ოსმალო მეციხოვნეთა უზენაეს მბრძანებლად და განმგებლად ითვლებოდა. ის აქ ოსმალეთის ბედნიერი სულთნის ნების აღმსრულებელი იყო და იმერეთისათვის შემოწერილ ხარკსაც სულთნის სახელით იღებდა. ბაღდადის ციხისთავი უსეინი, შორაპნისა და ხრესილის ციხეთა მოურავები, ახმედი და ალიბეგი, მამედ-ალი კიკიანს სიტყვაშეუბრუნებლივ მორჩილებდნენ და თავიანთ ყოველ ნაბიჯს, თანახმად ოსმალეთის დიდი ვეზირის მოწერილობისა, მას და მხოლოდ მას უთანხმებდნენ.

მდევარს წელებზე ფეხი უნდა დაედგა და ლტოლვილ თავად გზაშივე დასწეოდა. უკეთუ აბაშიძე ქუთაისს მიაღწევდა და ოსმალებს ჩაბარდებოდა, საქმე უკვე წაგებული იყო: განდგომილ დიდებულს, თანაც ასე გავლენიანსა და მეფის უახლოეს ნათესავს, მამედ-ალი კიკიანი, მოსისხლე მტრის რჯულზე შემდგარი იმერელი აზნაური, სიხარულით შეივრდომებდა და ბედნიერი სულთნის ერთგულ ყმას ალერსითა და დაპირებებით აავსებდა.

იგივე ამბავი მოხდებოდა, უკეთუ ლევანი პირს ქუთაისისაკენ კი არა, ბაღდადისაკენ იზამდა და მდევარს თხმელისციხეში შეასწრებდა. ბაღდადის მეციხოვნეები, რომელთა დიდი უმრავლესობა აგრეთვე გადარჯულებული ქართველები იყვნენ, ბაშიაჩუკთა ანუ აჩიკ ბაშთა მეფეების ორგულ ქვეშევრდომებს მუდამ ხელგაშლილად ეგებებოდნენ, ფეხქვეშ ფიანდაზს უგებდნენ და წყალობასა და დახმარებას არ აკლებდნენ.

მდევარი მალე შეიკრიბა. რაზმებს თვით მეფემ ჩამოუარა და უამისოდაც გაფიცხებულ მოხალისეებს დაძვრის წინ ამაღელვებელი სიტყვით მიმართა. ახლა უკვე ეჭვადაც ველარავინ გაივლებდა, რომ მოღალატე არგვეთის ბატონი თვით შვილიშვილმა, სოლომონ მეფემ გააპარა. მეფე ყოველ ღონეს ხმარობდა შფოთის მოთავე აბაშიძის შესაპყრობად.

სამი მარგველი მოლაშქრე, რომელთაც თავიანთი საძულველი ბატონის, ლევან აბაშიძის, სასახლიდან გაპარება ედებოდა ბრალად, პირობისამებრ, გაათავისუფლეს, იარაღიც კი დაუბრუნეს და შინ გაუშვეს, რათა არგვეთის სოფლებში მეფის გულმოწყალების ამბავი მიეტანათ და ამ მხარის ტახტისათვის შემომტკიცება გაეადვილებინათ.

ვარციხეში მყოფ ტახტის ერთგულთ მხნეობას უნერგავდა ახალგაზრდა ბატონის სულის სიმტკიცე და წარბშეუხრელობა, ის კი არავის მოსდიოდა აზრად, რომ დაუნდობელ და ვერაგ მტერზე გამარჯვებული მეფის გულში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს. ერთი მხრივ ის გაალმასებული იყო, ტახტის უპირველესი მტერი ლევან აბაშიძე რომ ხელიდან უვნებლად გაუშვა, ხოლო მეორე მხრივ იგივე ამბავი შვებას ჰგვრიდა, რაკი მუდამ შეუზღუდველი ძალაუფლების მაძებარმა მოხუცებულმა ბაბუამ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად თვით იზრუნა და შვილიშვილს, თუ ლევანს მართლა არ დაიჭერდნენ და მამია გურიელივით მხარგაკრულს არ მოჰ-

გვრიდნენ, სულის წამწყმედი მტარვალობა აღარ დასჭირდებოდა.

მეფეს დღესაც თვალწინ ედგა სამარის კარამდე სამახსოვრო შეხვედრა ჭირსა და ლხინში თანამდგომ ძმასთან, გენათელ მიტროპოლიტ იოსებთან, ყურთ ახლაც ჩაესმოდა თავისი მძვინვარე მუქარა, თინათისთან გაყრის წინადამეს ხოტევის ციხეში რომ წარმოთქვა, მაგრამ, როცა დანაქადის აღსრულებას წინ თითქმის აღარაფერი უდგა, მარჯვენაც უდროო დროს შეუთრთოლდა და მორბილებულმა გულმაც უცხოდ შემოსჩივლა, ქრისტეს მმოსავი, სულგრძელი და დამთმობი იყავით.

ყოველი მომდევნო წუთი მეფის ამ უცნაურ გაორებას უფრო საცნაურს ხდიდა და სოლომონი თავს ებრძოდა, რათა მისი ადამიანური სისუსტე ქვეშევრდომებს, თვით ყველაზე უფრო დაახლოებულ და მისანდო პირებსაც არ შეეტყოთ და ბატონის უნიათობით გულგატეხილნი ღალატის მოლიპულ გზას არ დასდგომოდნენ.

## თავი მეთხუთმეტე

გალავანში შემოზვავებულმა მხედრობამ სასახლის ბაღი მთლიანად აავსო. საითაც კი გაიხედავდი, ყველგან კოცონები ენთო და კოცონების ირგვლივ დიდრონ-დიდრონ ჯგუფებად შედედებული ჯარი ზურზუტებდა. ნაბრძანები იყო, ალალი გარეთ დაეტოვებინათ, რადგან შიგნით ამდენი ხარ-ურმის და ჯორკიდებულის მოსათავსებელ ადგილს ვერსად იპოვნიდნენ, მაგრამ მეურმეებს საერთო ორომტრიალით ესარგებლათ და თავიანთი ურმებითა და დაუღლელი ხარ-კამეჩით მისასვლელ-მოსასვლელი გზები გადაეხიდათ. ხარები და კამეჩები ჩალის ღეროებს ხრავდნენ და ჭალებზე მოკლედ გამობმულნი ბოჯინჯგალა ფეხებს ზარმაცად ინაცვლებდნენ. სულ ცოტა ხნის წინათ ნაყოფის სიმძიმით მიწამდე დატანილი ჯიშიანი ხეხილი ახლა ფოთლისგანაც კი გაძრცვნილი იყო. ტალავრის ვაზები ჩამოეხლიწათ და ფეხით გაეთელათ. აქა-იქ უდიერად გასრესილი ისრიმი, წაბლის ბუძგები, ნედლი ფუჩეჩი და ყურძნის ჩენჩო ეყარა. ადამიანებისა და პირუტყვის ამ უწესრიგო გროვას თავზე კვამლის ბოლქვები დასდგომოდა. კვამლი ჰაერში გაბნეულიყო და ზევით და ზევით მიიწევდა. გეგონებოდა, ნაზამთრალი ნამჯის უზარმაზარ მთას ცეცხლი გასჩენია, შიგ გულში გუზგუზა ალი დატრიალებულა, ალი სადაცაა ზემოთ ამოიჭრება და ენის წვერით ცას ასწვდებაო.

ეს მართლაც ასე იყო. ჯარი კარგა ხანია გულის მომფხან რასმე ელოდა და ეს მოლოდინი თანდათან ყოვლის შთანმთქმელ ხანძრად ღვივდებოდა.

ლევან აბაშიძემ, მართალია, თავს უშველა და აქაურობას დროით გაეცალა, მაგრამ ვიდრე თავადს, ხელფეხშეკრულსა და პატივაყრილს, უკან მოაბრძანებდნენ და სამსჯავროზე გამოიყვანდნენ, დანარჩენი შეთქმულები ხომ აქ იყვნენ? აკი არავის დანდობა და შებრალება არ იქნებაო? რად არ გამოჰყავდათ, მაგალითად, თვით მშობელი დედა მეფისა, დიდი დედოფალი თამარი, და ჩადენილი ბოროტების სანაცვლოდ, უზღვავი სისხლითა და ცრემლით ცოდვილი დედამიწა რომ გაალტო, ღვთისა და ქვეყნის წინაშე პასუხს რად არ აგებინებდნენ? სად ბრძანდებოდნენ უფროსი ბატონიშვილები, მეფე ალექსანდრეს უკულმართი ძმები, და მათი სახლეულნი?

ეჰ, მთა და ბარი ვინ გაასწორა! მათ ადგილზე, აბა, ვინმე გლეხთაგანი ან ღარიბი აზნაური ყოფილიყო? წუთსაც არავინ დაახანებდა, კინწისკვრითა და ცემა-ტყეპით გარეთ გამოათრევდნენ და ორპირ ტყავს გააძრობდნენ. ამათ

ყველაფრის ნება აქვთ, წყალობის კალთა ღმერთმა მხოლოდ ამათ დააბერტყა!

უკმაყოფილო ხმებმა სოლომონამდე მიაღწია. მეფე იძულებული გახდა, ხმა ერისა ყურად ეღო და რაღაც ეღონა. მდევარი გაისტუმრა თუ არა, დიდებულები შემოიკრიბა და მტკიცე ნაბიჯით სასახლისაკენ გაემართა, სადაც ორივე ქაიხოსროსა და ბერი წულუკიძის მიერ წინასწარ დაყენებული მცველები ხალხის მოწოლას ძლივძლივობით უმკლავდებოდნენ — არც შიგნით და არც შიგნიდან გარეთ არავის უშვებდნენ.

— მეფე, მეფე მოდის! — ერთსა და იმავე დროს დაიყვირა რამდენიმე ხმამ ხალხში და წამით ყველა მიწყნარდა, გაილურსა, ფეხისწვერებზე აიწია, იქნებ სხვებზე მეტი დავინახო და გავიგონოო.

სოლომონს ფერი წასვლოდა, გამხდარი და შეწუხებული ჩანდა. ამისდა მიუხედავად, თავი მხნედ ეჭირა და ირგვლივ შიშსა და კრძალვას თესდა. ჯერ კიდევ ლეჩხუმში, ჯარი რომ ორბელის უღელტეხილზე გადმოდიოდა და რამდენიმე მსხვილ-მსხვილ ნაკადად რიონის ხეობაში ეშვებოდა, ხმა გავრცელდა, მეფეს თვალი უჭრისო. დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, ერთი მისი შეხედვა, რა დიდი ვაჟკაციც არ უნდა იყოს, მტერს აფუჭებს და მიწაზე თავდაღმა ამხობსო. გაჩნდნენ მთხრობელნი, ვინც ეს ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა და ნამდვილ სასწაულად მიიჩნია. „მეფეს თვალი უჭრის, მეფეს თვალი უჭრის!“ — გადადიოდა პირიდან პირზე და ახალგაზრდა ბატონის ზებუნებრივი ძალა და უძლეველობა ჯარში დღითიდღე ფეხს იკიდებდა.

ეს რომ პირველად შეიტყო, სოლომონმა იუცხოვა, არ ესიამოვნა, ხალხი რომ თითქმის კუდიანობას მიაწერდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, ამ ხმებს მხოლოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიაო და ხელი ჩაიქნია, გაუჩუმდა.

ბრბო შუაზე გაიპო. წინანი უკანებს მიაწყდნენ. ბევრი ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა და ახალგაზრდა მეფის მიმოხვრას, მისი სახის გამომეტყველებას ხარბად აკვირდებოდა, ზოგმა კი, ყოვლად მოურიდებლად, სახეზე ნიდაყვი მიიფარა, ამ დალოცვილმა უცაბედად არ მოიხედოს და შემოხედვით უბედურება რამ არ შემამთხვიოსო.

სოლომონმა და მისმა მხლებლებმა ქვის მაღალი სვეტებით შემოსაზღვრულ ფართო დერეფანს მოაღწიეს და ის იყო დედოფლის პალატებში ამავალ ციცაბო კიბეს დაწალიკებული აუყვნენ, რომ სოლომონი შეჩერდა და სხვებიც უკუდგნენ.

ზემოდან ვიღაც ჩამოდიოდა. სოლომონმა საზეიმო ფარჩის კაბაში გამოწყობილი და საზეიმოდვე თავდახურული ბატონიშვილ მამუკას თანამეცხედრე, ბეჟან დადიანის ასული დარეჯანი იცნო.

„ღმერთო დიდებულო, — გაუელვა მას. — აკი რაჭის ერისთავთან ბრძანდება სტუმრადო? უკან როდისღა მობრუნდა? აქ რა პირით დამხვდა, ნუთუ უძლურად მთვლის და ჩემი არ ეშინია? თალხები უკვე გაუხდიათ. ასე ადრე გამოიგლოვეს საცოდავი მამაჩემი? ვაითუ დედაც გამოპრანჭული დამხვდეს და ამით მაგრძნობინოს, მართალია, მეფე ხარ, მაგრამ მე მაინც არაფრად გაგდებო?“

ბატონიშვილის დიდებულ თანამეცხედრეს, რომელიც ახალგაზრდა დედოფლის მარიამის ღვიძლი მამიდა იყო და მეფეს ახლა ცოლოურობის მხრიდანაც ენათესავებოდა, მისივე ერთგული აზნაურები, სახლთუხუცესი, მდივან-მწიგნობრები და სასახლის ქეშიკები მოსდევდნენ. დარეჯანის ყველა მხლებელი მამაკაცი უიარაღოდ იყო. წელზე მხოლოდ ცარიელი ქარქაშები ეკიდათ. ეს უკანასკნელნი, რაღა თქმა უნდა, თავს ტახტის მიმტაცებელთა კაცებად თვლიდნენ და იმერთა კანონიერ მეფე სოლომონთან სულგრძელი პატიების გამოსათხოვნად და სრული მორჩილების დასადასტურებლად მოდიოდნენ. თვით მამუკა არ ჩანდა. ის, ეტყობა,

კვლავ ძლევამოსილ მძახალს, როსტომ რაჭის ერისთავს, აფარებდა თავს და სამეფოში დატრიალებულ სისხლიან ამბებს თვალს შორიდან ადევნებდა.

ბოლო დროს ზომაზე მეტად დამსხვილებულმა, ინით თმა და წარბ-წამწამშეღებილმა დარეჯანმა კიბე თითქმის გამომწვევად ჩამოიარა და სოლომონის წინ გაჩერდა. ისე გამოდიოდა, რომ მეფე, როგორც წლოვანებით უმცროსი და ისიც მამაკაცი, ბიცოლას პირველი უნდა მისალმებოდა და თავაზიანობის გულისათვის ჯანმრთელობის ამბავიც ეკითხა. დარეჯანს მსუქანი სახე გაბრწყინებოდა, ცერცვისსიმსხო ნამიანი თვალები უცინოდა და გვირგვინოსან მაზლისწულს ისე უყურებდა, თითქოს ამაზე ძვირფასი და გულით საყვარელი ქვეყნად სხვა არავინ ჰყავსო. სოლომონს ცოტალა დააკლდა, კინაღამ წინ წარსდგა ბიჯი და ბიცოლას საკოცნელად შუბლი მიუშვირა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოაგონდა, საიდან მობრუნდა ეს დაშაქრული ღიმილით პირშემკობილი პატივმოყვარე ბანოვანი გუშინ თუ გუშინწინ, მოაგონდა რაჭის ერისთავის ასულ, ბუჭუტა იაშვილის ცოლყოფილ თამთასა და ბატონიშვილ თეიმურაზის ნაძალადევი ქორწინება, თამაზა მესხისა და შემდეგ მარგველი მზირების თქმით, კაკასხიდზე რომ აღასრულეს და ქვეყნის კანონიერი მეფის წინააღმდეგ ახალი სამტრო კავშირი შეჰკრეს, მოაგონდა ყოველივე ეს და ყელს მოწოლილი ბოღმისა და მრისხანებისაგან სუნთქვა შეუგუბდა.

მეფის გაქვავებული სახის დანახვით შეურაცხყოფილ დარეჯანს ლაწვები და ყურის ბიბილოები შეეფაკლა.

— კეთილი იყოს, შვილო სოლომონ, შენი მობრძანება! — სულ რომ არ გაწბილებულიყო, ამ სიტყვებით პირველმა მიმართა და საკოცნელად წაიწია. საპასუხო ალერსის მაგიერ სოლომონის თვალებში ის ენით აუწერელ ზიზღს წააწყდა და პირკატა ეცა.

— დაკარი მაგათ! — შემზარავი ხმით იყვირა ამ დროს ვიღაცამ ხალხში და გაშიშვლებული ხმალი ასწია. წამსვე იშიშვლეს ხმლები სხვებმაც. — სისხლი გამოგვწოვეს, ტყის ნადირებად გვაქციეს, გაგვყიდეს, გაგვათახსირეს, სვინდის-ნამუსი შეგვირცხვინეს, ჩვენი სისხლით და ხორცით დაძღნენ, ახლა მუხლის მოსაყრელად მოდიან? არა, მეფევ, ტყუილია, არ დოუჯერო!

— სწორია, მეფევ, არ დოუჯერო მაგათ! გიღალატებენ, გაგყიდიან, თათარს მიგცემენ!

— ვიცით, ვინც ბრძანდებიან ეგ ულმერთოები. ძაღლის კუდს სამარე გაასწორებს!

— სიკვდილი აბაშიძეს! სიკვდილი გურიელს! სიკვდილი ერისთავს! სიკვდილი ბატონიშვილებს! დღეგრძელობა მეფე სოლომონს!..

ამ უკანასკნელმა შეძახილმა, რომელიც სადღაც სულ ახლოს გაისმა და რამდენჯერმე სხვადასხვა ადგილას განმეორდა, ჯარი აღანთო, ყველა ერთბაშად ამხედრა და აზვირთა. სოლომონი შეცბუნდა. პატივსა და გამოჩინებას ჩვეულ, თავისი დღე და მოსწრება იმერეთის დედოფლობას დანატრებულ დარეჯანს ხელით უკან დაახევინა, თითი სარდაფისაკენ გაიშვირა, სადაც ათასში ერთხელ შერისხულ სახასო გლეხებს ამწყვდევდნენ ხოლმე და ასე, სიტყვის უთქმელად, მისი შეპყრობა ბრძანა. დარეჯანი გაშრა, ინით შეღებილი გრძელი წამწამები აახამხამა, ეს მართლა ხდება თუ მხოლოდ მელანდება. წამის წინ მომღიმარე მსუქანი ტუჩები, თითქოს გაბერილი იყო და შიგნიდან სული გამოუშვესო, ერთბაშად დაეფუკა და ბუნებრივმა სიანჩხლემ დაუმანჭა.

— არ მომეკაროთ!.. — მთელი ხმით წიოდა ის და კოტიტა ხელებს ასავსავებდა. — არ გაბედოთ!.. ვინ გგონივართ... ვის უბედავთ!.. უკან, თქვე ტილიანებო! მიშველეთ, ხალხო, ქრისტიანი აღარავინ ხართ?

მაგრამ „ტილიანები“, მეფის მცველები, რომლებიც გორდის სასახლიდან გამოსვლის დღიდან სოლომონს გამუდ-

მებით თან ახლდნენ, დარეჯანის ამპარტავნულ ჭირვეულობას არ შეეპუვნენ, მისცვივდნენ, აქედან და იქიდან უბოდიშოდ ჩასჭიდეს მკლავებში ხელი და დერეფნისაკენ წაიყვანეს. ბატონიშვილის თანამეცხედრეს ოქროს სირმებით გაწყობილი მაშიები და პირისფერი აბრეშუმის გრძელი საცვალი გამოუჩნდა. ქალი წიოდა, ფეხებსა და ხელებს დაკლული ქათამივით აფართხალებდა, კივილით იქაურობას იკლებდა, საშველად ხან ქმარს, ბატონიშვილ მამუკას, ხან ცხრა მთას იქით გადაკარგულ შვილს, ბატონიშვილ თეიმურაზს, ხან ძმას, „გაუმაძღარ ოტიას“, უხმობდა, მაგრამ კივილი კივილადვე რჩებოდა და ბეჟან დადიანის შეურაცხყოფილი ასულის გამოსარჩლება აზრადაც არავის მოსდიოდა. პირიქით, მეფის მცველებს, რომელთაც ბატონიშვილის თანამეცხედრე დილეგში დასამწყვდევად მიჰყავდათ, თავადაც დაპატიმრებული სასახლის ქეშიკები და იარაღაყრილი აზნაურებიც წაეშველნენ. ისინი ყველასაგან შეუმჩნევლად ჯარსა და დარეჯანს შორის ჩადგნენ, მხარი მხარს მიატყუპეს და ქალისაკენ გამოწვდილ ასობით ხელს გაჭირვებით იგერიებდნენ. ერთს თუ ორს თავში ყუით მოქნეული ხმალი მოხვდა და თავგაჩეხილი ჩაიკეცა. სხვები, ვინც ჯერ ისევ ფეხზე იდგა, მისცვივდნენ, იღლიებში შეუდგნენ და სარდაფისაკენ ჩვარივით წაათრიეს.

„ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, ეს რა გვემართება, მართლა კაციჭამიები ხომ არა ვართ!“ — გაუელვა სოლომონს. ის უკვე თვალნათლივ ხედავდა, რომ ხალხის შეუკავებელი რისხვა კალაპოტიდან ამოდიოდა და ყველასა და ყველაფერს პირწმიდად წალეკვას უქადდა. არა, არ შეიძლებოდა ალვირაწყვეტილი ბრბოს ნებაზე მიშვება, არ შეიძლებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ზნეობრივი პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მეფეს, მარტოოდენ მეფეს, ყოველივე მომხდარისა და მოსახდენის ავანჩავანს, აწვებოდა მხრებზე. განუკითხავ შურისძიებასა და სისხლისღვრას ყველაფრის დაღუპვა და მიწასთან გასწორება შეეძლო, რაც დღეის დღემდე ამდენი მსხვერპლისა და თავგანწირვის ფასად გაკეთდა.

უკან დასახევი გზა მოჭრილი იყო. უკეთუ სოლომონი თვითნებობის აღკვეთას მოიწადინებდა და ჯარს მხედრული წესრიგის აღდგენას მოსთხოვდა, ვაითუ ეს ტახტის მოღალატეთა შენილბულ მფარველობად მიეღოთ და მომაკვდინებელი იერიში ახლა თვით მეფეზედაც მიეტანათ!

სოლომონი ორცეცხლშუა მოექცა. ორივე ცეცხლი ერთნაირად წვავდა და გარდაუვალი დაღუპვით ემუქრებოდა. შექმნილი ვითარება მეფისაგან დაუყოვნებელ, ზუსტ, შეუმცდარ მოქმედებას მოითხოვდა. სულ მცირე შეცდომა, სულ პატარა წინდაუხედაობა და წამხდარი საქმის გამოსწორება უკვე არავის და არაფერს შეეძლო.

ერთადერთი ხსნა, სოლომონის აზრით, ახლა ისღა იყო, თუ თავის მოღალატე ახლობლებს, ყველას უკლებლივ, თვითონ ბატონ დედას, დიდ დედოფალ თამარს, მხედრობის თვალწინ დაატუსაღებდა და, დადიანის ასულ დარეჯანის მსგავსად, უპატიურად დილეგში შეჰყრიდა.

მაგრამ იკმარებდნენ კი ამას, დაწყნარდებოდნენ, ამოწვდილ ხმალს ქარქაშში ჩააგებდნენ? ხალხი, რომელსაც ხელში იარაღი ეპყრა, შურის საძიებლად აბობოქრებულიყო, სისხლი მოსწყურებოდა და, ვიდრე არ დალევდა, ვიდრე შიგ ხელებს არ დაიბანდა, ვერა ძალით და ვერა შეგონებით ვერ დააწყნარებდი.

სოლომონი ასე ფიქრობდა და ასეც ეგონა, როცა სრულიად წარმოუდგენელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ქვემომხრის სარდალ ბერი ლორთქიფანიძის „ფიცის კაცებმა“, ხუტუნია შერვაშიძის აფხაზი მეთოფეების დახმარებით, ყოველი მხრიდან მოწყვეტილ ბრბოს დერეფანში შემოსასვლელი გზე-

ბი მოუჭრეს და ნებით თუ ძალით უკან დაახევინეს, სასახლის აივანზე ქალის მბრძანებლური ხმა გაისმა. ეს ხმა, თითქოს ადრიანი დილის სიჩუმეში მრავალი ათასი მუხტით გატენილი ზარბაზანი დასცალესო, ყველამ ერთბაშად გაიგონა. თავისი მხლებლებით გარსშემორტყმული სოლომონი ჯერ ისევ დერეფანში იდგა და აქედან ვერ ხედავდა, რა ხდებოდა სასახლის მეორე სართულზე, აივნის მოაჯირთან. ხმა, რასაკვირველია, მასაც შემოესმა და ყურებს ვერ დაუჯერა. ეს მართლა დედამისის, დიდ დედოფალ თამარის, ხმა იყო, თუ სმენა ღალატობდა? გულაძგერებულმა სუნთქვა შეიგუბა და გაინაბა. გაქრა უკანასკნელი ეჭვიც: დედის ხმა საკმაოდ შეცვლილი, ზედმეტად მყივანა და ხრინწგარეული ეჩვენა, მაგრამ ცნობა მაინც არ გასჭირვებია, ათას სხვა ხმაში გამოარჩევდა.

რა სურდა თამარს? რა მოეწადინებინა? რამ გააბედვინა ამხედრებული ჯარის წინაშე გამოსვლა, იმ ჯარისა, რომელმაც რამდენიმე დღის სავალი გზა გამოვლო, ვიდრე ტახტის მოცილეთა შესაპყრობად და ყველასათვის საკადრისი სასჯელის მისაზღვევად ოდიშიდან აქ მოვიდოდა?

დედოფალი უკანასკნელ ძალღონეს ძაბავდა, წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა, მტრის ხელში ჩავარდნილი ერთადერთ სანდო იარაღს — საკუთარ მჭევრმეტყველებას მინდობოდა.

მოულოდნელად შენელდა ლითონის ჟღარუნი და შეძახილები, ხალხი სმენად გადაიქცა და ხარბი მზერა სასახლის აივანს მიაპყრო.

რაკი ხელს არავინ უშლიდა და ლაპარაკის საშუალებას აძლევდნენ, მოაჯირზე გადმომდგარმა დედოფალმა ხმას აუწია, თითოეულ სიტყვას გარკვევით და დამაჯერებლად წარმოთქვამდა.

თამარმა თავისი ერის მომავალი ბედ-იღბალი წმიდა სამებას — მამას, ძესა და სულიწმიდას შეავედრა, სამასსამოცდახუთ წმიდა გიორგის საღვთოთმში შეწევნა სთხოვა, საკუთარი უდანაშაულობის მოწმედ და თავდებად თვით არსებადაუსაბამო ღმერთი, მარადის ქალწული ღვთისმშობელი, ანგელოზები და მთავარანგელოზები, მიქელ და გაბრიელი, დიდებული წინამორბედი, წინასწარმეტყველი იოანე ნათლისმცემელი დაიყენა, მერე კი დიდსა და მცირეს, ერსა და ბერს, ძმებს, რჩეულებს, ტახტისა და სამშობლოს იმედთ, საქრისტიანოს ურყევ ბურჯთ ყურის მოსაპყრობად მოუწოდა, ხოლო თავი მათს სასოწარკვეთილ დედოფლად, ქრისტეს მხევალ უბედურ დედად, ტანჯული მეფის, ალექსანდრეს, ქვრივ-ოხრად მოიხსენია.

— დღეს პირველი როდია, ქრისტეს მმოსავნო, თქვენსა და მაცხოვრის წინაშე რომ გამოვდივარ, — მლოცველის ცრემლგარეული ათრთოლებული ხმით განაგრძნობდა თამარი. — რა ვუყოთ, ღვთის განგებით, ზოგ-ზოგს დღეს შეთქმული გვქვია, ბევრი ზურგსუკან გვძრახავს, ბევრი პირშიაც არ გვერიდება და ყიამყრალობს, მაგრამ... მაგრამ, ძმებო, შვილებო...

ზედმეტი აღელვების, ყელზე მობჯენილი ქვითინის თუ რაღაც სხვა აუხსნელი მიზეზის გამო აქ დიდ დედოფალს ხმა აუკანკალდა, აუკანკალდა კი არა, მთლად წაერთვა, თავისი ქადაგების დამაჯერებელი გაგრძელება, რაზედაც დიდ იმედს ამყარებდა, ხელდახელ ვერ იპოვნა, სათქმელი უადგილო ადგილას გაუმრუდდა, დროზე ვერ იწინასწარმეტყველა, პირდაპირი თავის მართლება და ვისიმე დადანაშაულება ერს ჩემს წინააღმდეგ აამხედრებსო და სავალალო შედეგმაც დიდხანს არ დააყოვნა.

— არ დაუჯეროთ ფლიკვინს! იუდას ცრემლებია! — სმენად გადაქცეულ ხალხში ვიღაც თავზეხელაღებულმა მთელი ხმით დაიღრიალა და რაღაც სასწაულით აქამდე სულგანაბული მხედრობა, წეღან რომ აქაურობას წალეკვას უქადდა და, ვინ იცის, იქნებ კიდევაც წაელეკა, ისევ ამოძრავდა, აყვირდა, აყაყანდა, ისევ აქანავდა მეგრული ჩა-

ბალახით წაკრულ თუ ფაფანაკიან თავებს ზემოთ კოცონების ლურჯ კვამლში აწეული გრძელი თოფები, შუბები, ჩალისფერი დროშები, ხმლები, სატევრები, ოსმალური იატაგანები, ორთითა ფიწლები, წერაქვები, მარგილები...

— ძირს ყველა მოღალატე! სიკვდილი და შეჩვენება მაგათ!

— სიკვდილი ტყვისმსყიდველებს, სიკვდილი სულთამხუთავებს!

დედოფალი წუთით შეყოყმანდა, თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა და ახლა წაიქცევაო, მაგრამ მაინც არ დაიბნა, ოქროს ქინძისთავით თმაზე დამაგრებული შავი თავსაფარი მოიძრო, სათუთად მოვლილი გრძელი შავი თმა მგლოვიარესავით გაიშალა და ხალხს შეუტია:

— მადროვეთ ორი სიტყვის თქმა, ორი სიტყვა მათქმევინეთ და გამქცევი ხომ არა ვარ, ასემც გიქნიათ, ძაღლებისთვის გადაგიგდიათ დასაგლეჯად ჩემი თავი! ღმერთია მოწამე, დღესა და ღამეს ლოცვაში ვატარებ. რამდენი ხანია, ჩემს თვალზე ცრემლი არ გამშრალა. მამაზეციერს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ბედნიერებას შევთხოვ და შევღაღადებ. მე, სუსტ არსებას, მეტი რა შემიძლია. თავი და ეს გატანჯული სიცოცხლე, — მომუშტული მარჯვენა ხელი, რომელშიაც შავი თავსაფარი ყურით ეჭირა, ბოლო კი იატაკზე დასთრევდა, თამარმა გულზე მიიბრაგუნა. — იცოდეს ღმერთმა, არ მეზოგება! დღეს ამომძვრება სული თუ ხვალ, ჩემთვის სულ ერთია! ძმებო და შვილებო, თანამემამულენო, ქრისტეს მმოსავნო, მე უბედურს, უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილს, სანამდე ამ დასამიწებელ თვალებს დავხუჭავდე, ერთი სათხოვარი დამრჩენია და შეისმინეთ ჩემი მუდარა: ნურც სიტყვით და ნურც საქმით, — თამარმა ხმას დაუწია, თითქმის ჩურჩულზე გადავიდა. — ნურც სიტყვით და ნურც საქმით ოსმალოს ნუ ვეურჩებით...

ხალხი ამოძრავდა, აფუთფუთდა, ჩურჩულმა ნიავივით გადაიარა. ზოგმა ვერ გაიგონა, რა თქვა დედოფალმა და მეზობლებს მიუტრიალდა, გამაგებინეთ, რას ამბობსო.

— ნუ ვეურჩებით ოსმალოს! — თითქოს ამათ პასუხად დაიყვირა თამარმა და სული ძლივს მოითქვა. ხალხი უფრო მეტად აზუზუნდა. კიდევ წამიც და აჭაურობას ყურთასმენის წამღები ღრიანცელით აიკლებდა, მაგრამ დედოფალმა არ აცალა და საკვირველი თავდაჯერებითა და სიმტკიცით განაგრძო: — ოსმალოს ნახევარი ცისქვეშეთი მორჩილობს, ჩვენზე დონიერიც და ჩვენზე უძლურიც. ვინც იმას ეურჩა, — თამარმა თავსაფრიანი ხელი ასწია და აქეთ-იქით მიატარ-მოატარა. — აგერ კითხეთ დროულ კაცებს, თუნდ ძველ წიგნებში ჩაიხედეთ — ვერაფერი მოიგო. ძაღლივით ჩაკლეს, ან ტყვედ გაყიდეს, თავის კუთხე-ქვეყანას საუკუნოდ დაუკარგეს. ვინაც თქვენ გაგულიანებთ, ვითომ სულთანს მოვერევით და ამ ქვეყანაზე სამოთხეს მოგივლენთო, იცოდეთ, ან მტერია და გაბრიყვებთ, ანდა თავისი ყმაწვილკაცობისა და უგუნურების წყალობით ვერ მიმხვდარა, რომ საქრისტიანოს გზას უბნევს, დალუპვის გზაზე აყენებს, თქვენს სიცოცხლეს სასწორზე აგდებს, სულს კი ჯოჯოხეთში ჩაგდებას უმზადებს. მაცხოვარმა ხომ გვითხრა ჩვენ: რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენენ...

დედოფალი ამაოდ შეეცადა დაკარგული გავლენის აღდგენას. ხალხი დრტვინავდა. მისი სუსტი ხმა, ყვირილმა და ხველებამ რომ სულ ჩაუხლიჩა, უკვე აღარავის ესმოდა. თამარი თავს ძალას ატანდა და ცდილობდა, ხელიდან გაშვებულ სადავეებს ისევ მოსწვდომოდა. კვლავ და კვლავ ამაოდ გაისარჯა. ხალხს ტახტის, კანონიერი მეფის, ღვიძლი შვილის მოღალატე და ტყვისმსყიდველი აბაშიძე-ერისთავ-გურიელის ზურგსუკან მდგომი დედოფლის სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა და ამას უშიშრად და მოურიდებლად გამოხატავდა. თამარის ნათქვამმა და მუდა-

რამ, ოსმალოს ნუ ვეურჩებითო, აგრეთვე უშუალოდ მეფის წინააღმდეგ მიმართულმა გადაკვრებმა, დამწვარზე მდუღარე გადაასხა, ვინაიდან დედოფლის სიტყვები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტყვეთა ბაზრებზე ქართველი გოგო-ბიჭების ახალ-ახალი გუნდების გაგზავნას, სათათრო გამოსაღების — საურისა და საუდიეროს კვლავ გადახდას და ქვეყნის შემდგომ გაჩანაგებას, წვითა და დაგვით გამართული სახლ-კარის დაქცევას მოასწავებდა. არა, არა და არა! ამას ხომ ერთხელ სიკვდილი ჯობდა! ხალხი მხოლოდ იმას გაჰყვებოდა, იმას ირწმუნებდა კეთილის მოსურნედ და წინამძღოლად, ვინც ამ სატანჯველიდან გამოიხსნიდა, ვინც აბრძოლებდა, აომებდა და მუხთალი მტრის ჯავრს სამარეში არ ჩაატანდა.

— არ გვინდა მაგის სიტყვა! — ყვიროდნენ აქაც, იქაც, გალავნის ყოველ კუთხეში. — არ გვინდა, არა, ვიცით, რა ალაპარაკებს!

— ძირს დედოფალი! ძირს ბატონიშვილები! სიკვდილი აბაშიძეს! სიკვდილი გურიელს! სიკვდილი ერისთავს! დღეგრძელობა მეფე სოლომონს და დედოფალ მარიამს!..

— მეფე! მეფე სად არის? მოგვეცით მეფე!..

სარდლები და სოლომონის სხვა მხლებელნი, რომლებსაც ჯარის მღელვარება უკლებლივ გადმოსდებოდა, მიდგნენ-მოდგნენ და მშობელი დედის მოულოდნელი ფანდით და ერის ერთსულოვანი ამბოხით ცოტა არ იყოს შემკრთალ და წუთიერად შეცბუნებულ ბატონს კიბისაკენ გზა მისცეს. ხალხს ეს მოძრაობა არ გამოჰპარვია. სოლომონი რომ კიბეზე ასული დაინახეს, სასახლის ვრცელი შემოგარენი, სულ ერთიანად ჯარსა და ალალს რომ მოეცვა, ვაშამ და აღტაცების შეძახილებმა შეაზანზარა. გამაყრუებელი ვაშა და ღრიანცელი წუთ-წუთობით მატულობდა და ცასა და ქვეყანას სძრავდა.

მიტკალივით გაფითრებული თავშიშველი დედოფალი მოაჯირს მოსცილდა, შვილისაკენ, რომელიც ის იყო აივანზე ამოვიდა და ახლა მის პირისპირ იდგა, ერთადერთი ნაბიჯი გადასდგა, მეორე ნაბიჯი კი აღარ გადაუდგამს, უკეთ, ველარ მოასწრო მეორე ნაბიჯის გადადგმა; ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე ფეხაკრეფით მიუახლოვდა და, ისე რომ დედოფლისათვის სახეში არ შეუხედავს, მეფის ნება აღასრულა — წინ გამოწვდილ ორივე ხელზე თამარს თუჯის მძიმე ბორკილი დაადო.

## თავი მეთექვსმეტე

ოთხივე კუთხივ გაგზავნილი მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა. ცამ უყო პირი ლევან აბაშიძეს, თუ დედამიწამ, დანამდვილებით და სარწმუნოდ ვერავინ შეიტყო. ვარაუდობდნენ, რომ ვარციხის სასახლიდან მარტოდმარტო გაქცეულმა არგვეთის ბატონმა რაღაც მანქანებით ყვირილა უვნებლად გადავლო, საიდუმლო ბილიკებს ალმა, საწალიკისაკენ აუყვა და თავის შესაფარებლად რაჭის ერისთავ როსტომს მიაშურა.

ლტოლვილი ლევანისათვის როსტომის ჭერი ამჟამად ყველაზე ნაკლებსაიმედო თავშესაფარი იყო. არავინ უწყოდა, რა ჭკუაზე დადგებოდა ერისთავი როსტომი მას შემდეგ, როდესაც სოლომონის სრული გამარჯვებისა და იმერეთის სამეფო ტახტზე მისი ხელახალი ასვლის ამბავს შეიტყობდა. შესაძლოა, როგორც არა ერთხელ მომხდარა ხოლმე, მეფის შემორიგებაც კი ეცადა და თავისი გულმართლობის დასამტკიცებ-

ლად ძველი მეშურნე და მოცილე ლევანი გაეცა.

ეს მოსალოდნელი ორპირობა, რითაც დღეს ვერავის გააკვირვებდი, შეუძლებელია, თვით ბრძენსა და ყოველ მსგავს საქმეში ფრიად გამოცდილ ლევანს არ გაეთვალისწინებინა და სულელური წინდაუხედაობით თავი საფრთხეში ჩაეგდო.

ეგეც რომ არა, არგვეთის ზვიადი ბატონისათვის დღესდღეობით თავის საკუთარ საბატონოშიაც კი საფრთხილო იყო გამოჩენა. აბაშიძის ყმებმა, გლეხებმაც და აზნაურებმაც, მშვენივრად იცოდნენ, რომ ძლევამოსილი მეფე სოლომონი, რომელმაც მაღალი ღმერთისა და საკუთარი მარჯვენის შეწევნით უძლიერესი მტრები დაამარცხა და მამისეული ტახტი დაიბრუნა, მოღალატე ბაბუას სანთლით დაეძებდა და თუ ხელთ იგდებდა, ხალხის გულის მოსაგებად სამაგალითოდ დასჯიდა. ყმები თავიანთ მტარვალ ბატონს თუნდ მოხარშულს იცნობდნენ და ყველა ავკაცობის სანაცვლოდ, რაც კი მისგან ახსოვდათ, იარაღაყრილსა და ხელფეხშებორკილს მეფეს მიჰგვრიდნენ.

ტახტის ორგული თავადის ცოცხლად შეპყრობის სურვილს ისიც აასკეცებდა, რომ ლევანის თავი ხუთას ოსმალურ ყურუშად იყო შეფასებული. ხუთასი ყურუში, ეს უზარმაზარი თანხა, ღარიბ-ღატაკი კაცის საბძელში როდი ეყარა!

მდევრები, მართალია, მობრუნდნენ, მაგრამ ლევან აბაშიძის გაფაციცებული ძებნა ამით მაინც არ შეწყვეტილა. ეძებდნენ, როგორც მამა-პაპის მიერ მიწაში დაფლულ და დროთა განმავლობაში გადამალულ განძს, ამბებსა და ვარაუდებს წყლის ქვიშაში გაბნეულ ოქროს მარცვლებივით აგროვებდნენ. თქმა არ უნდა, ლევანი მარტო არ იყო. გაქცევა წინასწარ შედგენილი და ჭკვიანურად მოფიქრებული გეგმის მიხედვით განხორციელდა. ლევანს, რასაკვირველია, თვით მეფის ლაშქარშიაც ეყოლებოდა თავისი საიმედო კაცები, რომლებმაც ხელი შეუწყეს და ვარციხის მიდამოებიდან უჩუმრად გააპარეს.

ყველა სახსრის ფიცხელ ამოქმედებას ხელი მეფის მოულოდნელმა ავადმყოფობამ შეუშალა. რა დაემართა ასე უეცრად? რა სენმა წააქცია ჯერ კიდევ გუშინ ჯანღონით სავსე ყმაწვილი კაცი, რომლის უბრალო გამოჩენა მტერს თავზარს სცემდა, ხოლო მოყვარეს იმედსა და მხნეობას უნერგავდა?

სოლომონი თავისეულ საბატონიშვილო ოთახში იყო ჩაკეტილი და ახლოს თვით ყველაზე უფრო დაახლოებულ პირებსაც კი აღარ იკარებდა. დიდებულებს დანა პირს არ უხსნიდათ. ყველაზე მეტად ხოტევის ციხის პატრონ გიორგი წულუკიძეს შემოსწოლოდა ნწვავე სიმძიმილი და ბატონის უსაზღვროდ ერთგული ძმები ნაფიჩვაძეების საშუალებით ყველასაგან განმარტოებულ თავის აღზრდილს მალულად თვალს ადევნებდა. თუ საჭირო გახდებოდა, კარი უყოყმანოდ უნდა შეენგრიათ და სასოწარკვეთილებისაგან გონდაკარგულ მეფეს მიშველებოდნენ.

უცნობი პირების ხელით ხინოწმინდის დედათა მონასტრის აკლებამ და თინათის უგზოუკვლოდ დაკარგვამ, რასაც ზედ ახალშობილი პირმშოს მოტაცება თუ მუხანათური სიკვდილი დაერთო, სოლომონს მეხი დასცა და სწორედ მაშინ, როცა თავი გამარჯვებული და მდგომარეობის ბატონ-პატრონი ეგონა, მიწასთან გაასწორა. მთელ საათს გულშემოყრილი ეგდო და სიცოცხლის ნიშანწყალს აღარ ამჟღავნებდა. გიორგი წულუკიძე, ეს მუდამ დინჯი და აუჩქარებელი კაცი, კინაღამ გადაირია. ღმერთს დაჩოქილი ევედრებოდა, წყალობა მომივლინე, ამ უბედურს მაინცდამაინც ჩემი სიტყვით ნუ მოკლავო. სოლომონმა თვალები გამოახილა, ყველაფერი გაიხსენა და მარტო დარჩენა მოისურვა. ამაოდ შეეცადნენ შიგნით შესვლას კარის მკურნალი აქიმი პაპუჩა აბულაძე და თეათინელი პატრი ლეონე. სოლომონი ფარდებჩამოშვებულ ბნელ ოთახში იჯდა და იმის

შეტყობაც კი აღარ უნდოდა, დღე იყო თუ ღამე. მესამე დილას, არცთუ ადრიანად, უწმიდესმა კათალიკოსმა ბესარიონმა მოაკითხა სამღვდელოთა დიდი კრებულით და დარბაზობა ითხოვა. პასუხი ვერავინ გასცა. ჯავრისაგან დაძმარებულმა ნაფიჩვაძეებმა მოსახსენებლად შესვლაც ვერ გაბედეს. ეშინოდათ, მეფე არ განრისხებულიყო და ეს რისხვა იმას არ ეწვია, ვინც ხელში პირველი მოხვდებოდა.

ლაშქარში აქ-იქ თავი წამოჰყვეს ყოვლის მცოდნე მეამბეებმა, რომელთა წინაუკუმო ნალაპარაკევი, ათასგვარად შეცვლილი და გადასხვაფერებული, ჯერ აქვე გავრცელდა, შემდეგ კი ქვეყანას მოედო.

მონასტრიდან თინათის მოტაცებას და ჩვილი ყრმითურთ სადღაც გადაკარგვას ზოგი ლევან აბაშიძის კარნახით ჩადენილ საქმედ თვლიდა, ზოგი აბაშიძეზე კუდით გამობმულ გურიელს ადანაშაულებდა, სხვები კი ღამის მეკობრეთა ფარულ ხელისშემწყობად როსტომ რაჭის ერისთავსა და მის ვაჟებს ასახელებდნენ. გაუბედავად დაირხა ოდიშის ბატონ ოტია დადიანის სახელიც. ოტიას თითქოს ძილს უფრთხობდა ტახტის მომავალ მემკვიდრეზე ფიქრი და როგორც კი მონოზნად აღკვეცილი თინათის მოლოგინების ამბავი შეიტყო, უმალ კაცები გაგზავნა და...

მტრები მუშაობდნენ. უკვე მზადდებოდა სიძესა და სიმამრს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო უთანხმოების ჩამოგდება. სოლომონი ხელფეხშეკრული იყო. მას არ შეეძლო ვინმე გაეგზავნა და უგზოუკვლოდ დაკარგული დედოფალყოფილისა და ჩვილი ყრმის ასავალ-დასავალი ეძია. ადრე თუ გვიან ეს ამბავი სიმამრის, ცოლისძმა კაციას, თვით დედოფალ მარიამის ყურამდე მივიდოდა და გაუთავებელ საყვედურებსა და ეჭვიანობას ამით დასაბამი დაედებოდა. რომელი ერთი ხმა დაეჯერებინა? შეუმოწმებლად და გამოუძიებლად რომელი მათგანი ერწმუნა?

ყველაფერზე უფრო მტანჯველი და დამამცირებელი სოლომონისათვის გულხელდაკრეფილი ჯდომა და სრული უმოქმედობა იყო. მან კარგად იცოდა, რომ გარს დადიანისაგან მოჩენილი მსტოვრები ერტყა. მეფის ყოველ ნაბიჯს თვალს ფხიზლად ადევნებდნენ. რისამე გაფიქრებასაც ვერ მოასწრებდა, რომ ამ ფიქრსა და ზრახვას უკვე აცნობებდნენ ზუგდიდის სასახლეში.

ღვთის ნებითა და ერის დასტურით დღეს სოლომონს სხვა სჯულიერი თანამეცხედრე ესვა და ყოფილი თანამეცხედრე თინათი, რომელსაც ყველა საეკლესიო წესისა და რიგის მიხედვით გაეყარა, სამუდამოდ უნდა ამოერეცხა გულიდან, აკი აღუთქვა კიდეც, მაგრამ გული შეუსმენელი აღმოჩნდა, მაინც გუშინდელი დღით ცხოვრობდა და არასდიდებით არ სურდა იმის დაჯერება, რაც იყო.

სამმა დღემ ისე გაირა, ბნელ ოთახში ჩაკეტილ მეფეს დიდებულთაგან არავინ მოუხმია, არც პურის ნატეხი მიულია. ღვთისმშობლის ხატის წინაშე იყო დამხობილი. ამ სამი დღის განმავლობაში არც გიორგი წულუკიძესა და ნაფიჩვაძეებს მოუხუჭავთ თვალი. გამუდმებით ფხიზლობდნენ, ცნობისმოყვარეთა აკვიატებულ შეკითხვებს მიკიბულ-მოკიბული პასუხებით იგერიებდნენ და მზად იყვნენ, საეჭვო ხმაურის გაგონებისთანავე კარს სცემოდნენ.

გიორგის ჩინებულად ესმოდა აღზრდილის გასაჭირი. რა უნდა ეღონა საბრალოს? რა უნდა მოემოქმედებინა? თავისდა უნებლიეთ ეძალებოდა ფიქრი, ხომ არ მოვტყუვდით, ეს უბედურები რომ ერთმანეთს დავაშორეთო, მაგრამ როგორც კი წარმოიდგენდა მტრისაგან ძლეულ, უჯაროდ, უფულოდ და ძლიერი თანამდგომების გარეშე დარჩენილ სოლომონს, გადადგმულ საბედისწერო ნაბიჯს სინდისისა და მომავლის წინაშე გამართლებულად თვლიდა.

იმავე საღამოს, გელათიდან მობრძანებულმა კათალიკოსმა ბესარიონმა რომ

სასახლეში დაიბანაკა და განუწყვეტელი წირვა-ლოცვის გასაჩაღებლად კარის ეკლესია მღვდელ-მონაზვნებით აავსო, ვარციხეს მაღლაკის ველზე გამარჯვებულმა დადიანის ძე კაციამაც მოატანა. სალიპარტიანოს ბატონს მეფის აღმზრდელი გიორგი წულუკიძე, ქვემომხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე, სახლთუხუცესი ლომკაც ჯაფარიძე, აფხაზეთის მთავრის შვილი ხუტუნია შერვაშიძე და ის მეგრელი დიდებულები მიეგებნენ, რომლებიც ომში სოლომონს ახლდნენ და აქ, სასახლეში, კაციაზე ადრე მოვიდნენ.

სიძის უქეიფობა რომ აუწყეს, დადიანის ძეს არავითარი გაკვირვება ან შეშფოთება არ გამოუხატავს, ალბათ, უკვე იცოდა, რაც მომხდარიყო, სიტყვა ბანზე აგდო, დიდკაცურად გაიხუმრა და ავადმყოფი მეფის მონახულება მოინდომა. ეს მხოლოდ მომდევნო დილას მოხერხდა. სამეფო პორფირით შემოსილი სოლომონი მეჯლისების დარბაზში გამობრძანდა და აფხაზი და მეგრელი დიდებულები თვით იხმო. მოიწვიეს კათალიკოსი ბესარიონი და სამღვდელო კრებული. მეფე კათალიკოსის მოწოდებულ ოქროს ჯვარს ემთხვია, კაცია კიძმურად გადაკოცნა, ომში გამარჯვება მიულოცა, შემდეგ ყველას წინაშე გულისტკივილი გამოთქვა, შეუძლოდ გავხდი. მგონი, ჰაერმა დამცადა და დიდად ვწუხვარ, ეგზომ საპატივცემო პირები გუშინს აქეთ რომ გალოდინეთ და აქამდე თქვენთან შესახვედრად ვერ გამოვედიო. ამას რომ ამბობდა, სოლომონს შუბლსა და საფეთქლებზე იისფერი ძარღვების კლაკნილი ხაზები აჩნდა, ჩაცვინულ ლოყებში სინათლე კასდიოდა, მაგრამ თვალები კვლავინდებური ცეცხლით უგიზგიზებდა და ცდილობდა, სასურველი სტუმრებისათვის ყურადღება და ალერსი არ მოეკლო.

კაცია დადიანის ძის სასახლეში მოსვლა დღეს გათვალისწინებული არ იყო სათანადოდ შემზადება ამიტომაც ვერ მოასწრეს. წინასწარ დადებული პირობის თანახმად სიძე-ცოლისძმა ერთმანეთს ჩხარში უნდა შეხვედროდნენ. კაცია, ეტყობა, სულ სხვა რამემ აჩქარა და ლაშქრობის გეზიც ამ სხვა რამემ შეაცვლევინა.

ვიდრე არგვეთის მიუვალი ციხეების დაკავებასა და შემომტკიცებაში სიძეს დახმარებას გაუწევდა, მოყვრულ ვალს მოიხდიდა და უკან, ოდიშში, გაბრუნდებოდა, სალიპარტიანოს ეჭვიან მფლობელს ჯერ იმის შეტყობა მოეწადინებინა, მისახვედრი მიზეზის გამო ამრეზილი და წონასწორობადარღვეული მეფე-ბატონი გაქირი ხარივით გვერდზე გაწევას და ქედზე დადგმული უღლის გადმოგდებას ხომ არ აპირებდა.

თუ მსგავს რამეს სოლომონს შეამჩნევდა, სანამ გვიან არ იყო და სადავეები ჯერ ისევ ხელთ ეპყრა, კაციას დაუყოვნებლივ უნდა მოექაჩა მშვილდის საბელი და მეფისათვის ყელში წაეჭირა. წინასწარვე გრძნობდა, რომ მოხუცებული მამა, მოკლე დროში რომ სოლომონი ასე სიყრმის შვილივით შეიტკბო, შეიყვარა და შეისისხლხორცა, აჩქარებას არ მოუწონებდა და კიდევაც გაკიცხავდა, მაგრამ კაცია, მადლობა ღმერთს, მოწიფული ვაჟკაცი იყო, ცხოვრებაში რა ხანია საკუთარი შეხედულებებით ხელმძღვანელობდა და, თუ პირველი დანახვისთანავე თვალში ამოღებულ სიძესთან წაკინკლავების საბაბი ხელში ჩაუვარდებოდა, ოტიას წყენინებას, თუნდ რისხვას, დიდად არაფრად ჩააგდებდა. მამაჩემმა, ბატონმა ოტიამ, თავისი დღეni და წუთისოფელი უკვე მოჭამაო, ფიქრობდა ის თავის გულში, აწი რაც მოხდება, მომავალს განეკუთვნება და პირადად მე შემეხება, მამაჩემს იქ რა ხელი უნდა ჰქონდესო.

დიდებული სტუმარი და ამაზე კიდევ უფრო დიდებული მასპინძელი, თუმცა პირზე ღიმილს არ იშორებდნენ და უაღრესად ნატიფ თავაზიანობას ასეთივე ნატიფი თავაზიანობით პასუხობდნენ, მშიერი მგლებივით ზვერავდნენ ერთმანეთს. აბა, რომელი, სიძე თუ

ცოლისძმა, მოასწრებდა და პირველი დაინახავდა სისხლის წვეთს მეორის ბეწვზე!

ხინოწმინდაში დატრიალებული ცოდვისკითხვა და ინალიშვილის ასული თინათი არც ამჯერად უხსენებია ვისმე. ამ სახელს ტაბუ ედო. ორივე მხარემ მშვენივრად იცოდა, რომ ჩამოვარდნილი დაძაბულობის უმთავრესი მიზეზი სწორედ თინათი და მასთან დაკავშირებული ამბები იყო. ხინოწმინდის მონასტრის ან დედოფალყოფილ თინათის სახელის ხმამაღლა წარმოთქმა, შესაძლოა, იმ სისხლის წვეთად ქცეულიყო, თანამოძმის ბეწვზე რომ ეძებენ ხოლმე მშიერი მგლები.

სოლომონს სიფხიზლე არ აკლდა. შეუმცდარი ალღოთი გრძნობდა, კამარის შესაკვრელად მომზადებული კაცია, რომელსაც მხედრულმა წარმატებებმა ერთი ათად დაანახა და თავი უძლეველ სარდლად წარმოადგენინა, შესაფერ წუთს ელის, რათა ვითომდა ღირსებაშელახული დის, დედოფალ მარიამის, დასაცავად ხმა აღიმაღლოსო და მთელი ნებისყოფის დაძაბვით ცდილობდა, ყველაფერი ისე წარემართა, რომ მარადჟამს შარის მაძიებელ ცოლისძმისათვის ამის საბაბი და საშუალება არ მიეცა. სხვაგვარი მოქცევა, თქმა არ უნდა, წალმა დაბრუნებულ ბედის ჩარხს კვლავ უკუღმა გადმოაბრუნებდა, მოყვარეს გულს მოუკლავდა და მტერს გაახარებდა.

„მე ხომ ადამიანისშვილი აღარა ვარ, — ფიქრობდა სოლომონი. — მაშასადამე, არც თავმოყვარეობა გამაჩნია და არც სხვა რამე პირადი გრძნობა. ვინც რა უნდა, ისა თქვას, მე მაინც ჩემი უნდა გავატარო, თუნდ საკუთარ გვამს ფეხი დავაბიჯო და აღთქმულ მიზანთან ისე მივიდე!“

თავის მხრივ, წინდახედულად ფრთხილობდა კაცია დადიანის ძეც. განა სახარბიელო იქნებოდა, თუ გულთმისანი მეფე, სხვათა აზრების გამოცნობაში ბადალი რომ არ მოეძებნებოდა, განზრახვას შეუტყობდა და წინააღმდეგობის გასაწევად ტანზე ექლებს გამოისხამდა?

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

*როსტომ ბეჟანიშვილი*

# პატარა მოთხრობები

## ეგზოტიკა

დაკლაკნილ ქუჩას პაწია, რიკულებიანი აივნები ქოლგებივით წამოფარებოდა. აივნები ხისა იყო, საღებავი დრო-ჟამს გაეხუნებინა. ერთხანს თბილისის ეს უბანი „რეკონსტრუქციის ზონაში“ უნდა მოხვედრილიყო, მერე ვიღაცა ჭკვიანი კაცი მიხვდა, რომ ამ დაფაცხატავებულ სახლებს დანგრევა კი არა, შეკეთება და შენახვა სჭირდებოდა, როგორც განჯინაში ძველებური ვერცხლის სამარილე გვაქვს ხოლმე შენახული.

ძია გიგო ერთ ასეთ აივნიან სახლში ცხოვრობდა. აქ დაიბადა, აქ გაატარა მთელი სიცოცხლე. ამავე უბანში ჰქონდა პატარა სახელოსნო. ძია გიგო თერძი იყო.

სანამ ფაბრიკები ნაირნაირ ქუდებსა და შლაპებს საფანტივით გამოყრიდნენ, ძია გიგოს ქუდებს კარგი გასავალი ჰქონდა. მუდმივი მუშტარიც ჰყავდა: „თათრის მეიდნელი“ ყასბები, მექისეები, ქალაქში სავაჭროდ ჩამოსული გლეხები. ძია გიგო კაზიროკიან ქუდებს კერავდა. მართლაც, კარგი ქუდები იყო.

ამ დილითაც ძია გიგომ ფრთხილად ჩამოიარა თოკივით დაგრეხილი კიბე და სანამ ქუჩაში გავიდოდა, თავის სახლის ეზოს გადაავლო თვალი. ცეკვის მასწავლებელი კოტე დოლიძე ფაცაფუცით პირს იბანდა. კოტე პირს შინ იპარსავდა და მგონი, თმასაც შინ იკრეჭდა, ამიტომ უბნის არც ერთი დალაქი არ ელაპარაკებოდა. რამდენჯერმე ეზოს ტაქსით მოადგა, მაგრამ შოფერს ისეთი აყალმაყალი აუტეხა, რატომ ხურდას არ მაძლევო, რომ იმის მერე ტაქსით მოსული აღარავის უნახავს. „ალბათ შოფრებსაც თავისი ამქარი აქვთ, — ფიქრობდა ძია გიგო, — აბა, ამოტელა ქალაქის შოფრებმა როგორ შაკრეს პირი?“

ძია გიგომ შვიდი საფეხური ჩათვალა და ეზოს მეორე გრძელი აივანი გამოჩნდა. თეჯირების ღობურებით ისე იყო დატიხრული, ძია გიგოს სარაყამიშის ფრონტი გაახსენდებოდა ხოლმე. თეჯირების ფეხებთან მსხვილი, შავი ტარაკანები ირაზმებოდნენ. ერთიმეორის ჯიბრით მეზობლები დუსტს არ ყიდულობდნენ და ტარაკანებიც გაუხედნავ ცხენებივით დანავარდობდნენ აივანზე.

კიბეზე ძია გიგოს სანდრიკა შემოხვდა, ეჭვიანად აჩეჩილი მხრები და თამბაქოთი გაყვითლებული ულვაშები რომ ჰქონდა.

— გაგიმარჯოს, სანდრიკ, — უპასუხა სალამზე ძია გიგომ. — რაღაცა ვერა ხარ ხასიათზე?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია სანდრიკამ.

მიხვდა ძია გიგო, სანდრიკას დღესაც

ვერ ეშოვა მუშტარი. მაკლერი აღარავის უნდოდა, თბილისელები ბინას ახლა ტელეფონებით სცვლიდნენ.

პირველ სართულზე, საერთო სამზარეულოში დიასახლისები საქმიანობდნენ. სამზარეულოს სურნელება ეზოში იფრქვეოდა. ძია გიგო მიხვდა, დღეს ელიჩკას ტოლმა ექნებოდა, ზინას შემწვარი კარტოფილი, გაიანეს კი ნიგვზით შენელებული ისპანახი.

უკვე ცხრა საათი იყო. წინათ ამ დროს, ძია გიგო ვაჭრობის ეშხში იყო ხოლმე შესული. ახლა არსად ეჩქარებოდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა სახელოსნოს როდის გააღებდა. მუშტარი ალბათ დღესაც არ ეყოლებოდა.

მის კაზიროკიან ქუდსა და ვერცხლით მოჭედილ ჯოხს უბანში ყველა იცნობდა. ქუჩაში რომ გამოვიდა, ძია გიგომ დაინახა, ორი მანქანა ერთმანეთს შუბლით მიწეპებოდა, ერთმანეთს გზას არ უთმობდა.

— ვერ გახვალთ, ბიჭებო, — უთხრა ძია გიგომ შოფრებს, — აქ ორი ფაეტონი ვერ უქცევდა გვერდს და ეგ გარმონივით გაწელილი მანქანები გინდათ გაატაროთ?

ძია გიგომ ჯოხის კაკუნით გაიარა წაფერდებული ქუჩა და შორიდანვე შენიშნა, ვანოსა და ელამ პეტოს უკვე გაეღოთ თავიანთი სახელოსნოები.

— დღესაც მამასწრეს მამაძაღლებმა, — წაიბურტყუნა ძია გიგომ და ნაბიჯს მოუჩქარა.

ვანო ოქრომჭედელი იყო, პეტო კი ძველ ქამრებს ბალთებს უცვლიდა, თასმებით ბადურებსა სწნავდა, ლითონის ღილებს აკეთებდა. იმათ ჯერ კიდევ ჰყავდათ მუშტარი — პურის ფულზე გამოდიოდნენ.

ახლაც, ურდული რომ ჩამოიღო ძია გიგომ დარაბიდან და კარები გახსნა, მაშინვე თვალში ეცა თაროებზე შეხოხოლავებული ქუდები. ქუდებს მტვერი დასდებოდა. ძია გიგომ სამუშაო ხალათი ჩაიცვა, ჩვარი აიღო და თაროები გადმოასუფთავა. მაკრატლისა, საქუდე ქსოვილებისა და კალაპოტებისაკენ არც კი გაუხედავს. რაც შეკერილი ჰქონდა, ის ოხრად რჩებოდა და ახლის შეკერვას რა თავში იხლიდა.

დღესაც იჯდა მოწყენილი ძია გიგო და სახელოსნოს გაღებულ კარებს ისეთი მოლოდინით გასცქეროდა, თითქოს იქიდან უკვდავება უნდა შემოსულიყო.

უცებ შორიახლოს დიდი, კრიალა ავტობუსი შეჩერდა. ავტობუსიდან უცხოელები ჩამოვიდნენ. მათ წინ კოკობზიკა გოგონა მიუძღოდა და გაუგებარს ენაზე რაღაცას სხაპასხუპით ეტიტინებოდა. უცხოელები ჯერ სიონისაკენ წავიდნენ, მერე რიკულებიან აივნებისაკენ ჰყეტით მოელალათ კისერი, მერე დადგნენ და ფოტოაპარატებს ისეთი ჩხაკუნი აუტეხეს, თითქოს დაგვალულ მიწაზე სეტყვა დააყარაო.

ვანო და პეტო ქუჩაში გავიდნენ და ბოჩოლებივით პირდაღებული შესცქეროდნენ უცხოელებს. ძია გიგო გარეთ არ გასულა, რაში ედარდებოდა ცხრა მთას იქიდან ჩამოსული მატრაბაზებირას იქაქანებდნენ. ამას ერთი გაძვალტყავებული მუშტარიც ვერ ეშოვა, ისინი კი სასეირო თვალებს აჭყეტდნენ...

ძია გიგომ წასთვლიმა ჩვეულებისამებრ, რომ მინის კედელს რაღაცა ჩრდილი წაეფარა. მაშინვე გაახილა თვალები და რას ხედავს, ამოდენა ხალხი მის სახელოსნოს არ შემოხვევია!

ცოტა არ იყოს, შემკრთალი წამოდგა. კოკობზიკა გოგონამ გამოარღვია უცხოელების ჯგუფი და ძია გიგოს უთხრა:

— ძალიან მოეწონათ თქვენი მაღაზია.

ძია გიგოს სიხარულისაგან გული შეუქანდა.

— რაო, რას ამბობენ? — ჰკითხა გოგონას.

— ორიგინალურია, ეგზოტიკურიაო.

— გადმოუთარგმნა გოგონამ, თითქოს, ამ ქაჯურ სიტყვებს ძია გიგო რამეს გაუგებდა.

ძია გიგომ ყასიდად გაიღიმა და დაელოდა რა მოხდებოდა.

— სუვენირებად უნდათ, — უთხრა რამდენიმე წუთის მერე გოგონამ.

— ეგ რაღაა? — ჰკითხა ძია გიგომ.

— ყიდვა უნდათ, ძია!

როდი დაფეთდა ამ სიტყვების გაგონებაზე. დრო იყო, მისი სახელოსნოს წინ ასე ჯარად იდგა მუშტარი. იანვარში რომ შეკვეთას აიღებდა სააღდგომოდ ძლივს ასწრებდა შეკერვას, მუშტარი მართლაც რომ ბუზივით ეხვეოდა. ახლა ეს თვალებდახატული და შიშლიკან-ტიტლიკანა უცხოელები გააკვირვებდნენ?

კიდევ კარგი ამ დილით მტვერი გადაწმინდა, ხომ მოეჭრებოდა თავი. უცხოელები ბავშვებივით გახარებული იყვნენ, ქუდი ყველამ იყიდა — კაცმა და ქალმაც. თან ყველა თუთიყუშივით ერთ სიტყვას გაიძახოდა:

„ეგზოტიკო! ეგზოტიკო!“

წავიდნენ უცხოელები. დახლზე ძია გიგოს იმოდენა ფული დაუტოვეს, რომ სიხარულით მთვრალს დათვლის თავიც აღარა ჰქონდა. სახელოსნოს თაროები პირწმინდად იყო გამოსუფთავებული. კარებში ვანო და პეტო აშოლტილიყვნენ, ტუჩებზე გაოცების ღიმილი და შურის დორბლი უბრწყინავდათ.

— აშენდი, გიგოჯან! აშენდი! — გაიძახოდა ხან ერთი და ხან მეორე.

ის უბანში სახელგანთქმული თერძი იყო. ვანოსავით ერთ ბეჭედს თვალებს კი არ ჩააწყალებინებდა. პეტოსავით ქანგიან ქამრის ბალთებს კი არ ხვრეტდა. მუშტარი ავტობუსით მოდიოდა...

— აშენდი, გიგოჯან! აშენდი...

სანამ შინ დაბრუნდებოდა, მთელმა უბანმა იცოდა მისი დღევანდელი ვაჭრობის ამბავი. მეზობლები აქეთ-იქიდან ულოცავდნენ. ძია გიგო წელში გამართული მიდიოდა, ჯოხი იღლიაში ამოეჩარა და მილოცვებსა და სალამზე დარბაისლურად პასუხობდა. შინ, ეზოში, ყველას ჩვეულებრივად უთხრა „საღამო მშვიდობისა“. აუჩქარებლად აიარა კიბე. ელიჩკას, ზინასა და გაიანეს ოჯახები უკვე ესადილებინათ და ახლა ჭურჭელს რეცხდნენ. მის დანახვაზე შეწყვიტეს კინკლაობა და ჭურჭელსაც უხმაუროდ დაუწყეს გადალაგ-გადმოლაგება. სანდრიკა ახლა ზევიდან ჩამოდიოდა, იგი კიბის მოაჯირს აეკრა და ქუდიც კი მოიხადა. მეორე სართულზე, ძია გიგომ თეჯირების ფეხებთან ტარაკანები ვეღარ დაინახა. ეგ კი არა, კოტე დოლიძე პირს ისე ჩუმად იბანდა, თითქოს სურათზე დახატული ანგელოზიაო.

შინ უფრო მეტი საოცრება დახვდა ძია გიგოს. შვილიშვილებს სადღაც ძველი საბუღალტრო დავთარი ეშოვათ, ხელისგულის ოდენა ქაღალდებად დაეჭრათ და შემოსვლისთანავე პაპას მიახარეს:

— ჩეკები დავამზადეთ, პაპა! ჩვენც მოგეხმარებით!

—ჰო, შვილო, ჰო, — წყნარად თქვა ძია გიგომ, იცოდა თავის ჯანმრთელობას უნდა გაფრთხილებოდა, — თქვენ თუ არ მომეხმარეთ და ჩეკები არ გამოწერეთ, ამოდენა ავტობუსების ხალხს მარტოკაცი რას აუვალ!..

ძია გიგო ადრეც განებივრებული ჰყავდათ ოჯახში, დღეს კი სულ ხალიჩები დაუფინეს. კარგად ისადილა, დაისვენა და მერე ნავაჭრი ფული გაანაწილა: ზოგი ტანსაცმლის საყიდლად, ზოგი სარჩო'სათვის, ზოგიც შვილებსა და შვილიშვილებს უფეშქაშა.

ბედნიერმა ოჯახმა სასიამოვნო მასლაათში შუაღამემდე ვეღარ დაიძინა. ძია გიგოს ძილი გაუკრთა და მხოლოდ გათენებისას მოატყუა თვალი. დილით ყველაზე ადრე ის ადგა, მკვირცხლად დაიბანა პირი, სახელდახელოდ წაიხემსა, დაავლო ჩეკებს ხელი და უმცროსი შვილიშვილი გაალვიძა.

— ბადრი, ბიჭო, შენ ხომ თორმეტის მერე მიდიხარ სკოლაში, წამოდი მომეხმარე... — უთხრა და ფუნჩულა ხელები დაუკოცნა.

ჯერ რვა საათიც არ იყო, პაპა და შვილიშვილი სახელოსნოში რომ მივიდნენ. ძია გიგომ ბადრი დასვა და ჩეკებზე ნომრების დაწერა დაავალა. თვითონ სამუშაო ხალათი ჩაიცვა და ისე გაფაციცებით ჩაუჯდა სამუშაოს, თითქოს მთელი ქუჩა უკვე მუშტრით გავსებულიყო.

მუშაობაში გართულმა მხოლოდ ერ-

თი წამით აიღო თავი, გახედა ვანოსა და პეტოს სახელოსნოების დაგმანულ დარაბებს და გაეღიმა. „საწყალი ბიჭები... გაკოტრდებიან, აბა რა იქნება".

თავის თავზე აღარა დარდობდა. გულში დაუტეველი სიხარული სიმღერასავით ესმოდა. არ ეცალა მისთვის ყური მიეგდო, თავაუღებლად მუშაობდა. ნაშუადღევს შვილიშვილი სკოლაში გაისტუმრა, ფეხზე მდგომმა წაიხემსა და საღამომდე ხუთი ქუდი შეკერა.

როცა დაღამდა და შინ წასასვლელად გაემზადა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ დღეს მუშტარი არ მოსულოდა.

„მარტო ხომ არ მოვლენ, კაცო, — უსაყვედურა თავს, — გროვდებიან. იმათ ავტობუსით უყვართ მოსვლა".

მაგრამ გავიდა ერთი კვირა, გავიდა ერთი თვე და თერძის სახელოსნოსთან არათუ ხალხით სავსე ავტობუსი, შინიდან გამოგდებული კატაც აღარ შეჩერებულა. შავი დღისათვის გადანახული ფული ძია გიგომ საქუდე მასალაში დახარჯა, მყიდველი კი არ ჩანდა.

ვანო და პეტო ამქრის ძველ უსტაბაშს შეზრალებას ვერ უბედავდნენ, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდათ, ერთ დღეს ვანომ ჰკითხა:

— სადაურები იყვნენ, ძია გიგო, ის დალოცვილები?

— იქაურები, — უხიაკად მიუგდო გიგომ.

— ნემეცებს არა ჰგავანდნენ, — თქვა პეტომ, და კვლავ დაეკითხა ოსტატს, — მაშ სადაურები იქნებოდნენ?

— ეგზოტიკო ვართო, — საიდუმლოსავით გაანდო ძია გიგომ.

— ეგ რა ხალხია? — ჰკითხა ვანომ.

— არ გამიგია ეგეთი ხალხი, — მოსჭრა პეტომ.

— შენ რო არ გაგიგია, რა ბედენაა, — გაიცინა ძია გიგომ, — დუნიაზე იმოდენა ხალხია რო...

— ეგზოტიკო... ეგზოტიკო... — გაიმეორეს ხელოსნებმა და იმ დღის მერე მიყუჩდნენ.

ვანოს უფროსი ბიჭი გეოგრაფიის მასწავლებელი იყო და ძია გიგო დარწმუნებული იყო, ეგზოტიკოს ამბავს ვანო იმას შეეკითხებოდა. მართლაც, მესამე დღეს ვანომ შინიდან კარგი საუზმე წამოიღო, ცოტა არაყიც იყიდეს და ის იყო პურის საჭმელად უნდა დამსხდარიყვნენ, რომ ვანომ განაცხადა.

— ჩემმა ბიჭმა თქვა, ეგეთი ქვეყანა არ არის დედამიწის ზურგზეო.

— ჩვენი თვალით არ ვნახეთ იქაური ხალხი? — ხელი აუქნია პეტომ.

— ბალღებს რა უნდა ასწავლოს შენმა ბიჭმა, — ცივად გაიცინა ძია გიგომ.

ვანოს ეწყინა.

— ორჯერ სიგელით დააჯილდოვეს... ვარშავაში უფასოდ გაგზავნეს...

— ამხელა ქვეყანა არ იცის?

— შენ რა იცი რამხელაა? — არ დაუთმო ვანომ.

— ვანო, კაცი დაბერდი და რას ამბობ, არ გაგეგება, — აუხსნა ძია გიგომ, — ეგზოტიკო დიდი ქვეყანა რომ არ იყოს, პატარა საქართველოში ერთი ავტობუსს ხალხს გამოგზავნიდა? შენ თვითონ იანგარიშე, — ჩაუთვალა ძია გიგომ, — ჩვენთან თუ ერთი ავტობუსი გამოგზავნა, რუსეთში რამდენს გაგზავნიდა? ახლა ადესა აიღე! ახლა ტაშკენტი აიღე! ისიც იანგარიშე, ყველას აქ ხომ არ გამოგზავნიდა, თავისთანაც ხომ დაიტოვებდა?

ვანო ისე ჩაიწვა, ხმა ვეღარ ამოიღო. არაყი არ დაულევია, შინიდან წამოღებული საუზმე მწარე და უგემური მოეჩვენა.

— აფრიკაში იქნება ეგზოტიკო, — თქვა პეტომ, — გაზეთში მუდამ დღე წერენ მავანმა და მავანმა თავისუფლება მიიღოო...

— მართალი ხარ, ახალი ქვეყანა იქნება, — ჭკუაში დაუჯდა პეტოს მოსაზრება ძია გიგოს.

— მაგასაც შევეკითხები, — ხმა ამოიღო ვანომ.

— რას გვაშინებ? — გაიცინა ძია გიგომ — ხუთი წლის ნაშრომ-ნაღვაწი ქუდები ხუთ წუთში ხელიდან გამტაცეს და აბა იმ ხალხს სახლ-კარი არა აქვს? ციდან ჩამოფრინდნენ?

— ვინც ქართული პურ-მარილის გემოს გაიგებს, ის მეორედაც ჩამოვა, — დააშოშმინა მეგობრები პეტომ.

— ალეო და ხვალეო! — კვერი დაუკრა ძია გიგომ.

ვანომ აღარაფერი თქვა, გაჩუმება არჩია. ეჭვობდა, იქნება მისმა შვილმა მართლა არ იცოდა ახალი ქვეყნის არსებობა, რად უნდა მოემდურებინა სიყრმის მეგობრები.

ძია გიგომ კი გულში ჩაიხვია მოლოდინი: ვისაც ერთხელ მაინც ქართული სტუმარ-მასპინძლობა ენახა, არ შეიძლება მეორედ არ ჩამოსულიყო საქართველოში. ერთ მშვენიერ დღეს კიდევ გაჩერდება დიდი, კრიალა ავტობუსი და კოკობზიკა გოგონა სარდალივით შემოუძღვება ეგზოტიკოდან ჩამოსულ ხალხს.

## გასეირნება

ახლადდატკეპნილი გუდრონი, რომელზეც ზაფხულის დღის მცხუნვარებას გადაევლო, ლურჯად ლაპლაპებდა. გზატკეცილს მთვრალი მაყარივით მისდევდა ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეული საურმე გზა. მასზე იკრიბოკროდ მიჩაქჩაქებდა სახედარშებმული, ერთი ციდა ფორანი.

ფორანს თორმეტიოდე წლის ბიჭი მიუძღოდა. შარვლის ტოტები მუხლებამდე აეკეცა, შიშველ ფეხებზე დაუდევრად ამოეცვა ცხვირმოჭმული კედები და ცისფერი ჩითის პერანგიც მოეღეღა; საღამო იყო, მაგრამ მიწას თონესავით ასდიოდა ბუღი.

სახედარი ყურებჩამოყრილი მიაგორებდა ფორანს, გზაც ნაცნობი იყო მისთვის და ტვირთიც. ფორანზე ტყეში აქუჩებული ხმელი ფიჩხი იყო დაძეძგილი, ფიჩხის ბოლოები მიწაზე მისთრევდა. ნაწილი სახედარსაც გადაფარებოდა ზევიდან და თუ არა მისი ყურების მოძრაობა, შორიდან კაცს ეგონებოდა ფიჩხით დატვირთული ფორანი თავისით მიგორავსო.

უცბად გზაზე ახალთახალი, კრიალა „ვოლგა“ გაჩერდა. მანქანიდან აყლაყუდა შოფერი გადმოვიდა, იმხელაზე აიშალა, თითქოს დანის პირებივით ჰქონოდეს ჩაწყობილი სავარძელში ხელ-ფეხი. შოფერმა მგელივით დაყნოსა ჰაერი, მერე მანქანაში თავი ხვლიკივით შეყო და იქ მსხდომთ რაღაც უთხრა. მანქანის სამივე კარები ერთად გაიღო. პირველი ათი წლის გოგონა გადმოხტა, გახამებული კაბის კალთები გაისწორა, ნაწნავიდან ჭრელი ბაფთა მოიძრო და გადაუსვა კრიალა ფეხსაცმელს, რომელსაც მტვერი დასდებოდა.

— რას შვრები, გულიკო? — დაუძახა ფაშფაშა ქალმა. მან ჯერ ერთი ფეხი გადმოყო მანქანიდან, მაგრამ სავარძელზე გავა რომ ვეღარ მოატრიალა, ფეხი უკანვე შეაჩოჩა და თავით სცადა გამოსვლა. ახლა მხრები ვეღარ გამოეტია კარების ჭრილში.

— მომეხმარე, გოგო, — ნაძალადევი სიცილ-კისკისით დაუძახა ქალმა ბავშვს, რომ მისი გაწბილება არავის შეემჩნია.

ორი კაცი და ორი ქალი უკვე გადასულიყვნენ მანქანიდან, ახლად აბიბინებულ მოლზე იდგნენ და ხარბად სუნთქავდნენ სუფთა ჰაერს.

— შეხედე, აქ რა სიგრილეა, — გაოცებულები ეუბნებოდნენ ერთმანეთს, — გარეთ კი იწვის ქვეყანა.

აყლაყუდა შოფერი სახედარივით თავჩაქინდრული ეზიდებოდა სანოვაგით გატენილ ბადურებს, ღვინისა და ლიმონათის ბოთლებს, გასაშლელ ბრეზენტის სავარძლებს...

— ჭიჭიკო, — დაუძახა ჩალისფერშლაპიანმა კაცმა აყლაყუდას და თან

მზის სათვალე შუბლზე აიწია, — ცეცხლი დაანთე, ხომ იცი, მწვადი შესაწვავია.

— ამ წუთს, ვარდენიჩ! — სხარტად მიუგო ჰიჭიკომ, მერე ბიჭის ფორანი შენიშნა და მივარდა. — აგაშენოს ღმერთმა, დაბარებულივით არ მოხვედი! — აყლაყუდამ ხმელი ფიჩხით დატვირთული ფორანი მუშტრის თვალით აწონა და ბიჭს უთხრა: — ვაჟკაცო, ფიჩხი მჭირდება, იმ პატივსაცემ ხალხს მწვადი უნდა შევუწვა...

ბიჭმა გააჩერა ფორანი და ზანტად ახედა წნელით საიმედოდ შეკრულ ფიჩხს, გინდა ერთი ღერი გამოგეღო და გინდა სულ დაგეშალა, მაინც ხელახლა დატვირთვა უნდოდა. ამ დროს ფორანთან გოგონამაც მოირბინა და სახედარს წინ დაუდგა.

— რამხელა ყურები აქვს... — თქვა გაოცებულმა.

ბიჭმა გაიცინა გოგონას სიტყვებზე, მარდად მივიდა ფორანთან, ირიბად გარჭობილი წალდი გამოაძრო, გადაჭერილი წნელი შეაჭრა და აყლაყუდას ჰკითხა.

— რამდენი გინდა ფიჩხი?

— შენ თვითონ გეცოდინება, მწვადის შეწვას რამდენი უნდა, — დაფაცურდა ჰიჭიკო, — ფულს მოგცემ, არ შეგეშინდეს.

— ფული არ მინდა, — ცალყბად მიუგდო ბიჭმა და ისევ გოგონას გახედა, ახლა სახედრის თვალებს რომ მისჩერებოდა გაოცებული.

ჰიჭიკომ ფიჩხი კი წაიღო, მაგრამ ცეცხლი ვერ გააჩაღა. აკოკოლავებულ ფიჩხს ხან სანთია შეუჩურთა, ხან ქაღალდები უჩუჩხუნა, მაგრამ არ იქნა და ფიჩხს არ მოეკიდა. ბიჭმა რომ დაინახა როგორ წვალობდა აყლაყუდა, გულმა აღარ მოუთმინა, მივიდა, ფიჩხიდან რამდენიმე კეწეწი აიღო და ასანთით აანთო. მერე თანდათან მიუმატა ფიჩხი და სულ რამდენიმე წუთში ცეცხლი აბრიალდა.

ჩალისშლაპიანი კაცი, ფაშფაშა ქალი და მათი სტუმრები ბრეზენტის სავარძლებში მიწოლილიყვნენ და საჭმლის მოლოდინში ტკბილად სთვლემდნენ. ცეცხლთან ჰიჭიკო, გოგონა და ბიჭი ტრიალებდნენ.

აყლაყუდამ ტყავის ჩანთაში ხელები კარგახანს აფათურა და საქციელწამხდარმა თქვა:

— ვაჰ მე, შამფურები დამვიწყებია! რა ვუთხრა ეხლა ვარდენიჩს, მწვადი რაზე შევწვა?.. ვაჟკაცო, მოდი აქ, რამე მიშველე.

— მე ავთო მქვია, — მიუგო ბიჭმა და აყლაყუდასთან მივიდა.

— ბატონო ავთანდილ, — საცოდავად დაიმანჭა ჰიჭიკო, — კიდევ ერთხელ გამომიყვანე გასაჭირიდან.

— რა მოხდა? — ჰკითხა ბიჭმა.

— შამფურები დამვიწყებია. მწვადი როგორ შევწვათ? ვარდენიჩის ხასიათი რომ იცი, გამაგდებს და ცოლ-შვილს მშიერზე დამიტოვებს...

ბიჭმა არაფერი უპასუხა. ფორანთან მივიდა. წალდი აიღო და ბროწეულის ბუჩქს მიადგა. შეარჩია სწორი ტოტები, შეაჭრა, გასხიპა, აამხრალა და აყლაყუდას გაუწოდა.

— ეგე, შამფურები.

გახარებულმა ჰიჭიკომ პერგამენტის ქაღალდში გახვეული ხორცი ამოიღო, დასჭრა და ხის შამფურებზე აგო. მერე ორ-ორი შამფური ხელში დაიჭირა და მაღალ ცეცხლს მიაფიცხა.

— ალზე აილანძება და არ შეიწვება, — უთხრა ავთომ. — მწვადს ნაკვერჩხალი უნდა.

— სადა მაქვს ახლა მე ნაკვერჩხალი? — დაიმანჭა ჰიჭიკო.

ბიჭს გაეღიმა.

— ფიჩხი დანდობილა იწვის. ნაკვერჩხალს უნდა მიაფიცხო. თანაც, ხელში რატომ გიჭირავს, — ავთო ისევ მიუტრიალდა ბროწეულის ბუჩქს, ორკაპა ტოტები მოძებნა, საბჯენები ამოსჭრა და გაღვივებულ ცეცხლს აქეთ-იქიდან დაურჭო. — აი, ამაზე დააწყე შამფურები, — უთხრა აყლაყუდას.

ჰიჭიკომ შამფურები ჩააწყო და სულ მალე მწვადიც აშიშხინდა. სავარძლებში მთვლემარეთ მწვადის სუნზე გამოეღ-

ვიძათ, მეძებარი ძაღლებივით ცხვირებს ათამაშეს. ქალები მაშინვე სუფრის გაშლას შეუდგნენ.

მწვანე მოლზე სულ მალე ერთიმეორეს გვერდით ამოუდგა ღვინისა და ლიმონათის ბოთლები, ხაჭაპურები და სულგუნი, ცოცხალი თევზი, ხილი... ავთოს თვალი გაექცა სუფრისაკენ, მაგრამ არ შეიმჩნია, ფორანთან დაბრუნდა. წნელი დაჭიმა, გაამაგრა და წასასვლელად გაემზადა.

გოგონა შორიახლოს ტრიალებდა, მერე ავთოსთან მივიდა და დამორცხვებულმა უთხრა.

— რატომ მიდიხარ, ავთო? წამოდი, ჩვენთან ისადილე.

ბიჭმა შემოხედა და გაუღიმა.

— ნუ გრცხვენია, ახლავე დედას ვეტყვი, — გოგონა თავპირისმტვრევით გაიქცა ფაშფაშა ქალისაკენ.

ავთომ კარგად გაიგონა, ფაშფაშა ქალმა როგორ დატუქსა გოგონა. ფორანი უხმაუროდ დასძრა. ყელი რაღაც უხილავი, ცხელი ბოლმით ავსებოდა, თავდაღმართზე სწრაფად მიაჩაკჩაკებდა ფორანში შებმულ სახედარს.

*ბორის ჩხეიძე*

# ყრუ კედელთან

*მოთხრობა*

საბურთალოს ბაზრისთვის ორი ჭიშკარი დაუტანებიათ მშენებლებს. ორივე კარგად ჩანს ანაგის ქუჩიდან. ჭიშკრები ერთმანეთს საკმაოდ მაღალი, ყრუ კედლით უკავშირდებიან. ამ კედლის გასწვრივ მოქალაქეები რატომღაც იშვიათად აივლ-ჩაივლიან ხოლმე. ვერავინ იტყვის რად ეჩვენებათ ეს ნაგებობა გამვლელებს უამურ სანახაობად. ისე კი, რა თქმა უნდა, ყველამ იცის რა იდუმალება იფარავს თავს ამ კედლით. მაღალი ყორე მყიდველ-გამყიდველების გაუთავებელ ჟრიამულს არიდებს მახლობელ საცხოვრებელ სახლებს.

თუმცა, ისიც სათქმელია, ყოველთვის ცარიელი არ არის ამ კედლის გასწვრივ გუდრონით დაგებული ვაკე. სხვისა რა მოგახსენოთ, და ასპან სარჯულაძეს კი უყვარს იქ თავისუფლად გავლა; როცა ასპანი დილით ხილ-ბოსტნეულს იყიდის, ხანდახან მაგარ თეთრსაც ეზიარება, შინისაკენ მიმავალი იმ ყრუ კედლის ქვითკირს ნელი ნაბიჯით გაუვლის ძირს და მოპირდაპირე მხარეს, ავტობუსის გაჩერებაზე გადადის; იქიდან დიდხანს მიჩერებია ბაზრისა და მოსახლეებს შორის ჟრიამულს გამმიჯნავ ყრუ კედელს. აოცებს და არ კი კითხულობს რად ერიდებიან მოქალაქეები იმ წყნარ სიხალვათეს, მეტისმეტად ხმაურიანი ბაზრის ახლოს რომ სუფევს.

ასპანს რაღა დაემართა ისეთი, რომ აქ გავლა ჩვეულებად ექცა? ესეც იმ დიდი ომის ბრალია. მაშინ, ქვემეხების გრუხუნში, ბრძოლის შემდეგ, დასასვენებლად, ჭრილობების შესახვევად, დაჭრილი ამხანაგების შესაფარებლად, შეტევისათვის ძალების შესავსებად, ასეთი მყუდრო ადგილის მიგნება ნამდვილი ბედნიერება იყო. მოგენახა მაშინ ასეთი ადგილი, შეაფარებდი თავს და თავისუფლად ამოისუნთქებდი. მაშ როგორ არ უნდა ჰყვარებოდა მას ეს კედლის გასწვრივა ასფლანტნაგი, თუნდაც ერთი ზეწრის გასაშლელი ადგილი! დიდხანსაც მოცილე არ ყავდა, მაგრამ ერთხელ, ნახეთ რას გადაეყარა.

ნავაჭრით ხელსავსე ასპანი მოდის ამოჩემებული ყრუ კედლის ძირას. კედლის გადაღმა მოედანი ავსილია რა გინდა, სულო და გულო ხილეულით. აქეთ, კედლისძირა ასფლანტნაგზე კი რას ხედავს! მის შესახვედრად, პირდაპირ მოდის, სადაც არის ხელის ჩამოსართმევ მანძილზე მიუახლოვდება, ვინ, იცით?..

ნამდვილად ის არის, ოლიკო ინწკირველი. სოფელ დოლაბაურში ასპან სარჯულაძემ მასთან ერთად დაამთავრა

საშუალო სკოლა. თურმე ერთმანეთი კიდეც უყვარდათ და მათ შეუმჩნევლად გულს ჩაპარული ეს სანეტარი გრძნობა უეცრად გაუმხილეს ახალგაზრდებმა ცასა და დედამიწას სწორედ იმ დღეს, სიმწიფის ატესტატი რომ მიიღეს... ქალი და ვაჟი, სიხარულით ფეხზე რომ აღარ იდგნენ, ერთმანეთს შეეფეთნენ და გადაჰკოცნეს, მაგრამ რა გადაჰკოცნეს. გაჭირდა მხურვალე ტუჩების დაცილება, ძნელი შეიქმნა მკერდების გარიდება. რა დაავიწყებს ასპანს იმ ამბავს — ვაჰ, რა სანატრელი, ძირიანად შემძვრელი წუთი იყო!

ხედავს ასპანი თანაკლასელ ქალს: სამი ათეული წლის შემდეგ ისევ ის ოლიკო არის და აღარც არის. თვალები, ტანადობა, კვლავ სკოლადამთავრებულისა შერჩენია. კანი შეცვლია მხოლოდ. საკირესავით აღარ უბდღვრიალებს შუბლი და ყელ-ყური. ყვრიმალების გასწვრივ სანაოჭე ძაფები გაბმია თვალების ბუდეებისა და ყურის ნიჟარების შემაერთებლად.

ორმოცდაათს გადაცილებული კაცი ნაცნობი ქალის უეცარმა შეხვედრამ და შეფეთებამ კინაღამ დაარეტიანა. უცებ იდუმალი გულისხმაც შეესმა: „ასპან, ჯეელი აღარა ხარ, ყველაფერი დაივიწყე, ოდესღაც ნაოცნებარ სატრფოს გულცივად შეხვდიო". მაგრამ იგივე გულისხმა სხვა რამესაც ეუბნებოდა: „ასპან, ყველას სურს „რაღაცა" დაივიწყოს, მაგრამ ერთი იმ „რაღაცასაც" ჰკითხე, უნდა თუ არა, ვისმე თავი დაავიწყოს!".

ნეტავ როგორ გაუმკლავდეს, როგორ გაუძლოს ასპანმა თავისი გულის ასეთ ამოძახილებს? ფიქრის დროც აღარ არის. ინწკირველის ქალი ზედ მოადგა. მასაც ხელში სანოვაგით სავსე ჩანთა უჭირავს.

— ხომ არ მომეჩვენა, განა ოლიკო არა ხარ! — პირველმა ასპანმა შეაგება ხალისიანი ხმა.

— დიახ! თქვენ ვინ ბრძანდებით? — გაიოცა ქალმა განგებ.

ოლიკომ უმალვე იცნო ასპან სარჯულაძე, ასე ეწერა საკლასო ჟურნალში, ამხანაგობაში კი ერთი მალხაზა ბიჭი იყო და ყველანი ასალოს ეძახოდნენ.

— როგორ მიცანი, ასალო! განა ოცდაცამეტი წელიწადი არ გავიდა სკოლის აქეთ? განა მაშინდელი იერი ისევ შემრჩა!

— ოლიკო, შენს თავს, აბა რა დამავიწყებს!

— ერთხელ შემთხვევით გავიგე, ფრონტიდან მშვიდობით დაბრუნდაო! მომილოცავს. ბედი გქონია. სიცოცხლე, როგორიც არ უნდა იყოს ის, მიწაში წოლას მაინც ჯობია!

— ბედი, ბედი, რა ჰირად მიხსენე ეგ? ბედნიერი მართლა ვიყავი და ეს ათი დღეა აღარა ვარ.

— ომზე მეტი რაღა უნდა გადაგხდენოდა, შე კაცო?

— ეჰ, ომი რა არის? სისხლიანი შრომაა, მეტი არაფერი, — ჩაიქნია ხელი ასალომ.

— მაშ რაღა დაგემართა? — კიდევ უფრო გაოცდა ქალი.

— ოჯახში ვარ გამწარებული, ჩემო ოლიკო! — მეამიტად გამოუტყდა ასალო, — ერთი ქალიშვილი მყავდა... ეჰ, ნეტავ ამ დღეს არ შევსწრებოდი!

— სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს! — შეიცხადა ოლიკომ.

— მერჩია მომკვდარიყო. არ იკითხავ, როგორ ვინახავდი, როგორ გავზარდე დედით ობოლი გოგო?! თავს ვევლებოდი, ქვეყანას მერჩია. იღბალიც აღმომაჩნდა. ისეთი გამოდგა, რომ სახლს, ჩემს სახლს უქალობა არ შეტყობია. მისი არც სკოლის კარი ვიცოდი, არც ის, თუ როგორ ჩაირიცხა ინსტიტუტში. იქაც კიდევ უფრო მეცადინი შეიქმნა. ერთხელ ნაცნობმა ლექტორმა მითხრა: — მისთანა სტუდენტი, არც გარეგნულად და არც გონიერებით, მთელ ფაკულტეტზე მეორე არა მყავსო.

— აი, ეგ არის შენი თბილისი, — ჩაურთო ოლიკომ, — ზოგს საბა ორბელიანის საფუარს ჩაუკიდებს, ზოგის-

თვის კი უბრალო გულისხმიერებას არ გაიმეტებს. მაინც რა მოუვიდა? გულს კი ნუ გაიტეხ. ოღონდაც შვილის დალუპვას ნუ შეესწრება დედ-მამა და სხვა სადარდელს გაუძლებს. ეს მე ჩემს თავზე გამოვცადე!

ოლიკომ ეს რომ თქვა, უეცრად თვალები დაალეცა, აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა. ასალომ ეს უმალვე შენიშნა.

— რაო, ოლიკო, ვისი გეკრძალება ჩემთან შეხვედრა, იქნებ ქმრისა? ეჭვიანი ხომ არ გყავს?

— შენ მაგ გადმოკრულებს თავი დაანებე. მითხარი რა მოუვიდა შენს ქალიშვილს? — არ მოეწონა ქმრის ასე ხსენება ოლიკოს, თანაც ოსტატურად აგრძნობინა ასალოს, ქმარი მყავს და, შენი რა საკითხავია ეჭვიანი არის თუ არაო.

— ჰე, ჰე, ოლიკო! — დაუბრუნდა თავის სადარდელს ასალო. — ჩემს ქალიშვილს თურმე ერთი, ჩემი ცოდოობრალით სავსე ბიჭი გადაეკიდა. მერე როგორი, არ იკითხავ? ისეთი უჯიგრო, რომ მე, ერთადერთი გოგოს მამა, მის პატრონად კი არა, ეზოს ძაღლადაც არ ჩამაგდო. თავისი განზრახვა არც ადრე, არც გვიან, არ გამანდო. ქალი წაიყვანა. არ ვიცი, გოგო თითონ გადაეკიდა, თუ მოიტაცა, მაგრამ ჩემთვის სულ ერთი არ არის? დაბოლოს, იმის ღირსიც არ გამხადა გამიმხილოს, სად გადაკარგა ჩემი შვილი, ვის კარზე წაიყვანა, ისიც არ ვიცი ჩემი გაზრდილი ჩიტი მკვდარი ვიგულო, თუ ცოცხალი. სად, რომელ მხარეზე ვეძებო, ამის კვალიც არ ჩანს. კანონის დახმარებასაც ვერ მივმართე. როგორ ვათქმევინო ქვეყანას, ასალოს ქალი ჯერ გაუუსახელეს, მერე მიუგდესო. ღმერთო ჩემო, ეს რა ახალგაზრდობა წამოვიდა, ეს როგორები მოევლინენ ქვეყანას? ნუთუ არ ესმით იმ გულით ყრუებს, რომ მამას, სანამ ის ცოცხალია, შვილზე დარდი ერთ წუთს არ მოასვენებს. ნუ თუ არ იციან, რომ საფლავშიც გაჰყვება კაცს შვილის დარდი... რა დაგიმალო და, ისიც გავიგე, თუ რა პირობით ენდო ჩემი ქალიშვილი უცხო ვაჟს. ერთმა მათმა მესაიდუმლემ მომიტანა ენა. პირობა ჩამოურთმევია ჩემი გოგოსთვის: ოღონდ წამომყე, დღე და ღამეს გავასწორებ, დაუსწრებლად ვისწავლი ინსტიტუტში, თანაც ვიმუშავებ და არაფერი გაგვიჭირდებაო.

— ისე კი, პირობა დიდად დასაწუნი არ არის, — ჩაილაპარაკა ოლიკომ, — ჩვენ, ქალები ყველა გაჭირვებას ადვილად გადავიტანთ ხოლმე. თანაც, ახლა სხვა დროა, — ოლიკო შეყოყმანდა, — ჩანს დროებას რაღაც სხვა ბედი მოუტანია საქალეთისათვის. როგორიც არ უნდა იყოს ეს მოტანილი, მას კიდეც უნდა გავწვდეთ.

— დროების გასაწვდენად სადამდე ვჭიმოთ ფეხები! — ჩაიბუტბუტა ასალომ.

— კარგი, მომეშვი, ასალო, მე ჩემი უბედურება მეყოფა! აღარ იკითხავ მე რა დღეში ვარ? შენგან შემოჩივლებულმა და ჩემმა საფიქრალმა ახლა ერთად შემომიტიეს. თავის ტკივილი ამივარდა, გულშიც ისე გამჭვალა, მოსვენება მთლად დავკარგე.

— თავის ტკივილი ჩემიც ხშირი სტუმარია. პირამიდონს გულის ჯიბით ვატარებ, თუ გინდა, ახლავე მოგცემ, — წაიღო ხელი ჯიბისაკენ ასალომ.

— წამალი არ გამაგონო! — ჩაილაპარაკა ოლიკომ კვლავ, — რას მიშველის? სატკივარს მარტო ერთი საათით გამიყუჩებს. მერე რა ვქნა? რაკიღა შენსას გამომიტყდი და დამამწუხრე, ჩემიც მოისმინე. არც მეტი, არც ნაკლები, მეც შენს დღეში ვარ. ჩემმა ერთადერთმა ვაჟმაც ის ჩაიდინა, რაც შენმა ქალიშვილმა. ბიჭი გუგულივით იყო თავისფვის, მუშაობდა... ვეუბნებოდი: შვილო, შეიძინე რამე, მოეწყვე, დაეწყვე. მერე ღმერთმა გაგაბედნიეროს, შვილიშვილებს არავითარი მოსაწრები არ მირჩევნია-მეთქი.

მან კი, ყურსა ბამბისასა, აქაოდა ამწყებ-დამწყები ვარო, ასე ჰგონია

ქვეყანა მისია. იმას აღარ მიხედა, ცოლს რა დიდი ცომი უნდა. ყველა, ყველა და, ჩემი მაზლი მყავს თვალებამოსაკაწრი. როცა დავიმარტოხელებ, ასეც ვუზამ. იმ უსინდისოს, იმ ქოფაკს შეუქეზებია ჩემი შვილი, თავისი ძმისწული: გაინძერი ბიჭო, შეირთე ცოლი, თუ დედა ხელს აგიქნევს, აგერ ჩემს ბინაში შემოდიო. იყავით, იცხოვრეთ, სანამ ნათესავები თითონ არ დაპოტნიან მიწას თქვენი ძებნითო. ჩემზე, დედაზე, სწორედ ჩემს მაზლს უთქვამს: ჩემი რძლის სეირი მაჩვენე და მეტი არაფერი მინდაო... მერე ისიც დაუმატებია: ერთი შვილი ზედმეტად გააჩინეთ, ის მე მომეცით, თქვენ ხეირი ნახეთო!

— ჰე, ჰეი, ოლიკო! ამ დროებას ჩემთვისა და შენთვის მოუცლია გასამწარებლად. ჯერ იყო და ომმა დაგვაცილა. მოიგონე...

— ნურაფერს იტყვი! — შეაწყვეტინა ქალმა.

— რატომ ნურაფერს? — ეტკინა გული ასალოს, — ერთი კოცნა გვაძევს ცოდოთ, მეტი არაფერი...

— ეს მაინც თავისას არ იშლის. სუ, აღარ გამაგონო-მეთქი!

— თუ ეს სიტკბოება ვეღარ გავიმეორეთ, — დაჟინებით განაგრძობდა ასალო, — ამაში ომია დამნაშავე, თორემ შენ თავს არავინ მერჩია! ჯერ უმაღლესში შესვლა ვერ მოვასწარი, მაშინვე ფრონტზე გამგზავნეს, ცეცხლსა და ჯოჯოხეთში მოვხვდი... ახლა ისიც დამემართა, რაც შემოგჩივლე, ქალიშვილი დავკარგე. თურმე უკეთეს დღეში არც შენ ყოფილხარ. მეტი რა გაგვეწყობა. დაე, ვიყოთ, როგორც ვართ. ეს გვწერებია. რახან ბედნიერებას ვდიეთ და ვერ დავეწიეთ, დავჯდეთ და ვუცადოთ ჩვენს დასასრულს.

— ახლა მარტო ხარ, თუ მეორე ცოლი შეირთე? — გადმოუვარდა ცრემლი ოლიკოს.

— რას მეუბნები, ოლიკო! ჩემს ერთადერთ შვილს განა დედინაცვალს გავუჩენდი?!

— შე უბედურო, შე საბრალო, გაგიჭირდება ახლა მარტოობა.

და კვლავ რაღაც უნდა ეთქვა ქალს, მაგრამ ასალომ მოულოდნელად გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა. მალე კიდეც დაცილდა. არ მოეწონა, რომ ოლიკომ შეიცოდა და შეიბრალა. ერთი ეგ იყო, მცირე მანძილზე შეჩერდა. შორიდან შეეკითხა:

— მაინც რამდენი ხანია ვაჟმა სახლი მიგიტოვა?

— ათიოდე დღეა.

— ჩემმა ქალიშვილმაც მეათე დღეა გამწირა, — აქ კვლავ მიუახლოვდა ოლიკოს, — მე ვიკითხო, თორემ შენ რა გიჭირს. უკვე გაგიგია შვილის ამბავი — მაზლთან ითევენ ღამესო. მე კი, ცოცხალია თუ არა ჩემი გოგო, ისიც არ ვიცი, — და ასალო მთვარეულივით თავის თავთან ლაპარაკს მოჰყვა: — ათი დღე... ათი დღე. ნეტავი მეცა და შენცა ასე თანაბრად რად გადაგვეკიდა ეგ ათი დღე!

ოლიკოს გაცეცხლებული მიუბრუნდა:

— შენი ვაჟი რა ხელობის კაცია?

— აკი მოგახსენე, ჩარხების ამწყობ-დამწყობი ზეინკალია-მეთქი.

— ამწყობ-დამწყობიო! ამბის მომტანმა გომბიომ ხომ ესეც მითხრა, — მაღალი, ქერა ქოჩრიანი, ყბის ქვეშ ხალით, ქართლურად უქცევს, დიდხელებიანი. ჩემს ქალიშვილთან ერთხელ რუსთაველზე მოვასწარი.

— დიახ, მერე მაგით რა გინდა თქვა? — შეჩოჩქოლდა ოლიკო.

— წყეულო, რა ქვია სახელად შენს ვაჟს?

— ასალო, — გაუჭირდა ოლიკოს ამ სახელის წარმოთქმა.

— მივხვდი, მივხდი. მას დაუღუპივარ, მას წაურთმევია ჩემთვის გოგო ხელმოუწერლად. მაცადოს მე მან. ჯანი ჯერ არ გამომლევია. თუნდაც კარტოზიას წავაქცევ... აბა, დიახ, შენს ვაჟს განა ვერსად გადავეყრები!

— იმას რას ერჩი! თუ მართლა ქალი შენი გამოდგა, მას მე დავუღუპი-

ვარ, — აიმრიზა ოლიკოც, — აქ კი ტრაბახით ამიკელი, კარგად გავზარდეო. ნახეთ, რა უქნია იმ სასიკვდილეს! თურმე იმის კარგობა რაში გამოიხატება: სიყვარულის სამსალა დაულევინებია ჩემი ალალი ბიჭისათვის. ვაი, რა ვაჟკაცი გამომაცალა თვალსა და ხელშუა! ჩემს მაზლს კი არა, თვალები შენ უნდა მოგთხარო, — ოლიკო მოწყდა ადგილს, თითებგაფარჩხული დაიძრა ასალოსაკენ, — მითხარი შენს გოგოს რაღა ქვია, თორემ აქავე დაგახრჩე!

— შენი გასაქრობი და მიწაგასაწყვეტი სახელი — მასაც ოლიკო ჰქვია!

ამ დროს სრულიად მოულოდნელად ოლიკომ ტომატით სავსე ხელისტვირთი მოუქნია კაცს, საკმაოდ მძიმე ჩანთა ბეჭებში ჩააზილა სკოლის ამხანაგს, ახლა შებერებულ მოქალაქეს.

ასალოც არ დარჩა ვალში — წელში სწვდა, ხელები მაგრად მოუჭირა, კინაღამ გაწყვიტა, ყრუ კედელს მიაკრა.

— როგორ გეკადრებათ ასე გაცხარება დროულ ხალხს. მერე ისიც სად?! ბაზართან! ვინ რას იტყვის, რა ეგონება!

დასჭყივლა და თავს წაადგა მოჩხუბრებს მკლავზე წითელნიშნიანი წესრიგის მეთვალყურე ღონიერი ვაჟკაცი. მოჩხუბრები მართლაც განცალკევდნენ. მაინც ბრაზობდნენ და არ ისვენებდნენ.

— ასე თქვი არა, ჩემს ვაჟს ასალო ქვიაო! — ბუხუნებდა ასპანი, — მოისპოს შენი სახელი, ოლიკო! ჩემს ჭირად გაჩენილხარ ქვეყანაზე. შენი ეშმაკური ლანდი ომშიც თან დამდევდა. წავდებდი თავს, თვალს მოვატყუებ-მეთქი, გამომეცხადებოდი, გავილვიძებდი და ალარაფერი იყო, მეხის სეტყვის მეტი. აი თურმე რადა! მშვიდობიან ცხოვრებაში კვლავ ჩემს დასატანჯავად!

— ჩემი ბრალია, ჩემი! რაღად გამომეცნაურე. ისიც მითხარ, ჩემს ქალს ოლიკო ჰქვიაო, — იკლებდა იქაურობას ქალიც.

— ნამდვილად, ნამდვილად ისინი არიან, — არ ცხრებოდა ასალო, — ჩემმა უბედურებამ, შეხედეთ, ეს ყრუ კედელიც კი აატირა (კედელი მართლაც, რაღაც შემთხვევით სველი იყო)... — მითხარი, დედაკაცო, შენი მაზლის მისამართი. არა და შენც გამოგასალმებ წუთისოფელს და ჩემს თავსაც. ერთხელ დამანახვეთ ჩემი გოგო, თორემ დედაბუდიანად ამოგწყვეტთ ინწკირველებს.

— შენი ამოსაწყვეტები ამის შემდეგ დაიბადებიან! — არ ეშვებოდა ასპანს ოლიკო.

ყველაფერს მიხვედრილი, მკლავზე წითელფარჩიანი წესრიგის მეთვალყურე გმირულად იბრძოდა მოჩხუბრების გასაშველებლად.

— დამშვიდდით, დამშვიდდით! — ხან ერთს ჩასძახებდა, ხან მეორეს. — თქვენ ხომ არ გგონიათ, მე არ ვიცი, ახლანდელი ახალგაზრდები რა შვილებიც არიან! ცა ქუდად არ მიაჩნიათ, დედამიწა ქალამნად. დღეს არა, ხვალ მაგ თქვენებურმა აქლემებმა ჩემს კარზეც უნდა დაიჩოქონ. მოდით, უკეთესია გავწიოთ, ვნახოთ, სად არიან გაქცეულები. მერე თუ იქიდან თქვენ მტრებად დაბრუნდებით, ამ ყრუ კედელთან რკინის დიდ უროს მოვიტან, რაც ძალი და ღონე გაქვთ დამკარით კეფაზე.

— ესეც თქვენი ყრუ კედლის ძირი, — ჩაილაპარაკა წაკიდებულების სეირმაყურებელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*მთვარისა კერესელიძე*

## რიწის გზაზე

რიწის გზაზე გრძნობ დიდებულ
სილამაზეს მიწის,
რიწის გზაზე სულ სხვაგვარი
სიხარული იცის.
ქარი დალალს გიშრიალებს,
მიშრიალებს ქარი,
გეჩვენება ქართან ერთად
ცისკენ მიიჩქარი.
ირეკება ასი ზარი
ზარი ცის და მიწის,
რიწის გზაზე საოცარი
აღმაფრენა იცის.
მე ასეთი ჰარმონია,
ჰანგი მზის და წიწვის,
სხვაგან არსად არ მგონია
და არც არსად ვიცი.
არსად ვიცი ტყუპის ცალი
ფერი ტყის და ფიჭვის,
აქ ნაძვები საოცარი
სილამაზით იწვის.
ქარი დალალს გიშრიალებს,
მიშრიალებს ქარი,
გაიხსნება სადაცაა
ცის მეშვიდე კარი.
შუაკაცად დგახარ მთაზე,
ამ ცისა და მიწის,
რიწის გზაზე სულ სხვაგვარი
სიყვარული იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ფერადი კაბა, თეთრი საყელო,
და თებერვალის ქარები თბილი,
რაღაც უთქმელი და უსახელო,
მე მაგონებდა აპრილის თბილისს.
შენ ზეცისფერი სამოსი გეცვა
და ხიახლოვე საოცრად გძურდა,
მაგრამ მე ვგავდი გაფრენილ მერცხალს
და შორეული ვიყავი მუდამ.
და ნიჟარებით ხავსე ნაპირი,
რაღაც იდუმალ ზმანებას გავდა.
თებერვლის მზე და შუქი აპრილის
მუდამ დამრჩება ხსოვნაში, რადგან
ფერადი კაბა, თეთრი საყელო
და თებერვალის ქარები თბილი,
რაღაც უთქმელი და უსახელო, —
მე მაგონებდა აპრილის თბილისს.

## ბაბუაწვერა

აქეთ გაფრინდი, შორს არიან ნისლები ჯერაც,
ქარებს გაჰყევი ზღვიდან მობერილს,
აქეთ გაფრინდი, აქეთ არის ჩემი სოფელი,
მანდ, ისლის ქოხში, იქნებ შეხვდე ჩემს ბედის მწერალს
და სიხარული მომიტანო, ბაბუაწვერავ

*კალე ბობოხიძე*

# კონსტანტინე ლესელიძის მოსაგონარი

გენერალ ლესელიძის ნათელი სახე
მარად გვეხსომება.

ლ. ბრეჟნევი

შორეულ სივრცეს ვაპყრობდი მზერას,
თვალს ვუსწორებდი ცის მნათობს, მზეს...
მახსოვს, მხვდებოდი მეომარ მწერალს,
სალამს მეტყოდი გულითადს, წრფელს!...

ვაი, რომ ვეღარ ვიქეცი გმირად,
ვეღარ გავყევი შენს ნათელს გზას,
და მხოლოდ ლექსი ისმოდა გმინვად,
ერთვოდა სისხლის და ცრემლის ზღვას!

გიგონებ სარდალს, შეუდრეკ ვაჟკაცს —
ქართველი ხალხის ეროვნულ გმირს;
შენს ომახიან შეძახილს — ვაშას,
რომ დღესაც კი მტერს შიშის ზარს ჰგვრის!

ვიგონებ ქერჩის, ანაპის მხედრებს,
მამების, ძმების დაკარგულ ძვლებს;
თალხებით მოსილ თმაგაშლილ დედებს,
ქართველი ერის გოდებას ძველს!..

სახელი შენი არწივებს უხმობს,
შევარდნებს უხმობს არწივის ხმა...
ახსოვხარ მარუხს, სანჭაროს, ქლუხორს,
დარიალს, მყინვარს, ხევსა და ხრამს!..

შავი ზღვის ღელვა მხედრულ ჰანგს აქსოვს
ქართულ ნანინას — სამშობლოს ბედს;
საქმენი შენი ზვიად თერგს ახსოვს —
კავკასიონის ჭაღარა ქედს.

იყავი გმირი და მაინც სადა,
ჰქუხდი, შენი ხმა მოგავდა მეხს;
გულს უხარებდი უმაღლეს სარდალს,
საბჭოთა ლაშქარს, მუშას და გლეხს!..

ელდად დაგვეცა სიკვდილი შენი,
მაგრამ რა მოკლავს სამშობლოს მცველს?!
დღეს ძეგლი შენი ჩვენს თბილისს შვენის,
მშობელი ერი მას თაყვანს სცემს!...

# გულთა სიმფონია

ეტრფის
ცისფერ სარკეს —
ჩანჩქერთ სიანკარეს,
ცვართა
სისპეტაკეს,
ყვავილთ სურნელებას —

მგოსანს
მადლით მმოსავს —
გესლს ნუ მიაკარებთ,
მის გულს
უბერებელს
უნდა სულ ფერება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძე ცისა
და მიწის —
ხალხისათვის იღწვის,
მან, მხოლოდ მან
იცის —
მაშვრალთ შებრალება;
სანდო არის
მისი —
ერთგულების ფიცი
და საავდრო
ნისლი
მას ვერ ეკარება.
მერცხალთა გუნდს
ფრთოსანს,
გაზაფხულის მოსვლას —
არა მწუხრის
ლოცვას —
ჰგავს ჰანგების გროვა;
მგოსანს
გვირგვინოსანს
ზეცის მადლი მოსავს,
ქარიშხლიან
დროსაც —
ნათელი გზა ჰპოვა...

ავბედზე
არ ჰგოდებს,
არ დაეძებს ოდებს,
გულში
ცეცხლის მომდებს —
აჰყოლია ბგერებს;
ამაღლდება
ოდეს,
რომ სიამეს გრძნობდეს,
სინარნარე
ჰქონდეს
ცისარტყელის ფერებს...
მაშ, ნუ
ღელავ გულო,
გმირად მსურს გიგულო —
ვარდთა თაიგულო,
ბედმა
გვიან გპოვა;
ერისათვის
ძგერდე,
ერის ძახილს ენდე,
მთის მწვერვალზე
შედგე —
შენი ჟერიც მოვა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ რატიანი

# ბებერი ძაღლის სისხლი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ბავშვობაში არაერთხელ შევსწრებივარ, როგორ გაულანძღავთ მაწანწალა ძაღლების მდევარი კაცი. ზოგი მას გულქვას ეძახდა, ზოგი — სულ უგულოს. მე ყოველთვის მიკვირდა, რატომ აგინებდნენ ადამიანები ადამიანს და იცავდნენ ძაღლებს. და თუმცა არასოდეს ძაღლების მდევარი მე არ გამილანძღავს, ერთხელ მაინც ძაღლის დამცველად აღმოვჩნდი. სწორედ რომ აღმოვჩნდი — ჩემდა უნებურად, და არა წინასწარ განზრახვით. მახსოვს, სკოლიდან ვბრუნდებოდი გახარებული. უკვე მეცხრე კლასში ვსწავლობდი და პირველად ჩემს სიცოცხლეში ხუთიანი მივიღე. მართალია, იმ დღეს სხვა საგანშიც გამიძახეს და... მასწავლებელი როცა დარწმუნდა, ნამდვილად ხუთიანი მქონდა მიღებული წინა გაკვეთილზე, შემიცოდა და ორიანი აღარ დამიწერა. ოღონდ, ამას ჩემს თავმოყვარეობაზე ოდნავაც არ უმოქმედია. ვბრუნდებოდი სახლში და ქვეყანა ჩემი იყო. თანაც მაისის ისეთი მზიანი შუადღე იდგა, სული გაგინათდებოდა. ვხედავ, ჩვენს ქუჩაზე ერთი წუნკალი ბებერი ძაღლი თვლემს ჩრდილში. შორიახლო გალიიანი საბარგო მანქანა დგას. გალიაში ათიოდე უჯიშო ძაღლი ყეფს, ყმუის, წკავწკავებს. ადრეც ბევრჯერ მინახავს ასეთი სურათი, მაგრამ ახლა როგორღაც გულში მომხვდა იმ ძაღლების განწირული ყრიალი. ეჰ, გავიფიქრე ღრმააზროვნად, მე აგერ ჩემს სიცოცხლეში პირველი ხუთიანი მივიღე და საწყალი ძაღლები ამ დროს დასატყავებლად მიჰყავთ. მერე ისევ ჩრდილში მთვლემარე ბებერ ძაღლს შევხედე და... აი, მაშინ იყო რომ კინაღამ გული ამომივარდა საგულედან — რამდენიმე წამიც და კაცი უშველებელ ბადეს დაამხობდა იმ უბედურს. ახლაც არ ვიცი, როგორ გავქანდი, ვკარი წიხლი განწირულს, და მის მაგივრად ბადეში გავეხვიე. ლანძღვა-გინებით მომაშორა ბადე ძაღლების მდევარმა და მაშინვე ფეხში მტაცა ხელი. ერთი კი ვიფიქრე ბურანში, მშვიდობით ჩემო პირველო და უკანასკნელო ხუთიანო, ნაღდად გამატყავებენ ახლა ძაღლივით, მაგრამ იმ კაცის აღელვებულმა ხმამ გამომაფხიზლა.

— გიკბინა?! გიკბინა იმ სამგლემ??

გაფითრებულმა დავიხედე ფეხზე და შარვლის გახეული ტოტი დავინახე. ფეხი კი საბედნიეროდ ოდნავ გაკაწრულიც არა მქონდა. გავუსხლტი ხელიდან ძაღლების მდევარს და გავწიე ჩემი გზით. ასიოდე ნაბიჯი არ გამევლო, რომ უკნიდან ვიღაც გამეხახუნა ფეხზე. მივიხედე, ის ბებერი ძაღლი იყო. გავჩერ-

დი. გაჩერდა. შევხედე თვალებში და გეფიცებით, იმაზე საცოდავი გამოხედვა კაციშვილს არ უნახავს, მე რომ ვნახე მაშინ. ერთი კი ვიფიქრე, ხელს გადავუსვავ, მივეფერები, მაგრამ ვის?! მაშინვე მიწივლა ყურებში — გაძვალტყავებული, სამგზის ქეციანი ძაღლი ისე ძიგძიგებდა, რომ ზიზღი მომაწვა. მოვბრუნდი და წამოვედი. ვინ მოგეშვა? მომდევს უკან ძიგძიგით ის უბედური და წკმუტუნებს გაუთავებლად.

ისევ გავჩერდი და ისევ გაჩერდა. დავაკვირდი, ჰმ, თუმცა რა დაკვირვება უნდოდა. ზურგზე ტყავგადალლეტილი, ცალყურა, კუდზე ერთიანად ბეწვგაცვენილი იყო და წინა მარცხენა თათი უცნაურად გაღუნული ჰქონდა — თითქოს მოტეხია და უშნოდ მიუკერებიათო. ისეთი გულისამრევი სანახავი იყო, მისთვის ძაღლის დარქმევაც დაგენანებოდა. ახლა ფერი? იქნებ ოდესღაც რუხი ფერისაც იყო, მაგრამ თუ შეიძლება ფერი მყრალი იყოს, სწორედ ასეთი ჩანდა — რაღაც ჭუჭყიანი ასფალტისა თუ ქალაქის სანაგვეზე გროვებად დაყრილი ნაგავის ფერი. ხხთფუუ!.. — ერთი მაგრად გადავაპურჭყე და სწრაფად დავიხარე ვითომ ქვის ასაღებად, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — ფეხიც არ მოუცვლია. მაშინ ისეთი ვუღრიალე, რომ მე თვითონ შემეშინდა ჩემი.

ის კი იდგა და მიყურებდა თავისი ყველაზე საცოდავი თვალებით. რაღა უნდა მექნა, მოვბრუნდი და გამოვიქეცი. სირბილში ჩემ კლასში მარტო ორნი მჯობდნენ და ვიფიქრე, — ეს ბებერი, ფეხმობრეცილი ძაღლი რას მომეწევა-მეთქი. მომეწია კი არა, გამისწრო კიდეც. მირბის და მიხტუნავს ჩემს წინ, ვითომ კარგი მეგობრები ვიყოთ. სადღაა მისი აძიგძიგებული სხეული და საცოდავი გამოხედვა — გეგონება მარტოდმარტომ ეს-ეს არის ტახი წააქციაო, ისე ცქმუტავს გახარებული. მე უკვე ოფლში ვიწურები და ორთქლმავალივით ვქშინავ, ძაღლი კი თითქოს გაახალგაზრდავდაო, მიწას აღარ აკარებს ფეხს. დავიღალე და გავჩერდი. ახლა ჩემს ირგვლივ დაიწყო სირბილი. ხან უკანა ფეხებზე დადგა, კუდისათვის ხომ აღარ იცოდა რა ექნა, როგორ არ დაგრიხა, ატრიალა, აქიცინა. ამ დროს ისევ გამახსენდა, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველი ხუთიანი მივიღე და გამეცინა. გაგეცინაო?! ამაზე ხომ სულ გადაირია. ცირკშიც ვყოფილვარ და ბარე ორჯერ ათასნაირი გაწვრთნილი ძაღლის გამოსვლაც მინახავს, მაგრამ რომელი ცირკი შეედრებოდა იმას. ხალხიც შეგროვდა და იყო ერთი ამბავი.

თავიდან კიდეც გამეხარდა, ხალხი რომ იცინოდა ჩემი და ძაღლის შემყურე. მაგრამ როცა გავიგონე — ვაა, ნახე, ესე პატარა ბიჭი და უკვე ნამდვილი ცირკაჩია!

უცებ გავბრაზდი. ხალხს ძაღლივით შევუღრინე, ძაღლს ადამიანურად შევეხვეწე — მომეშვი თუ ღმერთი გწამს და წამოვედი სწრაფი ნაბიჯით. კიდევ არ მომეშვა ის მამაძაღლი. მაშინ მოვუქნიე წიხლი, ოღონდ არ დამირტყამს. ძაღლი კი იდგა და თითქოს მეუბნებოდა — დამარტყი, თუკი შენ გინდა, დამარტყი, მე მაინც არ მოგშორდები.

რაკი მივხვდი, რომ მართლა არ მომშორდებოდა, ხერხი ვიხმარე. ჩემი სახლის გზას გადავუხვიე და მეც არ ვიცი საით წავედი, „ამან რომ ჩემი სახლის გზა ისწავლოს, მერე რაღა მოიშორებს“, ვფიქრობდი და მივდიოდი. მოვა მერე, დამიჯდება სახლში და უყარე კაკალი. დამიწყებს სიყვარულის და ერთგულების მტკიცებას თავისი ლაქუცით. არ მინდა ბატონო, მე მაგის ერთგულება და სიყვარული, ეგ კი არა, თუ გინდა ყველაზე ჯიშიანი, ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი და ახალგაზრდა ძაღლი იყოს ქვეყანაზე. და ვინ მოიგონა საერთოდ ადამიანისა და ძაღლის სიყვარული?! თუ ეგრე ასკდება სიყვარული ადამიანს, ადგეს და ისევ კაციშვილი შეიყვაროს უფრო მეტად... რას ჩააცივდა ადამიანი ამ ძაღლიშვილს?!. რა კეთილშობილი არსება ეს ნახა?.. ანდა რისთვის უნდა შეიყვაროს ძაღლი ადა-

მიანმა?!. იმისათვის, რომ ერთგულია?.. ერთგული იქნება, აბა რას იზამს, თუკი აჭმევ, ასმევ, ბინას მიუჩენ და თან გადაყვები... რა, საქონელი არაა ადამიანის ერთგული?.. რაც ძროხას კაცისათვის სიკეთე მოაქვს, ძაღლი იმასთან სახსენებელია?!. მაგრამ წამოაქცევს ადამიანი საქონელს და... მერე მიირთმევს არხეინად მის მწვადებს... მაინც რისთვის უნდა უყვარდეს კაცს ძაღლი?!. ლამაზი თვალებისათვის?.. ვირი რომ ვირია, იმის თვალებს ვერც ერთი ძაღლის თვალი ვერ შეედრება სილამაზით... ტყავი ძაღლის არ ვარგა და ბეწვი, ხორცი და ძვალი... ერთგულიაო... ერთგული მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს ადამიანისა... ძაღლი კი მორჩილია, პატრონის მორჩილია და მეტი არაფერი... და მერე განა შეიძლება ადამიანმა მორჩილ არსებას პატივი სცეს და შეიყვაროს?! მორჩილება ხომ მხოლოდ და მხოლოდ მონური თვისებაა და მეტი არაფერი... ძაღლი მონაა ბუნებით და მე ამიტომ მეზიზღება... დიახ, ძაღლი მეზიზღება ყველაზე უფრო ამ ქვეყნად... რა თქმა უნდა, კატაც კაი მამაძაღლია, მაგრამ კატაზე საერთოდ არ ღირს ლაპარაკი.

ამგვარ მეტისმეტად ფილოსოფიურ აზრებში გართული გზაჯვარედინს ისე მივადექი, არ გამიგია. გზაჯვარედინზე, როგორც ყოველთვის, ხალხი და მანქანები ირეოდა, მაგრამ მე ირგვლივ ვერაფერს ვხედავდი. მივდიოდი თავჩაღუნული და არ შემიმჩნევია როგორ გადავედი ტროტუარიდან... აი, მაშინ კივილმა გამომარკვია. შევკრთი და მიმოვიხედე. ირგვლივ ხალხი ყაყანებდა. ჩემს ცხვირწინ ავტომობილი იდგა და მისი შოფერი გაფითრებული ჩაჭიდებოდა საჭეს. ავტოს წინ უსულოდ ეგდო გასისხლიანებული, ბებერი, იმ სამგზის ქეციანი ძაღლის გვამი. გამაჟრჟოლა, დამცეცხლა და უნებურად დავიხარე ძაღლისაკენ. მინდოდა ხელი გადამესვა მისი სისხლიანი ტყავისათვის, თუ რა მინდოდა არ ვიცი. მაგრამ ვიღაცამ მაშინვე მომაშორა ძაღლის გვამს. მერე შოფერი გადმოვიდა მანქანიდან და ჩემსკენ გამოეშურა ლანძღვა-გინებით. ისევ მკრეს ხელი და შოფერს მომაშორეს. მილიციელსაც ხალხის წყალობით დავუსხლტი და იქვე კუთხეში მივიმალე. გაკვირვებული და აყაყანებული ხალხი ნელ-ნელა დაიშალა. საიდანღაც გაჩნდა მეეზოვე და ძაღლის გვამი წაათრია. მარტო მე ვიდექი და იმ ადგილს მივშტერებოდი, სადაც ძაღლის სისხლს ასფალტი შეეღება. სულ ერთ ნაბიჯზე შეეჩერებინა ძაღლს ავტომობილი ჩემგან. სულ ერთ ნაბიჯზე... წარმოვიდგინე და მუხლები ამიკანკალდა. ვერაფრით ვერ გავიჩერე აკანკალებული მუხლები. ავტომობილები კი თავისი გზით მიდიოდნენ და სულ მალე ძნელი მისახვედრი შეიქმნა, მართლა სისხლი დაიღვარა იმ ადგილას, თუ მხოლოდ წყალი. თუმცა, ეს არც არავის აინტერესებდა.

მარტო ჩემს მეხსიერებაში ჩარჩა სამუდამოდ ასფალტზე დაღვრილი ბებერი ძაღლის სისხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ჩხიკვიშვილი

# დრო

*მოთხრობა*

გივია დაჯდა ძველებური სტილის მაღალსაზურგიან სკამზე. ყავარჯნის მიდებისას გაიწკარუნა სარკმლის საგოზავამოცვენილმა მინამ.

ყრუ ჭვალმა დაჰკრა თეძოს თავში, ჩაჰყვა მარჯვენა ფეხს თითებამდე, დაბჟუილდა ტკივილი უსიამოდ, ამოაცოცდა მერე მთელ სხეულს, დაგროვდა კეფაში, გაცხელდა ტკივილისაგან.

— ძალიან გაწუხებს?

— არა.

— ცოტაც და ახლავე, ამ გრაფასაც შევავსებ.

დერეფანში მიდი-მოდიოდნენ ავადმყოფები, ლურჯი, უხეში ბამბაზიის უშნოდ შეკერილი ხალათები ეცვა ყველას.

ფრთხილი, შეშინებული ნაბიჯებისა და ყავარჯნების ბლაგვი, მონოტონური ხმაური ჰკვეთდა საავადმყოფოს ქლორნარევი, იოდის სუნით გაჟღენთილი დერეფნის სიჩუმეს.

— რაო ბუაჩიძემ?

— გაგივლისო.

— მეც ხომ გეუბნებოდი!

— კი.

ხათუნა ახალი ავადმყოფის ანკეტას ავსებდა, თავი გადაეწია, ტუჩებით აწვალებდა ენას. გახსნოდა თეთრი ხალათის ზედა ღილი, ცისფერი, სიფრიფანა პერანგის ქობა მოუჩანდა...

დაიხედა გივიამ ბამბაზიის უხეშ მოთრიმლულ შარვალ-ხალათზე.

— კი, როგორ არ მეუბნებოდი, — რცხვენოდა თავის წამოწევა, აწვებოდა ყელში სიბრაზე. იჯდა ერთხანს თავჩაქინდრული.

ველარ გაძლო ასეც, მაინც გახედა ირიბად გოგოს. მოებჯინა რაღაც ეთერივით მსუბუქი, მაგრამ საოცრად ძლიერი, მოედო იგი მთელ სხეულს. გააბრუა. მოიფშვნიტა ხელები, სუნთქვამოხშირებულმა გახედა სარკმელს.

გარეთ იყო მზე. იდგა ადრიანი გაზაფხულის ლორთქო სუნი. მთრთოლვარე, მსუბუქი ოხშივარით გაჯერებული ამინდი იყო. ნებიერი ზმორებით შემოდიოდა გაზაფხული. მომთენთავად, მადიანი სხივებით ივსებოდა ძილიდან ღვიძილში გადასული დამზრალი სხეულები.

— ლანქერი დაიწყება აწი, თევზს ჩამორეკავს, — გაიფიქრა გივიამ.

— სად მუშაობთ? — იკითხა ხათუნამ.

— საავეჯო კომბინატში, — წამოიწია მაღალი ხმელი კაცი, ოცდაათს იქნებოდა გადაცილებული; იგი ამ დრომდე ვეებერთელა ტყავის დივანზე იჯდა, ახალგაზრდა ქალის გვერდით.

ქალს დიდი მამაკაცური ხელები ჰქონდა და სადად გადავარცხნილი წაბლისფერი თმა. სახე ხელებში მოექცია, მოწყენილი ჩასცქეროდა ქუსლმოთელილ ფეხსაცმლის ჭვინტს.

— ცოლია აგი ბონდოსი, — თქვა მაღალმა კაცმა.

კაცს ღვინის, სიგარეტის და ხის წებოს სუნი ასდიოდა.

— თქვენ ნათესავი ხართ? — ჰკითხა ხათუნამ.

— არა, — უხერხულად შეიშმუშნა კაცი, გაწითლდა რატომღაც, გაიღიმა მერე — ძმაკაცია ჩემი, ერთად ვმუშაობთ.

— ჰოო,—ხათუნა წამოდგა, ქაღალდები მოკრიფა. იგი თეძოთი გივიას მხარს ეხებოდა.

ჩამოეღვარა რაღაც ბიჭს წელანდელივით, უფრო მძაფრადაც...

— თუ გნებავთ თქვენც წამობრძანდით, — მიმართა ქალს ხათუნამ.

წამოდგა ქალი. საშუალო ტანის იყო, სიმსუქნეში წასული, თავკისერი ჰქონდა წვრილი, ფაქიზი ხორბლისფერი პირისკანი. მოხედა უცებ მაღალ კაცს და გივიას. სუდარისფერი სევდა ასდებოდა მორჩილ თვალებს.

გაატარა ხათუნამ ქალი. გაჰყვა უკან. მოკლე ხალათიდან ვარდისფერი ჯანმრთელი წვივები უელავდა.

— შენია აი გოგო? — შემოხედა კაცმა გივიას, — მერე თვალი ჩაუკრა ეშმაკურად, — გიყურებდი.

— ექიმია აქ.

— ექიმი?

— ჰო.

— შენ რა გჭირს?

— ფეხი მიფუჭდება.

— კაი, კაცო, როგორ?

გივიამ მხრები აიჩეჩა.

— ის კი იძახის საათი ვარო.

— ვინ?

— ბონდო.

— რა მითხარი? — ჩაეკითხა გივია.

— ამ ქალის ქმარი, ბონდო. საათი ვარო აიჩემა, მაგარია არა, — ჩაიხვიხვინა კაცმა.

— დიდი ხანია აიჩემა?

— ორი თვეა. ისე რომ ჰკითხო, რომელი საათია. ყოველთვის სწორად გიპასუხებს. დაახლოებით კი არა, ზუსტად წამებსაც.

— როგორ დაემართა?

— რა ვიცი, ორი დღე ზედიზედ არ დაეძინა, ამბობდა საათი უნდა მოვმართოო.

— ჰოო, თევზაობა თუ გიყვარს შენ?

— აჰა, სადაა მაგის დრო, სოფელში რომ ვიყავი, პატარა, ვხელაობდი მაშინ ჩხერიმელაში.

— ლანქერი დაიწყება ახლა.

— ჩვენი კომბინატიდან დადიან ბიჭები ხრამზე და არაგვზე. ბადითო ამბობენ, ბადით ვთევზაობთო, მაგრამ წამლავენ მე მგონია.

... — გივია!

— ჰაუ!

— ჩამოდი ერთი წუთით, რა გაჩვენო.

ჩაირბინა გივიამ ეზოს დაღმართი, უყელა ჭიშკარს, გადახტა ყორეზე, წაადგა თავზე სოსოიას.

— ა, ნახე ანკესები.

სამკბილა, დიდი, ლოქოს დასაჭერი ანკესები იყო.

— ჩამომიტანეს, შენთვისაც მაქვს.

თევზაობდნენ ბიჭები დილიდან საღამომდე ღელეში, ვერ იჭერდნენ ვერაფერს, ანდა როგორ შეიძლებოდა იმხელა ანკესებით პატარა ღორჯოების და თითის სიგრძე ლიფსიტების დაჭერა. დაანება სოსოიამ თავი, მოწყინდა მალე. დარჩა გივია მარტო, შეეჩვია, შეეგუა პატარა ღელეს. სანამ კარგად არ წამოიზარდა, არ შეეშვა მანამდე, მერეც აკითხავდა ხშირად...

სხვები ხელაობდნენ, ბადეს ისროდნენ, წამლავდნენ მდინარეს.

დიდებს მოზრდილი ხალთები დაჰქონდათ თევზით სავსე, გივიას ტოლი ბიჭები თხმელის კაკვზე ააცვამდნენ თევზს ლაყუჩებით. მიდიოდნენ, მოათრევდნენ მიწაზე თევზის აკიდოს, ღი-

მილით გადახედავდნენ გივიას.

... — მაინც რა დაგემართა, შე კაცო, ფეხზე?

— ნატყვიარია.

— იმე, დაგჭრეს?... ვინ იყო ი, ღმერთძაღლი?

— რა ვიცი, სანადიროდ ვიყავი, ბრმა ტყვია მომხვდა.

— ბრმა ტყვიაო, განგებ ხომ არ გაგიმეტა ვინმემ?

გივია აირია, ჩაფიქრდა, არასდროს უფიქრია, რომ ასეთი რამეც შეიძლებოდა, იქნებ განზრახ დათოფა ვინმემ, კი მაგრამ ვინ? ვინ რას ერჩოდა, ვისთვის რა დაუშავებია?

იჭვით შეხედა კაცს, უნდობლად.

— არა, ნამდვილად ბრმა ტყვია იყო, — თუმცა თვითონაც აღარ სჯეროდა თავისი ნათქვამის, მთლიანად მაინც არა.

ნასახლარზე იტეხდა მდინარე მუხლს, შუაზე კვეთდა ნასოფლარს, გავერანებული იყო ნასოფლარი, უპატრონოდ მიეგდოთ ძველი სახლები — ჩამომპალი, ჩამოძონძილი, უპატრონოდ მწიფდებოდა ხილი. გაიბარდა ვენახი, მოეძალა ჭინჭარი, გაშალა ნაპირი მდინარის განაყოლმა, ერთ დროს ნაკაფმა ფშანებმა.

დათვები ჩამოდიოდნენ მთიდან. გატკბობოდათ გაველურებული ვაშლი და ხეჭეჭურა მსხალი.

კალმახი იცოდა ბლომად. გაავსო ხალთა გივიამ. დასველებულიყო მთლიანად. დავისვენებ და სიგარეტსაც მოვწევო, — იფიქრა, გაშლიგინდა ფშანებში, ბადე უნდა გაეფინა გასაშრობად. იგრიალა ამ დროს თოფმა, გააყრუა იქაურობა, ჩაახშო ერთი წამით მდინარის ხმაური...

იბლავლა გივიამ, დაეცა მოჭრილივით, ვიღაცის ფეთიანი შეძახილიც გაისმა ზევით, ატყდა მერე შლიგინი.

— ალბათ, ახალბედა იყო ვიღაცა... არ უნდა დავეტოვებინე, ჩამოვეყვანე მაინც.

— რას ამბობ, თვითონ ჩამომიყვანა, მომიარა.

— ჰოო, აპა რავა უნდა ექნა. ისე თოფი აქვს ეხლა ყველა ძაღლსა და მამაძაღლს.

წვალებით შეიხვია გახვრეტილი წვივი ხალათის ნახევით. დატოვა ბადე და თევზი, ჩამოყვა მდინარეს. ამაზრზენი ტკივილი უბურღავდა სხეულს, აღარ ახსოვს როგორ მიაღწია სოფელს...

ღიმილით შემოიხედა ბონდოს ცოლმა — წავიდეთ, შალიკო, თავისუფლები ვართ უკვე.

წამოდგა კაცი — კარგად იყავი აბა, გნახავ კიდევ...

წამოიწია გივიაც, დაუკრა თავი, რატომღაც შეწუხებულმა გააყოლა თვალი მიმავალთ, მიადგა მერე სარკმელს...

სარკმლიდან ჩანდა ნედლი, ხავსისფერი ბორცვი, ბორცვის ძირში რკინიგზის ხიდი იყო. დგანდგარით გადადიოდნენ ხიდზე მწვანე, წითელკანტიანი ელმავლები, ჩაიქშინებდა ხანდახან ორთქლმავალიც, თეთრ კვამლს გაბაცებულ ლურჯ ცას შეაფრქვევდა. იჭრებოდა ერთმანეთში კვამლისა და ცის ფერები...

ჩაასხამდნენ შაბიამნის ხსნარით სავსე ვეება გეჯაში კირის რძისფრად აქაფქაფებულ სითხეს, ბოლქვებად აიშლებოდა კირი, აილუფხებოდა უცნაურად.

პატარა გივია გაფაციცებული იდგა, ვეება გეჯის სარკისფერი ზედაპირი ლილისფერ გამჭვირვალე ცას აგონებდა, მერე ცაზე ღრუბლები დაიგრაგნებოდნენ დევური ზმორებით და სიმშვიდით ერთვოდნენ ერთმანეთს რძისა და ცის ფერები.

მოურევდნენ გეჯას დიდი კეტით. თავდაპირველად ხსნარი აიჭრებოდა უსიამოდ, მერე ითქვიფებოდა ერთმანეთში კირი და შაბიამანი, ნისლიანი ცის შთაბეჭდილებას ტოვებდა ოდნავ სიბლანტე შეპარული სითხე.

— მე მგონი, ეყოფაო, — იტყოდა ბიძია. ამოიღებდა პეშვით მზა ხსნარს. დახედავდა დაკვირვებით. მიასხამდა ვაზის ფოთლებს.

— კი, კაცო, ძალიან კაიაო, — დაეთანხმებოდნენ სხვებიც.

ვენახის სასხურებელ აპარატებს ხსნარით აავსებდნენ, მოიგდებდნენ მხრებზე და ვაზის მწვანე ფოთლებს ახალი, სათუთი გამმა ემატებოდა.

საღამოს ამოვიდოდნენ ზვრიდან ცისფრად შეფერილი დაღლილი კაცები, პატარა ღელეში ხელპირს გაიბანდნენ, გამოიცვლიდნენ ტანსაცმელს, როხროხითა და ჟღრიალა, სასიამოვნო სიცილით შემოუსხდებოდნენ კოპიტების ქვეშ გაშლილ სუფრას.

— კარგად მოვასწარით, დროზე ვუწამლეთ ჭრაქისგან ვენახსო, — ჩაიღიმილებდა ბიძია და დაკუნთული ხეშეშა ხელით სველ ხელადას მიწვდებოდა.

— კი, დროზე ვუაქიმეთო, — იტყოდა რომელიმე მეზობელი.

დაბინდდებოდა მერე. მთები და ხევები ჩამუქდებოდა პირველად, ბოლოს კოპიტებს ქვეშაც გამოიტანდნენ ჭრაქს.

ფაციფუცობდა დეიდა, დასტრიალებდა სუფრას, შესციცინებდა ბიძას თვალებში...

ოხშივარი ადიოდა ნაზამთრალ, ნედლ მიწას. ხმაურობდა ღელე, ჭრიჭინების და კალიების წკარუნი ისმოდა.

გივია იჯდა კაკლის ხის მორზე და შიშნარევი ალტაცებით უცქეროდა რცხილის ტოტებიდან მოქსოვილ ბადეში მოსხმარტალე მთვარეს.

— მრავალჟამ! — მღეროდნენ მუშაობითა და ქეიფით დაღლილი უხეშხელებიანი კაცები, ილხენდნენ ზარხოში თავგამეტებით — მრავალჟამ...

იჯდა გივია მარნის ლაფაროში. გაეღელა მკერდი. აეწია მარჯვენა. მღეროდა ძმაკაცებთან ერთად. შემოვიდა ხათუნა, შეამატა სუფრას ახალი კერძი, შეხედა გივიას, გაუღიმა, მოუარა ზურგიდან. დაეყრდნო მხრებზე. გაცხელდა გივია, მოუმატა ხმას...

— ბრმა ტყვიაო? განგებ ხომ არ გესროლა ვინმეს? — უსიამო ხმა ჰქონდა შალიკოს — დაბზარული თუჯის ზარივით.

გაფითრდა გივია, აესვეტა ვიღაცა წინ. ჩაესმა კარების ხმა. წამოვიდა ფრთხილად, შემპარავი ნაბიჯით. გაშეშდა ბიჭი. ცხელი სუნთქვა იგრძნო. მოეხვია ხათუნა. შემობრუნდა ბიჭი მკვეთრად. ჩაჰკრა ჭვალმა ფეხს. არ ჩააგდო არაფრად. დაეწაფა გოგოს, შეისუნთქა ერთბაშად ნელსაცხებელში არეული ბანგივით სურნელი.

მოსწია კარი ვიღაცამ. შეკრთნენ. ამოუვარდა კინაღამ გული ბუდიდან გივიას. მოიშორა ცქაფად გოგომ, გაუღიმა სათნოდ, შეისწორა თმები და საკინძე. წავიდა კარებისკენ.

კანკალებდა გივია, დაჭიმული ჰქონდა სხეულის თითოეული ნაკვთი.

— წადი ახლა პალატაში, აწი შემოვლას დაიწყებს პროფესორი.

ღრმად სუნთქავდა საწადელშეწყვეტილი ბიჭი. ჭამდა გოგოს თვალებით.

— გავთავდი კაცი, ველარ ვძლებ პალატაში, ისეთი სუნი დგას.

ტრაქტორისტი იწვა გივიას გვერდით. ცეცხლი მოდებოდა. დამწვარი ჰქონდა ტანის უმეტესი ნაწილი. იწვა გაუნძრევლად. კვნესოდა და ჩიოდა მხოლოდ. იგინებოდა წამდაუწუმ. დათვლილი ჰქონდა დღეები. ყვიროდა სიმწრით, იოხებდა გულს...

ეცოდებოდა გივიას. ამაზრზენი შიში ეუფლებოდა, როცა უყურებდა.

— ჰო, ვიცი, ვთხოვ პროფესორს ცალკე გადაგიყვანონ... წადი ახლა, საქმე მაქვს მეც, — აკოცა ბიჭს.

გამოვიდა გივია, მოეშჩვალა სხეული. რაღაც დუნე და ყრუ ჩაუძვრა სულში — მომთენთავი, ძალაგამომცლელი.

სამი საათიდან იწყებდა ხათუნა მორიგეობას.

იჯდა გივია დერეფანში დადგმულ

მაგიდასთან, დომინოს თამაშს ადევნებდა უგულისყუროდ თვალს. ნელ-ნელა, ზანტად გადიოდა დრო. სავარძელ-საგორავში უფეხო ჰასანა იჯდა, ორივე ფეხი ბარძაყებში ჰქონდა გადაჭრილი. გადანაჭერ ტაკვებზე ტრანზისტორი ედო.

საავადმყოფოსავით ძნელბედითი, მოსაწყენი და გრძელი ბაიათი გაძაგრულიყო დერეფანში.

არავის არ სიამოვნებდა სიმღერა. ვერც ეუბნებოდნენ გამორთეო. ჰასანას საავადმყოფოს ხალათი ეცვა, ჭიპამდე გახსნილი. ჩაკეცოდა დამჭკნარი ღიპი, სუსტად და საცოდავად აუდ-ჩაუდიოდა ჭაღარა ბალნით დაფარული მკერდი.

— დავკეტე, — თქვა მაღალმა, მელოტმა კაცმა, — რამდენი გაქვთ თათებში?

— თერთმეტი.

— ფუ! ჩვიდმეტია აქანა, დაიწერეთ ოცი.

— არა უშავს, — ანუგეშა პარტნიორმა, — სტავკა ხომ ჩევიგდეთ ხელში.

— აპა, ჩამოდი წყვილი.

ნერვიულობდნენ კაცები წაგებისას. დებდნენ ფიცს, აღარ ვითამაშებთო მეტს, თამაშობდნენ მაინც, ანდა რა უნდა ექეთებინათ მეტი. ელოდნენ ნაშუადღევს. მოაკითხავდა ზოგს ცოლი, ზოგს მშობელი ან ნათესავი, ზოგსაც არავინ. მოუტანდნენ ბადურაში ჩადებული პატარა ქვაბით სადილს.

ისადილებდნენ: ზოგი სახლიდან მოტანილით, ზოგიც უსიამოდ შეხვრეპდა საავადმყოფოს უგემურ წვნიანს, დააყოლებდნენ ზედ დიეტურ კატლეტს, ან მოხარშული ხორცის ნაჭერს. გამოვიდოდნენ მერე, აგრძელებდნენ თამაშს, კლავდნენ დროს. ზოგი იმედიანად ელოდა გამოჯანმრთელებას, ზოგი გულუბრყვილოდ ელოდა სასწაულს, ზოგიც აღარაფერს...

ჰკლავდნენ დროს, მოუთმენლად იტანდნენ ყოველ წამს.

— რომელი საათია? — იკითხა გივიამ.

დაიხედეს მაჯებზე, არ ჰქონდა არც ერთს.

— თოთხმეტი საათი, 25 წუთი და 17 წამია, — თქვა გამხდარმა ახალგაზრდა კაცმა, კაცს ცისფერი თვალები და შეუფერებელი დიდი შუბლი ჰქონდა.

— აი, ჩვიდმეტი წამი რაღა იყო, შე კაცო? — ჩაიხვიხვინა მელოტმა.

— ჩვიდმეტი წელან იყო, ოცდათერთმეტია ახლა. — კაცი მოთამაშეებს არ უყურებდა, სარკმლისთვის გაეშტერებინა თვალი.

— დავიჯეროთ ვითომ? რა საათი გაქვს, თუ ძმა ხარ, შენ!

— რა მნიშვნელობა აქვს მაგას, ზუსტია ეგ დრო რომ გეუბნებით.

„ესაა ნამდვილად ბონდო“.

შეხედეს ცისფერთვალებას მოთამაშეებმა.

— ზუსტია, ბატონო, ზუსტი. გამომცადეთ თუ გინდათ? — ნერვიულად თქვა კაცმა — 14 საათი, 27 წუთი და 9 წამია ახლა.

— შე, კაცო, გვიჩვენე ერთი რა საათი გაქვს ასეთი? — მოუტრიალდნენ მოთამაშეები.

— მე თვითონ ვარ საათი, — თქვა უცებ ბონდომ, — ჩემში გადის დრო.

— რაო?

— ეს ვინ ყოფილა, კაცო?

— ა, დამიგდეთ ყური როგორ ვწიკწიკებ: ტაკ-ტუკ! ტაკ-ტუკ!

მოთამაშეებმა ერთმანეთს გადახედეს. ვიღაცამ საათი გამოიტანა პალატიდან.

— არ ხარ სწორი, 22 წუთია ახლა.

— ჩამორჩენილია თქვენი საათი 5 წუთით და 42 წამით, ჩემო ბატონო, გაასწორეთ, თუ გინდათ!

ატყდა ხორხოცი, გივია არ იცინოდა მხოლოდ. შეამჩნია ბონდომ, დაუჯდა გვერდით, ჩასჩურჩულა ყურში — უზუსტეს საათზე ვარ აწყობილი, გამომცადე თუ გზნდა.

— მჯერა ისედაც.

— არა, გამომცადე, — ამაყად იღიმებოდა ბონდო, — არ შევცდები ერთ წამს, ა, ნახე როგორ ვწიკწიკებ. გესმის?

— კი.

— გესმის ხომ? — გაუხარდა ცისფერთვალებას, — კაი ბიჭი ხარ შენ, არ ესმის არავის, არც ცოლს, არავის, საერთოდ არავის...

შესრულდა სამი, შეიცადა კიდევ თხუთმეტიოდე წუთი, წამოდგა მერე. მოვიდოდა აწი ხათუნა. შეიხედა კარებში, ტელეფონზე ლაპარაკობდა ვილაც სხვა — ალო, დიახ, მე მანანა გახლავართ, ბატონო? კახიძე, არ მოვა ხათუნა, მე შემიცვალა განრიგი, საქმე ჰქონდა დღეს... არაფრის.

გამოყვა გივია დერეფანს, ჩაუარა საოპერაციოს, კვნესა და გოდება ისმოდა შიგნიდან, ფეთიანივით გამოვარდა ექთანი ქალი, სისხლია საჭირო! გასძახა ვილაცას, შებრუნდა მერე ისევ.

აიბურძგლა გივია რატომღაც, მოეწურა გული, თვითონაც არ იცოდა შიშისა თუ ცოდვისაგან იყო ეს. აუჩქარა ნაბიჯს, იღლიები ატკინა ყავარჯნის ბლაგვმა სახელურებმა, კბილებით ეჭირა ქვედა ტუჩი. აღარ თამაშობდნენ დომინოს. ორი ხნიერი მამაკაცი უჯდა მაგიდას, საუბრობდნენ გულდინჯად, ნებიერად.

— ჭეშმარიტად უცნაურია ბუნება, — ამბობდა ერთი, — რკინის ლოგიკა აქვს ნამდვილად, არ ვარ მართალი? — შეედავა რატომღაც ყურადღებადქცეულ მოსაუბრეს, — ა, ბატონო მიმოვიხედოთ ირგვლივ. ყველას ჩვენ-ჩვენი აუცილებელი ფუნქცია გვაქვს დაკისრებული, ესაა სწორედ რომ ამართლებს ჩვენს არსებობას. საკმარისია რაიმე მიზეზით დავკარგოთ განგებისგან მონიჭებული ფუნქცია და აუტანელი ხდება ყველაფერი, უაზრობაა არსებობაც, აბა? — ხველება აუტყდა კაცს, ჩაბჟირდა ერთიანად, ამოისუნთქა, როგორც იქნა, გაჭირვებით, დაუწყნარდა ისევ სახე, — დალახვროს ეშმაკმა! — თქვა მერე.

გივია სარკმლიდან იცქირებოდა, ავტობუსის გაჩერებასთან შალიკო და ბონდოს ცოლი იდგნენ. შალიკო ლაპარაკობდა, ღიმილით შესციცინებდა ბონდოს ცოლი, ხვიხვინებდა რაღაცას შალიკო, ასწია მერე ხელი, ჩამოვარდნილი თმა გაუსწორა ყურის ბიბილოსთან ბონდოს ცოლს.

— კი, ნამდვილად აუტანელი ხდება არსებობა, — თქვა ამ დრომდე ჩუმად მჯდომმა კაცმა, — მართალი ბრძანდებით, ბატონო ანდრო!

დერეფანში თათრული ბაიათი აკვნესდა, მოგორავდა ქვევიდან ჰასანა...

მოეწურა გული გივიას, გამობრუნდა, ჩაწვა საწოლში, წაიფარა თავზე ხელები...

იგინებოდა დამწვარი ტრაქტორისტი, წყევლიდა ვილაცას.

საცხედრის სუნი იდგა პალატაში.

ითმენდა უწინ როგორღაც გივია, ითმენდა და ეგონა, კარგს ვშვრებიო რაღაცას, ეცოდებოდა ტრაქტორისტი, აღარ ეყო ახლა ძალა, მოუდუნდა ერთბაშად ნება. დაატანა მაინც თავს ძალა. შეწყვიტა ცხვირით სუნთქვა, ეს უარესი გამოდგა, მყავე ჰაერმა აურია გული, ყელზე დაადგა რაღაც უსაშველოდ უგემური. აუტოკდა მარჯვენა ფეხში ნერვი, ტკივილად ჩააცოცდა მუხლის ქვემოთ, თითებმაც იგრძნეს სიმწვავე, გაუხარდა ეს, გადაავიწყდა ყველაფერი. რამდენი ხანია ველარ გრძნობდა ფეხის თითებს, თითქოს ეხებოდა რაღაცა ცივს, სლიპინას; კოჭს ქვემოთ ქრუანტელი, ზიზლის მომგვრელი ქრუოლა ჰქონდა თავდაპირველად. უწინაც დამართია ასე, როცა ხელაობისას თევზის მაგიერ გველს წაატანდა ხელს, გველს მოიხელებდა დარანში.

უარესი იყო სხეულის საკუთარი ნაწილის ასეთი შეგრძნება, შეეჩვია ამასაც თანდათან, მითუმეტეს აიმედებდნენ: მთავარია არ იფიქროო, აღსდგება ბოლოს და ბოლოს სისხლის მიმოქცევა...

საკუთარი სხეულის ნაწილის დაბრუნება იგრძნო ახლა, ტკიოდა რაღაც ტერფში, ერთმანეთს უთანხმებდა მაჯას და გულისცემას.

სუნთქვა გაუხშირდა სიხარულისაგან, მოიცილა თითქოს ვეება გამსრესი ტვირთი... ჩაეძინა ნელ-ნელა...

... რავა ხარ? — ჰკითხა შალიკომ.

— რა მიჭირს.

— მოგწყინდა ალბათ.

— ეჰ...

— ნამეტანი მოსწონხარ ბონდოს, მნახულობსო, თქვა. არა, ისე ხომ ზუსტად ამბობს დროს?

— კი.

— შემოდი მერე ბონდოს პალატაში, საქმე მაქვს პატარა.

გივია ტუალეტში შევიდა, გადაიძრო პერანგი, ჩამოადო ყავარჯნის სახელურს.

მოუშვა ონკანი, ჩახედა სარკეს, გამხდარიყო ცოტა, გაფითრებულიყო. ამოწეოდა ყვრიმალები და ღაწვის თავები, შეუშვირა გრძელი ძარღვიანი მკლავები წყლის ნაკადს, ეამა წყალი. შემოვიდა ბონდოს ცოლი ამ დროს, გასარეცხი თეფშები ეჭირა ხელში. მიადგა ისიც ონკანს, იაფფასიანი გულმოხდილი კაბა ეცვა. შეხედა გივიას, მიესალმა უცნაურად, დარჩა თვალები ბიჭის დაკუნთულ ტანზე. ააცდინა თეფში წყლის ნაკადს, აირეკლა თეფშმა წყალი წამით, დაუსველა გივიას ბამბაზიის შარვალი.

— უიმე, მაპატიეთო, — ჩაილაპარაკა დაბნეულმა, სევდის მაგიერ რაღაც სხვა გაუკრთა თვალებში...

დაიბნა ბიჭი, წყლით სავსე პეშვში ჩამალა სახე, იფრუტუნა ერთხანს, დიდხანს იმშრალებდა მერე ხაოიანი პირსახოცით ტანსა და მკლავებს...

— ა, ბატონო, გივიას ესმის — წამოიწია საწოლიდან ბონდო, ხომ გესმის წიკწიკი? — თავი მიუტანა ყურთან — ხომ გესმის?

— კი.

— ა, ხომ ხედავ! — თვალი ჩაუკრა შალიკომ გივიას, — ნედლი თევზი მოგიტანე, სპეციალურად წავყევი გუშინ ბიჭებს სათევზაოდ. თურმე მართლა ბადით იჭერენ. ჩამოჯექი აგერ.

ბონდოს ცოლმა ტილო გადააფარა თეთრ, უზურგო სკამს. დაიწყო მერე ჩანთიდან რაღაცეების ამოღება, შეპარვით, ქალური სიფრთხილით უცქეროდა გივიას, იგივე ცეცხლი უელავდა თვალებში.

შეწუხდა გივია, უხერხულად იგრძნო თავი, წასვლაც აღარ შეიძლებოდა ასე უცებ...

... შემოხსნეს გივიას ფეხზე სახვევი, ხეშეში ნიღაბივით სახე ჰქონდა პროფესორს, გრძელი ნერვიული თითებით სინჯავდა ფეხის გულს, გადააქნია მერე თავი უცნაურად — ცალკე მოათავსეთო, — თქვა.

უსიამოდ ჩაესმა გივიას, კვლავ ჩაექსელა მწველი შიში, აებურდა სული. ვერაფრის თქმა ვერ გაბედა. მომვლელი ქალი უკვე ალაგებდა კარადას.

— მეცოდება ეს ბიჭი, — თქვა პროფესორმა დერეფანში გამოსვლისას, დაგვიანებულია ძალიან.

გაფითრდა ხათუნა, აერია ფეხი.

— ვაცალოთ ორიოდე დღეც, — მიუბრუნდა პროფესორი მკურნალ ექიმს.

... გულაღმა იწვა გივია, ერთადგილიან პალატაში სიმყუდროვის და წამლის სუნი იდგა მხოლოდ, პალატის კარებს სავარძელ-საგორავით ჰასანა მიადგა, ტრანზისტორი აღარ ჰქონდა. შემოგორდა, გაჩერდა გივიასთან.

— როგორ ხარ?

— რა მიჭირს, არა მიშავს, შენ?

— გამწერენ ალბათ ამ დღეებში, ბონდო მოარჩინეს, კაცო!

გივია წამოიწია.

— რა გვარია მაგათი პროფესორი? ჰო, ქავთარაძე. რაღაც ნემსი გაუკეთებია.

— რას ამბობ?

— აბა, გაწერენ ხვალ.

დადიოდა ბონდო პალატაში, ემშვიდობებოდა ხალხს. არ შესულა რატომღაც გივიასთან.

ბონდოს გაწერის დღეს შალიკო შემოვიდა გივიასთან, ლამაზად მოხარატებული ხელჯოხი მოუტანა, ძაღლის თავიანი, შენთვის გავაკეთეო.

რაღაც შიში იგრძნო გივიამ, სახსოვარს თვალი მოარიდა, ძლივს წაილუღლუღა მადლობა.

ველარ ჩერდებოდა გივია საავადმყოფოში. ბორგავდა, ხან რას ედებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ხან რას. გაუსივდა ფეხი, სიშავე შეეპარა მთელ ტერფს, ისხდნენ ისევ ძველებურად ავადმყოფები, თამაშობდნენ დომინოს, ელოდნენ ზოგი რას, ზოგი რას.

დაგორავდა ჰასანა... მთელი დერეფნის სიგრძეზე, მოთქვამდა თათრული ბაიათი, ნერვებს უშლიდა სუყველას, მაინც ვერ ეუბნებოდნენ ვერაფერს.

იგინებოდა ტრაქტორისტი, წყევლიდა ვიღაცას.

ჩააქრეს სინათლეები, სუსტი იისფერი ლამე იძურწებოდა პალატაში.

სუდარისფერი სევდა და შიში რიალებდა ირგვლივ, ფიქრში იყო გივია; ფიქრობდა, ვერც ფიქრობდა, შიში უხშობდა ფიქრის სადინარებს. თავი ჩამოიხრჩო დღეს ბონდომ, სამზარეულოში უპოვიათ, საათი გაჩერებულიყო, ჩამოუხრჩვია თავი ბონდოს...

სარკმლიდან შემოპარულ სინათლეზე მუქად ბზინავდა შალიკოს ნაჩუქარი ძაღლისთავაანი ხელჯოხი, ხარიხასავით იდო კარადის თავზე.

თავი ჩამოუხრჩვია ბონდოს...

გაიჭრიალა კარებმა, თეთრმა სინათლემ გაჰკვეთა პალატა.

ფრთხილად შემოვიდა ხათუნა, ჩაკეტა კარები. წამოიწია გივია. მოიჟღლიმა თვალები, ჩამოუჯდა გოგო გვერდით, მხრებზე დააწყო ხელები.

მოეშვა გივია ერთი წამით, მიიზიდა მერე გოგო, გადავარდა სადღაც, დაავიწყდა ყველაფერი...

იწვა ღიმილით ბალიშში თავჩარგული ხათუნას სურნელებას ეძებდა საწოლში, ტკბილი მოთენთვა შეჰყროდა სხეულს, საამოდ ტოკავდა თითოეული ნაკვთი.

შემოვიდნენ სანიტრები, შემოიტანეს საკაცე. მე თვითონ წამოვალო, წამოიწია გივიამ.

საკაცეზე დაწექიო, ასეთი წესიაო, — უთხრა სანიტარმა; დამორჩილდა გივია, ღიმილით დაწვა საკაცეზე, ჩაატარეს დერეფანში, იღიმებოდა ბიჭი, შეიყვანეს საოპერაციოში.

გაუკეთეს ერთი ნემსი, მერე მეორე.

— ხომ არ გეშინია? — ჰკითხა პროფესორმა.

— რას ამბობთ!

— რას იზამ, უნდა გაუძლო, უარესი იყო მოსალოდნელი.

კვლავ იღიმებოდა გივია.

ფუსფუსებდნენ ექიმები და ასისტენტები, პროფესორი რეზინის ხელთათმანებს იცვამდა.

— რომელ საათზე აწერენ ხელს? — იკითხა ერთ-ერთმა.

— სამზე.

— შეიძლება მოვუსწროთ, ხომ იცი!

— ვისზე ამბობთ? — იკითხა პროფესორმა.

— ხათუნაზე, თხოვდება დღეს, — ქალს ხელში შპრიცი ეჭირა, დაჰკრა გივიას მუხლს ქვემოთ.

უსაზღვრო ტკივილმა დაფარა ყველაფერი, აირია იქაურობა ერთმანეთში, დაიძაბა გივია, ჩააფრინდა ხელებით საოპერაციო მაგიდის ძგიდეებს.

— მოადუნე, კუნთი, მოადუნე, გენაცვალე, მეორე შპრიცი მომიტანე, თინა!

— ბრწყინვალე ბიჭია, ანგელოზივით.

— ვინ?! — იკითხა პროფესორმა.

— ხათუნას საქმრო.

ტკივილისა და სიმწრის მოშავო და წითელი წრეები დატრიალდნენ გივიას თვალწინ. მოაწვნენ სხეულს, აუტანლად გაიზარდა ტკივილის სიმწვავე, ერთბაშად ჩაუქრა მერე, ჩაიფერფლა, შეიცვალა მოტკბო ბურანად, ჩაითრია გივია ბოლომდე, მოადუნა, მიაგდო ძილქუშად.

— არჩილ ნიკალაევიჩ, ჩაეძინა უკვე, დავიწყოთ.

— რა კარგი ბიჭია, ცოდვაა.

— არ შეიძლება სხვანაირად, მერე შეიძლება მთელი ფეხი დარჩეს მოსაჭრელი... ჩამოაფარეთ ფარდა.

შემოიყვანეს გივია თავის ძველ პალატაში, დააწვინეს ფრთხილად საწოლში, მთელი საავადმყოფო მიდგომოდა კარებს.

ნელ-ნელა გამოდიოდა ბიჭი ტკბილ-მწარე ბანგიდან.

გაიზმორა გივიამ, გააკანკალა ტანში. დააწვა რაც შეეძლო ქუთუთოებს, ისევ დაიძრნენ შავი და წითელი წრეები საიდანღაც, გააბრუეს ბიჭი, აღარ გრძნობდა ფეხის ტკივილს, აღარც შიშს.

ხათუნას გრძნობდა მთელი სხეულით, გრძნობდა და ვერც გრძნობდა, იყო ამაში რაღაც ტკბილიც, ბრაზიანიც. ბორგავდა გივია, კრთებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად სხვადასხვა სურათები, დაულაგებლად, ქაოტურად.

გრძნობდა და ვერც გრძნობდა, რაღაც განცდილსა და მოჩვენებებს შორის იყო გახირული, ამაში იყო მთელი უბედურება, ყოველ შემთხვევისათვის ასე ეგონა ახლა გივიას.

წარმოდგენა და სინამდვილე ებღაუჭებოდნენ აქეთ-იქით. ხანდახან ძლევდა რომელიმე. დაიღალა ბოლოს და ბოლოს, მოეშვა მთლიანად, გაყუჩდა, დადუნდა, ძილს მიეცა თითოეული ნაკვთი თუ კუნთი...

შუაღამეზე ისევ აბორგდა სხეული, მთელ ტანს მოედო წელანდელი სიცხადის და ოცნების ცხარე დანალექი, უწია გონებასაც.

ჩაბღუჯა გივიამ ხათუნა, შეისრუტა ტკბილ-მწარე ეთერი ქალის. იზნიქებოდა გოგო, ბურანში წასული თვალებით ჩაშტერებოდა ბიჭს, დამცინავ ღიმილად ეჩვენებოდა ეს გივიას, ხელდებოდა ბიჭი, სალტავდა ფოლადჩადგმული მკლავებით გოგოს წელს, კოცნიდა მკერდზე...

რაღაც მაინც უშლიდა ხელს ცხადსა და ახდენილს, ეფარებოდა თალხ ფარდად, წეწდა გივია ფარდას, ხათუნას თეთრ ქობა შემოვლებულ ცისფერ სიფრიფანა პერანგს, იკლაკნებოდა ხათუნა, უჭერდა ბიჭს ხელებს თავკისერზე.

— რას შვრები, შე სულელო! გამიშვი, გივია, გთხოვ, ბიჭო, რა მოგივიდა?...

არ ესმოდა ბიჭს, აღარ უწევდა აღარაფერს ანგარიშს, წეწდა იმ თალხსა და უსაშველოდ უსიამო ფარდას, ჩამოგლიჯა როგორც იქნა...

— შენი ჭირიმე, გივია, შენი ჭირიმე, რა კარგი ბიჭი ხარ, ბიჭო...

გაბრუვდა გივია, გამსუბუქდა, აიტაცა იმ ტკბილ-მწარე ეთერმა წამიერად, მოდუნდა ბიჭი, დაუწყო წამებს დათვლა, ტაკ-ტუკ, ტაკ-ტუკ, — წიკწიკებდა საათი, გრძელდებოდა რაღაც ვეებერთელა და უსასრულო...

— რა კარგი ხარ, გივია, შენი ჭირიმე, ბიჭო, — ბურანში ჩურჩულებდა ქალი. დაეწაფა გივიას ტუჩებს, — ეს ბონდოს ცოლი იყო.

შეკრთა გივია, გამოფხიზლდა, შეეზიზღა ყველაფერი, ზიზღითვე ისმენდა გახშირებულ, ამოვარდნამდე მისულ გულისცემას.

ტაკ-ტუკ! ტაკ-ტუკ! — წიკწიკებდა საათი, აღარ უნდოდა გივიას არაფერი. უნდოდა მოშორებოდა დროსა და სინამდვილეს, ზიზღი იყო მხოლოდ იქ.

ტაკ-ტუკ! ტაკ-ტუკ! — მისდევდა მაინც დრო, კი არ წიკწიკებდა გრუხუნებდა, საფეთქლებში ურტყამდა საათი.

გაუფართოვდა შიშისგან თვალები ბიჭს, დაძაბა სხეული, თითოეული კუნთი... მარჯვენა ფეხის ტერფის ადგილზე მძიმე სიცარიელეს გრძნობდა...

პალატაში სიბნელე იდგა, ირგვლივ შემაწუხებლად ხვრინავდნენ, დაიძაბა ბიჭი, შეშფოთდა, გაქცევა მოუნდა, ველარ დაიმორჩილა ტანი, გაჰკრა ჭვალმა მარჯვენა ფეხში, დატრიალდნენ ცხელი, მწარე ჭიანჭველები, შეუხუთეს მთელი ორგანიზმი.

ატირდა გივია, არ იყო ეს მარტო ტკივილისაგან გამოწვეული — დამორჩილების, შეგუების ცხარე ცრემლი იყო ეს.

ტაკ-ტუკ! ტაკ-ტუკ! — წიკწიკებდა, გრუხუნებდა, ურტყამდა, მოდიოდა, დრო.

კიდევ, კიდევ რამდენი იყო გასავლელი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. კ. ტოლსტოი

# ლექსები და ბალადები

მიმდინარე წელს სრულდება 100 წელი გამოჩენილი რუსი პოეტისა და დრამატურგის ალექსი კონსტანტინეს-ძე ტოლსტოის გარდაცვალებიდან (1817-1875). მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბ. ბელინსკი, მ. სალტიკოვ-შჩედრინი, პ. ანენკოვი და სხვები. მისი ლექსების ტექსტზე შესანიშნავი რომანსები შექმნეს გამოჩენილმა რუსმა კომპოზიტორებმა — ნ. რიმსკი-კორსაკოვმა, პ. ჩაიკოვსკიმ, მ. მუსორგსკიმ, ს. ტანეევმა და სხვებმა. მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე. ქვემოთ ვაქვეყნებთ ა. კ. ტოლსტოის ლირიკული ლექსებისა და ბალადების ქართულ თარგმანებს.

* * *

ჰეი, შენ, მხარევ მშობელო!
ცაში არწივთა ყვირილო!
თოვლში ჩაფლულო სოფელო,
ტრამალში მგლების ტირილო!

ჰეი, შენ, ჩემო მამულო!
მინდორში ცხენო უბელოვ!
შავი ტევრების ხმაურო!
ქარო!
        სტეპო!
                და ღრუბელო!

* * *

ოქროსფერ პურებს
        ეფინება სიჩუმე ზეციდ,
ჩაქრენ სოფლები,
        აგრილებულ ცაში ჟღარუნით
კრთიან ზარები.
        ჩემი სული სავსეა ეჭვით,
სავსეა
        შენთან განშორების
                მწარ სინანულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასაყვედუროს
        თქმულს ვიგონებ შენდამი სიტყვებს
და ალერსისას
        ვიმეორებ ათასჯერ, ნაცვლად,
სიტყვებს, რომლებიც
        მეთქვა შენთვის შემეძლო იმ დღეს,
ვერ გითხარი და,
        ვაგლახ, ჩემში დავმარხე მკაცრად.

## ვოევოდა სტარიცკი

როდესაც დასდეს ვოევოდა სტარიცკის ბრალი,
რომ თვისი გვარით ამაყი და სახელით მთვრალი,

კვერთხს სამეუფოს ესწრაფვოდა, ქვეყნის მეფობას,
და ხმა დაირხა, იზრახვისო ტახტის ხელყოფას,

გასცა ბრძანება იოანემ სტარიცკის ხლების
და წარსდგა მაშინ ვოევოდა წინაშე მეფის.

და თვისი ხელით დამნაშავეს და სარდალყოფილს
აცვა პორფირი, თავს გვირგვინი დაადგა მპყრობლის,

წარუძღვა კიბით, აატარა მოფარდაგული,
საკუთარ ტახტზე დასვა თვისი მონა ავგული

და სცა თაყვანი — სამეუფო პალატთა შინა
დაემხო ტახტთან, მისთა ფერხთა დაემხო წინა

და სთქვა მორჩილად: „მაშ, ესრეთის დიდების ფენით
კმაყოფილ იქმენ, მონა ვარ და მტვერი ვარ შენი!“

და წამოიჭრა, აღისრბოლა იმავ წამს რისხვით,
ჩასცა მახვილი, გულში ჩასცა, იხარა სისხლით

და წაიხარა, ძოსირმული დაადგა ჩექმა
გვამს სტარიცკისას, ქვედამხობილს ჩახედა შლეგმა,

გაყინულ თვალში ჩააცქერდა, და შემკრთალს უცებ
ღიმილი
გველებრ გაეკლაკნა მბრძანებლის ტუჩებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ცხვირაწეული, ამპარტავანი, დიდგული,
მოდის, მოგორავს, მოიჯგიმება უშვერად
და თეძოებზე გადად-გადმოდის ბღენძი.
სიმაღლით ჩვენი ბღენძი
ძლივს გახლავს ერთი არშინი!
სიფართით — კაკარდიანი
ქუდი ახურავს საყენი!
თვალმარგალიტით მოოჭვილი აქვს ფაშვი,
საჯდომი — ოქროცურვილი!
კი შეუღებდა ბღენძი დედ-მამას ჭიშკარს,
მაგრამ ჭიშკარი — ჩაღობილია მრუდად!
კი გადიწერდა ბღენძი ტაძარში პირჯვარს,
მაგრამ ტაძარი — გამოგვივლია ცუდად!
მოგორავს ბღენძი — გაიხედა და რას ხედავს:
ცისარტყელაა გადაჭიმული ცაზე...
შებრუნდა ბღენძი: — არ მეკადრება, ბატონო,
არ შემფერისო წელშიმოხრილად გავლა,
არამც და არამც
არ გავივლიო მასე!

* * *

— 1 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
ხელმწიფევ, მამავ და პატრონო,
რის ხარშვა მოგინებებია,
მაგ ქვაბში რას ხარშავ, ბატონო?!
— ფაფილას, დედილავ, ფაფილას!
ფაფილას ვხარშავ, დედაჩვენო,
ფაფილას, დედავ-ქალბატონო!

— 2 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
შენ, ჩვენო მამავ და პატრონო,
ღერღილი სად, სად გიშოვნია,
ღერღილს ვისას ხარშავ, ბატონო?!
— ზღვასგაღმა ვიშოვნე, ზღვასგაღმა,
ზღვისგაღმურს გიხარშავთ, ზღვისგაღმურს,
ზღვისგაღმურს, დედილავ-ქალბატონო!

— 3 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
ხელმწიფევ, მამავ და პატრონო,
ნუთუ შინაური ღერღილი
ჩვენ-ჩვენი არ გვქონდა, ბატონო?!
— კი გვქონდა, დედილავ, კი გვქონდა,
კი გვქონდა, მაგრამ — მთლად ნაგავი!
ნაგავი, დედილავ-ქალბატონო!

— 4 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
შენ ჩვენო მამავ და პატრონო,
ფაფილას მორევა დასჭირდება,
მორევას რით ინებებ, ბატონო?!
— კეტით, კაი დიდი კეტით!
კეტით, გადმოვურევ, დედი!
კეტით, დედილავ-ქალბატონო!

— 5 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
ხელმწიფევ, მამავ და პატრონო,
ფაფა ხომ სქელი გამოგივა
და კორმეჭიანიც, ბატონო?!
— სქელი გამომივა, სქელი

და კორმეჭიანიც, დედილავ,
ნამდვილად, დედავ-ქალბატონო!

— 6 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
შენ, ჩვენო მამავ და პატრონო,
ხომ მარილიანი გამოგივა,
და ჩაგიმლაშდება, ბატონო?!
— მლაშე გამომივა, მლაშე,
და კორმეჭიანიც ძალზე!
ნამდვილად, დედილავ-ქალბატონო!

— 7 —

— ხელმწიფევ, პეტრე ალექსის ძევ,
ხელმწიფევ, მამავ და პატრონო,
მერედა, ვინ შეჭამს მაგას,
ფაფას ვინ მოუვლის, ბატონო?!
— შვილები მოუვლიან ფაფას!
შვილები, შვილები სჭამენ!
შვილები,
დედილავ-ქალბატონო!

## ჭეშმარიტება

ჰოი, შენ, დედავ, დედუფალო ჭეშმარიტებავ,
შენ, დიდო დედავ, ქვეყანაზედ ფართოდ გადგმულო!
შენ — მწვერვალებად აწვდილხარ ცამდე!
შენ — ტრამალებად გაშლილხარ ზღვამდე!
ფესვი გაგიდგამს ულრან ტყეებად,
მუქ-ლურჯ ზღვებად ადიდებულხარ,
ტურფა, ხალხმრავალ ქალაქებად დამშვენებულხარ!
ძე-ხორციელი ას წელს ირგვლივ ვერ შემოგივლის,
შენ რომ გიყურებთ,
თმა ყალყზე გვიდგას!

გამოეშურნენ
შვიდნი ძმანი ცხენდაცხენ შენსკენ,
შენს სანახავად კაი ყმანი გამოეშურნენ,
ვნახოთო ერთი, რაგვარია ჭეშმარიტება,
რასა იქმს, ანუ
კაცთა შორის რაგვარად ფუძნობს?!
უკეთუ —
ბევრზე ბევრი თქმულა კაცთაგან მასზე!
უკეთუ —
ბევრზე ბევრი თხზულა კაცთაგან მასზე!
უკეთუ —
ბევრი დაწერილა შესახებ მისა!

მათ შვიდთა ძმათა დეზი ჰკრეს ცხენებს,
მათ შვიდთა ძმათა დასჭყივლეს მერნებს,
მისცვივდნენ შვიდნი, გარს შემოადგნენ
და შვიდი მხრიდან
თვალი ჰკიდეს ჭეშმარიტებას.

დიდხანს უცქირეს
მათ, შვიდთა ძმათ, ჭეშმარიტებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დახე მაგასო! ხო-ხო-ხო-ხო!“ — დიდხანს იოცეს,
იდგნენ, თავები გადააქან-გადმოაქანეს
და გამობრუნდნენ სამშობლოსკენ გაოცებულნი.
და, რა დაბრუნდნენ კაცები შინა,
ჭეშმარიტებას ხსნიდა ყველა თავისებურად:
ვინ — მთად სახავდა, ცამდე აწვდილად,
ვინ — ზღვად სახავდა, ფაფარაშლილად,
ვინ ტყედ სახავდა, ვინ დაცემულ ტრიალ ტრამალად,
ვინ — ხალხმრავალ ტურფა ქალაქად...

და შეკამათდნენ, წაეკიდნენ ერთმანეთს ძმები,
ჭეშმარიტების გამო ძმებმა იშიშვლეს ხმლები,
სცეს გააფთრებით სასიკვდილოდ ერთურთს მახვილი,
ცრუსი და მტყუვნის
ძმებმა ერთურთს ჰკადრეს სახელი.
და ხმალს იქნევდნენ გააფთრებით მამაცნი ყმანი,
და დაიხოცნენ შვიდნივე ძმანი.

ხოლო შვიდთაგან
ძმა ყოველი სიკვდილის წინ შვილს უბარებდა
ანდერძად ბრძოლას, ერდათმობას, ხმლის არჩაგებას,
ჭეშმარიტების გულისათვის თავის დადებას,
შვილი იგივეს უბარებდა შემდგომ ძეს თვისას
და აქამომდე ჩახაჩუხი გაისმის ხმლისა
და აქამომდე შვილთაშვილნი იქნევენ მახვილს
ჭირად ხალხის და
თავის თვისის საუბედუროდ...

. . . . .

ხოლო თქმულია იგავი ესე
არა საძრახად, საყვედურის ანუ მასალად —
კეთილი ხალხის ჭკუის სასწავლად!

* * *

მჭრელი ჩუგლუგით
დაუჭრიათ არყის ხე თეთრი,
ვერცხლისფერ ტყავზე
ბეჩავს კურცხლის მოსწვეთავს წვეთი.
ნუ, ნუ, არყის ხევ,
ნუ, ბეჩავო, ნუ ჰკვნეს და სტირი —
მოვალს ზაფხული
და ჭრილობის შეიკვრის პირი,
კვლავ სადედოფლოდ
მოირთვები, ასე მოხდება...
გულის ჭრილობა,
მხოლოდ გულის არ შეხორცდება!

* * *

შედიხარ ქოხში ნაღველით სავსე, —
ამ საწყალ ქოხში, ცოტა ხნის წინათ
ომი დაჰქუხდა რომელსაც თავზე, —
ტყვია აწვიმდა ცეცხლოვან წვიმად.

სურო ეხვევა დაკენკილ კედლებს
და ბოროტების ნაკვალევს ჩქმალავს...
სიყვარულს ჩემსას, ო, ნუთუ დღემდე
შენი ჭრილობა არ დაუფარავს?!

## თავადი მიხაილო რეპნინი

მესამე დღეა, სუფრაზე
მამაცი რაზმით სახლობს —
პურს სჭამს ივანე მრისხანე
დედა-მოსკოვის ახლოს.

ცხრაპირი სუფრა მეფური,
ოქროს თასები ზედა!
სუფრასთან თავაშვებული
ოპრიჩნიკები სხედან.

მწუხრსაქეთ ღვინო წითელი
ხელმწიფის ნოხებს ალბობს,
შეჰმღერენ მებარბითენი,
შესციცინებენ პატრონს.

ძველ დროთა ამბებს ჰყვებიან,
შეახსენებენ მეფეს,
თუ ვით აიღეს ყაზანი
და ასტრახანი ტყვე ჰყვეს.

მაგრამ ძველ დროთა დიდება
ხელმწიფეს სევდას დარევს:
„შენ, მერიქიფევ, ნიღაბი
სჯობს მომართვაო", — ბრძანებს.

„ჩემს ოპრიჩნიკებს დიდება! —
ჩემს მიმინოებს ჩქარებს!
თქვენც მანდ, დამკვრელნო, თითები
უკეთ ჩამოჰკათ ქნარებს!

გთხოვთ, აირჩიოთ ნიღბები,
ცეკვა გვწადს, სისხლი გვიჩქეფს, —
მეც აქ ვარ, თქვენი ხელმწიფე
ფერხულს პირველი იწყებს.

მაშ, მომყეთ, ჩემო არწივნო —
თქვენი ხელმწიფე ბრძანებს!
თქვენც მანდ, დამკვრელნო, თითები
უკეთ შეახეთ ქნარებს!"

ერთხმად ასწიეს თასები,
ერთს, მარტო იმ ერთს არ სურს —
მარტო თავადმა რეპნინმა
ხელი არ ახლო სასმურს:

„ო, მეფევ, დაგვიწყებია
ღმერთიც, ღირსებაც მეფის!
ტახტს ოპრიჩნინა გხვევია,
სპა გახვევია მტრების!

გაჰფანტე სიტყვით მეფურით
ჯგრო ეშმაკეულ ბალღთა —
სად შენ, სად შენი ფერხული
ცხვირმოუხოცელ ხალხთან!"

ხოლო ხელმწიფემ შეჰყარა
წარბი და უთხრა ასე:
„დადუმდი, მონავ! შემთვრალხარ,
ანუ შეშლილხარ ჭკაზე!

სიტყვა არ დაგცდეს ზედმეტი,
ნიღაბს მოჰკიდე ხელი,
თორემ მოკვდები ამაღამ,
ვფიცავ, სიკვდილი გელის!"

აქ გულმართალმა თავადმა
რეპნინმა დაიძახა:
„ძირს ოპრიჩნინა!" — ადგა და
პირჯვარი გადისახა:

„მართლმადიდებელ ხელმწიფეს
ჩვენსას დიდება მარად!
როგორც მართავდა ქვეყანას,
დაე, მართავდეს კვალად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე, მლიქვნელობას მიაგოს
ზიზღი, ღალატის მსგავსად!
ნიღაბს კი... არ გავიკეთებ,
ასე მოვკვდები კაცად!“

ეს თქვა და ხელი აღმართა —
თასი იატაკს ხეთქა,
თასი წკრიალით გავარდა —
ნიღაბს ფეხებით შესდგა.

„მაშ, მოკვდი! — გააფთრებულმა
მეფემ შესძახა ავად
და კვერთხი ჩასცა შიგ გულში
რეპნინს, გულმართალ თავადს.

და კვლავ ივსება ჭიქები,
წკრიალი გააქვს ჯამებს,
ლხინი დუღს, ოპრიჩნიკების
ხორხოცი ავსებს ღამეს.

გრძელდება ლხინი მეფური,
სასმური ისვრის შხეფებს,
მაგრამ თასების წკრიალი
აღარ ახარებს მეფეს.

„მოვკალ ერთგული მსახური,
მოვკალ, თენდება შავად!
ტყუილუბრალოდ მოვკალ და
ლხინი გადმექცა შხამად!“

... ამაოდ ღვინო წითელი
ხელმწიფის ნოხებს ალბობს,
ამაოდ მებარბითენი
შესციცინებენ პატრონს,

ძველ დროთა ამბებს მღერიან,
შეახსენებენ მეფეს,
თუ ვით დალაშქრეს ყაზანი
და ასტრახანი ტყვე ჰყვეს.

## მაჭანკლობა

ჩვენი სიმღერა მწველია,
საგაზაფხულოდ ელავს:
რაშოვდა, დელი-დელია,
აბა, ჰე! დელი-დელა!

ვავალებ ქვეყნად სიარულს
ამ ჩვენს ლექსსა და შაირს.
ვწერ: ყველა თვეზე მხიარულს
ეწვიოს ტურფა მაისს!

მთაში და ბარში მღერიან,
გამოფოთლილა თელა —
ოდელა, დელი-დელია,
რაშოვდა, დელი-დელა!

გვყავს გაზაფხულით ზღაპრულით
დღეს ვლადიმირიც ლაღი —
სავარძელშია ჩაფლული
გაღიმებული სახით.

გასჯიბრებია მთვარეს და
ჭაღარით ნათელს ჰფანტავს, —
გვერდს უზის მთავარს მთავრისა
და თავის სართავს ართავს.

ბრუნავს და არ დაიღლება,
ხტის და ბზრიალებს ჯარა;
შოთხვის სურნელი იღვრება
ღია სარკმელში ღვარად.

და იქვე გასაოცრები! —
ვინ, რომელი სჯობს ორში?! —
საქარგავს უსხედს ოცნებით
ორი ასული ნორჩი.

თვალი საქმეში წასვლიათ,
გული კი, გული ღელავს, —
მკვირცხლი სიმღერით სავსე აქვთ:
რაშოვდა, დელი-დელა!

რას ჰქარგვენ, რა ენემსებათ,
როს სკა უბზუით თავის,
როს გული ცეცხლით ევსებათ
და როს მაისი ჰყვავის?!

დედას გული აქვს საქმისკენ
და, როს წასწვდება ფთილას,
ორთავ ასული სარკმლისკენ
თვალს გააპარებს ფრთხილად.

ანაზდად ჯარა გადადო,
სთქვა სახლის დედამ წყნარად:
„შეხე, სტუმრები, თავადო!
ორნი მოგვადგნენ კარად;

ზედ ჩვენს ჭიშკართან ჩამოხტნენ,
მაგრამ... გამისკდეს მიწა,
ვერ გავარჩიე სამოსით,
ვერცა პირსახით ვიცან!“

ხოლო მთავარი იცინის:
„მობრძანდნენ! — ამბობს მტკიცედ, —
მაგას არ უნდა ჩიჩინი,
რაც ჩიტებია, ვიცით!“

და ჰა, ძონძებით მოსილნი,
წესით და რიგით ძველით,
შემოილალნენ მოსულნი
ქერელის თმით და წვერით.

ორთავე პირჯვარს გადიწერს —
ხატთან ინებეს წახრა,
შემობრუნდნენ და მასპინძლებს
სალამი ჰკადრეს ახლა.

მთავარმა სთხოვა დასხდომა.
თითლიბაზობას ხვდება;
გაგაცუროთო, იცოცხლე! —
წინდაწინ გულში ტკბება.

მაგრამ არ ეღალატების
წესს ვლადიმირის მხრიდან,
ჰკითხავს: „რა მხრისა ბრძანდებით,
გვეახელითო სიდან?!“

„ჩვენ ზღვაში დავალთ სახნავად, —
გვიცოცხლოს მთავრის თავი, —
მებადურები გახლავართ,
დნეპრში ჩაგვეფლო ნავი;

ორ ტურფა, ოქროსთმებიან
თევზს ვსდიეთ, ბადე ვშალეთ —
ფრთხებიან, ქვებქვეშ სხდებიან,
ალბათ, შევიპყრობთ ხვალე!“

მთავარმა უთხრა: „ვერ ცრუობთ,
ტყუილს ვერ ამბობთ კარგად:
არც ბადე გიჩანთ მებადურთ,
არც ძაფი სველი არ გაქვთ!

რაც დნეპრს ეხება, — ჩვენია,
ლურჯად გაუდის ჩქაფი, —
კაციშვილს ჯერ არ სმენია
დნეპრში საფლობი ლაფი!“

სტუმრებმა ჰკადრეს: „რაკიღა
მებადურები არ ვართ,
ჩვენ მოისრები, ბატონო,
მაინც ვიქნებით, ალბათ.

ნადირს ვხოცთ, ფრინველს ვაწივლებთ,
მივსდევთ ნადირის დევნას,
ამჟამად: თვალს არ ვაცილებთ
ორ კარგ ფუმფულა კვერნას.

ულრან ტყეებით მოვყევით,
ბოლო არ უჩანს ლოდინს —
ორთავეს კვალი პირდაპირ
შენს პალატებში მოდის!“

მთავარმა უთხრა: „არ გცხიათ
თქვენ ტყე-ტყე მავლის ფინჩხაც!
ძონძი ახლები გაცვიათ
და, ვგონებ, ვხვდები, ვინც ხართ!

კვერნას ხომ ზამთარ ვნადირობთ,
მაისს არ თქმულა ამბად!
სხვა ნადირობას აპირებთ
თქვენ ჩემს ტყეებში, ალბათ!“

სტუმრებმა უთხრეს: „ჩანს ჭრელი
ტყუილით ფონს ვერ გავალთ,
პირდაპირ გეტყვით გაჭრილად,
გეტყვით, ვინ ვართ და რა ვართ!

მგალობლები ვართ საწყლები,
ვიცით დვრინი და კრინი,
სიმღერით წელში გავწყდებით,
თუ სადმე შეგვხვდა ლხინი.

მოვალთ ბარბითის წკარუნით
ჩვენ ნოვგრადიდან ნელა:
დელია, დელავ-რანუნი,
რაშოვდა, დელი-დელა.

და ხუ, ვთქვათ, განიზრახავდი
დღეს-ხვალ ორ ქორწილს წყვილად,

ყელმოღერებულს გვნახავდი,
კი გიმღერებდით ტკბილად!“

აქ ძველმანები დასცვივდათ,
და, პირად მსგავსნი მთვარის,
ორი ლომგული გაბრწყინდა
წინაშე დიდი მთავრის.

დასცვივდათ თეთრი თმა-წვერიც,
თეთრივ ულვაშით ხშირით
წინ წარსდგა ორი ყმაწვილი
გაღიმებულის პირით.

სისხლი ხტის, სისხლი დუღდება,
გულის ქცეულან ძგერად,
მოსასხამები უხდებათ
ბეჭს მოგდებული ცერად.

ბეწვმოვლებული წაღები —
ძვირფასი თვლების დასხმით!
წვივსაცმელები მაღლები —
შეკრული ოქროს თასმით!

ცეცხლად უნთიათ თვალები,
შვენით არწივის მხრები,
არტყიათ ფართო ქამრები,
მძიმე ჰკიდიათ ხმლები.

გაშეშებულან, მხარდამხარ
დგანან ქალწულნიც იქვე,
თითქო სტუმრების გარდაქმნით
გაკვირვებულნი იყვნენ.

„ეგ უკვე სულ სხვა ლექსია! —
შეჰკრა მთავარმა წარბი, —
ეგრევე გეთქვათ, გერჩიათ,
მაგრამ ვერ ვხედავ ბარბითს!

ხოლო თუ ჰარი-ჰარალეს
მოიმღერდით და დელას,
ეგ გასაკვირი არ არის —
ირგვლივ მაისი ელავს!

ახლა არყის ხის ტოტებში
უკვე ბულბულიც გალობს,
ჭვრინავს ჭრიჭინა ფოთლებში,
მოხტის წყარო და ჩქარობს,

ფრინველთა გუნდი ჰაერში
დაჰქრის და დაფრენს მაღლა,
სხვა ყველა თვეზე მაისი
კი, მხიარული გახლავს.

მაგრამ ბარბითის აწყობის
ვეჭვ, ოსტატები იქნეთ:
თქვენ ხომ ხალხი ხართ ლაშქრობის!
თქვენ გველისპირულს იქნევთ!

ხმამ გაგცა, დიუკ სტეპანიჩ,
ხომ გიცან, მე ხომ ვიცი,
შენ დიუკი ხარ, შენ ნაღდად —
ჩურილო პლენკოვიჩი!“

მორცხვად წამწამი დახარეს,
თავი ჩაიღეს მელად,
გული კი, გული ფართხალებს:
„აბა, ჰე, დელი-დელა“,

და თქვა მთავრისამ: „მიგრძნობდა
გული გუშინდელ დღიდან,
მთელ დღეს გუგულის ისმოდა
გუშინ ძახილი ტყიდან.

თან სიზმრად ვნახე — მუხებთან
ტყისკენ მიელო თავი,
იწვა და უღრანს უყეფდა
ჩვენი ქოფაკი შავი!“

მაგრამ მთავარმა მეუღლეს
შეაწყვეტინა მკაცრად,
ოქვა: „უნებართვოდ დაბრუნდით,
ეგ ვით მოგსვლიათ აზრად?!

გზა გქონდათ იქით-აქეთი,
ჩემის დაკვეთით ცხრა წლის,
დარღვევა როგორ გაბედეთ
ჩვენის ბრძანების მკაცრის?!“

„ნუ, ნუ შეგვრისხავ, არ გვსურდა
ჩვენ სხვა ცოცხალი თავით,
ჩვენ სომხის მეფის ასულთა
ტრფიალი უარვყავით.

უარს ნუ გვეტყვი უწყალოს,
ველით წყალობის სიტყვას:

მოგვეც! წლებია, უფალო,
თქვენი ქალები გვიყვარს!“

გულში იცინის მოხუცი,
ხოლო წარბს იკრავს ნაცვლად:
„ეგ ჩვენთვის არახალია!“ —
განგებ განაგრძნობს მკაცრად.

რუსეთის მიწა-წყალიდან
თქვენი შორსყოფნა ვბრძანე,
თქვენ კი დაბრუნდით მალე და
ბადე მზაკვრულად შალეთ!

მაგრამ რომ ველარ გაბედოთ
ჩემს დნეპრში თევზის ჭერა,
ვბრძანებ: მესერი აკეთონ,
ყურე ჩაჰკეტონ ყველა!

და კიდევ, რომ ვერ გაბედოთ,
კვერნებს აუღოთ კვალი,
ვბრძანებ: საზღვრები ჩაკეტონ,
მარჯვედ გადევნონ თვალი!

აწ ესრეთ დაგვიდგენია:
ვკრძალავ — მახით და ბადით,
სატყუვრით — ნება თქვენია,
თუ მიიტყუებთ, სცადეთ!

თუკი სურთ, — თვეა ხალისის,
ირგვლივ მაისი ჰყვავის, —
დე, გარდიწყვიტონ თავისით
ბედი საკუთარ თავის!..“

ეს განაჩენი რა ესმათ,
მორჩილად დგანან ყმანი,
თან გული გახეთქვაზე აქვთ —
პასუხს იტყვიან დანი...

რა, რა პასუხი გვაუწყეს,
ვინ გამოიცნობს ნეტავ?
ვერ გავარჩიეთ ხმაურში —
ირგვლივ მაისი ჟღერდა.

ვერ გავარჩიეთ, — წყალობა
იყო თუ გულის ტკენა, —
გვიშლიდა შაშვის გალობა,
იადონების სტვენა;

ცაში ყიჟინით ვიდოდა
წეროთა გუნდი, რაიც
ჩვენ ხელს გვიშლიდა, გვინდოდა, —
ვერ გავარჩიეთ, მაინც!

ვერ გავარჩიეთ, — გვწყენია! —
ჩურჩულით ითქვა, ნელა,
რაშოვდა! დელავ-დელია!
აბა, ჰე, დელი-დელა!

თარგმნა მურმან ლებანიძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*სერგი ჭილაია*

# ადექით, სასამართლო მოდის!

ქრონიკა

მედიკო იმ დილით შინ იჯდა და ფიქრობდა: ჩემი ქმრის, იმ დებილის, ჯიბრზე თითქმის ყველა საწადელი ამისრულდა! ასე არ არის? ბინა არ მქონდა, ბინა მაქვს; ჩემს მტრებსაც ხომ დაუდგათ თვალები, ინსტიტუტში აღდგენა ძნელი იყო, ჯაბამ აქაც მიშველა... და აჰა, სამკურნალო ფაკულტეტიც დავამთავრე...

მერე შემომიჩნდნენ, რაიონში უნდა წახვიდეო. უკაცრავად, მანამ არაფერი გეტკინოთ, სანამ სადღაც, სოფლის ორღობეებში ტალახიან გზებზე არ ვიარო. თბილისშიც მშვენივრადა ვგრძნობ თავს. საავადმყოფოში ყველა პატივისცემით მეპყრობა. მიმოვდივარ ამ კრიალა ოთახებში და ჩემი მტრები გულზე სკდებიან, ჭირსაც წაუღია ყველანი, მე რა ვქნა, თუ მაგათ თავიანთი ცხოვრების მოწყობის შნო და უნარი არა აქვთ!

არ უნდა ვიყო ჯაბას უმადური, არა! — ამ ფიქრებში ჩათვლიმა, დიდხანს იყო ასე, ძილსა თუ ზმანებაში... ზარის ხმა რომ მოესმა, გიჟივით წამოხტა. კარს ეცა, გააღო, არავინ იყო. ალბათ, მოეჩვენა.

დაბრუნდა, ტახტზე ჩამოჯდა და ერთბაშად ახლა მძიმე ფიქრები დაესივნენ. რაღაც აწუხებდა და ვერ ხვდებოდა რა იყო ეს. ადგა, გაიარ-გამოიარა ოთახებში, ნაუცბადევად გამოღვიძებულს რაღაც ლოდივით დააწვა გულზე, მერე თითქოს მიაგნო ამ სადარდელის მიზეზს:

— ცხოვრება მარტო ბინა, მარტო ავეჯი ხომ არ არის! უკვე ოცდაათი წლისა ვარ... მერედა რა მომელის ხვალ, ზეგ? სანამდე უნდა ვიყო იმ ბებერი ჯაბას საყვარელი? ახლა მე ხომ დამოუკიდებელი ადამიანი ვარ, ექიმი... მე შენ გეკითხები, მედიკო? — პირველად აღეძრა ეს მწარე კითხვა ქალს და სცადა პასუხი გაეცა ამ შინაგანი ხმისათვის.

— დიახ, მე მიყვარდა, მიყვარდა ბავშვური თავდავიწყებითა და გატაცებით. მანაც ამ სიყვარულს ყმაწვილკაცური გულმხურვალებით უპასუხა. მერე, მერე რა მოხდა? — ზის და იხსენებს მედიკო თავის პირველ სიყვარულს, — მერე ყველაფერი ერთ დღეს დაინგრა, სიყვარული მოჩვენება თუ ზმანება გამოდგა. იმ ჩემმა უსინდისო ქმარმა ორ წელიწადში მომიძულა და სხვა ითხოვა. ბევრი ვიტირე, და, როგორც იყო, შევურიგდი მომხდარ ამბავს. გადავწყვიტე ხელახლა მომეწყო ჩემი ცხოვრება, სწორედ ამ დროს შემხვდა ის კაცი, რამაძე, რომელმაც ჯაბასთან მიმიყვანა... მეც მივყევი, ნაფოტივით მივყევი ცხოვრების მდინარებას, ყოველივე ეს რაღაც აბურდულ სიზმარს ჰგავდა. გამომეღვიძა და ახლა ვეკითხები ჩემს თავს — წინ, წინ რა არის?

ზის და ფიქრობს მედიკო, ამ ფიქრმა ლამის მთლად გადარიოს. გრძნობს, რომ სადღაც, შორს შეტოპა, ქალის პატიოსნებას და ღირსებას ჩრდილი მიაყენა. და ეს მტანჯველი ფიქრი აღარ ასვენებს, აღარ ეხსნება. უცებ, თითქოს მის გონებას ბინდი გადაეხსნაო, ერთბაშად ამოიკვნესა: იქნებ ახლაც არ არის გვიან, ეგებ თავიდან დავიწყო ცხოვრება, მაგრამ როგორ, რანაირად?...

კვლავ გაისმა ზარის ხმა, კვლავ გაუწყდა ფიქრი, ადგა და კარი გააღო. ჯაბამ ისე დაუკითხავად შემოაბიჯა, როგორც სამუშაოდან შინდაბრუნებული, განებივრებული ქმრები შემოდიან ხოლმე ოთახში.

---

* დასასრული. იხ. „მნათობი“, № 3.

წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, სწორედ ისე იყო ახლა ჯაბას საქმე. ასე ეგონა, მედიკო იხსნიდა მას მოსალოდნელი უბედურებისაგან; ამიტომ იყო, რომ კანტორიდან პირდაპირ მას მიადგა. მედიკო შინ რომ დახვდა, ჯაბას ეს დიდად ესიამოვნა.

ქალს შილიფად ეცვა, თხელი ხალათი მკაფიოდ გამოჰყოფდა მისი ლამაზი ტანის ყოველ ნაკვთს და მისი ერთი შეხედვაც კი თავბრუს ახვევდა ათასი სადარდელით გამოლენჩებულ ჯაბას. ახლაც ერთბაშად გახალისდა კაცი, იქვე ტახტზე ჩამოჯდა, სადაც მედიკო იჯდა, მიუალერსა, ხელი მოხვია ქალს. მედიკომ ბრაზით მოიცილა მამაკაცის ხელები. მერე ერთბაშად მიახალა — არა, ჯაბა, დამანებე თავი, გვეყოფა ჩვენ სიყვარულობანას თამაში. მე, მართალია, ნაქმარევი ქალი მქვია, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ოცდაათი წლისა ვარ, უკვე ორი წელია საავადმყოფოში ვმუშაობ, და თუ ჩემი განყოფილების გამგეს დაეჯერება, ჩემგან შეიძლება კარგი ექიმი, კარგი სპეციალისტი გამოვიდეს, — აქ შეჩერდა, მერე ერთბაშად მოჰრა:

— მე ოჯახი მინდა, ოჯახი და შვილი! — ესა თქვა და სიამაყით წელში გასწორდა, — ჰოდა, სიყვარულობანას ეს თამაში ამით დავამთავროთ, ჩვენ კი დავრჩეთ მეგობრებად, მეტი არაფერი, — თითქოს ნათქვამი საკმარისად არ მიიჩნიაო, მედიკომ გაიმეორა: — მე უნდა გავთხოვდე, უნდა გავთხოვდე, ჯაბა, მე უკვე დავიმსახურე პატიოსანი ქალის სახელი ჩემს საავადმყოფოში და არ მინდა, არ მინდა ვინმემ შემილახოს ეს რეპუტაცია. აი, უკვე შენმა ცოლმა მოგვაგნო, მეზობლები ჩურჩულებენ... მე მეყოფა, ისედაც მეყოფა რაც მჭირს, — აქ თავი ვერ შეიკავა და ატირდა მედიკო.

— ნეტა, რა გჭირს, რა მოხდა ისეთი, რომ სტირი. ღმერთმაც იცის და შენც იცი, არაფერი დამიკლია შენთვის, არაფერი დამიშურებია... კიდევ რა არის საჭირო, მითხარი, და მზადა ვარ. მე ძუნწი არავის მიმართ არ ვყოფილვარ და შენ, შენ რას დაგაკლებ, ოღონდ მითხარი, ოღონდ ჩემი იყავ ბოლომდე. მე შენგან ველოდი ხსნას და გადარჩენას, — კინაღამ წამოცდა, იმ შენი ნათესავის იმედი მაქვს და ამიტომ მოვედიო, მაგრამ გადაიფიქრა და ესა თქვა: — ბევრი მტერი მყავს, ძალზე ბევრი, მაგრამ ჯაბა ისე არ წახდება, რომ ვიღაც ბიჭ-ბუჭები მოერიონ. ოღონდ ახლა შენი ერთგულება მჭირდება, შენი კეთილი გული. ოღონდ ჩემი იყავ, ჩემი და მე...

— რას ნიშნავს შენი ვიყო, — აფეთქდა მედიკო, — შენ ცოლს არ მიატოვებ და ოჯახს, და მე არც მოვითხოვ ამას შენგან. ოღონდ მე არც ის მინდა, რომ მეორე, დამატებითი ცოლი ვიყო. არა, დავარქვათ ამას ნამდვილი სახელი — ხასა, ხასა ვიყო... — და ქალს ისტერიკული ტირილი აუვარდა.

— ეს რა თქვი, — ამშვიდებდა ჯაბა, — ჩვენ მეგობრები ვართ, შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის, ყველაფერი, — ღუღლუღებდა კაცი. მედიკო გულთან არ იკარებდა მის სიტყვებს.

— რა მეგობრობაზე შეიძლება აქ ლაპარაკი. შენ ფული გაქვს, ჯაბა, ფული და ასე გგონია, ყველაფერი ნებადართულია შენთვის. შენ ბევრი ფული გაქვს, ყველაფრის ყიდვა შეგიძლია და გადაწყვიტე მეც მიყიდო. აკი მიაღწიე კიდეც ამ მიზანსაც... — ესა თქვა, თითქოს ნათქვამისა შერცხვაო, სახეზე ხელი აიფარა და უფრო მწარედ აქვითინდა.

ჯაბა ამას არ მოელოდა. აქ იმიტომ მოვიდა, რომ ეგონა აფორიაქებულ ფიქრებს დაიმშვიდებდა, ეგონა მედიკო უშველიდა, რომ რამძის მეოხებით იმ კაცთან, იმ დიდ კაცთან როგორმე მიაღწევდა. და აი, მოხდა სრულიად საწინააღმდეგო. სწორედ რომ ამას არ მოელოდა ჯაბა და დაიბნა, თავის ცხოვრებაში პირველად დაიბნა. იგრძნო ეს მედიკომ და ახლა დაყვავებით მიმართა:

— რაც იყო იყო, გვეყოფა... სულელი ვიყავი და ასე სულელად არ მინდა დავრჩე. მივხვდი, რომ შევცდი, და იმასაც მივხვდი, რომ არ არის გვიან ეს შეცდომა გამოვასწორო. ხვალ, ზეგ უკვე გვიან იქნება, როცა ყველა გაიგებს, რომ მე შენი ხასა ვარ, — ამ სიტყვის გამეორებაზე ისევ ატირდა მედიკო. მერე ისევ მოიკრიბა ძალღონე და განაგრძო: — წადი, ჯაბა, წადი, შენ შენთვის, მე ჩემთვის... ნუ შემიშლი ხელს დროზე გამოვასწორო, რაც დავაშავე, წადი, შენც გეყოფა და მეც მეყოფა, რაც ცუდი რამ ჩავიდინეთ. წადი, შენს ოჯახს, შენს ცოლ-შვილს მიხედე, შენს საქმეს მიხედე... — აქ შეჩერდა მედიკო; კაცი უკვე აღარ უსმენდა მას, მისი გონება, დაპატიმრების შიშით დაცხრილული, მისი ფიქრები შორს დაფრინავდნენ; ახლა ისღა ჰქონდა საზრუნავი, თუ როგორ გადაერჩინა თავი. მედიკოსთანაც ამ მწარე ფიქრებმა მოიყვანეს და აქ მოულოდნელად სულ სხვა ამბავი დატრიალდა. მედიკოც კი გადაუდგა. ერთბაშად გონს მოეგო, მის არსებაში ძველმა ჯაბამ გაიღვიძა და მოღალატე სატრფოს შეუტია:

— ეს რა გამოდის?... როცა გჭირდებოდი, მიყენებდი კიდეც, და შენს ფანდურზე მაცეკვებდი. ახლა კი, როცა ბინაც მიიღე, სამსახურიც, ავეჯიც, და ის ზიზილ-პიპილოებიც, — ხელი ტუალეტის მაგიდისაკენ გაიშვირა ჯაბამ, — აწი აღარ გინდა ჯაბა, ხომ?

არა, ასეთ უტიფრობას არ მოელოდა მედიკო და ერთბაშად იფეთქა უზომოდ ამპარტავანმა და ჯაბასაგან განებივრებულმა ქალმა:

— რას მაყვედრი, შე მათხოვარო! აჰა, წაიღე ეს ჰინჰები, ეს სამაჯურებიც, ეს საყურე-

ბიც, ეს... ეს... — ყვიროდა შეშლილივით მედიკო, ტუალეტის მაგიდიდან, კარადებიდან იატაკზე ყრიდა ძვირფას ნივთებს და ალქაჯადქცეული გაჰკიოდა: — წაიღე... ყველაფერი წაიღე, მომაცილე, მომაშორე ეს სიბინძურე, ეს ჰუჰყი...

ჯაბა გაშეშებული იდგა და მედიკოს ემუდარებოდა: დაწყნარდი, დამშვიდდი, რა იყო, რა მოხდა ასეთიო...

მაგრამ ყველაფერი უკვე ამაო იყო. ქალს აღარაფერი ესმოდა.

— შენ მთლად ნერვებაშლილი ხარ, მედიკო. მე არ ვიცი, რა მოხდა... ხვალ მოვალ და უფრო დამშვიდებით მოვილაპარაკოთ, — ესა სთქვა და ნირწამხდარი კაცი იქაურობას გაეცალა.

* * *

იმ დღეს ჯაბამ ისიც შეიტყო, რომ ალმასკომის თავმჯდომარის ის მოადგილე დაეპატიმრებინათ, რომელიც ყველაზე ახლო იყო მასთან. ჯაბა მიხვდა, რომ კვალი მისკენ მოდიოდა. შეიტყო თუ არა ეს ამბავი, შინ გამოიქცა და საიდუმლოდ გადანახული განძის ახალ ადგილზე გადამალვაზე დაიწყო ფიქრი. ახლა ცოლსაც გაანდო ყველაფერი, დაწვრილებით უამბო, თუ რა განსაცდელი უახლოვდებოდა მასაც და მის ოჯახსაც. სწორედ ამ დროს ჯაბას ბინას რვა უცნობი კაცი მიადგა. მათგან სამი უმალ ჯაბას სამუშაო კაბინეტში შევიდა, მათ საწერ მაგიდაზე დაუდეს დაპატიმრების ორდერი და ბინის გაჩხრეკას შეუდგნენ. საკვირველი ის იყო, რომ მოსულებმა სულ ადვილად მიაგნეს ჯაბას საიდუმლო სალაროს და იქიდან გადმოღებული აურაცხელი ფული მაგიდაზე რომ დააწყეს, თვითონ ჯაბას გაკვირვებით აღმოხდა: „ოჰო, ჰო!" უცებ გონს მოეგო, ძირს დახარა თავი. ამის შემდეგ ჯაბას პირველი სალაროდან ძველი, გაყვითლებული ას-ასმანეთიანების ათი შეკვრა რომ ამოიღეს და მაგიდაზე დაალაგეს, გამომძიებელსაც გაუკვირდა, ეს ხმარებიდან ამოღებული ძველი ქაღალდის ფულები რად შეუნახავსო; უნდოდა ეკითხა, მაგრამ თავი შეიკავა და ახლა მეორე სალაროს მიადგა გამომძიებელი, აქედან გამოღებული ძვირფასი ნივთები საწერ მაგიდაზე არ დაეტია... ოქროს სამაჯურები და საათები, ბრილიანტები და მარგალიტები, ფირუზი და ლალი ჯაბას გრძელსა და ვიწრო საწოლზე გამოფინეს. ჯაბას სამუშაო კაბინეტი მუზეუმს დაემსგავსა.

მერე, ის იყო, მეზობელი ბინიდან ცნობილი პროფესორი გამოიძახეს, რომ ამ ამბავს დასწრებოდა. აქტი შეადგინეს, ერთი პირი ოჯახს დაუტოვეს, დანარჩენი თან წაიღეს, ასევე თან წაიღეს მთელი ფული და ძვირფასი ნივთები. ჯაბაც თან წაიყვანეს. და ყველაფერი ეს ისე უეცრად მოხდა, რომ თვით ჯაბას ცოლიც ვერ გაერკვა, როგორ მოასწრეს ყველაფერი ასე მოკლე დროში.

ერთი კვირის შემდეგ ჯაბას ცოლი დაიბარა იმ ჭაღარა, მაღალმა გამომძიებელმა, რომელმაც ჯაბას დაპატიმრების დღეს აქტი შეადგინა, სადაც ჩამოწერილი იყო თანხების რაოდენობა და ძვირფასი ნივთების სია. მთელი სამი საათი ეკითხებოდა ქალს ჭაღარა გამომძიებელი და ყველაფერს იწერდა, მერე ეს ჩვენება გამომძიებელმა ჯაბას ცოლს წაუკითხა და ხელი მოაწერინა.

მეორე დღეს გამომძიებელმა მედიკო დაიბარა. ქალი შეშფოთებული, აღელვებული იყო და გამომძიებლის ყოველ შეკითხვას უარით პასუხობდა. მერე, როცა გამომძიებელმა ლაპარაკი ჩამოაგდო მისი ბინის აშენების, კოოპერატივში ჩაწერისა და ფულის გადახდის თაობაზე, მედიკო ჯერ დაიბნა, მერე თითქოს ერთბაშად გონს მოეგო, გამომძიებელს ნერვიულად უპასუხა:

— ამაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით... მე ყველა საბუთი და დოკუმენტი რამაძეს ჩავაბარე, — თანაც რამაძის სამუშაო ადგილი და მისამართი დაუსახელა, იმას ჰკითხეთო.

გამომძიებელს არ მოეწონა მედიკოს ასეთი არაგულწრფელი პასუხი. მან ხომ იცოდა, თუ ვინ გაუგზავნა ჯაბას ეს ლამაზი ქალი, რა გზებით და ხერხებით გააფორმა მან იგი კოოპერატივში, მერე როდის, რამდენი ფული გაიღო ჯაბამ მისი ბინისთვის, თუ ბრილიანტებისათვის. რასაკვირველია, ისიც იცოდნენ, რომ რამაძე იყო პირველი შუამავალი „პასუხისმგებელი პირის" დავალებათა შესრულების დროს... ყველაფერი, ყველაფერი იცოდა გამომძიებელმა, მაგრამ რაკი მედიკო ამ კითხვებზე პირდაპირ პასუხს არ იძლეოდა, გამომძიებელმა აღარაფერი ჰკითხა და იმ პირობით გაუშვა შინ, რომ კვლავ გამოიძახებდნენ.

მედიკოს დაკითხვის შემდეგ გამომძიებელმა რამაძე დაიბარა, მაგრამ მოახსენეს, რომ ეს კაცი გულის ინფარქტით გუშინ გარდაიცვალაო.

აი, ასე, მედიკოსა და „პასუხისმგებელი მუშაკის" ურთიერთობის საიდუმლოება საფლავში ჩაიყოლა ამ საქმის შუამავალმა რამაძემ.

მთელი თვე გავიდა, ვიდრე მედიკოს ხელახლა გამოიძახებდნენ. ამჯერად გამომძიებელმა ჯაბა და მედიკო პირისპირ წაუყენა ერთიმეორეს. ქალი იძულებული გახდა ახლა კი „გულწრფელად" და პატიოსნად ეთქვა ყველაფერი. ამის შემდეგ ის შინ გაუშვეს, ხოლო მისი აღსარებანი და ჩვენებანი ჯაბას საქმეს თან დაურთეს.

ჯაბა სულ ელოდა, ჩემი „მფარველები", დღეს თუ არა, ხვალ, მაინც რაიმეს ილონებენ

და ამ ქალარა გამომძიებელს ჩემს თავს ასე ხელში არ შეატოვებენო. მაგრამ, რაც დღე გადიოდა, საქმის ვითარება სულ უფრო რთულდებოდა... ჯაბას საქმეს ახლა არა მარტო ეს ქალარა კაცი, კიდევ ხუთი გამომძიებელი იძიებდა, ერთ დღეს ერთთან შეიყვანდნენ ჯაბას, მეორე დღეს — მეორესთან და ასე შემდეგ...

ერთ დღეს ჯაბას გაზეთი „კომუნისტი“ შეუტანეს საკანში. გაზეთში დაწვრილებით იყო მოთხრობილი, თუ რა ხერხებით იხვეჭდნენ აუარებელ ფულსა და ქონებას ჯაბა ბერიშვილი და მისი საქმის თანამონაწილენი; ეს რომ წაიკითხა, ჯაბას იმედის ოდნავი ნატამალიც კი აღარ შერჩა, მიხვდა, რომ აღარაფრის დამალვას აზრი აღარა ჰქონდა. ამის მერე, მაინც მთელი ორი დღე ებრძოდა საკუთარ თავს, ბოლოს გადაწყვიტა ეთქვა სიმართლე...

დიახ, სიმართლე უნდა ეთქვა, ოღონდ ისე, რომ ამოეყარა იმათი ჯავრიც, ვინც ერთგულ მეგობრად აჩვენებდნენ თავს, განსაცდელის დროს კი ასე გადაუდგნენ და გაწირეს. კარგი ბატონო, ვთქვათ, მე არამზადა და მექრთამე ვარ, მაგრამ ვინ არიან ისინი, ვისაც ასე უხვად ვურიგებდი ფულებს. არ იციან, რომ ვალს გადახდა უნდა?! ეგ კი არა, იმასაც არ კითხულობენ, რა დღეში ვარ. ჩემზე უფრო დიდი დამნაშავენი არხეინად დასეირნობენ რუსთაველის პროსპექტზე, და ჩემთვის უბრალო მოკითხვა რა არის, ისიც არ ემეტებათ. გამოდის, რომ ჩემგან მარტო ფული უნდოდათ, ფული და უკანონოდ საქმის მოგვარებები. ადრე რომ „ძმობასა და მეგობრობას“ მპირდებოდნენ, ასე როგორ გამწირეს. ესაა მათი მეგობრობა? ესაა მათი პირობა?

იმავე ხანებში ჯაბამ მეორე გაზეთში ერთი კრების ანგარიში წაიკითხა. კრებაზე, სხვათა შორის, მასზეც ელაპარაკნათ და ერთ ორატორს პირდაპირ ოთხში ამოელო ჯაბა, ასულიყო ტრიბუნაზე და ეთქვა: „ჯაბა ბერიშვილი მარტო ახლა კი არა, ადრეც გათახსირებული კაცი იყო, წინათაც უკანონო საქმეთა გამო არაერთხელ იყო მხილებული, ინსტიტუტიდანაც ამიტომ მოხსნესო. როგორ გამოგვეპარა ყოველივე ეს? ეს რა დოყლაპიობა გამოვიჩინეთო“, და სასტიკად აკრიტიკებდა თავის თავს, თავზე ნაცარს იყრიდა...

„როგორ უსინდისოდ ტყუის, — ბრაზობდა ჯაბა, — ამ ორატორმა ყველაფერი იცოდა, არაერთხელ მოსულა და უნახავს ჩვენი მშენებლობა, განა მან არ გამაფორმებინა უკანონოდ ჯერ ერთი კაცი, მერე — მეორე... ნამდვილად უნამუსოა, უსინდისო. ტრიბუნაზე, რომ გაიჭიმებიან და ხელებს უქნევენ იქიდან ვილაცეებს, რათ ავიწყდებათ, რომ თვითონ არიან პირველი ქურდები და უნამუსოები?“ ჯაბას ავიწყდებოდა, რომ თვად არაერთხელ ემოსულა ასე უსირცხვილოდ და უსინდისოდ.

მაგრამ ახლა ეს კი არა, მთავარი ის იყო, რომ თვითონ ამხილეს, თვითონ საკანში ზის, ხოლო მისი მსგავსი უსინდისო და ორპირი, მექრთამე და მომხვეჭელი არა მარტო გარეთ დასეირნობს, არამედ ტრიბუნაზედაც შემდგარა, იქიდან გვიქნევს ხელს და გვარიგებს ჭკუას. მაშ, რაკიღა ასეა, ახლა მე მაცალეთო, — თქვა ჯაბამ, აიღო შავყდიანი დიდი რვეული და შეუდგა წერას. მთელი თვე წერდა, იხსენებდა, ანგარიშობდა, კოოპერატივის ძველ სიებს ითხოვდა. მოუტანდნენ ამ სიებს, საბუთებს და ჯაბა კვლავ იწყებდა წერას, ისევ იხსენებდა, ისევ ანგარიშობდა ვის რამდენი მისცა, როდის, სად, ვისგან რამდენი აიღო, ვისი თანდასწრებით. მერე მთელი ეს ასგვერდიანი მოხსენებითი ბარათი გამომძიებელს გადასცა და სთხოვა: ეს მისი გულწრფელი აღსარება თუ ჩვენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისათვის წარედგინათ.

... გამოძიება საკმაო ხანს გაგრძელდა, ამ საქმეში ბევრი აღმოჩნდა ჩარეული. გამომძიებლებმა სამასამდე კაცი დაკითხეს და ორმოცტომიანი საბრალდებლო დასკვნა დაწერეს. სამართალში მიცემული ოცდაერთი კაცის საქმე ცალკე გამოიყო და სასამართლოს გადაეცა, სახელმწიფო ბრალმდებლად პროკურორი მიხა გობეჩია დაინიშნა.

* * *

მიხა გობეჩია ბოლშევიკთა ძველ გვარდიას ეკუთვნოდა. ის ერთი შეუვალი, უმწიკვლო, საქვეყნო საქმისათვის თავდადებული კაცი იყო; ჩვენ ხელთა გვაქვს მისი ვრცელი ავტობიოგრაფია, რომელიც საქართველოს პროკურატურის კადრების განყოფილებაში ინახება. იქიდან ჩვენ ამოვწერეთ ზოგი რამ და ამ ქრონიკას დავურთეთ.

„მამაჩემი ძველი რევოლუციონერი იყო. ჩვენი ოჯახი ნაძალადევში ცხოვრობდა, რკინიგზის მუშის დემურიას ორსართულიან სახლში ერთი პატარა ოთახი გვექირა. მამა, დედა და მე — სულ ეს იყო მთელი ჩვენი ოჯახი. მამა დეპოში მუშაობდა ზეინკლად, უთენია დგებოდა. საყვირის ხმაზე მეც მეღვიძებოდა და დედასაც. დედა ჩაის აადუღებდა. მამასთან ერთად მეც ვსაუზმობდი, მერე მამა სამუშაოდ მიდიოდა, მე კი წიგნს ჩავუჯდებოდი და ვიზეპირებდი ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარ პუშკინის ლექსს, მერე სკოლაში მივდიოდი.

მთელ ნაძალადევში მაშინ ერთადერთი სკოლა იყო, ე. წ. ბოტეს სკოლა, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე. მეც იქ ვსწავლობდი. შინ რომ ვბრუნდებოდი, ისევ გაკვეთილებს ვუბრუნდებოდი. კარგ მოწაფედ ვითვლებოდი. სწავლაში, სამუშაოდან გვიან დაბრუნებული მამა მეხმარე-

ბოდა. დედაჩემმა კი წერა-კითხვაც არ იცოდა, მამას ორკლასიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული და ლექსებსაც წერდა. წიგნი ძლიერ უყვარდა და მისი ეს გატაცება მეც გადამედო. მამას ვბაძავდი ყველაფერში და წიგნის სიყვარულშიაც.

კარგად მახსოვს, ერთხელ შუაღამისას მოვიდნენ წითელეპოლეტებიანი კაცები, სახლში დაუკითხავად შემოვიდნენ, მამას რაღაც ნაგლეჯი ქაღალდი ჩააბარეს და ოთახის გაჩხრეკას შეუდგნენ, თაროებიდან და განჯინებიდან ყველაფერი იატაკზე გადმოყარეს. მერე იქიდან რაღაც ქაღალდები აარჩიეს და მამაც თან წაიყვანეს.

ორი კვირის შემდეგ შევიტყვეთ, რომ მამა მეტეხის ციხეში დაემწყვდიათ. მე და დედა მაშინვე მის სანახავად წავედით. წვერმოშვებული მამა ძლივს ვიცანი. რიკულებს იქით იდგა, გვიღიმოდა და გვაიმედებდა. იქ გავიგე, რომ მამაჩემი რევოლუციური მუშაობისათვის დაეპატიმრებინათ და ახლა გასამართლება ელოდა. მამა კი გვამხნევებდა — სულ მალე გამოვალ და თქვენთან ვიქნებიო. მას მერეც ბევრჯერ მივაკითხეთ, მაგრამ მამას აღარ გვიჩვენებდნენ; ერთი თვის შემდეგ საჭმელ-სანოვაგე რომ მივიტანეთ, უკან გამოგვატანეს და გამოგვიცხადეს, გობეჩია ციმბირში გადაასახლესო.

ამის შემდეგ მამა თვალით არ გვინახავს და კარგა ხანს არც წერილი მიგვიღია მისგან.

ძლიერ გაგვიჭირდა, დედამ მრეცხაობა დაიწყო და პურის ფულს ამით შოულობდა. მე კვირაობით დედულეთში, გორში მივდიოდი, ბებიას სანახავად. ბებია შოთი-პურებს, ყველს, ხილს და ხანდახან დაკლულ ქათამსაც გამომატანდა. თვეში ერთხელ კი, დედა მამაჩემის სოფელში, ძველ სენაკში ჩადიოდა და იქიდან მოჰქონდა სიმინდის ფქვილი და ლობიო. ეს იყო მთელი ჩვენი საზრდო. ადრე ჩვენი ოჯახი რკინიგზელების ოჯახად ითვლებოდა, და მატარებლის ბილეთი უფასო გვქონდა. ამიტომ თბილისიდან გორამდე მგზავრობა ჩემთვის ძალზე იოლი საქმე იყო. მამა რომ დაიჭირეს, უფასო ბილეთი ჩამოგვართვეს.

მახსოვს, მარტის თვე იყო, ციოდა. დედამ თბილად გამომაწყო და მატარებელში ჩამსვა. მე უბილეთო, რვა წლის ბიჭი ვაგონის ერთ კუთხეში მივინაბე: უცბად კონდუქტორი გამომეჭიმა წინ და ბილეთი მომთხოვა. მე რაღაცეები მოვიმიზეზე, არც კი მახსოვს რა, მაგრამ ჩემმა მუდარამ არ გაჭრა და იქვე, მცხეთაში, მატარებელი რომ გაჩერდა, ძირს ჩამომსვა. დავღონდი, ერთხანს სადგურის წინ ვიდექი და ისევ მატარებლის გამოვლას ვუცდიდი, მაგრამ ამაოდ, მატარებელი არ ჩანდა. გარეთ სიცივემ ამიტანა და შიგნით, იმ დარბაზში შევედი, სადაც ბუფეტი იყო. ნაირნაირი საჭმელების სურნელებამ მადა გამიღვიძა და ჩემდაუნებურად ბუფეტს მივადექი. მებუფეტემ რაღაც მკითხა, მე პასუხი არ გავეცი და ისევ გარეთ გამოვედი.

ვდგავარ გარეთ და გავყურებ ჩემს წინ ატუზულ დათოვლილ მცხეთის მთას. თვალზე თითქოს ლიბრი გადამეკრა და გონება დამიბნელდა. არ ვიცი, შიმშილისაგან იყო ეს, თუ სიცივისაგან. გონება მოვიკრიბე და ისევ შენობაში შევედი. ახლა უაზროდ დავიწყე ამ დიდ დარბაზში ხეტიალი. მიმოვდივარ აქეთ-იქით და თვალი ისევ საჭმელებისაკენ მიმირბის. მივედი ახლოს. მიყურებს მებუფეტე და უკვირს, ასე დაჟინებით რომ ვაცქერდები. ვერ მოითმინა და მკითხა, რა გინდაო, ბიჭო! ველარ მოვითმინე და ვიყვირე — მშია, მშია-მეთქი. შევატყვე მებუფეტეს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ხმამაღლა ტირილი დავიწყე და მუხლმოკვეთილი იქვე სკამზე ჩამოვჯექი.

ამ დროს დარბაზში მაღალ-მაღალი კაცი შემოვიდა, გრძელი, წაბლისფერი წვერი მკერდზე ჩამოშვენოდა. ატირებული რომ დამინახა, მომიახლოვდა. უცნობმა დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი, და როცა გაიგო, რომ აქ უფულობის გამო ჩამომსვეს მატარებლიდან და გორში ბებია მელოდებოდა, მომეფერა, და მებუფეტეს უბრძანა, ჩემთვის საჭმელი მოეტანა. მომიტანეს პირველი, მეორეც და მცხეთური ღვეზელიც; გეახელით ყველაფერი ეს, სული მოვითქვი და ახლა ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა ქვეყანაზე. მერე ისევ გამოკითხვა დამიწყო იმ წაბლისფერწვერებიანმა კაცმა. მამაჩემის დაპატიმრებისა და გადასახლების ამბავი რომ გაიგო, უფრო შეწუხდა, როგორ, როდის მოხდაო, წერილებს თუ გიგზავნითო მამაშენი? ისე შეწუხებული მეკითხებოდა ყოველივე ამას, ასე ვიფიქრე, ალბათ, მამაჩემის ნაცნობია და ამიტომ წუხს ასე-მეთქი.

ამასობაში კარგა დრო გავიდა. თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლდა. თორმეტზე კი ფოთის მატარებელი ჩამოივლიდა და აქ, მცხეთის სადგურზე გაჩერდებოდა. ესეც ამ სათნო ადამიანისაგან გავიგე. ისევ მოიხმო უცნობმა მებუფეტე და რაღაც უთხრა. მებუფეტე ათ წუთში დაბრუნდა და გორის ბილეთი ხელში შემომაჩეჩა. ის იყო მატარებელიც ჩამოდგა. ის მაღალი კაცი გარეთ გამომყვა, მატარებელში ჩამსვა, ნაცნობ კონდუქტორს ჩააბარა ჩემი თავი, თან ერთი მანეთიანი ვერცხლის ფული მომცა და გზა დამილოცა.

ეს რაღაც ზღაპრივით იყო, სწორედ ზღაპარში მომისმენია ასეთი ამბავი, თორემ ცხოვრებაში, თუმცა მე სულ რვა წლისა ვიყავი, ამის მსგავსი სიკეთე არა მრგებია-რა. ჰო, როგორ ჩამებეჭდა მეხსიერებაში ის ხანში შესული, მამასავით კეთილი კაცი. მცხეთიდან გო-

რამდე ფეხზე ვიდექი და ისე ვლოცავდი იმ სათნო ადამიანს, ისე მეგონა, მამაჩემმა გამოგზავნა ის ჩემს საშველად.

გორში რომ ჩავედი, შუაღამე გადასული იყო. ბებიაჩემი მარტო ცხოვრობდა. როცა მივედი, გულში ჩამიხუტა. ვუამბე ყველაფერი, რაც გადამხდა, ხატის წინ დაიჩოქა და მთელი ღამე თვალცრემლიანი იმ კაცს ლოცავდა, რომლის სახელი არც იმან იცოდა და არც მე.

იმ ღამეს ცუდად მეძინა. ჩამთვლემდა თუ არა, ის კონდუქტორი დამესიზმრებოდა, ყურში ხელი რომ ჩამავლო და ასე წოწიალით ძირს რომ ჩამომსვა მცხეთის სადგურზე. თვალს გავახელდი და თვალწინ ის ჩემი კეთილი კაცი დამიდგებოდა, სახეგაღიმებული და ჩემზე მზრუნველი. დილით ადრე ავდექი, უჭინარი და მთლად აღგზნებული. ბებია ძროხას წველიდა. მივეშველე, მერე ვისაუზმეთ, წამოსვლისას ბებიამ ძველ კალათში ჩამილაგა შოთი-პურები, მოხარშული კვერცხები, ყველი, ხილი და სადგურამდე მომაცილა. გორი-თბილისის მატარებელი დღის სამ საათზე გამოდიოდა ვჩქარობდი. ფანჯარასთან ვიდექ და სადგურებს გავყურებდი. მატარებელი მცხეთასთან რომ გაჩერდა, ჩამოსვლა დავაპირე, მაგრამ შემეშინდა არ დავრჩენილიყავი. სადგურზე გულისყურით ვადევნებდი თვალს ყველას, მაგრამ ის კეთილი კაცი ველარსად დავლანდე. შინ რომ მივედი, დედასაც დაწვრილებით ვუამბე, რაც გადამხდა. ისიც ბებიასავით ლოცავდა იმ კეთილ კაცს, თან ცრემლებად იღვრებოდა. თან წყევლიდა ყველას, ვინც ამ დღეში ჩაგვაგდო. იმ დღეს დიდად სასიხარულო ამბავი მოხდა. მამას წერილი მივიღეთ. გვწერდა, ჩვენი საქმე პეტერბურგში გავასაჩივრეთ და იმედია მალე გამომიშვებენო.

მერე და მერე ჩვენი საქმე უფრო ცუდად დატრიალდა. მამაჩემისაგან მეტი წერილი აღარ მიგვიღია. დედა ავადმყოფობდა და მე იძულებული გავხდი მუშაობა დამეწყო. მამაჩემის ამხანაგებმა დეპოში წამიყვანეს, და იმ დაზგაზე, რომელზედაც მამაჩემი მუშაობდა, შეგირდად დამაყენეს. პირველად გამიჭირდა, მერე შევეჩვიე და საქმესაც და მამაჩემის ამხანაგებსაც. ჩვენს ქარხანაში ჩემი ტოლი რამდენიმე ბიჭი მუშაობდა, მათ შორის იყო ჩვენი სახლის პატრონის დემურიას ვაჟიშვილიც. აი, ამ დემურიასთან ერთად მივდიოდი უთენია ქარხანაში და მასთან ერთად ვბრუნდებოდი შინ დაღამებისას.

ერთხელ, დილით, ისევ აწრიალდა ჩვენი ოჯახი. ვილაც ფარაჯიანი კაცი მოვიდა, დიდხანს ელაპარაკა დედაჩემს, მერე დედაჩემმა ტირილი დაიწყო. ის კაცი რომ წავიდა, დედამ თავისთან მიმიხმო და მითხრა: აი, შვილო, ეს რვეული მამაშენისაა, აქ რომ იყო, იმ კაცისათვის გამოუტანებია ეს რვეული და ხუთი მანეთი ფული. თურმე ეს კაცი მამასთან ერთად მუშაობდა ოქროს საძიებო სამადნოებში და, რომ გაუთავისუფლებიათ, მამას ეს ამანათი გამოუტანებიაო.

— მამა? ის რატომ არ გაათავისუფლეს? — ვიკითხე მე. დედას კვლავ ტირილი მოერია. და მაინც გამაგებინა: მამაშენი ისევ იქ მუშაობს, ორ წელიწადში გაუთავდება გადასახლების ვადა და დაბრუნდებაო, — თქვა და რვეული გადმომცა. ვნახე, ლექსები იყო. მთელი თვე თან დამქონდა უბით ეს რვეული და ვიზეპირებდი მამაჩემის ლექსებს, ზოგს სევდიანსა და ზოგსაც იმედით აღსავსეს. ვისაც უმამობა არ განუცდია, ის ვერ მიხვდება, რა ხდებოდა ჩემს სულში. ახლა ეს ლექსები ჩემთვის ლექსებიც იყო, მშვენიერი ლექსებიც, და საყვარელი მამაც, ძალით რომ მომგლიჯეს მკერდიდან და გადამიკარგეს, ასე რომ მენატრებოდა, როგორც გათენება, დღე და სიცოცხლე.

ერთხელ ეს ლექსები ჩემს მეგობარ დემურიას ვუჩვენე. მის თვალებში ცრემლი შევნიშნე, როცა ჩემთვის მოძღვნილი ლექსი „ჩემს შვილს მიხას“ წავუკითხე. გადამეხვია და მაკოცა. ძლიერ გამეხარდა, მივხვდი, რომ ჩემი მეგობრის სულშიც იპოვნა ამ ლექსმა ბინა. მივხვდი, რომ მეგობრის მხრივ გამოჩენილი ეს ინტერესი, უბრალო შეცოდებით და თანაგრძნობით კი არ იყო გამოწვეული, არამედ მის სულშიც დაებუდებინა სულისშემძვრელ და ამფორიაქებელ ძალას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ძველ სამყაროს და მომავლის რწმენით რომ იყო გაშუქებული. აი, ამან გამახალისა მეც და მზად ვიყავ სამაგიერო მიმეზღო ყველა იმისთვის, ვინც ბორკილებს ადებდა თავისუფლებისაკენ მომწოდებელ აზრს.

ასე დაიწყო ჩემი ცხოვრების ახალი გზა. ამ გზაზე ბევრი ხიფათი და წვალება გადამხდა. მაგრამ ნამდვილი და რწმენით განათებული გზა მე სხვაგვარად არც წარმომედგინა. სულ მალე მე თავად მოვხვდი მამაჩემის მეგობრების, მოწინავე მუშების წრეში და გზა გავიკვლიე ამ ცხოვრებისა — ყველაზე საიდუმლო და სახიფათო დავალებას მე მაძლევდნენ.

მაგონდება ცხრაასთექვსმეტი წლის აღდგომის ღამე. წინადღით ნაძალადევში, დემურიას სახლში, საიდუმლო კრება იყო. ამ კრებაზე მე დამავალეს სიონის ეკლესიაში შემეტანა პროკლამაციები და ჩუმად მლოცველებისათვის დამერიგებინა. საღამოს რვა საათი იქნებოდა. მარტის თვე იყო. ციოდა. მე მეცვა გახუნებული ტყავის შავი პალტო, რომელსაც შიგნით ორი დიდი ჯიბე ჰქონდა. ეს ჯიბეები კარგად გამოვიტენე კოხტად დაკეცილი პროკლამაციებით. ასე შევედი სიონის ეკლესიაში. მლოცველები ჯერ ცოტანი იყვნენ, თანდათანო-

ბით ემატებოდნენ. მეც ვიდექი უკან და ყოველ კაცს ვაკვირდებოდი. როცა საკმაოდ გაივსო სამლოცველო, ჯიბიდან ამოვალაგე პროკლამაციები და, როგორც დარიგებული ვიყავი, მიმოვფანტე აქეთ-იქით. წამიც და, ატყდა ჩოჩქოლი, აირია იქაურობა, ამით ვისარგებლე და შეუმჩნევლად გამოვიპარე სიონიდან. მერე რა მოხდა, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ მეორე დღეს ნაძალადევშიც დადიოდა პოლიცია. ყოველ სახლს და ეჭვმიტანილ ოჯახებს ჩხრეკდნენ. ჩვენი სახლიც გაჩხრიკეს. მერე, საღამოს, შინ რომ დავბრუნდი, დედა შეშინებული მიამბობდა პოლიციელთა თავდასხმის ამბებს და მეუბნებოდა: „ფრთხილად იყავი, შვილო, ჩემს ოჯახს ის ერთი მსხვერპლი ეყოფაო“.

იმ აღდგომის დღეს კი გადავრჩი, მაგრამ, ხომ ამბობენ, კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანსო. იმ წლის აგვისტოში მოგვაგნეს და დემურიას სახლში არალეგალურად შეკრებილი ხუთი კაცი გაგვაბეს მახეში. პროკლამაციებს ვკითხულობდით. იმავე დღეს მეტეხის ციხეში ამოვყავი თავი. მეორე დღესვე გაეგო დედას, რაც მოხდა და ციხეში მოვარდა, მაგრამ ამაოდ. არავის არ გვაკარებდნენ.

დაიწყო გამოძიება, ყოველდღე ერთსა და იმავეს გვეკითხებოდნენ: ვინ არიან თქვენს ორგანიზაციაში, სად არიან და რას აკეთებენ აი ესენი — და გვიკითხავდნენ საკმაოდ გრძელ სიას. ჩვენ ერთსა და იმავეს ვპასუხობდით: არაფერი არ ვიცით, არც ის ვიცით, საიდან მოხვდა ჩვენს ოთახში პროკლამაციები, ვიღაცამ ისე შემოყარა, რომ ვერაფერი ვერ გავიგეთ. ჩვენი დანაშაული მხოლოდ ის არის, რომ ეგ პროკლამაციები წავიკითხეთ.

ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს დაკითხვა და აბუჩად აგდება, თუ არა თებერვლის რევოლუცია. გამოგვიშვეს ციხიდან. იმავე წელს ივანე გომელაურის მიერ დაარსებულ სასწავლებელში გამოცდები ჩავაბარე სიმწიფის ატესტატზე, მერე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. ვმუშაობდი და თან ვსწავლობდი. 1925 წელს დავასრულე უნივერსიტეტი, სამუშაოდ ამიერკავკასიის რკინიგზის პროკურატურაში გამგზავნეს. 1928 წელს ასპირანტურაში ჩამრიცხეს, 1938 წელს საქართველოს პროკურორის პირველ მოადგილედ დავიწყე მუშაობა. სამამულო ომის მონაწილეცა ვარ და ბევრი სხვა დიდი საქმეების მომსწრეც“.

ამის შემდეგ ავტობიოგრაფიაში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის ჩამოთვლილი, თუ სად და რა პოსტებზე უმუშავნია გობეჩიას.

## ტელეფონი

ჩემს საწერ მაგიდაზე ისევ ძველი ტელეფონი დგას, ისე ის ძველი ჟღარუნა აპარატი... შინაურები შემომიჩნდნენ — დაბერდა, გამოვცვალოთო. მე მაინც არ ვცვლი, და იცით რატომ? მას, ამ ძველ ტელეფონს, ჩემი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წუთები ახსოვს. მას ბევრი სიხარული მოუტანია ჩემთვის, ბევრი მწუხარებაც და გაწბილებაც. ამ ყურმილით მომისმენია პირველი მილოცვანი — ვაჟიშვილი შეგეძინაო... ქალიშვილის მამა ხარო... როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი დაიწყო, გასაწვევ უბანზე გამოცხადდიო, ამ ტელეფონით მაცნობეს. შემდეგ შინ, დაჭრილი, ფრონტიდან ადრე დაბრუნებული ჩემი თანამებრძოლების ამბავსაც ამავე ტელეფონით ვიგებდი. ჩემი ძმა რომ გაიწვიეს, ამ ტელეფონით დამირეკა. უკანასკნელად მოვისმინე მისი ხმა და ის ხმა, ასე მეჩვენება, ამ ტელეფონში ჩარჩა, რატომღაც მგონია, რომ იმ ხმას ოდესმე ისევ გავიგონებ.

მერე ჩვენს ქუჩებშიაც დადგა დღესასწაული, ისევ გაისმოდა ჩემი ტელეფონის წკრიალა ხმა, ომიდან ახლად დაბრუნებული ჩემი მეგობრებისა და მოკეთეების ხმა, აღსავსე აღტაცებით და გამარჯვების სიხარულით.

მერე დაიწყო მშვიდობის წლები და კვლავ ამ ტელეფონით ვისმენდი სასიხარულოსაც და სამწუხაროსაც.

მოსკოვსა და კიევში წასული ჩემი ახლობლები ამავე ტელეფონით მელაპარაკებოდნენ. ჩემი ცოლის, ჩემი შვილების ხმებით სავსეა პატარა იდუმალი ყუთი, მათ ახლა ჩემი შვილიშვილის — პატარა დიტოს ხმაც მიემატა. ჩემი საყვარელი ხმებია დაბუდებული ამ ტელეფონში და მეც ამიტომ ვუფრთხილდები მას. მერე რა, რომ შიგ სიხარულს გარდა, ბევრი რამ სამწუხაროც შემონახულა! დედა რომ გარდამეცვალა, ამ ტელეფონით შემატყობინეს. მამის სიკვდილიც ისევ მან მამცნო. დიახ, ჩემი სიცოცხლე თან ახლავს მას, და ასე მგონია, ამ ძვირფას ხმებს უმალ დავკარგავ, ამ ძვირფას გრძნობებს მომტაცებენ და წამართმევენ, თუ ეს აპარატი წაიღეს, ამიტომ ვინახავ და ვუფრთხილდები მას, ჩემი მწუხარებისა, თუ სიხარულის უპირველესი მოწმე ის არის და ამიტომაც ვერ ვიმეტებ ამ ძველ აპარატს.

არა, იყოს, ვიდრე ცოცხალი ვარ, იდგეს ჩემს მაგიდაზე. მას რომ შევხედავ, სიხარულიცა და სევდაც ერთად შემოდის ჩემს სულში. ჩემი სულის სიხარულისა, თუ მწუხარების უტყვი და მეტყველი მოწმეც ეგ არის მეშინია, ვერ გამოვცვლი მას, ასე მგონია, ჩემი საყვარელი ხმებიც გამექცევიან, მას თან გაჰყვებიან. ამიტომ იყოს, დაე, ჩემთან იყოს, ვიდრე ცოცხალი ვარ...

## წიგნების კარადა

ადამიანს თუ კითხვა უყვარს, წიგნზე დიდი მეგობარი არავინ ეყოლება! ოღონდ, ადამიანების არ იყოს, წიგნებიც არიან ძვირფასნი და საყვარელნი, და ნაკლებად საყვარელნი. ყველაზე საყვარელი წიგნები მე ცალკე შევაგროვე და ერთ კარადაში მოვუყარე თავი. ჩემს სამუშაო ოთახში სულ ექვსი კარადა დგას, აქედან ერთია, რომელსაც ჩ ე მ ი დავარქვი. ის მაინც სხვაა, ძვირფასი, განსაკუთრებული. ამაში ასამდე წიგნია. აქედან ათი მამაჩემისეულია. ამ წიგნებში უპირატესობას ვერცერთს ვერ მივცემ. ყველა ძვირფასია ჩემთვის. ასე მგონია, ყოველ მათგანში ჩემი გულია ჩადებული. და ამ გულს ეს წიგნები ეფერებიან, ინახავენ. ამ ას წიგნში ასი გულია, არ გაგიკვირდეთ, კაცს ერთი გული აქვს, მაგრამ რაც ეს წიგნები წავიკითხე, თითოეულს, ცალცალკე შიგ ჩავატანე ჩემი გული, ყველას ვუწილადე ჩემი ერთი გული.

ყოველ ცისმარე დილას მივადგები ხოლმე ამ კარადას, ხან ერთ წიგნს ავიღებ ხელთ, ხან მეორეს, ყველას სათითაოდ ვეფერები, მეშინია არ გაფრინდეს ის სიხარული, რაც მათ ჩემთვის მოუნიჭებიათ; სამსახურიდან შინ დაბრუნებული ასევე ვფურცლავ და ვათვალიერებ ამ წიგნებს. ასი წიგნი და ასად გაყოფილი ჩემი ერთი გული ერთად რომ არიან, ასე მგონია, ყველა ბედნიერება აქედან მოდისმეთქი. ამიტომ ვუფრთხილდები ამ ერთ კარადას ყველაზე მეტად...

არა, არ მინდა სათითაოდ ჩამოვთვალო ეს წიგნები, ან მათი ავტორები. ასე მგონია, ამით ვიღაცას გავანაწყენებ, სხვას გავუმხელ ჩემი გულის საიდუმლოებას.

ამ ას წიგნში არის ერთი პატარა, თეთრყდიანი წიგნი, ლექსების კრებული, რომელსაც „არტისტული ყვავილები“ აწერია ქართულად და ფრანგულად. ეს ჩემი ყველაზე საყვარელი წიგნია, მარტო ჩემთვის კი არა, ყველასათვის. ამ წიგნში არის ლექსი „გემი დალანდი“, რომელშიც ქართველმა პოეტმა, იმ ქარიშხლიან დღეებში, პირველად ახსენა ლენინი და კრემლი. წიგნი კი არა, ეს ლექსების ქარიშხალია, რომელმაც საზღვარი დაუდო ძველსა და ახალს. დიახ, ეს სრულიად ახალი სიტყვა იყო რუსთაველის საქართველოში — ორიგინალური, განუმეორებელი სიტყვა... ჰო, როგორ მიყვარს მისი ხელში აღება, გადაფურცვლა, წაკითხვა... არა, წაკითხვა არც კი მჭირდება, რადგან ყველა ლექსი ზეპირად ვიცი, და მუდამ თანა მდევს, შინ თუ გარეთ.

ქვეყანაზე ბევრი კარგი წიგნია, ყველა დამილოცნია, ყველასათვის წარმატება მისურვებია, მაგრამ ეს წიგნი მაინც საოცრებაა, სასწაული, უცხო რამ, ზეშთაგონებით მოვლინებული. ამ წიგნში ყველაფერი სხვანაირია. აქ სხვანაირად თენდება და სხვანაირად ღამდება...

* * *

ახლა ამ კაცს ჰქონდა მინდობილი სახელმწიფო ბრალმდებლად გამოსულიყო ჯაბა ბერიშვილის პროცესზე. ჯაბას იგი ჯერ ისევ ინსტიტუტიდან იცნობდა, არც ისე ახლოს, მაგრამ გამოძიების მასალებს რომ გაეცნო, საშინელმა აღშფოთებამ შეიპყრო. გამოცდილსა და გამობრძმედილ პროკურორს რაღა უნდა გაუკვირდეს, მაგრამ ჯაბას საქმემ მაინც გააოცა იგი.

მიხა გობეჩიამ გადაწყვიტა სასამართლო პროცესის დაწყებამდე პირისპირ შეხვედროდა ჯაბას.

და აი, ზის პროკურორი, წინ საქმის ორმოცი ტომი უწყვია, ზის და ფიქრობს... ჯერ კიდევ მთლად ვერ გამორკვეულა იმ შთაბეჭდილებათა ბურუსიდან, რაც მის გულში ამ საქმეთა გაცნობამ აღძრა. მან ზოგი რამ იცოდა კოოპერატიული ბინათმშენებლობის შესახებ, პირადად იცნობდა სამართალში მიცემულთა უმრავლესობას, ხოლო ჯაბასთან ერთად ფილოსოფიის ისტორიის კურსს ისმენდა ასპირანტურაში. ამიტომაც იყო, რომ მეტი დაინტერესებით გაიცნო და შეისწავლა ეს ორმოცტომიანი საქმე.

რანაირი დანაშაული არ განუხილავს ამ ქალარა სახელმწიფო ბრალმდებელს, ვისთან არ ჰქონია საქმე, უნახავს გაუსწორებელი რეციდივისტები, კაცის მკვლელები, ნაძირალები, მაგრამ ეს საქმე მაინც როგორღაც თავისებური იყო. ამ საქმის საზოგადოებრივი და პოლიტიკური მხარე მით უფრო დამაფიქრებელი იყო, რომ ჯაბას ჩვენებებში პირდაპირ თუ გადაკრულად, არაერთხელ იყო ნახსენები თუ მინიშნებული ისეთი ადამიანები, რომლებიც თვითონ იყვნენ პასუხისმგებელნი ქვეყნის წინაშე, კანონის წინაშე, მათ თვითონ უნდა დაეცვათ სიმართლე და სხვებისათვის მაგალითი ეჩვენებინათ. ეგებ ტყუის ჯაბა, ეგებ ის არა მარტო მექრთამეა, არამედ ცილისმწამებელიც. ზის და ფიქრობს პროკურორი, ზის და უცდის ჯაბას შემოყვანას, რომ ზოგი რამ უფრო კარგად გაარკვიოს და დააზუსტოს. დიახ, ზოგი რამ უნდა დააზუსტოს, და ამიტომ გადაწყვიტა მასთან პირისპირ შეხვედრა.

და, აი შემოჰყავთ ჯაბაც...

ჯაბა არ ელოდა მის დანახვას. პირველად თითქოს შეკრთა, შეცბუნდა ისე, რომ ვერ გაიგებდი გაუხარდა თუ ეწყინა გობეჩიას დანახვა. მერე კი მის სახეს რაღაცნაირმა სინათლემ გადაურბინა. ეს შეამჩნია მიხამ და მაშინათვე მიმართა:

— ჯაბა, მე შენ ინსტიტუტიდან გიცნობ...

მაშინ კეთილი კაცის სახელი გქონდა, მახსოვს, ლექციებსაც გიქებდნენ. მერე, მერე რა მოხდა, რა დაგემართა ასეთი?

ჰო, ჩვენი ინსტიტუტი, ჩემი ინსტიტუტი... ჩვენ რომ ერთად ვსწავლობდით, — აღმოხდა ჯაბას და გაუღიმა მიხას. პროკურორმა შუბლი შეიჭმუხნა და სამართალში მიცემულს მკვახედ მოუჭრა:

— არა, ჯაბა, შენი და შენისთანების ინსტიტუტი მე არ ვიცი. მე რომ ვსწავლობდი, იმ ინსტიტუტში ათი და ასი სახელოვანი მეცნიერიც მოღვაწეობდა. იქ ათასი, ასი ათასი ნიჭიერი, პატიოსანი, მშრომელი, გამრჯე ახალგაზრდა აღიზარდა. ისინი დღე-ღამე ილვწიან ინსტიტუტის ლაბორატორიებსა და აუდიტორიებში, რომ შემდეგ მთელ ჩვენს ქვეყანას მოედონ და განათლებისა და მეცნიერების მადლი მოჰფინონ. ის ინსტიტუტი ჩვენი სინდისის, პატიოსნების სიმბოლოა და არც აქვს არავის უფლება იმას ბინძური ხელით ჩირქი მოსცხოს. ვინც მას თავის ინსტიტუტს უწოდებს, ის ამ წმინდა ტაძარს თაყვანს უნდა სცემდეს და ეცადოს, რომ არ შელახოს მისი სახელი...

მიხა უცებ მიხვდა, რომ რაღაც ლექციის მაგვარი სიტყვა გამოუდიოდა, მიხვდა, რომ უადგილო იყო ასეთი პათეტიკური სიტყვები და არც საქმე მოითხოვდა ამას. მიხვდა და შეჩერდა. ჯაბამ ამით ისარგებლა და შეედავა:

— მეც ხომ ერთ დროს პატიოსნად ვემსახურე ამ ტაძარს?

პროკურორმა სიტყვის გაგრძელება არ აცალა და მოკლედ მოუჭრა:

— ჩემთვის ადრე რომ ეკითხათ, ვიტყოდი, ასეა-მეთქი. ახლა, როცა მე შენს საბრალმდებლო საქმეებს გავეცანი, სულ სხვა სურათი დამიდგა თვალწინ. ჩანს, რომ მაშინაც შენს სულს მომხვეჭელობის ჭია ღრღნიდა, მომხვეჭელობისა და ეგოიზმის ჭია. ჭიანაჭამი გულით ინსტიტუტს, ამ ჩვენს წმინდა ტაძარს ვერ მოემსახურები, ვერა... ბოლოსდაბოლოს, მოგერია კიდეც ეს ჭია. და ახლა შენ, შენი ნამდვილი სახით მოევლინე ქვეყანას, ნიღაბახდილი მექრთამის სახით. მექრთამე და კომბინატორი — აი, ვინა ხარ შენ! და მე გადავწყვიტე მაინც შეგხვედროდი, ვიდრე საჯაროდ ვიტყოდე ამ სიტყვებს... მინდა გავერკვე, პირისპირ საუბარში გავერკვე რა მოხდა, როგორ მოხდა, ვინ არიან და რანი არიან შენს მიერ დაკითხვისას ჩამოთვლილი პირნი, რომლებსაც ხან ასე ასახელებ და ხან ისე. რატომ და როგორ დაადექი ამ გზას?

— რატომ, რატომ, ყველა ამას მეკითხება. მე თვით არ ვიცი, რატომ. თქვენ გაეცანით ჩემს საქმეებს? ჩემს ჩვენებებს? საბრალმდებლო დასკვნას?

— ჰო, გავეცანი და იმიტომ გეკითხები. რამ გაიძულა ასეთი გზა აგერჩია, დოცენტს, მეცნიერებათა კანდიდატს, კათედრის გამგეს, დეკანის მოადგილეს, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?

— გინდათ სიმართლე გითხრათ, როგორც ყოფილ კოლეგას?

მიხას არც ეს სიტყვა მოეწონა — ყოფილი კოლეგა, და სახემოღუშულმა სწრაფად მიახალა:

— დიახ, უნდა მითხრა, მე ყველაფერი უნდა ვიცოდე... შენთან ერთად, სამართალში კიდევ ოთხი პროფესორია მიცემული. ისინიც შენსავით ქრთამს იღებდნენ, ქრთამს სტუდენტების გამოკითხვაში, ნიშნის დაწერაში...

ჯაბამ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ჰოდა, გცოდნიათ და მე რაღას მეკითხებით?!

— არა, მე იმას კი არ გეკითხები, პატიოსნები არიან თუ არა ისინი. მინდა გავიგო, რა უნდა უჭირდეს პროფესორს ისეთი, რომ სტუდენტისაგან ქრთამი აიღოს, ფული აიღოს, და მერე როგორ ახერხებს შევიდეს იმავე აუდიტორიაში და ლექცია წაიკითხოს!

— არა, მე სულ სხვა აზრისა ვარ, — შეეკამათა ჯაბა პროკურორს.

ახლა კი გაჯავრდა მიხა.

— მე შენთან საკამათოდ კი არ მოვსულვარ! რაც გკითხე, თუ შეგიძლია იმაზე გამეცი პასუხი.

— არ ვიცი, მაგაზე არ მიფიქრია!

— კარგი, სხვებს თავი დავანებოთ, ეს მაინც მითხარი, როგორ მოხდა, რომ შენ, ერთ დროს დეკანი, დოცენტი, პარტიის სახელით რომ ყოველ კრებაზე პატიოსნებას ქადაგებდი, უცებ ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდი?

— მარტო მე?

— სამწუხარო ის არის, რომ სხვებიც... მიკვირს ასე როგორ დაეცით. ხომ მილიონობით არიან ადამიანები, რომელთაც თქვენზე ნაკლები ხელფასი აქვთ და პატიოსნად ცხოვრობენ?

— თუ თქვენ ჩემი ნამდვილი პასუხი გინდათ, მაცალეთ და გეტყვით. დიახ, მე ვიცი, რომ არიან იდეალური კომუნისტები, არიან! ამაზე კი არ ვდავობ, — ლაპარაკის აზარტში შესული ჯაბა თანდათან გათამამდა, — მაგრამ იცით, რას გეტყვით? ძნელია ასე უცებ ჩამოაყალიბო ეს აზრი, მაგრამ თქვენ დაკვირვებული კაცი ხართ, და აბა დაფიქრდით. მე მგონია, იმ ურა-იდეალისტების დრო წავიდა. ახლა ცხოვრება მათი გზით არ მიდის. განსაკუთრებით ომის შემდეგ გამოიკვეთა ადამიანთა მიდრეკილება, საოცარი მიდრეკილება გამდიდრებისაკენ, კომფორტისაკენ. ომამდე ამ გრძნობას რწმენა და კიდევ რაღაც ბორკავდა, ორმოცდაათიანი წლებიდან კი ერთბაშად გამოცოცხლდა ძველისძველი, მიმალული, და-

თრგუნვილი გრძნობა კერძომესაკუთრეობისა, მომხვეჭელობისა... ადამიანში ისე ღრმად ზის ეს ინსტინქტი, რომ მისი ამოძირკვა შეუძლებელია თურმე. თქვენ გგონიათ, რომ შეიძლება მოსპო ეს გრძნობა? შეიძლება დათრგუნო იგი? თქვენ ეს შესაძლებლად მიგაჩნიათ?

— ჯერ ერთი, საერთოდ ყველაზე, ყველა ადამიანებზე ნუ ლაპარაკობ... მთელი ხალხი აქ არაფერ შუაშია. მომხვეჭელნი და გადაგვარებულნი — ეს ერთი ვიწრო ფენაა... და მეორეც — სანამდე უნდა დათრგუნოთო, მეკითხები. გიპასუხებ — მანამდე, სანამ ის ადამიანებიც, იმ ვიწრო ფენას რომ შეადგენენ, ნამდვილ ადამიანებად არ იქცევიან, ღორული ინსტინქტებისაგან არ განთავისუფლდებიან. მერედა იცით თქვენ, რა დიდებულია ადამიანი, თავისუფალი ამ ბიწიერებისაგან? მეჯავრებიან ეს გაუმაძღარი ღორები. ეს ადამიანები უნდა გავათავისუფლოთ ჭუჭყისაგან, კერძო მესაკუთრული განწყობილებებისაგან. ადამიანი მაღლა, მაღლა უნდა აფრინდეს, დიდი და მაღალი იდეალები ჰქონდეს, — ესა თქვა და თვალებში ჩააცქერდა ჯაბას. მაგრამ მის თვალებში თანხმობის ნიშანწყალიც ვერ შენიშნა. ამიტომ იძულებული გახდა თავის მხრივ დაემატებია:

— არა, ჯაბა, შენისთანა გამდიდრების მოყვარულებს ეს არ სჯერათ, მაგრამ ეს მოხდება, მოხდება დღეს თუ ხვალ, ჩვენი საზოგადოებრივი სისტემის ყველაზე უპირველესი იდეალი ეს არის: პატიოსანი, მართალი ადამიანი, მშრომელი, ზნეობრივად მაღალი, სუფთა, კრიალა, ცასავით სუფთა, თავისი რწმენით, თავისი იდეალით...

— პატიოსნებაო, დაგიჩემებიათ. მე არ ვიცი, რატომ არის უპატიოსნო ის კაცი, რომელმაც საქმე გააკეთა, დღე და ღამე ირბინა, რომ ეს საქმე დროზე დაემთავრებინა, ამისთვის ზედმეტი ხარჯები გაიღო, ზედმეტი მისცა მუშას, ხელოსანს, დააინტერესა ადამიანები და ხალისიც შემატა: დაინტერესების გარეშე არაფერი კეთდება, კაცის დაინტერესება კი მარტო ფულით შეიძლება. დაინტერესებული იყვნენ თვით ის მეპაიეები, რომლებსაც ფული მოჰქონდათ. იმათ მოჰქონდათ ფული, და მეც მეტს ვაძლევდი ინჟინერს, მუშას და ხელოსანს, ასე კეთდებოდა საქმე. თქვენ კი ამას მექრთამეობა შეარქვით.

— არა, ჯაბა, ვის ეუბნები ამას, ვინ გგონივარ მე? რა შუაშია აქ „ზედმეტი ხარჯები“, ვინ მოახდინა იმის აღრიცხვა, რამდენი ზედმეტი ხარჯი იყო საჭირო. სად, რომელ ბუღალტერიაში გააფორმეთ ეს „ზედმეტი ხარჯები“. არა, ეს ფულები, ზედმეტი ხარჯები კი არა, მექრთამეობით აღებული ფულები, შენს საკუთარ სალაროში შედიოდა. ათმაგად იღებდი და ერთმაგს ხარჯავდი. აი, სად არის დანაშაულის ფესვი. თქვენ, მექრთამეები — მუქთახორები და პარაზიტები ხართ. იოლად გინდათ მიიღოთ ფული, გინდათ გაატყავოთ ხალხი!

— არა, ამას ნუ მეტყვით, მიხა ბატონო, — ისევ შებედა სამართალში მიცემულმა ჯაბამ, — იოლად გამდიდრების მოყვარულიო. არა, იოლად კი არა, დიდი წვალებითა და მოუსვენარი ცხოვრებით ვცხოვრობდი მთელი ეს თხუთმეტი წელი. ღამე არ მეძინა და დღე, ფოსტის ცხენივით დავრბოდი.

— რისთვის დარბოდი?

— საქმე, საქმე მოითხოვდა ამას!

— თუ იოლი გზით ფულების შოვნა, გამდიდრება გიტაცებდა?

— არა, ვერ ვიტყვი, რომ დაინტერესება არ ყოფილიყო.

— არა, ჯაბა, ასე ნუ გავამარტივებთ საქმეს. დაინტერესება და ზედმეტი ხარჯები სულ სხვადასხვა კატეგორიების ცნებებია. ჩვენი საზოგადოება დაფუძნებულია ადამიანის პატიოსან შრომასა და რწმენაზე. შენი, ასე ვთქვათ, „შრომა“ კი მოხვეჭას, სხვისი ფულის გამოძალვას ეფუძნებოდა. შენ აიძულებდი ადამიანებს მოეცათ შენთვის ეს „ზედმეტი ხარჯები“, რომელსაც ჩვენ მისი ნამდვილი სახელი დავარქვით — ქრთამი. თქვენ აშინებდით ადამიანებს და არწმუნებდით მათ, რომ სხვა გზით ისინი ბინას ვერ მიიღებდნენ.

— იმათ ჰქონდათ და მოჰქონდათ. მე ხომ ძალით არ ვართმევდი?

— ვის იმათ, ვის მოჰქონდა? შენისთანა გაიძვერებსა და მექრთამეებს, არა? სწორედ ესაა ყველაზე საშიში მხარე შენი „მოღვაწეობისა“. შენ ნამდვილი დუქანი გახსენი, კერძო დუქანი, ფულიანებისა და მექრთამეების დუქანი. შენ, მეცნიერ-მუშაკმა, პარტიის წევრმა იცოდი, რომ მექრთამეები, ფულიანები რწმენას უკარგავენ ადამიანებს; თქვენ ჩააგონებდით პატიოსან და მშრომელ ადამიანებს, რომ ისინი თავისი ალალი შრომით ვერასოდეს ვერ იშოვნიან იმდენ ფულს, რომ ბინა ჰქონდეთ, კარგად იცხოვრონ. ბოლოს და ბოლოს, აი ეს არის მექრთამეობის გზა, ქურდობის გზა. აი, რა მაგალითს აჩვენებდი შენ ხალხს და ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში, და სწორედ ჩვენს ქვეყანაში აძლევენ ბინებს უფასოდ, უფულოდ ყველას, ვინც ამას პატიოსანი შრომით იმსახურებს. მერე რა, რომ ერთ დღეს, ერთბაშად არ გადაგვიწყვეტია ეს პრობლემა. აქ ბინის განაწილების პრინციპზეა საქმე. ჩვენს ქვეყანაში ბინის საკითხი სოციალური საკითხია, სოციალური მოვლენა, კლასობრივ და პარტიულ მიდგომას მოითხოვს ის ჩვენგან და ჩვენი პარტია მას პირველი რიგის პრობლემად აყენებს. ხოლო შენისთანა ადამიანები, მექრთამეები წინ გველობებიან, ხელს უშლიან ამ კეთილშობილურ საქმეს, ნერგავენ სოციალურ

ბოროტებას. ჩვენთვის ხომ სულ ერთი არ არის ვინ აშენებს, რა გზით, რა მიზნით. აბა, დააკვირდი შენი კოოპერატივის წევრთა სოციალურ შემადგენლობას. ვინ არიან ისინი? უსინდისო მექრთამეები და ხარბი მომხვეჭელები. რამდენი კაცია მანდ მუშა, პატიოსანი მშრომელი? არა, ეს ფულიანებისა და მექრთამეების კოოპერატივი იყო, ჩვენი სახელმწიფო კანონებისა და ნორმების საწინააღმდეგო.

— ამაში მარტო მე ხომ არა ვარ დამნაშავე, კოოპერატივს მე ხომ არ ვაკომპლექტებდი. ეგეც არ იყოს, ხომ გაეცანით საბრალდებლო დასკვნას, ხომ ნახეთ, რომ მეპაიეთა შორის არიან რაიკომის მდივანიც, აღმასკომის თავმჯდომარეც... რომელი ერთი ჩამოვთვალო? რატომ მარტო ჩემგან მოითხოვთ ამ პატიოსნებას?

— მარტო შენგან არ მოვითხოვთ. სამართალი ყველას მიუზღავს სამაგიეროს. აი, სულ მალე სასამართლოს წინაშე წარსდგები და ნახავ, როგორ აგებენ ყველა ისინი პასუხს შენთან ერთად, — დაამთავრა პროკურორმა და ბრძანა სამართალში მიცემული ოთახიდან გაეყვანათ.

* * *

და აი, დაიწყო სასამართლო პროცესიც.

დარბაზი უჩვეულო სანახავი იყო. საბრალდებო სკამზე ისხდნენ ოთხი პროფესორი, სამი დოცენტი, ორი არქიტექტორი, სამი ყოფილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, ხუთი ინჟინერი, სამი მაღაზიისა და საწყობის გამგე და ერთი შოფერი. ისხდნენ ისინი თავჩაღუნულნი და დარბაზს თვალს ვერ უსწორებდნენ.

— ადექით, სასამართლო მოდის! — გაისმა მდივნის საოცრად მჟღერადი ხმა და ხალხი ფეხზე წამოიშალა. სასამართლოს თავმჯდომარე და ორი აკადემიკოსი — ორი სახალხო მსაჯული მაგიდას მიუსხდნენ. სასამართლოს თავმჯდომარე საბრალდებო დასკვნის კითხვას შეუდგა. მოსამართლემ და მსაჯულებმა სამი დღე, ექვსი სხდომა მოანდომეს ამ დოკუმენტის კითხვას. დადგა სამართალში მიცემულთა სიტყვების ჯერიც. პირველი სიტყვა ჯაბას მისცეს.

დგას მიკროფონთან ჯაბა ბერიშვილი, ხელში უჭირავს თავისი შავი დავთარი, კითხულობს და ასახელებს თანამონაწილეებს, თანამზრახველებს, მათ, ვინც აქ, მის გვერდით, საბრალდებო სკამზე სხედან და იმათაც, ვინც ჯერ კიდევ არ არიან სამართალში მიცემული. მათი საქმე ძიებით ცალკეა გამოყოფილი.

დგას მიკროფონთან ჯაბა და კითხულობს გრძელ სიას, ვისგან, როდის და რამდენი აიღო „ზედმეტი ხარჯების“ სახით — ზედმეტი ხარჯები კი არა, ქრთამი, ქრთამი — უსწორებს სასამართლოს თავმჯდომარე.

— კარგი, ვთქვათ ქრთამი იყოს, — ამბობს ჯაბა და განაგრძობს კითხვას. როცა ჩამოათავა იმათი დასახელება, ვისგანაც იღებდა ამ ზედმეტ ხარჯებს—ისევ ვითომ შეეშალა ჯაბას, ისევ გაუსწორა მოსამართლემ, ახლა იმათ დასახელებას მოჰყვა, ვის რამდენი მისცა, სად, რა ვითარებაში; მერე გამოიყვანა საერთო ბალანსი: რამდენი აიღო და რამდენი გასცა; ისევ არ ეთანხმება მოსამართლე ჯაბას, ბალანსს სწორად არ უჩვენებო.

ჯაბა ისევ აზუსტებს სიებს, იმათ სახელებსა და გვარებს, ვინც მისი კოოპერატივის წევრები იყვნენ, ვის რამდენი ოთახი უნდა მიეღო და რამდენი თანხა ჰქონდა გადახდილი, ისევ ასახელებს გვარებს, სახელებს...

დგას მიკროფონთან ჯაბა, ხელში უჭირავს შავი დავთარი და ჩამოთვლის მაღაზიისა და საწყობის გამგეებს, დაწესებულებათა და უწყებათა დირექტორებს, ისმის ნაცნობი და უცნობი სახელები და გვარები...

დგას მიკროფონთან ჯაბა, ისევ ასახელებს გვარებს, ისევ კითხულობს ჩანაწერებს... ძველად ვაჭრებს მენისიეთა შავი დავთრები რომ ჰქონდათ, ასეთ დავთარს ხელში ატრიალებს და ისევ კითხულობს მოვალეთა სიას.

დგას და კითხულობს ჯაბა, დარბაზში ვიღაც წამოხტება და რაღაცას მისძახის, ხელს უშლის, აწყვეტინებს: „ეს როგორ შეიძლება“, „აცალეთ, ათქმევინეთ“, — ხმაურობს დარბაზი. „დაწყნარდით“, ბრაზობს თავმჯდომარე...

ჯაბა კვლავ თავს იცავს, უნდა ამ ბინძური საქმის ყველა მონაწილე გვერდში ამოიყენოს, რომ მიღებული და გაცემული ქრთამების საერთო ბალანსი გამოიყვანოს, თორემ უფრო და უფრო დაუმძიმდება ბრალდება... აი, ახლა პროფესორებსა და დოცენტებს მიადგა, ახლა ამათ სახელებსა და გვარებს ატრიალებს, ასახელებს ინსტიტუტებს, სადაც ისინი მუშაობდნენ, კათედრებს, რომლებსაც ისინი განაგებდნენ, გამოცდებს, რომლებშიც ისინი მონაწილეობდნენ, ფულებს, რომლებსაც ქრთამის სახით იღებდნენ...

დგას მიკროფონთან ნიღაბახდილი მექრთამე, დგას და ისევ კითხულობს თანამონაწილეთა სიას და ყველაფერი ეს იწერება ფირზე. რამდენი ხალხი მოხვდა ამ სიაში, მაგრამ, მოდით, მოვერიდოთ მათ ჩამოთვლას, ნუ დავასახელებთ მათ სახელებს და გვარებს. მათ შვილები ჰყავთ, შვილიშვილები, რომლებსაც მთელი ცხოვრება წინ აქვთ, და, ეს ლაქა, ლაქა მექრთამე მამებისა, შვილებს რომ არ უტყიონ, მოვერიდოთ მათ დასახელებას. შვილები მამების დანაშაულზე პასუხს ვერ აგებენ. მშობლები კი, დიახაც, აგებენ პასუხს შვილების დანაშაულზე, რადგან შვილების აღზრდა მათ-

ზეა დამოკიდებული. ამიტომ დავზოგოთ იმ დღეს ჩამოთვლილი ასოთხმოცი კაცი კი არა, მათი შვილები და შვილიშვილები. ისიც ეყოფათ, რომ ბევრი მათგანი ზის ამ დარბაზში და ისმენს ამ შავ წიგნში მოხვედრილი ახლობლების გვარსა და სახელს.

ჭაბას შემდეგ მიკროფონთან პროფესორები და დოცენტები ცვლიდნენ ერთმანეთს, მათ პარტიული და საბჭოთა აპარატის ყოფილი მუშაკები მოჰყვნენ. მერე ორასორმოცი მოწმეც დაკითხეს.

მთელი დარბაზი სულგანაბული უსმენს სახელმწიფო ბრალმდებლის — მიხა გობეჩიას სიტყვას. დგას პროკურორი მიკროფონის წინ და დინჯად, დარბაისლურად მიუყვება და მუხლმუხლად ასაბუთებს, ამტკიცებს სამართალში მიცემულთა დანაშაულს.

— დანაშაული ჩადენილია. სამართალშია მიცემული ოცდაერთი კაცი, ოთხმოცდაცხრა კაცის საქმე ცალკეა გამოყოფილი. დანაშაული ჩადენილია, სამართალში მიცემულ პირთა შორის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში არიან აღზრდილნი... მით უფრო სამწუხაროა, რომ მათ ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც შეუთავსებელია სოციალისტურ სახელმწიფოს პოლიტიკურ და მორალურ კოდექსთან, დანაშაული, რომელიც შავ ლაქად ამჩნევია ჩვენს ნათელ ცხოვრებას.

— შეიძლებოდა თუ არა ამ დანაშაულის აცდენა? — კითხულობს პროკურორი, — მე მიჭირს ამ კითხვას უცებ ვუპასუხო, მაგრამ, როცა საქმეს გონების თვალით დავაკვირდებით, მაშინ უნდა ვთქვა: შეიძლებოდა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ყოფილიყო სრული წესრიგი, პარტიული და სახელმწიფოებრივი ნორმების დაცვა. შეუპოვარი ბრძოლა ყველა იმათ მიმართ, ვინც არღვევდა საბჭოთა კანონს და საბჭოთა ადამიანების მორალს. ჩვენში ადრე გამეფებული უკონტროლობისა და უპასუხისმგებლობის პირობებში მომრავლდნენ საქმოსნები და მომხვეჭელები, მექრთამეები და ქურდები.

— ადამიანი დამნაშავედ არ იბადება, რაღაც მიზეზი იწვევს და უბიძგებს მას დანაშაულისაკენ, თუმცა აქ ისიც სათქმელია, რომ ამ მიზეზთა აღმოფხვრა თვითონ ადამიანის ხელშია. ეს მით უმეტეს ითქმის ჩვენი საზოგადოებრივი სინამდვილის მისამართით. ჩვენში ყველაფერი, კანონი, საზოგადოებრივი აზრი მოწოდებულია, ებრძოლოს მუქთახორებს, პარაზიტებს, მაგრამ, როცა სამართალში მიცემულთა საქმეებს ეცნობით, პირველი შთაბეჭდილება ისაა, რომ საბჭოთა წყობილების ამ წმიდათაწმინდა ნორმებს სწორედ ისინი არღვევდნენ, რომლებიც მოწოდებული იყვნენ ებრძოლათ ამგვარი ნეგატიური მოვლენების აღსაკვეთად. სამართალში მიცემულთა საქმეს, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ, როდი აქვს მარტოოდენ ლოკალური მნიშვნელობა. აქ ერთი დაწესებულების მაგალითზე, როგორც სარკეში, არეკლილია ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი, ჩვენი მორალისათვის შეუთავსებელი სიმახინჯე და სიბილწე, რომელმაც საწყობებიდან, მაღაზიებიდან და რესტორნებიდან უმაღლეს სასწავლებლებშიც შეაღწია...

— საბჭოთა ადამიანების ბინებით უზრუნველყოფა დიდი სოციალური პრობლემაა და რამდენადაც ეს სოციალური საკითხია, იმდენად ის ჩვენი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის საკითხიც არის. ჩვენთვის სულ ერთი როდია, ვინ აშენებს სახლებს, ფაბრიკებს, ანდა ვისთვის აშენებენ ამ დიდებულ შენობებს. არა, აქ ჩვენი პოლიტიკის ამოსავალი სათავე — კლასობრივი პრინციპია. იმ დარღვევებს, რომლებსაც ჩვენ აქ განვიხილავთ, ხშირად წარსულის გადმონაშთებს ვეძახით. ეს ასეც არის. აბა, ერთი წუთით გადავხედოთ ამ წარსულს. ვის ხელში იყო მეცხრამეტე საუკუნის თბილისი? შინაური თუ უცხოეთიდან გადმოხვეწილი ვაჭარი, ბურჟუა განაგებდა მას თავის ნებაზე, როგორც სურდა, ისე... მათ ფული ჰქონდათ და ამიტომ ყველა ბერკეტი მათ ხელში იყო. იმათ გამორეკეს ქართველი მშრომელები, თბილისელი მუშები დედაქალაქის ქუჩებში ულუკმაპუროდ. დიდ საბინაო მშენებლობათა ცენტრი მაშინ სოლოლაკი იყო, სოლოლაკი — მეფისნაცვლის სასახლისა და ქალაქისთავის რეზიდენციების მიდამო. ადრე იქ გაუვალი ხევი იყო, მაგრამ ეს ადგილები ფულიანებმა ცენტრის ეშხით აირჩიეს და აქ დააბანდეს ძარცვა-გლეჯის გზით მოპოვებული თანხები, დაიწყეს სახლების შენება. დიახ, თბილისი და ქართველი კაცის ბედ-იღბალი მაშინ ამ ფულიანებს ებარათ. ეს ფულიანები კი დაუნდობლები იყვნენ. მათ ხელში იყო ქალაქი და ქალაქისთავიც მათი მონამორჩილი იყო, — აქ შეჩერდა პროკურორი და ნაღვლიანად დასძინა:

— აი, სწორედ მაშინ მოხდა აღმაშფოთებელი რამ: საქართველოს ყველაზე რჩეული ადამიანები, ჩვენი ილია და ჩვენი აკაკი ქალაქის უბრალო ხმოსანთა რიცხვშიც კი არ მოხვდნენ. დასახელებულნი იყვნენ, მაგრამ ფულიანებმა მათ ხმა არ მისცეს; ხმა კი მარტო მათ ჰქონდათ. ასეთი იყო ბურჟუაზიული ცხოვრების წესი და ნორმები; რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ აღკვეთილიყო ეს უსამართლობა, ფულიანების ეს განუკითხავი თარეში. და აი, მე მახსოვს, რევოლუცია რომ მოხდა, მაშინ სოლოლაკიდან გამორეკა ჩვენმა მუშათა კლასმა ეს მდიდრები, ბურჟუები და ნაძალადევის მუშებს, დეპოს მუშებს დაუდეს აქ ბინა, უკა-

ნონოდ წართმეული მათი წილი მათვე დაუბრუნეს.

— ფულიანები და საქმოსნები ყველა დროისანი, მათ შორის ჩვენი დროისანიც, საშიში არიან მუშებისათვის, მშრომელი ადამიანებისათვის. ამ ფულიანთა მაქინაციებზე მოგვითხრობს ის ორმოცი ტომი, მოსამართლის მაგიდაზე რომ აწყვია. ამ ორმოც ტომს მე დავარქმევდი შავ წიგნს ეს ასოციაცია ჩემში აღძრა იმ შავმა დავთარმა, რომელიც ხელში ეჭირა სამართალში მიცემულ ჯაბა ბერიშვილს. და ეს შავი წიგნი შეიძლებოდა არ დაწერილიყო, რომ ჩვენში მეტი ყოფილიყო კონტროლი და პასუხისმგებლობა. კონტროლი კი არ იყო. სიგნალები? რასაკვირველია, იყო. მაგრამ მას ქრთამით იგერიებდნენ. აკი რიხიანად განაცხადა აქ ჯაბა ბერიშვილმა, აქ, ჩვენს წინაშე, პატივცემულო მოსამართლენო — აბა რა მექნაო, როგორ დამება ისინი, ვინც სიგნალის მერე აქტებს ადგენდნენ. ბაწრით ხომ არ დავაბამდიო, ფულით და ქრთამით ვაბამდითო მათ. აი ასე, ყველაფერს აქ მოხვეჭის მგლური კანონი განაგებდა…

— ჩვენს თვალწინ გადაიშალა შემზარავი სურათი, საბჭოთა მოქალაქის მორალთან შეუთავსებელი, შეურაცხმყოფელი სურათი; აქ ყველაფერს დაკარგული ჰქონდა საბჭოური, სოციალისტური შინაარსი. ჯაბა ბერიშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ნამდვილი დუქანი, კერძო დუქანი გახსნეს, სადაც ყველაფერი იყიდებოდა და ყველაფერს ყიდულობდნენ. და აი, — პროკურორმა ხელში აიღო საქმის მეცამეტე ტომი და ის გვერდი გადაშალა, სადაც ჯაბა აჩვენებდა, თუ როგორ გამოართვეს მას ფული მიწის იმ ნაკვეთისათვის, სადაც პირველი კოოპერატიული სახლი ააშენა, — იყიდებოდა მიწაც, ვაჭრობდნენ მიწით… თქვენ კარგად გახსოვთ, რომ პირველი დეკრეტი, რომელიც ლენინმა გამოსცა — მიწას აცხადებდა სახელმწიფო საკუთრებად… აქ კი მიწა იყიდებოდა, როგორც კერძო საკუთრება, — და ახლა ისევ ჯაბას ჩვენების ის ადგილი წაიკითხა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ რამდენი გადაიხადა მან მიწის ამ ნაკვეთში, ვისი მეშვეობით, ვისი შუამავლობით. ვინც ხმას იმაღლებდა ამ სისაძაგლის გამო, სულ მალე აიღეს ხელი ბრძოლაზე, აღარ იძლეოდნენ სიგნალებს, რადგან გამკითხავი არავინ იყო. ასე დაუკარგეს ჩვენი ადამიანების ერთ ნაწილს რწმენა და იმედი, ხოლო იმაზე საშიში არაფერია, ადამიანს რომ დაუკარგავ რწმენას საბჭოთა კანონისადმი.

— ჩვენი დროის ფულიანები და მექრთამეები მეტად საშიში ადამიანები არიან, — განაგრძობდა პროკურორი, — ისინი შეიტყუებენ კაცს თავიანთ ბუნაგში, ხან დაპატიჟებენ, ხან ფულს ასესხებენ, საჩუქრებს გაუგზავნიან, მერე გამოიყენებენ, ხოლო, როდესაც პირისპირ დადგებიან სამართალში მათს წინაშე, ყველაფერს მასვე აბრალებენ, ვინც ასე უსინდისოდ მოატყუეს და თავიანთ მახეში გააბეს. დიახ, ფულიანები და მექრთამეები უნამუსო ადამიანები არიან, რომლებიც ყველაფრით ვაჭრობენ, ყველაფერს ყიდიან და ყიდულობენ, სინდისს, პატიოსნებასაც, სიყვარულსაც. ეს ნათლად გამოჩნდა ამ პროცესზეც.

— უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ ჭერქვეშ, კომუნისტურ ჭერქვეშ მექრთამე და კომუნისტი ერთად ვერ იცხოვრებენ. ან უარი უნდა სთქვა ადამიანურ ზნეობასა და მორალზე, ან ბოლომდე უნდა იყო ქვეყნის ერთგული და იცხოვრო პატიოსანი შრომით და რწმენით; მესამე გზა არ არსებობს.

— როგორ, განა ჩვენ წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ საბჭოთა ადამიანი მდიდრულად ცხოვრობდეს? არა. პირიქით, გაუმარჯოს პატიოსანი შრომით აშენებულ სასახლეებს, კეთილი იყოს ამ სახლების ბინადართა ცხოვრების გზა. ყველაფერი, რასაც ჩვენი პარტია აკეთებს, რწმენას უნერგავს ჩვენს ადამიანებს, რომ პატიოსანი შრომით შეიძლება მიაღწიო ყველა სიკეთეს, მოიხვეჭო სახელი და დიდება, აღზარდო სასახელო შვილები, ააშენო დიდი სასახლეები, კომფორტულად მოაწყო ბინა… მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ უსინდისობისა და წამგლეჯობისა; პატიოსანი შრომით ვერა, ვერ ააშენებთ სასახლეებსო, — ნიშნის მოგებით ჩასძახიან ეს ფულიანები მშრომელებს, პატიოსან ადამიანებს. აი, აქ უნდა იყოს ხელმძღვანელის როლი საჩვენებელი და სამაგალითო, — ესა თქვა პროკურორმა, შეისვენა, დარბაზს თვალი გადაავლო და გააგრძელა:

— მოსკოვში რომ ჩავდივარ, ყოველთვის მომენატრება ხოლმე ვინახულო კრემლში ის ბინა, სადაც ლენინი ცხოვრობდა. როცა იგი იქ დასახლდა, განა არ შეეძლო კომფორტული ავეჯით მოეწყო თავისი საცხოვრებელი ბინა, მაგრამ არა, მის ოთახში თქვენ ხედავთ რკინის უბრალო საწოლს, მის მაგიდაზე ასევე უბრალო ჩაის თლილი ჭიქები აწყვია, ფრაუის კოვზები, ისეთივე, როგორიც მის თანამოძმე მუშებს ჰქონდათ. ხოლო ირგვლივ წიგნები, წიგნები… მე ვყოფილვარ ჩვენი ძველი კომუნისტების ბინებშიაც. იმ ძველ ხელმძღვანელებს ისევე უბრალოდ ეცვათ, ისევე უბრალოდ ცხოვრობდნენ, როგორც ლენინი. ახლა ცხოვრების დონემ გაცილებით მაღლა აიწია, ახლა ხალხს შესაძლებლობა მიეცა მართლაც მდიდრულად იცხოვროს, და ჩვენი პარტიაც, პირველ რიგში, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს. მაგრამ არ შეიძლება ფეტიშად, სალოცავ ხატად აქციო ავეჯი თუ ბროლის ჭალი, გაჰყიდო მისთვის სინდისი. ეს სენი კი მოხახლეობის ერთ ფენას მართლაც დაემართა. ავეჯ-

ხა და ბროლის ჭაღებზე შეშლილი ადამიანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თუ ვის უკეთესი დგამი აქვს, მორთულობა და ჩაცმულობა. — პროკურორმა ხელთ აიღო საქმის ოცდამერვე ტომი და წაიკითხა სამართალში მიცემული არქიტექტორის ჩვენება. კითხულობდა იგი, თუ როგორ გაგზავნეს ეს არქიტექტორი ფინეთში, რომ ერთი ავეჯზე შეშლილი კაცისათვის ფინური დგამი და ხე-ტყის მასალა ჩამოეტანა. პროკურორმა წაიკითხა ეს ადგილი და განაცხადა, — აი, ამ ერთი, ვიწრო წრის ადამიანებს მეშჩანური მორალი დაეუფლათ, მეჟინჟეები გახდნენ, ძონძებისათვის, ჭაღებისათვის ეჯიბრებიან ერთმანეთს...

საბრალდებო დასკვნის ყოველი მუხლის მიხედვით პროკურორი ხან ერთ ტომს აიღებდა ხოლმე ხელთ, ხან მეორეს, მოჰყავდა იქიდან ამონაწერები, ჩვენებები, დოკუმენტები, ოფიციალური მიმოწერანი, და ყველა ეს დოკუმენტი მეტყველებდა, თუ როგორ ხრწნის და ათახსირებს ადამიანს სიხარბე, შური, მოხვეჭის დაუცხრომელი წყურვილი... ვუსმენდი პროკურორის სიტყვას და უნებურად ვფიქრობდი — მართლაც საჭიროა დაიწეროს წიგნი, მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც მხილებული და გამოაშკარავებული იქნება მთელი ეს სიბინძურე, ისე როგორც ამხილა, ვთქვათ, ბალზაკმა თავისი დროის ხარბი მომხვეჭელები, ფელიქს გრანდე იქნებოდა ის, თუ ბარონი ნუსინგენი.

ეს ფიქრი პროკურორის სიტყვამ შემაწყვეტინა. მას ისევ საქმის მორიგი ტომი ეჭირა ხელში და საბრალდებო სკამზე მჯდომ ერთ ცნობილ პიროვნებას მიმართავდა:

— აი, ეს თქვენი ჩვენებაა, ბატონო პროფესორო! არა სჯობდა ამის ნაცვლად წიგნები გეწერათ. ახლა კი, აი, ჩვენებებს წერთ. მერე რა გულდამშვიდებით აღწერთ თქვენი მექრთამეობის ისტორიას? რა გინდოდათ მეტი, მთელი ქვეყანა პატივს გცემდათ, თქვენც თითქოს იმსახურებდით ამ პატივისცემას და უცებ ნიღაბი აგხადეს, მეცნიერი კაცი მექრთამე აღმოჩნდით. მე არ მივცემ ჩემს თავს იმის უფლებას, რომ წავიკითხო ყველაფერი ის, რაც თქვენ აქ გიწერიათ. აი, თქვენ პატიებას თხოულობთ, მხოლოდ ერთხელ შევცდი, მხოლოდ ერთხელ ავიღე ოცი ათასი მანეთიო.

პროკურორი ახლა მის მეზობელს მიუბრუნდა:

— ან თქვენ რა გაგიჭირდათ ასეთი? ერთგან კი არა, ორ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობდით, როცა ეს კანონით აკრძალულია. თქვენ, როგორც სპეციალისტს, ანგარიში გაგიწიეს და ამის ნება მოგცეს. თქვენ მაინც უკუღმართი გზა არჩიეთ. რატომ, რისთვის? ფული გაკლდათ, სახელი გაკლდათ, დიდება გაკლდათ? — პროკურორმა მისი ჩვენების კითხვა დაიწყო:

„ერთხელ, მარტო ერთხელ შევცდი, ჩემი ძველი ნაცნობი მომადგა, არ მომეშვა, დამეხმარეო, მიშველეო როგორმე, შვილი მომაწყობინეო. ორჯერ უარით გავისტუმრე, მერე გაეგო, რომ მე იმ ინსტიტუტში ქიმიაში გამოცდას ვიღებდი, გაეგო და არ მომეშვა. ერთ დღეს, დილა უთენია მომადგა. მე ლექციაზე მეჩქარებოდა. ავდექი, მეორე ოთახში გავედი და ჩავიცვი. ამ დროს მოესწრო მას და მაგიდაზე დაეტოვებია გაზეთში შეხვეული ფული. მე ისე წავედი ინსტიტუტში, არცკი გამიხსნია ის შეკვრა. იმ დღეს სწორედ მე შემხვდა ის აბიტურიენტი გამოსაცდელად და ხუთიანი დავუწერე. შინ რომ დავბრუნდი, ჩემს მეუღლეს უკვე გაეხსნა ეს შეკვრა, მასში ორმოცი ათასი მანეთი იყო. რაკი საქმე გაკეთებული იყო, და იმ კაცმაც აღარ მომაკითხა, მე ხელი ჩავიქნიე და ასე შემრჩა ეს ფული...“

პროკურორი განაგრძობდა:

— აგერ, საბრალმდებო სკამზე სხედან ჯერ ისევ ახალგაზრდა დოცენტები, არქიტექტორები... და აი, ეს სიცოცხლით და ენერგიით სავსე ადამიანები ციხეში უნდა მოხვდნენ, იმის ნაცვლად, რომ თავიანთი ცოდნა და ძალღონე სამშობლოს კეთილდღეობას მოახმარონ, ქვეყანას შვილები აღუზარდონ. ამ პროცესის დაწყებამდე არაერთ ფიცხელ დავასა და კამათს შევსწრებივარ. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ — ასეთი მახინჯი მოვლენები მარტო ჩვენში არ ხდება, მეტ-ნაკლებად ეს ყველგან შეიმჩნევაო. სამწუხაროდ, ეს ასეა, მაგრამ ჩვენ ეს შეღავათს არ გვაძლევს. სხვას ცუდ საქმეში კი არ უნდა მივბაძოთ, პირიქით, კარგი მაგალითი უნდა ვუჩვენოთ. ჩვენი ეროვნული ენერგია საბჭოთა მეცნიერების, ეკონომიკის, კულტურის სამსახურში უნდა ჩავაყენოთ და ამ მხრივ უნდა გავეჯიბროთ ყველას.

... პროკურორის სიტყვის შემდეგ, მეორე დღეს, ჯაბა ამაოდ ეძებდა თვალებით დარბაზში თავის ცოლსა და ქალიშვილს; აქამდე მათ სასამართლო პროცესის არცერთი დღე არ გამოუტოვებიათ, ამიტომ უკვირდა — რა მოხდა, დღეს რატომ არ მოვიდნენო. ისინი არც მესამე დღეს გამოჩნდნენ; შესვენებისას ჯაბამ ველარ მოითმინა და დამცველს სთხოვა — გამიგე, ჩემიანები რად არ არიანო. დამცველი დარბაისელი და გამოცდილი კაცი იყო. მან კარგად იცოდა, რაც მოხდა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია და დარბაზში გავიდა, ვითომ ამბის გასაგებად. იქიდან რომ დაბრუნდა, ჯაბას მოახსენა, შენი მეუღლე ავად გამხდარა და ქალიშვილი თავზე ადგასო. მეოთხე დღეს კვლავ

მოიკითხა ჯაბამ ცოლი და ქალიშვილი. რაღაც გამოუცნობი წინათგრძნობა არ ასვენებდა ისედაც აფორიაქებულ კაცს, ისევ იმ დამცველმა დინჯად განუმარტა, ინფარქტი დამართიაო შენს მეუღლეს და საავადმყოფოში წაუყვანიათო. თავზარი დაეცა ჯაბას, ვაიო, ერთი ამოიძახა და სკამზე დაეშვა. ამასობაში შესვენებაც გამოცხადდა.

ერთი კვირის შემდეგ დარბაზში კვლავ გამოჩნდა ჯაბას ქალიშვილი, მას თავისი შვიდი წლის ბავშვი მოეყვანა. ჯაბამ დაინახა თუ არა თავისიანები, რაღაც მოლოდინის გრძნობამ შეიპყრო, იფიქრა, ალბათ, უკეთ არისო ჩემი ცოლი, და საბრალდებო სკამიდან მიესალმა ქალიშვილსა და შვილიშვილს. იმათაც გაუღიმეს, თუმცა რა ეღიმებოდათ: ახალგაზრდა ქალმა ერთი კვირის წინ დამარხა დედა და ახლა საგანგებოდ ამ დარბაზისათვის შავები გაიხადა და ისევ იმ ღიმილით მიესალმა სამართალში მიცემულ მამას, როგორც ერთი კვირის წინათ, რადგან გადაწყვეტილი ჰქონდა მისთვის არაფერი ეთქვა, ვიდრე სასამართლო პროცესი არ დასრულდებოდა.

შესვენებისას ჯაბას პატარა ციალას ნახვის ნება დართეს, ახლა შვილიშვილს ჰკითხა ჯაბამ — როგორ არისო ბებიაშენი. ბავშვმა გაიღიმა და უთხრა — საავადმყოფოში წევსო ბებო, გუშინ ვნახე, განძრევის ნება ჯერაც არ მიუციათ, ძლიერ ცუდად არისო ბებო, — თქვა ციალამ და თავი დაღუნა. ჯაბამ თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. (მთელმა დარბაზმა იცოდა, რომ ჯაბას მეუღლე ერთი კვირის წინ დაკრძალეს), და აქ დამსწრეებს ყველაზე უფრო ეს ანცვიფრებდათ, თუ როგორ ოსტატურად ასრულებდა პატარა ციალა მძიმე და გაუგონარ დავალებას. მან თავი ისე მოაჩვენა ბაბუას, თითქოს სულაც არაფერი მომხდარიყოს. ჯაბას ქალიშვილმა კი ვერ გაუძლო ყოველივე ამას, დაბრუნდა თუ არა ბავშვი, ხელი მოხვია და გარეთ გავიდა.

ეს ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდი იყო მთელ ამ პროცესზე, ეს იყო ფინალი იმ ტრაგედიისა, რომელიც ჯაბამ თავს დაატეხა პირველ რიგში თავის ოჯახს.

## ჯაბა ბერიშვილის ჩანაწერებიდან

**20** ივნისი. როგორც იყო, შემატყობინეს ყველაფერი, მითხრეს სიმართლე. თურმე იმ დღეს, როცა მედიკო დაკითხეს, ჩემს ცოლს, საღამოთი რომ დაბრუნებულა, ჯავრისაგან გულის შეტევა დაწყებია და იმავე ღამეს გარდაცვლილა. საცოდავი თინა, პროცესს ყოველდღე ესწრებოდა და სულ მე მომჩერებოდა. არ ვიცი მიწყრებოდა, თუ ვეცოდებოდი, დაუინებით მიცქეროდა და ერთხელ ცრემლიც კი შევნიშნე მის თვალებში. ძალიან შემეცოდა, მაგრამ მაინც ვერ შევატყვე, მაპატია თუ არა ყველაფერი, რაც მედიკოს გამო გადახდა. მედიკოს დაკითხვის დროს ორჯერ გავიდა გარეთ, ვერ ისვენებდა, დარბაზში სულ ეხუთებოდა.

თინას წინაშე ორმაგად დამნაშავე ვარ — ამ ჩემი მექრთამეობითაც და იმ ჩემი სულელური რომანითაც. ეს როგორ დამემართა... ამდენი ხნის კაცი, ოჯახის პატრონი ავეკიდე იმ ჰკუათხელ ქალს. ამის გახსენება ახლა ტანში მზარავს და გულს მირევს. რა საშინელი ვინმე ყოფილა ის ქალი! როგორ უტიფრად ეპირა თავი პროცესზე, როგორ აბუჩად მიგდებდა მეც და ჩემს ოჯახსაც. ვუსმენდი და მიკვირდა, ნუთუ ამ ქალისათვის გადავდე თავი, მას ვანაცვალე ჩემი ოჯახი, ჩემი ერთგული ცოლი, როგორ ამაღლდა ჩემს თვალში ერთბაშად თინა, ამ მეწვრილმანე ქალთან შედარებით. მარტო მედიკოს საქციელიც კი საკმარისი იყო, რომ გული გახეთქოდა იმ უბედურ ჩემს ცოლს. ახლა მე მარტო ჩემს თავს კი არა, ჩემი ქალიშვილისა და შვილიშვილის ლანდს ვემალები, ამიერიდან იმათაც უნდა უწოდონ მექრთამის შვილი, მექრთამის შვილიშვილი... .

რა მშვენიერი მდგომარეობა მქონდა, რა აწყობილი ოჯახი, დოცენტი ვიყავი, სულ მალე პროფესორი გავხდებოდი. არც უნიჭო ვიყავ, პროფესორები ჩემზე რაღაც იმედებს ამყარებდნენ და რომ მემუშავა ჩემს დარგში ისე დაჟინებით, როგორც ამ კოოპერატივში ვმუშაობდი, მემუშავა პატიოსნად და თავდადებით, ერთი კარგი სახელმძღვანელოს ავტორი მაინც ვიქნებოდი... ვინ იცის?! უკვდავო პოეტო, რა მართალი იყავი, როცა წერდი, სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსაო. მართლაც, რა ბრძნული ნათქვამია. მე სახელის მოხვეჭას ფული ვამჯობინე. რომ ვთქვა, არ ვიცოდი, არ მესმოდა-მეთქი, ყოველივე ეს, არ იქნება მართალი, მაინც ამ მოლიპული გზით მივდიოდი.

ახლა რაღა დროს სინანულია, ყველაფერი დამთავრებულია. მაგრამ მაინც რომ ვერ ვისვენებ. ვზივარ სატუსაღოში და ვაღვიძებ მოგონებებს... ვისთვის ვწერ, რისთვის ვწერ ამ სინანულის წერილს, ვის მისწვდება, ვინ წაიკითხავს მას, ვის შეუკრთობს გულს, ვის დააფიქრებს? რისთვის, ვისთვის ვწერ მე ამას, თავის გასართობად?

მაგრამ ჩემსავით კაცს სხვა გასართობი აბა რა აქვს, გარდა იმისა, რომ ამ შეგონებების წერაში მოკლას დრო, რომელიც ასე უნაყოფოდ გარბის და თან მიაქვს ყველაფერი, ამ ქვეყანაზე არაფერი იკარგება უკვალოდ, არც არაფერი იმალება. ეგებ ეს დღიური წაიკითხოს ვინმემ და დროზე ჩაიხედოს თავის სულში, დროზე მიხედოს თავის თავს... მე ახლა

არა მარტო მექრთამე, არამედ კაცის მკვლელიცა ვარ, ცოლის მკვლელიც, ცოლისა, რომელსაც ერთგული და პატიოსანი მეუღლე ვეგონე და სასამართლოზე მთლად გაშიშვლებული რომ მნახა, ვერ აიტანა ამდენი შეურაცხყოფა, მისმა გულმა ველარ გაუძლო ამდენ უბედურებას. იმ ქალმა კი, მედიკომ მთლად გამიმეტა, მახხრად ამიგდო, დამცინა.

რა არ მოიგონა, რა არ მოჩმახა! თურმე მე არც ბინა მიმიცია მისთვის, არც ავეჯი მიყიდია, არც ფულებით მინებივრებია. თურმე ყველაფერი ეს მან პირველად გაიგო ამ სასამართლო პროცესზე. მე ბინა რამაძემ დამიქირავა და კოოპერატივშიაც იმან ჩამწერათ. ჯაბა: ჯაბას არ ვიცნობ, მისი სახელი მე რამაძისგან გავიგე პირველადო. რამაძე რომ გარდაიცვალა, მაშინ მომადგა ჯაბა სახლში და მითხრა, თითქოს ყველაფერი ის, რაც მე მაქვს, მისი ნაყიდი ყოფილიყოს. მისმა ცოლმაც, საუბედუროდ, მაშინ შემოგვისწრო, როცა მე ჯაბა სახლიდან გავაგდეო. აი, როგორ საქვეყნოდ მომჭრა თავი! ჰოი, როგორ ათასნაირად იგრიხებოდა, იმას ეგონა სასამართლოზე ვერ ამხილებდნენ მის თინბაზობას და ტირილი დაიწყო. ეე, დავანებოთ თავი ყოველივე ამას, რაც იყო, იყო. ყველაფერი ჩემი ბრალია.

ახლა ის კითხვა მიბურღავს ტვინს — რისთვის ვწერ ამას, რა უფლება მაქვს შეგონებით და რჩევით მივმართო ვინმეს, უბრალოდ გულს ვიოხებ და ანდერძად ვუტოვებ ყველას, ვინც ამას წაიკითხავს, თუ არ წაიკითხავს, რომ გაუფრთხილდნენ ადამიანის ძვირფას მონაპოვარს — თავისუფლებას, პატიოსნებას.

ყველაფერი გათავდა, იყო ჯაბა და აღარ არის ჯაბა. არც არავინ იდარდებს და არც არავინ დაიტირებს, არც ცოლი, არც შვილი, რადგან ჩემგან შერცხვენილი ჩემი ქალიშვილი სახლიდან გაიქცა და, თავის ქმართან ერთად, სხვა ქალაქში გადასულა თურმე. მე უფლებააყრილი, პატივაყრილი კაცი ვარ. და თუ როდესმე გამოვედი ამ ციხიდან, მექრთამის სახელით, პატივაყრილი კაცის სახელით უნდა ვიარო, ასეა ეს, ბატონო ჯაბა!

* * *

— ადექით, სასამართლო მოდის! — უკანასკნელად, ორასმეათეჯერ გაისმა დარბაზში ეს სიტყვები. გვეშველა, გვეშველა, შენც, ამის წამკითხველს და მეც, ამ გაქიანურებული ამბის დამწერს. სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის კითხვას შეუდგა. მთელი სამი საათის განმავლობაში კითხულობდა განაჩენს თავმჯდომარე, სათითაოდ ჩამოთვალა სამართალში მიცემული ოცდაერთი კაცის დანაშაულობანი და ამის მიხედვით ჩამოაყალიბა და მიუყენა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის შესაფერისი მუხლი ყოველ მათგანს. პროცესიც ამით დამთავრდა.

პირველი ნაწილის დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

*თენგიზ ბუაჩიძე*

# მიხეილ შოლოხოვი

1925 წელს, ოცი წლის მიხეილ შოლოხოვმა დაიწყო თავისი გრანდიოზული ეპოპეის — „წყნარი დონის“ წერა.

რამ გაამბედვინა, ან რამ შეაძლებინა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცს, ხელი მოეკიდა ნაწარმოებისათვის, რომელიც გამოქვეყნებისთანავე საბჭოთა მწერლობის კლასიკურ ნიმუშად იქცა და მსოფლიო რეზონანსი მოიპოვა?

რა გზა ჰქონდა გავლილი, რა პირობებში ჩამოყალიბდა შოლოხოვის მწერლური ნიჭი, რომელიც არნახული სისწრაფით გაუტოლდა მეოცე საუკუნის საქვეყნოდ აღიარებულ ტალანტებს?

პასუხი ამ კითხვებზე თითქოს ადვილია, რადგან მის თანამედროვეთათვის კარგადაა ცნობილი შოლოხოვის ცხოვრების თითქმის ყველა გარეგნული ფაქტი და გარემოება, ყოფა, წრე, პიროვნული სწრაფვა და ხასიათი.

მაგრამ, სინამდვილეში, პასუხის გაცემა ამ კითხვებზე ძნელია იმდენად, რამდენადაც რთულია ჭეშმარიტად დიდი მწერლის შინაგანი სამყაროს ჩამოყალიბების საიდუმლოს ჩაწვდომა, იმ ფარული ფსიქოლოგიურ-შემოქმედებითი პროცესის შეცნობა, რომელიც მის სულში მისდა შეუმჩნევლადაც კი მიმდინარეობს.

მაინც ვცადოთ იმ გზის თვალწინ აღდგენა, რომელიც მიხეილ შოლოხოვმა, როგორც ადამიანმა და როგორც შემოქმედმა განვლო.

## I

მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვი დაიბადა 1905 წლის 24 მაისს, ვეშენსკაიას სტანიცის დონისპირა ხუტორ კრუჟილინში. მწერლის დედა, ანასტასია ჩერნიკოვა, კაზაკის ქალი იყო, ხოლო მამა — ალექსანდრე მიხეილის ძე შოლოხოვი — რიაზანის გუბერნიიდან გამოსული რაზნოჩინეცი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე დაქირავებულ შრომას ეწეოდა.

შოლოხოვის მშობლებს მცირე განათლება ჰქონდათ. დედამ მხოლოდ მაშინ ისწავლა წერა-კითხვა, როცა მიხეილი გიმნაზიაში სწავლობდა. უძლიერესი იყო დედის სურვილი, სხვა ქალაქში მყოფ ერთადერთი ვაჟისათვის წერილი მიეწერა, ან მისგან მოსული ბარათი პირადად წაეკითხა და ამ გარემოებამ დააწყეთა ანბანს. მამის სურვილი კი იყო, ინჟინრის სპეციალობას დაუფლებული შვილი ეხილა და ძლიერ წუხდა, რომ იგი მწერალი გახდა.

მამა ვერ მოესწრო შვილის დიდებას, 1925 წელს გარდაიცვალა, ხოლო დედა 1942 წელს დაიღუპა, სამამულო ომის დროს.

მომავალი მწერლის გონებაში ადრევე აღიბეჭდა მშობლიური ტრამალების უსაზღვრო სივრცეები, წყნარი დონის ამწვანებული ნაპირები, კაზაკთა სტანიცებისა და ხუტორების თავისებური ყოფა, კაზაკების მძიმე გლეხური შრომა და განუწყვეტელი სამხედრო სამსახური.

„დავიბადე დონზე, — ამბობს შოლოხოვი, — იქ ვიზრდებოდი, ვსწავლობდი, ვყალიბდებოდი როგორც ადამიანი და მწერალი...“

პირველი მსოფლიო ომის წლებში შოლო-

ხოვი სწავლობდა კრასნოდარისა და სხვა ქალაქების გიმნაზიებში. სამოქალაქო ომის მრისხანე წლებიც დონზე გაატარა. 1920 წელს, თხუთმეტი წლის ყმაწვილი, კომკავშირში შევიდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი სასურსათო რაზმებშიც მსახურობდა, ებრძოდა კულაკთა ბანდებს, მასწავლებლობდა, მონაწილეობდა დრამატულ წრეში. 1923 წელს კი პირველად ჩავიდა მოსკოვში, სადაც ორი წელი დაჰყო.

რა მოხდა ამ ორი წლის მანძილზე, როცა შოლოხოვმა მწერლობა აირჩია და, ფაქტიურად, კიდეც ეზიარა მას?

უნდა წარმოვიდგინოთ მაშინდელი მოსკოვი, ნეპი, იფურჩქნებიან წვრილ-მოვაჭრენი, წვრილ-მრეწველნი, ნეპმანები წრეგადასულად ერთობიან და ლრეობენ. მეორე მხრივ, მტკიცდება სახელმწიფო სექტორი; მოსკოვისაკენ ყოველი მხრიდან ათიათასობით ადამიანი მიეშურება, დუღს და გადმოდუღს ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრება, გამოდის სხვადასხვა მიმართულების ასობით ჟურნალ-გაზეთი, ალმანახი, კრებული, ახალგაზრდობა ალამებს და ათენებს ლიტერატურულ დისპუტებზე; თანდათანობით იწყება დედაქალაქის აღმშენებლობა. დიდი მოთხოვნილებაა მუშებზე, მშენებლებზე, კალატოზებზე.

ხალხით სავსე შრომის ბირჟაზე შოლოხოვი სასურსათო ინსპექტორად ჩაეწერა (მშობლიურ დონზე იგი ერთხანს სწორედ ამ თანამდებობას ასრულებდა). მაგრამ მოთხოვნილება ამ დარგის „სპეციალისტებზე“, არ არის — სურსათი იყოს და უინსპექტოროდაც აითვისებენ!

შოლოხოვი მუშაობს შავ მუშად, ქვის მთლელად, მტვირთავად, მოანგარიშედ სახლმმართველობაში... ამავე დროს, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, შრომობს კომკავშირული ენთუზიაზმით და... იწყებს წერას.

ეს მოხდა 1923 წლის 19 სექტემბერს. გაზეთ „იუნოშესკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა შოლოხოვის პირველი ფელეტონი „გამოცდა“, რომელსაც კიდევ რამდენიმე მოჰყვა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მხატვრული შემოქმედება, არამედ კალმის პირველი ცდა, „დაბექდვის“ პირველი სურვილის ახდენა.

მხოლოდ 1924 წლის ბოლოს გამოქვეყნდა მწერლის პირველი მოთხრობები, 1925 წელს გამოვიდა პირველი კრებული — „დონური მოთხრობები“; ხოლო შემდეგ წელს მეორე — „ლაჟვარდოვანი ტრამალი“.

1925 წელს შოლოხოვი ტოვებს მოსკოვს, ბრუნდება დონზე და სამუდამოდ სახლდება სტანიცა ვეშენსკაიაში.

იმავე წლის შემოდგომაზე მწერალი იწყებს „წყნარი დონის“ თავდაპირველი ვარიანტის წერას. ამ პირველ ვარიანტს სათაურად ჰქონდა „დონშჩინა“.

თვით შოლოხოვი გვიამბობს: „რომანის წერა დავიწყე 1925 წელს, მაშინ მე არ მიფიქრია ასე ფართოდ გადამეშალა იგი. იმ ამოცანამ მიმიზიდა, რომ მეჩვენებინა კაზაკობა რევოლუციაში, დავიწყე კაზაკობის მონაწილეობით პეტროგრადზე კორნილოვის ლაშქრობაში...“

მაგრამ მწერალს არ უფიქრია შემოეფარგლა მოქმედების ადგილი მხოლოდ პეტროგრადით. იგი ვარაუდობდა, ეჩვენებინა კაზაკთა მონაწილეობა იმ რევოლუციურ ამბებში, უშუალოდ დონზე რომ მოხდა.

როცა ნაწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიწერა, შოლოხოვი მიხვდა, რომ მკითხველისათვის „უცნობი დარჩა, რატომ მიიღო მონაწილეობა კაზაკობამ რევოლუციის ჩახშობაში, ვინ არიან ეს კაზაკები“...

შოლოხოვმა შეწყვიტა მუშაობა და ახალი, უფრო დიდი მასშტაბის რომანის მოფიქრება დაიწყო.

მწერლის ეს გადასვლა ფართო ეპიკურ შემოქმედებაზე ნაკარნახევი იყო არა მხოლოდ კაზაკობის წარსულის ჩვენების სურვილით, არამედ იმითაც, რომ ნაჩვენები ყოფილიყო ხალხის ბედი რევოლუციაში, სინამდვილე მის რევოლუციურ განვითარებაში.

მხატვრის ფხიზელ გონებას არ შეეძლო გვერდი აევლო იმ ფაქტისათვის, რომ სოციალიზმი მძლავრად უტევდა ძველსა და დრომოჭმულს. თანადროულობის ამბები დაეხმარა მწერალს გაეღრმავებინა რომანის პირველ წიგნში კაზაკობის პატრიარქალური ყოფის სურათი, ემხილებინა კლასობრივი ერთობის ილუზია, რომელიც ართულებდა კაზაკობის სვლას რევოლუციისაკენ.

მწერალს სურდა დაეხატა ის ღრმა ცვლილებები ხალხის ცხოვრებაში, ის არსებითი სიახლე, რაც რევოლუციამ მოიტანა.

შოლოხოვმა განიზრახა, გაეხსნა ადამიანის ტრაგედია, რომლის შეგნებაში იმარჯვებდა კერძომესაკუთრული, ინდივიდუალისტური საწყისი. მისივე სიტყვებით, იგი აპირებდა „ეჩვენებინა სხვადასხვა სოციალური ფენები დონზე, ის კოლოსალური ძვრები ყოფაში, ცხოვრებასა და ადამიანთა ფსიქოლოგიაში, რაც ომისა და რევოლუციის შედეგად მოხდა“.

მეორე მხრივ, მას სურდა „დაეხატა ცალკეულ ადამიანთა ტრაგიკული ბედი, რომლებიც 1914-1921 წლების ამბების მძლავრ ორომტრიალში მოხვდნენ“.

ამ ახალი ჩანაფიქრის განხორციელებას მწერალი შეუდგა დაახლოებით 1926 წლის დასასრულიდან. რომანს ეწოდება „წყნარი დონი“; იგი თითქმის თხუთმეტი წლის მანძილზე იწერებოდა. ეს იყო დაძაბული შემოქმედება-

თი შრომის, ისტორიული და ფოლკლორულ-ყოფითი მასალების ღრმა შესწავლისა და კლასიკური ხელოვნების მიღწევათა დაუფლების წლები.

შოლოხოვი არასოდეს შემოფარგლულა მხოლოდ ლიტერატურული შემოქმედებით. „წყნარ დონზე“ მუშაობის დაწყებიდანვე იგი ჩაება დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაში: ზრუნავს დონზე საფოსტო კავშირის გაუმჯობესებისათვის, ხელს ჰკიდებს სოფლის მეურნეობის მოწესრიგების, კაზაკთა რაიონების რადიოფიკაციის საკითხებს.

1928 წელს ჟურნალ „ოქტიაბრში“ ზედიზედ გამოქვეყნდა „წყნარი დონის“ პირველი და მეორე წიგნები, რომლებმაც მაშინვე პოვეს დიდი აღიარება.

მესამე წიგნზე მუშაობამ მოითხოვა ისტორიული წყაროების კიდევ უფრო ფართო და ღრმა შესწავლა. შოლოხოვი ეძებდა და ეცნობოდა დოკუმენტებს, თვეობით მუშაობდა როსტოვისა და მოსკოვის არქივებში, ადგილზევე იძიებდა ისტორიული ბრძოლების პერიპეტიებს სხვადასხვა სტანიცებსა და ხუტორებში.

ამავე დროს, შოლოხოვი ხშირად გამოდიოდა დონის პრესაში წერილებით სოფლის მეურნეობის სხვადასხვა საკითხზე, აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლექტივიზაციაში.

1932 წლის „ოქტიაბრში“ გამოქვეყნდა „წყნარი დონის“ მესამე წიგნი, ერთდროულად ჟურნალ „ნოვი მირში“ იბეჭდება „გატეხილი ყამირის“ პირველი ნაწილი, რომელშიც მაღალმხატვრულად აისახა ის უდიდესი გარდატეხა, რაც კაზაკობის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხდა.

იმავე პერიოდში შოლოხოვი შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში: 1934 წელს მიემგზავრება საზღვარგარეთ, მოგზაურობს შვეციაში, დანიაში, ინგლისსა და საფრანგეთში, აქტიურად მონაწილეობს კულტურის დაცვის მეორე საერთაშორისო კონგრესში.

„წყნარი დონის“ მეოთხე წიგნზე დაძაბულ შრომასთან ერთად მწერალი კვლავ დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. ძირითადად ეს იყო დონის სოფლის მეურნეობის აღმავლობის, აგრეთვე მშობლიური სტანიცის — ვეშენსკაიას კეთილმოწყობის საკითხები.

შოლოხოვის ინიციატივით ვეშენსკაიაში პედაგოგიური სასწავლებელი და კაზაკური თეატრი გაიხსნა, აშენდა მრავალი საზოგადოებრივი შენობა, გაკეთდა წყალსადენი.

შორეული სტანიცებიდან და ხუტორებიდან მიეშურება მწერალთან ხალხი რჩევა-დახმარებისათვის. ცნობილი საბჭოთა მწერლის ა. სერაფიმოვიჩის სიტყვებით, შოლოხოვს შემოქმედებითი მუშაობის საშუალება მხოლოდ ღამღამობით ეძლეოდა. მასთან უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ კაზაკები, კოლმეურნენი, მუშები, სტუდენტები, ტურისტები, უცხოელები, მოხუცები, ბავშვები, ჟურნალისტები, მწერლები, მუსიკოსები, პოეტები... ზოგი მოდიოდა მანქანით, ვინ ქვეითად, ვინ ცხენით, ნავით, გემით, თვითმფრინავით... შოლოხოვი ყველას იღებდა, ყველას ეხმარებოდა.

1937 წელს იგი აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1939 წელს შოლოხოვი, როგორც ჩვენი დროის უდიდესი მწერალი, არჩეულ იქნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, იგი დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

1939 წლის ბოლოს დასრულდა „წყნარი დონის“ წერა, რომანის უკანასკნელი, მეოთხე წიგნი 1940 წელს გამოქვეყნდა.

სამამულო ომის დაწყებისთანავე შოლოხოვი აქტიურად ჩაება საბჭოთა კავშირის ხალხთა გმირულ ბრძოლაში ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ. მისი კორესპონდენციები, პუბლიცისტური გამოსვლები, ნარკვევები, მოთხრობები დიდ როლს თამაშობდნენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ხალხის დარაზმვაში. ომის პერიოდში დაიწყო შოლოხოვმა წერა რომანისა — „ისინი სამშობლოსათვის იბრძოდნენ“. ამ რომანზე იგი ახლაც განაგრძობს მუშაობას.

1960 წელს შოლოხოვმა დაამთავრა „გატეხილი ყამირის“ მეორე წიგნი. ვინაიდან სამამულო ომის დროს მთლიანად დაიღუპა შოლოხოვის არქივი, მწერალს ხელახლა მოუხდა ზოგიერთი დაწერილი თავის აღდგენა. ჩვენს თვალწინ კვლავ გადაიშალა დონის პატარა ხუტორის მცხოვრებთა, მკითხველთა ძველი ნაცნობების ცხოვრებისა და ბრძოლის უაღრესად კოლორიტული სურათი. შოლოხოვის მხატვრული ოსტატობა კვლავ გამოჩნდა მთელი თავისი ბრწყინვალებით.

სამამულო ომის თემას მიუძღვნა მწერალმა საქვეყნოდ ცნობილი მოთხრობა „ბედი კაცისა“ (ყველა ზემოთხსენებულ ნაწარმოებს ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით შევეხებით).

ამრიგად, სამი ძირითადი თემა, სამი მთავარი მომენტი მშობლიური ხალხის ცხოვრებისა პოულობს ასახვას შოლოხოვის შემოქმედებაში: პირველი — რევოლუციის თემა, ხორცშესხმული „წყნარი დონის“ განუმეორებელ გმირებში; მეორე — კოლექტივიზაცია, სოფლად სოციალისტური ეპოქის დადგომა „გატეხილი ყამირის“ ეპიკურად დახატულ ტილოზე, და მესამე — ხალხის უდიდესი განსაცდელის, ომის თემა, აღბეჭდილი იმ გმირების ბედიღბალში, რომლებიც შეეწირნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას და რომლებმაც ძლევამოსილად დააგვირგვინეს ხალხთა სამართლიანი ომი ფაშიზმის წინააღმდეგ.

ეს ხამი ძირითადი თემა განსაზღვრავს შოლოხოვის შემოქმედების ხასიათს.

## II

როგორი იყო შოლოხოვის პირველი მოთხრობები, რა თვისებები გამოავლინა მათში „წყნარი დონის“ მომავალმა ავტორმა?

გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ა. სერაფიმოვიჩი „დონური მოთხრობების“ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა:

„ტრამალის ყვავილის ცოცხალ ფერებად წარმოგვიდგებიან შოლოხოვის მოთხრობები. უბრალო, მკაფიო მონათხრობსაც ადვილად შეიგრძნობ — პირდაპირ თვალწინ გიდგას. სახოვანი ენა, ის ფერადოვანი ენა, კაზაკობა რომ ხმარობს, სიმკვრივე, და ეს სიმკვრივე აღსავსეა სიცოცხლით, დაძაბულობით, სიმართლით; ზომიერების გრძნობა მძაფრ მომენტებში, — ამიტომ ეს მომენტები გულს მსჭვალავენ. ღრმა ცოდნა იმისა, რასაც მოგითხრობს... ყველაფერი იმაზე მიგვითითებს, რომ შოლოხოვი დიდი მწერალი დადგება...“

მხცოვანმა მწერალმა ზუსტად შენიშნა ახალგაზრდა ავტორის შემოქმედების დამახასიათებელი თავისებურებანი.

ახლა კი, როცა ამ მოთხრობებს ვეცნობით, ხანდახან გვაკვირვებს ახალგაზრდა შოლოხოვის სტილის ერთგვარი მანერულობა. ავტორის უმეტესი ფრაზა ინვერსიულია. სიტყვათა უჩვეულო განლაგებით იგი თითქოს ცდილობს ხელოვნურად აამღეროს ფრაზა, მიანიჭოს მას ხელოვნური რიტმულობა. ეს იყო მაშინდელი ლიტერატურული მოდის ხარკი. შემდგომ მწერალმა დაძლია ეს ნაკლი და შეიმუშავა თავისი განუმეორებელი, ვაჟკაცური და სადა სტილი.

პირველი მოთხრობების შინაარსი საკმაოდ უბრალოა და, ამავე დროს, რამდენადმე მძიმე, ხაზგასმით ტრაგიკული. ახალგაზრდა მწერალი გვაჩვენებს გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლას კაზაკობაში, სისხლიან კონფლიქტებს კაზაკთა ცალკეულ ოჯახთა შიგნით, მძიმე გზას ახალი ცხოვრებისაკენ, ძველი ყოფის შეუბრალებელ მსხვრევას დონზე, რევოლუციის მიერ წარმოშობილ ახალ გმირებს, მათ ერთგულებას რევოლუციისადმი, სწრაფვას ახალი ცხოვრებისადმი.

აი, პირველი კრებულის პირველი მოთხრობა „ხალი“. წითელი ესკადრონის მეთაური ნიკოლოზ კოშევოი ებრძვის თეთრგვარდიელთა ბანდებს. ერთ-ერთი ამგვარი ბანდის ატამანი მამამისია. შეტაკების დროს მამა ჰკლავს შვილს და შემთხვევით იცნობს მას სწორედ ხალით.

მოთხრობა „ჭიანაჭამი“. კულაკი მამისა და უფროსი ძმის წინააღმდეგ ილაშქრებს უმცროსი ძმა, კომკავშირელი სტეფანე. მამა და უფროსი ძმა კლავენ საძულველ სტეფანეს, რომელიც მათი ფიქრით, ოჯახის კეთილდღეობას ემუქრებოდა.

სხვა მოთხრობა: ღარიბესი ოჯახი — მამა და ორი შვილი საბჭოთა წყობილების მხარეზეა, მესამე შვილი — თეთრგვარდიელთა სამსახურშია. იგი ხვრეტს საკუთარ მამასა და ძმებს.

კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე ნაჩვენებია არა მხოლოდ ცალკეული ოჯახების მაგალითზე. მწერალი გვაჩვენებს, რომ ღარიბესი კაზაკობა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადადიოდა, ხოლო მდიდრები იარაღით ხელში იბრძოდნენ ამ ხელისუფლების დამკვიდრების წინააღმდეგ.

მოთხრობა „მოსისხლე მტრის“ გმირი ეფიმ ოზეროვი წითელ ცარიცინს იცავდა, ახლა კი ხუტორში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელია და შეურიგებლად ებრძვის კულაკობას. კულაკები მხეცურად გაუსწორდებიან ეფიმს, მაგრამ იგრძნობა მისი საქმის გარდუვალი გამარჯვება: „ერთი ეფიმი რომ მოკლან, ოცი ახალი ეფიმი გაჩნდება“.

მოთხრობაში „მწყემსი“ ავტორი გვიხატავს კლასობრივი ბრძოლის უფრო გვიანდელ ეტაპს, გვაჩვენებს ახალი თაობის წარმომადგენლებს, ღარიბთა შვილებს — და-ძმა გრიგოლსა და დუნიაშას. სწორედ ისინი მოდიან დაღუპული ეფიმების ნაცვლად, ისინი განაგრძობენ ბრძოლას ახალი ცხოვრების დასამკვიდრებლად. მძიმედ ეწყობა ეს ახალი ცხოვრება, საუკეთესო ადამიანები ეწირებიან მას, მაგრამ ახალი მაინც მტკიცედ მკვიდრდება.

ღრმა ფსიქოლოგიზმით გვიჩვენა შოლოხოვმა ამ მოთხრობაში გოგონას — დუნიაშას უბედურება, რომელსაც კულაკებმა ახალ ცხოვრებაზე მეოცნებე და ამ ცხოვრებისათვის მებრძოლი ძმა მოუკლეს. აქვე მკაფიოდაა მინიშნებული, რომ რევოლუციისათვის დაღვრილი სისხლი და განწირული სიცოცხლე უკვალოდ არ იკარგება. დუნიაშა ქალაქში მიდის, ჩანთაში პურის ყუა, მოკლული ძმის გაურეცხავი ხალათი და ლენინის წიგნი უდევს.

„თქორი. ბინდი. ველის გზა.

სიარული იმისათვის არ არის ძნელი, ვისაც ზურგზე ჩანთით მკიდია პურის ნატეხი და ხელში ყავარჯენი აქვს.

გზის პირს მიჰყვება დუნიატკა. ქარი გაცვეთილი კოფთის კალთებს აგლეჯს და ზურგში ეჭიკავება.

გარშემო ველი გაშლილა, უკმეხი, მოქუფრუხებული. ბინდდება.

გზის მოშორებით ყორღანი გამოჩნდა, ზედ კი კარავი, ქარს შამბის სახურავი გაუწეწავს.

ლასლასით მივიდა, თითქოს მთვრალიაო, და ჩავარდნილ საფლავზე დაემხო.

ღამეა...

მიდის დუნიატკა გათელილ შარაზე, პირდა-

პირ რკინიგზის სადგურისაკენ რომ გაჭიმულა.

მსუბუქად მიდის, იმიტომ რომ ზურგზე ჩანთით მკიდია ნატეხი ქერის პური, გაცვეთილი წიგნი, რომლის ფურცლებს ველის მწარე მტვრის სუნი სდით, და ძმის, გრიგოლის, ტილოს პერანგი.

როცა გული მწუხარებით ხივდება, როცა ცრემლები თვალებს წვავენ, მაშინ სადმე, უცხო თვალთაგან, შორს, ჩანთიდან ამოიღებს გაურეცხავ ტილოს პერანგს, თავს ჩარგავს შიგ, გრძნობს მშობლიური ოფლის სუნს და დიდხანს წევს უძრავად...

ვერსები უკან რჩება. ველის ღრანტეებიდან მოისმის მგლის ყმუილი, ცხოვრებას რომ უჩივის, დუნიატკა კი გზის პირას მიაბიჯებს, ქალაქში მიდის, სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, სადაც სწავლობენ პროლეტარები იმისათვის, რომ მომავალში შეძლონ რესპუბლიკის მართვა.

ასე წერია ლენინის წიგნში".

მიუხედავად ზოგიერთი მხატვრული ხარვეზისა, პირველმა მოთხრობებმა შესამჩნევი როლი შეასრულეს შოლოხოვის მწერლად ჩამოყალიბების პროცესში. ეს იყო ერთგვარი მოსამზადებელი ეტაპი დიდი ეპიკური შემოქმედებისათვის.

უკვე ამ მოთხრობებში გამოვლინდა შოლოხოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი შერწყმა ბრძოლების აღწერის მკაცრი სიმართლისა რევოლუციური რომანტიკის მაღალ ჰუმანიზმთან, რომელიც გვიხსნის ამ ბრძოლების შინაარსს, სიცოცხლით ავსებს გმირებსა და მწერლის მთელ შემოქმედებასაც.

უკვე ამ პირველ ნაწარმოებებში გამოჩნდა მისწრაფება იმ მომავლისაკენ, რომლისთვისაც დონის თვალუწვდენი ველები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის ასპარეზად გადაქცეულა.

მართალია, ამ მოთხრობებში ბევრი სიკვდილი და მკვლელობაა, დაუნდობლად არიან შებმული ძველი და ახალი სამყარო, მაგრამ გარეგნული ეფექტისათვის როდი მიმართავს მწერალი უმწვავეს დრამატიზმს. იგი ცდილობს ცხოვრების სიმართლე ასახოს, გადმოგვცეს ბრძოლის სიმწვავე. თხრობა გამსჭვალულია ოპტიმიზმით, რომელიც ამტკიცებს ახლის გამარჯვებას ძველზე.

ხანდახან ზოგი რამ გაუბრალოებულად არის ნაჩვენები, არ არის განვითარებული, საკმაოდ დამუშავებული. ზოგჯერ აღწერას ნატურალისტური ელფერი დაჰკრავს, ენაში იგრძნობა ადგილობრივი ლექსიკისა და თქმათა სიჭარბე. მაგრამ ეს არაა მთავარი შოლოხოვის. ადრინდელ მოთხრობებში. გაცილებით არსებითია ის, რითაც მოთხრობები უკავშირდებიან მწერლის იმ ქმნილებებს, რომლებშიც მთელი სისავსით გამოვლინდა მისი ნიჭი.

მოთხრობებში, რომლებშიც ასახულია დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლა, მტრების მხეცური სახეები, კონტრრევოლუციის მძაფრი წინააღმდეგობა, რომელიც თავის ტაქტიკას მრავალწილად ამყარებდა კაზაკობისათვის ცარიზმის მიერ საუკუნეთა მანძილზე ჩანერგილ წოდებრივი ცრურწმენების ინტერესთა თამაშზე, — ამ მგლურ სამყაროს უპირისპირდებიან უბრალო, თავდადებული, ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები, რევოლუციის გამარჯვებისათვის თავგანწირულად მებრძოლნი, ისინი, ვინც თავიდანვე აწესებდა და ანმტკიცებდა საბჭოურ წყობილებას დონის სტანიცებსა და ხუტორებში.

ეს არის მოთხრობები სიყვარულსა და სიძულვილზე, ხალხის სამართლიანი ბრძოლის მაღალ ჰუმანიზმზე, იმ ჭეშმარიტ ჰუმანიზმზე, რომელიც შეიცავს კლასობრივად გამძაფრებულ სიძულვილს ბნელეთის სამეფოსა და რეაქციის ძალთა მიმართ, ახალი ცხოვრების ყლორტებს მოსპობით რომ ემუქრებოდა.

ეს არის მართალი, რეალისტური მოთხრობები, შექმნილი ცხოვრების მოვლენებზე ღრმად დაფიქრებული, გულისხმიერი ადამიანის მიერ, აღბეჭდილნი მართლაც გამორჩეული ნიჭით.

მწერლის ის თვისებები და მისწრაფებანი, რომლებმაც ჯერ მხოლოდ თავი იჩინეს პირველ მოთხრობებში, ფართოდ, ღრმად და უფრო მაღალი ხარისხით გადაიშალნენ „წყნარი დონის" ფურცლებზე.

## III.

„წყნარ დონში" შოლოხოვი მოიცავს დიდ ისტორიულ მოვლენებს, მოგვითხრობს მეფის რეჟიმის პირობებში კაზაკთა ცხოვრებაზე, იძლევა პირველი იმპერიალისტური ომის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სამოქალაქო ომის ფართო სურათს. „წყნარი დონი" — ესაა ეპოპეა დონის კაზაკობის ისტორიულ ბედ-იღბალზე, მის რევოლუციურ გზებზე, რთულსა და მძაფრ კლასობრივ ბრძოლებზე რევოლუციის ეპოქაში. ამ ხალხური ეპოსის მთავარი აზრია კაზაკობის კანონზომიერი სვლა სოციალიზმისაკენ.

„წყნარ დონში" შოლოხოვი განიხილავს კაზაკთა სხვადასხვა ჯგუფების გზებს, მის კლასობრივ დიფერენციაციას უფრო ფართოდ და ღრმად, ვიდრე ადრეულ შემოქმედებაში, მოიცავს უფრო დიდი მნიშვნელობის საზოგადოებრივ მოვლენებს. კაზაკთა ცხოვრებისა და ყოფის მთელი სისავსით ჩვენება წინაპირობაა რევოლუციის წლებში მისი გზების სირთულის ჩვენებისა.

მეფის მთავრობას აღარ შეეძლო კლასობრივი დიფერენციის შეჩერება დონზე, ამიტომ იგი ცდილობდა კაზაკობა აღეზარდა რევოლუციისადმი მტრული დამოკიდებულების სულის-

კუთებით, აღვივებდა წოდებრივ ანტაგონიზმს, ერთმანეთს აცილებდა და უპირისპირებდა კაზაკობისა და გლეხობის ღარიბ მასებს. ამისათვის კაზაკობაში ინერგებოდა წოდებრივი ღირსების კულტი, ხელი ეწყობოდა კარჩაკეტილობას, „მეფისა და მამულისადმი“ ბრმა ერთგულების იდეას. კაზაკობის ქვედაფენებს განუწყვეტლივ ჩასჩიჩინებდნენ, რომ ყველა კაზაკი წოდებრივად თანასწორია, რომ კაზაკობა „უმაღლესი ხალხურობის“ განსახიერებაა, რომ იგი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფება.

თავისებური ყოფა, მასინჯი პატრიარქალური ურთიერთობანი, გონებრივი სიბნელე, სპეციფიკური ეკონომიური პირობები კაზაკობას რუსეთში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლიდან რიყავდა, ადუნებდა მის პოლიტიკურ სიფხიზლეს.

ბოლშევიკური პარტია, კაზაკთა სხვადასხვა ფენებში თავისი წარმომადგენლების სახით, ცდილობდა დახმარებოდა კაზაკობას, გაერღვია წოდებრივი შეზღუდულობის ყალბი რკალი, ცდილობდა გამოეგლიჯა ცარიზმის ხელიდან ის ცენტრალიზებული ძალა, რომელსაც მთავრობა რევოლუციის საწინააღმდეგოდ წარმართავდა.

დიდი მხატვრული ძალით და ცხოვრებისეული სიმართლით გვაჩვენებს შოლოხოვი კაზაკთა წრეში კლასობრივი ბრძოლის სიმძაფრეს, ცხოვრების პირობების ძირფესვიან ნგრევას, იმ დაძაბულ დრამატულ მოვლენებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ ხალხის ბედს, კაზაკობის გზებს რევოლუციაში, როგორც რთულ სოციალურ პროცესს.

დასაწყისშივე, მელეხოვების ოჯახის აღწერისას, მწერალი გვაძლევს კაზაკების ყოფა-ცხოვრების კოლორიტულ სურათებს, გვიხატავს მის ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, სოციალურ მდგომარეობას. ერთ მხარეს არის კაზაკთა კულაკური ზედაფენა კორშუნოვების სახით, მემამულე ლისტნიცკები, ვაჭარი მოხოვები, სამღვდელოება, ხუტორის ზნედაცემული „ინტელიგენცია“, თეთრგვარდიელი გენერლები, კაზაკი ოფიცრები. მეორე, საწინააღმდეგო მხარეს დგანან მოჯამაგირე კოშევოი, მუშა-კაზაკები — კოტლიაროვი, ლაგუტინი, ვალეტი, რევოლუციური კაზაკობის წარმომადგენლები — პოდტელკოვი, კრივოშლიკოვი, ბოლშევიკები — შტოკმანი, პოგუდკო, ბუნჩუკი, ულარიბესი კაზაკები, პროლეტარები... ამ შეურიგებელ ბანაკთა ბრძოლის სიმძაფრე განაპირობებს რომანის კონფლიქტების სიმწვავესაც.

როდესაც ღარიბ და საშუალო შეძლების კაზაკთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლების სახეებს ქმნის, შოლოხოვი ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ ისინი, უპირველესად, მშრომელი ხალხია, ჩვეულებრივი მიწათმოქმედი გლეხები არიან. ამიტომ გვიხატავს შოლოხოვი შრომის პროცესებს, ბალახის თიბვას, პურეულის აღებას, კალოობას, ხვნას, ხორბლის ფქვას. გლეხური შრომა წარმოადგენს კაზაკთა არსებობის საფუძველს. ყოველდღიური შრომითი საქმიანობისაგან მათ წყვეტდა მხოლოდ აუცილებელი სამხედრო სამსახური, რომელიც უმძიმეს უღლად ედგა მხრებზე კაზაკობის ულარიბეს ნაწილს. კაზაკების ცხოვრების აღწერისას, მათი ყოფისა და ჩვევების ხატვის დროს შოლოხოვი უხვად იყენებს და ეყრდნობა ხალხურ შემოქმედებას, კაზაკურ ფოლკლორს, რომელშიც სამართლიანად ხედავს ამ აღწერათა ერთ-ერთ ყველაზე უფრო მართალ წყაროს.

ყოფითი დეტალების სიუხვე და სიმართლე საშუალებას აძლევს მწერალს გადმოგვცეს ის ტიპიური გარემოებანი, რომელშიც მოქმედებენ და იხსნებიან ტიპიური ხასიათები. როდესაც ცდილობს შექმნას სისხლსავსე კონკრეტულ-ისტორიული სინამდვილე, შოლოხოვი გვიხატავს კაზაკობის არა მხოლოდ შრომით პროცესებს, არამედ კაზაკთა დღესასწაულებსაც, დასვენებასა და გართობას, დასაფლავების ზნე-ჩვეულებებს, ქორწილს, დონის კაზაკთა ტანსაცმელს, საჭურველს, ცეკვებს, სიმღერებს. მწერალი ორგანულად აქსოვს თხრობაში ხრისტონიასა და ავდეიჩის იუმორისტულ მონაყოლს, სახუმარო სიმღერებსა და ჩასტუშკებს, უბოროტო ხუმრობასა და გარითმულ იგავებს, იავნანასა და ბავშვურ სიმღერებს.

მაგრამ მთავარ ყურადღებას მწერალი აქცევს იმ გაუნათლებლობას, დახშულობას, რაშიც ხალხს ამყოფებდა რელიგიური ჩვევები და ცრურწმენები. მკაფიოდაა გადმოცემული რელიგიური რწმენითა და ტრადიციებით გაბრუებული კაზაკთა გონებრივი უძრაობა, ჩამორჩენილობა, სიბნელე, მაგალითად, კაზაკების ბრმა რწმენაში შელოცვასადმი — „იარაღის ლოცვა“, „საბრძოლო ლოცვა“, „ლოცვა თავდასხმის დროს“, აქსინიას რწმენაში, რომ დედაბრის შელოცვა ყველაფრის წამალია. კაზაკთა ზოგიერთი ჩვევის სიველურე ნათლად ჩანს წისქვილში მომხდარ სასტიკ ჩხუბში, ქალებისადმი შეუბრალებელი დესპოტიზმის გამოვლინებაში, უგონო ლოთობაში, ქორწილის ვაჭრულ ზნე-ჩვეულებებში. ქორწილის აღწერისას შოლოხოვი გვიჩვენებს, რომ გაუნათლებელი კაზაკობა კმაყოფილდება საკუთარი სიმდიდრის შეგნებით, სიმაძღრის პირუტყვული გრძნობის დაკმაყოფილებით, წრეგადასული ღრეობით, როდესაც „უზომოდ სვამდნენ, ხელით გლეჯდნენ მოხარშულ ქათმებს, ხელებს თმებზე იწმენდნენ, ღრღნიდნენ ქათმის კურტუმებს, ნიკაპიდან საყელოში ყვითელი ქონი ჩაღიოდათ, გლეჯდნენ ცხვრის ნეკნებს, სვამდნენ ბევრს და ღიდხანს“. ქორწილის დროს

გრიგორი მელეხოვმა „სევდიანად გადახედა ხალხს, რომელიც თქვლეფდა და ძლებოდა“.

ფერთა გამუქება კერძომესაკუთრეული სამყაროს აღწერისას იმისთვის იყო საჭირო, რომ მწერალს ეჩვენებინა ახლის დამკვიდრების მთელი სიძნელე და თანაც ამ ახლის ძალა. თითქოს ურყევი ჩანდა ყოფის დახავსებული საყრდენები თითქოს მტკიცე იყო უხამსი ტრადიციები, მაგრამ ისინიც ირყევიან, ინგრევა პატრიარქალური, განკერძოებული, კარჩაკეტილი არსებობის ერთიანობა. შოლოხოვი გვიჩვენებს კაზაკთა თვითშეგნების გამოღვიძებას, მათში რევოლუციური განწყობილებების ზრდას ჯერ კიდევ იმ წლებში, ხანამ პირველი მსოფლიო ომი დაიწყებოდა. რევოლუციური მოვლენები თვალს უხელდნენ კაზაკებს, ეხმარებოდნენ საკუთარი ადგილის განსაზღვრაში იმ მწვავე სოციალური ბრძოლის პირობებში, რომელიც კარზე იყო მომდგარი.

სტანიცის ღარიბ-ღატაკნი, წისქვილის მუშები ხრისტონია, ვალეტი, დავიდკა, კოტლიაროვი, მიხეილ კოშევოი ერთიანდებიან მუშა-კომუნისტის შტოკმანის გარშემო, რომელიც გადასახლებიდან დაბრუნდა, პარტიის დავალებით ხუტორში დასახლდა და ფრთხილად, მაგრამ თანმიმდევრულად იწყო კაზაკთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა. წისქვილში ჩხუბის დროს, როცა კაზაკები ველური სისასტიკით სცემდნენ უკრაინელ გლეხებს, შტოკმანი ცდილობს გაუფანტოს კაზაკებს მცდარი წარმოდგენა თავის თავზე, როგორც რაღაც „განსაკუთრებულ ერზე“. სხვა დროს იგი შესთავაზებს კაზაკებს წაიკითხონ „დონის კაზაკთა ისტორია“, რომელშიც „გასაგებად და სასტიკად დახცინოდა უცნობი ავტორი კაზაკის უფერულ ცხოვრებას, აბუჩად იგდებდა მეფის მთავრობის წესწყობილებას და თვითონ კაზაკებს, რომლებიც მეფეებს ორდინარცებად მიექირავნენ“. შტოკმანი „კაზაკებს უნერგავდა მარტივ ცნებებს და ჩვევებს, არსებული წესწყობილებისადმი სიძულვილს და ზიზღს“.

შოლოხოვი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიტანა არსებითი ცვლილებანი ანტიხალხურმა იმპერიალისტურმა ომმა არა მხოლოდ კაზაკობის ცხოვრების დადგენილ წესებში, არამედ, უპირველესად, მის შეგნებაში, განწყობილებებში. იზრდება კაზაკების სიძულვილი და ზიზღი გასათუთებული ოფიცრობის მიმართ. ომი არღვევს პროხორ ზიკოვის მშვიდობიან განწყობილებებს, ზნეობრივად სტეხს გრიგორი მელეხოვს, მორალურად ასახიჩრებს სტეფანე ასტახოვს, შჩეგოლკოვს, ივანკოვს და სხვა კაზაკებს. როდესაც ფარდას ხდის ბინძურ ისტორიას, თუ როგორ უქმნიდნენ მონარქიული ინტერესების დამცველ კრიუჩკოვს ყალბ დიდებას, შოლოხოვი, ამავე დროს, ღრმა სიმპათიით გვიხატავს უბრალო კაზაკებს, რომელთა შეგნებაში ძლიერდება ომისსაწინააღმდეგო პროტესტი. მწერალი გვიჩვენებს ბუნჩუკის, კოტლიაროვის, ლაგუტინის, პოდტელკოვის, კრივოშლიკოვის და სხვა კაზაკების რევოლუციურ მუშაობას. კაზაკობის გზები რევოლუციაში, დაკავშირებული მღელვარე საზოგადოებრივ მოვლენებთან, კოლოსალური ძვრები ყოფაში, ცხოვრებასა და ფსიქოლოგიაში, კაზაკთა წრეში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული სოციალური პროტესტის მომწიფება — ყველაფერი ეს განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება სამოქალაქო ომის წლებში. მწერალი გვიჩვენებს კორნილოვშჩინის ანტიხალხურ არსს, კორნილოვის ამბოხების განადგურებას, თეთრგვარდიული მოძრაობის უნიადაგობას და განწირულობას, ხალხის მტრების მორალურ სიცარიელეს და სისასტიკეს.

რომანში გახსნილია თეთრ გენერალთა გამყიდველობა, პირადი მტრობა და წვრილმანი ინტრიგები კონტრრევოლუციის ბანაკში. თავს იკლავს გენერალი კალედინი, ძველ კულაკურ სამყაროსთან ერთად იღუპება კორშუნოვების ოჯახი, ხალხი ზურგს აქცევს ფომინის ბანდას; ქვრივი კაზაკი-ქალის პირით შოლოხოვი გვიმტკიცებს, რომ ახლა კაზაკებმა იციან, „როგორ იცხოვრონ და რა ხელისუფლებას დაუჭირონ მხარი“. მოღუშული, სიძულვილით ალსავსე მზერით ხვდებიან კაზაკები მათ, ვინც საბჭოთა წყობილების წინააღმდეგია. მშრომელმა კაზაკობამ იპოვა ერთადერთი გზა ბედნიერებისაკენ, თავისუფლებისაკენ.

დიდი ოსტატობითა და ფილოსოფიური სიღრმით ხატავს შოლოხოვი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის სხვადასხვა ეტაპებს, რომანის გმირების მოქმედებას მჭიდროდ უკავშირებს სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, ასახავს ეპოქის იმ საკვანძო მომენტებს, რომლებიც ხალხის ბედს განსაზღვრავდნენ. სწორედ იმაში მდგომარეობს „წყნარი დონის“ მნიშვნელობა, რომ შოლოხოვმა შეძლო ეჩვენებინა მასში ძველი სამყაროს ნგრევა, ახალი ცხოვრების წარმოშობის ეპიკური პანორამა, დაძაბული კლასობრივი ბრძოლის პროცესში გარდატეხა შესამჩნევია იმგვარი კაზაკის კერძომესაკუთრეული და წოდებრივი ცრურწმენებით შეპყრობილ სულშიც კი, როგორიც იყო პანტელეი პროკოფიჩი. იგი ცდილობს თავი დაიძვრინოს თეთრების მხარეზე ბრძოლაში მონაწილეობისაგან, გრძნობს ,რომ ისინი განწირულნი არიან, გამორბის ფრონტიდან, გულგრილად ეკიდება საკუთარ მეურნეობასაც. კერძომესაკუთრეულ სამყაროს ნგრევასთან ერთად ირღვევა მელეხოვების ოჯახიც.

რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლების წიაღში იბადებიან ახალი ადამიანები, კომუნისტები, ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები. რევოლუციური ხალხის მეთაურების,

კომუნისტების სახეების როლი მეტად მნიშვნელოვანია რომანის ძირითადი აზრის ახსნასა და გაგებაში: კომუნისტები ხელს უწყობენ კაზაკობის გამოღვიძებას და მასში რევოლუციური შეგნების დამკვიდრებას.

რომანის იდეურ-მხატვრულ სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება შტოკმანის სახეს, რომელიც ნაწარმოების პირველ წიგნშივეა მოცემული. შოლოხოვის შტოკმანი დამსახურებულად შევიდა ბოლშევიკების სახეთა იმ გალერეაში, საბჭოთა მწერლებმა რომ შექმნეს. ავტორის მიერ შტოკმანი დახატულია, როგორც ჭკვიანი, განათლებული და თანმიმდევრული ბოლშევიკი, რომლის სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაზაკების რევოლუციური ბრძოლისათვის მომზადებაში. მისი დარწმუნებულობა და ნებისყოფა, რაც კაზაკებში მუშაობის დროს ვლინდება, ემყარება ბრძოლის მკაფიოდ გათვითცნობიერებულ მიზნებს. შტოკმანი დიდი კულტურის ბოლშევიკია, კარგად იცის რუსული კლასიკური ხელოვნება, ხალხის ისტორია, მარქსისტული მეცნიერება. შოლოხოვი ხაზს უსვამს მის სიახლოვეს მშრომელებთან, უბრალოებას მათთან ურთიერთობაში. შტოკმანის ხასიათის ეს თვისებები ვლინდება უკვე ფედოტ ბოდოვსკოვთან შეხვედრის სცენაში, როცა შტოკმანი შეძლებს გულახდილად ალაპარაკოს კაზაკი ხუტორის ამბებზე, ულარიბესი კაზაკობის მძიმე მდგომარეობაზე. შტოკმანი მშრომელი კაცია, იგი ხუტორშიც თავაუღებლად მუშაობს. დურგლობს, ეხმარება წისქვილის მუშებს. დიდი ოსტატია სხვადასხვა ნაკეთობების გამოხერხვისა. მთელი სიცოცხლე მას რევოლუციისათვის შეუწირავს, უველა განსაცდელს, ციხესა და გადასახლებას გაუძლო მისმა რწმენამ, რომ „კომუნიზმი იცოცხლებს" ამ რწმენას, ხალხისადმი ამ ერთგულებას უხერგავს შტოკმანი სხვებსაც.

შტოკმანი მედგარი და მამაცი ადამიანია. როდესაც სერდობსკის პოლკის წითელარმიელები მოღალატე მეთაურებმა მოტყუებით ააჯანყეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, შტოკმანი თავგანწირულად მოქმედებს, ცდილობს კომუნისტის მართალი სიტყვით თვალი აუხილოს მოტყუებულთ. იგი ერთი წუთითაც არ დაფიქრებულა იმაზე, რომ აჯანყებულთა ბრბოში შეჭრა და სიტყვის თქმა სიკვდილით ემუქრებოდა. პოლკის კომისარი ხომ უკვე გამოასალმეს სიცოცხლეს!

„შტოკმანი იმწამსვე გაექანა კომისრისკენ. დაუნდობლად მისწი-მოსწია ბრბო, ნაცრისფერ ფარაჯიანებს ზურგში ურტყამდა, თითქმის სირბილით მიიწევდა იმ ადგილისაკენ, სადაც კომისარი ლაპარაკობდა. თუმცა შტოკმანი არ დააკავეს, მაგრამ ზურგში და კეფაში მუშტებითა და კონდახებით სცემდნენ, მხარზე შაშხანა ჩამოხსნეს, თავიდან კაზაკური ცაწითელი ქუდი მოაგლიჯეს...

— სიტყვა, სიტყვა მიეცით რიგით მებრძოლს!... — ჩახრინწული ხმით დაიყვირა სუნთქვაშეკრულმა შტოკმანმა და მაგიდა სწრაფად წამოაყენა. შტოკმანს მაგიდაზე ასვლაც კი უშველეს, მაგრამ მოედანზე ჯერ ისევ საზარელი ღრიალი ისმოდა. შტოკმანმა ძალ-ღონე მოიკრიბა და დაიღრიალა: — სი-ჩუ-მე! — და წუთის შემდეგ, როდესაც სიჩუმე ჩამოვარდა, დაიწყო: — წითელარმიელებო! სირცხვილი თქვენი! თქვენ ღალატობთ ხელისუფლებას უველაზე მძიმე წუთს! თქვენ მერყეობთ, როდესაც მტკიცე ხელით მტერს გულში ლახვარი უნდა ჩასცეთ! მიტინგებს მართავთ, როდესაც საბჭოთა ქვეყანას გარს მტერი ახვევია! თქვენ ღალატის პირდაპირ გზაზე დგახართ! რა-ა-თა? თქვენმა მოღალატე მეთაურებმა კაზაკ გენერლებს მიგყიდეს! ისინი — ყოფილი ოფიცრებია, მათ უღალატეს საბჭოთა ხელისუფლებას, ისარგებლეს თქვენი ნდობით და უვიცობით და სურთ პოლკი კაზაკებს გადასცენ. გონს მოდით! თქვენი ხელით უნდათ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ჩახრჩობა!

მაგიდასთან შორიახლოს მდგარმა მეორე ასეულის მეთაურმა, ყოფილმა პრაპორშჩიკმა შაშხანა მოიმარჯვა, მაგრამ შტოკმანმა მის მოძრაობას თვალი მოჰკრა და დაუყვირა:

— არ გაბედო, ჩემს მოკვლას ყოველთვის მოასწრებ! სიტყვას ამბობს მებრძოლი კომუნისტი! ჩვენი კომუნისტები, მთელ სიცოცხლეს... მთელ ჩვენ არსებას... წვეთით-წვეთს... — შტოკმანს საშინლად გაუფითრდა და დაემანჭა სახე, დაუწვრილდა ხმა. — მუშათა კლასისა და დაჩაგრული გლეხკაცობის საქმეს ვწირავდით, ჩვენ დაჩვეულები ვართ, სიკვდილსაც უშიშრად შევხვდეთ! თქვენ შეგიძლიათ მომკლათ... მაგრამ, ვიმეორებ, გონს მოდით! ახლა მიტინგების მოწყობის კი არა, თეთრებზე გალაშქრების დროა! — შტოკმანმა მოჭუტა თვალები, დადუმებული წითელარმიელების ბრბოს გადაავლო თვალი და შორიახლოს მდგარი პოლკის მეთაური ვორონოვსკი დაინახა, რომელიც რომელიღაც წითელარმიელის გვერდით იდგა, ძალდატანებით იღიმებოდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა მას. — თქვენი პოლკის მეთაური...

შტოკმანმა ხელი გაიშვირა და ვორონოვსკიზე უჩვენა, მაგრამ ვორონოვსკიმ პირზე ხელი მიიფარა, მის გვერდით მდგომ წითელარმიელს აღელვებით რაღაც უჩურჩულა და შტოკმანმა სიტყვა ვერ დაამთავრა, აპრილის ახალი წვიმით გაჟღენთილ ნესტიან ჰაერში შაშხანის გასროლის ყრუ ხმა გაისმა, თითქოს მათრახის ბოლომ გაიტყლაშუნაო.

შტოკმანმა ხელები მკერდზე მიიდო, მუხლებში ჩაიკეცა და უქუდო, თმაშეჭალარავებუ-

ლი თავი ძირს დახარა... წაბორძიკდა და წამსვე ფეხზე წამოიჭრა...

... მკვდარივით გაფითრებული შტოკმანი, რომლის ტუჩებიდან ვარდისფერი სისხლი ჟონავდა და თან ახლოკინებდა, მაგიდაზე იდგა. ერთ წამს დაბარბაცდა, შემდეგ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ნებისყოფა დაძაბა და მოასწრო დაყვირება:

— ... თქვენ გზა-კვალი აგიბნიეს!.. მოღალატენი... ისინი შეძლებენ ოფიცრის ახალი ხარისხები დაიმსახურონ... მაგრამ კომუნიზმი იცოცხლებს!

ამხანაგებო! გონს მოდით!..

ვორონოვსკის გვერდით მდგომმა წითელარმიელმა ისევ მოიმარჯვა შაშხანა. მეორე გასროლამ შტოკმანი მაგიდიდან გულაღმა გადმოაგდო"...

მიუხედავად ეპიზოდურობისა, დიდ როლს თამაშობს რომანში მუშა-მჭედელი გარანჟა, რომელმაც პირველმა შეძლო გაეღვიძებინა გრიგორი მელეხოვის სულში გაუცნობიერებლად მომწიფებული პროტესტი, დაერღვია მისი მცდარი წარმოდგენა „მეფესა და მამულზე", ყალბად გაგებულ კაზაკურ ღირსებასა და მოვალეობაზე. უეშმაკოდ, უბრალო სიტყვებით უხსნის იგი გრიგორის იმპერიალისტური ომის ჭეშმარიტ არსს, მიმართავს მკაფიო, სოციალური შინაარსით დატვირთულ შედარებებს, ანდაზებს, იგავებს, მწარედ დასცინის თვითმპყრობელობას.

უკეთესი მომავლისადმი ღრმა რწმენით, ხალხის ყოვლისმძლეობის შეგნებით გარანჟა არწმუნებს გრიგორის იმ ჭეშმარიტებათა სამართლიანობაში, რომლებიც წინათ მისთვის უცნობი იყო. გარანჟა დარწმუნებულია, რომ ომი ხალხს გამოაღვიძებს, გონებას გაუნათებს და თოფებს ბურჟუაზიისა და ცარიზმის წინააღმდეგ მიამართვინებს. ცარიზმის პირობებში კლასობრივი უთანასწორობის აუცილებლობის შეგნება, იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის საჭიროება, თავისუფლებისათვის ხალხთა ბრძოლის მიზანდასახულობათა ნათელი წარმოდგენა, რწმენა ხალხის ძალისა — ყველაფერი ეს ახასიათებს კომუნისტ გარანჟას, რომელიც შეგნებულად და მტკიცედ ადგას რევოლუციის გზას.

კაზაკებში დიდ პროპაგანდისტულ და რევოლუციურ მუშაობას ეწევა იმპერიალისტური ომისა და რევოლუციის წლებში მუშა ბუნჩუკი. ეს არის დიდი ნებისყოფისა და ღირსების ადამიანი. პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცების მიერ კორნილოვის პოლკებში აგიტატორად წარგზავნილი, იგი უშიშრად ამხილებდა კორნილოველთა კონტრრევოლუციურ ზრახვებს. იგი მონაწილეობს დონზე წითელარმიელთა რაზმების ჩამოყალიბებაში, კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბუნჩუკის ხასიათის თვისებები ვლინდება აგრეთვე ანა პოგუდკოსადმი მის დამოკიდებულებაში. ანას სახით შოლოხოვი რეალისტურად გვიხატავს რევოლუციონერ ქალს, რომელიც პრინციპული და თანმიმდევრულია არა მხოლოდ საზოგადოებრივ, არამედ პირად ცხოვრებაშიც. მწერალი გადმოგვცემს ბუნჩუკისადმი ანას გრძნობის ზნეობრივ სიწმინდეს და უბიწოებას. ბუნჩუკი და ანა პოგუდკო გმირულად იღუპებიან რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში. პოდტელკოვის გადაწყვეტილების მიუხედავად, ბუნჩუკს, მამაც მებრძოლსა და აგიტატორს, არ სურს მტრებს ნებაყოფლობით ჩაბარდეს, მას ძალით განაიარაღებენ. იგი გმირულად წირავს თავს რევოლუციას.

შოლოხოვმა შეძლო გადმოეცა რევოლუციური კაზაკობის მეთაურის ფედორ პოდტელკოვის და მისი თანაშემწის მიხეილ კრივოშლიკოვის რევოლუციური ენერგია და უდრეკელობა სახალხო ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. კალედინთან მოლაპარაკებისას პოდტელკოვი დაჟინებით მოითხოვს გადასცენ ხელისუფლება „მშრომელი ხალხის წარმომადგენლებს", გააძევონ დონის ოლქიდან „ყველა ბურჟუა და მოხალისეთა არმია". იგი ვაჟკაცურად კვდება და იმ წუთშიც სწამს, რომ რევოლუცია გაიმარჯვებს, სახრჩობელაზე მდგარი უხსნის საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ წასულ კაზაკებს, რომ მათ გზა აებნათ: „ბნელი ხალხი ხართ... ბრმები! დაბრმავებულნი! მოგატყუეს ოფიცრებმა, ღვიძლი ძმების სისხლი დაგაღვრევინეს! თქვენ გგონიათ, თუ ჩვენ დაგვხოცავთ, ამით გათავდება საქმე? არა! დღეს თქვენი დროა, ხვალ კი ჩვენი რიგი დადგება. საბჭოთა ხელისუფლება მთელ რუსეთში დამყარდება. მოიგონებთ ჩემს სიტყვებს!"

ახალი ცხოვრებისათვის თავდადებულ მებრძოლად, თანმიმდევრულ კომუნისტად გვევლინება ღარიბი კაზაკი მიხეილ კოშევოი. მწერალი ბოლომდე იკვლევს ამ უბრალო კაზაკი ყმაწვილის კლასობრივი თვითშეგნების ზრდას, უპირისპირებს მას, განსაკუთრებით რომანის ბოლოს, ჭეშმარიტ გზას აცდენილ გრიგორი მელეხოვს.

მიხეილ კოშევოის ესმის, რომ სიმართლე ხალხისა და კომუნისტების მხარეზეა. კაზაკების სამხედრო ნაწილებში ფარულ სააგიტაციო მუშაობას ეწევა, შემდეგ კი მამაცურად იბრძვის წითელი არმიის რიგებში. იგი მოქმედი ადამიანია, მძაფრად აქვს განვითარებული რევოლუციური მოვალეობის შეგნება, ხასტიკია მშრომელი ხალხის მტრების მიმართ, მაგრამ, ჩვენი აზრით, რამდენადმე პირდაპირ, სწორხაზოვნად, ზედმეტად მკაცრად ეპყრობა გრიგორი მელეხოვს რომანის ბოლოს. თუმცა, ობიექტურად, მას არც შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო გუშინდელი მტრის მიმართ, მი-

უხედავად იმისა, რომ გრიგორიმ თავისი დანაშაული წითელ არმიის რიგებში თავდადებული ბრძოლით რამდენადმე მაინც გამოისყიდა.

მწერალმა შეძლო ნათლად ეჩვენებინა მიხეილ კოშევოის შინაგანი სამყარო, მისი შინაგანი განცდები, სიყვარული მშობლიური მხარისადმი, ბუნებისადმი, ღრმა და წრფელი გრძნობა დუნიაშასადმი. კოშევოის ხასიათი იხსნება მოქმედებაში, იგი ნაჩვენებია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში, ნაჩვენებია, როგორც ამ ხელისუფლების წარმომადგენელი ხუტორ ტატარსკში.

მაგრამ, სხვა კრიტიკოსების კვალად, ჩვენც უნდა აღვნიშნოთ, რომ მიხეილ კოშევოის მხატვრულ სახეს, განსხვავებით, მაგალითად, შტოკმანის სახისაგან, აკლია ერთგვარი ზნეობრივი ამაღლებულობა და შთაგონებულობა; იგი მოკლებულია სულიერ მომხიბლაობას. სავარაუდებელია, რომ შოლოხოვი ცდილობდა აეცდინა ამ მხატვრული სახის დეფორმაციის ერთგვარი საფრთხე. მაგრამ მხატვრის ამ სავარაუდებელ სურვილს არ შეუტანია კოშევოის სახეში აუცილებელი ჰარმონია, რადგან ის შესანიშნავი თვისებები, რომლებიც მის ხასიათშია დაფარული, თითქმის არ ახდენენ გავლენას მის მოქმედებაზე, მის განწყობილებებზე მაშინ, როცა იგი ახორციელებს რევოლუციის ნებასა და აზრს, ე. ი. იმ კულმინაციურ მომენტებში, როდესაც ხასიათს ეძლევა სრული თვითგამოვლინების შესაძლებლობა.

მიხეილ კოშევოისათვის დამახასიათებელი სუბიექტური პატიოსნება თავისთავად ვერ იძლევა ხელმძღვანელის, მასების წინამძღოლის წარმატების გარანტიას. და ვინ იცის, არსებითად ხომ არ შეიცვლებოდა „წყნარი დონის“ მთავარი გმირის გრიგორი მელეხოვის ბედი, რომ მისი ისტორიის დამამთავრებელ ეტაპზე ავტორს იგი სხვა დონის, გამოცდილებისა და თვალსაწიერის მქონე ბოლშევიკისათვის დაეპირისპირებინა.

## IV

დონის კაზაკობა, რომელსაც არ განუცდია ბატონყმობის უღელი, გლეხობის თავისებური ტიპი იყო. გლეხობისაგან კაზაკები განირჩეოდნენ არა მხოლოდ იმით, რომ მათ ბავშვობიდანვე ამზადებდნენ სამხედრო სამსახურისათვის, ყრმობიდანვე აჩვევდნენ მამაცობას, სიმარჯვეს, მოსაზრებულობას. მეფის მთავრობა, როგორც ითქვა, უნერგავდა კაზაკებს წოდებრივი განსაკუთრებულობის გრძნობას, სიძულვილს „მუჟიკის“ და „ქალაქელის“ — მუშის მიმართ. მათგან ზრდიდნენ „მეფის, ტახტისა და მამულის“ ერთგულ მსახურებს. გრიგორი მელეხოვს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, რომ „კაზაკის“ წოდება ყველაზე საპატიოა. განსაკუთრებულ სალანძღავ სიტყვად კაზაკთა წრეში „მუჟიკი“ ითვლებოდა.

როცა შტოკმანი კაზაკთა და უკრაინელი გლეხების ჩხუბში ჩაერევა და კაზაკებს უხსნის, რომ „ძველ დროს მემამულეებისაგან გამოქცეული ყმები დონზე სახლდებოდნენ და ამათ კაზაკები დაარქვესო“, კაზაკები თავს დაესხნენ აღშფოთებული ყვირილით: „ვილაცა ნაძირალა ჩაგვისახლდა! უყურეთ ამ ბილწს, გლეხებად გადაქცევა არ მოგვინდომა?“ (დედანშია „მუჟიკებად“ გადაქცევა). ეს წოდებრივი განკერძოებულობა, რომელსაც ნერგავდა მეფის მთავრობა, კაზაკი-მემამულეები, ოფიცრობა, კულაკობა, სამოქალაქო ომის დროს განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა სეპარატიზმში, დონის კაზაკობის მისწრაფებაში — გამოჰყოფოდა რევოლუციურ რუსეთს და ეცხოვრა თავისი, „კაზაკური“ წესწყობილებით.

კაზაკებს ურიგებდნენ მიწის დიდ ნაკვეთებს. თუ როგორ ცხოვრობდა მელეხოვების, საშუალო შეძლების კაზაკთა ოჯახი, ჩანს პანტელეი პროკოფიევიჩის სიტყვებიდან:

„... ჩვენ წლევანდელი მოსავალიც რომ არ გვქონდეს, ორ წელიწადს გვეყოფა პური. მადლობა ღმერთს, ბეღლები პირთამდე სავსეა და სხვაგანაც მაქვს გადამალული“... კაზაკობა ექსპლოატაციას უწევდა ჩამოსახლებულ უმიწაწყლო გლეხებს. მაგრამ საშუალო და ღარიბი კაზაკი თვით ამუშავებდა მიწას თავისი ოჯახის წევრებითურთ. კაზაკების ყოველდღიური შრომის ამსახველი მრავალი სურათია რომანში მოცემული.

რევოლუციას კაზაკობა სოციალურად დიფერენცირებული შეხვდა. ეს სოციალური უთანასწორობა ღრმადაა რომანში ნაჩვენები. დონის ველებზე ფართოდ გადაშლილია ლისტნიცკის მდიდარი მამული. ხუტორ ტატარსკში მდიდრდებოდა კულაკი მირონ კორშუნოვი, მუდმივი მოჯამაგირენი ჰყავდა, ყიდულობდა მიწებს, აშენებდა ჯიშიან პირუტყვს. ღარიბ კაზაკებს სესხითა და პროცენტით სულს უხუთავდა ვაჭარი მოხოვი, მისი მონაწილე ატეპინი, ცაცას რომ ეძახდნენ. იმგვარ კაზაკებს კი, როგორიც იყო მიხეილ კოშევოი, არ ძალუძდათ თავისი წილი მიწის დამუშავება, ისინი მოჯამაგირეებად ქირავდებოდნენ. სხვები, როგორიც იყო ივანე კოტლიაროვი, წყდებოდნენ მიწას, ნახევრად გლეხებად, ნახევრად მუშებად იქცეოდნენ. ხუტორის სწორედ ამ ულარიბეს ნაწილში იზრდებოდა ღრმა უკმაყოფილება არსებული წესწყობილებით.

გრიგორი მელეხოვი ომამდე და რევოლუციამდე სოციალურ საკითხებზე არ დაფიქრებულა. მას უყვარდა ხუტორი, მეურნეობა, შრომა. შრომა მისთვის მოთხოვნილება იყო. ომში ყოფნისას გრიგორი ხშირად ხვედით იგონებდა მინდვრად მუშაობას. იგი იზრდებოდა

კაზაკთა მხედრული გმირობისადმი თაყვანისცემის გარემოცვაში. კაზაკთა ხუტორის ამგვარი დამოკიდებულება მეფის სამხედრო ჯილდოების და წოდებების მიმართ, რასაც ბავშვობიდანვე უნერგავდნენ გრიგორის, ხელს შეუშლის მომავალში, იმ სწორ გზას ააცდენს, რომელზედაც მას ბოლშევიკი გარანჟა აყენებდა. „შენ, როგორც წესია, ისე იმსახურე, — ჩააგონებდა მამა გრიგორის, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული იმპერიალისტური ომის დაწყების წინ, — ხელმწიფისათვის გაწეული სამსახური არ დაიკარგება". და ხელს აწერდა წერილს: „შენი მამა, უფროსი ურიადნიკი პანტელეი მელეხოვი". მამა მხოლოდ „უბრალოდ" მამა კი არ იყო, არამედ „უფროსი ურიადნიკი" და ეს სამხედრო წოდება, პანტელეი პროკოფიევიჩის ღრმა რწმენით, დამატებით პატივისცემას იმსახურებდა.

კაზაკის ოჯახი პატრიარქალურ საწყისს ეყრდნობოდა, მამა ოჯახის უფროსი და სრული ბატონ-პატრონი იყო. მისი თხოვნით ხუტორის კრება საჯაროდ გაწკეპლავდა თავნება შვილს. პანტელეი პროკოფიევიჩი ოჯახის მკაცრი უფროსი იყო, გაბრაზებულს შეეძლო გრიგორისათვის ზურგში კეტი ეთხლიშა, ცოლისთვისაც გაერტყა, თუ იგი დამნაშავე ოჯახის წევრს გამოექომაგებოდა. მაგრამ ეს გარემოება სრულიადაც არ უშლიდა ხელს მელეხოვთა ოჯახის შეწყობილ და ერთსულოვან ცხოვრებას. პეტრო, უმცროს ძმასთან ერთად, დაუფიქრებლად მივარდება სტეფანე ასტახოვს, რომელიც სასტიკად სცემს ცოლს, გრიგორის შეყვარებულ აქსინიას. ძმებს უყვართ ერთმანეთი. და შემდეგ, სამოქალაქო ომის წლებში, პეტროს მოკვლა კომუნისტ მიხეილ კოშევოის მიერ ერთ-ერთი ის ბიძგი იქნება, რაც გრიგორის ანტიხალხური ბრძოლის გზაზე დააყენებს.

მიუხედავად ახირებული, თავნება ხასიათისა, გრიგორი ოჯახში მშვიდად ცხოვრობდა. როცა მამამისმა, გრიგორი რომ აქსინიასათვის მოეცილებინა, გადაწყვიტა ცოლი შეერთო „შემარცხვენელი ვაჟისათვის", შვილი არ ეწინააღმდეგება მამას, დამჯერედ ირთავს ნატალია კორშუნოვას. მართალია, მან ამ შემთხვევაში ყმაწვილური ქარაფშუტობაც გამოიჩინა, არ ჰქონდა რა შეგნებული იმ გრძნობის სიძლიერე, აქსინიასთან რომ აკავშირებდა.

გრიგორის არასოდეს წარმოშობია იმ ცხოვრებისეული ყოფის მიულებლობის გრძნობა, რომელშიც აღიზარდა. ოჯახთან დროებით კავშირის გაწყვეტამ და მოჯამაგირედ ლისტნიცკებთან დადგომამაც ვერ მოაცილა გრიგორი ხუტორის ცხოვრებას. მართალია, იგი ფიქრობდა ყუბანზე წასვლას, გადახვეწას, შორს, სადაც „თხემებს იქით, ნაცრისფერი გზის გადაღმა" მოჩანდა „ზღაპარივით ცისფერი, ალერსიანი ქვეყანა" და აქსინიას „ნაღვიანევად გაფურჩქვნილი, მშფოთვარე სიყვარული". მაგრამ უკვე ეს ზღაპრული ინტონაცია მიგვანიშნებს გრიგორის ოცნების განუხორციელებლობას. არსებობს რეალური დაბრკოლებაც: ერთი წლის შემდეგ სამხედრო სამსახური ელის. არც წავიდოდა გრიგორი უცნობ მხარეს, რადგან, როცა აქსინია შესთავაზებს, ყველაფერს თავი მივანებოთ, მაღაროებსა და შახტებში წავიდეთო, გრიგორი უეცარი ფხიზელი სიმკვეთრით პასუხობს: „რა სულელი ხარ, აქსინია, რა სულელი! ლაპარაკობ და თვითონაც არ იცი, რას ლაპარაკობ. აბა, სად უნდა გავიქცე სახლიდან? მე ხომ, სულ ერთია, წელს სამხედრო სამსახურში უნდა წავიდე. ეს საქმე არ ვარგა... მე სახლ-კარს არ მოვცილდები. აქ ველია, სულს თავისუფლად ვითქვამ, იქ რა არის? შარშან ზამთარში მე და მამაჩემი სადგურზე წავედით, კინაღამ მოვკვდი, ორთქლმავლები ღრიალებენ, ჰაერი მძიმეა, დამწვარი ქვანახშირის სუნი დგას. როგორ ცხოვრობს იქ ხალხი, არ ვიცი, ეგებ შეეჩვივნენ იმ მხუთავ ჰაერს... მე ხუტორიდან არსად არ წავალ". მტკიცე, მყარი გრძნობა მეურნეობასთან, მიწასთან კავშირისა მთელი რომანის მანძილზე მიჰყვება გრიგორის, მას არასოდეს ავიწყდება, რომ მიწის საკუთარი ნაწილი, მეურნეობა აქვს, რომ მესაკუთრეა.

მძიმე ოჯახურ დრამაში, ცხოვრებისეულ წვრილმანებში, ომის განსაცდელში ვლინდება გრიგორი მელეხოვის ხასიათის დიდი ადამიანური თვისებები. მას ახასიათებს სამართლიანობის გამწვავებული გრძნობა, საკუთარი პიროვნული ღირსების სრული შეგნება, ღრმა და ძლიერი სიყვარული ყოველგვარი ცხოვრებისეული გამოვლინების მიმართ. თიბვისას მხიარულმა სოფლელმა ბიჭმა ცელი გარეული იხვის ბუდეს მოახვედრა. „ფეხქვეშ, ბალახში, წრიპინით გამოჩოჩდა გარეული იხვის ჭუჭული. ორმოსთან, სადაც ბუდე იყო გაკეთებული, ეგდო მეორე, ცელით შუაზე გაჭრილი... გრიგორი უეცარი, მწვავე სიბრალულის გრძნობით, უმზერდა ხელისგულზე მდებარე მკვდარ ჭუჭულს". ამ სიბრალულის, ტკივილის გრძნობაში ვლინდება ის სიყვარული სიცოცხლისადმი, ადამიანებისადმი, ბუნებისადმი, რომლითაც ასე გამოირჩეოდა გრიგორი. ბუნებრივია, რომ ომის ქარცეცხლში ჩაგდებული, მტკივნეულად განიცდის იგი პირველ ბრძოლას, ვერ ივიწყებს მოკლულ ავსტრიელს: „ტყუილუბრალოდ ავჩეხე ადამიანი, ამის გამო სულიერად დაავადვმყოფდი. ღამე მესიზმრება. განა ამაში მე ვარ დამნაშავე?" — ეუბნება იგი ძმას. გრიგორის სულში ილვიძებს იმპერიალისტური ომის უარყოფის გრძნობა, ომის უმიზნობის, დამღუპველობის შეგნება.

უბრალო, მიწისმოქმედი გლეხი გრიგორი გრძნობს თავის მჭიდრო კავშირს გარემომცველ

ცხოვრებასთან, ბუნებასთან, იგი ბედნიერია, რომ ცხოვრობს და მოქმედებს სისხლსავსე, იდუმალი ხმებით ამეტყველებულ ბუნების წიაღში. ცაზე ვარსკვლავები მისთვის „ფეტვივით გაფანტულიყვნენ", მის მონადირულ ყურს, თითქოს სხვათაშორის, ესმის „იხვების ყიყინი", თევზის წყალზე ტყაპანი მისთვის, მეთევზისათვის, ხილული სურათია იმისა, თუ გამთენიისას როგორ ნადირობს მშიერი ლოქო. იგი უყურებს დონზე გაწოლილ „მთვარის უვალ ბილიკს", გრძნობს იმ გზის მოჩვენებითობას, რომელზედაც ვერასოდეს გაივლის ადამიანი. შოლოხოვი ყოველთვის ცდილობს გადმოგვცეს გრიგორისათვის დამახასიათებელი გარემოსთან უშუალო კავშირის გრძნობა. აქსინიას თმებს მისი შეგრძნებით „ლენცოფას სუნი ასდის. იცი, ერთნაირი თეთრი ყვავილი რომ არის"... აქსინიას „სიცივენასუნთქი პირიდან" გრიგორისათვის „თითქოს ქარისა და შორეულ ტრამალზე ახლად გათიბული ბალახის ოდნავ შესამჩნევი სურნელი ამოსდიოდა". ამ პოეტურ შედარებასა და მიმსგავსებაში მწერალი მიგვანიშნებს გრიგორის გრძნობების სიმდიდრეს, მის თვისებას — ღრმად და ძლიერად განიცადოს ადამიანის მშვენიერება. გრიგორი შემკულია ყოველგვარი მშვენიერების ფაქიზი და ვაჟკაცური შეგრძნების უნარით.

გრიგორის ეს უნარი ვლინდება მის ურთიერთობაში აქსინიასა და ნატალიასთან. სიყვარული ამაყ და მშვენიერ აქსინიასადმი, რომლის ცეცხლოვან, „დამღუპველ" სილამაზეს წლები ვერაფერს აკლებენ, ცხოვრება ნატალიასთან — სხვა ხასიათის შესანიშნავ ქალთან, ერთგულ მეუღლესთან და მისი შვილების მოსიყვარულე დედასთან — საშუალებას გვაძლევს ბევრი რამ ამოვხსნათ, ბევრს მივხვდეთ გრიგორის ხასიათში. იგი ძლიერი ვნებების, მტკიცე მოქმედების კაცია. მისი სიყვარული აქსინიასადმი, აღსავსე მწვავე დრამატიზმით, გვაოცებს სიღრმითა და ხიძლიერით. ჰოსპიტლიდან ცოტა ხნით შინ მისული გრიგორი შეიტყობს, რომ აქსინიას „აეკიდა" ახალგაზრდა ოფიცერი ლისტნიცკი. გაშმაგებულმა გრიგორიმ სასტიკად, შეუბრალებლად სცემა „პანი ასისთავი", მიატოვა აქსინია და ხუტორში, ოჯახში დაბრუნდა. მაგრამ ვერც აქსინიას ღალატმა, ვერც ნატალიასთან ცხოვრებამ, ვერც ბავშვებისადმი სიყვარულმა ვერ ჩააქრო და ჩაკლა მისი მძლავრი, ვნებიანი გრძნობა. ფრონტის სევდიან ღამეებში ხშირად იგონებს და ნატრულობს იგი აქსინიას.

ჯარში ყოფნის ყოველდღიურობაში გრიგორი მწვავედ გრძნობს იმ „გადაულახავ, უსიტყვო კედელს, რომელიც აღმართულა უბრალო კაზაკებსა და ოფიცრებს შორის". ეს იმგვარი კაცის გრძნობაა, რომელიც საკუთარი შრომით არსებობს და თუმცა მისთვის უცნობია საზოგადოებაში კლასების არსებობის ფაქტი, მაინც გარკვევით ესმის, რომ მემამულენი, ოფიცრობა სხვა სამყაროს ხალხია და სძულს უსაქმურთა, მუქთახორათა ეს სამყარო, რომელიც მის ზემოთ დგას. გრიგორის ეს გრძნობა თანდათან გაიზრდება სამოქალაქო ომის დროს და ბევრჯერ გამოხეთქავს მის მძიმე სიძულვილსა და ზიზღში მჩაგვრელთა და მუქთახორათა მიმართ, რომლებიც მშრომელი ხალხის ხარჯზე ცხოვრობენ და ამ ხალხსვე უტყაპუნებენ თავში.

ბევრი შეიტყო მკითხველმა გრიგორი მელეხოვზე იმ ყოფიდან, რომელშიც ცხოვრობდა ის და მისი ოჯახი, იმ რთული ურთიერთობებიდან, რაც დამყარდა აქსინიას, ნატალიასა და მას შორის. ცოცხალივით დგას მკითხველის წინაშე შავგვრემანი კაზაკი პირქუში, ნადირისებრი გამოხედვით, უგუნურობამდე ფიცხი, ამაყად რომ იცავს თავის ადამიანურ ღირსებას, გაბედული, მძაფრი, ალერსიანი და უხეში. არაჩვეულებრივი ძალა იგრძნობა მის ოდნავ მოხრილ ბეჭებში, ცქვიტ მზერაში, მარჯვე შრომით ქცევებში, მკვირცხლ კაზაკურ ცხენოსნობაში. მაინც ერთგვარად არასრული იქნება ჩვენი წარმოდგენა ახალგაზრდა მელეხოვზე, თუ არ გავეცნობით იმ სოციალურ-ისტორიულ გარემოს, რომელშიც იგი ყალიბდებოდა.

შოლოხოვი ფართო და თავისუფალი თხრობის პრინციპზე აგებს თავის რომანს. მასში უამრავი პერსონაჟია (800 მეტი!), მრავალი მოვლენაა, ზოგჯერ უშუალოდ დაუკავშირებელი მთავარ გმირებთან. ამავე დროს, ყოველი სურათი, თავი და სცენა, ხშირად თითქოს სრულიად ახალი კუთხით გვიჩვენებს და გვიხსნის მთავარი გმირის — გრიგორი მელეხოვის ტრაგიკული ბედის არსსა და მნიშვნელობას. დონის კაზაკთა ცხოვრებისა და ისტორიული ბედის სურათები დამატებით შუქს ჰფენენ გრიგორი მელეხოვს, მისი სახის ირიბი დახასიათების საშუალებებად გვევლინებიან და, ამავე დროს, არ კარგავენ დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ჩვენ, მაგალითად, არაფერი ვიცით იმის თაობაზე, რას ფიქრობდა გრიგორი ომზე მის დასაწყისში, ომის ხასიათსა და არსზე, რა წარმოდგენებით ჩაება იგი ბრძოლაში. ავტორს გადავყავართ ხუტორ ტატარსკში. პანტელეი პროკოფიევიჩი მოედანზე მოხუცებს ესაუბრება, ამბობს, რომ შვილისაგან წერილი მიიღო, გრიგორი იწერება, რომ ომი მოსალოდნელიაო. მოხუცები იხსენებენ ძველ დროს, გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდს ომზე:

„— ომი არ იქნება, მოხავალზე ეტყობა..

— მოსავალი აქ რა შუაშია?

— ალბათ სტუდენტები ურევენ საქმეს.

— ჩვენ ამას ყველაზე ბოლოს გავიგებთ ხოლმე.

— როგორც იაპონიის ომის დროს.

— შვილს ცხენი უყიდე?

— წინასწარ რა საჭიროა...

— ეს ტყუილია!

— ვისთან იქნება ომიო?

— თურქებთან, ზღვის გამო! ზღვა ვერ იქნა და ვერ გაიყვეს.

— აბა რა არის აქ თავსატეხი? დაჰყონ ნაკვეთებად, ისე, როგორც ჩვენ სათიბ ადგილებს ვინაწილებთ ხოლმე და შემდეგ გაიყონ!

ლაპარაკი ხუმრობით თავდებოდა და მოხუცებიც შინ მიდიოდნენ".

მხოლოდ წოდებრივი განკერძოების, კარჩაკეტილობის, პროლეტარული ცენტრებისაგან მოშორებულობის ვითარებაში იყო შესაძლებელი ამგვარი უმეცარი წარმოდგენების არსებობა ომსა და მის გამომწვევ მიზეზებზე.

მთელი რიგი ოსტატურად დაწერილი სცენები გვიქმნიან ნათელ წარმოდგენას იმ გარემოზე, რომელშიც გრიგორი მელეხოვის პიროვნება ყალიბდებოდა. ამასთანავე, აქ მკაფიოდ ჩანს იმ ცნებათა წრე, რითაც ახალგაზრდა კაზაკი ომში გაისტუმრეს. გრიგორის მარტივი პოლიტიკური ბარგი რამდენიმე ცნებით ამოიწურებოდა: მეფე, მამული, კაზაკის მხედრული მოვალეობა. მამაცურად იბრძოდა იგი, ხუტორელებიდან პირველმა მიიღო გიორგის ჯვარი, არ დაფიქრებულა, რისთვის ღვრიდა სისხლს. მძიმე ბრძოლებში თანდათან გროვდებოდა დაღლილობა, გულგატეხილობა, მტანჯველი ფიქრები.

ჰოსპიტალში შეხვდა გრიგორის ჭკვიანი ჯარისკაცი — ბოლშევიკი გარანჟა. მისი სულიერი ძალის მგზნებარება და სიტყვის სიმართლე არყევს საფუძვლებს, რომელსაც გრიგორის გონება ეყრდნობა. „დასაყრდენს ძირი მოულპა, საშინელი, უაზრო ომის ჟანგმა ამოსჭამა იგი და მას ახლა მხოლოდ ბიძგილა უნდოდა. უბიძგეს კიდეც, აზრმა გამოიღვიძა და ეს აზრი ჭანცს აცლიდა, გრიგორის უბრალო, უეშმაკო გონებას აზრობდა". საშინლად ეჩვენა მას სიმართლე ომის უაზრობაზე, არ ეძინებოდა, აღვიძებდა ღამით გარანჟას, გაცეცხლებული ეკითხებოდა: „შენ ამბობ, რომ მდიდრებისათვის გვერეკებიან სასიკვდილოთო, — ხალხი რას ამბობს? ნუთუ ეს არ ესმის ხალხს?" გრიგორის აწვალებს კითხვა, როგორ შეწყვიტონ ომი? „ყველაფერი ყირამალა უნდა დავაყენოთ?: ...ახალი მთავრობის დროს ომს სად გაექცევი?.. რითი უნდა შეაკავო, როგორ უნდა მოსპო ომი, როდესაც ხალხი დასაბამიდან ომობს?" ყველა კითხვაზე პასუხობდა გარანჟა. და გრიგორი დამშვიდობებისას მადლობას უხდის მას: „მადლობელი ვარ, ხოხოლო, თვალი რო[illegible] ხოლე, მე ახლა თვალახელილი და... გაბოროტებული ვარ!"

შეუძლებელია გრიგორის ამ პირველი პოლიტიკური სკოლის მნიშვნელობის შეუფასებლობა. სრულად იჩინა მან თავი ოქტომბრის რევოლუციის მომდევნო პირველ თვეებში, როცა გრიგორი ბოლშევიკების მხარეზე დადგა და კაზაკებს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად წარუძღვა. მართალია, დიდხანს არ გაჰყვა გარანჟას საშუალებით აღმოჩენილი სიმართლე, სამაგიეროდ, მან ბიძგი მისცა მის უჩვეულო აზრებსა და გრძნობებს.

გამოჯანმრთელების შემდეგ გრიგორი შინ მიემგზავრება. ომით უკმაყოფილება, გაშმაგება მათ მიმართ, ვინც ხალხს სასიკვდილოდ მიერეკებოდა, შეურაცხყოფილ პირად გრძნობასთან შეერთებული, ერთბაშად გადმოიღვარა ლისტნიცკის სასტიკად ცემის დროს. ოჯახმა, ხუტორმა მოულბო აღშფოთებული გული, პატივისცემითა და შეუნიღბავი მლიქვნელობით მიუალერსა. ხუმრობა საქმე იყო, პირველი გიორგის კავალერი ხუტორში დასასვენებლად ჩამობრძანდა!

„დღისით — ოჯახის ყურადღებიანი, თითქმის პირფერი დამოკიდებულება, ხოლო ხუტორში — ის პატივისცემა, რომლითაც გიორგის პირველ კავალერს ხვდებოდნენ. გრიგორი ყველგან, ოჯახშიაც კი, ამჩნევდა მისადმი საოცარ პატივისცემას, — მას დაჟინებით უყურებდნენ, თითქოს არ სჯეროდათ, რომ იგი ოდესღაც მხიარული და თვითნება ყმაწვილი გრიგორი იყო. მას, როგორც თანასწორს, ისე ებაასებოდნენ მოედანზე მოხუცები, შეხვედრისას სალამზე ქუდს უხდიდნენ, ქალიშვილები და დედაკაცები დაუფარავი აღტაცებით ათვალიერებდნენ წარმოსადეგ, ფარაჯაში ოდნავ წახრილ ფიგურას, რომელსაც ზოლიან ლენტზე გიორგის ჯვარი ეკიდა. გრიგორი ხედავდა პანტელეი პროკოფიევიჩიც როგორ აშკარად ამაყობდა შვილით, როდესაც საყდარში ან მოედანზე მიდიოდა. და მთელი ეს ცბიერების დაგროვილი მწვავე შხამი, მისდამი პატივისცემა, თანდათან ღუპავდა და აზროვნებიდან უფანტავდა იმ სიმართლის თესლს, რომელიც მასში გარანჟამ დათესა. გრიგორი ფრონტიდან სულ სხვა ადამიანად დაბრუნდა, ხოლო ფრონტზე სულ სხვა წავიდა. მთელი სიცოცხლის მანძილზე თავისმა, დედის რძესთან ერთად შეწოვილმა კაზაკურმა ბუნებამ გაიმარჯვა ადამიანის დიდი სიმართლის წინაშე.

გრიგორი ფრონტზე ღირსეულ კაზაკად წავიდა. თუმცა გულში ომის უაზრობას ვერ ურიგდებოდა, მაინც პატიოსნად ინახავდა თავის კაზაკურ დიდებას".. და გრიგორი „შემთხვევას ეძებდა თავდადებული სიმამაცე გამოეჩინა, თავს იმეტებდა, გიუმაჟობდა, ავსტრიელების ზურგში გადაცმული მიდიოდა, უმსხვერპლოდ ხსნიდა სადარაჯოებს, ჯირითობდა კაზაკი და გრძნობდა, რომ სამუდამოდ დაეკარგა

ის შეცოდება ადამიანისა, რომელიც მას ომის პირველ დღეებში ამძიმებდა“.

ამიერიდან იწყება ტრაგედია ძლიერი, შესანიშნავი მონაცემების მქონე პიროვნებისა, რომელიც სამოქალაქო ომის გზებს აქეთ-იქით წყდომისა და დაუსრულებელი ბორგვის ვითარებაში გადის. დიდი ადამიანური სიმართლე, რომელსაც ცხოვრებაში რევოლუციური ხალხი ამკვიდრებს, გრიგორის სულში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჭიდება მესაკუთრული სამყაროსა და წოდებრივი ცრურწმენების საუკუნოვან ჩვევებსა და წარმოდგენებს. „თვითნება და მხიარული ყმაწვილი“ გაივლის საშინელ ეკლიან გზას, რომელზედაც ბევრ რამეს დაუბრუნებლად დაკარგავს. ხალხის წინააღმდეგ ბრძოლა, ცხოვრების დიდი სიმართლის საპირისპირო გეზი მოუტანს სრულ სიცარიელესა და ნაძრახ დასასრულს. ძველი სამყაროს ნანგრევებზე მკითხველის წინაშე აღიმართება ტრაგიკული, მოტეხილი პიროვნება, რომლისთვისაც არ არის ადგილი ახალ ცხოვრებაში.

□ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა აბზიანიძე

# ანა კალანდაძის პოეზია

ომისშემდგომ ქართულ პოეზიას კარგა ხნის განმავლობაში გასდევდა მეომრული ყიჟინის ექო. ეს აოცაა გასაკვირი: დიდი საოკეანო გემის მსგავსად, პოეზია იმწამითვე ვერ ემორჩილება ისტორიის საჭის მკვეთრ შემობრუნებას და ერთხანს ძველი გეზით განაგრძობს სვლას.

ომი დამთავრდა. მაგრამ ჩვენი მწერლობა ჯერ კიდევ ომისდროინდელი გამარჯვებებით, სიხარულით, ტკივილებით ცხოვრობდა, ომი დამთავრდა — და არც დამთავრებულიყო თითქოს. ეს უჩვეულო განწყობა პირველმა გალაკტიონ ტაბიძემ გამოთქვა:

გათენდა ცხრაას ორმოცდაექვსი,
ახალი წელი, ახალი წუთი,
დავათარიღე ახალი ლექსი
შეცდომით: წელი ორმოცდახუთი.

ეს ინერცია როდია მხოლოდ:
ჯერ არნახული ამბების მთქმელი,
მატიანეში შევა სიმბოლოდ
ზღვასავით რისხვით მქუხარე წელი.
(„გათენდა ცხრაას ორმოცდაექვსი").

რაც უფრო ხანგრძლივი და საზარელი იყო ომი, რაც უფრო ძლიერი იყო მისი ინერცია ადამიანთა ყოფაში, ცნობიერებაში, მით უფრო ბუნებრივი იყო ომისდროინდელი იარების ტკივილის ცოტა ხნით მაინც დავიწყების სურვილი. აუმღვრეველი სიმშვიდის ეს მოწყურება პოეზიაში გარეგნულად მხოლოდღა რამდენიმე ლექსით გამოიხატა (ამათგან განსაკუთრებით ნიშანდობლივი — „მე რომ მკითხონ: — რა გვინდა, რომ ბედნიერი გახდეს კაცი", კვლავ გალაკტიონის კალამს ეკუთვნის). აი ამ ფონზე გამოჩნდა პოეტი, რომელიც ანა კალანდაძის სახელს ატარებდა.

ანა კალანდაძის ლექსების პირველი საჯარო კითხვა მწერალთა სასახლეში, 1946 წლის გაზაფხულზე, პოეზიის ზეიმად გადაიქცა. ამ ერთსულოვან აღიარებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა.

უჩვეულოდ ჩაესმა ყურს ორმოციანი წლების მეორე ნახევარში ანა კალანდაძის ძველქართულიც და პათოსს მოკლებული მონოლოგიც, უჩვეულო იყო მისი აწმყო-წარსულის მონაცვლეობა, უჩვეულო იყო მისი კერპებისა და ღმერთების პანთეონი... და საერთოდ უჩვეულო პოეტი იყო — სასწაულსმოწყურებული, ხშირად უმწეო და სუსტი, არათანამედროვედ მგრძნობიარე და მაინც ახალი. ანა კალანდაძე ავსებდა იმ სულიერ ვაკუუმს, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა შეევსო ვინმეს. და ეტყობა სწორედ ქალს უნდა შეევსო (ეს კარგად შენიშნა თავის დროზე ნოდარ ჩხეიძემ). სწორედ ქალს უნდა ეთქვა, რომ სიმწარის, შიშისა და შიმშილის წლებს არ მოუსპიათ ადამიანებში მშვენიერებასთან პირისპირ შეყრის სიხარული, რომ რაინდული შემართების, სიმხნევისა და უდრეკი ნებისყოფის აბჯარქვეშ მოიძიება სინაზე, იჭვი, სევდა, „მიუტევებელი" სისუსტე, პოეტს რომ ათქმევინებს: „მებაღეო, ნუ დამტოვებ მარტო, მეშინია, პაწაწინა რტო ვარ!".

ანა კალანდაძის ლექსებში მშვიდობა უკვე არა მხოლოდ გონებისმიერად, ემოციურადაც არსებობდა და მკითხველი მათში სამართლიანად ხედავდა ახალი ისტორიული ეტაპის პირველ პოეტურ გამოძახილს. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი ანა კალანდაძის დებიუტის იშვიათი წარმატებისა.

არიან პოეტები, რომელნიც ინტიმური სამყაროს კერძო მოვლენებს საყოველთაო ჟღერადობას ანიჭებენ, და პირიქით, — პოეტების მეორე ნაწილს უზოგადესი, უდიდესი მოვლე-

ნები ადამიანის მასშტაბამდე დაჰყავს, შესაძლებელს ხდის მათ უშუალო, ემოციურ აღქმას. ანა კალანდაძე სწორედ ამ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, ხოლო მისი მოქალაქეობრივი ლირიკა საყოველთაო მოვლენების, საგნებისა თუ სიმბოლოების პიროვნული, ინტიმური ხედვით გამოირჩევა. ამგვარი ხედვის განსაკუთრებით დამახასიათებელი მაგალითი გამარჯვებისადმი მიძღვნილი კალანდაძისეული ლექსია:

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
კარში გამო, ჰია-ჰია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები...
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
. . . . . .
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია —
ჩვენი მოსრვა, აბა, როგორ ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჰია-ჰია მარია,
ვუგალობოთ სამშობლოის მინდორ-ველს...
(„კარში გამო, ჰია-ჰია მარია“, 1946).[1]

ასე წერა შეეძლო მხოლოდ იმ პოეტს, რომელიც ხამშობლოს ბედს აიგივებდა საკუთარ ბედთან და თანაგანცდის იშვიათი ნიჭით იყო დაჯილდოებული. გავა ოცი წელი და ანა კალანდაძის პოეზია კვლავ დაუბრუნდება სამამულო ომის დღეებს (თითქოს სიმბოლურია მისი ლექსის სათაურიც, — „დაბრუნდით“). სამამულო ომის თემის „ხელმეორედ“ აღმოჩენა ანა კალანდაძის მიერ არ იყო შემთხვევითი და იზოლირებული მოვლენა 60-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურისათვის. სწორედ ამ ხანებში წარმოჩნდა ტენდენცია ომისდროინდელი ზნეობრივი მაგალითების ხელახალი, ანალიტიკური გააზრებისა.

ანა კალანდაძის ლირიკის ერთ-ერთი უველაზე დამახასიათებელი მხარე მისი ისტორიზმია. ქართული პოეზიისათვის ესოდენ დამახასიათებელ გამოვლენაშიც კი ანა კალანდაძე ანა კალანდაძედ დარჩა: იგი არ გასდევს ისტორიული თხრობის ლოგიკას, მაგრამ წარსულის მისი, ემოციური წარმოსახვა უფრო ზუსტია ხოლმე, ვიდრე ზედმიწევნით დამაჯერებელი პოეტური ილუსტრაცია. აქ, პირველ ყოვლისა, ანა კალანდაძის ერთი ლექსი მახსენდება — „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“:

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან...

ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?
(1945)

ანა კალანდაძემ ახალი სიცოცხლე შესძინა ისტორიზმის იმ გამოვლინებას ქართულ პოეზიაში, რომლის პირველი ნიმუშები გიორგი ლეონიძისა და ტიციან ტაბიძის სახელებს უკავშირდება. მაგრამ მან არ გამოიყენა პოეტიკური მოდელები თანაგანცდის მძაფრი, იმპულსური გამოხატვით. მისთვის ორგანული არ იქნებოდა ტიციან ტაბიძის ვედრება: „ჩააქრეთ სულში სიონის ზარი და ალავერდის წმინდა სანთელი“, ანდა ქეთევან დედოფლის უბის წიგნის შემყურე გიორგი ლეონიძის წამოძახილი: „არ მასვენებენ, სულ მდევენ, ის განიერი თვალები... პატარა წიგნი საუბე, ზედ ცრემლის ნაწვერალები“. ანა კალანდაძემ პოეტური თხრობის გარეგნულად ნაკლებად პათეტიკური ფორმა ირჩია და ემოციური აქცენტი თითქმის მთლიანად მოაცილა პოეტურ „მე“-ს. ამ გადანაცვლებას არ შეუსუსტებია ისტორიზმის ემოციური ძაბვა ანა კალანდაძის პოეზიაში. მეტი თვალსაჩინოებისათვის ერთ ნაწყვეტს შევახსენებთ იგივე ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი კალანდაძისეული ლექსიდან:

ლურჯი ბაგით თქმული ლოცვა გაჰყვა ქარსა,
ქროდა ქარი...
ცეცხლით სწვავდნენ ტანშეძარცულ
დედოფალსა,
უდრეკ იყო დედოფალი!
(1946)

ანა კალანდაძის მიგნება იყო ლექსში პოეტური თხრობისა და პეიზაჟის მონაცვლეობა, განსაკუთრებული ყურადღება ერთი შეხედვით მეორეხარისხოვანი დეტალისადმი (გავიხსენოთ მისი „ქეთევან დედოფალი“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „შორია თამარ“). როდესაც ვკითხულობთ:

მზის ღიმილი ალაჩინა ცამან,
ვარდს აღმოხდა ხმაი საოცარი,
ფეხშიშველი მიდიოდა თამარ...
დედოფალო, საით მიიჩქარი?
ძოწისფერად ირიჟრაჟა ცამან
და პეპელას აღვიძებდა ქარი...
მდუმარ იყო, ნაღვლიანიც იყო...
მზე შეიჭრა ნაძვის სამეფოში...
და ძვირფასი თან მიჰქონდა მიმყოლს
მარგალიტით მოჭედილი ქოში...
(„შორია თამარ“, 1946).

რაღაც ძალა ათავისუფლებს წარმოსახვის უხილავ სარქველს: დაძლეულია დრო, საუკუნეები, სივრცე და საოცარი სანახაობის თანა-

მხილველნი ვხდებით. ახლა ჩვენც შეგვიძლია გავიმეოროთ პოეტის მოკრძალებული შეკითხვა „დედოფალო, საით მიიჩქარი?“ ან და უბრალოდ მდუმარედ გავაყოლოთ თვალი ამ დიდებულ პროცესიას.

მრავალგზის თქმულა არქაიზმის მნიშვნელობის შესახებ ანა კალანდაძის პოეტურ მეტყველებაში. აქ მხოლოდ შალვა აფხაიძის სიტყვებს მოვიყვან: „ვფიქრობ, რომ ანა კალანდაძის პოეზიის ემოციური ძალა ბევრად მისი პოეტური ენითაც განისაზღვრება, ანა ხშირად აშორებს მტვერს ძველ, მივიწყებულ სიტყვებს და გაბედულად, ცოდნით იყენებს მათ. იმდენად არა არქაული სიტყვებით, რამდენადაც სინტაქსური წყობით გამოირჩევა მისი ლექსი“.2 აღსანიშნავია, რომ ანა კალანდაძის ეს პოეტური მანერა განსაკუთრებით დაიხვეწა სწორედ იმ ლექსებში, რომლებშიც ჩვენი წარსული იყო ამეტყველებული.

ერთი შეხედვით კალანდაძისეული ლექსის ყალიბი ქართველი რომანტიკოსებიდან მოდის, მაგრამ ანა კალანდაძის პოეტური მეტყველების ძირების დაძებნა უეცარ სიურპრიზებს გვთავაზობს: ერთგან ფსალმუნთა ჰანგები მოგვესმის, მეორეგან — ვაჟა-ფშაველას კილო, მესამეგან (და ამაზე გიორგი მარგველაშვილმა მიგვანიშნა) — გოგებაშვილისდროინდელი საყმაწვილო პოეზიის ინტონაცია... ამისდა მიუხედავად (თუმცა, შესაძლოა, სწორედ ამიტომაც), ანა კალანდაძემ თავისი განუმეორებელი ინტონაცია გამოძებნა. და არა მხოლოდ ინტონაცია, არამედ ის, მხოლოდღა მისთვის დამახასიათებელი მიმართება წარსულისადმი, რომელიც ჰბადებს დროთა უწყვეტი კავშირის შეგრძნებას.

ხშირია ხოლმე, პოეტის ერთი რომელიმე იღბლიანი მიგნება მის წინააღმდეგვე შემობრუნდება — იმდენჯერ, იმდენნაირად მოგეძალებათ ეს მიგნება. ანა კალანდაძის პოეტური სამფლობელო მხოლოდღა ერთ, თუნდაც შესანიშნავად მიგნებულ ინტონაციას რომ მოიცავდეს, მის მფლობელს ადრე თუ გვიან გადაეწურებოდა შთაგონების წყარო. მაგრამ ანა კალანდაძეს ცნობთ მაშინაც, როდესაც არც ლექსიკა, არც სინტაქსი ლექსისა არ ამჟღავნებენ, რომ მისი ავტორი ანა კალანდაძეა. კითხულობთ:

სად მიდის ეს გზა კრწანისის შემდეგ,
სად მიდის მტკვარი?
სად მიდის მთვარე მხარსისხლიანი
სამასი ფარით?
სამასი თასით რა მოაქვთ ჩვენთან
კრწანისის მხედრებს?
სიცოცხლე მოაქვთ: უკვდავებაა
იმათი ხვედრი?
(„სვით სიხარული ამ თასებიდან“, 1960).

არცერთი გარეგნული ნიშანი ანა კალანდაძის ლექსისა, და ამ დროს — ეს ანა კალანდაძეა! მისი თავშეკავებული ინტონაცია, მისი ფარული ტკივილი, უეცრივ გაელვებული სიამაყე და სიხარული... ძნელია კრწანისზე, სამას არაგველზე წერა ლადო ასათიანის შემდეგ და ალბათ ესეც აიძულებდა ანა კალანდაძეს შეუცდომელი ყოფილიყო პოეტური მოდელის არჩევნისას. ფორმალური თვალსაზრისით ისტორიული დრო ამ ლექსში არ შენაცვლებულა, მაგრამ პოეტური თანაგანცდის სიძლიერე ისეთივეა, როგორიც ლადო ასათიანის რაინდულ შეძახილში: „ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა, თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა“. („კრწანისის ყაყაჩოები“).

სწორედ იმ წლებში, როდესაც ანა კალანდაძე ყალიბდებოდა როგორც პოეტი, გაჩნდა საშიშროება, რომ პათეტიკა, მიმართვის ზეაწეული კილო, თავისი მეორადი დაბადების დროს შტამპად იქცეოდა და იქმნებოდა ლექსის მოდელი, რომელშიც ლირიკული მიმართვის სუბიექტი და ობიექტი ემოციურად დაცილებულნი იყვნენ ერთმანეთისაგან ტრადიციული ოდისათვის დამახასიათებელი დისტანციით.

ანა კალანდაძე მთლიანად ვერ გაექცა ამ ტენდენციის გავლენას. ამან თავისი კვალი დაამჩნია ზოგიერთ მის ლექსს (მაგალითად: მიძღვნა ეკატერინე გაბაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, რამდენადმე „დავით გურამიშვილიც“). მაგრამ, საბედნიეროდ, პოეტს შემოქმედის ალღო ჰკარნახობდა, ამ სახიფათო ინტონაციის დაძლევის გზას. მაგალითად, დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ლექსში, ეს მოზანი წარმოსახული დიალოგითაა მიღწეული. კაცმა რომ თქვას, დიალოგიც აქ საკმაოდ პირობითია, უფრო სწორედ, პოეტი მხოლოდღა კომენტარს ურთავს დავითის მონოლოგს (აქ მშვენივრადაა გამოყენებული პოეტური აპლიკაციის ხერხი):

ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,
წყალობა ჰყავით...
საქართველოის ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...
ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...
— ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევებდი?
ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე“...
თუ... ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?
თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,

რაღა ჰქნან ცოდვილთ,
სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?
— გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველთა...

(1959)

ანა კალანდაძის პოეზიის ისტორიზმი იმითაც არის შესანიშნავი, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ ინტერესს წარსულის კონკრეტული ისტორიული მოვლენებისა და პიროვნებების მიმართ, არამედ სრულიად განსაკუთრებულად გვაგრძნობინებს წარსულის სურნელს. გარდასულ საუკუნეთა ამგვარი წვდომა შეუძლია მხოლოდ ისეთ შემოქმედს, რომელიც მთელი არსებით, ლამის ფიზიკურად გრძნობს ამ წარსულის სიახლოვეს. აკი მიმართავს კიდეც თავის უხილავ თანამოსაუბრეთ: „სადღაც ახლოა საიათნოვა — გესმით, ღუღუნებს იმისი თარი!“ („აქ, სულ ახლოა...“, 1961).

ერთ თავის ლექსში ანა კალანდაძე წერდა, რომ მიწა „არვის უჩვენებს თავის იარებს“, ეტყობა გამონაკლისი მაინც არსებობს. მოიძებნება ხოლმე მინდია, რომლის გრძნეული მზერაც ამჩნევს ბოროტი ხელით ახლახან მოჭრილ „ლამაზყელიან“ წყავის ხესაც („აქ იდგა ორად ორი ხე წყავის“) და იმ იარებსაც, ოდითგან დღემდე რომ დამჩნევია დავით-გარეჯის მონასტერს. ასეთ წამს პოეტის ხმას ნაღველი და სიმწარე ერევა:

რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს
ძეძვის რტოებზე, რომელი ჩიტი?
და მერე ტოვებს თავის საყოფელს
და ცხრა მთას იქით მიფრინავს, მიდის?
თუ... არად უჩანს თავის საუფლო,
წარსულიც თავის უჩანს არაფრად?
რომ დაუგდია მას იგი ვანი
ქვეწარმავალთ და მგელთა ანაბრად?
ქანაობს ბუდე გარეჯის ცის ქვეშ...
მას კატასავით ეპარვის ბინდი...
რომელი ტოვებს თავის სამკვიდროს
ძეძვის რტოებზე, რომელი ჩიტი?

(1961)

ანა კალანდაძისათვის უჩვეულო ექსპრესიით დაწერილი ეს ლექსი იმითაცაა საინტერესო, რომ მას „ემოციური ანტიპოდი“ მოეძებნება. (შეგახსენებთ იმავე, 1961 წლით დათარიღებულ უსათაურო ლექსს „უდაბნოს გოდოლს გარდასვლია დიდების დღენი, შემოჰკლებია მას გუნდრუკი და აიაზმა...“). ანა კალანდაძის ეს ერთ-ერთი ყველაზე არქაიზებული ლექსი ერთგვარი მეორადობის შთაბეჭდილებას შესაძლოა იმიტომაც ახდენს, რომ ჩვენ იმწამსვე გვახსენდება „გოგჩის“ ინტონაცია; ანა კალანდაძის შემოქმედებას დროთა განმავლობაში ევოლუცია რომ არ განეცადა, დავით-გარეჯაზე ალბათ მხოლოდ ეს, მეორე ლექსი დაიწერებოდა; მაგრამ ანა კალანდაძისათვის წარსულის რომანტიკული ჭვრეტა ბუნებრივად თანაარსებობს ისტორიზმის დღევანდელ გაგებასთან; რწმენასთან, რომ ჩვენ პასუხს ვაგებთ არა მარტო მომავალი თაობების, არამედ წინაპართა ხსოვნის წინაშეც. განა იშვიათია, რომ ჩვენი წაყრუებბის, გულგრილობის, სიზანტის შედეგად ინგრევა ის ტაძრები, იჩეხება ის ტყეები, ითელება ის მინდვრები, რომელთა დაცვაც ჩვენს წინაპრებს სისხლისა და სიცოცხლის ფასად დასჯდომიათ.

ფიტარეთი, თუ „ყინწვისის ტაძრის შემოგარენი გვიან შემოდგომაზე“, ქსნის ძველი ციხე თუ ასპინძის ველი, ყოველივე, რაიც კი პოეტს ქართული მიწის იარებს მოაგონებს, ანა კალანდაძის ლირიკაში ჰქრება, როგორც გეოგრაფიული ცნება — ახლა ეს ქართლის ცხოვრების სისხლიანი გვერდებია მხოლოდ. ზოგჯერ პოეტს ეჩვენება, რომ წინაპართა გოდების ექო აქვე, მთის კალთებში, მღვიმეებში ჩაგუბებულა. ასეთ დროს მას გამოუცნობი შიში აიტანს, თითქოს უეცრად უძირო უფსკრულში ჩაეხედოს. ასეა „შიომღვიმეში“:

რკინის აივანს, მყუდრო აივანს
იშვიათად თუ ეწვევა კაცი...
სამაგიეროდ ნუშის და ცაცხვის
აქ ფოთოლცვენა ისე ხშირია...
ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინიათ?

(„შიომღვიმეში“, 1954)

ვის არ განუცდია ეს უცნაური გრძნობა, შიომღვიმეში, თუ სხვა რომელიმე მიტოვებულ მონასტერში, შებინდებისას რომ მოხვედრილა. მაგრამ გამოთქმით კი, მხოლოდ ანა კალანდაძემ გამოთქვა. „შიომღვიმე“ იმითაცაა საინტერესო, რომ ამ ლექსის ჭეშმარიტი არსი ინტონაციური მრავალწერტილით, პოეტური მინიშნებით არის გამოხატული. აქ კი ანა კალანდაძის უშუალო წინაპარი — გალაკტიონ ტაბიძე იყო. „პოეტური მინიშნების კულტურა, — წერდა გურამ კანკავა, — ჩვენში მჭიდროდ უკავშირდება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებით ტრადიციას. ანა კალანდაძემ ამ ლიტერატურულ ტრადიციაში თავისი კილო, ცოცხალი ინტონაცია შეიტანა“.[3]

ანა კალანდაძის პოეტური ტალანტის ეს თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მის იმ ლექსებში, რომლებშიც ლირიკული განცდის სათავე — ადამიანისა და გარე სამყაროს მარადიული ერთიანობაა.

ანა კალანდაძე—პოეტი სწორედ მაშინ იბადებოდა, როდესაც წერდა: „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხე-

ლი“. მისთვის სამყარო არ იყო დანაწევრებული ბუნების დამპყრობ ადამიანად და უსულო ბუნებად. ბუნების სწორედ ეს, ვაჟასეული აღქმაა, საგულდაგულოდ ნაშენებ ხელოვნურ ჯებირს რომ არღვევს და ჩვენ ვხედავთ, რა გაშმაგებული სიხარულით უბრუნდება დედაბუნებას მისი პირმშო:

როცა ნამიან ველზე გავივლი,
ნამი ბალღივით მართობს, მახარებს...
ქარო, მოიტა ატმის ყვავილი,
ქარო, ფოთლებიც შემომაყარე...
და, როგორც გიჟი, ო, როგორც გიჟი,
თმააწეწილი მოლი ხარხარებს...
ხეთ სამკაული მოიხსნეს შიშით
და ხელუკულმა შემომაყარეს...
(„მე კი არა, გული ხარხარებს“, 1954)

აქ, ბუნების წიაღში, პოეტ ქალში რაღაც წარმართული, ატავისტური საწყისი იღვიძებს. წერს კიდეც ამის შესახებ: „მუხლებს მოვიყრი ნაწარმართევი, რაღაც უნებურ იღვიძებს ჩემში“; („მზის სალოცველში“, 1946). ამ დღიდან ანა კალანდაძის ანიმისტურ პანთეონში მზის კულტია გამეფებული. მაგრამ ერთგან ეს სიმბოლო უეცარ მეტამორფოზას განიცდის, თავისუფლდება ყველა ადრინდელი ასოციაციისაგან და უკვე მოგვთა სათაყვანებელი მზე კი არ არის — იშვიათად მრავლისმომცველი სიკვდილ-სიცოცხლის სიმბოლოა:

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად
ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა
მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბეღურები...
(„მკვდართა მზე ვარ“, 1946)

შესაძლოა შორეული პარალელია, მაგრამ „მკვდართა მზე ვარ“ სიურეალისტური ფერწერის ტიპიურ ნიმუშებს მაგონებს: თვითეული დეტალი, როგორც წესი, რეალისტურია, მაგრამ მათი უჩვეულო შეხამება მისტიკურობის შეგრძნებას იწვევს.

ანა კალანდაძეს აქვს წმინდა პეიზაჟური ლირიკაც („როს მიმწუხრისას მთვარე ცაზე მოირკალება“ (1945); „შემოვლენ როკვით“ (1945); „მოდის გაზაფხული“ (1945); „მერცხალთ გვახარონ“ (1945), მაგრამ მხოლოდღა ესთეტიკური ჭვრეტა თავდაპირველადვე არ იყო პოეტის ერთადერთი მიმართება ბუნებასთან.

ანა კალანდაძე საუკუნეთა მიღმა იხედება. და არა იმიტომ, რომ უბრალო ცნობისმოყვარეობა ვერ დაუოკებია — აქ, კაცობრიობის აკვანთან ეძებს იგი ადამიანისა და სამყაროს ჰარმონიული ერთიანობის საწყისს.

პოეტი დაჟინებით ახსენებს ადამიანს თავის წარმომავლობას, თავის თავსაც ახსენებს ამას; თითქოს სურს წარმართ წინაპრად უეცარი გარდასახვით, დროის გარეშე ყოფნის რამდენიმე წამით, დაუოკებელი თავისუფლებაც და უმწეობის შიშიც ერთდროულად განიცადოს:

ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,
ვაღმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და მზისკენ მიდის რძისფერი კვამლი...
დღისით ვნადირობ, წვრილ ნადირთა
ბუნაგებს ვარბევ
კეტით და მშვილდით...
და თუ გამოჩნდა ნადირი დიდი,
მყის მივაშურებ ურარტუს ქვაბებს...
(„მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“,
1945)

ისევე, როგორც ჩვენი შვილების თამაშებში ამოტივტივდება ხოლმე კაცობრიობის პრეისტორია, ხელოვნება წამიერად აღაჩენს ქვეცნობიერების სიღრმეში ჩამარხულ რომელიმე ფენას. ამიტომაა შესაძლებელი თანამედროვე ადამიანის წინააღმდეგობებითა და კომპლექსებით დამძიმებული ფსიქიკის მიღმა პოეტმა უეცრად დაინახოს მისი პრეისტორიული გმირის აღუშფოთებელი და შეურყვნელი სული.

საუკუნეთა განმავლობაში, ცივილიზაციის წინსვლასთან ერთად, ადამიანმა ბევრი რამ შეიძინა, მაგრამ ბევრი რამ დაჰკარგა კიდეც. და ერთ-ერთი აუნაზღაურებელი დანაკარგი, რომელზეც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მეცნიერებამ (პოეზიამ კი გაცილებით უფრო ადრე), ბუნებასა და ადამიანს შორის ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევაა. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ დღეს გაიხსენა კაცობრიობამ ერთი მოგვი ინდიელი ბელადის ბრძნული გამონათქვამი: „დედამიწა არ ეკუთვნის ადამიანს, ადამიანი ეკუთვნის დედამიწას“.

რაც უფრო ნაკლები ხე და ყვავილია გარშემო, მით ნაკლებ ბედნიერია ადამიანი — მით იშვიათად ეძლევა მას მშვენიერებასთან მოულოდნელი შეხვედრის შესაძლებლობა, მით უფრო გაუგებარი და ბოლოს უინტერესოც ხდება მისთვის ბუნების ენა. და თუ ადამიანის სულში მთვლემარე მინდია არ კვდება — ხელოვნებას უნდა ვუმადლოდეთ.

ფშავში, ვაჟას ბილიკებით მიდის ტანმორჩილი ქალი და თქვენ მისი საუბრის უნებლიე შემსწრენი ხდებით. მის თანამოსაუბრეს ერთობ უცნაური სახელი ჰქვია — მჟაველა; ეს მთის უბრალო ბალახია:

მე მომეჩვენა, ჩემო მჟაველავ,
შენ თითქოს შეჰკრთი...

შიშით შეირხა შენი ყვავილი
ისეთი თეთრი,
როგორც თოვლია დათვისის და
მოწამოს მთებზე...

(„შენ, თითქოს შეკრთი“, 1959)

ადამიანური ურთიერთობის ინტიმი, სითბო, ანა კალანდაძეს თავის უჩვეულო თანამოსაუბრეზე გადააქვს და ასეთ წამს პოეტი ქალი მისი უკეთილშობილესი იერით გვევლინება.

ანა კალანდაძის ლირიკული მონოლოგის ინტონაცია იმდენად ინტიმურია, რომ მას არ დასჭირვებია რაიმე განსაკუთრებული ფერისცვალება თავის სიყვარულზე ლაპარაკისას. აქ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ანა კალანდაძის ლირიკის თემატიკური დანაწევრება საკმაოდ პირობითია. წარსულთან, ბუნებასთან თუ საყვარელ ადამიანთან პირისპირ შეყრის სურათები ანა კალანდაძის პოეზიაში ისე ორგანულად გადაიზრდებიან ერთი-მეორეში, ისე განაგრძობენ და ავსებენ ერთმანეთს, რომ მათი განცალკევება და დამოუკიდებელ მხატვრულ ფენომენებად წარმოსახვა უბრალოდ შეუძლებელია. ამიტომაა, რომ ჩვენ ასე იშვიათად, ისიც პირობითად თუ ვლაპარაკობთ ამა თუ იმ ლირიკულ ჟანრზე ანა კალანდაძის პოეზიაში. გაცილებით უფრო მართებულია ამ ლირიკულ წიაღში წარმოშობილი (თუ გარედან შემოღწეული) ტენდენციების თვალმიდევნება.

ანა კალანდაძის პოეტური ალმსარებლობა საკმაოდ თავისებურია. რაოდენ ენაწყლიანია პოეტი გარესამყაროს აღწერისას, იმდენადვე სიტყვა-ძუნწი ხდება იგი, როდესაც თავის გრძნობაზე იწყებს ლაპარაკს. გავიხსენოთ ანა კალანდაძის „ზედაზნის ტყეებზე ციმციმებს ვენერა“: იგივე სიმშვიდე, იგივე ინტონაცია, რაც მის „ანიმისტურ“ ლირიკაში. და მხოლოდ ლექსის ბოლოში გათქვამს მას ერთი სიტყვა — „ბედნიერება“, სიყვარულის სინონიმად ნახმარი. შემდგომ ამისა თუ მიხვდება მკითხველი, რომ ამ ლექსში გაგონილი „ფოთლების ხმაურიც“ და „ცისა და მიწის ძლიერი მუსიკაც“ ამჯერად მხოლოდღა სიყვარულით შეშფოთებული და გაცისკრებული სულის განივთება იყო.

სიტყვას „სიყვარული“, ასერიგად გაცვეთილს ხმარებისაგან, ანა კალანდაძის ლექსიკონში იშვიათად შეხვდებით. ქალი, რომელშიც ასე ძლიერია წინაპართა შეგონებანი, ხმამაღლა არ ახსენებს ძვირფასი ადამიანის სახელს, მაგრამ დუმილსაც ველარ უძლებს და სასოწარკვეთილი ხმით წარმოსთქვამს:

ნუ მიახლოვდები შენ, ცისკრის ვარსკვლავო,
ნუ მიახლოვდები;
ხომ ხედავ, შიშისგან მიწაზე გართხმულან
კვლავ ჩემი ტოტები...
ო, ნუღა შემიქცევ კვლავ ბედნიერების
ყოველი წამით...
— რას ამბობ, ეს არის... სხვა იდუმალებით
ავსების ჟამი!
— ნუ მიახლოვდები შენ, იდუმალებავ,
ნუ მიახლოვდები!

(1960)

ეს გარდასახვა — ჯერ კიდევ ადრინდელი ანა კალანდაძის მიგნებაა (გახსოვთ: „ეს სიხარულის ცრემლებია, როდი ვტირივარ? ქარი ჩამბერავს, ავმღერდები: მე ხომ სტვირი ვარ...“). ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს შინაგანი ხმა კარნახობს, თუ როგორ უნდა იქცეს პოეზიის საკუთრებად მისი ინტიმური აღსარება. ეს აღსარება ანა კალანდაძემ მრავალფეროვანი და მრავალხმიანი სამყაროს განუყოფელ ნაწილად აქცია. ალბათ, ამიტომაც ხშირად ძნელია მისი პოეზიის ჭეშმარიტი მიმართების ამოცნობა. ამგვარი ფარული მიმართების ნიმუშია ანა კალანდაძის „მე მივსდევ შენს ხმას...“:

მე მივსდევ შენს ხმას, ცათაფრენად
რომელიც მიხმობს,
მე ვუსმენ შენს ხმას, იდუმალსა
რომელიც მითხრობს,
შენივე მწუხრით ავივსები, ესოდენ წრფელი...
ო, შენ მარადის მომეახლე სხივთა კანკალით,
თან დაგიმარხავს, როგორც მარგალიტს,
ჩემი გულის მდუმარე ფსკერი.

(1957)

ნოდარ ჩხეიძე სამართლიანად წერდა, რომ ანა კალანდაძის ამ ლექსებში ზოგი დაინახავს განცდას, რომელიც „იქნებ სიყვარულის ტრაგიკულ შეგრძნებიდან მოდიოდეს... სხვებმა კი იქნებ ისეთი მდგომარეობა დაინახონ, რაც მხოლოდდამხოლოდ რელიგიას, უხილავის, უცნობისა და ძლიერისადმი შიშსა და რწმენას, რწმენასა და შიშს ახასიათებს“.4

ვფიქრობ, შესაძლოა არსებობდეს მესამე თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ამ ყაიდის კალანდაძისეული ლექსების სათავე — ამბივალენტური გრძნობაა.

ორსაწყისიანობა პოეზიას თავიდანვე მოსდგამს. ჯერ კიდევ ძველი ბერძნები უბრალო მოკვდავთა გარეგნობით წარმოისახავდნენ ოლიმპოს მკვიდრთ, ხოლო წარჩინებულ თანამოქალაქეთ ღვთაებრივი თვისებებით აჯილდოვებდნენ. დროთა განმავლობაში, არაჩვეულებრივში ჩვეულებრივის, და პირიქით, ჩვეულებრივში არაჩვეულებრივის დანახვის უნარი მხოლოდღა ხელოვნებას შემორჩა და დღეს მისი ჭეშმარიტი სიღრმის ერთ-ერთი უცილობელი ნიშანია.

არც ის არის შემთხვევითი, რომ ანა კალანდაძის პოეზიაში დროის ორი განზომილება თანაარსებობს: პოეტის დღევანდელი სულიერი მეტამორფოზების დღიურის „მეორე პლანი“ — კაცობრიობის ისტორიული განვითარების გზაა. ნუ მოვათავსებთ ამ კანონზომიერებას, თუ თანხვედრას რაიმე წინასწარ აკვიატებული სქემის პროკრუსტეს სარეცელში, მოდით მხოლოდ ანა კალანდაძის ლირიკული ორეულის გარდასახვათა თანამიმდევრობას ავადევნოთ თვალი: ჩვენ გვახსოვს იგი მარტორქებზე მონადირე იმ პრეისტორიულ მიწაზე, რომელსაც შემდგომში ურარტუ დაერქმევა, („მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს“, 1945), გვახსოვს მისი წამოძახილი — „ცეცხლო დიადო, უბოლო ხარ, დაუსაბამო...“ („ციცინათელა ჩუმად მისდევს ხეების აჩრდილს...“, 1945), გვახსოვს „სირაქლემას ლამაზი ფრთებით“ მოკაზმული, მზის მაღმერთებელი ბუნების შვილი („მე მზეს ვუმღერ“, 1946). და რადგან ყოველი ამ გარდასახვისას ჩვენ ვხედავდით პოეტურ ანალოგიას კაცობრიობის წარსულის ნიშანსვეტებთან, ანა კალანდაძის ლირიკაში ქრისტიანული პანთეონის გამოჩენა სრულიად ბუნებრივად აღვიქვით (ასე, თავის დროზე, სიმბოლისტმა პოეტებმა ელინური პანთეონი დაუბრუნეს ზოგადკულტურულ ცხოვრებას).

ანა კალანდაძის ადრინდელ ლირიკულ პეიზაჟში ჩახატული „გვერდგანგმირული მაცხოვარი“, გეთსიმანიის ბაღისა და ლიბანის კედრთა შრიალი, — ბიბლიური სახეებით პირველი გატაცების ნიშნები, საბოლოო ჯამში მაინც იკარგებოდა „წარმართულ“ ფონზე. ორმოცდაათიანი წლების დასასრულისათვის კი, პირიქით, აქცენტმა სწორედ ბიბლიურ სახეებზე გადაინაცვლა. „ნუ მიმცემ ეჭვთა. იმონვენ სულსა...“ (1957); „შენ მე ყოველთვის მომცემ წყნარ სადგურს“. (1957); „შენს თეთრ ტაძარში სიწმინდეს ვპოვებ...“ (1957); „გულში ეშმანი მიქრობენ კანდელს...“ (1957); „სხივო ნათელო, დექ ჩემსა ეტლსა...“ (1958); „გაბრწყინებული იყო ტაძარი“... (1961), „ისევ გახსენი გული ჩემი სიყვარულისთვის“ (1961); „აკრთობს ლამეებს ფრთათა შრიალი ლურჯ სერაფიმის“... (1962); „ვარსკვლავი ბრწყინავს ასე საამოდ?“ (1962); „აქ... რა გაძლებდა უამვარსკვლავოდ“ (1961); „ცისფერ ფილებზე იხატვიან თეთრი ღრუბლები...“ (1965); „ფიტარეთში“ (1961); „ყინწვისის ტაძრის შემოგარენი გვიან შემოდგომაზე“ (1965).

ანა კალანდაძის ზემოდჩამოთვლილ ლექსებს თუ გავიხსენებთ, ისიც გაგვახსენდება, რომ ბიბლიური სახეების მეტაფორულობა აქ მხატვრის შინაგან დრამატიზმზე მიგვანიშნებს. ერთ შემთხვევაში ეს დრამატიზმი სასიყვარულო განცდითაა გამოწვეული, მეორეში — წარსულის ტრაგიკული ჩვენებებით, მესამეში — ძნელადმოსაცნობი სევდითა თუ უკმარისობის გრძნობით. განსხვავებულია თემატიკა, პოეტური ხელწერა, ინტონაცია, მხოლოდდამხოლოდ ეს, „ბიბლიური მეტაფორულობის“ პრინციპია საერთო (ცხადია, რომ აქ ლაპარაკი პოეტის ლირიკული ორეულის მორიგ გარდასახვაზე მიამიტობა იქნებოდა).

შინაგანი დრამატიზმის უეცარმა გამძაფრებამ ანა კალანდაძის პოეზიაში გამოთქმის განსაკუთრებული, ამბივალენტური ფორმა დაისაკუთრა. იმხანად ეს პოეტისათვის იშვიათად იღბლიანი მიგნება იყო და ამიტომაა, რომ ზემოდდასახელებული ლექსების ვრცელი ნუსხა ანა კალანდაძის შემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ და საინტერესო ეტაპს ასახავს.

ანა კალანდაძის შემობრუნება ბიბლიური მეტაფორულობისაკენ ალბათ ნაკლებად ნიშანდობლივი იქნებოდა, რომ თანამედროვე მსოფლიო პოეზიაში თვისობრივად ახალი იერით არ წარმოჩენილიყო ქრისტიანული პანთეონი. განსაკუთრებით საინტერესო ამ მხრივ დიდი ჩილიელი პოეტი ქალის გაბრიელა მისტრალის შემოქმედებაა. მისტრალის პოეზიის შესანიშნავი მცოდნე და მთარგმნელი ო. სავიჩი ხაზგასმით აღნიშნავდა: „თავის ლექსებში გაბრიელა მისტრალი ხშირად მიმართავს ღმერთს. და ეს რიტორიკული ხერხი როდია, — სულის ამოძახილია. მაგრამ მისი ღმერთი, ისევე, როგორც ღმერთი ინდიელთა, უმეტესად — ბუნებაა. იგი სულდგმულობს თავთავშიც, მდინარეშიც, უდაბნოშიც, ზღვის ტალღაშიც, ადამიანის გულშიც. იგი ყველგანაა, მაგრამ მხოლოდ იქ, სადაც კი ადამიანის მზერა და აზრი აღწევს. არავითარ ზეცას არ შეუძლია მისტრალის თვალთაგან დაფაროს არც ამქვეყნიური ბედნიერება, არც ბოროტება, არც სიკეთის ის ზეომი, რომელსაც პოეტი მოელის დედამიწაზე და არა გამოგონილ სამოთხეში... სხვა შემთხვევაში ღმერთი — უბრალოდ მისი სინიდისია“...[5] ეს სიტყვები თავისუფლად შეგვიძლია გავიმეოროთ ანა კალანდაძის მიმართაც.

ანა კალანდაძის ბოლოდროინდელი კრებულების მეშვეობით ჩვენ მეტნაკლებად სრული წარმოდგენა გვექმნება მის პოეტურ სამყაროზე, ადვილი თვალმისადევნებელია მისი შემოქმედებითი გზის რეტროსპექტივაც. ამ გზას თავისი კანონზომიერება გააჩნია: შემოქმედებითი აღმავლობისა და დუმილის წლები ენაცვლებიან ერთმანეთს. ისეც ყოფილა, რომ სწორედ მაშინ, როდესაც ანა კალანდაძის ხანგრძლივ დუმილს წესით უნდა შევეშფოთებინეთ, პოეტი ჩვენს წინაშე ახალი იერით წარმომდგარა. ასე იყო ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევარსა და სამოციანი წლების დამდეგს. ასე იყო 1965-66 წლებშიც. კვლავ იერშეცვლილი ანა კალანდაძე ვიხილეთ ჩვენ შარ-

შანდელ „მნათობში“, „ცისკარში“ და „პოეზიის დღეში“ დაბეჭდილი ლექსებით. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვა, ამ იერშეცვლას არ გაუხარებივარ: თუკი ყველა ადრინდელი ფერისცვალობის დროს ანა კალანდაძის პოეზია მდიდრდებოდა ახალი ინტონაციითა და განწყობილებებით, ამჟამად მისი პოეტური ხმის დიაპაზონი ერთობ შეზღუდული მეჩვენა.

როდესაც ანა კალანდაძე წერს:

ჰა, შარავანდი უხილავი უცხოთა თვალთა.
ო, დიდი ესე მეუფება განავრცე მისი —
აღვივსო მისი ბრწყინვალებით და სასოებით
ვით აღგივსია შენ სინათლით საუფლო ცისა...
(1970).

— მას, ცხადია, არა აქვს განზრახული საგონებელში ჩააგდოს ათეიზმის რომელიმე ლექტორი. უბრალოდ, შინაგან მონოლოგს აქაც, ისევე, როგორც არაერთ მის ადრინდელ ლექსში, რელიგიური მედიტაციის ფორმა აქვს მიცემული. მაგრამ ზემოთმოყვანილი მინიატურა (იგივე შემიძლია გავიმეორო შარშან გამოქვეყნებული ლექსების მეტი წილის მიმართ) რატომღაც მეორადობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეგების იმიტომ, რომ ლირიკული თვითგამოხატვა ზედმეტად კანონიზირებული პოეტური მოდელითაა განხორციელებული, ეგების იმიტომ, რომ დაკარგულია ის ინტონაციური მრავალწერტილი, რომელსაც დიდი ხელოვნების ხიმალღეზე აჰყავდა ჩვენთვის ნაცნობი ფრაზა: „ხუცესს, გინებს პიტიახში“... ეგების ზედმეტად გამოაშკარავებულია ამ ლექსის პოეტური წარმომავლობა, ხოლო წიგნიერების ელფერმა, რომელიც აქამდე ასე ამშვენებდა ანა კალანდაძის ლექსებს, ამჯერად მათი ავტორის ინდივიდუალობა დაჩრდილა. ვფიქრობ, ამ მიზეზთა ერთობლიობამ განაპირობა, რომ პოეტის თავისთავად შესანიშნავი მიგნება — შინაგანი დრამატიზმის გამოსახატავად ბიბლიური მეტაფორულობისათვის მიმართვა, ხელმეორედ დაბადების დროს იმ, პირვანდელ ეფექტს ველარ ახდენს. რაღაც ძნელადგამოსაცალკევებელი, მაგრამ მხოლოდ ანა კალანდაძისათვის დამახასიათებელი სურნელი (პოეტიკაში სუგესტიის სახელით ცნობილი) დაიკარგა. დაიკარგა ის, არაჩვეულებრივის, სასწაულის მოლოდინის შეგრძნება, რომელიც ანა კალანდაძეს ათქმევინებდა:

ამ უკაცრიელ კლდეთა კალთებზე,
ამ ბამბის ქულა ღრუბლებში თითქოს
ლალადებს ვიღაც... ვინ დამაჯერებს,
იქ ზენათგან არავინ იყოს?
იდუმალების ბურუსით მოცულთ
მიუპყართ ყური, ო, თქვენც მიხედეთ, —
სამარადისოს ჩურჩულებს ვიღაც...
გორიდან თითქმის უფლისციხემდე!
(„გორიდან თითქმის უფლისციხემდე“,
1966).

ეს „დაიკარგაც“ ცხადია პირობითობაა მხოლოდ. ასე დაიბრუნებს ხოლმე ზღვა სადაფის ნიჟარებს, რომ შემდეგი მოქცევისას მოულოდნელი საჩუქარი დაგვიტოვოს.

ახლაც, ანა კალანდაძის ლექსების კითხვისას, „იდუმალების ბურუსით მოცულ სამარადისო ჩურჩულთან“ ერთად ამ ზღვის ხმაური მომესმის, მისი მომავალი მოქცევის მოლოდინი მიპყრობს და ვფიქრობ, რა ხშირად არის იდუმალების ბურუსით მოცული თვით პოეზია, რომელშიც ასე ხშირად იშლება ზღვარი რეალურსა და ირეალურს, რწმენასა და წარმოსახვას შორის. და კიდევ ვფიქრობ — რაოდენი კითხვის ნიშნითაც არ უნდა იყოს დასერილი ანა კალანდაძის შემოქმედებითი სამყარო, მან თავისი მთავარი სათქმელი — პატრიოტისა და ჰუმანისტის სიტყვა, გარკვევით და მკაფიოდ წარმოსთქვა.

შენიშვნები

1 ანა კალანდაძის ლექსები ციტირებულია პოეტის ბოლოდროინდელი კრებულის მიხედვით: „ანა კალანდაძე, ლექსები, თბილისი, 1973 წ.“.

2 შალვა აფხაიძე, „ანა კალანდაძე“, „მნათობი“, 1963 წ., № 2, გვ. 132.

3 გურამ კანკავა, „ანა კალანდაძე“, „ცისკარი“, 1968, № 7, გვ. 105.

4 ნოდარ ჩხეიძე, „ანა კალანდაძის პოეზია“, „ცისკარი“, 1958, № 12, გვ. 112.

5 О. Савич, «Габриела Мистраль», предисловие к «Лирика Мистраль», М., 1963, стр. 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დიმიტრი ქუმსიშვილი*

# ჯანსუღ ჩარკვიანის ლირიკული პოემები

ჯანსუღ ჩარკვიანი ფრიად ორიგინალური, საკუთარი ხმის მქონე პოეტია. ამ გარემოებას ჩვენ განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რადგან, სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანს მელექსეთა რიცხვმა დიდად იმატა, მაგრამ საკუთარი ხმის მქონე პოეტებისამ იკლო...

ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსები და პოემები მკითხველს მუდამ ახარებდნენ ფორმის დახვეწილობითა და სიახლით, შინაარსის სიღრმითა და აქტუალობით. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია ამ ბოლო ხანებში გამოსული მისი „ლირიკული პოემების“ კრებული.

როდესაც ეს პოემები პერიოდული პრესის ფურცლებზე ცალ-ცალკე ქვეყნდებოდნენ, მაშინ ჯერ კიდევ ისე ხელშესახებად არ იგრძნობოდა მათი ჭეშმარიტად ნოვატორული ხასიათი, როგორც ახლა, როდესაც ისინი ერთ წიგნშია თავმოყრილი. შვიდი ლირიკული პოემა, ერთად დაბეჭდილი, ნათელ წარმოდგენას იძლევა ძიებითა და შემოქმედებითი წვით აღსავსე იმ გზაზე, რომელიც პოეტმა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე გაიარა — 1963-დან 1974 წლამდე.

## 1. ორიოდე სიტყვა ლირიკულ პოემაზე

საკუთრივ პოემას ლიტერატურის თეორეტიკოსთა ნაწილი ეპიკური გვარის ერთ-ერთ სახეობად თვლის, მსგავსად მოთხრობისა და ნოველისა; მეორენი პოემას სინთეზური ხასიათის ნაწარმოებად მიიჩნევენ და ლირიკულ-ეპიკურ გვარს მიაკუთვნებენ. ამგვარი კლასიფიკაციის თავგამოდებული დამცველია ცნობილი ლიტერატურის თეორეტიკოსი ლ. ი. ტიმოფეევი. მისი აზრით, ლირიკულ-ეპიკური გვარისათვის დამახასიათებელია ცხოვრების ასახვა ლირიკასა და ეპოსისათვის ნიშანდობლივი საშუალებების ერთობლიობით. პოემისათვის დამახასიათებელია სიუჟეტურობა, ლექსობრივი ფორმა და მთხრობელის ანუ ავტორის განცდების გადმოცემა, ლირიზმი. ერთი სიტყვით, ლ. ტიმოფეევი ლექსად გამოთქმულ მოთხრობას, რომელშიაც ასახულის მიმართ გამოხატულია ავტორისეული განცდები, პოემას უწოდებს. ტიმოფეევის ამ განსაზღვრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართულ ლიტერატურაში პოემის კლასიკურ ფორმად უნდა მივიჩნიოთ, ვაჟა-ფშაველას პოემები — „გველის-მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ და სხვ.

ახლა ისმის კითხვა — რა მსგავსება და განსხვავებაა საკუთრივ პოემასა და ლირიკულ პოემას შორის?

ტერმინი „ლირიკული პოემა“ იმაზე მეტყველებს, რომ ამ სახეობის მხატვრულ ნაწარმოებში უნდა მოიპოვებოდეს პოემისათვის დამახასიათებელ ეპიკურ ელემენტებთან ერთად ლირიკის ელემენტებიც, და ამავე დროს, ლირიკული საწყისი უნდა ჭარბობდეს ეპიკურს. აშკარად გამოხატული სიუჟეტის უქონლობა ლირიკული პოემის განმასხვავებელი ნიშანია.

ჩვენი დაკვირვებით, ლირიკულ პოემაში, ელეგიასა და ოდისათვის ნიშანდობლივი თვისებები შერწყმული უნდა იყოს ცხოვრებისეული მოვლენების სუბიექტურ აღქმასთან. ამიტომ ლირიკულ პოემაში დიდი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი მოვლენების, თუ გნებავთ, ისტორიული ფაქტების განზოგადებულ წარმოსახვას და ასახული სინამდვილით გამოწვეულ ავტორისეულ განცდებსა და შეფასე-

ბას. ამიტომ ლირიკული პოემისათვის დამახასიათებელია აგრეთვე პუბლიცისტურობაც.

საქართველოში ლირიკული პოემების გარკვეული ტრადიციები არსებობს. ლირიკულ პოემებს შეიძლება მივაკუთვნოთ ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, ი. ჭავჭავაძის „აჩრდილი“.

ჯ. ჩარკვიანი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ბრწყინვალედ აგრძელებს ამ ტრადიციას. ამიტომ სრულიად მართებულად მან თავის კრებულს „ლირიკული პოემები“ უწოდა. ცნება — „ლირიკული პოემა“ ზუსტად გამოხატავს კრებულში შეტანილი ნაწარმოებების ჟანრობრივ რაობას, ზუსტად შეესატყვისება მათს შინაარსსა და ფორმას.

ჯ. ჩარკვიანის ლირიკულ პოემებს შეიძლება ვუწოდოთ ფიქრები ხმამაღლა, ფიქრები სამშობლოს ბედზე, მის წარსულსა და მომავალზე, ადამიანისა და მოქალაქის ვალზე და დანიშნულებაზე. მათი ყოველი სტრიქონი გამსჭვალულია მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით. მათში ლირიკის და პუბლიცისტიკის — ამ ორი, თითქმის, ურთიერთგამომრიცხავი ლიტერატურული გვარის ელემენტები საოცარი ოსტატობითაა შერწყმული.

## „რწმენის კედელი“

ამ ნაწარმოებით, რომელიც შექმნილია 1969-1970 წლებში, იხსნება ლირიკული პოემების კრებული.

რწმენის პრობლემა ყოველთვის იდგა კაცობრიობის, კერძოდ, მხატვრული სიტყვის საუკეთესო ოსტატების წინაშე — განსაკუთრებით კი რწმენის სიმტკიცის საკითხი.

რწმენა, ნამეტნავად ჭეშმარიტი საქმისა და იდეებისადმი, მტკიცე და ულალატო რწმენა, დიდი სიკეთეა — სიკეთის საწინდარი. უპრინციპობა, ორპირობა, მერყეობა და ათასნაირად აზრის შეცვლა, ერთი პოზიციიდან მეორე საწინააღმდეგო პოზიციაზე გადასვლა, რწმენის ღალატი ყოველთვის დამღუპველი იყო და ზიანის მომტანი, ყოველთვის ზიზღსა და გმობას იწვევდა გმირული სულის მქონე, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებში.

მხოლოდ ქვიტკირის კედელივით აღმართულ რწმენას ძალუძს წინ აღუდგეს ბოროტებას, მხოლოდ მტკიცე რწმენის ადამიანს შეუძლია ბრძოლა სიკეთისათვის და გამარჯვების მოპოვებაც.

რწმენის სიმტკიცეს უმღერეს ლერმონტოვმა და ვაჟა-ფშაველამ. სწორედ მათ — ერთმა „დემონში“, ხოლო მეორემ — „გველის-მჭამელში“, გვიჩვენეს, თუ რა ტრაგიკულია იმათი ბედი, ვინც საკუთარ რწმენას ღალატობს.

მინდიასი და ხევსურთა უბედურება რწმენის ღალატის შედეგია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა...

ამბობს მინდია. რწმენის ღალატი იყო მინდიას მიერ სიბრძნის და ყოვლისშემძლეობის დაკარგვის მიზეზი.

რწმენისა და იმედის დაკარგვა — ყველაფრის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომ, შემთხვევით არაა ჯანსუღ ჩარკვიანის „რწმენის კედელში“ მინდიას გახსენება: „ყანის მკას ვიწყებ, როგორც მინდიაო“, ამბობს პოეტი.

განყენებული, დროისა და ადგილის მოწყვეტილ რწმენას არავითარი ფასი არა აქვს... მხოლოდ ჭეშმარიტ რწმენას, პროგრესულ, ხალხის კეთილდღეობისკენ მიმართულ იდეებსა და მისწრაფებებს გააჩნიათ ღირებულება. ეს კარგად ესმის ჩარკვიანს, ამიტომ მისი „რწმენის კედელი“ აბსტრაქტული არაა, კონკრეტულ იდეებს, კონკრეტულ მისწრაფებებს შეიცავს.

პოეტს სჯერა თავისი საბჭოთა სამშობლოს უკეთესი მომავლისა. სამშობლოს მომავალს იგი ახალ თაობაში, შვილებში ხედავს:

ჩვენს ბედ-იღბალსაც მთა-მთა უვლია
და უპოვნია გამომჭედელი,
აჰა, მამუკა და თამუნია
ვით ჩემი რწმენის ერთი კედელი.

ამ სიტყვებით, იმედიანი სიტყვებით მთავრდება ლირიკული პოემა.

პოეტს აწუხებს ფიქრი იმაზეც, რამაც შეიძლება მომავლის რწმენა შეარყიოს, შეაფერხოს ქვეყნის წინსვლა და კეთილდღეობა.

ჯანსუღ ჩარკვიანმა კარგად იცის, რომ ერის და ქვეყნის კეთილდღეობა ხალხის მშობლიურ ნიადაგთან ურღვევ კავშირშია, ამიტომ იგი წერს: „ვაითუ ადგეს ქართველი გლეხი და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი... რომ ჩვენი მტრების გასახარებლად, სახლები იქცნენ ნასახლარებად“.

პოეტი დიდი გულისტკივილით აღნიშნავს გლეხობის ნაწილის მისწრაფებას ქალაქისაკენ, რომლებმაც შეიძლება „ზვარს ამჯობინონ ქალაქში დახლი“.

ასეთებს პოეტი მიმართავს შთამაგონებელი სიტყვებით:

შენ საჭირო ხარ, საჭირო, გესმის?!
შენით იწყება ჩვენი მამული.
თორემ უშენოდ ვენახის ფესვი
არის საპყარი და მოჟამული.

ეს რეფრენი არაერთგზის მეორდება პოემაში და ამიტომ განსაკუთრებით დამაჯერებლად ჟღერს.

შემდეგ, პოეტი გვიხატავს უპატრონოდ მიტოვებული სოფლის შემაძრწუნებელ სურათს, მაგრამ პესიმიზმს კი არ ეძლევა, არამედ რწმენას გამოთქვამს, რომ გლეხი ისევ დაუბრუნდება მშობლიურ მიწას.

მე კიდევ მჯერა, მე მაინც მჯერა,
მე მაინც მჯერა, რომ დაბრუნდები.

ეს სიტყვები რამდენჯერმე გამეორებული და ხაზგასმით დაბეჭდილი აძლიერებენ მათ ოპტიმისტურ შინაარსს.

მეორე დიდი საფრთხე, რომელმაც ადამიანები შეიძლება გადაგვარებამდე მიიყვანოს, ეს არის უსინდისო მომხვეჭელობა, ეგოისტური გაუმაძღრობა. ეს თვისება ადამიანთა იმ კატეგორიას ახასიათებს, რომელნიც ვერ ამაღლებულან საზოგადოებრივი ინტერესების შეგნებამდე. სწორედ მათ გასაკიცხავად და სააშკარაოზე გამოსაყვანად ჯანსუღ ჩარკვიანს ჩაურთავს თავის ლირიკულ პოემაში საბას ცნობილი არაკი, ბრწყინვალედ გალექსილი. ამ არაკს პოეტმა ასეთი დაბოლოება მისცა: „გაუმაძღრობაზე მოგახსენეთ ესე არაკიო“.

სამშობლოს, საქართველოს კეთილდღეობა და ბედნიერება საყოველთაო, მსოფლიო მშვიდობისა და სამართლიანობის გარეშე წარმოუდგენელია, უფრო მეტიც, შეუძლებელია. არ შეიძლება ადამიანი მხიარული იყოს, როდესაც არის ქვეყნები, სადაც მწუხარებაა გამეფებული; არ შეიძლება ქვეყანა, თუნდაც ერთეული ადამიანი გულდამშვიდებული იყოს, როდესაც უბედურნიც არსებობენ; ერთი სიტყვით, როგორც დიდი შოთა იტყოდა, „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ ეს კარგად იცის ჯანსუღ ჩარკვიანმა, ამიტომ იგი სამშობლოს ბედ-იღბალს მსოფლიოს აწმყოს და მომავალს უკავშირებს, ამიტომ პოეტის გულს სისხლისმდენ იარებად აჩნია ხიროსიმა, ჰანოი, ვიეტნამი, კოლის მხეცობა, ჩვენი ფერეიდანი.

— ფერეიდანი მჭირსა, რჯულძაღლო,
ფერეიდანი და საქართველო...
. . . . . . . . .
— მე ხიროსიმა მჭირსა, რჯულძაღლო,
ჩემი ჰანოი და ვიეტნამი.
სონგმში ჩადენილ კოლის მხეცობას
მე რა დავარქვა, რა დავუძახო,
სამოცდარვა წლის მარტი გეცნობა?
კოლის მხეცობა მჭირსა, რჯულძაღლო.

ამიტომ შეშფოთებული პოეტი მოუწოდებს ადამიანებს:

ადექი ფეხზე, ამხანაგო და მეგობარო,
სანამ მსოფლიო გადიქცევა აქვარიუმად.

ის დაჭრილია, ის, მსოფლიო, სისხლი
მოვბანოთ
„წყნარად მსოფლიო! წინ მსოფლიო,
მსოფლიო, ჩუმად!“

„რწმენის კედელი“ უკეთესი მომავლის ურყევი რწმენით გასხივოსნებული პოემაა.

### 3. ორი ესკიზი — „მუქლვერ — მზე მიდის“ და „ღია ბარათი“

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“, ეს ეპიგრაფი წაუმძღვარა ჯანსუღ ჩარკვიანმა 1968 წელს დაწერილ ნაწარმოებს — „ღია ბარათს“. დიდი ილიას ეს სიტყვები ამავე, 1968 წელს შექმნილ მეორე ვრცელ პოემასაც — „მუქლვერ — მზე მიდის“ — გამოადგებოდა ეპიგრაფად, რადგან ორივე ეს პოემა საქართველოს უწმინდესი სიყვარულითაა გამსჭვალული. ამის დამადასტურებელია, თუ გინდაც შემდეგი სტრიქონები:

... მოსკოვში, რომში, ლამაზ ვენაში,
პირზე მეკერა შენი სახელი,
დამდევდა შენი თვალი კეთილი
მეც უცხო ქვეყნებს კალმით მივდიე,
და ევროპაში ზოგიერთივით
სამშობლო კი არ გამიყიდია,
შენ მყავდი გულში, როგორც თილისმა,
როგორც მცხეთა და როგორც ბოლნისი...
და ვრწმუნდებოდი — მხოლოდ თბილისი
და საქართველო პირველყოვლისა.

ამ სტრიქონებში გამოძერწილი გრძნობა არც ახალია და არც ჩვენს პოეტს ეკუთვნის მისი აღმომჩენის პატივი... ქართველ კაცს, სადაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის ახასიათებდა მშობლიური მიწის ჩაუქრობელი სიყვარული და ერთგულება, მაგრამ აქ იგი ისე ოსტატურადაა ნათქვამი, რომ მკითხველის გულს ახალი ცეცხლით აღუნთებს. და რაც მთავარია, ეს არ არის პასიური, მჭვრეტელობითი სიყვარული, არამედ მოწოდებაა საქმეებით საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის დამტკიცებისა.

პოეტი მოგვიწოდებს არა ფილისტერული სიმშვიდისაკენ, არამედ დაუცხრომელი მოქმედებისაკენ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

... ვინ გაიგონა რუსთველი მშვიდი,
მე სიმშვიდეზე ფიქრიც არ მინდა,
ვძერწავდით, ვფშენიდით, ვწერდით და
ვშლიდით.
ბევრჯერ გვიმტყუნა ძალამ ტიალმა,
ვინ გაიგონა ფშაველა მშვიდი,
ვინა სთქვა მშვიდი გალაკტიონი.

„ლია ბარათიც“ ქართლის ბედზე, მის მომავალზე ფიქრით და ზრუნვით გამთბარი სიმღერაა.

ქვეყანას მშვიდობა სჭირდება, სჭირდება სუფთა ჰაერი, სუფთა წყალი, სუფთა, დაუბინძურებელი მიწა. ამ პრობლემამ გლობალური ხასიათი მიიღო. ვერ დაიცავ სისუფთავეს საკუთარ სახლში, თუ მეზობლები ჭუჭყში იღრჩობიან... ყველამ უნდა შეიგნოს ეს უბრალო ჭეშმარიტება.

ამიტომ ჯანსუღ ჩარკვიანი დიდი გულისტკივილით ამბობს:

ჩვენ ავაშენეთ შენი ხიდები,
ჩვენ დაგამშვენეთ თიხის დოქებით,
არ შეიძლება შენი დანგრევა
სულ რაღაც ერთი ხელის მოქნევით.
. . . . . . . . . .
და უცაბედად სიჩუმე გვტოვებს
და მწუხარება ჩნდება გარშემო,
ბავშვებს ვუსინჯავთ სისხლსა და როეს
და გვეშინია ჩვენი ბავშვების.

ასე წამლავენ ჰაერს და მიწას
და ჭმუჭნის სხეულს ხელი ვერაგის,
ეხ, დღესაც ისევ საეჭვოდ წინწკლავს
და ტალახისფრად ღებავს პერანგებს.

რამდენიმე სიტყვა „მუჟლვერ — მზე მოდის“ და „ლია ბარათის“ მხატვრული ფორმისა და მათი ადგილის შესახებ ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტურ ევოლუციაში: ჩვენ მათში ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ლირიკული პოემებისათვის ნიშანდობლივ ყველა კომპონენტს. 1963 წელს დაწერილი ეს ნაწარმოებები სამოცდაათიანი წლების დასაწყისში შექმნილ ლირიკული პოემების „რწმენის კედლისა“ და „ჯაჭვის თორანის“ ესკიზებად შეიძლება ჩაითვალოს; ამიტომ ჩვენ ისინი ახალი ჟანრის მხოლოდ ჩანასახებად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ ეს ნაწარმოებები ნათლად მეტყველებენ პოეტის დაუცხრომელ ძიებაზე და შემოქმედებით ზრდაზე.

## 4. ჩემი კალენდარი

კაცობრიობამ კალენდარი შექმნა, კალენდარის ფურცლებზე მნიშვნელოვანი თარიღები აღნიშნა. საერთო კალენდრის გარდა ყველა ცალკეულ ადამიანს თავისი კალენდარიც აქვს. ეს ის დაუვიწყარი თარიღებია, რომლებიც დრომ ვერ წაშალა და მეხსიერებას შემორჩა.

მოვლენები ერთმანეთს ცვლიან, მოვლენები მოგვევლინებიან, ზოგნი უკვალოდ ქრებიან, ზოგნი კი განცდების სახით მეხსიერებაში რჩებიან, როგორც კალენდრის ფურცლებზე აღბეჭდილები.

რა არის პოეტის განცდა, თუ არა იმ დღეებისა და მოვლენების ანარეკლი, რომლებმაც სულში წარუშლელი კვალი დასტოვეს!..

ჯანსუღ ჩარკვიანის „ჩემი კალენდარი“ კარგად მიგნებული, ორიგინალური ფორმაა ლირიკული პოემისა, სინამდვილის პოეტური განცდების საშუალებით გადმოცემისა.

ავტორი იგონებს იმ დღეებს, რომლებიც ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო მისთვის და ამ ხერხით თავისი დროის ამაღელვებელ მოვლენებს გადმოგვცემს და გარკვეული პოზიციებიდან აფასებს. „ჩემი კალენდარი“ არის ლირიკული პოემა სიყვარულზე, ომზე და მშვიდობაზე. პოეტის კალენდარში, პირველ რიგში, დიდი სამამულო ომის მძაფრმა დღეებმა ჰპოვეს გამოხატულება და ეს სრულიად კანონზომიერია. ჩვენი თაობის მეხსიერებიდან ვერაფერი ვერ ამოშლის კალენდრის ორ დაუვიწყარ დღეს — 22 ივნისსა და 9 მაისს. ამიტომ პოეტი წერს:

როდის დაიწყო და — ოცდაორში...
როდის დამთავრდა? — ცხრა მაისს, შვილო.
ხალხს არ ყოფნიდა პური და გროში
და ძვირი ღირდა საშარვლე ტილო.
ოცდაორიდან ცხრა მაისამდე
არის დუმილი და მღვრიე განცდა,
ბევრი ვიწვალეთ, ბევრი ვიცადეთ,
და გვეყო სული, მაინც არ გაცვდა.

„ჩემს კალენდარში“ ნიშანდობლივ დღეებადაა მოხსენებული ომამდელი და ომისშემდგომი მოვლენები — ტერეშკოვას გაფრენა კოსმოსში, ენგურჰესის მშენებლობა და ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმის დღე — 19 ივნისი. ერთი შეხედვით, შეიძლება, კაცმა იფიქროს — სად ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ და სად სამამულო ომი, ტერეშკოვას გაფრენა და ენგურჰესის მშენებლობა! მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი ამ შეპირისპირების მიღმა ღრმა და კეთილშობილი აზრი იმალება.

„აბესალომ და ეთერი“ არის ჰიმნი სიყვარულისა, ბოროტების დამთრგუნველი სიყვარულისა. სიყვარული ხომ მშვიდობის საწინდარია! ამიტომ შეიტანა ეს დღე, „აბესალომ და ეთერის“ დადგმის დღე, ჯანსუღ ჩარკვიანმა თავის კალენდარში.

ასევე შემთხვევით არ არის აქ შეტანილი „ანტიფაშისტ გერმანელთა ლექსები და წერილები“ — ნაპოვნი სიკვდილის ბანაკებში — ზაქსენჰაუზენში, დახაუში და სხვაგან. ფაშიზმი ყველასთვის შავი ჭირი იყო, მათ შორის, თვითონ გერმანელთათვისაც.

პოემაში ოპტიმიზმით ალსავსე მრავალი სტრიქონია, ხალხის უძლეველობის რწმენით გამთბარი:

პატარა სოფლებს და ლამაზ სოფლებს
შეხედეთ, ჩვენსკენ ხელებს იწვდიან,
სულ ერთი ბეწო ყუმბარა ყოფნით,
რომ ალიგავონ უცებ მიწიდან.
მაგრამ თუ ერთხელ, ერთად სთქვა ხალხმა
და მთელი ძალით დაიგუგუნა,
შემობრუნდება ცხოვრების ჩარხი
და მოისვენებს ეს საუკუნეც.

პოემის ფინალი სიმბოლიური და მრავლისმთქმელია. აქ ნათქვამია იმაზე, თუ როგორი უნდა იყვნენ მომავალი დღეები, დღეები, რომლებიც კალენდარს უნდა შეემატოს. ეს დღეები უნდა იყოს გასხივოსნებული სამშობლოს, საქართველოს სიყვარულით, ხალხებისათვის სიკეთის მომტანი:

მერე? —
რა მერე,
წადი და ხატე,
დახატე ლურჯი თბილისის ზეცა,
ის არის ჩვენი ჯვარი და ხატი,
წმინდა კვირიკე და ოქროს ვერძი.
მიწა დახატე ძველი საზღვრიდან
და საქართველოს დროშა დახატე,
წადი, დახატე დიდი მთაწმინდა,
ჩვენი საძვალე,
ჩვენი სახატე.
გემი დახატე, რომელსაც მიაქვს
გაჭირვებული კაცისთვის პური,
რომ იყოს ყველგან კარები ღია,
რომ დაჰყვეს კაცი მის ნება-სურვილს.
ეს დღე კალენდარს მოემატება,
ეს დღე იქნება შვილივით ჩემი...

## ნ. ჯაჭვის თორანი

ამ ნაწარმოებს ქვესათაურად „არდავიწყების პოემა“ აქვს, ხოლო ეპიგრაფად დიდი რუსთველის სიტყვები: „ჩვენ უფრო გვტკივა იგი ვინ დაგვაკლდა სწორად თავისა“.

ეს ლირიკული პოემა თავისი ფორმისა და შინაარსის სრულყოფილებით გამოირჩევა და კრებულის საუკეთესო ნაწარმოებად მიგვაჩნია.

1941-1945 წლების სამამულო ომში ქართველმა ერმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ოთხასიათასამდე ქართველი ვაჟკაცი დაეცა. საქართველოს მიწა-წყალი შინმოუსვლელთა ობელისკებითაა მოფენილი. ქართველი ხალხი განუქარველი სევდითა და ულრმესი პატივისცემით ინახავს იმათ სახელებს, ვინც კაცობრიობა იხსნა ფაშისტური ჭირისაგან და საკუთარი სიცოცხლის ფასად სიკვდილი დაამარცხა.



ჯანსუღ ჩარკვიანის „ჯაჭვის თორანი“ შინმოუსვლელთა ხსოვნის ობელისკია, მაგრამ იგი უსიცოცხლო ქვის მონუმენტი კი არ არის, არამედ ღრმა და განუსაზღვრელი მწუხარების სიმბოლოა, ეს არის მოწოდება სამშობლოს სიყვარულისა, სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, ჰიმნი გმირობისა და თავდადებისა.

ვაი, რამდენი ვერ დავიტირეთ,
ვისაც სიცოცხლე ლალი მოუსპეს.
სამარადისო დიდება გმირებს,
დიდება გმირებს, სახლში მოუსვლელთ,
დაუტირებელ მირზას, ზოიას,
დაუტირებელ ზეზვას და ზურაბს,
ვინც საწყაოა და საზომია,
ვისაც დუმილის სიცივე ხურავს.
ისევ ოც-ოცი წლისას გიგონებთ,
შინმოუსვლელნო, ძმანო ქართველნო,
თქვენს გამარჯვებას ვუწერ სტრიქონებს,
რომ ისევ ფეხზე წამოგაყენოთ.

„ჯაჭვის თორანს“ ფრიად ორიგინალური კომპოზიცია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ პოემაში გმირების მთელი გალერეა არის მოცემული, როგორც ეს ლირიკულ პოემას შეჰფერის, მას არავითარი სიუჟეტი არ გააჩნია. პოეტს სრულიად მართებული გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რადგან კლასიკური პოემისათვის დამახასიათებელი სიუჟეტი, უდავოდ შეზღუდავდა, შებოჭავდა პოეტის ჩანაფიქრის განხორციელებას.

საქმე ისაა, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი რამდენიმე კაცის პირადი ბედით კი არ არის დაინტერესებული და მათ განცდებს კი არ განასახიერებს, არამედ გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში მთელი ხალხის ჭირ-ვარამს გადმოგვცემს, გადმოგვცემს თავის ფიქრებს მის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე, დასტირის მისი შვილების ავბედითობას.

მაინც რაშია „ჯაჭვის თორანის“ კომპოზიციური თავისებურება? ლირიკული პოემა შესავლით იწყება, რომელიც ბრძოლებში დაღუპულ მამულიშვილთა ქებათა-ქებაა:

... მაგრამ რამდენი გმირიც გვაკლია,
იმდენი ძეგლი აღიმართება.
დიახ, მთასავით აღიმართება,
და დედის გულიც უმალ მორჩება,
სისხლსაც მოვუვლით დაღვრილს
ქართველთა —
საქართველოში გავფენთ დროშებად.

შესავალს მოსდევს დავით გურამიშვილის გახსენება, რომელმაც დიდი ბრძოლები გადაიტანა და სამშობლოდან გადახვეწილი უცხო მიწას მიებარა. გურამიშვილი იყო მსხვერპლი საქართველოს ავ-ბედობისა...

პოემის ერთ-ერთი თავი — „თავისუფლება“ — რეფრენს წარმოადგენს. სტრიქონები ნაწარმოებში არაერთგზის მეორდება და მთლიანადაა მოცემული პოემის დასაწყისში და ფინალში.

როგორც ზემოთ ითქვა, „ჯაჭვის თორანი“ ბრძოლაში დაცემულ გმირთა საგალობელია. ამ ბრძოლას ჰქონდა დიდი აზრი და გამართლება, რადგანაც იგი თავისუფლების დასაცავად იყო წარმართული. ასე უნდა გავიგოთ პოეტის სიტყვები:

თუ გამარჯვება არის მიზანი,
დაბადებულნი არ ვართ ლაჩრებად,
მამულისათვის,
    მამულისათვის,
ძმებო, სიკვდილი ან
    გამარჯვება.
ძლივს, ძლივს ამოდის
    მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება
    ლომთა ხვედრია.

ფაშიზმი მსოფლიოს ყველა ხალხის თავზე აღმართული მომაკვდინებელი საფრთხე იყო. ჰიტლერი ყველა არაარიული წარმოშობის ხალხებს მოსპობას უქადდა. ამიტომ იყო, რომ სხვა ხალხებთან ერთად ქართველებიც კავკასიის მისადგომებიდან დაწყებული ბერლინამდე, თავის მკვიდრი მიწაწყლიდან ათასეული კილომეტრების დაშორებით, ევროპის თვალუწვდენელ ტერიტორიაზე გააფთრებით იბრძოდნენ და კვდებოდნენ.

საქართველოდან დაშორებით ვოლგაზე და დნეპრზე, ვისლაზე და ოდერზე, შორეულ საფრანგეთში და იტალიაში, ტექსელზე ჩვენი ვაჟკაცები ქართულ მიწა-წყალს იცავდნენ და იმარჯვებდნენ. ამ ბრძოლებში დაღუპულ გმირებს ეძღვნება ლირიკული პოემის თავები „ფორე“, „ზოია“, „მირზა“, „ზურაბი“, „ზეზვა“, „პოლიტხელი ბაქრაძე“, „ირინოლა“, „იაკობ“.

მრავალი საუკეთესო შვილი დაკარგა ამ ომში საქართველომ, და ჯანსულ ჩარკვიანი გულისტკივილით ამბობს:

საქართველოვ,
შენ ვინ მოგცა —
შვილი დასაკარგავი.

გმირთა სახელები სამარადისო დიდებით შემოსილი მარად იქნებიან მომავალი თაობების გზის მაჩვენებელი ვარსკვლავები:

— ისევ ისინი გადაგვარჩენენ
ისევ ისინი დაგვიფარავენ.

მათი დიდების სახელს გაჰყევი,
ჩირაღდნად გენთოს სული გმირული,
თუ გინდა ქვეყნად შენი სახელი
არ იყოს უცხო და განწირული.

მთელმა ქართველმა ხალხმა დაიტირა შინმოუსვლელნი და პოემაშიც შეტანილია თავი — „ნატირალები“. მშვენიარი და პირიმზე დასტირიან უდროოდ დაღუპულ გმირებს. ეს სტრიქონები აღბეჭდილია ჭეშმარიტი ხალხურობით, თავისი ხალხური სალექსო ფორმით და მძიმე სევდით.

სიტყვა „ჯაჭვის თორანზე“ მინდა დავამთავრო ისევ იმ რეფრენით, რომელიც ლირიკულ პოემაში მრავალჯერ მეორდება:

ძლივს, ძლივს ამოდის
    მთვარე სამოთხის,
ტყვია მიზანში მოსახვედრია,
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება
    ლომთა ხვედრია.

## 6. მონატრება“.

ამ სათაურით გაერთიანებული ლექსები, იმდენად დასრულებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან, რომ ძნელია ისინი ერთ მთლიან ლირიკულ პოემად აღვიქვათ. მართალია ამ ციკლის ყველა ლექსი, საბოლოო ჯამში, პოეტს სამშობლოს სიყვარულმა ათქმევინა, მაგრამ ისინი, ჩვენი აზრით, ცალ-ცალკე უფრო ძლიერად ჟღერენ, ვიდრე პოემად გაერთიანებულნი.

ასე მაგალითად, მშვენივრად არის ნათქვამი ლექსში — „მამულისათვის, მამულისათვის“ შემდეგი სტრიქონები:

კვლავაც შენთან ვართ, კვლავაც შენთან
    ვართ,
ხმლითა და გუთნით, კალმით, ოცნებით
ჯვარი გვწერია, ჯერ არ შევმკრთალვართ,
თუ საჭიროა, დავიხოცებით!

ასეთი, ფორმითა და შინაარსით შესანიშნავი, ლექსები უხვადაა შეტანილი კრებულში, მაგრამ ამ ჯერად ჩვენ მათზე არ შევჩერდებით.

## 7. „გაფრთხილება“.

ჯანსულ ჩარკვიანის ლირიკული პოემების კრებულს აგვირგვინებს პოემა „გაფრთხილება“. ეს ნაწარმოები მგზნებარე მოწოდებაა რევოლუციური გარდაქმნებისაკენ, ბრძოლისაკენ ყველაფერი დრომოჭმულისა და დახავსებულის წინააღმდეგ.

მამულისადმი, სამშობლოსადმი სიყვარული, ზრუნვა და თავდადება მისი კეთილდღეობისათვის, მისი უკეთესი მომავლისათვის — ეს არის ძირითადი პათოსი ამ პოემისა.

მაგრამ, წინსვლა, თუ გნებავთ, მოპოებულის შენარჩუნება, სამშობლოს კეთილდღეობა გმირული სულის, გმირული შემართების გარეშე არ არსებობს. მაღალი საზოგადოებრივი შეგნება, თავგანწირვა და თავდადება, გონივრული რისკი ხალხისა და მამულისათვის მებრძოლთა თვისებაა, ურომლისოდაც კეთილი ვერ იმარჯვებს ბოროტზე. პოეტი ილაშქრებს იმათ წინააღმდეგ, ვინც საკუთარ ტყავს უფრთხილდება, ვისაც გმირული სული არ გააჩნია, არ გააჩნია ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი და სიმამაცე.

ობივატელური სიფრთხილე, რომელიც, სამწუხაროდ, ესოდენ გავრცელებულია ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში, მართლაც დასაგმობია, რადგან იგი უმოქმედობის, წაყრუების, მანკიერებასთან შემრიგებლობის საფუძველია.

არსებობს ანდაზა „სიფრთხილეს თავი არ სტკივაო". ჯანსუღ ჩარკვიანმა ამ ობივატელურ მრწამსს შემდეგი სტრიქონები დაუპირისპირა:

სიფრთხილეს არ სტკივა
არც გული, არც თავი,
სიფრთხილეს არ უთქვამს
არასდროს მართალი.

და მართლაც, ფრთხილი კაცი, კაცი რომელიც თავს იზღვევს და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნავს, გამბედავი ვერ იქნება. სიმართლის თქმას გამბედაობა არ სჭირდება.

პოეტი იგონებს იმათ, ვინც წარსულში თავის სიცოცხლეს არ უფრთხილდებოდა, სამაგიეროდ გმირობის მაგალითები გვიჩვენეს და სიცოცხლეც კი შესწირეს სამშობლოს, რათა იგი საფრთხისგან ეხსნათ.

ჯანსუღ ჩარკვიანი, პირველ რიგში, სამას არაგველს იხსენებს. სამასი არაგველის გმირობა, მართლაც განსაცვიფრებელი იყო. კრწანისის ველზე დაღვრილი მათი სისხლი მუდამ იქნება მაგალითი სამშობლოსათვის უანგარო ერთგულებისა და თავდადებისა.

დაჰრილო არაგველებო,
არ გაუფრთხილდით თავებსა,
როგორც ცხენს მწვანე მინდორი,
სიცოცხლე გაგითავესა.
არ გაუფრთხილდით სიცოცხლეს,
აბობოქრებულს, მწვანესა,
დაცლამდე შეეწირენით,
მამულის ტკბილს და მწარესა.
მკვდრები იტყოდეთ მართალსა,
მაგ თქვენ გაუყრელ ძმობასა
ფეხზე სიკვდილი გერჩიათ,
დაჩოქილ არსებობასა.

შემდეგ პოეტი იხსენებს კიდევ ერთს, აგრეთვე, თავგანწირვის შეუდარებელ მაგალითს საქართველოს ისტორიული წარსულიდან — ქეთევან დედოფლის გმირობას, რომელმაც გათათრებას წამებით სიკვდილი ამჯობინა.

და კიდევ ერთი ხაოცარი მაგალითი ქედუხრელობისა — ფორე მოსულიშვილი. ქართველი, კახელი ბიჭი თავდაუზოგველად იბრძვის, იბრძვის არა თავისი პირადი კეთილდღეობისათვის, იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ, ამ მიწაზე სიკეთის დამკვიდრებისათვის თავსა სწირავს და იტალიის სახალხო გმირი ხდება... რამხელა გული უნდა ჰქონდეს კაცს, რამხელა შემართება, რომ ქართველი ჭაბუკი სრულიად სხვა ხალხმა თავის გმირად აღიაროს! ამიტომ ლირიკულ პოემაში პოეტი ფორე მოსულიშვილს ასე მიმართავს:

ვინ შემოგვრჩა, ღმერთმა იცის, ფრთხილი
სად გაიყო ცხრა ძმამ ერთი თხილი.
შენ მხედრულ ვალს გაუმარჯოს ფორე!
შენს ჰურ-მარანს, წარაფებს და წნორებს.
მონტე როზას მთები თოვლიანი,
შენი ზორბა მხრების ტოლი არი.
ფეხზე სიკვდილს გაუმარჯოს ფორე!
დაჩოქილი არ მიუხვალ სწორებს,
ხორცისაგან სული გაგითიშავს,
დაეცი და მიწას ეამბორე,
„გაუმარჯოს იტალიას! — ნიშნავს
„საქართველოს გაუმარჯოს! — ფორე.

გმირული შემართების, შეურიგებლობის, ქედუხრელობის ისტორიული მაგალითები ჯანსუღ ჩარკვიანს მკითხველისათვის მებრძოლი სულის შთასაბერად სჭირდება;

პოეტი ჰგმობს მათ, ვინც დღეს პირად კეთილდღეობას ეროვნულსა და საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს, დღევანდელი დღითა ცხოვრობს და წინ აღარ იხედება.

ნალარასავით ჟღერს სიტყვები:

მოსახდენია, რაც უნდა მოხდეს,
ჩვენ არასოდეს არ შევიყრებით,
მორჩა, გათავდა, არა ვარ მომხრე
თვინიერების და შერიგების.

ჩემი სიცოცხლის ყოველი წვეთი
ცის კაბადონზე მზედ აინთება,
დიდება მამულს! ეს გახლავთ ერთი
ჩემი მარტივი ჭეშმარიტება.

თქვენ გქონდეთ თქვენი პატარა სუფრა,
პატარა დროშა, პატარა დახლი,
მე ქარიშხალის ფილტვებით ვსუნთქავ,
არ მინდა თქვენი სიმშვიდის სახლი.

და იხევ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს მიმართავს პოეტი:

მე დაგიფარავთ. ჩემს ძმობას ენდეთ
მე წუთისოფელს არ ვუფრთხილდები.
მე თქვენ სახელებს მივიტან მზემდე,
— თქვენ საქართველოს ნამუსს სჭირდებით.

პოემის ფინალი ოპტიმიზმითაა გასხივოსნებული:

რეკენ სიმართლის ტაძარში,
შემორჩენილი სინდისით...
დგას საქართველო მხარგრძელი,
მისი ბებერი თბილისით,
დგას საქართველო მხარგრძელი,
მზე უთბობს ხელებს გათოშილს,
ჩვენ ქართლოსებით გავძელით,
მილიონია ქართლოსი.

ეპიკური სახეობის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით ლირიკულ პოემაში სუბიექტურს უფრო დიდი ადგილი ეთმობა; რამდენადაც საინტერესო და მრავალმხრივია ავტორის პიროვნება, რამდენადაც ღრმად და ფართოდ აღიქვამს სამყაროს, იმდენად შინაარსიანი, ამაღელვებელი და საზოგადოებრივად ღირებულია ლირიკულ პოემაში მოცემული გრძნობები და განცდები.

ლირიკული პოემა პოეტის სულის სარკეა, რომელშიც, პირველ რიგში თვითონ ავტორი აირეკლება, და რამდენადაც სრულყოფილია თვითონ შემოქმედი, იმდენადვე სრულყოფილია მისი ქმნილებაც.

ჯანსულ ჩარკვიანმა ლირიკულ პოემებში უაღრესად პოეტური და გულში ჩამწვდომი სტრიქონებით გადმოგვცა ის ფიქრები, გრძნობები და ოცნებები, რომლებიც ჩვენს ხალხს აღელვებდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებში. მაგრამ ჯანსულ ჩარკვიანის დამსახურება მარტო ამით არ იფარგლება. იგი სინამდვილეს, როგორც გულგრილი მოწმე და მეთვალყურე კი არ ასახავს, არამედ ახალ ფიქრებსა და აზრებს აღვიძებს და მკითხველში ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენას ამტკიცებს. იგი ბრძოლისა და გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს.

*მურმან თავდიშვილი*

# ალექსანდრე სულაკაძე და რუსული პრერომანტიზმი

საქართველოდან რუსეთს გახიზნულ არჩილ მეფესა და ვახტანგ მეექვსეს თან გაჰყვა მრავალრიცხოვანი ამალა. გამყოლთაგან ბევრი დასახლდა პეტერბურგს. ერთ-ერთი მათგანი იყო ალექსანდრე ივანეს-ძე სულაკაძის პაპა გრიგოლი, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გადახვეწილა რუსეთში. იგი მეფის კარზე მალე დაწინაურებულა და, როგორც ალ. სულაკაძე წერს „რიაზანული მემატიანის“ ავტობიოგრაფიულ ნაწილში, მეფის კარის „კომისრადაც“ უმუშავია. ალ. სულაკაძის მამა, ივანე გრიგოლის-ძე დაბადებულა მოსკოვში, 1741 წლის 25 მაისს. ქართველთაგან ერთ-ერთ პირველს მიუღია განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში, ხუროთმოძღვრების განხრით. 1775 წელს იგი სამეფო კანცელარიის არქიტექტორის თანაშემწეა, 1782 წლისათვის — რიაზანის გუბერნიის მთავარი არქიტექტორი. ივანემ 1771 წლის 28 იანვარს იქორწინა რიაზანელი მემამულის ქალიშვილზე — ეკატერინე სტეფანეს ასულ ბოგოლეპოვაზე, რომელსაც მზითვად მოჰყოლია რიაჟის მაზრის სოფელი პეხლეცი, სადაც იმავე წლის 23 ოქტომბერს დაბადებულა ალექსანდრე ივანეს-ძე სულაკაძე.[1]

ალ. სულაკაძის ბიოგრაფი თ. ჩიქოვანი რომ სწორად განსაზღვრავდა მისი დაბადების თარიღს, ამას ვადასტურებთ შემდეგით: ალ. სულაკაძეს ჰქონია შტემპელი, რომელზედაც ამოტვიფრული ყოფილა „სულაკადზევ 1771“. აკად. მ. ნ. სპერანსკი წერს, რას ნიშნავს ეს შტემპელი, გაუგებარიაო.[2] გაუგებარი აქ არაფერია. შტემპელი გაკეთებულია ალ. სულაკაძის დაბადების გამო — 1771 წელს და ეკუთვნის ალ. სულაკაძეს.

ალექსანდრე შესულა სემიონოვსკის პოლკში. სამხედრო სამსახურის პერიოდში და შემდეგაც იგი სწავლობდა სხვადასხვა ხალხის ისტორიას, კულტურას, დამწერლობას. სამსახურის ხაზით მიაღწია „ტიტულიარნი სოვეტნიკის“ ჩინს. ალ. სულაკაძე გარდაიცვალა პეტერბურგში, 1830 წლის 3 სექტემბერს (ძვ. სტ.).

ალექსანდრეს მამა და დედის მამაც, განათლებული კაცი — სტეფანე ბოგოლეპოვი ძველი ხელნაწერებისა და ნივთების მოყვარული შემგროვებლები ყოფილან. ამას გავლენა მოუხდენია ალექსანდრეს მისწრაფებაზეც. იგი, თითქმის 30 წლის განმავლობაში აგროვებდა ანტიკვარულ ნივთებსა და მასალებს; მისი ბიბლიოთეკა ითვლიდა ისტორიულ შრომებს — 1488 ხელნაწერსა და წიგნს: გერმანულს, ფრანგულს, ლათინურს, ინგლისურს, ჰოლანდიურს, იტალიურს. მის მუზეუმში ყოფილა არაბული, ებრაული, ბერძნული, ჩინური, შვედური, ესპანური, აგრეთვე სხვა ენებზე შესრულებული ხელნაწერები. იგი საგანგებო ყურადღებას აქცევდა მუზეუმში მოხვედრილ ქართულ მასალებს, წიგნებს, ხელნაწერ გრაგნილებს, სიგელებს. ა. პიპინის თქმით, მას ქართული სიგელგუჯრებიც ჰქონია. პროფ. ტრ. რუხაძე აღნიშნავს: „რუსული ჩანაწერები ათონის „ივერის“ თაობაზე ამოუწურავია და დიდ მეცნიერულ ინტერესს შეიცავს ათონოლოგიისათვის. არის შემთხვევა, რომ ათონურ მასალებს აგროვებს XVIII საუკუნის რუსეთში მოღვაწე ქართველი. მაგალითად, ალექსანდრე სულაკაძეს მოუპოვებია 1412 წლის „სიტყვა მთაწმინდის მონასტერზე, წოდებული ივერიულად“. იმავე მეცნიერის აზრით, „ალ. ივანეს ძე სულა-

კაძის სახით... რუსულ ფოლკლორისტიკულ პოეზიას გამოუჩნდა პირველი შემკრები".[3]

ალ. სულაკაძის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი უმდიდრესი კოლექცია დარჩა მის მეუღლეს სოფია შრედერს, რომელმაც სპეკულაციას მიჰყო ხელი და ათეულ წლობით მონაგარი სიმდიდრე სულ მოკლე ხანში სხვადასხვა პირებს მიჰყიდა.

ა. სულაკაძის, როგორც ცნობილი პალეოგრაფის, ისტორიკოსის, ეთნოგრაფის, ბიბლიოფილისა და კოლექციონერის შესახებ არაერთი ნაშრომი დაიწერა. ნაშრომები გამოაქვეყნეს: პოეტმა გ. დერჟავინმა (1807), ევგენი ბოლხოვიტინოვმა (1827, 1845), ბარტენიევმა (1866), ა. ვოსტოკოვმა (1876), ნ. ბარსუკოვმა (1876), ს. ჟიხარევმა (1891) და ა. პიპინმა (1898). სულაკაძემ ყურადღება მიიქცია ჩვენს დროშიც: საინტერესოა აკად. ვ. ნ. პერეტცის (1922), მიკოლა მაკარენკოს (1828), აკად. მ. სპერანსკისა (1932) და ფ. პრიმას (1954) ნაშრომები. სულ უკანასკნელ ხანს გამოქვეყნდა ვ. ფ. პოკროვსკაიას წერილიც „ა. ი. სულაკაძევის კიდევ ერთი ხელნაწერის შესახებ" (ძველი რუსული ლიტერატურის განყოფილების შრომები, XIV, 1958).

ალ. სულაკაძე ქართველ მეცნიერთა ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს ახლაც. ქართულად პირველი წერილები. მის შესახებ დაბეჭდა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თეიმურაზ ჩიქოვანმა (ჟურნალი „დროშა", № 6, 1955, „ცისკარი", № 4, 1958). აკად. ალ. ბარამიძემ 1958 წლის „ცისკრის" მეხუთე ნომერში მოათავსა პატარა შენიშვნა ამ პიროვნების შესახებ. ალ. სულაკაძეს, როგორც ქართულ-რუსული კულტურული ურთიერთობის მოღვაწეს ყურადღება მიაქცია პროფ. ტრ. რუხაძემ (1960). საინტერესო წერილი დაბეჭდა მიხეილ გორგიძემ გაზეთ „ვეჩერნიი ტბილისში" (15. IX. 1971).

ალ. სულაკაძე მრავალმხრივი მოღვაწეა, თუმცა ზოგიერთი მისი ცნობა ან ხელნაწერი იმთავითვე იწვევდა ეჭვსა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს. ზოგიერთი მეცნიერი მას თვლის ყალბისმქნელად და თითქმის ყველა მის ცნობასა თუ კოლექციის ნიმუშს ნაყალბევად მიიჩნევს. რუსულ მეცნიერებაში ეს საკითხი საბოლოოდ გაარკვია აკად. მ. ნ. სპერანსკიმ ნაშრომში „ბარდინი და სულაკაძე". მეცნიერი წერს, რომ სულაკაძე ეკუთვნოდა კოლექციონერ-შემკრებთა რიცხვს. იგი საკმაოდ მდიდარი იყო იმისათვის, რათა ყალბისმქნელობა არ გაეხადა თავის სპეციალობად. „ტიტულიარნი სოვეტნიკი", გვარდიის ყოფილი ოფიცერი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, რომლის მდიდრული ანტიკვარული განძი მისი სიკვდილის შემდეგ მისმა ქვრივმა გაყიდა 25.000 მანეთად, მოწადინებული იყო ფართო კულტურული საზოგადოებრიობის ყურადღება მიექცია თავისი „აღმოჩენებით". მის კოლექციებში მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ დიდ ინტერესს იწვევს მისი, საკუთრივ ალექსანდრე სულაკაძისეული შენიშვნები და კომენტარები. აქ, როგორც წესი, ხელნაწერის პოზიტიური ღირებულება ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული. ამგვარი კომენტარებით მას არა მარტო ხელნაწერთა ცარიელი ადგილები შეუვსია, არამედ ცალკე რვეულიც შეუდგენია.[4]

ამის მიხედვით ძნელი როდია დასკვნის გაკეთება. ალ. სულაკაძე თავისი პატივმოყვარეობისა და შემოქმედებითი ვნების დასაკმაყოფილებლად, იმავე სპერანსკისა არ იყოს, ცდილობს ფასი და წონა აუწიოს თავის მუზეუმში მოხვედრილ ანტიკვარულ ნივთებს, ხელნაწერებსა თუ აღმოჩენებს. ყოველ შემთხვევაში, ერთი ნათელია: ყალბისმქნელის მუზეუმი ვერ მიიქცევდა პეტერბურგის უწარჩინებულეს პირთა ყურადღებას. მ. სპერანსკი წერს, რომ სულაკაძის მოღვაწეობა მე-19 საუკუნის ათიან წლებში კარგადაა გამოკვეთილი. მართლაც, 1807 წელს მის „მუზეუმს" ესტუმრა გ. დერჟავინი თავისი მეგობრებით. მანამდე კი მისი განძი დაათვალიერა ა. ნ. ოლენინმა. როგორც იშვიათ განძთა შემკრები, იგი სცოდნიათ მ. ო. მაკარენკოს ცნობით, პავლე პირველსა და ალექსანდრე პირველს.

ალექსანდრე სულაკაძეს მიაწერენ ლექსებს: „ბოიანის სიმღერასა" და „ნოვგოროდელ მისანთა ჰიმნს". პირველი მათგანი — „ბოიანის სიმღერა" სულაკაძეს მჭიდროდ აკავშირებს გავრილ დერჟავინთან; სულაკაძის შემოქმედებითი ურთიერთობა გ. დერჟავინთან საკმაოდ ცხადადაა წარმოჩენილი დ. მ. შარიპკინის წერილში „სკანდინავური თემა რუსულ რომანტიკულ ლიტერატურაში", სადაც ვკითხულობთ: „დერჟავინმა, სურვილი რომ ჰქონდა „გაეხსენებინა ისტორია და განსაკუთრებით სამამულო", თუმცა სავსებით არც კი სჯეროდა უტყუარობა თავად ა. ი. სულაკადზევის „ბოიანური სიმღერისა", ვერ გაუძლო ცდუნებას ამ სიმღერის მასალაზე გამოეხატა პრეისტორიული რუსული წარმართული სიძველე. ასე დაიბადა ბალადა „ნოვგოროდელი მოგვი ზლოგორი" (1818), რომლის სიუჟეტიც, თვით პოეტისავე სიტყვებით, აღებულია „ნოვგოროდული საარაკო სიტყვიერებიდან". საგულისხმოა ეს მინიშნება: სულაკაძის ნაბაძევისაგან დერჟავინმა შეთხზა ორიგინალური პოეტური ნაწარმოები, გამოიყენა რა მისთვის ხელმისაწვდომი მთელი ისტორიულ-ფილოლოგიური ცოდნის მარაგი".[5]

ამრიგად, სულაკაძე ავტორია ლექსებისა, რომლებმაც მოხიბლეს გავრილ დერჟავინი. ჩვენც, სწორედ ამ კუთხით გვინდა წარვმართოთ საუბარი ალექსანდრე სულაკაძის შემოქმედებითი პიროვნების შესახებ, რადგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასზე, როგორც პალეოგრაფზე, ბიბლიოფილზე, ისტორიკოსზე, ეთნოგრაფსა და კოლექციონერზე არაერთი წერილი დაწერილა როგორც რუსულ, ისე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. და ეს მაშინ, როცა მასზე როგორც პოეტზე, სახელგანთქმული „ბოიანის სიმღერის“ შემთხზველზე, არაფერი თქმულა.

თ. ჩიქოვანის მიერ 1958 წლის „ცისკრის“ მეთხე ნომერში გამოქვეყნებულ „რუსული კულტურისა და ისტორიის მემატიანეში“ საუბარია იმაზე, თუ რა შეფასებას იმსახურებს ალექსანდრე სულაკაძის ზოგიერთი ისტორიული ცნობა; თ. ჩიქოვანს მოჰყავს აერონავტიკის ისტორიის მკვლევარის პ. კორზინკინის წერილში გამოთქმული აზრები. ხსენებული წერილი 1942 წელს დაიბეჭდა „ვესტნიკ ვოზდუშნოგო ფლოტას“ ფურცლებზე. პ. კორზინკინს განუხილავს 1819 წელს პეტერბურგში მოღვაწე ქართველის ალექსანდრე სულაკაძის ხელნაწერი შრომა, სადაც აღნიშნულია, რომ 1731 წელს, ნერეხტელმა პოდიაჩმა კრიაკუტნოიმ გამოიგონა თბობურთი, რითაც ჰაერში აფრინდაო. ეს გამოგონება კი 52 წლით უსწრებს ძმები მონგოლფიეების მიერ პირველი ჰაერბურთის გამოცდასო, ასკვნის აერონავტიკის ისტორიკოსი და მკვლევარი პ. კორზინკინი.

თ. ჩიქოვანი დაეთანხმა რუსი მეცნიერის ცნობას. ჩიქოვანის წერილის გამო აკად. ალექსანდრე ბარამიძემ „ცისკრის“ მომდევნო ნომერში დაბეჭდა პატარა შენიშვნა, სადაც ეჭვქვეშ დააყენა ალ. სულაკაძის ცნობის სიმართლე. იგი ზოგიერთი რუსი მეცნიერის იმ თვალსაზრისიდან გამოდიოდა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ სულაკაძისეული ცნობები საერთოდ ნაყალბევია. „კრიაკუტნოი და მისი ისტორია ალ. სულაკაძემ გამოიგონა“, — აცხადებს მეცნიერი. საერთოდ, ჩვენ იქით ვიხრებით, რომ მიუხედავად ალ. სულაკაძის მრავალი ისტორიული ცნობის დაუდასტურებლობისა, კონკრეტულად კრიაკუტნოი გამოგონილი არ უნდა იყოს; მაგრამ რაც შეეხება მის „პალეოგრაფიულ აღმოჩენებს“ — „ბოიანურ სიმღერასა“ და „ნოვგოროდელ მისანთა ჰიმნებს“, აქ საქმე სხვაგვარად არის. სულაკაძე მათ უძველეს ძეგლებად მიიჩნევდა. გვიან გაირკვა, რომ ეს სიმართლეს არ შეეფერება. ისინი მას შეუთხზავს უძველესი სიმღერების მიმსგავსებით. და თუ ალ. სულაკაძეს აღნიშნული ლექსები არ მოუკვლევია, არ „აღმოუჩენია“ და როგორც დამტკიცებულია, თვითონვე შეუთხზავს, ამით სწორედ მისი ავტორობა მტკიცდება.

ზემოთმოხსენებული ლექსები რომ ალ. სულაკაძის შეთხზულია, ამას აღიარებს ყველა რუსი მეცნიერი, ვინც ამ საკითხს შეეხო. თვით გავრილ დერჟავინიც კი არ იყო დარწმუნებული, რომ ეს ლექსები მართლაც ასე ძველია. მაშ, რითი მოხიბლა გ. დერჟავინი ალ. სულაკაძის ლექსებმა?

## სულაკაძე, როგორც პოეტი

ალექსანდრე სულაკაძის მთელს მუზეუმს არ გამოუწვევია იმდენი მითქმა-მოთქმა XIX საუკუნის დასაწყისში, რამდენიც მისმა ორმა ლექსმა, რომლებსაც იგი ძველსლავურ ძეგლებად აცხადებდა. აღსანიშნავია, რომ ყველა, ვინც კი სულაკაძის მუზეუმს ეხება, განსაკუთრებული ინტერესით მსჯელობს სწორედ აღნიშნულ ლექსებზე. წიგნში — „სტეფანე პეტრეს ძე ჟიხარევის ჩანაწერები“ (რუს ენაზე) — ვკითხულობთ: „გავრილ რომანის ძე მსჯელობდა რომელიღაც სელაკადზევისნ შესახებ, რომელსაც თითქოსდა ხელთა ჰქონია რუსულ სიძველეთა დიდი კრება და სხვათა შორის, ნოვგოროდული რუნები და ივანე მრისხანეს ყავარჯენი. იგი ძლიერ იყო დაინტერესებული ენახა ეს რუსული მუზეუმი. ამიტომ, ა. ს. შიშკოვი და ა. ნ. ოლენინი მიიწვია, რათა ერთად დაეთვალიერებინათ იგი. „დიდი ხანია მეც მეუბნებოდნენ სულაკაძის შესახებ, — თქვა ოლენინმა, — როგორც უდიდეს ანტიკვარზე, და მე, ვაღიარებ, ვერ მოვითმინე, არ მივსულიყავ იქ“.[7]

ამგვარსავე საუბარს ვაწყდებით ნ. ბარსუკოვის წიგნშიც: „ვშიშობ, ხომ არ გულისხმობთ განსვენებული სულაკადზიის ხიას: აქ ვერაფერს გააწყობთ. მე კ. მ. ბოროზდინთან ერთად ვიყავი მის ქვრივთან და შევთავაზე მნიშვნელოვანი თანხა, მაგრამ ვერ მოვახერხე დამეყოლიებინა: მას სურს, რომ იყიდონ ერთბაშად ყველა მისი წიგნი და თანაც 25 ათას მანეთად! ერთი სიტყვით, არავითარი იმედი არ არის მასთან შეთანხმებისა“.[8] ასევე დიდი გულისტკივილით აუწყებენ ერთმანეთს სხვა პირებიც იმას, რომ სულაკაძის ქვრივი აგრე ადვილად არავის უთმობს საგანძურს.

აი, როგორ აღწერენ გ. დერჟავინის ვიზიტს ალ. სულაკაძესთან: „გ. რ. დერჟავინი, ოთხი წლით გვიან (1811), სწორედ „რუსული სიტყვის მოყვარულთა საუბრის“ შედგენის წინ, გაემგზავრა სელაკაძესთან, რომელიც ცხოვრობდა სემიონოვსკის პოლკის ერთ-ერთ შესახვევში.[9] მისვლისას, დერჟავინმა, ყურადღებას რომ არ აქცევდა ხვადასხვა საგნებს, გაფაციცებით დაუწყო თვალიერება ნოვგოროდულ რუნებს და, ყველას გასაოცრად, გამოჩხრიკა რამდენიმე ნაწყვეტი, რომლებმაც იგი ისე ძლიერ დააინტერესა, რომ მან იმწამსვე გადმოიწერა თავისთვის და შემდგომში მოათავსა თავის ფო-

ქრებში ლირიკული პოეზიის შესახებ, რომელიც წაიკითხა „ბესედაში“.[10]

თვითონ გ. დერჟავინი გამოსაცემად მომზადებული ჟურნალის ერთ-ერთ გვერდზე ასეთ წარწერას აკეთებს: „სლავურ-რუნული გრაგნილი და ნოვგოროდელ მისანთა წინასწარმეტყველება უმჯობესია საბოლოოდ შევიტანოთ რუსული ლირიკის მიმოხილვაში. ძალიან სასურველია, რომ მთლიანად დაბეჭდოთ ყველა ეს ჰიმნი და წინასწართქმა მოგვებისა. ჩვენთვის ეს ბევრად უფრო საინტერესოა, ვიდრე ჩინური პოეზია. ბ. სელაკადზევი ან გვიან, ან სრულებით ვერ გადასწყვეტს გამოსცეს ისინი, რადგან მას ბევრი მოწინააღმდეგე ეყოლება“.[11]

გ. დერჟავინის მოწადინების მეოხებით ეს ლექსები პირველად გამოქვეყნდა „რუსული სიტყვიერების მოყვარულთა საუბარში“. ლექსების აღმოჩენასთან დაკავშირებით ბოლხოვიტინოვი 1811 წლის 15 იანვარს წერდა: „გატყობინებთ პეტერბურგულ ლიტერატურულ ხიახლეს. იქაურმა პალეოფილებმა, თუ სიძველეთა მოყვარულებმა გამოსძებნეს უძველესი სლავი მომღერლის ბოიანის მთელი სიმღერა, რომელიც მოხსენებულია იგორის ლაშქრობაში და აგრეთვე მოიპოვეს ძველ ნოვგოროდელ მისანთა თქმულებები“.

1816 წლისათვის გ. დერჟავინს დაჰკარგვია ეს ხელნაწერები და იგი ამავე წლის 8 ივნისს ს. ვ. კაპნისტს შეშფოთებული სთხოვს შემდეგს: „თუ იმ ბოიანურ სიმღერას ვერ იპოვი, მოძებნე სემიონოვსკის პოლკში გადამდგარი ოფიცერი ალექსანდრე ივანეს ძე სელაციევი და ჩემს მაგიერ უთხარი, რომ მე დაბეჯითებით ვთხოვ მას ერთხელ კიდევ გადმომცეს ის სიმღერები და ნოვგოროდელ მისანთა პასუხები, რადგან ის სიმღერა ვერ მიპოვნია, ხოლო ნოვგოროდელ მოგვთა პასუხები მისგან ჯერ კიდევ არ მიმიღია. მე ყველა ეს იშვიათობანი მსურს შევიტანო ჩემს მსჯელობაში... მაგრამ არა ჩემი სახელით, არამედ მისით, როგორც ეს „ბესედის“ წიგნებში იყო დაბეჭდილი“.

აქ სამი რამ ირკვევა. დერჟავინი კვლავ და კვლავ დიდადაა დაინტერესებული სულაკაძის იშვიათი ლექსებით და არა მისი ანტიკვარული ნივთებით. ამას გარდა, ირკვევა, რომ ალ. სულაკაძეს ჰქონია მესამე ლექსიც, რომელსაც დერჟავინი უწოდებს „ნოვგოროდელ მოგვთა პასუხებს“. და ბოლოს: გ. დერჟავინის მთელი მსჯელობიდან ჩანს, რომ მას, რუს პოეტს, შეუმჩნეველი არ დარჩენია ალ. სულაკაძის, როგორც პატივმოყვარე პოეტის ბუნება, მისი მცდელობა სახელის მოხვეჭისა. ამიტომაც, საგანგებოდ აფრთხილებს — ლექსებს შენი სახელით დავბეჭდავთ. საგულისხმოა, რომ გ. დერჟავინის მსჯელობაში, რომელმაც ახე კარგად იცის სულაკაძის ახავალდასავალი, არსად არაა ნახსენები ფული, რაიმე მატერიალური სახსრები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ალ. სულაკაძეს არ ამოძრავებდა რაიმე მატერიალური ინტერესი.

აი, ის ლექსები, რომლებიც თანამედროვე რუსულ ენაზე ჯერ კიდევ 1812 წელს გადმოიღო გ. დერჟავინმა და რომელსაც ასეთ კომენტარს ურთავდა ალ. სულაკაძე: „ასოები ბერძნული და რუნულია (უძველესი სამწერლო ნიშნები გერმანელებისა და სკანდინაველებისა). დაწერის დრო არა ჩანს. აზრის მიხედვით გვიჩვენებს სახეს პირველი საუკუნის ხელნაწერისას (ახალი ქრონოლოგიით), ანდა ოდინის უკანასკნელი დროისას“. მისანთა თქმანი მან ამგვარად დაათარიღა: „მოვესლავის, დრევოსლავისა და კიევის სხვა მოგვთა თქმანი. საუკუნის სიზუსტით დადგენა შეუძლებელია, მაგრამ ამბები ჩანს V საუკუნის ან VI-ისა... დაწერილია ლექსებით, გაკრული ხელით, და ალბათ არა ერთი ჩამწერის მიერ და არა ერთსა და იმავე დროს დაწერილა... ღირსეული ძეგლი სიძველისა“.[12]

მოგვყავს პირველი ლექსი, რომლის სათაურია „უგლი ჟრცუ გოვორ ეროლკუ“:

**Угли жрцу говор Еролку**

Пакоща свада
Дюжу убой,
Тяжа нагата
Тощь перелой.

აი, მისი თარგმანი თანამედროვე რუსულ ენაზე — შესრულებული გ. დერჟავინის მიერ 1812 წელს:

По злобе свара
Сильному смерть,
Тяжба с богатством
Худ передел.

მეორე ლექსი ალექსანდრე სულაკაძისა — „ბოიანური სიმღერა“ ასეთია:

**Гмъ послухси Бояна**

Умочи Боянъ Сновъ удычъ
А ком плъ блгъ тому
Суди Велеси не убегти
Слвы Словенси не умлети.
Мчи Бояни на языци оста
Памети Злгоръ Волхви глоти
Одину памяти Скифу гамъ
Злтымъ пески тризны сыпи[13].

თარგმანი:

Не умолчи, Боян, снова воспой,
О ком пел, благо тому.

Суда Велесова не убежать,
Славы Славянов не умалить.
Мечи Бояновы на языке остались;
Память Злогора Волхвы поглотили,
Одину вспоминание, Скифу песнь,
Златым песком тризны посыплем[14].

ამ ლექსებში, როგორც ირკვევა, გავრილ დერჟავინი მოხიბლა „პრეისტორიულმა რუსულმა წარმართულმა სიძველემ". წარმართული სიძველის კოლორიტი კი, როგორც მკითხველი შენიშნავს, სულაკაძის ორივე ლექსის განმსაზღვრელი მომენტია. იმის გარდა, რომ ალ. სულაკაძემ შეძლო ძველი კოლორიტი მიეცა ლექსის წარმართული შინაარსისათვის, მან აგრეთვე წარმატებით დახძლია ერთი საშიშროებაც: მის ლექსებში არაფერია ზომიერებას მოკლებული. ლექსების წარმართი პერსონაჟები საუბრობენ წარმართული და უძველესი კულტურის დონეზე. ცალკეულ ფრაზებში მონახულია სწორედ ის ფსიქოლოგიური ნიუანსები, რაც უნდა ახასიათებდეს მაშინდელ აზროვნებასა და მისი გამოხატვის ფორმებს. სულაკაძე თავისი პოეტური ინტუიციის წყალობით ძლიერ მიახლოვებია ძველსლავური ენის ბუნებას.

სიტყვა „ბოიანი" ალ. სულაკაძეს აღებული უნდა ჰქონდეს უძველესი კლასიკური რუსული ეპოსიდან „იგორის ლაშქრობა". მ. ნ. სპერანსკი წერს: „ბოიანი", რა თქმა უნდა, აღებულია „იგორის ლაშქრობიდან". მოვესლავი, დრევოსლავი და „სახელები უმრავლესი მისნებისა" სულაკადზევის საკუთარი გამოგონებაა უსათუოდ".

„ბოიანი", როგორც ითქვა, ნახსენებია „იგორის ლაშქრობაში". კონდრატი რილეევი წერს: „ცნობილი იგორის ლაშქრობის შემთხზველი ბოიანს უწოდებს ძველი დროის ბულბულს". მეცნიერები თვლიან, რომ ბოიანი აქ ნახსენებია, როგორც მომღერალი, ანუ ბარდი. იგი უნდა ნიშნავდეს ძველ ბარდს საერთოდ და საფიქრებელია ეს სიტყვა მომდინარეობდეს სიტყვიდან „ბაიუ". ეს ძირი გვხვდება სიტყვებში — ბაიუკაიუ, ბაიუ-ბაიუ, ბასნია, ობოიანიე. ამრიგად, იგი სიმღერასთან, ამბავთან (ბასნიასთან) უნდა იყოს კავშირში და იგორის ლაშქრობაში რომ ერთ ბოიანზეა ნათქვამი, ეს როდი ნიშნავს მის დაკავშირებას კერძო სახელთან. „ბოიან" რომ იგივეა, რაც პოეტი-მომღერალი-მომთხრობი, ამაზე მიგვანიშნებს კიდევ ერთი გარემოება: ამ სიტყვის განზოგადებას უნდა წარმოეშვა სიტყვა „ბოიან" — საკრავი ინსტრუმენტის გაგებით.[15]

საგულისხმოა სპერანსკის აზრი იმის შესახებაც, რომ ალ. სულაკაძეს ძველი წარმართული პანთეონი მეტად საინტერესო კუთხით გამოუყენებია. ამის გარდა, სულაკაძის უძველესი წარმართი პერსონაჟების სახელები სწორედ დერჟავინისებურ სულისკვეთებას ემყარება: „ისტორიულ სახელებთან ერთად მას ლექსებში შეაქვს მოვესლავი ,მისანი ოლეგის დროისა — იმირი, ოლგოსლავი, უგონია, სტოიანი, ოაზი, ვადიმი, ურსა, ჟიროსლავი და ა. შ. ეს სახელები, თითქოსდა უძველესი პერიოდიდან, იქმნებოდა თვით სულაკადზევის მიერ სავსებით დერჟავინის, ნარეჟნის, ჩულკოვისა და სხვა მწერალთა სულისკვეთებით, რომლებიც ფართოდ სარგებლობდნენ თავიანთ ბელეტრისტიკაში როგორც ნამდვილი ძველი რუსული სახელებით, ასევე ამ სახელთა ხასიათის მიმსგავსებით შეთხზული სახელებითაც" (ხაზი ჩვენია).

გ. დერჟავინს თავის ცნობილ ბალადაში გამოუყენებია ალ. სულაკაძის ლექსების შემდეგი მომენტები: ა) სახელები და სიტყვები, რომლებიც ქმნიან წარმართული პანთეონის კოლორიტს; ბ) გ. დერჟავინი ალ. სულაკაძის „ბოიანური სიმღერის" მთლიან გააზრებას იმეორებს თავისი ვრცელი ბალადის ყველა იმ ნაწილში, სადაც გამოჰყავს ქორო. ეს ბალადა, „ნოვგოროდელი მისანი ზლოგორი" აგებულია „დიალოგური" ხერხით. პირველად გამოდის გუნდი, შემდეგ კი სკალდი (სკანდინავური ბარდი). ამათ შორის მონაცვლეობითი მედიტაციები წარმოგვიდგენს ძველ სლავურ წარმართულ პანთეონს. საგულისხმო შედეგებს იძლევა ალ. სულაკაძის „ბოიანური სიმღერისა" და გ. დერჟავინის გუნდის ტექსტების შედარება. მოგვყავს დერჟავინის ბალადის ეს სტროფები:

Боянов послух, скальд седый!
На мрачном волхов, ленивом
Возсяд — и в гуле гор игривом,
На арфе древние следы.
Из праха извлекав забвенья,
Потомкам поздним в удивленье,
Грянь, пой дела нам прошлых лет,
Из тьмы их воскрешая в свет.

საგულისხმოა, რომ დერჟავინი კი არ ცვლის სულაკაძის ლექსების ფაქტურასა და აზრობრივ ქსოვილს, არამედ ავითარებს მას და ის აზრობრივი პერსპექტივები, რაც გაუშლელად ჰქონდა მოცემული ალ. სულაკაძეს და თავისთავად იგულისხმებოდა, სწორედ მან განავითარა და გააძლიერა. გ. დერჟავინიც, სულაკაძის მსგავსად, შესთხოვს ბოიანს არ გაჩუმდეს, მოუთხროს წარმართ წინაპართა გმირობაზე, მათი საქმენი საგმირონი დავიწყების სიბნე-

ლიდან სინათლეზე გამოიტანოს. საგულისხმოა ისიც, რომ გ. დერჟავინი ასე იწყებს თავის ბალადას: „ბოიანოვ პოსლუხ“. ეს გამოთქმა-ტერმინი პ ო ს ლ უ ხ ალ. სულაკაძის „ბოიანური სიმღერის“ სათაურშივეა მოცემული: „გმ პ ო ს ლ უ ხ ს ი ბოიანა“.

გ. დერჟავინი გუნდის ამ მოთხოვნას კიდევ უფრო აძლიერებს სკალდის მონოლოგებში, სადაც იგი ცდილობს ალ. სულაკაძის ლექსების ფრაგმენტული აზრების დასრულებას. სკალდის რეპლიკებში გ. დერჟავინმა უკვე გამოიყენა „მთელი მისთვის ხელმისაწვდომი ისტორიულ-ფილოლოგიური ცოდნის მარაგი“. ამასთან, აგრეთვე სულაკაძისა და მისი მუზეუმის მიერ სხვადასხვა უძველესი წყაროებიდან ამოკრეფილი მასალებიც. დერჟავინმა, გაიმეორა რა მალლესა და დალინისებურად, რომ „სამხრეთის სამშობლოდან ოდინი მოვიდა ლამიერ მხარეში“, სკანდინავური ღმერთის იპოსტასები მიაწერა საშინელ მისან ზლოგორს:

Колдун, слепивший черни взор
Очарованьями, мечтами,
Во громы, в молньи, в вихри, в дождь
Преображавшийся часами,
Был крокодил, волхв, князь, жрец,
вождь[16].

ალ. სულაკაძის ლექსის რეალიების გამოხმაურება იგრძნობა სკალდის პასუხებში. მაგალითად: „ზლოგორა დუშუ ვზიალი ჩორტი“ უთუოდ მომდინარეობს ალ. სულაკაძის სტრიქონიდან — „პამიატ ზლოგორა ვოლხვი პოგლოტილი“. ამრიგად, გარდა სიუჟეტისა („სიუჟეტი, თვითონ პოეტის სიტყვის მიხედვით, აღებულია „ნოვგოროდული საარაკო სიტყვიერებიდან“),[17] დერჟავინი სარგებლობს სულაკაძისეული ნოვგოროდის ციკლის ლექსების იდეური გამიზნულობით (ნაწილობრივ) და სიძველის ამსახველი ფრაზობრივ-ემოციური ფაქტურით (სრულად). მიუხედავად ყოველივე ამისა, ალ. სულაკაძის ნოვგოროდული წრის ლექსები მაინც ვერ მიიქცევდა გავრილ დერჟავინის ყურადღებას, ერთი გარემოებაც რომ არ იყოს. საქმე ისაა, რომ გ. დერჟავინმა პეტერბურგელი ანტიკვარის ლექსებში დაინახა რომანტიკული სულისკვეთება, პრერომანტიკოსის დამოკიდებულება წარსულისადმი და არსებითად, სწორედ ამ მხრივ უნდა განვიხილოთ მათი ურთიერთობაც.

## სულაკაძე — პრერომანტიკოსი

მ. ნ. სპერანსკი ალ. სულაკაძის, როგორც კოლექციონერის დახასიათებისას წერდა: ყველაფრიდან ჩანს მისი ჟინი და მიდრეკილება შემთხზველობისკენ. „აღმოჩენებისადმი გამოდევნებისას, იმის გამოდევნებისას, რომ ყოველივე ეს სხვებისათვის არ იყო ცნობილი, იგი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა აღენიშნა ეს თავის შენიშვნებში. ა მ ვ ნ ე ბ ი თ შ ე პ ყ რ ო ბ ი ლ ი, ი გ ი ხ შ ი რ ა დ მ ი დ ი ს გ ა მ ო ნ ა გ ო ნ ა მ დ ე“. გამომგონებლობამ და შეთხზვის მცდელობამ უშედეგოდ არ ჩაიარა და ბევრგან დასტოვა თავისი კვალი, კვალი ბრწყინვალე ლიტერატურისმცოდნისა და კარგი პოეტური ნიჭისა. კერძოდ, ალ. სულაკაძეს ჰქონია ფრიად ორიგინალური და საინტერესო დასათაურებანი თავისი შრომების კატალოგთათვის, სადაც ჩანს მისი მხატვრული გამომგონებლობა. „ეს უცნაური სახელწოდებები აღმოჩნდა მის საკუთარ შრომებშიც: ძველ წიგნთა კატალოგი მასთან იწოდება როგორც „კნიგორეკ“ (რაც უნდა შესდგებოდეს ორი კომპონენტისაგან — „კნიგა“ და „რეკა“). 1810 წელს დაწყებულ, ყველა დროისა და ხალხის ანბანის შეკრების სამუშაოს მან უწოდა „ბუკვოზორი“, რომელიც ალბათ ორ სიტყვას შეიცავს: „ბუკვი“ და „ზორ“.

მის მუზეუმში არსებული ანტიკვარული ნივთებისა და წიგნების კატალოგის გადაკითხვაც კი იმაზე მიუთითებს, რომ „სულაკაძე არის გამომგონებელი-მთხზველი „ახალი“ ფაქტებისა სიძველეთა სფეროში“. ლიტერატურული მისტიფიკაციისა და ფანტაზიის ასეთი მიმართულება გარკვეულად აახლოებს მას რომანტიკულ განწყობილებასთან საერთოდ, და მის შემოქმედება-მოღვაწეობას მთლიანად ადრეული რომანტიზმის სფეროში აქცევს. ალ. სულაკაძისნაირი მოღვაწეობა მ. ნ. სპერანსკის აზრით დამახასიათებელია საერთოევროპული რომანტიზმის ეპოქისათვის, რომელმაც დასავლეთში უფრო ადრე გამოიწვია ამგვარ გამომგონებლობათა და ფანტაზიათა ლანქერის ამოქმედება, რაც პეტერბურგში ცოტათი უფრო გვიან ალ. სულაკაძის მუზეუმში ხდებოდა. „ოსიანის“ სულისკვეთებით ოცნებანი, როგორც ცნობილია, სწორედ ამ ხანებში აფერადებდნენ ლიტერატურულ წარმოდგენებს სიძველეთა შესახებ.[18] სრულიად სამართლიანი აზრია.

ლიტერატურული მისტიფიკაცია რომანტიზმის ეპოქაში ყველაზე მძლავრად იგრძნობოდა. თუმცა იგი უცხო არ არის არც ერთი მიმდინარეობისათვის. მიუხედავად ამისა, სრულიად სამართლიანად, მაინც რომანტიკულ სულისკვეთებად თვლიან მას. შენიღბული ლიტერატურის შესახებ მრავალი წიგნი დაწერილა. საინტერესოა ვალენტინ დმიტრიევის გამოკვლევა,[19] რომელშიც განხილულია ამ ტიპის წიგნები, მისტიფიკატორები, მათი მეთოდები და ხერხები. საგულისხმოა შემდეგი დებულება: „არიან ავტორები, რომლებიც ნიღბით რომ გამოდიან, ქმნიან ახალ მიმართულებას ლიტერა-

ტურაში (მაკფერსონი). ცალკეული ლიტერატურული მისტიფიკაციები გახდნენ მწერლური ოსტატობის დაუძლეველი სიმაღლენი (პუშკინი, გოგოლი)“. საქართველოს სინამდვილეში შეგვიძლია დავასახელოთ ბ. იაშვილის ლექსების ციკლი — „ელენე დარიანის დღიურებად“ წოდებული. „ამრიგად, ცნება „შენიღბული ლიტერატურა“ ძლიერ ფართოა და მისი სახეები მრავალფეროვანია“. ლიტერატურული კონსპირაცია სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა. ზოგჯერ ემალებოდნენ არსებულ პოლიტიკურ ცენზურას, ზოგჯერ მოკრძალების გამო არ აწერდნენ ნამდვილ სახელებს, ხშირად სენსაციის მიზნით ფარავდნენ ავტორის ვინაობას და ა. შ. „ზოგჯერ სენსაციური აღმოჩენების ვნებით შეპყრობილი ლიტერატურისმცოდნენი ეძიებდნენ მისტიფიკაციას იქ, სადაც იგი სრულებით არ იყო. მაგალითად, ე. წ. ბეკონისეული ვერსია შექსპირის პიესების წარმომავლობისა. გამოჩნდნენ ლიტერატურის სპეციალისტებიც, რომლებიც ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ მოლიერი იყო ნიჭიერი მსახიობი, მაგრამ მას არავითარი პიესები არ დაუწერია და რომ იგი მხოლოდ დასთანხმდა ცნობილ დრამატურგს კორნელს თავისი გვარი მიეწერა მისი პიესების ქვეშ, რადგან ეს უკანასკნელი ერთ-ერთი მისი პიესის მარცხის შემდეგ ცდილობდა როგორც კომედიოგრაფი, ჩრდილში დარჩენილიყო“.[20]

ხდებოდა სხვაგვარადაც. აცხადებდნენ ისეთი წიგნის არსებობას, რომელიც საერთოდ არ დაწერილა.

განსაკუთრებით საინტერესოა და ალ. სულაკაძის მისტიფიკაციას ფორმით ენათესავება ჯეიმს მაკფერსონის მოქმედება. მან გამოაქვეყნა პოემები ლეგენდარული შოტლანდიელი ბარდის ოსიანისა. ასევე აქვეყნებს ალ. სულაკაძე ძველი რუსი მომღერლის ბოიანის სიმღერებს. ლექსების წინასიტყვაობაში მაკფერსონი ამტკიცებს, რომ მან შეკრიბა ეს პოემები და თარგმნა. სულაკაძე კი „ამტკიცებს“, რომ მან მოიპოვა, აღმოაჩინა ბოიანური ლექსები. სინამდვილეში კი მან ისინი თვითონვე შეთხზა ძველი კოლორიტის დაცვით, ისევე, როგორც მაკფერსონმა ოსიანის ციკლი. იცოდა რა, რომ ჩვენამდე არ მოაღწია ცნობილი ძველი პოეტისა და მომღერლის ბოიანის სიმღერებმა, რომელიც ნახსენებია „იგორის ლაშქრობაში“, მან თვითონ შექმნა „ბოიანის სიმღერები“ და ძველრუსული ასოები რუნულს მიამსგავსა. „თავის ნაკეთობებში სულაკაძე მისდევდა საკუთარ ოცნებას აღედგინა ძეგლები, რომელთა არქონასაც სინანულით განიცდიდნენ ისტორიკოსები და არქეოლოგები“ — ამბობს ცნობილი მეცნიერი პიპინი.

აკად. მ. სპერანსკი სულაკაძის ნოვგოროდული ციკლის ლექსების გამო წერდა: „მისი პირველი ნაკეთობანი — რუნული წერილები, როგორც უძველესი, კირილესეულის წინამორბედი, ოდინის სახელი როგორც ქრონოლოგიური თარიღი, კიევის „ბომონები“, მოგვები, საზეიმო მსახურება სვიატოვიდის ტაძარში და ა. შ. — ყველაფერი ეს სულაკაძეზევს აკავშირებს თავისი დროის ლიტერატურის რომანტიკულ მიმდინარეობასთან. და ჭაღარა რუსულ წარსულს, ალბათ, იგი წარმოიდგენდა იდეალიზებული სახით, იმდენად, რამდენადაც ნამდვილი მან არ იცოდა, და არც შეეძლო სცოდნოდა“.

ამრიგად, სულაკაძე არის რომანტიკოსი — როგორც მიმბაძველი, როგორც შემკრები, როგორც მეცნიერი და როგორც პოეტი. მისი პოეტური შთაგონებაც სავსებით ადასტურებს ამას. სულაკაძეს კალამი უსინჯავს ისტორიული შრომის შექმნაშიც. ეს შრომა, თურმე, ეხებოდა ვარლაამის კუნძულისა და მონასტრის ისტორიას. სპერანსკის აზრით, აქაც რომანტიკულ ფანტაზიას უნდა გაეშალა ფრთები. მაგრამ ეს შრომა ჯერ-ჯერობით დაკარგულია. შემთხვევითი არ არის მისი დაინტერესება ვადიმით. მის მუზეუმში განსაკუთრებით ბლომად ყოფილა აკრძალული ლიტერატურა, დეკაბრისტული სულისკვეთების გამომხატველი ჰიმნი ვადიმზე. საერთოდ ბოიანის, ვადიმისა და ნოვგოროდის საკითხი 1800-1830 წლების რუსულ დეკაბრისტულ და რევოლუციურ ლიტერატურაში, შეიძლება ითქვას, უმთავრეს ადგილს იჭერს. რუსი, და არა მარტო რუსი მწერლები ძველი ნოვგოროდის თავისუფალი ცხოვრების საკითხებს ამ ხანებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ: „ძველრუსული ნოვგოროდი მისი ვეჩეთი და რესპუბლიკური თავისუფლებით დეკაბრისტების მხურვალე სიმპათიებს იწვევდა“.[21]

ნოვგოროდის თავისუფალი ცხოვრებისადმი სიმპათიების გამოხატვის სიმპტომები ცნობილია ქართულ ლიტერატურაშიც. გრ. ორბელიანი თავის „მოგზაურობაში“ ერთგან წერს: „ფიქრმან ნოვგოროდისამან არ დამაძინაო“, და იქვე ახსენდება ძველ ნოვგოროდელთა თავისუფალი ცხოვრება თავისი ვეჩეთი.

სწორედ ამავე ხანებში დეკაბრისტი მწერალი კონდრატი რილეევი წერს ლექსს „ბოიანს“. მისი მეორე ლექსის სახელია „ვადიმი“. რილეევის „ვადიმის“ სიუჟეტი ძველრუსული თავისუფალი ქალაქის გაიდეალებაა. ისტორიამ ვადიმის, როგორც კნიაზ რიურიკის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობის შესახებ, მხოლოდ ხსენება შემოგვინახა“.[22]

ვადიმისა და ბოიანის საკითხებს ფართოდ აშუქებს ნ. მ. კარამზინიც თავის ცნობილ „ისტორიაში“. ვადიმის თემას ალტაცებაში მო-

მჰყავდა ა. ს. პუშკინი, ლერმონტოვი, მოწიწებით იხილავდა მას ბ. ბელინსკი.

როგორც ჩანს, პოეტი ალ. სულაკაძეც ისე თავისუფლად ითვისებდა მოწინავე იდეალებს, როგორც იმ დროის რუსი რომანტიკოსი პოეტები; ეს ტენდენცია დაეტყო კიდეც მის ნოვგოროდულ ლექსებს. მაგალითად, ერთგან იგი წერს: „პო ზლობე სვარა ს ი ლ ნ ო მ უ ს მ ე რ ტ“. შეუძლებელია აქ არ ამოვიკითხოთ „ვადიმური“, ბუნტარული სულისკვეთება.

არც ისაა უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ „ბოიანურ სიმღერაში“ გამოყვანილი „ზ ლ ო გ ო რ ი“ ბოროტების განსახებაა, ხოლო ავტორის ტენდენცია, ან უფრო უკეთ, მისი ლექსის პერსონაჟის — ბოიანის ტენდენცია ამ ბოროტის საწინააღმდეგოდაა მიმართული. ეს რომანტიკული მიდგომა ფაქტებისა და მოვლენისადმი უაღრესი სიზუსტით განავითარა გავრილ დერჟავინმა თავის ბალადაში. ვფიქრობთ, სწორედ ეს იყო ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რამაც გ. დერჟავინს სასწრაფოდ ჩააწერინა ალ. სულაკაძის პოეტური ნიმუშები და მის ბაზაზე შეაქმნევინა ვრცელი ბალადა. გავრილ დერჟავინიც თავისი ეპოქის, თავისი დროის საერთო ტენდენციებს გამოეხმაურა. მან ბალადაში გამოიყვანა ვადიმის ტიპის პერსონაჟი და აღჭურვა იგი ტირანთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირის თვისებებით:

Вадим в бунт на Гостомысла,
Всю чернь сей поджигал Злогор,
Вперяя против здрава смысла
В Варягов и в Славян раздор;
Он тоже не допущал Добрыню
Новогородцев окрестить,
На холмах водружить святыню
И идолов в реках топить.

ბალადაში აშკარადაა გამოკვეთილი იდეა ტირანის წინააღმდეგ ბრძოლისა. დ. მ. შარიპკინი წერს: „ვადიმ ნოვგოროდელისადმი სპეციალურად მიძღვნილ დერჟავინის ბალადაში ამ ბუნტარის სახე იბადება შეტაკებათა და ბრძოლათა ფონზე, მისი დაღუპვა კი გააზრებულია როგორც ნაციონალური ტრაგედია“.23

ამ კოლიზიათა რომანტიკული გააზრების საწყისები კი, როგორც ვთქვით, პეტერბურგელი ანტიკვარის ლექსებში მოგვეპოვება. უყველაფრიდან ჩანს, რომ ალექსანდრე სულაკაძის პოეტური ნიმუშები თავისი დროის მტკივნეული საკითხების წრეს არ სცილდება. მას, როგორც პრერომანტიკოსს, სურს თავის ლექსებში იგრძნობოდეს თანამედროვეობის გამოძახილი. სწორედ ამ მიზნით ნოვგოროდულ თემატიკას იგი აქცევს პოეტურ ყალიბში და ამ სიმღერებს აცხადებს უძველესი წარმართული პოეზიის ნიმუშებად. ლექსების უაღრესად კოლორიტული ბუნება, მათი რომანტიკული სულისკვეთება, რასაკვირველია, ადვილად იზიდავდა რუსული ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწეებს. მათ შორის გავრილ დერჟავინსაც.

საზოგადოდ, ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორია გვიმტკიცებს, რომ რომელიმე ახალი მიმდინარეობის დაწყება სულაც არაა გენიოსთა ხვედრი. ისინი ხშირ შემთხვევაში ასრულებენ და აგვირგვინებენ მას, მაგრამ დასასრულთან რომ მიხვიდე, საჭიროა ჯერ დასაწყისს მიუახლოვდე. ალექსანდრე სულაკაძე არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო დიდი რომანტიკოსი, რომ თავისი შემოქმედებით დაეგვირგვინებინა ეს მიმდინარეობა. ამისი არც სურვილი და არც პრეტენზია არ ჰქონდა მას და შესაძლოა ყველა პოეტთა შორის იგი ყველაზე ნაკლებად თვლიდა თავს პოეტად. მაგრამ საგულისხმო ისაა, რომ მან თავისი პოეტური ინტუიციის წყალობით იგრძნო, რომ იწყებოდა რაღაც ახალი... იგი თავისდაუნებურად მიუახლოვდა იმ დიდი ლიტერატურის საწყისს, რუსული ადრეული რომანტიზმი რომ ეწოდება და რუსეთის ხინამდვილეში ერთ-ერთმა პირველმა აქცია რომანტიკული ასახვის ობიექტად წარმართული სიძველეები, ჭაღარა რუსული წარსული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

1 ალ. ივ. სულაკაძის ბიოგრაფიული ცნობები მოგვყავს თ. ჩიქოვანის წერილიდან „რუსული კულტურისა და ისტორიის მემატიანე“, „ცისკარი“, № 4, 1958 წ.

2 მ. ნ. სპერანსკი, ხელნაწერთა რუსული ნაბაძევები XIX საუკუნის დასაწყისში. იხ. წყაროთმცოდნეობის პრობლემები, V გამ. მ., 1956, გვ. 65. რუსულ ენაზე.

3 ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 107, 303.

4 მ. ნ. სპერანსკი, „ბარდინი და სულაკაძე“, „წყაროთმცოდნეობის პრობლემები“, გვ. 60-64.

5 „ადრეული რომანტიკული ქროლვანი“, ლენინგრადი, 1972, გვ. 122 (რუს. ენაზე).

6 ამ გვარს რუსი მოღვაწენი წარმოსთქვამენ და წერენ მრავალნაირად: სულაკაძევ, სალახაძიევ, სელაკაძიევ, სახალაკაციევ, სალუხაძევ. ამათგან ნამდვილია ს უ ლ ა კ ა ძ ე. ასევეა გაკეთებული შტემპელის ტვიფრიც. საერთოდ, ს უ ლ ა კ ი მდინარისა და ადგილის სახელწოდებაა. მას უკავშირდება ცნობილი ქართველი

მწერლის არჩილ სულაკაურის გვარიც.

7 ს. პ. ჟიხარევის ჩანაწერები, მ., 1890, გვ. 360.

8 ნ. ბარსუკოვი, პ. მ. სტროევის ცხოვრება და შრომები, სანკტ-პეტერბურგი, 1878, გვ. 237.

9 საგულისხმოა, რომ დერჟავინს ჯერ კიდევ 1807 წ. 23 მარტს აქვს დიდი საუბარი სახალხო განათლების მინისტრ გრაფ ზავადოვსკისთან სწორედ სულაკაძის შესახებ. (იხ. დერჟავინი, თხზ., 1880, ტ. VIII, გვ. 903).

10 ს. პ. ჟიხარევის ჩანაწერები, გვ. 361.

11 გ. რ. დერჟავინი, თხზ. ტ., VII, გვ. 615.

12 წყაროთმცოდნეობის პრობლემები, გვ. 68.

13 გ. დერჟავინი, ტ. VII, 1872, გვ. 586-587.

14 იქვე, გვ. 586.

15 თუმცა „ბოიანს", როგორც საკრავ ინსტრუმენტს, სხვაგვარადაც ხსნიან.

16 დ. მ. შარიპკინი, სკანდინავური თემა რუსულ რომანტიკულ ლიტერატურაში, იხ. ადრეული რომანტიკული ქროლვანი, ლენ., 1972, გვ. 122 (რუს. ენაზე).

17 იქვე, გვ. 122.

18 მ. ნ. სპერანსკი, გვ. 73.

19 ვ. დმიტრიევი, შენიღბული ლიტერატურა, მ. 1973.

20 იქვე, გვ. 20.

21 ვ. ი. სემიოვსკი, დეკაბრისტთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი იდეები, სანკტ-პეტერბურგი, 1909, გვ. 258-259.

22 კ. რილეევი, თხზ. სრ. კრ. მ-ლ., 1939, გვ. 729.

23 ადრეული რომანტიკული ქროლვანი, გვ. 123.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*დავით მაისურაძე*

# სოციალისტური ერების კულტურული თანამეგობრობის ისტორიული ფესვები

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დაამსხვრია სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ხუნდები, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ხალხთა შორის ახალი ტიპის ურთიერთობის — ძმური მეგობრობისა და ურთიერთდახმარების დამყარებას. მან გზა გაუხსნა ხალხთა ნებაყოფლობით ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ თანამშრომლობას, მათ სახელმწიფოებრივ გაერთიანებას.

ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ხალხთა ფაქტიური თანასწორობის დამყარების ლენინური პოლიტიკის განხორციელების შედეგად კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოძმე რესპუბლიკებსა და ოლქებში შექმნეს სოციალისტური მრეწველობის კერები, აღმოფხვრეს ცარიზმისაგან მემკვიდრეობად მიღებული უწიგნურობა და კულტურული ჩამორჩენილობა, განახორციელეს გლეხობის კოოპერირება, გამოზარდეს საბჭოთა ეროვნული ინტელიგენცია, განავითარეს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურა.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება მოასწავებდა როგორც სოციალური, ისე ეროვნული ურთიერთობის ღრმა თვისობრივ გარდაქმნას. ახალი საწარმოო ურთიერთობის დამკვიდრების პროცესში, სოციალისტური მშენებლობის უდიდეს სიძნელეთა დაძლევის მსვლელობაში, იმპერიალისტი აგრესორების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლებში საბჭოთა ერები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ როგორც სოციალისტური ერები, რომელთა ძირეული თვისებებია პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და მეგობრობა.

საბჭოთა სოციალისტურ ერებს აქვთ საერთო სამშობლო — საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი, საერთო ეკონომიური ბაზა — სოციალისტური სახალხო მეურნეობა, საერთო სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, საერთო მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში მოხდა თავისი შინაარსით ულრმესი, სოციალური მნიშვნელობით და შედეგებით უდიდესი გადატრიალება საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში. საზოგადოებრივი ცნობიერება გარდაიქმნა რევოლუციური თეორიის საფუძველზე, შეიცვალა მშრომელთა ფართო მასების ფსიქოლოგია, ზნე-ჩვეულებანი და ყოფაცხოვრება, შეიქმნა ხალხთა დიადი თანამეგობრობა, იდეურ-პოლიტიკური და მორალური ერთიანობა.

სოციალისტური ერების კულტურული თანამეგობრობა ხორცშესხმაა კ. მარქსის სიტყვებისა. „ყოველ ერს შეუძლია ისწავლოს და უნდა ისწავლოს კიდეც სხვა ერისაგან“. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პირობებში ძლიერდება ერების სულიერი კულტურის ურთიერთგაცვლა, ერთი ერის კულტურის მიღწევები სხვა ერების კუთვნილება ხდება. ეს იწვევს სსრ კავშირის ხალხთა კულტურის ურთიერთგამდიდრებას, მათი ინტერნაციონალური საფუძვლის განმტკიცებას.

ამავე დროს, სოციალისტური იდეოლოგიისათვის უცხოა ეროვნულ თავისებურებათა და ეროვნული კულტურის უგულვებელყოფა. კომუნისტური იდეოლოგიის ინტერნაციონალუ-

რი ხასიათი განაპირობებს უდიდეს პატივისცემას ხალხთა ეროვნული კულტურებისადმი, ვინაიდან ყველა ერს, დიდს თუ მცირეს, მათი კულტურული განვითარების დონის მიუხედავად, თავიანთი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის საერთო საგანძურში.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის შესაბამისად, კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებს ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიური, რეალური თანასწორობის პოლიტიკას. მან დასახა ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარების გზა, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სსრ კავშირის იმ რაიონებს, რომლებსაც უფრო სწრაფი განვითარება ესაჭიროებათ.

კომუნისტურ პარტიას თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია არ დაუშვას არავითარი პრივილეგია, შეზღუდვა, ან იძულება ამა თუ იმ ენის ხმარებაში; ხალხთა ძმური მეგობრობისა და ურთიერთნდობის პირობებში ეროვნული ენები ვითარდებიან თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთგამდიდრების საფუძველზე.

ხალხთა მეგობრობა სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ვ. ი. ლენინი ამბობდა, რომ სოციალისტური კულტურა შიშველ ადგილზე როდი წარმოიქმნება მსოფლიო ცივილიზაციის მაგისტრალური გზის მოშორებით. „პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ“.

კულტურულ მშენებლობაში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ფართოდ იყენებს რევოლუციამდელი ქართული და მოძმე ხალხთა კულტურის დემოკრატიულ ტრადიციებს.

გადავშალოთ ისტორიის ფურცლები, ჩავიხედოთ საუკუნეების სიღრმეში.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნეში მიმოსვლა ყოფილა კიევის სახელმწიფოსა და საქართველოს შორის. თავის წიგნში „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“ ნ. მ. კარამზინი წერდა: „ეჭვი არ არის, რუსეთს უძველესი დროიდან ჰქონდა დამყარებული კავშირურთიერთობა საქართველოსთან“. შემდგომში, რუსეთ-საქართველოს შორის მეგობრობის დამყარებას ცდილობდა ვახტანგ VI. მან ვერ შეძლო რუსეთის დახმარებით ირანელ-თურქ დამპყრობთაგან საქართველოს განთავისუფლება და იძულებული გახდა საქართველოს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა დიდ ჯგუფთან ერთად, ემიგრანტად გახიზნულიყო რუსეთში, სადაც გარდაიცვალა 1737 წელს. შემდეგში ლტოლვილთა ამ ჯგუფისაგან მოსკოვში, პრესნიაზე აღმოცენდა ქართველთა კოლონია, რომელიც XVIII საუკუნის დამდეგს აერთიანებდა 3 ათასამდე კაცს. მათ შორის იყვნენ ვახტანგ VI-ის შვილი, განთქმული ქართველი გეოგრაფი და ისტორიოგრაფი ვახუშტი; გამოჩენილი ლექსიკოგრაფი, იგავთა მწერალი, მეცნიერი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი. უფრო მოგვიანებით, ემიგრანტ ქართველებს შეუერთდა უდიდესი ნიჭის პოეტი, მგზნებარე პატრიოტი დავით გურამიშვილი, რომელიც ქართლში ერთ-ერთი გამანადგურებელი შესევის დროს დაატყვევეს დაღესტნელმა ავაზაკებმა, მაგრამ ტყვეობიდან გაიქცა და რუსეთს გადავიდა.

თურქ და ირანელ მტარვალებისაგან გაქცეულ ქართველ ემიგრანტთა კოლონიები აღმოცენდა აგრეთვე პეტერბურგსა და ასტრახანში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერების მომხრე იყო მეფე ერეკლე II, რომელმაც ერთ სახელმწიფოდ გააერთიანა ქართლ-კახეთი და მჭიდრო კავშირი შეკრა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან. ერეკლე II ხელს უწყობდა ყოველგვარ კულტურულ წამოწყებას, რუსეთში ქართველ ახალგაზრდებს გზავნიდა ცოდნისა და განათლების შესაძენად.

1801 წელს საქართველო შეუერთდა რუსეთს. ამიერიდან ქართველმა ხალხმა საბოლოოდ დააღწია თავი ფიზიკური განადგურების საფრთხეს. მაშინდელ პირობებში რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იყო საქართველოს გაერთიანება და მისი საწარმოო ძალების განვითარება. თუ მეფის რუსეთი „ხალხთა საპყრობილე“ იყო, პუშკინისა და დეკაბრისტების რუსეთი წარმოადგენდა ჩაგრული ერების მიზიდულობის ცენტრს, გულითადი მეგობრობისა და დიდი კულტურის ქვეყანას.

რუსეთის მოწინავე კულტურამ, რომელმაც მსოფლიო მნიშვნელობა და გავლენა მოიპოვა, მისმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა საზოგადოებრივმა აზრმა ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის სახით უდიდესი პროგრესული როლი შეასრულა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, მისი თვითმყოფადი კულტურის განვითარებაში. პროგრესული რუსეთის, რუსი ხალხის სახით ქართველმა ხალხმა შეიძინა ძმა და მოკავშირე საერთო მტრების — ცარიზმის, მემამულეების, კაპიტალისტების, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX საუკუნის დამლევს, როცა რუსეთი ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის — ლენინიზმის სამშობლო გახდა, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით საქარ-

თველო ჩაება ერთობლივ რევოლუციურ ბრძოლაში.

ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკა აბრკოლებდა ეროვნული კულტურის განვითარებას, ქართული სკოლები დაიხურა, დაწესებულებებში და სასამართლოებში საქმის წარმოება მხოლოდ რუსულად იყო. მაგრამ რუსი ხალხი „ხალხთა საპყრობილესაგან“ განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში იდგა. ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში სულ უფრო მტკიცდებოდა ქართველი ხალხის მეგობრობა რუს ხალხთან, რუსეთის იმპერიის ყველა ერებთან.

რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველო მოექცა კაპიტალისტური განვითარების ორბიტაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის კაპიტალიზმმა კავკასია ჩააბა მსოფლიო სასაქონლო მიმოქცევაში.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ გაძლიერდა დიდი ხნის წინათ არსებული კულტურული კავშირურთიერთობა რუს და ქართველ ხალხებს შორის.

ამ ორი ერის შემოქმედებითი კავშირის განმტკიცებაში დიდი როლი შეასრულეს რუსმა მწერლებმა, რომლებიც საქართველოში იმყოფებოდნენ. „კავკასიას, — წერდა ბელინსკი, — თითქოს უწერია გახდეს ჩვენი პოეტური ტალანტების აკვანი, მათი მუზის შთამაგონებელი და მფარველი, მათი პოეტური სამშობლო“.

დიდმა ქართულმა კულტურამ, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, თავის მხრივ ბევრი რამ შემატა რუსულ კულტურასა და ლიტერატურას. კულტურულ ღირებულებათა გაცვლისა და ურთიერთგამდიდრების ამ საგულისხმო ფაქტზე, ბელინსკის შემდეგაც, არაერთხელ მიუთითეს რუსული სიტყვის საუკეთესო ოსტატებმა, მათ შორის მაქსიმ გორკიმ, ვლ. მაიაკოვსკიმ, ნ. ტიხონოვმა, ლ. ლეონოვმა და სხვებმა, რომელთაც ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი დასდეს ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცების საქმეს.

დავუბრუნდეთ ისევ ადრინდელ ეპოქას.

მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი ა. ს. გრიბოედოვი საქართველოში წერდა თავის უკვდავ კომედიას „ვაი ჭკუისაგან“.

საქართველოში მოგზაურობის შემდეგ დაწერა ა. ს. პუშკინმა რუსული ლირიკული პოეზიის შედევრები — „საქართველოს მთებზე“, „კავკასია“, „მონასტერი ყაზბეგზე“, „ზვავი“, „ნუ იმღერებ, ლამაზო, ჩემთან“, აგრეთვე ნარკვევი „მოგზაურობა არზრუმში“.

საქართველოსა და კავკასიაში ყოფნასთან დაკავშირებული თავისი შთაბეჭდილებანი და განცდები გამოხატა თავის ნაწარმოებებში მ. ლერმონტოვმა.

1851 წელს თბილისში ცხოვრობდა და მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობასთან ურთიერთობა ჰქონდა ლევ ტოლსტოის. აქ დაიწყო მან თავისი პირველი დიდი ნაწარმოების „ბავშვობის“ წერა. შემდეგშიც ლევ ტოლსტოის მუდამ აინტერესებდა საქართველოს ამბები. მას მეგობრული ურთიერთობა და მიწერ-მოწერა ჰქონდა ბევრ მოწინავე ქართველთან.

საქართველოს პროგრესულ საზოგადოებაში განსაკუთრებული ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა ნ. გ. ჩერნიშევსკი. მას კავშირი ჰქონდა ბევრ ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწესთან. იგი მხურვალედ თანაუგრძნობდა კავკასიის ხალხთა რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმისა და მებატონეების წინააღმდეგ და გულწრფელად უხაროდა კავკასიის ხალხთა თვითმყოფი ეროვნული კულტურის წარმატებანი.

ხანგრძლივი გულითადი მეგობრობა აკავშირებდა ჩერნიშევსკის ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწესთან — ნიკო ნიკოლაძესთან. 1867 წელს ნ. ნიკოლაძემ ჟენევაში თავისი წინასიტყვაობით გამოსცა ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი. ეს იყო პირველი გამოცემა ცალკე წიგნად განთქმული რომანისა „რა ვაკეთოთ“.

შემონახულია გერცენისა და ოგარიოვის ვრცელი მიმოწერა ნ. ნიკოლაძესთან.

თავისი ცხოვრებით და შემოქმედებით საქართველოსთან, ქართულ კულტურასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ა. მ. გორკი. მისი პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუდრა“ 1892 წლის 12 სექტემბერს დაიბეჭდა თბილისის გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე. ა. მ. გორკი აღიარებდა, რომ მის შემოქმედებითს განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს საქართველომ და მისმა მოწინავე ადამიანებმა: „არასოდეს არ ვივიწყებ, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც უკვე ოთხი ათეული წელი მივდივარ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვეყნის სწორედ დიდებულმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სინაზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომელმაც მოხეტიალე ადამიანი ლიტერატორად მაქცია“.

საქართველოში დაიბადა, გაიზარდა, რევოლუციურ მოძრაობას დაუახლოვდა ჩვენი ეპოქის საუკეთესო პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი. ცნობილია, რომ 1902 წელს ქუთაისის გიმნაზიაში შესასვლელად ვ. მაიაკოვსკი მოამზადა ფილიპე მახარაძის მეუღლემ ნინა პროკოფის ასულმა მახარაძემ (სმოლნიაკოვამ).

ბევრი ქართველი განათლებას იღებდა რუსეთში და მონაწილეობდა მის კულტურულ ცხოვრებაში. მათ შორის აღსანიშნავია სოლომონ დოდაშვილი, რომელიც იდეურად დაკავშირებული იყო დეკაბრისტებთან. ს. დოდა-

შვილმა 1827 წელს პეტერბურგში გამოსცა „ლოგიკა“, აგრეთვე დაწერა სხვა ნაშრომები ფილოსოფიის, რიტორიკის ისტორიის და ლიტერატურის დარგში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ. ს. დოდაშვილი დააპატიმრეს და 1832 წლის ცნობილ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს ვიატკაში, სადაც იგი დაუკავშირდა ა. ი. გერცენს.

1820 წელს იოანე ბაგრატიონმა პეტერბურგში შეადგინა და გამოსცა რუსულ-ქართული გრამატიკა და რუსულ-ქართული ლექსიკონი. პეტერბურგსა და მოსკოვში პროფესორებმა დ. ჩუბინაშვილმა, ა. ცაგარელმა, ა. ხახანაშვილმა, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. ბაქრაძემ დაამუშავეს ქართული ენის, ლიტერატურის, ისტორიის არა ერთი საკითხი, რუსულ ენაზე თარგმნეს, კომენტარი დაურთეს და გამოსცეს ქართული სიტყვიერების ძეგლები. რუსულ-ქართულ კულტურათა დაახლოებას დიდად შეუწყო ხელი დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილმა რუსულ-ქართულმა და ქართულ-რუსულმა ლექსიკონებმა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცოდნის სხვადასხვა დარგში თავი გამოიჩინეს მთელმა რიგმა ქართველმა მეცნიერებმა, მათ შორის იყვნენ მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები — პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ნამდვილი წევრი ი. თარხნიშვილი, პროფესორები პ. მელიქიშვილი და ვ. პეტრიაშვილი.

ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტებში სწავლობდა, ებმებოდა რუსეთის საერთო-რევოლუციურ მოძრაობაში. გასული საუკუნის 60-იანი წლების სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობდნენ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ. ქართველი ხალხოსნები — ჯაბადარი, ზდანევიჩ-მაიაშვილი, ა. ციციშვილი და სხვები ჩაბმული იყვნენ რუსეთის ნაროდნიკულ მოძრაობაში. ისინი „50-ის პროცესის“ დროს გაასამართლეს და ციმბირში გადაასახლეს.

ჯერ კიდევ 1831 წელს სცენის მოყვარულთა წრემ, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ქართველები, რუსები და სომხები, თბილისში რუსულად დადგა ა. ს. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“. რუსული კლასიკური დრამატურგიის ეს შედევრი ქართულად პირველად ითარგმნა 1853 წელს. 1866 წელს მისი დადგმა ქართულ ენაზე განახორციელა ქუთაისის თეატრმა, მას შემდეგ მას სისტემატურად უჩვენებდნენ სხვადასხვა ქართული თეატრები.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ქართული თეატრის ძველი მეგობრის ა. ნ. ოსტროვსკის პიესების („შემოსავლიანი ადგილი“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „უმზითვო“, „მგლები და ცხვრები“) დადგმები. 1888 წელს, როცა ა. ნ. ოსტროვსკიმ ქართულ თეატრში ნახა მ. მ. საფაროვ-აბაშიძე პოლინას როლში პიესაში „შემოსავლიანი ადგილი“, მსახიობს უთხრა: „ვიდრე თქვენ ცოცხალი ხართ, ჩემი პოლინა არ მოკვდება“.

1881 წელს თბილისში პირველად დაიდგა ნ. ვ. გოგოლის „რევიზორი“ და მას შემდეგ ეს უკვდავი კომედია მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ სცენაზე. გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული თეატრის სცენებზე წარმატებით იდგმებოდა ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში“, „ბნელეთის ძალა“, ა. ჩეხოვის „ძია ვანია“, „საუზმე წინამძღოლთან“ და რუსული ლიტერატურის კლასიკოსების სხვა პიესები.

1910 წელს ქუთაისის თეატრმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების კორიფეები — შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, მიხეილ ქორელი, დადგა მ. გორკის პიესა „ნაძირალნი“, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები აკრძალული იყო მეფის ცენზურის მიერ.

რუსულ-ქართული თეატრალურ კულტურათა შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სცენის ფართოდ ცნობილ ოსტატს კოტე მარჯანიშვილს. „ამ ქართველმა ხელოვანმა, — წერდა ა. ვ. ლუნაჩარსკი, — ბრწყინვალე ფურცელი შეიტანა რუსული თეატრის ისტორიაში“.

კ. მარჯანიშვილმა 1903-1904 წლებში ირკუტსკის თეატრში ერთ-ერთმა პირველმა დიდი წარმატებით დადგა მ. გორკის პიესები „მდაბიონი“ და „ნაძირალნი“, ხოლო 1905 წელს რიგის თეატრში — „მოაგარაკენი“.

1920 წელს კ. მარჯანიშვილმა კომინტერნის II კონგრესის პატივსაცემად პეტროგრადში 4000 შემსრულებლის მონაწილეობით დადგა გრანდიოზული სპექტაკლი „მსოფლიო კომუნისაკენ“, რომელსაც 45 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

1851 წელს თბილისში გაიხსნა ოპერის თეატრი, რომლის სცენაზე პირველად რუსეთის მასშტაბით დაიდგა კლასიკური ოპერები: ბიზეს „კარმენი“, პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანი“.

გენიალური რუსი კომპოზიტორი პ. ი. ჩაიკოვსკი 1885-1890 წლებში ხუთჯერ იყო საქართველოში. კომპოზიტორის ძმა მ. ი. ჩაიკოვსკი წერდა: „თბილისი იყო პირველი ქალაქი, სადაც პეტრე ილიას ძეს ზეიმით და გულწრფელი ენთუზიაზმით შეხვდნენ“. თვით პ. ი. ჩაიკოვსკი აღნიშნავდა, რომ „ჩემს ოპერებს აქ ყველაზე უფრო ხშირად ასრულებენ, განსაკუთრებით დიდი წარმატება აქვს „მაზეპას“.

ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებაში აქტიურად მონაწილეობდა ცნობილი რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი და პედა-

გოგი მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც 1883-1893 წლებში თბილისში ცხოვრობდა და ხელმძღვანელობდა რუსეთის მუსიკალური საზოგადოების ადგილობრივ განყოფილებას და სასწავლებელს. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა და ჩაწერა ქართული ხალხური მუსიკა. მისი ოპერა „ღალატი“ (ა. სუმბათაშვილ-იუჟინის დრამის მიხედვით) დაწერილია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის თემაზე.

ქართულ მუსიკალურ მოღვაწეებთან აქტიური შემოქმედებითი კავშირურთიერთობა ჰქონდა დიდ რუს პიანისტს, კომპოზიტორს და დირიჟორს ა. გ. რუბინშტეინს, რომლის კონცერტები ხშირად იმართებოდა თბილისში. 90-იან წლებში მისი ოპერა „დემონი“ ქართულად ითარგმნა და წარმატებით დაიდგა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე.

პეტერბურგისა და მოსკოვის უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში აღიზარდნენ გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორები მელიტონ ბალანჩივაძე, ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი.

დიდი რუსი მომღერლის ფეოდორ ივანეს ძე შალიაპინის მომაჯადოებელი ხმა პირველად თბილისის ოპერის სცენაზე აჟღერდა 1893 წელს.

ცნობილი საბჭოთა დირიჟორი ს. ა. სამოსუდი წერდა:

„მე არ შემიძლია აუღელვებლად ვილაპარაკო ქართულ ხელოვნებაზე, ვინაიდან მასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩემი ცხოვრებაც და ჩემი მხატვრული იდეალებიც. მე ხომ თბილისში დავიბადე და იქ მივიღე მუსიკალური განათლება.

ყოველდღიურად რომ ვუსმენდი ნაზი ლირიკითა და ემოციური პათოსით აღსავსე საუცხოო ქართულ პოეტურ ხალხურ სიმღერებს, ვუცქერდი ბრწყინვალე ტემპერამენტიან ცეკვებს, მე შევიყვარე მუსიკალური ხელოვნება.

ჩემი პირველი მასწავლებელი და გულითადი მეგობარი იყო ქართული კლასიკური ოპერის დაუვიწყარი შემქმნელი კომპოზიტორი ზ. ფალიაშვილი. იყო დრო, როცა მე მასთან ერთად ვუკრავდი ქართული თეატრის ორკესტრში“.

რუსული სახვითი ხელოვნების დიდოსტატები — ი. ე. რეპინი, კ. პ. ბრიულოვი, გ. გ. გაგარინი, ვ. ვ. ვერეშჩაგინი, ვ. ა. სეროვი, ვ. მ. ვასნეცოვი თავის ცოდნასა და შემოქმედებითს გამოცდილებას უზიარებდნენ ნიჭიერ ქართველ მხატვრებს, რომლებიც სწავლობდნენ პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში, მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში და რუსეთის სხვა სამხატვრო სკოლებში.

საქართველოში სახვითი ხელოვნების განვითარებისათვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა დიდი რუსი მხატვარი ი. ე. რეპინი, რომელიც აქ იმყოფებოდა გასული საუკუნის 80-იან წლებში. 1848-1854 წლებში თბილისში ცხოვრობდა თვალსაჩინო რუსი მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი და სახვითი ხელოვნების მკვლევარი, შემდგომში პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. გ. გაგარინი, რომელმაც აქ შექმნა მთელი სერია სურათებისა „ქართველი ქალები“. მანვე ქართულ თეატრში 1850 წელს მხატვრულად გააფორმა პირველი დადგმები გ. ერისთავის პიესებისა „გაყრა“ და „დავა“.

რუსული დემოკრატიული რეალისტური ხელოვნების დიდი წარმომადგენლების უშუალო კავშირურთიერთობა ქართული კულტურის მოღვაწეებთან ხელს უწყობდა ქართველ მხატვართა დაოსტატებას. პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ქართველთა შორის განათლება პირველმა მიიღო რეალისტური მიმართულების ფერმწერალმა გ. მაისურაძემ. ინტერესმოკლებული არ იქნება ითქვას, რომ მასთან ერთდროულად მხატვარ კ. პ. ბრიულოვის სახელოსნოში სწავლობდა დიდი უკრაინელი მწერალი და მხატვარი ტარას შევჩენკო.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში დაოსტატდნენ შესანიშნავი ქართველი მხატვრები რ. გველესიანი, ა. ბერიძე, გ. გაბაშვილი, მ. თოიძე.

ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ა. მრევლიშვილმა 1890 წელს დაამთავრა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი, სადაც მის მასწავლებელთა შორის იყო გამოჩენილი რუსი მხატვარი ვ. დ. პოლენოვი.

პირველად მოსკოვის სტროგანოვის სამხატვრო სასწავლებელში შეითვისა სახვითი ხელოვნების რეალისტური იდეები ქართული პროფესიული ქანდაკების მამამთავარმა იაკობ ნიკოლაძემ.

მრავალი საუკუნის ისტორია აქვს საქართველოს კულტურულ ურთიერთობას უკრაინასთან.

მემატიანეების ცნობით, უკრაინა და საქართველო უკვე შუა საუკუნეებში დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან არა მხოლოდ სანაოსნო მიმოსვლით, არამედ დარიალის გზითაც. შემდეგში უკრაინისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობა, მათ შორის სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობა, კიდევ უფრო გაძლიერდა. ამასთან, უკრაინელი და ქართველი ხალხები საუკუნეების მანძილზე ეომებოდნენ ერთი და იგივე მტერს — ოსმალ დამპყრობთა ურდოებს.

დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ თურქეთის მონობიდან გამოქცეული ქართველები

ბშირად თავს აფარებდნენ ზაპოროჟიეს სეჩს და მონაწილეობდნენ მის ბრძოლებში. ზაპოროჟიეს გარდა, ქართველები ცხოვრობდნენ უკრაინის სხვა მხარეებშიც.

უკრაინისა და საქართველოს ლიტერატურულ ურთიერთობას საფუძველი ჩაეყარა XVII საუკუნის დამლევს, როცა პოეტმა არჩილმა ქართულად თარგმნა უკრაინის საეკლესიო-პოლიტიკური და კულტურული მოღვაწის პეტრე მოგილას (1596-1647) ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაწარმოებები „კატეხიზისი“.

რუსეთის არმიაში მრავალი წლის ბრძოლებისა და მაგდებურგის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ XVIII საუკუნის 70-იან წლებში დავით გურამიშვილი საბოლოოდ დასახლდა უკრაინაში (მირგოროდი, სოფ. ზუბოვკა), რომელიც მისი მეორე სამშობლო გახდა. აქ დაწერილ თავის შესანიშნავ ლექსებში („ზუბოვკა“, „ქაცვია მწყემსი“ და სხვ.) პოეტმა ქართული, რუსული და უკრაინული სასიმღერო მოტივების გამოყენებით ოსტატურად ასახა უკრაინელი ხალხის ფიზიკური და სულიერი სილამაზე, მისი ზნეობრივი სიფაქიზე.

დავით გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა რუსი, უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის თვალსაჩინო მაგალითია. ქართველი ხალხის საამაყო შვილმა კიდით კიდემდე შემოიარა მთელი უკრაინა, თავისი მკერდით იცავდა მის მიწას, უმღეროდა უკრაინელ ხალხს და ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებდა მას. უკრაინას კანონიერად შეუძლია თავის ერთგულ შვილად აღიაროს ქართველი ერის მესიტყვე. ამიტომ, სიმონ ჩიქოვანი სამართლიანად წერდა:

ეძებდა რუსულ გალობის მირონს
და ათანხმებდა მშობლიურ ხმებთან,
უკრაინაში გაგონილ კილოს
ის აწყვილებდა ქართველის ბედთან.
. . . . . . . . . . . . . . .
და სამი ხალხის სიმღერის შერწყმით
თქვა მეგობრობის პირველი გრძნობა.

უკრაინაში დაბადებულმა და აღზრდილმა ქართველმა მეცნიერმა ნიკოლოზ ანდრიას ძე წერეთელმა (წერეთელოვმა) პირველმა შეკრიბა და 1819 წელს ცალკე წიგნად გამოსცა უკრაინის ხალხური პოეზიის ძეგლები. ამით მან საფუძველი ჩაუყარა უკრაინული ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლას.

ქართული პოეზიისა და პროზის ერთ-ერთი კორიფე აკაკი წერეთელი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხთა კულტურულ დაახლოებას. იგი მხურვალე სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა უკრაინელ ხალხს და მის დიდ პოეტსა და მხატვარს ტარას შევჩენკოს. ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი ერთმანეთს შეხვდნენ პეტერბურგში 1860 წელს პროფ. ნ. ი. კოსტომაროვის ბინაზე. აი, რას ამბობდა აკაკი ამ შეხვედრის შესახებ: „შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე... ლაპარაკობდა სევდიანი კილოთი, მაგრამ გამოცოცხლებული და მე ველარ ვიცნობდი მასში წინანდელ მოხუცს. უნდა გამოვტყდე, რომ პირველად შევჩენკოს სიტყვებიდან გავიგე, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი“.

ჩვენი სახელოვანი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს იცნობდნენ ტარას შევჩენკოს შემოქმედებას.

შევჩენკოს ნაწარმოებებიდან ქართულად პირველად ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ ფურცლებზე 1881 წელს დაიბეჭდა პოემა „მუშა ქალი“, რომელიც თარგმნა ნიკო ლომოურმა. რევოლუციამდელ პერიოდში უკრაინის დიდი კობზარის საუკეთესო პოეტური ქმნილებები თარგმნეს მამია გურიელმა, დ. თომაშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა, იახამანმა (მ. კინწურაშვილმა), გ. ქუჩიშვილმა, სილ. ხუნდაძემ, განდეგილმა (დ. ერისთავმა) და სხვა ქართველმა პოეტებმა.

უკრაინისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ტარას შევჩენკოს უახლოეს მეგობარს ნიკოლოზ ივანეს ძე გულაკს (1868-1886), რომელმაც არაქართველთა შორის პირველად დაწერა მეცნიერული გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და აღნიშნა მისი მსოფლიო მნიშვნელობა.

30 წლის მანძილზე თბილისში ცხოვრობდა შესანიშნავი მთარგმნელი, წარმოშობით უკრაინელი ივანე ფელიქსის ძე ტხორჟევსკი. თავის მეუღლესთან ერთად მან რუსულად გადათარგმნა ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვ. ორბელიანის ქმნილებანი.

უკრაინის დემოკრატიული ინტელიგენცია დიდ ინტერესს იჩენდა ქართული კულტურისა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლების მიმართ.

უკრაინის საზოგადოებრიობა მხურვალედ მიესალმა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავს. უკრაინის მწერლებმა მიხ. კოციუბინსკის მეთაურობით იუბილარს გამოუგზავნეს ადრესი, რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენმა სახელმა და დიდებამ დიდიხანია გადალახა კავკასიის ფარგლები და ჩვენ, უკრაინელები, სიამოვნებით ვკითხულობთ ჩვენს ენაზე ზოგიერთ თქვენს ნაწარმოებს. ისინი ისევე წვდებიან ჩვენს გულებს, როგორც თქვენი თანამემამულეებისას. დღეს თქვენ მო-

გესალმებათ ჩვენი ხალხი და ზეიმით აღნიშნავს თქვენი მრავალი წლის შრომას მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე. ჩვენ, შვილები იმ ერისა, რომელიც ისეთივე ბედქვეშ იმყოფება, როგორც თქვენი ხალხი და თქვენი ხალხისამებრ იბრძვის თავისუფალი თვითგანვითარებისათვის, მთელი ხმით ვუერთდებით იმათ, ვინც თქვენს დიდებას უმღერის“.

კიევში მოსწავლე სტუდენტი ნესტორ ღამბარაშვილი 1895 წლიდან ცხოვრობდა დიდი უკრაინელი მწერალი ქალის ლესია უკრაინკას მშობლების ოჯახში. იგი იყო პირველი ქართველი, რომელმაც გაიცნო ლესია უკრაინკა და ურჩია მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დასახლებულიყო საქართველოში.

ათი წელიწადი (1903-1913) დაჰყო საქართველოში ლესია უკრაინკამ. იგი ცხოვრობდა თბილისში, ქუთაისში, თელავში, ხონში. აქ დაუახლოვდა მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ეწეოდა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას. საქართველოში ყოფნის პერიოდში დაწერა მან რევოლუციამდელი უკრაინული დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებანი — „ტყის სიმღერა“, „ქვის ბატონი“ და სხვა შესანიშნავი ნაწარმოებები. ლესია უკრაინკა გარდაიცვალა სურამში 1913 წლის 1 აგვისტოს.

ორი მოძმე ხალხის მეგობრობისა და ძმობის დიდ მატიანეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თეატრალურმა მოღვაწეებმა. საქართველოს თეატრების სცენებზე დიდი წარმატებით იდგმებოდა უკრაინული დრამატურგიის კლასიკოსების ი. პ. კოტლიაროვსკისა და გ. ფ. კვიტკო-ოსნოვიანკოს პიესები. აქ საგასტროლოდ ჩამოდიოდა თითქმის ყველა გამოჩენილი უკრაინელი მსახიობი, მათ შორის მ. კროპივნიცკი, ა. სუხადოლსკი, ე. ზარნიცკაია, მ. ზანკოვეცკაია, მ. სტარიცკი, გ. ზატირკევიჩ-კარპინსკაია და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში უკრაინის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კოტე მარჯანიშვილმა. დიდი რევოლუციური ტემპერამენტით და ოპტიმისტური პათოსით იყო გამსჭვალული მის მიერ 1919 წელს კიევში დადგმული „ცხვრის წყარო“.

1907 წელს ოდესის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას ასრულებდა დამსახურებული პროფესორი ვასილ პეტრიაშვილი.

თავისი ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებში (1872-1880) კიევის სამხედრო გიმნაზიაში ირიცხებოდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსი დავით კლდიაშვილი.

კიევში სწავლობდა და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდა მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული მებრძოლი ლადო კეცხოველი, რომელიც 1898 წელს გარიცხული იქნა თბილისის სასულიერო სემინარიიდან მოსწავლეთა გაფიცვის ხელმძღვანელობისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, უკრაინაში დიდი მუშაობა გასწია სერგო ორჯონიკიძემ, როგორც საბჭოთა მთავრობის საგანგებო კომისარმა. იგი ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შექმნას, საბჭოთა რესპუბლიკის მომარაგებას პურით და სხვა პროდუქტებით, რაზმავდა კომუნისტებს გერმანელი იმპერიალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად, აყალიბებდა წითელი არმიის რაზმებს.

1919 წლის შემოდგომაზე ი. ბ. სტალინთან, კ. ე. ვოროშილოვთან და ს. მ. ბუდიონთან ერთად ს. ორჯონიკიძე გაგზავნილ იქნა სამხრეთის ფრონტზე დენიკინის ურდოების განადგურების გეგმის განსახორციელებლად. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბრძოლებს დონბასის, ხარკოვის განთავისუფლებისა და მთელი მარცხენა ნაპირის უკრაინიდან თეთრგვარდიელთა განდევნისათვის.

დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა მოიხვეჭა უკრაინაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწემ ლავრენტი ქართველიშვილმა. 1918 წლის მაისში ბოლშევიკური ორგანიზაციების სრულიად უკრაინის არალეგალურ თათბირზე ლ. ქართველიშვილი აირჩიეს სრულიად უკრაინის დროებითი პარტიული ცენტრის წევრად; 1920 წლის დასაწყისში, დენიკინის არმიის განადგურებისა და ოდესის განთავისუფლების შემდეგ ლ. ქართველიშვილი მუშაობდა პარტიის ოდესის საოლქო კომიტეტის მდივნად და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორად, შემდეგ წლებში იყო პარტიის კიევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი.

უკრაინაში უცხოელ ოკუპანტთა და შინაურ კონტრრევოლუციონერთა განადგურებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს სამოქალაქო ომის ლეგენდარულმა გმირმა, წითელი არმიის დივიზიის მეთაურმა ვასილ კიკვიძემ და პარტიზანული რაზმის მეთაურმა, ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა, XII არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა ლუკიანე თაბუკაშვილმა.

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს საქართველოსა და სომხეთის კულტურულ თანამეგობრობას. ამ ორი ერის სვებედი ყოველთვის მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. „ჩვენ კარგად ვიცით, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, როცა კა

პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... მინამ სომხეთი იყო, საქართველოს რომ თათრობა მიესევოდა, ჯერ სომხეთი უნდა გადმოელახა, ამიტომაც ჩვენი უდიდესი მეფენი და სამეფოს კაცნი არაფერს არა ზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა კი გაუჭირდებოდათ".

საქართველოსა და სომხეთის ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, გაბრიელ სუნდუკიანცი, ოვანეს თუმანიანი, გეორქ ბაშინჯაღიანი, ვაჰან ტერიანი და ამ ორი ერის სხვა სახელოვანი შვილები.

ცნობილი სომეხი საბჭოთა მწერალი დერენიკ დემირჭიანი, რომელიც დაიბადა საქართველოში და აქ გაატარა თავისი ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები, წერდა: „სომეხი საზოგადოებრიობისათვის საქართველო მრავალი წლის მანძილზე იყო სომხური კულტურის თავშესაფარი. თბილისში ვითარდებოდა სომხური თეატრი, სკოლა, პრესა, ლიტერატურა, მუსიკა".

თბილისის სემინარიაში სწავლობდა და დერპტის (ახლანდელი ტარტუს) უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1837 წლიდან 1843 წლამდე აქ, თბილისის სამაზრო სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა დიდი სომეხი მწერალი, განმანათლებელი, პედაგოგი და ეთნოგრაფი, ახალი სომხური ლიტერატურისა და ახალი სომხური ლიტერატურული ენის ფუძემდებელი ხაჩატურ აბოვიანი.

თბილისი იყო უშრეტი წყარო სომხური დრამატურგიის კლასიკოსის გაბრიელ სუნდუკიანცის შემოქმედებისა. აქ დაიბადა და ხანგრძლივად ცხოვრობდა იგი. თბილისის ქარგაზეა გაშლილი მისი შესანიშნავი პიესა „პეპო". ქართველი და სომეხი ხალხების ძმურ ურთიერთობას შესანიშნავად გამოხატავს აკაკი წერეთლის ლექსი, რომელიც მან უძღვნა თავის ძველ, გულითად მეგობარს გაბრიელ სუნდუკიანცს:

შენ სომეხი ხარ და მე ქართველი,
მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა;
ორივე შვილი ერთი მიწა-წყლის,
ერთ მიდამოსი და ერთი მთისა.

თბილისში მიიღო განათლება სომხური ლიტერატურის კლასიკოსმა, შესანიშნავმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმა. აქვე იგი 1921 წლამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა 1912 წელში დაარსებულ კავკასიის სომეხ მწერალთა ამხანაგობას. თავის პოეტურ ნაწარმოებებში ოვანეს თუმანიანი უმღეროდა მეგობრობისა და ძმობის იდეას. მან მრავალი ლექსი უძღვნა მოძმე საქართველოს. მათ შორის შესანიშნავი პოეტური ქმნილებანი — „შერიგება" (1892), „ბარათაშვილის აკლდამასთან" (1893), „საქართველოს" (1916), „საქართველოს სულისკვეთება" (1918), „ქართველ პოეტებს" (1919) და სხვ.

1883 წლიდან თბილისში ცხოვრობდა და აქ დაიწყო ლიტერატურული შემოქმედება სომხური ლიტერატურის კლასიკოსმა, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახალხო მწერალმა, ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ შირვანზადემ (ალექსანდრე მინასეს ძე მოვსესიანმა). აქვე დაიბეჭდა პირველად მისი საუკეთესო ნაწარმოებები — „ნამუსი", „ქაოსი", „არტისტი", აგრეთვე რჩეული თხზულებანი სამ ტომად რუსულ ენაზე.

საქართველოს მკვიდრი იყო თვალსაჩინო სომეხი პოეტი და სომხურ ენაზე ვ. ი. ლენინის თხზულებათა პირველი მთარგმნელი ვაჰან ტერიანი. მისი ლექსების პირველი კრებული თბილისში დაიბეჭდა 1908 წელს.

ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი ამბობს: „მუსიკა მე პირველად შევიცანი თბილისში, სადაც დავიბადე. თორმეტი წლისა ვიყავი, როცა პირველად ვნახე ოპერა. ეს იყო ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი". ბავშვობასა და ჭაბუკობაში თბილისში მოსმენილმა მუსიკამ უეჭველად იქონია გავლენა შემდეგ წლებში ჩემს მუსიკალურ შემოქმედებაზე".

დიდი ხნის ისტორიულ მანძილზე ვითარდებოდა ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობა თავის მეორე კარის მეზობელთან — აზერბაიჯანთან. 1834 წლიდან თბილისში მსახურობდა და დიდი ხნის მანძილზე აქ შემოქმედებითს ცხოვრებას ეწეოდა უდიდესი აზერბაიჯანელი მწერალი-დრამატურგი, განმანათლებელი, ფილოსოფოსი-მატერიალისტი, დემოკრატი მირზა ფატალი ახუნდოვი. 1853 წელს პირველად თბილისში დაიბეჭდა მისი ექვსი კომედია, რომლებიც თვით ავტორმა თარგმნა რუსულ ენაზე. ქართველი მწერლებიდან აკაკი წერეთელმა პირველმა გადმოთარგმნა მირზა ფატალი ახუნდოვის ცნობილი პიესა „ხანის ვეზირი".

1899-1904 წლებში გორის სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობდა და პირველად აქ დაეუფლა მუსიკალური თეორიის ელემენტებს ცნობილი კომპოზიტორი, აზერბაიჯანელი საოპერო ხელოვნების ფუძემდებელი და საზოგადო მოღვაწე უზეირ ჰაჯიბეკოვი. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და სისტემატურად იდგმებოდა მისი საოპერო ნაწარმოებები, განსაკუთრებით „არშინ მალ ალან".

ვ. ი. ლენინი ერთ-ერთ წერილში ა. მ. გორ-

კის წერდა: „...კავკასიაში ს.-დ. ქართველები+სომხები+თათრები+რუსები ათ წელიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, ერთიან ს. დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა“. რევოლუციური მარქსისტები, კომუნისტები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლით კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობას ძირს რომ უთხრიდნენ, ამით ნიადაგს ამზადებდნენ ყველაზე უფრო სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილებისა და, მაშასადამე, ხალხთა სოციალისტური კულტურული თანამეგობრობის დამყარებისათვის.

აზერბაიჯანის მშრომელ მასებში წლების მანძილზე დაუცხრომელ რევოლუციურ და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი ბოლშევიკები იოსებ სტალინი, ლადო კეცხოველი, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, სერგო ორჯონიკიძე, აბელ ენუქიძე, ვანო სტურუა, მუშათა კლასის საქმისათვის სხვა თავდადებული მებრძოლები.

1901 წლის სექტემბერში ი. სტალინის და ლ. კეცხოველის თაოსნობით ბაქოში არალეგალურად გამოვიდა პირველი ქართული ლენინურ-ისკრული გაზეთი „ბრძოლა“.

სოციალისტურმა რევოლუციამ წინათ არსებულ კულტურულ კავშირურთიერთობას ერებს შორის მისცა ახალი შინაარსი და დიდი მასშტაბი, რაც განაპირობა საბჭოთა წყობილების ეკონომიურმა, პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა საფუძვლებმა.

დიდია რუსი საბჭოთა მწერლების როლი მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურათა ურთიერთგამდიდრების მუდმივ პროცესში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გრძელდებოდა ა. მ. გორკის ახლო კავშირურთიერთობა საქართველოსთან, მის კულტურასთან. 1928 წლის 24 ივლისს თბილისში ჩამოსვლის დროს ა. მ. გორკი შეხვდა ქართველ მწერლებს და მოუწოდა მათ, რაც შეიძლება მჭიდრო თანამშრომლობა დაემყარებინათ სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მხატვრული სიტყვის ოსტატებთან. აი რა თქვა მან:

„ლიტერატურაში, მე ვფიქრობ, ჩვენ უნდა მოვაგვაროთ შემოქმედებითი მიღწევათა ურთიერთგაცვლა. ქართველმა მწერლებმა თავიანთი ხელნაწერების თარგმანები უნდა დაბეჭდონ მოსკოვში რუსულ ენაზე. ასევე უნდა მოიქცნენ სომხები და თათრები. თავის მხრივ რუსმა მწერლებმა თავიანთი ხელნაწერები უნდა გამოსცენ ეროვნულ ენებზე თბილისში, ხარკოვში, ყაზანში და ა. შ. გამოცდილების ასეთი ურთიერთგაზიარება, უეჭველია, ხელს შეუწყობს საყოველთაო დაახლოებას და ერთმანეთის უფრო ღრმად გაცნობას“.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქართველ პოეტებთან და ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებთან ახლო მეგობრულ ურთიერთობას განაგრძობდა ვლ. მაიაკოვსკი, რომელიც აქ მკითხველთა ფართო აუდიტორიაში კითხულობდა თავის ლექსებს, გამოდიოდა მოხსენებებით და ა. შ. 1924 წელს ვლ. მაიაკოვსკიმ საქართველოს უძღვნა ერთ-ერთი თავისი საუკეთესო ლექსი „ვლადიკავკაზი — თბილისი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკაში“.

20-იან წლებში რუს და ქართველ პოეტთა სულიერ დაახლოებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ს. ესენინმა. ლექსში „კავკასია“ იგი წერდა იმის შესახებ, თუ „როგორ მიეშურებოდა ოდითგანვე ჩვენი რუსული პარნასი უცხო ქვეყნებისაკენ“, როგორ დაუმოყვრდა კავკასიას პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის მუზა. ლექსში „ქართველ პოეტებს“, რომელიც პირველად თბილისში დაიბეჭდა, პოეტი იგონებდა რა წარსულს, აღნიშნავდა, რომ რევოლუციამდელ რუსეთში „თუმცა ომობდა მრავალი ტომი, პოეტები როდი ჩხუბობდნენ“, მაგრამ მხოლოდ საბჭოურ ეპოქაში თავისუფლად ისმის სხვადასხვა ხალხის პოეტური ხმები.

1921 წელს საქართველოში მუშაობდა ჩაპაევის ლეგენდარული დივიზიის კომისარი დიმიტრი ფურმანოვი. იგი იყო XI არმიის პოლიტგანყოფილების სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების უფროსი და რედაქტორი გაზეთისა „კრასნი ვოინ“, რომელიც დაარსდა ს. მ. კიროვის თაოსნობით. დ. ფურმანოვი დიდი ინტერესით ეცნობოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, სწავლობდა მის ყოფას, ეკონომიკას, კულტურას, სახელოვან ისტორიულ წარსულს. საქართველოში ყოფნამ წარუშლელი კვალი დატოვა შესანიშნავი მწერლის ცხოვრებაში.

ქართულ კულტურას ახასიათებს და მის გამდიდრებას ხელს უწყობს ინტერნაციონალიზმი, რომელიც საერთოდ სოციალისტური კულტურის თვისებაა.

სოციალისტური შინაარსი ქართულ კულტურას შესაძლებლობას აძლევს თავისი ეროვნული ტრადიციები შეუფარდოს საბჭოთა კულტურის განვითარების საერთო ინტერესებს.

ქართველი ხალხი ავითარებს თავის კულტურას სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან ძმური თანამშრომლობის, კულტურათა ურთიერთგამდიდრებისა და კულტურულ ფასეულობათა გაცვლის საფუძველზე.

საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე თბილისში ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: „ქართველ მუშათა და გლეხთა, საქარ-

თველოს ინტელიგენციის დაუცხრომელი შრომის მეოხებით საქართველოს სახალხო მეურნეობას, მის კულტურას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთელი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

... საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებენ ქართველი მეცნიერები. აქ შეიქმნა მათემატიკური, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო სკოლები, რომლებიც საბჭოური მეცნიერების სიამაყეს წარმოადგენენ. საქართველოს ახლა აქვს არა მარტო შესანიშნავად მოწყობილი ინსტიტუტები, არამედ ჰყავს მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერები, რომლებსაც სხვა რესპუბლიკების მეცნიერთა თანამეგობრობით უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესში".

სოციალიზმის პირობებში ქართული ლიტერატურა და ხელოვნება გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და ფართო ფრონტით გავიდა საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე.

ახლა საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ გამოდის 2000-ზე მეტი დასახელების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი აღემატება 17 მილიონ ეგზემპლარს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" გამოიცა თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მოძმე ხალხთა ენებზე მრავალრიცხოვანი ტირაჟებით გამოვიდა აგრეთვე ქართული კლასიკური ლიტერატურისა და თანამედროვე ქართველი საბჭოთა მწერლების საუკეთესო ქმნილებანი. მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებების გამოცემათა რაოდენობის მხრივ საქართველოს მესამე ადგილი უჭირავს სსრ კავშირში რუსეთის ფედერაციისა და უკრაინის შემდეგ, ხოლო ტირაჟის მხრივ — მეოთხე ადგილი რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ლატვიის შემდეგ.

რუსული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრების თარგმნა საქართველოში ყოველთვის ითვლებოდა საპატიო საქმედ. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ თავის გაზეთში „ივერია" აღზარდა შესანიშნავ მთარგმნელთა მთელი პლეადა — ი. მაჭავარიანი, გ. ყიფშიძე, ნ. ავალიშვილი, თ. სახოკია, ი. ახალშენიშვილი, ი. აღლაძე და სხვები. საუკეთესო მთარგმნელი იყო თვით ილია. აკაკი წერეთლის მიერ ქართულად ნათარგმნი კრილოვის იგავები მხატვრული თარგმნის სწორუპოვარ ნიმუშად შეიძლება მოვიჩნიოთ.

საბჭოთა საქართველოში უკვე ომამდელ წლებში ითარგმნა და გამოიცა რუსული კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა რუსული, აგრეთვე სხვა მოძმე ერების მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები.

ქართული თეატრების სცენებზე დიდი წარმატებით იდგმება მოძმე რესპუბლიკების ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებები.

საქართველოში ცხოვრობენ და ღვიძლი ძმებივით ხელიხელჩაკიდებული შრომობენ მრავალი ათეული ერის წარმომადგენლები. ინტერნაციონალური შეკავშირება და მჭიდრო თანამშრომლობა მოიცავს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების ყველა მხარეს.

სოციალისტური ერების კულტურული თანამეგობრობის მსოფლიო ისტორიული წარმატებები უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია მთელი კაცობრიობის კულტურული პროგრესის გზაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*სერგი დურმიშიძე*

# სოსოს სიყვარული

„მე მინდა ჩემზეც იფიქროთ ხოლმე ხანდახან“.

ი. გრიშაშვილი

## მცირე მოგონება

**1961** წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩატარდა. საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან იყვნენ სტუმრები. ბანკეტი რესტორან „თბილისში“ გაიმართა. სტუმარ-მასპინძელთა შეკრებას ბატონი ნიკო მუსხელიშვილი განაგებდა. სოსო და მე სუფრასთან ერთად მოვხვდით და დროდადრო ვსაუბრობდით. სოსო ასეთ გარემოცვაში ადვილად იღლებოდა და დარჩენა უჭირდა.

— სერგი, მოდი ერთი საწერეთლოში გადავსახლდეთ და ძველი ამბები მოვიგონოთ, მხოლოდ იცოდე — ჭერ ცელქური, ჭაბუკური, ლამაზმანებს რომ ეხებოდეს ისეთი, ხასიათი რომ გამომიკეთდეს, და შემდეგ რაც გინდა ის მიაყოლეო, — მომმართა სოსომ.

იოსებ გრიშაშვილს, როგორც ცნობილია, აკაკი და მისი პოეზია უსაზღვროდ უყვარდა, მასთან დაკავშირებული ამბების მოსმენა უდიდეს სიამოვნებად მიაჩნდა. საწერეთლოც ხომ მისი ერთ-ერთი საყვარელი კუთხე იყო. რა არ მოგვიგონებია, ვინ არ გაგვიხსენებია. აკაკის სამშობლოში ჩვენ ხომ ბევრი საერთო ნაცნობი და მეგობარი გვყავდა.

— აბა, რა იცი მავანი და მავანის შესახებ, წვრილად მომიყევი, არაფერი არ გამოტოვოო! — თვითონ კი ძველი თბილისის ამბების თხრობა უყვარდა.

— ახლა ჩემი ჭერია, წავიდეთ ძველ თბილისში „სოსოს მარშრუტითო“. ახლაც ნაცად ხერხს მიმართა, მოგონების სალერღელი მქონდა აშლილი.

მისგანვე ვიცოდი, რომ მისი ზოგიერთი ლექსის ანგელოსი ჩემი კუთხიდან იყო. რამდენიმე დღის წინ თვითონვე მიამბო: საჩხერელი თავადის ქალის „მ“-ს ალბომში ჩემი რამდენიმე გამოუქვეყნებელი ლექსი აღმოჩნდაო. მეც დავყევი მის ცდუნებას და ჩემი ბავშვობის დროინდელი სამყაროდან ნანახი თუ გაგონილი ამბები ამოვქექე.

— ჩემო სოსო, საწერეთლოდან ბევრი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ როგორც კარგად მოგეხსენება „თ“-ს ვერავინ შეედრებოდა; იგი ყოველმხრივ შემკული მანდილოსანი გახლდათ. თბილისიდან საჩხერეში მისი ჩამოსვლა სილამაზის დღესასწაულს ჰგავდა. სიცოცხლის ამ ბრწყინვალე ჭილდოს ყველა ჩვენთაგანი წმინდად და ამაღლებულად შევხაროდით. რა ლეგენდას არ გაიგონებდით მასზე! ახალგაზრდები ჰყვებოდნენ: ღამღამობით, ფრიდონის წისქვილთან, თხმელების ქვეშ დედიშობილა „თ“-ს ჩიხურის ვერცხლისფერი ტალღები ეალერსებაო. ვის ოცნებას არააფორიაქებდა სილამაზის ქალღმერთის ამ ქვეყნად მოსვლა! დადგა დრო და მე და ჩემ ტოლებსაც დაგვკრა თავში ასაკმა, ქვეყანა უეცრად ზღაპრული ოცნებებით აივსო. ერთ-ერთი საოცნებო ზაფხულის თვეში, გვიან საღამოს, რამდენიმე ბიჭი საიდუმლოდ ჩავეკონეთ წყლისაგან გაშიშვლებულ თხმელების ფესვებს და სულგანაბული ვუცდიდით ოცნების ხილვას. დიდხანს ვუცა-

დეთ, როგორც მაგონდება, მგონი რამდენიმე საუკუნეც კი გავიდა, მაგრამ არავინ ჩანდა. ის-ის იყო მთვარე ამოიწვერა, რომ თხმელათა დაბურული ტევრი შეირხა და... აზრის დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ სოსომ უეცრად პირზე ხელი დამაფარა და შემეხვეწა:

— თუ ღმერთი გწამს, მეტი არაფერი აღარ თქვაო.

ამ დროს ჩემი შეჩერება არც ისე ადვილი საქმე იყო, მაგრამ აბა რას ვიზამდი, დავდუმდი, მგოსნის სურვილი ჩვენთვის ხომ ხშირად კანონია.

კარგა ხნის შემდეგ ორივენი კვლავ სუფრის ფერხულში ჩავებით. ჩვენი საპატიო სტუმარი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მსტისლავ ვსევოლოდის-ძე კელდიში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას, ჩვენი აკადემიის პირველ პრეზიდენტს ბატონ ნიკოს დამსახურებისა და კუთვნილებისამებრ მიუზღავდა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა და ჩემი ნაამბობი უკვე დავიწყებული მქონდა, რომ სოსომ ამოიკვნესა:

— თქვე უნამუსოებო, მერეც ხომ მრავალჯერ ჩაუსაფრდით ქალღმერთსო.

— ბატონო სოსო, შემდგომში არცერთ ჩვენგანს მისი ხილვის არავითარი სურვილი არ გაგვჩენია; შე კაი კაცო, აზრის დამთავრება არ დამაცადე. იმ დიდი ოცნების ღამეს ფრიდონის მორევში „თ“-ს ნაცვლად მეწისქვილის მეუღლე „დ“ დავინახეთ.

აფეთქება, აბა, ახლა უნდა გენახათ! დიდხანს იცინა, იკისკისა, სიხარულით ხელებს იმტვრევდა.

— მადლობა ღმერთს, რომ მეგობრებად დაგვტოვა; შენ რომ მისი ღვთაებრივი სილამაზე გეხილა, მე და შენ ახლა ერთმანეთის მოსისხლე მტრები ვიქნებოდითო, — მომეალერსა სოსო.

სუფრა თანდათან შევიდა თავის ეშხში. ბატონმა ნიკომ სიტყვა ალექსანდრე ოპარინს მისცა. მან საქართველოს, მისი დიდი პოეზიისა და მეცნიერების სადღეგრძელო შემოგვთავაზა. ყველამ იგრძნო, რომ იგი ქართველი კაცის შინაგან სამყაროს კარგად იცნობდა. სოსოს მოეწონა ოპარინის სიტყვა.

— მართლა თუ უყვარს პოეზია შენს ოპარინსო, — მეკითხებოდა იგი. გაეხარდა როდესაც გაიგო, რომ ალექსანდრე ივანეს-ძე ლექსის დიდი ტრფიალი იყო.

ჩვენს მახლობლად გიორგი წერეთელი და ალექსანდრე ბარამიძე „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე საუბრობდნენ. ერთხანს სოსოც ჩაება ამ პაექრობაში, მაგრამ მალე ისევ მოწყინდა იქაურობა და კვლავ მთხოვა კიდევ რამე ამბავი მომეთხრო.

მე ვცდილობდი მისი თხოვნა შემესრულებია, მაგრამ სოსოს სურვილთა საწყაულს რა ალავსებდა!

თვალისიერიდან სუფრა მთლიანად დაჰკარგა და ერთთავად წარსულში უნდოდა ყოფნა.

— მოდი, თბილისის ძველ უბნებს ვესტუმროთ, ახლა მე გიმასპინძლებო.

ლენინის მოედნიდან ნარიყალას ფუძეს მივეტანეთ. სოსო უსიტყვოდ ეალერსებოდა ცაში აზიდულ პატარა აივნებს და ეკლესიების ხავსმოდებულ ლოდებს.

იდგა მივიწყებულ საფლავებს შორის და ხმამაღლა ფიქრობდა:

— კაცის წარსულსაც ისევე სათუთად უნდა მოექცე, როგორც ცოცხალ არსებასო...

• • •

ლამენათევი მგოსნისათვის ჯერ კიდევ ძილის დრო იყო, როდესაც სოსო აკადემიაში მოვიდა.

— სერგი, პირობა შევასრულე, ანდერძი მოვიტანე, რაც მაბადია, აკადემიას ვუტოვებ. რა ძნელი ყოფილა ანდერძის შედგენა. იცი, რაზე მწყდება გული, სიცოცხლესა და წიგნს რომ ერთდროულად უნდა გავეცალო. ძნელია ორი მეგობრის ერთად დაკარგვა. ვიცი, წიგნებს შესანიშნავ, ჩემზე უკეთეს პატრონს ვაბარებ, მაგრამ... ყოველ წიგნთან ხომ მაქვს რაღაც მოგონება, ამას ხომ წიგნში ვერავინ ამოიკითხავს, ეს ვისღა ვუანდერძო, მითხარიო, — მეკითხებოდა სოსო.

— ჩემი ანდერძის პირველი მსაჯული შენ უნდა იყო. წუხელ რამდენჯერმე გადავაკეთე, მაგრამ მაინც არ მომწონს, რაღაც არ გამოდის, შენ იცი და ამ ეპისტოლემ...

ანდერძის შესახებ ჩვენ ადრეც გვქონია საუბარი და თითქოს ახალი არაფერი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ როცა მაგიდას მივუსხედით და წინ მისი ხელით დაწერილ ანდერძს დავაცქერდით, ორთავეს რაღაც უჩვეულო გრძნობა დაგვეუფლა.

დოკუმენტში სოსოს თავისი მრავალი სურვილი და გულისტკივილიც ჩაეწერა, ბიბლიოთეკის მომავალი მუშაობის გეგმაც დაესახა. ცხადი იყო, რომ ამ სახით იგი, როგორც იურიდიული საბუთი, არ გამოდგებოდა. ავტორის ნებართვით ანდერძი აკადემიის პრეზიდიუმის სწავლულ მდივანს დავით ფურცელაძეს გავაცანი. მან, როგორც სამართლის მეცნიერების წარმომადგენელმა, საგულისხმო შენიშვნები მოგვცა. სოსო დათანხმდა, რომ ანდერძს გადააკეთებდა. ხელნაწერი დამიტოვა, ხელს შემიშლის ახლის შედგენაშიო, და აღგვითქვა, რომ ორ-სამ დღეში ახალს მოგვიტანდა.

რამდენიმე დღის შემდეგ შეწუხებული მოვიდა, არაფერი არ გამოდის, ვერაფერი ვერ დავწერე და მიშველეთ, მომეხმარეთო.

მე ვეხუმრე, ანდერძი რომ შენი ხელით არ იქნება დაწერილი, ერთიც ვნახოთ და ძველებური ჩვევების მიხედვით დაგვიწერო — „დამიბრუნეთ, დამიბრუნეთ, დამიბრუნეთო“; მაშინ როგორ მოვიქცეთ-მეთქი. გაეცინა. საიდუმლოდ მითხრა — ახლა „დამიბრუნეთ“ კი არა, „დამიბრუნდი, დამიბრუნდის“ დაწერაც გამიჭირდებაო. სიტყვა ოჯახზე ჩამოვარდა; წუხდა, ანდერძში ჩემთვის საყვარელი ყველა ადამიანი ვერ მოვიხსენიეო. ვანუგეშე, რას ვიზამთ, პოეტის ნათქვამია — სიყვარულსა მალვა უნდა-მეთქი.

ანდერძი შევასწორეთ, შევავსეთ და საბოლოო რედაქცია გავუკეთეთ. სოსო მაინც ბორგავდა, როგორ გააშიშვლეთ, გაალარიბეთ, მგოსნის ნაწერს არა ჰგავსო. იხვეწებოდა: — ჩემ მიერ შედგენილი წიგნის სიყვარულის კოდექსი მაინც შეიტანეთ ამ ჩემს ანდერძში უცვლელადო.

• • •

თბილისში ჩვეულებრივზე მეტად ცხელოდა. ნაშუადღევი იყო, მაგრამ ქუჩაში მოსიარულენი მაინც ჩრდილს ეტანებოდნენ. უნივერსიტეტთან ჭადრების ქვეშ შეფარებულ ხალხში იოსებ გრიშაშვილი შევნიშნე. ეტყობოდა, სხვა სამყაროში იმყოფებოდა. გამოველაპარაკე და პეტრიაშვილის ქუჩისაკენ ერთად გავეშურეთ. ნელი ნაბიჯით მიდიოდა, დუმდა. ფოსტასთან დამემშვიდობა, ფიქრის გორისაკენ მიმავალ ქუჩას გაჰყვა. ასეთი სოსო არასოდეს არ მენახა. შეუძლოდ მომეჩვენა და არ მივატოვე, თან გავყევი. კარგა ხანს იჯანჯლა:

— შენ შენს გზას გაუდექი, მე ჩემი საქმე მაქვსო.

მაინც არ მოვეშვი და ფიქრის გორამდე ერთად ჩავედით. მე პურის საცხობთან დავრჩი, თვითონ კი სვიმონ კლდიაშვილისეული სახლისაკენ გასწია.

— ვიღაც ნაცნობს უნდა შევხვდე და მალე დავბრუნდები, შენ აქ დამიცადეო.

დავედევნე. ფიქრის გორის გადასახედამდე მივიდა, იქ შეჩერდა, ერთხანს უძრავად იდგა, შემდეგ შემობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით უკან წამოვიდა. ქუჩის დასაწყისში რომ დამინახა, იწყინა.

— აქ რა გინდა, მე ხომ ზევით დაგტოვე! — აღგზნებული მომეჩვენა. „კურდღლის ტუჩის“ საულვაშე ცვარს დაენამა, თვალები უკიაფობდა, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, მეხვეწებოდა, სწრაფად წავიდეთ აქედანო.

რა მოხდა, რა მოუვიდა! — ჩემი თვალით ვნახე არსად არ შესულა, არავის არ შეხვედრია. მისი ამწამიერი განცდის შეცნობის სურვილმა სულის ტკივილამდე შემიპყრო. როგორ არ შევეხვეწე, რა არ ვიღონე, მაგრამ არაფერი არ გამომივიდა. წამოვედით. ლენინის ქუჩაზე ივანე მაჩაბლისეული სახლის წინ გამაჩერა.

— სერგი, ივანეს დროს ამ სახლის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის იქით, მტკვარზე ჩასასვლელი ბილიკი იყო. იმ წყეულ ღამეს ივანე თურმე აივანზე რამდენჯერმე გამოსულა და აი, აქედან არის იგი ჩასული მტკვარზე. ვინ იცის, რა ფიქრები აეშალა მტკვრის პირას, როგორ დაიკვნესა დაკოდილმა გულმა! იმ დღეებში მტკვარიც ხომ ულმერთოდ იყო ადიდებული, რამდენი ადამიანი დაიკარგა უკვალოდ?!

შენ რა, როგორ მიყურებ, არ გაინტერესებს ჩემი აზრი ივანე მაჩაბლის ბედზე? — მე არაფერი არ ვუპასუხე. გზა გავაგრძელეთ და მალე კიროვის სახელობის ბაღში ამოვყავით თავი. ლავრენტი არდაზიანის საფლავთან მიმიყვანა, ნაღვლობდა — მოუვლელიაო. ერთხანს ბაღში უბრად ვისხედით. ის-ის იყო ჩვენ ჩვენ გზას უნდა გავდგომოდით, რომ სოსომ დაიწყო:

— 1915 წელს ფიქრის გორაზე ერთი ქალი გავიცანი, უმალვე მოსვენება დავკარგე და ჩემი სულის ნიაღვარი ათიოდე ლექსში დავაოკე. ერთ წელში ჩვენი ნაცნობ-მეგობრობა გათავდა. მან მე ჯვარზე მაცვა. მე ის ქვეწარმავალთა მოდგმას მივაკუთვნე. ახლა იგი აქედან შორსაა გადახვეწილი. მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა და მაინც მისი სიყვარულის დაღლას თანდაყოლილი გულისტკივილით ვატარებ. ახლა ხომ გაიგე, თუ ვის შევხვდი დღეს, ფიქრის გორაზე. ყოველ წელს მივდივარ ხოლმე მასთან შესახვედრად იქ, სადაც პირველად ჩაისახა ჩვენი უბედო სიყვარულიო, — დაასრულა სოსომ.

... რამდენიმე წელია, რაც იოსებ გრიშაშვილი თვალს მიეფარა, მის ქალაქში მისი ფიქრების მრავალი გორაა ახლაც შემონახული, სოსოს ეშხი და ლაზათი კვლავ ამშვენებს თბილის-ქალაქს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნი გურამიშვილზე

თავისი ახალი წიგნის „გოდების“ ჟანრული თავისებურება ელგუჯა მაღრაძეს ასე განუსაზღვრავს ამავე წიგნისადმი დართულ ანოტაციაში: „ეს წიგნი არაა დავით გურამიშვილის ცხოვრების მეცნიერული გამოკვლევა, არც ბიოგრაფიული რომანია, არც მონოგრაფია გახლავთ, არც წმინდა რომანის პრეტენზია გააჩნია. ესაა მწერლის შემოქმედებიდან ნაქონი და თითქოს მოსმენილი შინაგანი მონოლოგებითა და ხმებით აღდგენილი ისტორიული სინამდვილის მხატვრული გააზრება“. ეს აუცილებლად საჭირო განმარტება იყო და ისიც გვინდა ვთქვათ, რომ იქნებ თვით თემამ უკარნახა ავტორს დასდგომოდა ამ გზას. და აი, რატომ: გურამიშვილის ცხოვრებიდან ჩვენ ბევრი რამ ვიცით და ბევრი რამ არ ვიცით! ზოგი რამ პოეტმა თვითონ მოგვითხრო, ზოგი რამ კი გამოტოვა, და ამიტომ მის ბიოგრაფიაში დარჩა არაერთი ე. წ. „თეთრი ლაქა“, თუ კი შეიძლება ეს ტერმინი გეოგრაფიიდან ლიტერატურისმცოდნეობაში გადმოვიტანოთ. და აი, სადაც სარეცენზიო წიგნის ავტორი ფეხქვეშ მკვიდრ ნიადაგს გრძნობს, იქ იგი მეცნიერულ ანალიზს აკეთებს, ხოლო სადაც ყველაფერი ბურუსით არის მოცული, სადაც წყაროები არაფერს ამბობენ — იქ იგი ცდილობს ფანტაზია დაიხმაროს, ოღონდ ისე, რომ ეს საეგებიო, მაშინდელი სინამდვილის ზუსტი ანარეკლი იყოს. თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ ძნელ ამოცანას ელ. მაღრაძემ კარგად გაართვა თავი. ყოველივე ზემოთქმულის შესაბამისად, ამ წიგნის კითხვისას ჩვენს წინაშე ხან გულდინჯი მკვლევარია და ხანაც ნამდვილი ბელეტრისტი, რომელიც ცდილობს კი არ გამოიგონოს, არამედ აღადგინოს ისტორიული სინამდვილე, მხატვრულად გაიაზროს იგი.

„გოდება“ ერთი სუნთქვით არის დაწერილი. წიგნში ყურადღებას იქცევენ შესანიშნავი პასაჟები, გარემოსა და პეიზაჟების დასამახსოვრებელი აღწერანი, საქართველოს ძნელბედობით აღსავსე წარსულის ღრმა ანალიზი; აქ კარგადაა ნაჩვენები ჩვენი წინაპრების სიქველეც და გამჭრიახობაც, აქვე ვხედავთ იმ ადამიანებსაც, რომლებიც წინ ეღობებოდნენ მათ, ხელს უშლიდნენ, და ვიწრო ფეოდალური ინტერესებით შეზღუდულნი, დიდ ზიანს აყენებდნენ ქართული საქმის წინსვლას.

ერთგან ელ. მაღრაძე ასე წერს დ. გურამიშვილის ცხოვრების გზის შესახებ: „ერთი ბილიკი ლამისყანიდან იწყება: ირტოზის მთების ძირზე გაივლის, მჭადიჯვარზე გაივაკებს, ბერთა მთასა და ნაოზის შემოგარენზე ცისარტყელასავით შეიდფრად იელვებს, არაგვამდე მიაღწევს, იქ უკვალოდ გაქრება, მაგრამ ვერცხლისფრად მოლაპლაპე მდინარის გაღმა ისევ აღმოჩნდება კვალი, ნაკვალევი ჭოპორტისა და ზედაზენის მთებზეც აშკარად ატყვია, ერწოსა და თუშეთზეც გადაივლის და დროებით დაღესტანში, უნცუქულში დამთავრდება. მერე კვალთან მიყოლა კავკასიონთან მიგვიყვანს, იქიდან რუსეთს, უკრაინას, ყირიმს, ფინეთსა და პრუსიას მოივლის, ისევ უკრაინაში მირგოროდს ბრუნდება და იქ წყდება...“

ელ. მაღრაძე ნაბიჯ-ნაბიჯ, თანმიმდევრულად, წყაროებზე დაყრდნობით, გუმანითა და სწორი მიგნებებით, უმთავრესად კი თვით პოეტის შემოქმედების დეტალური ანალიზით მიჰყვება გურამიშვილის ნარეკლიან გზას.

ელ. მაღრაძის წიგნის დასაწყისშივე მკაფიო შტრიხებითაა გადმოცემული სამშობლოს მოწყვეტილი, უკრაინის ტრამალებში გადაკარგული, ფიზიკურად დავრდომილი მოხუცი პოეტის ფიქრები და განცდები, რომელმაც „უძეომა“ და „ბერწმა“ თავისი ლექსების წიგნი „იშვილა“ და კარგად იცოდა, „რომ შთამომავალთა შორის მხოლოდ თავისი გონითი ნაღვაწით შესძლებდა არსებობის გაგრძელებას“. უკრაინაში მყოფმა მოხუცმა პოეტმა გადაწყვიტა თავისი „დავითიანი“ კრემენჩუგს ჩამოსული მირიან ბატონიშვილისათვის გადაეცა საქართველოში წამოსაღებად. ამ ამბის გამო ავტორი შენიშნავს: „მას მხოლოდ ამ ერთხელ არ უმტყუნა ბედმა-მდევარმა, ახდა მისი უსასოო იმედი — „დავითიანი“ ქართველ ხალხს დაუბრუნდა“.

ელ. მაღრაძეს თავისი წიგნის პირველივე გვერდებიდან უშუალოდ შევყავართ დ. გურამიშვილის სამყაროში. სულ ნახევარ გვერდზეა აღწერილი პოეტის მამის — გიორგის, კახეთის ერთ-ერთი მდიდარი თავადის სახე, რომელსაც „თავისი ვაჟკაცური შემართებითა და გერგო-

---

ელგუჯა მაღრაძე, „გოდება“, 1974 წ. გამომცემლობა „ნაკადული“.

ლიანობით თუ რამე მოუმატებია გურამიანთ წინაპართა დევკაცური მხარმკლავების ოდინდელი დიდებისათვის, თორემ არა დაუკლიარა". ორიოდე სიტყვითაა მოხსენებული დავითის დედა — მზევინარ ვახვახიშვილი — „სათნო, ნაზი და ღვთისმოსავი ქალი". აი, ასე შეუმჩნევლად გადადის ავტორი ფაქტებიდან საეგებიოზე: ისტორიამ დავითის დედის არც სახელი იცის და არც გვარი.

ქართლის ცხოვრების ჩარხის უკუ ტრიალმა ბურუსით დაფარა დავით გურამიშვილის ცხოვრების გაზაფხულის ამბავი. „სამშობლოს უბედურება ნისლად დაეფარა მისი რჩეული შვილის ბავშვობას, ყრმობასა და სიჭაბუკეს". ელ. მაღრაძე მაინც ცდილობს გააცოცხლოს დიდი პოეტის ცხოვრების adრინდელი წლები და ცდილობს ისტორიულ სინამდვილესაც არ უღალატოს. დასამახსოვრებლად არის აღწერილ-დახატული გურამიშვილის სულიერი თუ მორალური ფორმირებისა და განსწავლის პირველი ნაბიჯები. ერთი მხრივ, დავით გურამიშვილის აღმზრდელად გვევლინება გლეხი ღმუილაანთ მიხა, ხალხური სიბრძნისა და კეთილშობილების, სივაჟკაცისა და სამართლიანობის განსახიერება, და, მეორე მხრივ, ვარსკვლავთმრიცხველი და მათემატიკოსი, ღრმად განსწავლული, ბერძნული და ლათინური ენების მცოდნე, ზედაზენის იოანეს ტაძარს შეხიზნული მღვდელი პავლე ლეკურიანიშვილი, რომელსაც დ. გურამიშვილის სულიერი ფორმირების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის. აქ, გზადაგზა, ელ. მაღრაძეს ეკლესიის მამათა — წმინდა ბასილის დიდის, გრიგოლ ნაზიანზელის და სხვათა თეოლოგიური მსჯელობანი მოჰყავს, მათ დავით გურამიშვილის პოემებსა თუ ლექსებში გაფანტულ აზრებსა და იდეებს adარებს და საინტერესო დასკვნები გამოჰყავს. წიგნის ავტორი აქაც საეგებიოსა და საალბათოს სფეროშია მოქცეული. არც ღმუილაანთ მიხასა და არც მღვდელ პავლე ლეკურიანიშვილს ისტორია არ იცნობს, მაგრამ ყველაფერი ეს შესაძლებლობის საზღვრებს არ სცილდება და ავტორს დიდი ტაქტით შემოჰყავს წიგნში ეს პერსონაჟები.

ელ. მაღრაძის წიგნში ცალკე აღსანიშნავია ლირიკული ფერადოვნებით აღსავსე ორი თავი: „ტირილი ღვთისმშობლისა" და „ზუბოვკელი ბეატრიჩე". ორივე თავი ნოველასავით იკითხება.

„ტირილი ღვთისმშობლისა" გურამიშვილის ყრმობისდროინდელ პირველ გამიჯნურების ამბავს ეხება. მართალია, დავითისა და ცისიერის სიყვარული ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება, მაგრამ ისე კარგად, რომანტიკული ფერებით არის ნაჩვენები ორი ახალგაზრდის ბედუკუღმართი მიჯნურობა, რომ ეს ამბავი ორგანულად არის შერწყმული წიგნის მთლიან ქარგასთან, წიგნის მთელ დედააზრთან. ეს მართლაც, პოეტის პირველი სიყვარულია, მისი უნეტარესი ტრფიალი, აქ არის მძაფრი ადამიანური ვნებები, მძიმე დანაკარგის სიმწარე, მაგრამ ამ ვნებათა მიღმა დიდი სულიერი სიფაქიზეა, ბედს შეურიგალი ტანჯვა-წამება. სიმბოლურია ისიც, რომ ახალგაზრდა ქვრივი ქალი მოთარეშე ლეკებს შემოაკვდებათ. ცისიერისა და დავითის სიყვარულის ეპიზოდს თავიდან ბოლომდე გასდევს დავით გურამიშვილის პოეზიის სურნელი. აქ წიგნის ავტორმა ხელახლა გადაიაზრა დიდი პოეტის ლექსებში ჩაქსოვილი სატრფიალო განწყობილებანი, ლირიკული აღსარებანი.

შთამბეჭდავია მეორე ლირიკული ნოველაც — „ზუბოვკელი ბეატრიჩე". დავით გურამიშვილს, ცხოვრებისაგან უკვე გატანჯულ და ნაწამებ კაცს ზუბოვკაში უცებ მიწის ნამდვილი შვილი ხვდება. „ჯანსაღი ნაბიჯით მოდიოდა, — წერს ავტორი, — თეძოგანიერი, თვალგიშერა, პირად თეთრი და შავ ხალებდამსხდარი, ეშხიანი უკრაინელი ქალი".

პოეტურია მათი შეხვედრები, მიჯნურობის პირველი, ფრთხილი ნაბიჯები, ვნების აფეთქება, სიცოცხლითა და სიმართლით აღსავსე მათი საუბრები, ბედდამწვარი დავითის მონოლოგი. მთელი ეს თავი დავით გურამიშვილის ერთ პატარა ლექსს „ზუბოვკელ ქალს" ეყრდნობა. აქ ხელახლაა დანახული ის, რაც დავითმა თავის ლექსში აღწერა. ბოლოს წიგნის ავტორი წერს:

„გურამიშვილმა „ზუბოვკით" ორი რამ მაინც დაამტკიცა, რომ ეს მგზნებარე პოეტი, მამაცი მეომარი, მარტოსული, მორწმუნე ქრისტიანი, ამავე დროს, უაღრესად ძლიერი, ამაღლებული გრძნობების კაცი და გატაცებული მიჯნური ყოფილა და, მეორეც, — რომ უკრაინელი ქალი ფრიად სპეტაკი, ოჯახის ერთგული, ზნეობრივად სამაგალითო ადამიანი შეხვედრია. სწორედ ასეთები ზრდიდნენ გადამთიელებთან მებრძოლ მამაც უკრაინელ ვაჟკაცებს და ინარჩუნებდნენ ამ ხალხის საუკეთესო adათ-წესებს. გურამიშვილი პირველი მწერალია, რომელმაც სხვისი ეროვნული სახეტე არ დააბინძურა, უკრაინელი ქალის პატიოსნებას, შეუვალობასა და სიმტკიცეს ასე უშუალოდ, გზნებით უმღერა და ჩვენს გულებში ნამდვილი სიწმინდის ძეგლი აუგო".

ელ. მაღრაძე არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც პოეტის ამ გამიჯნურების ამბავს მისტიკურ ბურუსში ხვევენ და ამტკიცებენ, თითქოს ზუბოვკელი ქალი ირრეალური სახე, რაღაც მისტიკური ალეგორია იყოს. ასეც განმარტავენ მაგალითად, სულამითის სახეს სოლომონის წიგნში „ქება ქებათა". ავტორი წერს: „გურამიშვილი ადამიანია, ზეციური მადლით ცხებული გონებით, ნიჭით, ნაკლითა და

ღირსებებით", და როგორც ყოველ მოკვდავისათვის, არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ არის: „მარცხიცა და წარმატებაც, სიყვარულიცა და ერთგულებაც, სინანულიცა და დაეჭვებაც". აქვე ძალზე საინტერესოა წიგნის ავტორის გონებამახვილური შენიშვნა იმის თაობაზე, რომ თვით „ქება ქებათაზეც" ხომ მეცნიერთა შორის გაუთავებელი დავაა და ერთ ნაწილს იგი ხორციელ რომანად და არა რელიგიურ მისტერიად მიაჩნია.

და მართლაც, განა ეს შეიძლება მისტიკური ალეგორია იყოს:

„მიჩვენე მე პირი შენი, და მასმინე ხმა შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმა შენი, და სახე შენი მშვენიერ... წყლულ ვარ მე სიყვარულითა შენითა!.. აჰა, ზამთარი წარხდა, განვიდა, ყვავილნი გამოჩნდეს ქვეყანასა ზედა, ჟამი სხვლისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმის ქვეყანასა შინა, ლეღვმან გამოიღო ყვავილი თვისი, ვენახმან მწიფებულმან მოსცეს სულნელება, აღდეგ და მოველ შენც, მახლობელო ჩემო, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, მოვედ საფარდულსა შინა კლდისათა... თვალნი შენნი ტრედ არიან, თვინიერ დუმილისა შენისა, ვითარცა საბელი ძოწეული ბაგენი შენი, ორნი ძუძუნი შენნი, ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი, რომელი სძოვდეს შორის შროშანთა ვიდრე ჩრდილთა შეძვრამდე..."

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს იყოს მისტიკური ტრფიალი რაღაც აბსტრაქტული ზეციური ძალისადმი. ეს არის ნამდვილი სატრფიალო პოეზია, აღსავსე მძაფრი ეროტიკული ვნებიანობით — გაზაფხული მოსულა და მიჯნური თავის სატრფოს ბუნების წიაღში ეძახის.

ასევე ნამდვილად რეალისტურია სახეები, რომლებიც გურამიშვილის ზემოხსენებულ ლექსში გვხვდება. ხოლო ქრისტეს ხსენება იქვე, ეს ხარკია დროისა და რწმენის წინაშე.

ელ. მაღრაძე დავითის ტყვეობის აღწერისას (თავი „ლეკების ტყვე"), პოეტს ლამისყანიდან კვალში მიჰყვება, წიგნის ავტორი იმ წყაროსაც აღწერს, საიდანაც პოეტი გაიტაცეს და რომელიც „დღესაც მოჩუხჩუხებს. ჟამთა სიავეს გადარჩენილი რამდენიმე მუხა დღესაც იხილება წამლად წყაროს შემოგარენში, მაგრამ ის ხშირი ტყე, რომელსაც გურამიშვილი ახსენებს... გაუკაფავთ, ან დროის მსახვრალ ხელს გაუმეჩხერებია".

გურამიშვილის ტყვეობისა და ხაროში დამწყვდევის ამბების აღწერისას ელ. მაღრაძე უხვად იყენებს შესაბამის მასალებს, იქნება ეს ლევ ტოლსტოის მოთხრობა, თუ ილია ორბელიანის ჩანაწერები; შემდეგ ნაჩვენებია გურამიშვილის პირველი და მეორედ გაქცევა, ტყე და მთა-მთა წანწალი, შიმშილი, სიტიტვლე, სიცივე. „პოეტი, — წერს ავტორი, — ჩრდილოეთის მოციალე ვარსკვლავს მიჰყვებოდა. ეს უვალი გზა ჯერაც არ იყო გაწალდული, მრავალი ხნარცვი და ეკალი იყო ამ გზაზე".

იმ ეპიზოდში, როცა რუსი მოძმე ტანსაცმელშემოძარცულ, მშიერსა და მწყურვალ დავითს პურს მიაწვდის, ელ. მაღრაძე ხაზს უსვამს რუსი კაცის გულსათუთობასა და მგრძნობიარობას, გულშემატკივრობასა და თავაზიანობას, სტუმართმოყვარეობასა და გულითადობას.

ელ. მაღრაძე, ბუნებრივია, დიდ ადგილს უთმობს დავითის დროინდელი საქართველოს ავბედითი ცხოვრების აღწერას. მეცნიერული სიზუსტითა და მხატვრული სიმართლითაა ნაამბობი ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ლიტერატურული საქმიანობა, ვახტანგის ამალის რუსეთში ყოფნა, ირანისა და თურქეთის მესვეურთა ავაზაკური პოლიტიკა. დავიწყებული არ არის ვახტანგ მეექვსის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. ისიც აღნიშნულია, რომ იმ დროის „ვითარებამ ქართლის დამოუკიდებლობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ნადირშაჰის წინააღმდეგ, მამა-შვილი თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე ჩაუყენა სათავეში. მათმა გონივრულმა საგარეო და საშინაო პოლიტიკამ იხსნა ქართველობა განადგურებისაგან".

თვალის ერთი გადავლებით არის ნაჩვენები გურამიშვილის სამსახური რუსეთის არმიაში. ავტორი მოგვითხრობს ქართველ ჰუსართა პოლკზე, მის ბრძოლებზე; როგორც ელ. მაღრაძე აღნიშნავს, დავით გურამიშვილის 16 სტრიქონში აღწერილი 18 წლის ბრძოლა და ცხოვრება იმით მთავრდება, რომ რუსეთის სამხედრო კოლეგიამ ვახმისტრ გურამიშვილის საქმეს „განხილვა არ აღირსა, ჩაამჟავა რამდენიმე თვე", და ბოლოს კი ძლივს „პორუჩიკის ჩინი გაიმეტა".

ელგუჯა მაღრაძე ვრცლად მიმოიხილავს დავით გურამიშვილის პოეზიას, აქ საინტერესოა თავები „ქაცვია მწყემსი", „დავით გურამიშვილი და ბუკოლიკური პოეზია", „პოეტის რწმენა", „სოფლის სამღურავი" და სხვ.

ელ. მაღრაძის „გოდებაში" არ არის დავიწყებული არც ერთი მეცნიერი თუ მწერალი, ქართველი იქნება, თუ სხვა ხალხის შვილი, რომლებსაც დავით გურამიშვილის ბიოგრაფიის შექმნისა, თუ მისი შემოქმედების ანალიზისათვის დიდი, თუ პატარა წვლილი შეუტანიათ. ამ წიგნს ჩვენი მკითხველი ღრმა ინტერესით წაიკითხავს.

**გივი გოგიჩაიშვილი**

# წიგნი, დაწერილი სიყვარულით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად ამბობენ ხოლმე, წიგნებს თავიანთი ბედი აქვთო. არ ვიცი რამდენად ზუსტად გამოვხატავ ჩემს სათქმელს, მაგრამ ამას მინდა დავუმატო, რომ წიგნებს აქვთ თავიანთი გეოგრაფიაც, თავიანთი სივრცე და თვალსაწიერიც. ზოგისათვის ეს სივრცე პატარაა, ზოგისათვის — უღრესად ფართოდ გადაშლილი. საიდან სად არ გადაყავხართ ამ საკმაოდ მოზრდილ წიგნს, რომელსაც „მშობლიური სახელები“ ჰქვია — მოგზაურობს ავტორი საქვეყნო გზებზე და მკითხველის ფიქრიც თან მისდევს მას. „სტალინგრადამდე ისე ვიფრინეთ, თვალი არ მოგვიშორებია მიწისათვის“... მერე, პატარა მდინარე ცარიცა... უნივერმაღის სარდაფი ქალაქის შუაგულში, სადაც მამაცმა საბჭოთა მეომრებმა დაატყვევეს მტრის ფელდმარშალი და მისი შტაბი... მამაის ყორღანი, სატრაქტორო ქარხანა — ავტორი დაეძებს ქართველი მეომრების კვალს ამ გმირ-ქალაქში და ყველგან პოულობს მას... მომდევნო ნარკვევს უკრაინაში გადავყავართ: „კოველის რაიონის სოფელ გოლებში მხედრული პატივით არის დასაფლავებული ჩოხატაურის რაიონის მკვიდრი, ქართველი ხალხის მამაცი შვილი, — გამარჯობა, ძმაო! — ძეგლზე ამოკვეთილ მის სახეზე თითქოს ღიმილი გამოკრთის, თითქოს უხარია თანამემამულეთა ასეთი მოულოდნელი სტუმრობა... ამ შეხვედრამ სევდაც მომგვარა და სიამაყეც. იამაყე შენც, ქართველო დედავ! ისეთი შვილი გაგიზრდია, რომლის სახელსაც მოწიწებით ახსენებენ უკრაინელი მეგობრები. გოლებში ქუჩასაც ჰქვია „ჭიჭიკო ბენდელიანი“, სკოლასაც, პიონერულ რაზმებსაც“ ამის შემდეგ ჩვენ წითელ ხიდზე ვართ, აქ ძმური სიყვარულით ხვდებიან ერთი-მეორეს ქართველი და სომეხი პოეტები... შემდეგ მოსკოვში გადავყავართ ავტორს და ყველგან ის ეძებს და პოულობს მეგობრებს — ამ დიდი სიყვარულით და ხალხთა ძმობის უკვდავი გრძნობით არის გამსჭვალული მთელი წიგნი.

მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაწილია ჩვენი შესანიშნავი პოეტის ხუტა ბერულავას წერილებისა და ნარკვევების კრებულისა; ამას გარდა, აქ წარმოდგენილია შემდეგი თავები: „გზა და ნათელი წინაპრებისა“, „ყველაფერი ბავშვებისათვის“, „სახელოვანი თანამედროვენი“, „ისევ წერილები და ნარკვევები“... რამდენი სიყვარული და თბილი პოეტური გრძნობებია ჩაქსოვილი ყოველ წერილში, და ყოველი მათგანი რაღაც საინტერესოს მოგვითხრობს. ეს წერილები სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში და მკითხველისათვის კარგად არის ცნობილი, მაგრამ როდესაც წერილები ერთ კრებულში გაერთიანებული წავიკითხეთ, ჩვენს წინაშე უფრო ნათლად გამოიკვეთა იმ გმირთა სახეები, რომელთაც ავტორი თავის წერილებსა და ნარკვევებში ეხება. ესენი არიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის დაუცხრომელი მუშაკები, სამამულო ომის გმირები, მწერლები, პედაგოგები, ყველა ისინი, ვინც ასახელა ჩვენი ქვეყანა თავისი უმწიკვლო შრომითა და გარჯით. პოეტი ამ ადამიანების ცხოვრებასა და ღვაწლს ყოველთვის ეხებოდა თავის ლირიკულ ლექსებსა და პოემებში. ახლა კი წერილების სქელტანიანი კრებული მიუძღვნა.

კრებული იხსნება წერილით „წინათქმა „ჩვენი საუნჯისა“. მასში ვკითხულობთ: „ჩვენს ხალხს უსაზღვროდ უყვარს მშობლიური ლიტერატურა, თავისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი. სწორედ ამიტომ საქართველოს სსრ საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა“ გადაწყვიტა გამოსცეს ქართული კლასიკური მწერლობის ბიბლიოთეკა „ჩვენი საუნჯე“, რომელიც ოც ტომს შეიცავს. ახალგაზრდობისათვის განკუთვნილ ამ ბიბლიოთეკაში მოთავსებული იქნება ყოველი კარგი და რჩეული, რაც კი შეუქმნია ქართულ მწერლობას, რითაც მიუღია თავისი სულიერი საზრდო ქართველ ხალხს, ყოველივე ის, რაც კი შეიძლება შევიდეს ერის საუნჯეში“.

როცა წიგნის ავტორი ამ სტრიქონებს წერდა, მაშინ იგი, როგორც გამომცემლობის დირექტორი, უშუალოდ ახორციელებდა ამ შესანიშნავ თაოსნობას. ეს იყო მართლაც კარგი წამოწყება — და მკითხველიც მას სიხარულით შეხვდა. ახლა საქართველოში იშვიათად მოიძებნება თვით ძლიერ შორეული სოფელიც კი, სადაც ბიბლიოთეკის თაროებსა თუ კერძო ბინას არ ამშვენებდეს ლურჯი ლედერინის ყდაში ჩასმული ეს მშვენიერი სერია წიგნებისა, სადაც გადმოშლილია ყველაფერი, რაც საუკუნეთა მანძილზე უფიქრია და უგრძვნია ქართველ პოეტთა თუ პროზაიკოსთა ყველა თაობას, დაწყებული პირველი ქართული მოთხრობიდან — „შუშანიკის მარტვილობიდან“ ვიდრე ჩვენს დრომდე.

ერის სულიერი საუნჯის ასე ერთბაშად გადმოშლა, მისი ასე გამოცემა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენს დროში, საბჭოთა ეპოქაში, როცა ხალხი თვითონ გახდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი. ადრე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, იბეჭდებოდა მხოლოდ

---

ხუტა ბერულავა. მშობლიური სახელები. გამომცემლობა „განათლება“.

ცალკეული ნაწარმოებები, ისიც შეძლებული პირების საფასურით. ახლა კი სახელმწიფომ აიღო ეს საქმე ხელში. მაპატიოს მკითხველმა თუ, ცოტა არ იყოს, გადავუხვევ თემას და გავიხსენებ ქართული საბჭოთა წიგნის პირველ ენთუზიასტებს, რომელთაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნიეს ჩვენი გამომცემლობების წინსვლისა და გაძლიერების საქმეს. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლო მიწიშვილი, რომელმაც ძალიან წინ წასწია ქართული წიგნის გამოცემის საქმე, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში მას ბევრი დაბრკოლება ხვდებოდა წინ. მე მაშინ მასთან ერთად ვმუშაობდი და კარგად მახსოვს როგორ მოდიოდნენ მასთან ე. წ. „საქმის კაცები“ და მის კაბინეტში, შინაურულ საუბარში, ხან სერიოზულად და ხანაც ნახევრად ხუმრობით უმტკიცებდნენ ნიკოლოს, რომ წიგნის გამოცემა საქართველოში რენტაბელური საქმე არ არის და თან ნუ გადაჰყვები, თავი დაანებეო.

აი, რა უპასუხა ნიკოლო მიწიშვილმა იმათ, ვისაც ქართული წიგნის გამოცემა არ მიაჩნდათ მომგებიან საქმედ:

„კულტურული ღირებულებანი ყოველთვის ემყარებოდნენ გარკვეულ მატერიალურ ბაზისს, მაგრამ თავისთავად ხელოვნების ნაწარმოები ბევრ შემთხვევაში კომერციულად გამართლებული არაა და მასზე დახარჯულ თანხას არ ანაზღაურებს.

ჩვენ, მაგალითად, შეგვიძლია ვიანგარიშოთ, თუ რამდენი ფული დაიხარჯა რენესანსის დროის მხატვრობაზე, მაგრამ რომ ვიკითხოთ, თუ რა ფული მისცა მედიჩებსა და ბორჯიებს მათ მიერ შეძენილმა სურათებმა, ან ხელოვნების სხვა ნიმუშებმა, — უნდა ვთქვათ, რომ არაფერი.

ფრანცისკო პირველმა, თუ რა დახარჯა, რომ ლეონარდო „შეეძინა“, ან რა დაუჯდა მას ჯიოკონდა, — ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ ჯიოკონდა არც მამული იყო, არც ქარხანა, არც რაიმე წარმოება, რომ დაბანდებული თანხა „მწარმოებლისათვის“ დაებრუნებინა, თუ მოგებით არა, თავნად მაინც.

კერძოდ, არც მწერლობისა და წიგნის გამოცემის საქმეში შეიძლება გავატაროთ ზუსტი კომერციული პრინციპი, მაგრამ მაინც ხშირად ისმის ლაპარაკი, რომ მხატვრული წიგნის გამოცემა „საქმე“ არაა, რომ წამგებიანია, რომ მატერიალურად ეს საქმე ვერ ხეირობს“.

ეს იყო შესანიშნავი და ფრიად გონებამახვილური პასუხი — სარგებლობა და სიკეთე, რაც კარგ წიგნსა და მხატვრის ნაწარმოებს მოაქვს — ფულის ნიშნებით არ გაიზომება. მას სხვა საზომი აქვს და ყველა ჭკვიანმა კაცმა ეს კარგად იცის.

ეს სხვათა შორის, რაკი-ღა სიტყვამ მოიტანა.

დავუბრუნდეთ ისევ სარეცენზიო წიგნს. ყურადღების ცენტრში, აქ, საბავშვო ლიტერატურა დგას. ხუტა ბერულავა თავის ამ წიგნში წერს: „ვფიქრობთ, არ გადავაჭარბებთ თუ ვთქვით, რომ ჯერჯერობით საბავშვო მწერლობას აკლია კრიტიკის მზრუნველი და წარმმართველი ხელი. არიან ცალკეული ენთუზიასტები ამ საქმისა. ისინი წერენ ბიბლიოგრაფიულ წერილებს, სიყვარულით ემსახურებიან საბავშვო მწერლობას — მადლობა და პატივისცემა მათ — მაგრამ, საერთოდ, სალიტერატურო კრიტიკის თვალთახედვის გარეშე რჩება ამ ცალკეული ენთუზიასტების კეთილშობილური საქმიანობაც და მთელი საბავშვო მწერლობაც. იმ საიუბილეო ხასიათის წერილებშიც კი, რომლებიც მიზნად ისახავენ ქართული მწერლობის ამა თუ იმ მონაკვეთის შეფასებას, როგორც წესი, საბავშვო მწერლობა უყურადღებოდ არის დატოვებული, თითქოს იგი საერთო ეროვნული მწერლობის განუყრელი ნაწილი არ იყოს“.

ეს მართლაც ასეა და გასაგებია ავტორის გულისტკივილიც. ჩვენი კრიტიკა ნაკლებად უწევს პროპაგანდას საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებებს, ბევრს არაფერს ამბობს მათს ავტორებზე. ასეთი ვითარებაში მით უფრო იქცევს ყურადღებას ხუტა ბერულავას აქ გამოქვეყნებული წერილები, სადაც მას აღუნიშნავს ქართული საბავშვო ლიტერატურის ოსტატების დაუცხრომელი მუშაობა ნორჩი თაობის იდეური და ესთეტიკური აღზრდისათვის; აქ შეხვდებით გულთბილ სიტყვებს „ნაკადულის დედაზე“ — მარიამ დემურიაზე, რომელმაც თავისი ჟურნალის დაარსებით მართლაც საშვილიშვილო საქმე გააკეთა, აქვეა წერილი იოსებ გრიშაშვილის საბავშვო ლექსებზე, მომდევნო ფურცლებზე განხილულია ნინო ნაკაშიძის, შიო მღვიმელის, მარიჯან ალექსიძის, ილია სიხარულიძის, მაყვალა მრევლიშვილის, არნო ონელის, ოტია იოსელიანის, რევაზ ინანიშვილის და სხვების ღვაწლი და ამაგი საბავშვო ლიტერატურის წინაშე.

ხუტა ბერულავას წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სამამულო ომის გმირებს. ეს არიან ადამიანები, რომელთა თავდადება და სამშობლოს სიყვარული მუდამ იცოცხლებს ადამიანთა მეხსიერებაში და თაობიდან თაობას გადაეცემა. ზემოთ უკვე ვახსენეთ ნარკვევი სახელგანთქმულ მფრინავ ბენდელიანზე. ამავე ციკლს განეკუთვნება ნარკვევები „ბორის ფარჯიკია“, „სიკვდილი სიცოცხლისათვის“, „გზა გამარჯვებისა“. „კვლავ ამაყად მოდუღუნებს დნეპრის წყალი, — ვკითხულობთ წიგნში, — აქ, მის ნაპირებზე, სხვადასხვა ადგილას წევს ორი სახელოვანი თანასოფლელი — გვარდიის პოდპოლკოვნიკი ბორის ფარჯიკია და საბჭოთა კავშირის გმირი ბონძი სორდია. უკრაინაში მათ დნეპრი უმღერის ხმატკბილ იავნანას, სა-

ქართველოში კი ჩონგურ-ფანდურის წკრიალა სიმებს არ მოშორდება სახელები მათი. ისინი მოკვდნენ სიცოცხლისათვის“. მესამე ნარკვევი, „გზა გამარჯვებისა“, ეძღვნება საბჭოთა კავშირის გმირს შალვა ჩილაჩავას, რომელიც ნაომარი დაბრუნდა სამამულო ომის ფრონტიდან და დღეს კვლავ განაგრძობს დაუღალავ შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

წიგნი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. არიან ადამიანები, რომელთა სახელები შეიძლება ძალზე დიდი მასშტაბებით არ გახმაურებულა, მაგრამ მათ იმდენი სიკეთე დაუთესავთ, იმდენი სარგებლობა მოუტანიათ სამშობლოსათვის, რომ მათი დავიწყების უფლება ჩვენ არა გვაქვს. ერთ ასეთ კაცზე მოგვითხრობს ავტორი ნარკვევში „ჩვენი ტერენტი“. აქ ლაპარაკია ტერენტი ტყემალაძეზე — ეს იყო დაუცხრომელი მოამაგე ნორჩი თაობისა, სახალხო განათლების ფრონტის დაუცხრომელი მუშაკი, ნამდვილი ინტელიგენტი და მომხიბვლელი პიროვნება. მრავალი საამაყო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აღუზრდია მას, შეუყვარებია მათთვის ფიზიკა და მათემატიკა, ხოლო შემდეგ, თერთმეტი წლის განმავლობაში იგი განაგებდა საქართველოს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებას. ეს ნარკვევი მოცულობით პატარაა, მაგრამ მასში მაინც ნათლად ჩანს ეს შესანიშნავი ადამიანი, ღრმა მოხუცებულობის წლებშიც კი გული საქმისკენ რომ მიუწევდა და ავტორის სიტყვით რომ ვთქვათ, „ფორმალურ, ე. წ. საპატიო წევრად ყოფნას არასდროს იკადრებდა: მისი მონაწილეობა ყველგან და ყოველთვის სიკეთის მომტანი, ნაყოფიერი იყო“.

ხუტა ბერულავას ამ წიგნს მკითხველი იმ სიყვარულით წაიკითხავს, რა სიყვარულითაც ავტორს ის დაუწერია.

ალექსანდრე სიგუა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ